გიორგი სოსიაშვილი - წიგნის ავტორი, ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, მიწვეული პროფესორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის წევრი, საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის თავმჯდომარე. კვლევის მიმართულებები: შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები; საქართველოს წარჩინებული საგვარეულოები; რუსეთის კოლონიური პოლიტიკა კავკასიაში; ქართლის სათავადოები; ევროპელი მოგზაურები საქართველოში; ქართულ-ოსური ურთიერთობები. მისი ნაშრომები და ნაწარმოებები თარგმნილი და გამოცემულია: ინგლისურ, რუსულ, თურქულ, პოლონურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და სომხურ ენებზე. ლიტერატურული კონკურსი „საბას“ 2021 წლის გამარჯვებული ნომინაციაში „წლის საუკეთესო პროზაული კრებული“ და წმინდა გრიგოლ ფერაძის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი.

Giorgi Sosiashvili – the author of the book, PhD in history, rector at Gori State University, professor, invited professor at Iv. At Javakhishvili Tbilisi State University, a board member at the National Committee for the History of the National Academy of Sciences of Georgia and the scientific committee for the study of the Georgian villages of the Patriarchate of Georgia, the Chairman of the Permanent Conference of Rectors of Regional Universities of Georgia. Research fields: issues of historical geography of Shida Kartli; distinguished noble houses of Georgia; Russian colonial policy in the Caucasus; Principalities of Kartli; European travelers in Georgia; Georgian-Ossetian relations. His works have been translated and published in: English, Russian, Turkish, Polish, Azerbaijani, Ossetian and Armenian languages. The 2021 Winner of Saba Literary Competition in the category "Best Prose Collection of the Year" and St. Grigol Peradze International Award Laureate.

გიორგი სოსიაშვილი
Giorgi Sosiashvili
პატარა ლიახვის ხეობის ისტორია
THE HISTORY OF PATARA LIAKHVI GORGE

პატარა ლიახვის ხეობის ისტორია

გიორგი სოსიაშვილი

Giorgi Sosiashvili

THE HISTORY OF PATARA LIAKHVI GORGE

გიორგი სოსიაშვილი

Giorgi Sosiashvili

პატარა ლიახვის ხეობის ისტორია

The History of Patara Liakhvi Gorge

(შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიული რეპრეზენტაცია)

(Historical representation of the occupied territories of Shida Kartli)

თბილისი • TBILISI

2022

პროექტი შესრულებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით N OTG – I – 21 - 593

პროექტის ხელმძღვანელი გიორგი სოსიაშვილი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი;

პროექტის კოორდინატორი ალექსანდრე მღებრიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი;

პროექტის მკვლევარი იოსებ ალიმბარაშვილი, ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;

პროექტის მკვლევარი თამილა კოშორიძე, ეთნოლოგიის დოქტორი.

The project (N OTG – I – 21 – 593)was carried out with the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

Principal investigator: Giorgi Sosiashvili, PhD in History, professor;

Project coordinator Aleksandre Mghebrishvili, PhD in Philology, Professor;

Project researcher Ioseb Alimbarashvili, PhD in History, Associate Professor;

Project researcher Tamila Koshoridze, PhD in Ethnology.

რედაქტორი: აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**

Editor: Academician **Roin Metreveli**

რეცენზენტები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ნიკო ჯავახიშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ოთარ ჯანელიძე**

Reviewers:

Prof. **Niko Javakhishvili**, PhD in History

Prof. **Otar Djanelidze**, PhD in History

ქართული ტექსტი ინგლისურად თარგმნა **ზურაბ ზურაბაშვილმა**

The Georgian text was translated into English by Zurab Zurabashvili

გარეკანზე: ერედვის წმინდა გიორგის ტაძრის კარიბჭე (X ს.)
დეტალი კულბითის ღვთისმშობლის ტაძრის დასავლეთის ფასადზე

On the cover: The gate of the Eredvi temple of St. Giorgi
The detail of the west façade of kulbiti temple of the Mother of God

შესავალი

ტერიტორია, რომელსაც პატარა ლიახვის ხეობა მოიცავს, საისტორიო წყაროების მიხედვით, ორ ნაწილად იყოფოდა: „საცხუმეთად“ და „ქორდითირიკოს“ ხევად.

პატარა ლიახვის ხეობის არაერთი სოფელი ადრეფეოდალურ პერიოდში ტბელთა წარჩინებულ გვარს ეკუთვნოდა, რასაც ადასტურებს მათ მიერ აგებული ტაძრები და მათივე დაკვეთით შესრულებული ლაპიდარული წარწერები. პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთ სოფელში მამულები ჰქონდათ ფავლენიშვილებს, რომელთა საგვარეულოს ერთი შტო სოფელ ზემო ნიქოზში ცხოვრობდა. პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლები ე. წ. სავახტანგოში შედიოდა და საუფლისწულო მამულს წარმოადგენდა. ოდნავ მოგვიანებით, ხსენებულ ხეობაში ქსნის ერისთავთა გავლენა გავრცელდა და ხეობის სოფლების უმეტესობა სწორედ მათი საკუთრება გახდა. ქსნის ერისთავების გარდა, ხეობაში ძველი დროიდან თავისი მამულები ჰქონდა საქართველოს საპატრიარქოს. აღსანიშნავია, რომ მდ. პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადის, ფოტნისას ნაპირზე, თავისი მეტოქი გააჩნდა ათონის ვატოპედის ბერძნულ მონასტერს. იქვე ახლოს, სოფელ ბელოთში ქსნის ერისთავების სპარსული სტილით აგებული სასახლე იდგა, ხოლო მოგვიანებით, ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ ამ სოფელში იულონ ერეკლეს ძე დამკვიდრდა და ბელოთი მწიგნობრობის ერთ-ერთ მძლავრ კერად იქცა.

2008 წელს, რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად, საქართველოს ისტორიული კუთხის-შიდა ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის პატარა ლიახვის ხეობა, საოკუპაციო ხაზს მიღმა აღმოჩნდა. აგვისტოს ავადსახსენებელი, უთანასწორო ომი, რომელშიც რუსეთის ფედერაციის რეგულარული არმიის შენაერთები მონაწილეობდნენ, სულ რამდენიმე დღე გაგრძელდა, თუმცა, დიდი მსხვერპლით და ათეულობით ქართული სოფლის განადგურებით დასრულდა. ამ ტრაგედიას წინ უძღოდა კრემლის იდეოლოგთა მიერ ქართველებსა და ოსებს შორის სიძულვილის თესვის ხანგრძლივი პროცესი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში ჩამოსახლებამდე ოსთა თავდაპირველი საცხოვრისი ჩრდილოეთ კავკასია იყო. უკეთესი საცხოვრებელი პირობების საძებნელად ბარში ჩამოსული ალანთა შთამომავლები შიდა ქართლის მთიან ზოლში მკვიდრდებოდნენ. ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსების გადმოყვანით გვიანშუასაუკუნეებში დაინტერესებული იყო საქართველოს სამეფო ხელისუფლება. ოსი მოახალშენეების ჩამოსახლებას ხელს უწყობდნენ იმ სათავადოების მესვეურებიც, რომელთა საფეოდალოები ოსების საცხოვრებლებს ემეზობლებოდა. ქართველი ფეოდალები ესწრაფვოდნენ ჩამოსახლებული ოსებით მეტი ადგილი აეთვისებინათ და გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა გაეზარდათ. ეს ცხადია, მათ შემოსავალზეც აისახებოდა და გაუკაცრიელებულ ადგილებზე მოსახლეობასაც მოამრავლებდა. ოსთა მიგრაციის დროს, ბუნებრივია, ვერავინ

იფიქრებდა, რომ სამიოდე საუკუნის შემდეგ, ქართველების ამ უძველეს-მიწა-წყალს ოსურ ტერიტორიად გამოაცხადებდნენ. ისტორიის გაყალბებას და ოსურ სეპარატიზმს განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა ფართო გასაქანი. საქართველოში ჩამოსახლებული ოსების გარკვეულმა ნაწილმა, ბოლშევიკთა წაქეზებით, დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ არაერთი ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლა მოაწყო. მათ უკან კრემლი იდგა. საქართველოს ხელისუფლებამ სეპარატისტ ოსთა შეიარაღებული გამოსვლები გაანეიტრალა, თუმცა, მოგვიანებით, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, საბჭოთა რეჟიმმა ერთგულ ოსებს დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ გაწეული ღვაწლი დაუფასა და მათთვის შიდა ქართლის ისტორიულ ნაწილში, სამხრეთ ოსეთის ავტონიური ოლქი შექმნა, სადაც იძულებით მოაქციეს დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის და ფრონეების ხეობებში არსებული ქართული სოფლები.

საქართველოში ჩამოსახლებული ოსების სამხრეთული ისტორიის დაძველების საქმეში, კრემლის იდეოლოგიური მანქანა დიდი რუდუნებით მუშაობდა. სამწუხაროდ, არსებული პოლიტიკური წნეხის გავლენით, ამ საქმეში ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსიც იყო ჩართული. მეცნიერულად გამყარდა მითი ე. წ. სამხრეთ ოსეთის შესახებ, რომელიც სინამდვილეში არასოდეს არსებულა. XX საუკუნის 90-იან წლებში საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესი შეუქცევადი გახდა. დამოუკიდებელი საქართველოს დასასჯელად, რომელსაც საგარეო პოლიტიკური კურსი მყარად ჰქონდა ევროპისკენ აღებული, აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის კრემლიდან მართული, ხელოვნური ეთნოკონფლიქტები ერთმორწმუნე მეზობელმა მუდმივი არეულობის ინსტრუმენტად აქცია. ჩვენი ქვეყნის განუხრელმა სწრაფვამ დასავლურ სივრცეში „ეთნოკონფლიქტები“ კიდევ უფრო გააღრმავა. ეს იყო დამოუკიდებელი ქვეყნის რუსეთის გავლენის ქვეშ იძულებით დატოვების მძლავრი მექანიზმი. ქართველთა ეთნიკური წმენდა ჯერ აფხაზეთში განხორციელდა, ხოლო შემდეგ ცხინვალსა და მის შემოგარენ სოფლებში. მოძმე ხალხებს შორის სისხლი დაიღვარა, თუმცა, ტრაგიკული დაპირისპირების მიუხედავად, ქართველებს და ოსებს შორის თანდათან გადატვირთვის პროცესი დაიწყო. აღდგა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი. ქართველების და ოსების ურთიერთსიძულვილით დაინტერესებული ძალებისთვის ორი ერის ხელახალი დაახლოვება და საუკუნეების განმავლობაში ნაწრთობი მეგობრობის აღდგენა მიუღებელი აღმოჩნდა. პროვოკაციული მოქმედებების შედეგად, ორივე ხალხის წარმომადგენლებმა დაუშვეს უმძიმესი შეცდომები, რამაც ორი ერი 2008 წლის აგვისტოს ომამდე მიიყვანა. მძიმე დღეებში დაიღუპა უამრავი ადამიანი, ათიათასობით ქართველი საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. შიდა ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი, ისტორიული ქართული სოფლები მავთულხლართს მიღმა მოექცა. ასეთივე ბედი ეწია პატარა ლიახვის ხეობას. ისტორიული ქორდითირიკოს ხევის ზედა ნაწილი, პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე არსებული კურბითი და საცხუმეთი, დღეის

მდგომარეობით ოკუპირებულია.[1] თუმცა, ტერიტორიის მიტაცება ამით არ დასრულებულა. მიწის პირისაგან აღიგავა ქართველთა საცხოვრებლები. ბედის ანაბრად არის მიტოვებული მატერიალური კულტურის ძეგლები და ლაპიდარული წარწერები. გრძელდება ე. წ. მცოცავი ოკუპაცია-მავთულხლართის უკანონოდ გადმოწევა და ქართული სავარგულების მითვისება.[2]

ოკუპირებულ ისტორიულ ქართულ მიწაზე 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ სამხედრო ბაზები ააშენა. დღითიდღე იშლება ქართველთა ცხოვრების ნაკვალევი, ნადგურდება ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლები, მიზანმიმართულად მიმდინარეობს პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ონომასტიკური ერთეულების დამახინჯება და სახელების გადარქმევა, ყალბდება ისტორია. ამ სულისკვეთებით იწერება მრავალი „ნაშრომი," რაც საქართველოს წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო ომის შემადგენელი ნაწილია. სწორედ ამის საპასუხოდ განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული პროექტი: „შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიული რეპრეზენტაცია," რომლის ფარგლებში დაიწერა წინამდებარე მონოგრაფია: „პატარა ლიახვის ხეობის ისტორია." ჩვენი მიზანია, დოკუმენტურ, თუ ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობით, ობიექტურად წარმოვაჩინოთ ოკუპირებული პატარა ლიახვის ხეობის, შიდა ქართლის ამ უძველესი ნაწილის ისტორიული წარსული.

1 გ. სოსიაშვილი, ლიახვის ხეობა მავთულხლართს მიღმა, ჟურნ. „ისტორიანი," №8/92, 2018, გვ. 12-19.

2 ნ. ჯალაბაძე, ლ. ჯანიაშვილი, ნ. ლოლაძე, ბორდერიზაცია და ქართულ-ოსური ურთიერთობები ოკუპირებულ რეგიონში, თბ., 2022, გვ. 8-12.

პატარა ლიახვის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

მდ. პატარა ლიახვის აუზი

მდ. პატარა ლიახვი სათავეს გუდისის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე (ზღვის დონიდან 2920 მ.) იღებს და სამხრეთით შიდა ქართლის ვაკეზე მიედინება. მისი დინების სიგრძე 65 კმ-ს შეადგენს, ხოლო აუზ-ის ფართობი 513 კმ²-ს. მდ. პატარა ლიახვის დინება სოფ. შერთულთან წყდება, სადაც ის მდ. დიდ ლიახვს უერთდება.[3]

ვახუშტი ბაგრატიონის აღწერით: „ხოლო ისროლის ხევის და ჟამურის დასავლით არს პატარა ლიახვის ხეობა. ამათ განჰყოფს მთა ბენდერისა, წიფორისა და ქნოღოსი. მდებარეობენ მთანი ესენი ჩრდილოდამ სამხრით კავკასიიდამ. ამ მთებს უძევს აღმოსავლით ისროლის ხევი, ჭურთა და ჟამური, დასავლით, გამოსდის პატარა ლიახვი ქნოღოს ზეით მცირეს ტბას და მოდის ფოტრისამდე სამხრეთად. მერმე საცხენის ქუემოთამდე დასავლეთად, მერმე კიდევ სამხრით, ხოლო ვანათს ერთვის დასავლიდამ ლიახვის ხევი გერისა, გამოდის მშხლების მთას და დის სამხრით. ამას ზედა მსახლობელნი არიან ოსნი. უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს.

ხოლო ვანათსა, საცხენისსა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისის ხევი, ღრმა და კლდიანი, განსავალი. გამოსდის გერისა და შუაცხვირის მთას. შუა-ცხვირს მსახლობელნი არიან ოსნი. ამ ფოტრისას ხევს ზეით არს აწრისხევი... მას მოერთვის ხევი შამბიანისა ლიახჯს აღმოსავლიდამ. გამოსდის ჟამურის მთას და დის დასავლეთად. ამ ხევს ზეით ერთვის ლიახჯს ხევი ჩაბარუხეთისა, გამოსდის გერის მთას დის აღმოსავლით, ერთვის ლიახჯს დასავლიდამ. ამ ლიახვის შესართავს ორსავ წყალს შუა არს ციხე ბეყჩოსი. ამ ციხეს ზეით არს ქნოღო სამ ხეობად. აღმოსა-ვლიდამ ჩრდილოდამ და დასავლით – ჩრდილოდ შუადამ, ხოლო ტბა ქნოღოსი არს მცირე, რომელსა სდის ლიახვი. ამ ტბიდან ვანათამდე არს ლიახვის ხეობა უვენახო, უხილო, ვითარცა დავსწერეთ მთის ხევნი და სივიწროვით ესე უფროს მწირი.“[4]

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში ნამყოფი გერ-მანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი წერს: „ლიახვი შედ-გება ორი მოზრდილი მდინარისაგან – აღმოსავლეთის პატარა (პატარა ლიახვი) და დასავლეთის დიდი (დიდი ლიახვი) მდინარეებისაგან. ორივენი სათავეს იღებენ ფიქალიან მთებში, თერგის შენაკად არდონისა და მტკ-ვრის შენაკად ქსნის სათავეებთან ახლოს და მიედინებიან რა პარალელუ-

3 გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, ჟურნ. „ქართველური მემკვიდრეობა,“ XXI, 2017, გვ. 308-320.

4 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 361-363.

რად სამხრეთისაკენ, მტკვართან მარცხენა მხრიდან შერთვის ადგილთან ახლოს ერთდებიან. მათი მიდამოები და თვითონაც ყველაფერში ჰგვანან ამის წინ აღწერილ მდინარეებს. ასევე მათზეც და მათ შენაკადებზეც მდებარეობენ ზევით ოსური, ქვევით – ქართული მხარეები. პატარა ლიახვის შენაკადებია ზევიდან ქვევით: შამბიანი და ფოტნისი...“[5]

ტერიტორიას, რომელსაც პატარა ლიხვის ხეობა მოიცავდა, შუა საუკუნეების განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. ამას განაპირობებდა მისი სტრატეგიული მდებარეობა. ადრეფეოდალურ ხანაში იგი ორ ნაწილად იყოფოდა, ხეობის ქვემო ნაწილი საისტორიო წყაროებში, კერძოდ კი, VII ს. სომხურ გეოგრაფიაში ქორდითირიკოს სახელით იხსენიება.[6] აღნიშნულ გეოგრაფიაში ქორდითირიკოს ხევთან ერთად მოხსენიებულია „დვანის ხევი,“ „აჩაბეთის ხევი,“ „საცხუმეთი.“[7] დასახელებული ხევები, ადრეფეოდალურ პერიოდში, ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ, რომლებიც სომხური გეოგრაფიის მიხედვით, მტკვრის ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობდნენ. ს. კაკაბაძე მიუთითებდა, რომ სომხურ ტექსტში მოხსენიებული „ქორდითიკორის ხევი“ ენობრივი დამახინჯებით არის წარმოდგენილი და ეს ტერმინი უნდა გულისხმობდეს გვერდისძირის ხევს.[8] ტერმინი „გვერდისძირი“ არაერთ ავტორთან გვხვდება. იოანე ბატონიშვილი პატარა ლიახვის ხეობის ქვემო წელზე არსებულ სოფლებს გვერდისძირის სახელით იხსენიებს: „ქ. ძევერა მოსახლე, ქ. შერთული მოსახლე, ქ. ტყვიავი მოსახლე, ქ. კარბი მოსახლე, ქ. ქორდი, ქ. დიცი მოსახლე, ქ. არბო მოსახლე, ქ. ქვაბთა მოსახლე, ქ. სარაბუკი მოსახლე, ქ. ვანათი მოსახლე, ქ. სათიხარი მოსახლე, ქ. დისევი მოსახლე, ქ. კულბითი მოსახლე, ქ. მერე მოსახლე ... ესე სოფლები გვერდისძირს მიეწერებოდნენ იულონ ბატონიშვილს ეჭირა, ახლა ქსნის ერისთავთა აქუთ.“[9] პროფ. ჯ. გვასალიას განმარტებით, გვერდისძირი ეწოდება პატარა ლიახვსა და მეჯუდას შუა წელს შორის მდებარე ტერიტორიას.[10] მ. ცოტნიაშვილმა თავის ნაშრომში „ცხინვალის ისტორია,“ უარყო ს. კაკაბაძის მოსაზრება, რომელიც VII საუკუნის ანონიმურ სომხურ გეოგრაფიაში ნახსენებ ქორდითიკორის ხევს გვერდისძირთან

5 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 223.

6 ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წიგნი I, თბ., 1924, გვ. 40.

7 მ. ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986, გვ. 45; ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წიგნი I, თბ., 1924, გვ. 40.

8 ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

9 იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 40.

10 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 25.

აიგივებს. მკვლევრის აზრით, ქორდითირიკოს ხევი პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელი ქორდი და მისი მიმდებარე ტერიტორიაა. ამის დამადასტურებლად, მ. ცოტნიაშვილს რამდენიმე არგუმენტი მოჰყავს. ერთი სწორედ ენობრივი დამთხვევაა: ქორდი თირიკო – ქორდი, მეორე ეს არის შინაარსობრივი სიახლოვე, კერძოდ, „ქორდითირიკო“ შეიცავს სიტყვა თირს, რომელიც ქართულ ენაში ცეცხლგამძლე ქვას აღნიშნავს. როგორც მკვლევარი განმარტავს: „ქორდისა და საცხენეთის ტერიტორიებს შორის მართლაც ვხვდებით თირის შემცველ ნიადაგს.“[11] ხსენებულ ტოპონიმთა იგივეობის მტკიცება სავსებით შესაძლებელია ტერიტორიული თვალსაზრისითაც, სომხურ გეოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ქორდითირიკოს ხევი მდებარეობდა საცხუმეთამდე, რომელიც „კავკასიონის“ ძირშია, აქედან გამოდის ლიახვი, იგი მოედინება სამხრეთისკენ და მდ. მტკვარს ერთვის.[12] ამ ცნობაში მოხსენიებული საცხუმეთი, დღევანდელი საცხენეთის შესატყვისია. საცხენეთი მდ. პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფელია, თუმცა, ადრეფეოდალურ ხანაში, როდესაც ქართლი დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ერთეულებად – ხევებად (რასაც სომხური გეოგრაფიაც ადასტურებს), საცხუმეთი გაცილებით ფართო ტერიტორიაზე იყო გაშლილი.[13] როგორც პროფ. ჯ. გვასალია განმარტავს, საცხუმეთი მოიცავდა პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირს.[14] VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში V საუკუნის ქართლია აღწერილი, ამ დროისათვის საცხუმეთის ხევი ქორდითირიკოს ხევის გაგრძელება იყო. მ. ცოტნიაშვილის განმარტებით: „მართლაც, როგორც ქორდი, ისე საცხენეთი პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობს, მაგრამ თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, პირველი წარმოადგენს ზემო ქართლის ვრცელი ვაკის გაგრძელებას, მეორე კი მთაში შეჭრილ და, ფაქტობრივად, მთის დასაწყის პუნქტს... აღწერაში ქორდითირიკოს ხევი პატარა ლიახვის ხეობის იმ მიდამოების გაგებით უნდა იყოს მოხსენიებული, სადაც სოფელი ქორდია, ისევე, როგორც, აქვე მითითებული „აჩაბეთის ხევში“ იგულისხმება დიდი ლიახვის ხეობის გარკვეული ნაწილი.“[15]

ჩვენი აზრით, მკვლევრის ამ განმარტებით, ქორდითირიკოს ხევის ტერიტორიული არეალი მეტისმეტად დავიწროებულია, რადგან, როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობიდან ჩანს (იგულისხმება სომხური გეოგრაფია), ქორდითირიკოს ხევი იყო არა მარტო სოფელი ქორდი და მისი მიდამოები, არამედ გაცილებით ვრცელი ტერიტორია, პატარა ლიახვის მარჯვენა სანაპირო ზოლი, საცხუმეთამდე: „ქორდითირიკოს ხევი ვიდრე საცხუმეთამდე.“[16]

11 მ. ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორია, გვ. 45.

12 ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40; მ. ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორია, გვ. 46.

13 კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 137; ს. მარღიშვილი, ორბოძალელთა ფეოდალური საგვარეულო, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, თბ., 1982, გვ. 61.

14 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 25.

15 მ. ცოტნიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

16 ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40. მოგვიანებით, ქორდითირიკოს, როგორც

როგორც აღინიშნა, ქართულ ენაში თირი აღნიშნავდა ცეცხლგამძლე ქვას. საყურადღებოა, რომ ასეთ ქანებს XVIII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში მყოფი გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი იხსენიებს პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე, კერძოდ, საცხენეთთან (ძველი საცხუმეთი): „გზაზე ცხინვალიდან, ლარგვისის მონასტრისკენ, ქსანზე ე. ი. ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, ქანები არის ხან მოწითალო, ხან წიდის მსგავსი კლდე. საცხენეთთან რუხი კირიანი ქვიშაა და მდ. ფოტრისზე ყავისფერი ბაზალტი.“[17]

საცხენეთთან რუხი კირიანი ქვიშაქვის არსებობა ხომ არ არის გარკვეული მსგავსება ქორდითირიკოს თირთან? თირს ქართული ენის ლექსიკონი ასე განმარტავს: „თირი, ნაცრისფერი რბილი ქვა, ითლება, ცეცხლზე არ სკდება, მისგან აკეთებენ კერას – მჭადქვა.“[18]

როგორც აღინიშნა, პატარა ლიახვის ხეობის შუა და ზემო ნაწილს საცხუმეთი ერქვა. ჯ. გვასალიას განმარტებით, საცხუმეთი პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირს ეწოდებოდა.[19] მოგვიანებით, საცხუმეთი საცხენისის ფორმით გვხვდება, კიდევ უფრო გვიან კი – საცხენეთის ფორმით. ამის შესახებ კ. ხარაძე წერს: „საცხენისი ძველ წყაროებში ამ სახელით არის აღნიშნული. შემდეგში –ის სუფიქსი –ეთ სუფიქსით შეიცვალა. ასეა 1930 წლის ადმინისტრაციულ დაყოფაშიც. აქედან მოყოლებული პატარა ლიახვის ხეობა საცხუმეთად იწოდებოდა.“[20]

საბოლოოდ, აღნიშნულ ტოპონიმში „ის“ სუფიქსი „ეთ“ სუფიქსით შეიცვალა[21] და პატარა ლიახვის ერთ-ერთ სოფელი „საცხენეთის“ ფორმით შემორჩა. ტოპონიმ „საცხუმეთს“ ყურადღება მიაქცია ჯ. გვასალიამ, იგი წერს: „ეს სახელი ასე იშლება: სა-ცხუმ-ეთ-ი, სადაც „ცხუმ“ ფუძეა, ხოლო სა-ეთ ადგილის სახელწოდების ქართული მაწარმოებლები. „ცხუმ“ სვანურად რცხილას ნიშნავს. სვანური ფუძე ქართული მწარმოებლებით გაფორმდა, საცხუმეთის ოლქის ბოლოში გვაქვს ტოპონიმი ცხინვალი (ქრცხილვანი). ამ სახელის ქართულ რცხილადან წარმოშობა ეჭვს არ იწვევს. მაშასადამე, გვაქვს ერთმანეთის გვერდით არსებული ერთი და

ხევის აღმნიშვნელი სახელი დავიწროვდა და საბოლოოდ ერთ-ერთ სოფლის – ქორდის სახელით შემორჩა. ცნობილი ეთნოლოგი, პროფ. გ. ჯალაბაძე, რომელიც წარმოშობით სოფელ ქორდიდან იყო, თავის გამოუქვეყნებელ ჩანაწერში ქორდის ეტიმოლოგიაზე საუბრობს და აღნიშნულ სახელს „კორდს“ უკავშირებს. იხ. *გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან, სოფელი ქორდი, თბ., 2007, გვ. 16.*

17 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964, გვ. 27.

18 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986, გვ. 241.

19 ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 25; ს. მარღიშვილი, ორბოძლელთა ფეოდალური საგვარეულო, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, თბ., 1982, გვ. 61.

20 კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 137.

21 იქვე.

იმავე შინაარსის ქართული და სვანური ტოპონიმები.“[22] აღსანიშნავია, რომ საცხუმეთის მსგავსად, შიდა ქართლის არაერთი ტოპონიმი იხსნება ზანურ-სვანურის მეშვეობით. მაგ: ლარგვისი, რომელსაც, თუ სვანური ენის მეშვეობით განვმარტავთ, შუა ადგილს ნიშნავს. ასეთივეა პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ტოპონიმი – გერი, რაც მეგრულად მგელს აღნიშნავს. საინტერესოა პატარა ლიახვის ხეობაში გავრცელებული ისეთი გვარი, როგორიცაა: ლაფაჩი. „ფაჩ“ სვანურად ცაცხვის სახელია. ტოპონიმები, რომელთა განმარტებაც ზანურ-სვანურის მეშვეობით ხერხდება, პატარა ლიახვის ხეობაში სხვაც არაერთია.[23] შიდა ქართლში ზანურ-სვანური ტოპონიმების გავრცელებასთან დაკავშირებით ჯ. გვასალია წერს: „თუ უფრო ადრეული ხანიდან არა, გვიანი ბრინჯაოს ხანიდან მაინც დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლის მოსახლეობა, არქეოლოგიურ კულტურათა მიხედვით, კულტურულ-ეთნიკურად მჭიდროდაა დაკავშირებული.“[24]

მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირს, მერმინდელი გვერდისძირის ჩრდილოეთით, იქ, სადაც სოფლები დისევი და კულბითია, კურბითი ეწოდებოდა. ამას გვაფიქრებინებს XI საუკუნის მცხეთის საბუთი, რომლის მიხედვითაც მელქისედეკ კათალიკოსმა სვეტიცხოველს არაერთი სოფელი შეწირა. სწორედ ამ დოკუმენტში იხსენიება ტოპონიმი კურბითი.[25] XI საუკუნეში კურბითი პატარა ლიახვის გაღმა მხარის, შამბირეთის მთის სამხრეთ ფერდობის აღმნიშვნელი სახელი იყო და აქ რამდენიმე სოფელი შედიოდა. მოგვიანებით კულბითი ერთ-ერთ სოფელს ერქვა.

არქეოლოგიური აღმოჩენები

შიდა ქართლის ხეობები მჭიდროდ იყო დასახლებული უკვე ენეოლითსა და ადრე ბრინჯაოს ხანაში, რაც არაერთი მიზეზით იყო განპირობებული: პირველ რიგში, მდინარეები ითვლებოდა კომუნიკაციის მნიშვნელოვან საშუალებად. განვითარებული იყო თევზჭერა და მიწის სავარგულების ხელოვნური მორწყვა.[26]

ლიახვის ხეობაში ენეოლითის ხანის ძეგლები პირველად არქეოლოგმა ს. ნადიმაშვილმა აღმოაჩინა 1930-იან წლებში. მის მიერ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ასევე აღმოჩენილი და აღნუსხული იქნა ციკლოპური ნაგებობები. ს. ნადიმაშვილმა პირველ-

22 კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 165-166.

23 იხ. გ. სოსიაშვილი, შიდა ქართლის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ, წიგნში: გ. სოსიაშვილი, შიდა ქართლის ისტორიის საკითხები, თბ., 2013, გვ. 54-60.

24 გ. სოსიაშვილი, შიდა ქართლის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფ. გენადი ბურჭულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, კონფერენციის მასალები, 2012, გვ. 211-218.

25 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 283.

26 Б. Техов, Позднебронзовая культура Лиахвского басеина, Сталинир,1957, стр. 31-32.

მა მიაქცია ყურადღება შიდა ქართლში არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე „მაღლობების“ არსებობას. მან გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში წარადგინა წერილობითი მოხსენება, რის საფუძველზეც სოფ. ტყვიავში ჩატარდა არქეოლოგიური დაზვერვა. მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ „ძველი მაღლობები“ გასდევს მდ. პატარა ლიახვის ნაპირს და ფიქსირდება სოფ. ქიწნისში, მარანაში, ტყვიავში, ტირძნისში, მერეთსა და კარბში. მარტო ტყვიავში აღრიცხულია 25-მდე ასეთი „მაღლობი,“ რომელთა ზედაპირი მოკირწყლულია რიყის ქვით; ფორმით ოვალურია, მათი ცენტრის სიმაღლე უდრის დაახლ. 1-2 მეტრს. ზედაპირის მოსინჯვის დროს აღმოჩნდა ობსიდიანისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები, რაც აშკარად მოწმობს, რომ ეს „ძველი მაღლობები“ ყორღანის ფორმის ძველ სამარხებს წარმოადგენენ.[27]

ტყვიავში დადასტურებულ ყორღანთაგან გაითხარა ე.წ. „ხარის გორა,“ რომელიც შედგებოდა სამი, ერთმანეთის მახლობლად მდებარე ყორღანისაგან. არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობდა ტყვიავის საშუალო სკოლის ეზოს მეზობლად, ზოლოტნიცკის ყოფილ მამულში. პირველი ყორღანის ზედაპირი მჭიდროდ იყო მოკირწყლული რიყის ქვით, რომლებზეც ჩნდებოდა თიხის ჭურჭლისა და ობსიდიანის ნატეხები. აქვე იყო რკინის ისრის წვერი და ბრინჯაოს ჯვარი, რომელსაც ბუდიდან თვალი ჰქონდა ამოვარდნილი. აღმოჩნდა ასევე ხელსაფქვავი და ბრინჯაოს ენამოტეხილი ფიბულა. ამ ყორღანში დადასტურდა 42 სამარხი. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ტყვიავის ყორღანული სამარხები განსაკუთრებულად საინტერესოა დაკრძალვის წესისა და რიტუალის თვალსაზრისით: მიცვალებულის ნეშტი არ იყო მოთავსებული რაიმე ჭურჭელში, იგი პირდაპირ მიწაში იყო დაკრძალული. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს დამარხვის წესების სხვაობა: მოკრუნჩხული, ფეხებმოხრილად გვერდზე მწოლარე, გულაღმამწოლარე და სხვ. როგორც ს. მაკალათია მიუთითებს: „დასაფლავებათა ამ ფორმებში უფრო ძველ წესად ითვლება მოკრუნჩხული, რომელიც ჩვეულებრივად წევს მარცხენა მხარეზე და პირი აქვთ ჩრდილოეთისაკენ, ან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ... ზოგიერთი მკვლევარი ამ წესში ხედავდა სიკვდილის დაკავშირებას ძილთან და ამის გამო მიცვალებულსაც აძლევდნენ მძინარე ადამიანის პოზას. აგრეთვე ფიქრობენ ადამიანის დედამიწასთან იმ სახით დაკავშირებას, რა მდგომარეობაშიც იყო დედის წიაღში, მაგრამ ამ მოსაზრებებს დღეს უკვე არ იზიარებენ და დასაფლავების ასეთ წესს უკავშირებენ საზოგადოებრივ განვითარების გარკვეულ სტადიას, სახელდობრ, გვაროვნულ საზოგადოებას და, როგორც მისი გადმონაშთი, ხანგრძლივად არსებობდა. მოკრუნჩხულ ფორმას მიცვალებულის ნეშტს აძლევდნენ ხელოვნურად... ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ამგვარი წესები ცნობილია.“[28]

ტყვიავის ყორღანში აღმოჩნდა ობსიდიანის და კაჟის იარაღები, დიაბაზის ლახტის თავი, ძვლის ნაკეთობანი, ბრინჯაოს იარაღები. სამივე

27 ს. მაკალათია, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, გორის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, თბ., 1943, გვ. 11.

28 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 35-36.

ყორღანში ნაკლებად იყო ჩატანებული თიხის ჭურჭელი. თითქმის არც ერთი მათგანი მთელი არ იყო. განათხარი მასალის შედარებითი შესწავლის საფუძველზე, ს. მაკალათია თვლის, რომ ტყვიავის ყორღანები შეგვიძლია მივაკუთვნოთ „ძველი ბრინჯაოს ხანის ყორღანულ სამარხებს, დაახლოებით მესამე ათასწლეულის შუა პერიოდს.“[29] თუმცა, ბ. კუფტინი, რომელიც ტყვიავის არქეოლოგიურ ექსპედიციას ძალზე დიდ მნიშნელობას ანიჭებს, ყორღანებს უფრო ადრეული პერიოდით ათარიღებს და მის პარალელებს მტკვარ-არაქსის კულტურის გვიან პერიოდში ეძებს.[30] ყორღანული სამარხების საინტერესო მასალა იქნა მოპოვებული სოფელ ფრისში. აქ 1959 წ. გათხრები წარმოებდა ბ. ტეხოვის ხელმძღვანელობით. გამოვლინდა ყორღანი, რომელიც რიყის ქვებისაგან იყო აგებული და ჰქონდა წრის ფორმა. ყორღანის ცენტრალური ნაწილის შემაღლება წვრილი ქვებისაგან შედგებოდა, ხოლო სამხრეთით ოდნავ წაგრძელებული ნაწილი – დიდი ზომის ქვებისაგან. სამარხი გამართული იყო ყორღანის ცენტრში. მიცვალებულები იწვნენ მოკრუნჩხულ ფორმაში. მათთან ერთად დადასტურდა ხუთი ცალი თიხის ჭურჭელი, ოთხი მათგანი მიწის ზეწოლით იყო დაზიანებული, თუმცა, ფორმა ირკვეოდა. მეხუთესაგან კი მხოლოდ ძირის ნაწილი იყო შემორჩენილი. ოთხი ქოთნის აღდგენა მოხერხდა და გაირკვა, რომ თიხა სუსტად იყო გამომწვარი, შიგნიდან შავად შეღებილი, გარედან, ყელთან კი მცირედ ორნამენტებული სამკუთხა ფორმებით. მასალის მიხედვით, ჭურჭელი ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნა. თრიალეთისა და სამთავროს ყორღანული სამარხებისაგან განსხვავებით, ფრისში გათხრილი სამარხები კოლექტიური იყო, რაც მსგავსებას პოულობს ტყვიავის სამარხებთან. ისინი არ იყო განკუთვნილი მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებისათვის. აქედან გამომდინარე, ფრისის ყორღანი ღარიბი იყო სამარხეული ინვენტარით. ფრისში დადასტურებული თიხის ჭურჭელი განიცდის ენეოლითური კულტურის გავლენას. თიხის ჭურჭლის გარდა, ფრისში აღმოჩნდა სპილენძის, ან ბრინჯაოს სატევრის პირი, რომელიც არქაული ნიშნებით ხასიათდება: ტარზე აქვს ორი ნახვრეტი, რომელიც, გ. ჩუბინიშვილის დაკვირვებით, ადრებრინჯაოს ხანისათვის იყო დამახასიათებელი. ამგვარად, ფრისის ყორღანული სამარხის მასალის შედარებითი შესწავლის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყორღანი ადრე და შუაბრინჯაოს მიჯნას განეკუთვნება.

მსგავსი კერამიკული ნაწარმი აღმოჩენილია საჩხერეში, რომელიც ადრეულ ბრინჯაოს პერიოდს განეკუთვნება. ფრისის სამარხში აღმოჩნდა ხანჯლის პირი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მთელს ამიერკავკასიაში. ბ. ტეხოვის განმარტებით, ფრისის ყორღანი ადამიანთა კოლექტიურ სამარხს წარმოადგენდა.[31] სავარუდოდ, ყორღანული სამარხი

29 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

30 იხ. ბ. კუფტინის შესავალი წერილი, ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, გვ. 5-8.

31 Б. Техов, к истории изучения памятников эпохи энеолита и бронзы в ныжнем

უნდა იყოს სოფელ დიცის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, სოფელ ფრისის სამხრეთით. აღნიშნული ადგილი სოფელში „გორეების“ სახელით არის ცნობილი. როგორც დიცის მკვიდრნი ამბობენ, ამ ადგილზე სოფლის ერთ-ერთი უბნიდან გვირაბი გადიოდა. დაინტერესებული ახალგაზრდები გვირაბს მართლაც ეძებდნენ და XX საუკუნის 90-იან წლებში გათხრებიც ჩაატარეს, მაგრამ ვერ მიაკვლიეს. დიცის მცხოვრებთა ერთი ნაწილის ინფორმაციით, ამ ადგილზე წინა საუკუნის დასაწყისში ქოლერით გარდაცვლილი ადამიანები იკრძალებოდნენ, თუმცა, ეს, ჩვენი აზრით, სინამდვილესთან ახლოს არ უნდა იყოს, რადგან ეპიდემიით გარდაცვლილ ადამიანებს სოფლის სასაფლაოზეც კრძალავდნენ, ამას ადასტურებს შემორჩენილი ეპიტაფიები.[32] „გორეების“ სახელით ცნობილი ადგილი დაახლ. 1000 კვ. მ.-ის ფართობის ბუჩქნარით დაფარული ბორცვია. მიწის სიღრმეში მშრალი წყობით ამოყვანილი კედლების ფრაგმენტები ჩანს. ქვები მომოფანტულია ბორცვის მთელ პერიმეტრზე, სადაც შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც გვხვდება. გადმოცემით, XX საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ბორცვის გარშემო არსებული სავარგულები იხვნებოდა, მიწის სიღრმიდან დიდი რაოდენობით დაზიანებული თიხის ჟურჭელი ამოდიოდა, რომელიც, სამწუხაროდ, უყურადღებობით განადგურდა. სახელწოდება „გორეები,“ ასევე, შუა მინდორში არსებული ბორცვის ფორმა და იქვე შემორჩენილი მშრალი წყობით ამოყვანილი კედლების ფრაგმენტები, გვავარაუდებინებს, რომ საქმე გვაქვს ყორღანულ სამარხთან. დიცის „გორეების“ კვლევა სამომავლო საქმეა და ვფიქრობთ, ჩვენს ცოდნას პატარა ლიახვის ხეობის უძველესი ისტორიის შესახებ ბევრ საინტერესო ფურცელს შემატებს.

გასული საუკუნის 30-იან წლებში პატარა ლიახვის ხეობის სოფელ დისევში არქეოლოგებმა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები ჩაატარეს, თუმცა, გათხრებს მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ შეუშალა ხელი. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დროს, ადგილობრივმა გლეხებმა არაერთი კერამიკული ნაწარმი იპოვეს. დისეველმა გ. ოქროპირიძემ 1963 წელს მიწაში ჩაფლული (სავარაუდოდ, XVII საუკუნის) მონეტები აღმოაჩინა, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადასცა. მონეტები მუზეუმში დღემდე „დისევის განძის“ სახელით ინახება. დისევში, სოფლის აღმოსავლეთით, ე. წ. ნაცერცვალის მიდამოებში გასულ საუკუნეში აღმოჩენილ იქნა ვერცხლის სამაჯურები და მძივები. იმავე მიდამოებში ადგილობრივი სასულიერო პირის ალექსანდრე ოქროპირიძის გადმოცემით (გადმოცემა ჩაიწერა პროფ. ი. მეგრელიძემ) უნახავთ აკლდამა, სადაც თორმეტი თავის ქალა იყო ჩასვენებული. უფრო ჩრდილოეთით, მდ. დისეურას ნაპირზე მიწის ჩამონგრევისას ქვევრები გამოჩნდა. დისევის

течении реки большой Лиахви, Тб., 1963, стр. 36-37.

32 იხ: გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, თბ., 2017, გვ. 37; გ. სოსიაშვილი, ეპიტაფიები სოფელ დიციდან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XI, 2016, გვ. 219.

ჩრდილოეთით უნახავთ ასევე სამარხი, რომელშიც რიყის ქვის კედელი იყო ამოყვანილი.[33]

უკანასკნელ ხანს ძალზე საინტერესო არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა სოფ. ქვემო ნიქოზში. მართალია, ეს სოფელი დიდი ლიახვის ხეობას ეკუთვნის, თუმცა, უნდა ითქვას, რომ დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მოსახლეობა ერთმანეთთან ტერიტორიული სიახლოვიდან გამომდინარე, მჭიდრო კონტაქტში იყო და ქვემო ნიქოზში აღმოჩენილი ნივთები წარმოდგენას გვიქმნის ამ კუთხის მკვიდრთა ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. ქვ. ნიქოზის მკვიდრმა ბადრი დევიძემ, თავის კუთვნილ ნაკვეთში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დროს მიაკვლია საინტერესო ნივთებს. აღმოჩნდა ბრინჯაოს ცული, შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ბრინჯაოს და რკინის წიდები. ტერიტორია, სადაც ეს ნივთები იქნა მიკვლეული, მომაღლო ადგილზეა. უძველეს დროში, იგი, სავარაუდოდ, დიდი ლიახვის მარჯვენა სანაპიროს წარმოადგენდა. მიწის შეფერილობით, წინასწარი ვარაუდით, აქ ერთ დროს ლითონის გამოსადნობი ქურა (ქურები) უნდა ყოფილიყო. შემორჩენილია მოწითალო შეფერილობის გამომწვარი მიწა. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით, ქვემო ნიქოზში, ბადრი დევიძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში, საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგზარდობის საქმეთა სამინისტოს მიერ დაფინასებული პროექტის: „არქეოლოგია ახალგაზრდებთან ერთად საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს“ ფარგლებში, დაიწყო არქეოლოგიური გათხრები, რომელიც დღემდე გრძელდება. დაზვერვითი სამუშაოების შედეგად გამოვლინდა თიხით ამოყვანილი კედლის ფრაგმენტი (თხრილი № 1), ასევე მიცვალებულის ორმოსამარხი (თხრილი № 2). გაწმენდითი სამუშაოების შედეგად გამოჩნდა ადამიანის ჩონჩხი. იგი მოკუნტულ მდგომარეობაშია დაკრძალული, მარჯვენა მხარეს, მიცვალებულს ჩატანებული აქვს ერთი კოჭობი. წინასწარი ვარაუდით, სამარხი ჩვ.წ. აღმდე III ათასწლეულს I ნახევარს განეკუთვნება (მტკვარ-არაქსის კულტურა) და ადრე ბრინჯაოს პერიოდით თარიღდება, თუმცა, კვლევა გრძელდება და დაზუსტებული ინფორმაცია ახლო მომავალში გახდება ცნობილი.[34]

33 ოქროპირიძეთა საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია, შემდგენლები: სქიმიღუმენი ისიდორე (ოქროპირიძე), ზურაბ ოქროპირიძე, უჩა ოქროპირიძე, თბ., 2012, გვ. 7.

34 აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურულ წრეს ეკუთვნის ქ. გორთან, ორიოდე კმ.-ის დაშორებით გუდაბერტყას ნამოსახლარი, სადაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. უკანასკნელ წლებში გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ხელმძღვანელი პროფ. გიორგი მინდიაშვილი) ძალზე საინტერესო მასალა გამოვლინდა. მათ შორის საცხოვრებლის ნაშთები, კერია, კერამიკული ნაწარმი და სხვ.

მდ. პატარა ლიახვის შენაკადები

მდ. პატარა ლიახვს რამდენიმე შენაკადი აქვს.[35] ჩრდილოეთის მხრიდან მას მდ. ფოტნისა უერთდება. სწორედ ამ ადგილის მიხედვით ეწოდებოდა მდ. პატარა ლიახვის ერთ-ერთ შენაკადს „ფოტრისის ხევი," რომლის შესახებაც ვახუშტი წერს: „ხოლო ვანათსა, საცხენისსა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისის ხევი, კლდიანი და ძნიად განსავალი. გამოსდის გერისა და შუაცხვირის მთას."[36] პატარა ლიახვის ხეობაში ვახუშტი ბატონიშვილი ადასტურებს ტოპონიმ „ფოტორისას" არსებობას: „გამოსდის პატარა ლიახვი ქნოლოს ზეით მცირე ტბას და მოდის ფოტორისამდე სამჴრეთად, მერმე საცხენის ქუემოთამდე დასავლეთად, მერმე კიდევ სამჴრით."[37]

იოანე ბაგრატიონი ტოპონიმ ფოტორისას არ იცნობს. პატარა ლიახვის ხეობის სოფლების ჩამონათვალში, სოფ. საცხენისის შემდეგ, ის ასახელებს „ედემ ქალაქს," შემდეგ კი „ბელოთს."[38]

სწორედ მდ. პატარა ლიახვის ერთ-ერთ შენაკადს – ფოტრისის წყალს უკავშირდება ტოპონიმი ფოტორისა. სულხან-საბას აღნიშნულ სიტყვას ასე განმარტავს: „ფოტორო, დიდი ფლატე."[39]

სავარაუდოდ, ფოტორისა მდ. ფოტრისის წყალსა და მდ. პატარა ლიახვის შორის არსებულ ტერიტორიას ერქვა. ფოტრისის წყლისა და მდ. პატარა ლიახვის შესართავთან მდებარეობდა ათონის მთაზე ვატოპედის ბერძნული მონასტრის საკუთრებაში არსებული ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, რომელიც მდ. პატარა ლიახვს იმდენად დაუზიანებია, რომ XVII საუკუნის II ნახევარში ქართლის დედოფალ მარიამს მის სანაცვლოდ ახალი ტაძარი აუგია. ვატოპედის ბერძნულ მონასტერს თავისი მეტოქის შემოგარენში რამდენიმე კომლ გლეხს და ვენახებს ფლობდა.[40]

მდ. პატარა ლიახვის ერთ-ერთ შენაკადს გერის ხევი წარმოადგენდა. ეს შენაკადი, ვახუშტი ბატონიშვილის განმარტებით, პატარა ლიახვს დასავლეთის მხრიდან უერთდებოდა: „ხოლო ისროლის ჴევის და ჟამურის

---

35 გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობაში გავრცელებული ჰიდრონიმები (საკითხის შესწავლისათვის), „ანალები," 2018, № 14, გვ. 134-153.

36 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 362.

37 იქვე.

38 იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 38.

39 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993, გვ. 197.

40 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. V, თბ., 1974. გვ. 94, დოკ. 56; გ. სოსიაშვილი, ათონის ვატოპედის ბერძნული მონასტრის მეტოქი და მამულები პატარა ლიახვის ხეობაში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის და ხელოვნების სერია, 2017, №2, გვ. 54.

დასავლით არს პატარა ლიახვის ხეობა. ამათ განჰყოფს მთა ბენდერისა, წიფორისა და ქნოღოსი. მდებარეობენ მთანი ესენი ჩრდილოდამ სამჴრით კავკასიიდამ. ამ მთებს უძეს აღმოსავლით ისროლის ჴევი, ჴურთა და ჟამური, დასავლით პატარა ლიახვი. გამოსდის პატარა ლიახვი ქნოღოს ზეით მცირეს ტბას და მოდის ფოტრისამდე სამჴრეთად, მერმე საცხენის ქუემოთამდე დასავლეთად, მერმე კიდევ სამჴრით. ხოლო ვანათს ერთვის დასავლიდამ ლიახვის ხევი გერისა გამოდის მშხლების მთას და დის სამჴრით."[41]

პროფ. ჯ. გვასალიას დაკვირვებით, გერის ხევი მდ. პატარა ლიახვს მარჯვნიდან ერთვის.[42] ამ შენაკადს დამახინჯებული ფორმით იხსენიებს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულტენშტედტი: „საცხენეთიდან 1 საათის შემდეგ ვიყავით მდ. გრიაზე სოფ. ვანათთან. გრიაზე მდებარეობს ოსური რაიონი ჩასუ, რომელიც ეკუთვნის ერეკლე მეფეს."[43] ჩვენი აზრით, გიულდენშტედტის მიერ მოხსენიებული მდინარე „გრია" და ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღწერილი გერის ხევი, მდ. პატარა ლიახვის ერთი და იგივე შენაკადი უნდა ყოფილიყო. ტოპონიმი „ღვრია" ვანათის ჩრდილოეთ მხარეს დღემდე არსებობს. „ღვრია" ეწოდება როგორც ხევს, ასევე სოფელსაც, რომელიც ქართლში განთქმული გერის წმინდა გიორგის ტაძრისაკენ[44] მიმავალ გზაზე მდებარეობს. „ღვრიის ხევში" შედიოდა შემდეგი სოფლები: ღვრია, გერი, გუდისი, ყლარსი, მარილეთი, მიფარეთი, საბოლოკე, შულეური, წიარა.[45] პატარა ლიახვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვისას „მღვრიას ხევს" იხსენიებს პროფ. ს. მაკალათია. როგორც მკვლევარი მიუთითებს: „ეს გრძელი ხევია და მთებზე ოსების სოფლებია გაფანტული. აქა-იქ ძველი კოშკებია მთიულური ტიპისა, სოფ. ყლარსთან ხევი თავდება. გზა მარჯვნივ, მთაში შეუხვევს, საიდანაც გერის მიდამოები იწყება."[46] რაკი ვახუშტისთან მდ. პატარა ლიახვის შენაკადად გერის ხევია დაფიქსირებული და მღვრიას ხევი არ გვხვდება, მღვრია ამ ხევს მოგვიანებით უნდა დარქმეოდა.* მდ. პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადი უნდა ყოფილიყო **წიასწყალი**. 1559

41 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 362.

42 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 165.

43 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გ. გელაშვილის რედ. თბ., 1962, გვ. 99.

44 გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 87.

45 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986, გვ. 590.

46 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 59-60.

* სულხან-საბას განმარტებით, „მღურივე – ნოტიო არეული." *სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991, გვ. 535.* მდ. პატარა ლიახვს, როგორც ვახუშტის თხზულებიდან ჩანს, სხვა შენაკადებიც ჰქონდა: ჩაბარუხეთის ხევი და შამბიანის ხევი. ჩაბარუხის ხევში მდებარეობდა ბეხუშეს ციხე. *ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 69.* მდ. პატარა ლიახვს სხვა მცირე ღელეებიც უერთდებოდა. სოფელ ბელოთთან: ავაზანი, არჩუაანთ ხევა, კორკოტა, ხოშურის ხევა. *ნ. ოთინაშვილი, ლიახვის ხეობის ონომასტიკა, თბ., 2002, გვ. 205-207.*

წლით არის დათარიღებული შეწირულობის განახლების სიგელი სვეტიცხოვლისადმი, რომელიც, სავარაუდოდ, სიმონ I-ის (1556-1600) მოღვაწეობის დროს არის შედგენილი. როგორც ირკვევა, ქართლის მეფეს სვეტიცხოვლისადმი შეწირული მამულები განუახლებია. მამულთა ნუსხაში გვხვდება ჰიდრონიმი „წიასწყალი.“ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ვირშა მისითა შესავლითა; წიასწყალთა ერისთვისაგან შემოწირული არჩვაძეები მათითა მამულითა.“[47] მოგვიანებით, ნიკოლოზ კათალიკოზმა სიმონ I-ის მიერ განახლებული სვეტიცხოვლის ქონება, მათ შორის, წიასწყალს მცხოვრები არჩვაძეები, რომლებიც ერისთავს* სვეტიცხოვლისადმი ჰყავდა შეწირული, ვახტანგ ბატონიშვილს მუხრანთან ახლოს არსებულ სოფელ ყურისუბანში გაუცვალა. ზუსტად ძნელია წიასწყალის, როგორც პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადის ლოკალიზება, თუმცა, ის, ჩვენი აზრით, პატარა ლიახვს სოფელ ქორდთან ერთვოდა (სავარაუდოდ, აღმოსავლეთის მხრიდან, სადაც ქსნის ერისთავთა კუთვნილი მამულები იყო). შესაძლოა, ქორდის სიახლოვეს წიასწყალის სახელით მცირე სოფელიც იყო, სადაც ქსნის ერისთავის მფლობელობაში მყოფი არჩვაძეები ცხოვრობდნენ. არჩვაძეები უფრო გვიანდელი პერიოდის დოკუმენტების მიხედვით, სოფელ ქორდში სახლობდნენ. XVII საუკუნის დასაწყისში ქსნის ერისთავებმა ქორდში მცხოვრები კუთვნილი ათი კომლი ყმა საპატრიარქოს გადასცეს. ეკლესიისათვის ბოძებულ ყმებს შორის იხსენიება არჩვაძე შოშიტა.[48] შესაძლებელია, პატარა ლიახვის შენაკადის – წიასწყალის სიახლოვეს მცხოვრები არჩვაძეები სოფელ ქორდში გადასახლდნენ.

მდ. პატარა ლიახვს აღმოსავლეთის, კერძოდ, დისევ-კულბითის მხრიდან კიდევ ერთი შენაკადი ერთვოდა, ეს იყო **ვირშას წყალი.** ტოპონიმი ვირშა, არაერთ წყაროში გვხვდება. 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში არსებულ სოფლებთან ერთად, ვირშას მონასტერიც იხსენიება (ამის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ).

დოკუმენტური წყაროების მიხედვით, ვირშას „შესავალნი“ იყვნენ სოფელი ქორდი და ბადასშვილნი. ვირშის მთა, ასევე სოფელი ვირშა და აქ არსებული ვირშის მონასტერი, სავარაუდოდ, მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, დისევ-კულბითის სიახლოვეს, ორბოძალას მთის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობდა. აქედან უერთდებოდა მდ. პატარა ლიახვს შენაკადი ვირშის წყალი. ჰიდრონიმი „ვირშის წყალი“ იხსენიება ქართლის კათალიკოსის ნიკოლოზის (ამილახვარი) მიერ სვეტიცხოვლის სამსახურში მყოფი გედევანიშვილებისადმი ბოძებულ წყალობის სიგელში: „ქკ-ს: ტნივ:

47 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV. ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, სპარსული ტექსტები მოამზადა თამაზ აბაშიძემ, თბ., 2016, გვ. 244.

* სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს ქსნის ერისთავზე.

48 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა შესავალი და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 482, დოკ. 93; გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან (სოფელი ქორდი), თბ., 2007, გვ. 23.

ჩვენ...ყოვლისა: საქართველოსა: დიდმან: მამათ: მთავარმან ქართლისა კა-თალიკოზმან: ამილახორის: (იოთამის) ძემან: პატრონმან: ნიკოლოზ: ესე... წყალობის წიგნი...გიბოძეთ თქვენ სვეტიცხოვლისა და ჩვენსა ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა ყმათა ელიოზის ძეთა გედევანის შვილის გიორგის, ძმასა შენსა დავითს, როსებს, ზაალს და გედევანს ვირშის წყალი, მთავარანგელოზის მონასტერი და ნასოფლარი ბადანი საყმოთ დაგვეჯენით და გიბოძეთ...“[49]

მდ. პატარა ლიახვს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან კიდევ ერთი შენაკადი – **ჭარებულა** უერთდება. შენაკადის სახელი სოფელ ჭარებს უკავშირდება. სოფელი ორ ნაწილად იყოფოდა, ქვემო ჭარებს რაზმაანთ კარს უწოდებდნენ (აქ მცხოვრები რაზმაძეების გვარის გამო), ხოლო ზემო ჭარებს – ლაფაჩებს.[50] აღნიშნული სოფელი ორბოძალას ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ სოფელ ჭარებს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს მცირე სოფელი გოგიაანთ კარი ესაზღვრება, რომელიც ჭარებულას ნაპირზე მდებარეობს. მდ. პატარა ლიახვის შენაკადს – ჭარებულას, გოგიაანთ კართან მცირე შენაკადი „ქვაბთა ხევი“ უერთდებოდა. როგორც ჩანს, უწინ აქ სოფელი „ქუაბნი“ არსებობდა (იხ. ქვემოთ).

იმ არეალში, რომელსაც მდ. პატარა ლიახვის აუზი მოიცავდა, სხვა არაერთი ჰიდრონიმიც გვხვდება.

მდ. პატარა ლიახვის ხეობა ძველი დროიდანვე გამოირჩეოდა ირიგაციით. იოანე ბაგრატიონს თავის თხზულებაში „ქართლ-კახეთის აღწერა“, ჩამოთვლილი აქვს ის სოფლები, რომლებიც პატარა ლიახვით ირწყვებოდა. ესენი იყო: ძევერა, შერთული, ტყვიავი, კარბი, ქორდი, არბო, დიცი, არგვიცი, ერედვი, ქვაბთა, სარაბუკი, ვანათი, სათიხარი, დისევი, კულბითი, მერე (იგივე მერეთი), ოსის სოფელი.[51] ამ სოფლებში ძველი დროიდანვე განვითარებული იყო სარწყავი მიწათმოქმედება. აღსანიშნავია, რომ ის სოფლები, რომლებიც პატარა ლიახვს უშუალოდ არ ემიჯნებოდნენ, ლიახვიდან გამოყვანილი რუებით სარგებლობდნენ.[52]

ვახუშტი ბატონიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ჯარიაშენიდან ვანათამდე ძალზე ნოყიერი მიწა იყო, „...არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ბრინჯ-ბამბის გარდა ყოველნი სცენდების ნაყოფიერად... არამედ ღვინო იქაური თხელი და მომჟავო გარნა საამო სასმელად.“[53]

როგორც მივუთითებდით, მდ. პატარა ლიახვს სარწყავად ხეობის არაერთი სოფელი იყენებდა. ამ ფაქტს ადასტურებს შედარებით მოგვიანებით,

49 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, წიგნი II (1213 წლიდან 1700 წლებამდე), თბ., 1897, გვ. 494.

50 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, II, თბ., 1997, გვ. 32.

51 იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 40.

52 გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, თბ., 2010, გვ. 9.

53 იქვე, გვ. 363.

1834 წლის 3 სექტემბერს გორის მიწათმოწყობის პოლიციის სამმართველოს ანგარიში საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორისადმი, რომლის მიხედვით, გორის მიწათმოწყობის სამმართველოს აღმასრულებელ კაპიტანთან მიხაილო ვშივირთან, მაზრის შემოვლისას მისულან პატარა ლიახვის ხეობის სოფლების (ვანათი, სარაბუკი, დმენისი, ქსუისი, არბო, ქორდი, ერედვი და სხვ.) მოსახლეობის წარმომადგენლები და საკუთარი ძალებითა და სახსრებით ლიახვიდან სარწყავი არხისა და სასმელი წყლის გამოყვანისა და მინდვრებზე გატარების ნებართვა უთხოვიათ.

კაპიტანს თავად დაუთვალიერებია მითითებული ადგილები და განმარტავს, რომ „ღონისძიების მიზანი ძალზე სასარგებლოა და ზიანს არავის მოუტანს.“

აღმასრულებელმა ხსენებულ სამუშაოებზე ნებართვა გასცა და მასზე ზედამხედველობა აზნაურ უთნელიშვილს, გიორგი ბროძელსა და დიმიტრი შაბუროვს დაავალა.[54]

XIX ს-ის 80-იან წლებში, როგორც ს. მაჩაბელმა გამოიკვლია, მდ. პატარა ლიახვით არაერთი სოფელი ირწყვოდა, მათ შორის: არბო, დიდი გარეჯვარი, კარბი, ქერე, კულბითი, ტირძნისი და სხვ.[55]

პატარა ლიახვის ხეობის ზედა ნაწილი, როგორც ვახუშტი მიუთითებს, შედარებით უმოსავლო ტერიტორიას წარმოადგენდა. აქ ძირითადად მესაქონლეობა იყო განვითარებული.[56] თუმცა, პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფლებში მარცვლეული კულტურაც მოჰყავდათ. პატარა ლიახვის ხეობაში მესაქონლეობის დაწინაურებას ხელს უწყობდა აქ არსებული საძოვრები. იოანე ბაგრატიონს ჩამოთვლილი აქვს: „საძოვარნი ადგილნი და სათიბნი მინდორნი და მთებნი და სანადირონი ადგილნი სამეფო. ქ. აღმოსავლეთის მხარეს.“ ამ ადგილებში იგი ასახელებს პატარა ლიახვის მთას, სიათის მთას, ფოხალას მთას.[57]

პატარა ლიახვის ხეობაში ძველი დროიდანვე განვითარებული იყო ხელოსნობის სხვადასხვა დარგი, მათ შორის მეთუნეობა. აღსანიშნავია, რომ სოფელი ვანათი მეთუნეობის ერთ-ერთი კერა იყო.[58] მეთუნეობა განვითარებული იყო სოფელ სათიხარშიც, რომლის სახელწოდებაც სწორედ თიხის დამუშავებაზე მიგვანიშნებს.[59] მეთუნეობის გარდა, პატარა ლიახვის ხეობაში მისდევდნენ სამღებრო საქმესაც. ამას ადასტურებს 1723 წლის ერთი საბუთი, საიდანაც ჩანს, რომ ვახტანგ VI-მ სოფ. საცხენეთში მღე-

54 История Юго-Осетий в документах и материалях (1800-1864), т. II, Сталинир 1960, Док. №40.

55 С. В. Мачабели, Экон. быт государственных крестьян Горийского уезда Тифлиской губерний, Материали для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, Тиф., 1887, т. VI, ч. I, стр. 159.

56 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 157.

57 იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 80.

58 მ. ზანდუკელი, ქალი მეთუნეები შიდა ქართლში, კრებ: შიდა ქართლი, ეთნოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1984, გვ. 156.

59 გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 18.

ბარი დასვა. სამღებროს შემოსავალი კი იკორთის მონასტერს დაუნიშნა.[60] XIX საუკუნის დასაწყისში სამღებრო არსებობდა ასევე სოფ. არბოშიც, არბოს სამღებროს საიჯარო ფასი წლიურად 12 თუმნით განისაზღვრებოდა.[61]

X საუკუნის დასაწყისში, დიდი ლიახვის ხეობასთან ერთად, პატარა ლიახვის ხეობა ქართლის ფეოდალურ საგვარეულოთა შორის დაწინაურებულ ტბელთა საგვარეულოს ეპყრა. მათი სახლის წარმომადგენელი, ივანე, აფხაზთა მეფეების მოკავშირე გახდა და სამართავად ქართლი გადაეცა. ის ქართლის „უფლად“ იწოდებოდა. ამას ადასტურებს ერედვის წმინდა გიორგის ტაძრის წარწერა, რომელიც კონსტანტინე აფხაზთა მეფის ჰერეთში ლაშქრობაზე მოგვითხრობს.[62] X საუკუნის განმავლობაში ტბელებმა დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში არაერთი ტაძარი ააგეს. ადრეფეოდალურ პერიოდში პატარა ლიახვის ხეობაში სხვა წარჩინებული საგვარეულობიც ცხოვრობდნენ (ამას ადასტურებს უკანასკნელ ხანს ჩვენ მიერ სოფელ დიცის ღვთისმშობლის ტაძრის კედლებზე მიკვლეული IX-X საუკუნეების წარწერები[63]), თუმცა, როგორც ჩანს, უპირატესობა პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურებულმა ტბელებმა მოიპოვეს. მოგვიანებით, ტბელთა საგვარეულოს პირველობა ქართლში ყანჩაელთა ფეოდალურმა გვარმა წაართვა. კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, აფხაზთა სამეფო სახლში არსებული არეულობის დროს ივანე ტბელი აფხაზთა მეფეებს განუდგა და ადარნასე ქართველთა მეფის ბანაკში გადავიდა. ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ აფხაზთა მეფე გიორგიმ ქართლი დაიპყრო და იქ გამგებლად თავისი ძე კონსტანტინე დასვა. კონსტანტინე სამი წელი იყო ქართლის გამგებელი. სამი წლის შემდეგ იგი მამას – გიორგი მეფეს განუდგა. ამ დროს ივანე ტბელი კონსტანტინეს მხარეს იბრძოდა, ხოლო ყანჩაელები კონსტანტინეს მოწინააღმდეგენი იყვნენ. ივანე ტბელს, კონსტანტინეს გამეფების შემდეგ ქართლის „უფლობის“ დაბრუნების იმედი ჰქონდა. კონსტანტინეს დამარცხების შემდეგ ტბელებმა სამუდამოდ დაკარგეს ქართლის „უფლობის“ პერსპექტივა.

60 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 75.

61 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 323.

62 მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 255; ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 172; რ. მეფისაშვილი, ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, №10, 1944, გვ. 44-45; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, V-X საუკუნეების ძეგლები გამოსცა, ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1953, გვ. 3; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, თბ., 1970, გვ. 16. Р. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинций Грузии Шида Картли. Тб., 1975, стр. 52-53. რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, 1955, №4, გვ. 116-117.

63 იხ. გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, თბ., 2017, 44–87.

X საუკუნეში პოლიტიკურ ასპარეზზე ქართლის დიდაზნაურებს შორის ყანჩაელთა გვარი დაწინაურდა და ქართლის „უფალი“ ტბელთა მოწინააღმდეგე ყანჩაელი გახდა. მეჯუდის ხეობაში სოფელ ბიეთის ტაძრის საამშენებლო წარწერაში იხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა.[64] X საუკუნის დასაწყისში აფხაზთა მეფეებმა შიდა ქართლშიც მოიკიდეს ფეხი, მათი გავლენა პატარა ლიახვის ხეობაზეც ვრცელდებოდა, ამაზე მეტყველებს ჩვენ მიერ ნახსენები ერედვის[65] წმ. გიორგის ტაძრის შესასვლელში დაცული 906–914 წ.წ წარწერა (იხ. ქვემოთ).

გზები პატარა ლიახვის ხეობაში

პატარა ლიახვის ხეობას ჩრდილო-აღმოსავლეთით ქსნის ხეობა ესაზღვრება, სადაც გვიან ფეოდალურ ხანაში ქსნის საერისთავო არსებობდა. ხეობის ჩრდილო-დასავლეთი მხარე დიდი ლიახვის ხეობას ემიჯნება. სწორედ ამ არეალში ჩამოყალიბდა XV საუკუნეში ერთ-ერთი ძლიერი სათავადო – სამაჩაბლო. პატარა ლიახვის ხეობაში ძველი დროიდან არაერთი მნიშვნელოვანი გზა გადიოდა, რომელთა მეშვეობითაც არა მარტო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხესთან, არამედ ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირებაც იყო შესაძლებელი.[66] ზოგადად, შიდა ქართლი მნიშვნელოვანი გზებით გამოირჩეოდა, რაც საქართველოს ამ უძველესი კუთხეს განსაკუთრებულ ფუნქციას სძენდა.[67] ხეობაში არსებული გზების გაკონტროლების მიზნით, შუასაუკუნეებში რამდენიმე ციხე-სიმაგრე აიგო, მათ შორის: ვანათის, ერედვის, ბელოთის და აწრისხევის თავდასაცავი ნაგებობები. როგორც აღვნიშნეთ, X საუკუნის დასაწყისში შიდა ქართლი აფხაზთა მეფეების გავლენის ქვეშ მოექცა, თუმცა, მათი პოლიტიკური ამბიცია მხოლოდ ამით არ შემოიფარგლა. დასავლეთ საქართველოდან პატარა ლიახვის ხეობაში გადმოსულმა კონსტანტინე აფხაზთა მეფემ დალაშქრა ჰერეთის სამეფო. ამას ადასტურებს ერედვის წმ. გიორგის ტაძრის 906 წლის წარწერა. წარწერაზე დაყრდნობით, რ. მეფისაშვილი წერს: „ვეჟინიდან წამოსული კონსტანტინე გომბორის უღელტეხილის გავლით ჟინვანში უნდა ჩასულიყო, აქედან შესაძლოა, იგი მლეთაში გაემგზავრა, მლეთიდან გადავიდა ქარჩოხის ხეობაში, სადაც ალავერდი იმყოფება, შემდეგ კონსტანტინე პატარა ლიახვის ხეობით, ერედვის გავლით ცხინვალში უნდა ჩასულიყო, ცხინვალიდან კი ბრეძაში გადასულიყო.“[68] გზა, რომლითაც კონსტანტინე აფხაზთა მეფემ ისარგებლა, შეგვიძლია ასე წარმოვიდგი-

64 ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 193.

65 გ. სოსიაშვილი, სოფ. ერედვის ისტორიიდან, გორის უნივერსიტეტის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, შრომათა კრებული, 2010, გვ. 261.

66 გ. სოსიაშვილი, გზები პატარა ლიახვის ხეობაში, ჟურნ. „აღმოსავლეთი და კავკასია,“ 2007, № 5, გვ. 95.

67 ჯ. გვასალია, შიდა ქართლი და ოსური საკითხი, თბ., 1997, გვ. 15-21.

68 რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ჟურნ. „ქართული ხელოვნება,“ 1955, № 4, გვ. 114.

ნოთ: დასავლეთ საქართველოდან ბრეძა–ცხინვალი–ერედვი–ქარჩოხის ხეობა (ალავერდი)–მლეთა–ჟინვალი–გომბორის უღელტეხილი–ვეჟინი.

პატარა ლიახვის ხეობიდან ქსნის ხეობაში გადასასვლელი გზა XVIII საუკუნის ბოლომდე ფუნქციონირებდა. ამ პერიოდში საქართველოში ჩამოსულმა გერმანელმა მოგზაურმა იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა სწორედ აღნიშნული გზით ისარგებლა. იგი ცხინვალიდან ქსნის საერისთავოში პატარა ლიახვის ხეობის გზით გადავიდა. გიულდენშტედტი ამ გზის შესახებ წერს: „14 სექტემბერს განვაგრძე გზა დიდ ლიახვზე [მდებარე] ქრცხინვალიდან ლარგვისის მონასტრისაკენ, ზევით ქსანზე, თითქმის მთლად გავლილი გზით, რომელიც დანიშნულების ადგილისაკენ უმეტესად ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიდის, და 1-1/2 საათში აღმოსავლეთით შეგვხვდა ციხე ფრისი, იქიდან 1/2 საათში აღმოსავლეთ-ჩრდილო-აღმოსავლეთით [არის] პატარა ერედვი, შემდეგ კი ერედვის ციხე. იქიდან ჩრდილოეთით 1 საათში [შეგვხვდა] ნავათი (ვანათი-გ.ს) და 1/4 საათში-საცხენეთი. დღევანდელი დღე აქ გავატარეთ. 15 სექტემბერი. 1-1/2 საათში გავიარეთ ჯერ ელტურა, შემდეგ ბელოთი და იქიდან 3/4 საათში-პატარა მდინარე ფოტნისა. მისგან 5/4 საათში გზაზე რიგ-რიგობით შეგვხდა ზონკარი, წინუბანი და აწერისხევი.[69] 1/2 საათში მდინარე კობაისი და 1/4 საათში კი მდინარე პატარა ლიახვი [გავიარეთ]. დღევანდელი გზა მიდიოდა ჩრდილოეთ-ჩრდილო-აღმოსავლეთით, ამ მდინარიდან გზა წავიდა აღმოსავლეთით აღმართით და 1 საათში ვიყავით წიფორში. 16 სექტემბერი. წიფორიდან [ვიარეთ] აღმოსავლეთით [და] საათში [მივედით] ჯოვახთამდე და შემდეგ 1 საათში მდინარე მეჯუდის ფონამდე. იქიდან აღმოსავლეთით 1 საათში [შეგვხდა] კოლხიონი; მისგან 1/2 საათში [მივედით] ცხრა წყაროებამდე და ამავე სახელის სოფელში. შემდეგ აღმოსავლეთით 1 საათში [მივაღწიეთ] კორას. იქიდან 1/2 საათში მდინარე ჭურტას–ხევი შეგვხვდა, რომელსაც გავყევით და ჯერ უპეთი და სხვა სოფლები [გავიარეთ] და 1 საათზე მეტ ხანში მშვიდობით მივედი ჩემს დანიშნულების ადგილზე ლარგვისის მონასტერში, [რომელიც მდებარეობს] ჭურთას შესართავზე, ქსნის მარჯვენა ნაპირზე.“[70] გერმანელი მოგზაურის მარშრუტი ცხინვალიდან ლარგვისის მონასტრამდე შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ: ცხინვალი-ფრისი-ერედვი-ვანათი-საცხენეთი-ელტურა-ბელოთი-მდ. პატარა ფოტნისა-ზონკარი-წინუბანი-აწერისხევი–მდ. კობაისის ხეობა-პატარა ლიახვის გადაკვეთა-ჩრდილო-აღმოსავლეთით-წიფორი-ჯოვახთი-მდ. მეჯუდას ფონი-კოლხიონი-ცხრაწყარო-კორა-ჭურთას ხევი-უპეთი (რამდენიმე პატარა სოფელი, რომელთაც არ ასახელებს) – ლარგვისის მონასტერი.[71]

69 გზის ამ მონაკვეთს, რომელიც პატარა ლიახვის ხეობის არსებულ სოფლებს აწრისხევთან აკავშირებდა, ადგილობრივი მაცხოვრებლები აქტიურად იყენებდნენ. ვანათელთა გადმოცემით, აწრისხევში ბაზრობა იმართებოდა და ამდენად, აღნიშნულ გზას სავაჭრო-ეკონომიკური დატვირთვაც ჰქონდა.

70 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 177.

71 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 179.

პატარა ლიახვის ხეობიდან გზა გადადიოდა ასევე არაგვის ხეობაში. XIX საუკუნის 80-იან წლებში გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი გ. ლიახველი (ჩოჩიშვილი) პატარა ლიახვის სოფელ ვანათში სტეფანწმინდიდან ჩამოსულა.[72] პატარა ლიახვის ხეობიდან რაჭის გავლით შესაძლებელი იყო იმერეთში გადასვლა. ვანათიდან ჩადიოდნენ ცხინვალში, შემდეგ ჯავაში, ჯავიდან კვაისას გავლით უკავშირდებოდნენ რაჭას, რაჭიდან კი – გადადიოდნენ იმერეთში.[73] პატარა ლიახვის ხეობიდან, სოფელ ვანათიდან, უმოკლესი გზა გადადიოდა დიდი ლიახვის ხეობაში, კერძოდ, ვანათიდან წვერიახოს მეშვეობით, გზა მიემართებოდა ძარწემში. გარდა ამისა, ვანათიდან თლიაყანაზე გავლით შესაძლებელი იყო ჯავასთან დაკავშირება, ჯავიდან კი რაჭა-იმერეთთან (ვანათი-თლიაყანა-ძარწემი-ჯავა-კვაისა-ონი). დიდი ლიახვის ხეობაში გადასასვლელი გზები ამჟამადაც ფუნქციონირებს. როგორც მივუთითებდით, პატარა ლიახვის ხეობიდან დიდი ლიახვის ხეობის და შემდეგ რაჭის გავლით იმერეთში გადადიოდნენ. მთავარმართებელ ტორმასოვთან შესახვედრად სწორედ ამ გზით ისარგებლა იმერეთის მეფემ – სოლომონ II-მ, იგი რუს ხელისუფალს სოფ. ვანათში შეხვდა.[74]

პატარა ლიახვის ხეობიდან იმერეთში გადასასვლელი გზით XVIII საუკუნის ბოლოს სარგებლობდა იულონ ბატონიშვილი. ცნობილია, რომ ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, 1777 წ. პატარა ლიახვის ხეობა ერეკლე II-მ თავის ძეს – იულონს უბოძა. იულონის რეზიდენციას სოფელი ბელოთი წარმოადგენდა. რუსეთის ხელისუფლებისაგან შერისხული იულონ ბატონიშვილი ხშირად პატარა ლიახვის ხეობის გზით ახერხებდა იმერეთში გახიზვნას.

როგორც იულონ ბატონიშვილის კარის მწიგნობარი იოანე ქართველიშვილი იგონებს: „აქ ჯარიაშენს დგომაში ორჯერ და სამჯერ ქალაქიდამ დაჭეშმარიტებით ჰამბავი მოგვივიდა, რომ დავით მოდის (საუბარია დავით ბატონიშვილზე, გიორგი XII-ის ძეზე, – გ. ს.) რუსის ჯარით თქვენზედაო. ამ მიზეზით, რადგან რუსები მოჰყვებოდნენ, თებერვლის 3(6) მეფის ძე იულონ ფამილიით აიყარა ბელოთიდამ და იმერეთისაკენ წამოსასველად გამოემგზავრა.“[75]

იოანე ქართველიშვილს პატარა ლიახვის ხეობიდან იმერეთში გადასავლელი გზის შესახებ სხვა ცნობებიც მოეპოვება: „იმერეთს გავიქეცით ბელოთით და ჩემი ხიზანი ქ. ცხინვალს დარჩა 1801 წელს, თებერვლის ხ-სა დღესა.“[76]

„დასტურლამალში“ დაცული ცნობიდან ვიგებთ, რომ პატარა ლიახვის ხეობაში კიდევ ერთი, ე. წ. „ფანჯების“ გზა გადიოდა. სამეფო ხელი-

72 გ. ლიახველი, მგზავრის შენიშვნები, „დროება,“ 1884, №77, გვ. 2.

73 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 57.

74 იქვე.

75 იოანე ქართველიშვილი, მემუარები, ავთ. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1952, გვ. 86.

76 იქვე, გვ. 95.

სუფლებისაგან ვანათელებს ევალებოდათ ამ გზის მოვლა-პატრონობა. ვახტანგ VI-ის ხსენებულ ნაშრომში აღნიშნულია: „უნდა უთაონ თულა-შვილებმა – თაკელთ, ღვეველთ, დღელთ, ვანათელთ და თულაანთ მა-მულმა – ფანჯების გზა შეინახონ.“[77] გაურკვეველია, სად მიემართებოდა ფანჯების გზა. შესაძლებელია, სწორედ ეს იყო ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი.

პატარა ლიახვის ხეობიდან ერთ-ერთი გზით ჩრდილოეთ კავკასია-შიც იყო გადასვლა შესაძლებელი. კავკასიონის ქედიდან გზის ერთი მონაკვეთი (შუასაუკუნეებში შიდა ქართლიდან იმიერკავკასიაში გადა-სასვლელი რამდენიმე გზა იყო, მათ შორის აღსანიშნავია „აჩაბეთის გზა,“ „დვალეთის გზა“ და სხვ.[78]) უკავშირდებოდა სოფ. ვანათს. სბის გადმოსასვლელით, ზახას გავლით, გზა თრუსოს ხეობაში ჩადიოდა და სოფ. კობთან საქართველოს სამხედრო გზას უერთდებოდა. ზახადან აღნიშნული გზის ერთი განშტოება სოფელ ედისს უკავშირდებოდა, ედისიდან კი პატარა ლიახვის ხეობას, კერძოდ კი, სოფ. ვანათს.[79] გ. თოგოშვილი წერს: „სბის გადმოსავლითაც გადმოდის გზა ზახადან თრუსოს ხეობაში და სოფ. კობთან საქართველოს სამხედრო გზას უერ-თდება. ამავე გადმოსავლით ზახადან მიემართება სხვა გზაც, რომელიც სოფ. ედისთან რამდენიმე განშტოებად იყოფა. ერთი განშტოება პატარა ლიახვის ხეობით ვანათს და ქართლის სოფლებს უკავშირდება, მეო-რე-ერმანდონის ხეობით და ყელის ტბით, ჟამურსა და ქსნის ხეობას უერთდება, მესამე კი ბრიტათის, გუდისის წყლის და ჭიმავდონის ხეო-ბებით როკის გზას უერთდება.“[80] აღნიშნულ გზას ვანათის ციხე აკონ-ტროლებდა. როგორც მივუთითებდით, სბის გადმოსასვლელიდან გზა ზახაში ჩადიოდა, რომელიც ედისთან რამდენიმე განშტოებად იყოფოდა. გზის ერთი ნაწილი პატარა ლიახვის ხეობით ვანათს და ქართლის სოფლებს უკავშირდებოდა. შესაძლებელია, XVI საუკუნით დათარიღე-ბულ დოკუმენტში (რომლის თანახმადაც, ქართლის მეფემ დავითმა სვე-ტიცხოველს დისევში არსებული მამულები უბოძა), სწორედ გზის ეს მონაკვეთი იგულისხმებოდეს: „სათივის წვერამდისინ საოსო გასაყარ გზამდისინ“ (იხ. ქვემოთ), საიდანაც პატარა ლიახვის ხეობის მარჯვენა ნაპირზე არსებულ სოფლებთან, მათ შორის, დისევთან იყო შესაძლებე-ლი დაკავშირება.[81]

77 დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 532.

78 გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005, გვ. 117.

79 გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. XV-XVIII სს., თბ., 1969, გვ. 50.

80 იქვე.

81 გ. სოსიაშვილი, საოსო გზის განმარტებისათვის, ქართულ დოკუმენტურ წყაროებში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსური ურთიერთობისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, კონფერენციის თეზისები, თბ., 2017, გვ. 72-73.

გვიანფეოდალურ პერიოდში პატარა ლიახვის ხეობის სოფლები, სხვადასხვა საფეოდალოებს შორის იყო გადანაწილებული. ხეობის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ქსნის საერისთავოში შედიოდა. XIV ს-ის დასაწყისში ვახტანგ III-მ (1302-1308) შალვა ქვენიფნეველს, ქსნის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად, პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ერთ-ერთი სოფელი – აწრისხევი გადასცა.[82]

XV-XVIII ს.ს. ქსნის ერისთავებმა კიდევ უფრო გააფართოვეს თავიანთი საფეოდალოს საზღვრები. როგორც პროფ. ჯ. გვასალია განმარტავს: „XV-XVIII ს.ს. ქსნის ერისთავთა ექსპანსია მიმართულია შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ. დიდ ლიახვზე იერთებენ მის სათავეებს – მაღრან-დვალეთს (ტერმინი გვიანშუასაკუნეების ხანისაა), პატარა ლიახვზე სავახტანგოს ნაწილს და გვერდისძირს.“[83]

ისტორიული სავახტანგო

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, სავახტანგო პატარა ლიახვის ხეობის ერთ ნაწილს ეწოდებოდა: „უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს.“[84] სავახტანგოს შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ი. მეგრელიძის აზრით, სავახტანგო ვახტანგ VI-ის სახელთან არის დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, დიდი ლიახვის ხეობაში, თირის მონასტერში დაკრძალულია ვახტანგ VI-ის ვაჟი როსტომი, რაც შემორჩენილი ეპიტაფიით დასტურდება: „ქ. ყოვლად ქებულისა მეფის არჩილისა და დიდად სახელოვნის ქართლის მეფის გიორგის ძმის, ყოვლად შემკულის ბატონის ლევანის ძე, საქართველოს გამგებელი ბატონიშვილი ვახტანგ ვიყავ სამკჳდროსა მამულსა ჩემსა, სოფელსა ამას, რაოდენთამე წელთა, და მიიცვალა ძე ჩემი, პირმშო, ბატონისშვილი როსტომ, და დავფალ ეკლესიასა ამას შინა, სამკვდროსა მამულსა ჩემსა. ქრისტეს აქეთ-ჩქპთ.“ (1689 წ.)[85] როსტომ ბატონიშვილის ეპიტაფიაში, ვახტანგ VI სოფელ თირს „სამკვდროსა მამულსა ჩემსა“-ს უწოდებს. როდის გადაეცა დიდი ლიახვის ხეობაში არსებული სოფელი თირი ქართლის ჯანიშინს, ეს ჩვენთვის უცნობია. სავარაუდოდ, უფლისწულ ვახტანგს დიდი ლიახვის ხეობაში არსებული მამული მამის, ლევან ბატონიშვილისაგან მემკვიდრეობით ერგო. როგორც ცნობილია, გიორგი XI-ს გამეფებას ქართლში არეულობა მოჰყვა. მდგომარეობა გაართულა ირანის შაჰის მიერ გიორგი XI-ის საპირის-

82 ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 348.

83 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 26.

84 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 362-363.

85 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1984, გვ. 208.

პიროდ, ქართლში ერეკლე I ნაზარალიხანის (1688-1703 წ.წ.) გამეფებამ.[86] გიორგი XI-ისა და ერეკლე I-ის დაპირისპირება „ორიანობის“ სახელით არის ცნობილი.[87] ქართული ფეოდალური არისტოკრატია ორ ბანაკად გაიყო. ერთი ნაწილი გიორგი XI-ის მხარეს იყო, მეორე კი ერეკლე I-ს უცხადებდა ერთგულებას. ერეკლეს ემხრობოდნენ მაჩაბლები, რის გამოც, გიორგი XI-მ: „ერეკლე (მუხრანბატონი, – გ. ს.) და მაჩაბელნი შეიპყრნა და პატიმარყო.“[88] 1695 წელს გიორგი XI-მ ქრცხინვალის, **ლევანის ხევის** და აჩაბეთის მამასახლისად მამუკა უნაძე დანიშნა.[89] წყაროებში არ ჩანს, თუმცა, არ გამოვრიცხავთ, რომ ლევანის ხევის მეპატრონე ქართლის მეფის გიორგი XI-ის ძმა ლევან ბატონიშვილი იყო და სწორედ ამიტომ, სამაჩაბლოს ამ ნაწილს, სავარაუდოდ, ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიას პირობითად ერქვა ლევანის ხევი. მაჩაბლების ღალატის გამო, დიდი ლიახვის ხეობაში გიორგი XI-ის ოჯახის წევრთა მამულების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა, ჩვენი აზრით, სწორედ ამ პერიოდში გადაეცა ვახტანგ VI-ს თირი, სადაც ის გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა. ვახტანგ VI იმდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული თირთან, რომ ამ მონასტერში გარდაცვლილი შვილი – როსტომი დაკრძალა.

ი. მეგრელიძე, ვახტანგ VI-ის უდროოდ გარდაცვლილი ვაჟის როსტომ ბატონიშვილის ეპიტაფიაზე დაყრდნობით აღნიშნავს: „როგორც ჩანს, ლიახვის ხეობაში ვახტანგ VI გააჩნდა სამკვიდრო-სახასო მამულები. ამაზე უნდა მეტყველებდეს მხარის სახელწოდება სავახტანგო.“[90] მკვლევარი დ. ნინიძე, მიიჩნევს, რომ „სავახტანგო,“ როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება, გაცილებით ადრე დასტურდება საისტორიო წყაროებში: „ვფიქრობთ, სავახტანგოს ვახტანგ VI-სთან დაკავშირება არ უნდა იყოს სწორი: პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული წყაროებით სავახტანგოს არსებობა წინ უსწრებს ვახტანგ VI მეფობის ხანას. მასზე ცნობებს უკვე 1626-1629 წ.წ. ამბებთან დაკავშირებით ვხვდებით, როცა ზურაბ ერისთავმა სიმონ მეფეს „ზოგ-ზოგი სავახტანგო სოფლები“ მისცა, ან XVII ს-ის 50-იანი წლები, როცა როსტომ მეფემ ვახტანგ V იშვილა, მას საუფლისწულოდ „ზოგი სავახტანგო“ უბოძა. ამდენად, ასეთი ცნობები გამორიცხავენ სავახტანგოს ვახტანგ VI-ის სახელთან დაკავშირებას. ამავე დროს, ვახუშტის ნაშრომში დაცული სოფლების სიის მიხედვით, სავახტანგოში შედის: შინდისი, ტირძნისი, ვანათი, მარალეთი, ინაური, ყლარცვი, მეფარეთი, გერი. თუ ამ რეგიონს ვახტანგ VI-ის გამო იმიტომ ეწოდა ეს სახელი, რომ თირი მისი სამკვიდრო მამულია, მაშინ რატომ არ შედის

86 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 350.

87 დ. ნინიძე, მუხრანბატონები, თბ., 1997, გვ. 47.

88 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 460.

89 პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991, გვ. 256; გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2021, გვ. 109.

90 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, I, თბ., 1983, გვ. 48.

იგი სავახტანგო სოფელთა სიაში?!"[91] დ. ნინიძის აზრით, „სავახტანგოს," როგორც „ქვეყნის" ჩამოყალიბება უკავშირდება არა ვახტანგ VI-ს არამედ, ქართლის მეფის სიმონ I-ის ძმის ვახტანგ ბატონიშვილის სახელს, რომელსაც ირანელთა ტყვეობიდან გათავისუფლებულმა სიმონმა მოღალატე ამილახვარის და ქსნის ერისთავის მამულების ერთი ნაწილი გადასცა. მათ შორის, ის სოფლები, რომლებსაც ვახუშტი ბატონიშვილი სავახტანგოს მიაწერს: „ვახუშტის დროს, სავახტანგო წარმოადგენს მდ. პატარა ლიახვის ერთ ხეობაში ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყანას." პატარა ლიახვის ხეობა, რომელსაც ადრეფეოდალურ ხანაში საცხუმეთის ხევი ეწოდებოდა, მეორე რეგიონთან –აჩაბეთისხევთან ერთად, ლიახვის ხეობის ორ ადმინისტრაციულ ერთეულს ქმნიდა. საცხუმეთის ცენტრი, როგორც ჯ. გვასალია ვარაუდობს, უნდა ყოფილიყო ბელოთ-საცხენეთი ან ვანათი, მეორესი კი აჩაბეთი. ეს ხევები უფრო მცირე ხევებსაც შეიცავდნენ: საცხუმეთის ხევი-ქნოღოს, აწერისხევს, გერისხევს, აჩაბეთისხევი-მაღრან-დვალეთს და ჯავისხევს. სწორედ ადრეფეოდალური ხანის საცხუმეთის, გვიან, უკვე პატარა ლიახვის ხეობაში მდებარე ერთ შემადგენელ, ისტორიულ-გეოგრაფიული, თუ ბუნებრივი საზღვრებით გამოყოფილ პატარა ხევს-გერისხევს შერჩა სავახტანგოს სახელი. სწორედ პატარა ლიახვის ქვედა ნაწილი-გერისხევი წარმოადგენს გვიანდელ სავახტანგოს. ე. ი. ამ პერიოდის სავახტანგო იმ სოფლების ერთიანობაა, რომლებიც კომპაქტურად მდებარეობენ ბუნებრივი საზღვრებით შემოფარგლულ გერისხევში. ამდენად, ვახტანგ ბატონიშვილის სამფლობელოს ძირითადი მამულები თავისი ცენტრით ამ რეგიონშია სავარაუდო."[92]

როგორც მივუთითებდით, სიმონ I-მა თავის ძმას ვახტანგ ბატონიშვილს ქსნის ერისთავის და ამილახვრის ჩამორთმეული მამულები გადასცა. ფარსადან გორგიჯანიძე ამის შესახებ წერს: „ქართლში ვეღარ დადგნენ, ჯალაბობით გაეცალნეს და კახს ბატონს შეეხვეწნეს და მეფემ სვიმონ **იმათი ალაგი და სოფლები** საუპატიოთ ბატონს დედოფალს მიართვა და ზოგი თავის ძმას ბატონიშვილს ვახტანგს მისცა."[93] ბერი ეგნატაშვილი სიმონ I-ის მიერ ქსნის ერისთავისათვის და ამილახვრისთვის ჩამორთმეული ტერიტორიების შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის. ქართლის მეფეს ქსნის ერისთავისთვის მეჯუდისხევი და ახალგორი, ამილახვრისთვის კი კარბი და კასპი წაურთმევია: „და შეუშინდა ქსნის ერისთავი და ამილახორი დედოფლის ურიგოს კადრებისათჳს. ხოლო დაუწყეს ხვეწნა, და ქსნის ერისთავმან მიართუა საუპატიოდ მეჯუდისჴევი და ახალგორი, და ამილახორს გამოართუეს კარბი და კასპი. ხოლო ყორღანაშვილის კახაბერის ცოლი და შვილი და სახლეულნი დაიპყრნეს და გარ-

91 დ. ნინიძე, სავახტანგო, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ნაკვეთი მეოთხე, თბ., 1993, გვ. 59.

92 იქვე, გვ. 79.

93 დ. ნინიძე, სავახტანგო, გვ. 60; ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, საისტორიო მოამბე, II, 1925 წ. გვ. 219-220.

დაყარეს კლდესა გელიყარისა და იტყოდნენ პირველსავე მას ლექსსა.“[94] სიმონ I-ის მიერ მოდალატე ფეოდალებისთვის მამულების ჩამორთმევის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილიც: „მაშინ მეფე სუმონ ლამობდა შურისგებასა ამილახორის და კსნის ერისთვისასა. არ-ამედ ვახტანგ მუხრანის ბატონი ურჩიდა წინათქმულთათუს წინაშე სუმონ მეფისა, იწყინა მეფემან და ამავ ქორონიკონსა შეიპყრა მათთა ეჭუსათუს ვახტანგ და პატიმარ-ჰყო კეხვის ციხესა შინა; მერმე შეიპყრა ამილახორი ბარძიმცა; შეშინდა კსნის ერისთავი ელიზბარ და შეუვრდა დედოფალსა; შესძღუნა სრულიად მინატაცი და სხუანიცა მრავალნი. კუალად ახალ-გორი და მეჯუდა და ამილახვარმან კასპი და კარბი. შეიწყალა დედოფალ-მან და ევედრა მეფესა შენდობისათუს, შეიწყალა მეფემანცა და აფუცა ერთგულობასა ზედა და განუტევა.“[95]

ბერი ეგნატაშვილის და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებიდან ირკვევა, რომ ქსნის ერისთავს მეფისაგან ჩამოერთვა მეჯუდის ხეობა და ახალ-გორი, ხოლო ამილახვარს კასპი და კარბი. ჩამოთვლილი ტერიტორიული ერთეულებიდან პატარა ლიახვის ხეობაში მხოლოდ კარბი შედის, იგი აღნიშნული მდინარის მარცხენა ნაპირზე, გორიდან 28 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ეს სოფელი რომც ებოძებინა სიმონ I-ს ვახტანგ ბატონიშ-ვილისთვის, ცხადია, ამით „სავახტანგო“ ვერ შეიქმნებოდა.

ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომის წინ წამძღვარებული სოფლების სიის მიხედვით, სავახტანგოში შემდეგი სოფლები შედიოდა: შინდისი, ტირძნისი, ვანათი, მარალეთი, შურიული, ინაური, ყლარცვი, მეფარეთი, გერი.[96] ამ ნუსხაში კარბი არ არის შეტანილი, ხოლო შინდისი და გერი იმდენად დიდი მანძილით არის დაშორებული (თანაც, შინდისი დიდი ლიახვის ხეობაშია, ხოლო გერი პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადის გერის ხევის გვერდით), რომ შინდისის და სავახტანგოს სხვა სოფლების გერის ხევში მოქცევა, ჩვენი აზრით, არასწორია. პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლები 1578 წელს სიმონ I-ის ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ, ვახტანგ ბატონიშვილის საკუთრებას და, შესა-ბამისად, „სავახტანგოს“ რომ არ წარმოადგენდა, 1595 წლით დათარიღებუ-ლი დომენტი კათალიკოსის მიერ ვახტანგ ბატონიშვილისადმი ბოძებული „სააღაპე წიგნიდანაც“ დასტურდება. როგორც ირკვევა, სიმონ I-მა თავის ძმას ვახტანგს მუხრანში სოფელი ყურისუბანი უბოძა. ვახტანგ ბატონიშ-ვილმა ყურისუბანი კათალიკოზ-პატრიარქ ნიკოლოზს პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში გაუცვალა: „მას ჟამსა, როდეს თქუენის ძმის, მეფის პატრონის სვიმონისაგან მუხრანს სოფელი ყურისუბანი სამამუ-

94 ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 372; დ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

95 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 412.

96 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 201.

ლოდ და სა{მ}კვიდროდ მოგცემოდა. და ამას წინათ კურთხეულს კ(ათა-ლიკო)ზს პატრონსა ნიკოლაოზს ზემო ქართლს ქორდს, ზაკუს, სათიხ-არს და მათ გარშემო რაც საყდრის შეწირული მამულები ყოფილიყო, თქუენთვის ყურისუბანზედ გაეცვალა.“[97] მალე, საპატრიარქომ, კერძოდ, დომენტი კათალიკოსმა ვახტანგ ბატონიშვილს ყურისუბანი უკან გადას-ცა და პატარა ლიახვის ხეობაში არსებული საპატრიარქოს მამულები დაიბრუნა: „ანუ არცა თქუენ მოგჷვდომოდა კარგად და არცა სვეტმა ცხოველმა იპრიანა. [აწე], თქუენი ყურისუბანი თქუენვე დაგიდევთ და საყდრის მამული საყდარსავე დაანებეთ.“[98] ამ დოკუმენტზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ის სოფ-ლები, რომლებიც „საყდრის მამული“ იყო, „სავახტანგოდ“ ვერ იქცეოდა. დოკუმენტში ჩამოთვლილი სოფლები: ქორდი, ზაკუი, სათიხარი და „მათ გარეშემო რაც საყდრის შეწირული მამული“ იყო, პატარა ლიახვის ხე-ობის ერთ არეალში შედიოდა და, როგორც ჩანს, ძველი დროიდან საპა-ტრიარქოს ეკუთვნოდა. ვახტანგ ბატონიშვილის საუფლისწულო მამული სიმონ I-ის ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ მართლაც გაფართოვდა, თუმცა, მეფის ძმას, პატარა ლიახვის ხეობაში, მხოლოდ ამილახვრისთვის ჩამორთმეული ერთი სოფელი კარბი გადაეცა.

ჩნდება კითხვა, როდის შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო „სავახტან-გო“? როგორც ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავ-თა“ გვამცნობს, პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფე-ლი აწერისხევი, სხვა მამულებთან ერთად, XIV საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეფემ ვახტანგ III-მ (1302-1308 წ.წ.), ქსნის ერისთავს შალვა ქვენიფნეველს გადასცა: „...მაშინ წარვიდა ყოველი სპაი სპარსთაი, მაშინ მეფემან მიუბოძა შალვას თრუსოი, ღუდოი, გაგასძენი, მლეთე, არაგვეთი, ხადოი, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძიგნაკორნაი, დიღვამი, გავაზი, აწრისხევი, ბეხუშე და ყოველთა დიდებულთა მისთა უმჯობეს ხედვიდა.“[99] შალვა ქვენიფნეველი ვახტანგ დემეტრეს ძისადმი რომ ერთგულებით გამოირჩეოდა, ამას ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაც ადასტურებს. და-პირისპირებულ ძმებს, დემეტრე II-ის ვაჟებს, დავით VIII-ს და ვახტანგ III-ს, თავიანთი მომხრე ფეოდალები ჰყავდათ. შალვა ქვენიფნეველი მხ-არს ვახტანგს უჭერდა. ამის გამო, დავითმა მისი მამული ცხავატში არ-აერთხელ დაარბია, როგორც ჩანს, დავით დემეტრეს ძის მოწინააღმდეგენი სწორედ ქვენიფნეველის საფეოდალოდან იკრებდნენ ძალებს. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო ჩამოდგა მეფე დავით სთველსა შინა ცხა-ოტს და აოჴრებდა მამულსა ქუენაფლაველისასა (იგულისხმება შალვა ქვენიფნეველი-გ.ს.) ამისი მხილველი და უღუნო-ქმნილი ქუენაფლაველი

97 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, სპარსული ტექსტები მოამზადა თამაზ აბაშიძემ, თბ., 2016, გვ. 438.

98 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 438.

99 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 7.

ევედრა ქართლის ერისთავსა აჰმადს, რათა უურვოს მეფისა თანა."[100] ვახტანგ III-ის გამეფების შემდეგ, შალვა ქვენიფნეველის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და მას, სხვა მამულებთან ერთად, მეფისაგან პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული ტერიტორიებიც გადაეცა, მათ შორის, ბეხუშე და აწერისხევი. ჩვენი აზრით, პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფელი აწრისხევი იყო ვახტანგ დემეტრეს ძის საუფლისწულო მამულის „სავახტანგოს" შემადგენლობაში. ეს სოფელი ვანათის (ვახუშტის ცნობით, სწორედ ვანათის ჩათვლით ეწოდებოდა პატარა ლიახვის ხეობის სოფლებს „სავახტანგო") ზემოთ (ჩრდილო-აღმოსავლეთით) მდებარეობს. როგორც ჩანს, ვიდრე პატარა ლიახვის ხეობის ერთი ნაწილი შალვა ქვენიფნეველს გადაეცემოდა, ის ვახტანგ III-ის საკუთრება (შესაძლებელია საუფლისწულოც) იყო. ვფიქრობთ, რომ „სავახტანგო," სწორედ ვახტანგ III-ის სახელს უნდა უკავშირდებოდეს. მას შემდეგ, რაც სოფელი აწრისხევი და ბეხუშე შალვა ქვენიფნეველს გადაეცა, პატარა ლიახვის ხეობაში ქსნის ერისთავთა გავლენა გაძლიერდა, მოგვიანებით კი ამ ხეობის სოფლების უმეტესობა მათი საკუთრება გახდა. ვანათის ჩათვლით პატარა ლიახვის ხეობის ერთ ნაწილს გვიანფეოდალურ პერიოდამდე ჰქონდა შერჩენილი თავისი ძველი მეპატრონის - ვახტანგ III-ის სახელი.

პატარა ლიახვს და მდ. მეჯუდას შუა წელს შორის მდებარე ტერიტორიას გვერდისძირი ეწოდებოდა.[101] ქსნის ერისთავებმა პატარა ლიახვის ხეობაში არაერთი ციხე-სიმაგრე ააშენეს. მათ ერთ-ერთ სოფელში – ბელოთში სასახლე-რეზიდენციაც ჰქონდათ.

იოანე ბაგრატიონს, თავის თხზულებაში: „ქართლ-კახეთის აღწერა," ცალკე აქვს გამოყოფილი ქსნის საერისთავოში შემავალი პატარა ლიახვის ხეობის სოფლები: „ქ. გვერდისძირზედ, რომელიც ქსნის საერისთაოს მიეწერებოდა და ესე ადგილნი და სოფელნი მეფის ძეს იულონს ეპყრა, არიან შემდგომნი ესე... პატარა ლიახვის ხეობაზედ მცხოვრებნი ოსნი და შიგ ნახევრად ქართველნიცა:

ქ. საცხენისი, მოსახლე
ქ. ედემქალაქი, მოსახლე
ქ. ბელოთი, მოსახლე
ქ. აწრისხევი, მოსახლე
ქ. ოსის ზონკარი, მოსახლე
ქ. შუაცხვირი, მოსახლე
ქ. სიათა, მოსახლე
ქ. გნასური, მოსახლე
ქ. ინაური მოსახლე
ქ. ჩაბარუხეთი მოსახლე
ქ. წიფორი მოსახლე

100 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 247.

101 ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

ქ. შამშიანი მოსახლე
ქ. ქნოღო მოსახლე
ქ. მაღრან-დვალეთი სოფელი.“[102]

ქსნის ერისთავთა მამულების ჩამონათვალში, როგორც ვხედავთ, იოანე ბაგრატიონი მაღრან-დვალეთსაც იხსენიებს. მართალია, მაღრან-დვალეთი დიდი ლიახვის ხეობის სათავეს მოიცავდა, მაგრამ ქსნის ერისთავები აქ რამდენიმე სოფელს ფლობდნენ.[103] პატარა ლიახვის ხეობას გვიანფეოდალურ პერიოდში ქსნის ერისთავების მიერ დანიშნული მოურავი განაგებდა. მოურავობა აზნაურ ფურცელაძეებს ჰქონდათ ბოძებული.[104]

ერთ-ერთ საბუთში, ქსნის ერისთავი – გიორგი ყულარაღასი აღნიშნავს: „ლიახვი, ფურცელაძეების სახელო რაც არის მე მეჭიროს: ოსი და ქართველი, გაღმა და გამოღმა; ხადურის ედიშერის ალაგის გარდა და ედიშერის გარდა, იმის ზეით – თავქნოღომდის; გაღმა და გამოღმა ლიახვი; ფოტრისა, რაც ჩვენი სახასო არის; გვიდისი, რაც ჩვენი სახასო არის, საყდრის ყმებს გარდა; დვალურა სულ მთლივ; ვაკეში მარანა, აზნაური და გლეხი სულ მთვლივ.“[105]

მოურავი ფურცელაძეები პატარა ლიახვის ხეობის ერთ-ერთ სოფელში – მერეთში სახლობდნენ. პატარა ლიახვის ხეობაში არაგვის ერისთავთა გავლენაც ვრცელდებოდა. მათ ეკუთვნოდათ მამულები გერსა და გერისთავში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნარატიული წყაროების მიხედვით, არაგვის ერისთავები წარმოშობით პატარა ლიახვის ხეობიდან, კერძოდ, სოფ. ვანათიდან იყვნენ.[106] არაგვის ერისთავების გავლენაზე უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ XIX საუკუნის I ნახევარში ვანათში ყმა ჰყავდა ანანურის სალოცავს.[107]

იოანე ბაგრატიონი თავის თხზულებაში დიდი და პატარა ლიახვის ხეობების რამდენიმე სოფელს, ე. წ. „საარაგო“ სოფლებად იხსენიებს: „ქ. საარაგო სოფლები, რომელიც მიეწერება და მეზობელნი არიან ამა ლიახვის ხეობისა არიან ესენი:

ქ. საარაგო შინდისი, მოსახლე, ქ. ტირძნისი მოსახლე,
ქ. ვანათი მოსახლე,
ქ. ოსის სოფელი მარილეთი, მოსახლე,
ქ. შურიული, მოსახლე,
ქ. ინაური მოსახლე,
ქ. ყლარცვი მოსახლე,
ქ. მეფარეთი მოსახლე,

---

102 იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 38.

103 ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

104 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 241.

105 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 272.

106 გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, გვ. 57.

107 რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 153.

ქ. გერი, მოსახლე, ესეც იულონს თ-ს ეყიდა. ახლა ერისთავიანთ უჭირავთ.“[108]

ხომ არ გულისხმობს იოანე ბატონიშვილი, „საარაგოში“ არაგვის ერისთავთა კუთვნილ მამულებს? როგორც აღწერაშია მითითებული, პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფელი გერი იულონ ბატონიშვილს უყიდია, მაგრამ, მოგვიანებით ერისთავების ხელში გადასულა. იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერა“ XVIII ს. 90-იანი წლების მდგომარეობას (1794-1799 წ.წ.) ასახავს. როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც ერეკლე II-მ ქსნის საერისთავო გააუქმა და პატარა ლიახვის ხეობა იულონ ბატონიშვილს გადასცა, იულონმა გერიც იყიდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ გერი ქსნის საერისთავოში არ შედიოდა. გაუქმებულ სათავადოში, მეფისაგან დასჯილ ქსნის ერისთავებს იულონ ერეკლეს ძე გერში საფასურს არ გადაუხდიდა. ცნობილია, რომ არაგვის საერისთავო კიდევ უფრო ადრე (1743 წ.) გაუქმდა და არაგვის ერისთავთა მამულებიც სახასო-საუფლისწულოდ გამოცხადდა. სავარაუდოდ, იულონ ბატონიშვილმა შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა და გერი თავის მოსახლეობიანად იყიდა, მაგრამ ვერ შეინარჩუნა.

ქსნისა და არაგვის ერისთავების გარდა, პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში შუასაუკუნეებში ყმა-გლეხებს და მამულს სხვა ფეოდალებიც ფლობდნენ, მაგ. ამილახვრებს პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში ჰყავდათ ყმები, მათ შორის კარბსა და ვანათში.[109] პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთ სოფელში ყმა-მამული გააჩნდათ ფავლენიშვილებს. მათი საგვარეულოს ერთი შტო სოფ. ერედვში სახლობდა, სადაც ციხესიმაგრეც ჰქონდათ. აქვე იყო მათი საგვარეულო საძვალე. ერედვის გარდა, ფავლენიშვილებს ყმები ჰყავდათ სოფ. ვანათსა[110] და ქორდში.[111]

პატარა ლიახვის ხეობაში ყმები ჰყავდათ ასევე მაჩაბლებს.[112]

სხვადასხვა ფეოდალურ საგვარეულოთა გარდა, პატარა ლიახვის ხეობაში ყმა-მამულს საქართველოს საპატრიარქოც ფლობდა. ამ სოფლებიდან უნდა დავასახელოთ: ქორდი, ვანათი, სათიხარი, ერედვი.[113] აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში მამულები ეკუთვნოდა ათონის მთაზე არსებულ ვატოპედის ბერძნულ მონასტერს. აღნიშნული სასულიერო ცენტრის მეტოქი ბელოთთან ახლოს, პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადის – ფოტრისას ნაპირზე არსებული ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესია იყო, რომელიც მდ. პატარა ლიახვის დინე-

108 იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 38.

109 იქვე, გვ. 37-38.

110 გ. სოსიაშვილი, ვანათის ისტორიიდან, თბ., 2005, გვ. 32.

111 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 441.

112 გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, თბ., 2010, გვ. 35.

113 გ. სოსიაშვილი, საკათალიკოსო მამულები პატარა ლიახვის ხეობაში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, 2016, № 11, გვ. 320.

ბამ დააზიანა. ქართლის დედოფალმა მარიამმა XVII საუკუნის მეორე ნახევარში აქ ახალი ტაძარი ააგო და დეკანოზად ცხინვალში მცხოვრები მახნიაშვილი დანიშნა.[114] (ვრცლად იხ. ქვემოთ).

პატარა ლიახვის ხეობაში მამული ეკუთვნოდა მაცხოვრის წმინდა საფლავს. როგორც წყაროებიდან ირკვევა, ერთ-ერთი სოფელი თერგვისი წმინდა მიწისთვის ლუარსაბ II-ს 1624 წელს თავისი დის სააღაპედ შეუწირავს.[115]

როგორც აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის ბოლოს, ქსნის საერისთაოს გაუქმების შემდეგ, პატარა ლიახვის ხეობა ერეკლე მეორემ თავის ძეს – იულონ ბატონიშვილს გადასცა, თუმცა, დავით გიორგის ძე ბატონიშვილმა, მისი ქართლ-კახეთში ხანმოკლე (1801 წ. იანვარ-ივნისი) მმართველობის დროს, პატარა ლიახვის ხეობის სოფლები კვლავ ქსნის ერისთავებს დაუბრუნა.

პატარა ლიახვის ხეობის ნასოფლარები

პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფლებიდან ზოგიერთის სახელი მხოლოდ საისტორიო წყაროებმა შემოგვინახა.[116] დოკუმენტებში დაცული ცნობების შეწავლის შედეგად, შესაძლებელია ლიახვის ხეობის რამდენიმე ნასოფლარის მდებარეობის დადგენა. ერთ-ერთი ასეთი ნასოფლარი **„ქუაბნი“** გვხვდება 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, სადაც დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში არსებული არაერთი სოფელი იხსენიება. დოკუმენტში ვკითხულობთ: „გორს რაც მცხეთის მამულნი და ვაჭარნი არიან, კუალად სოფელი ზერტი, თუსითა მამულით, ნასოფლარი სათიბი, სოფელი ქვეში, სოფელი დისევი, ფლავი, სოფელი ჩხრიკეთი, სოფელი სათიხარი და ვანათს ცხრა კომლი კაცი, სოფელი ქუაბნი, სოფელი ქორდი და პატარა მეღვრეკისი, ერედს გილაძენი, ვირშას მონასტერი მთავარანგელოზისა-თუსითა შესავლითა; ქრცხინვალს ელიოზიძე ურია, მამულითა.“[117]*

---

114 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. V, თბ., 1974. გვ. 94, დოკ. 56.

115 გ. სოსიაშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და სინას მთის მამულები ლიახვის ხეობაში, გორის სახელმწიფო საწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, 2016, № 9, გვ. 150.

116 იხ. გ. სოსიაშვილი, ლიახვის ხეობის ნასოფლარები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, 2016, №10, გვ. 139-158.

117 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 179, დოკ. 23.

* საკათალიკოსო მამულების ნუსხაში მოხსენიებული სოფლების ერთი ნაწილი ოკუპირებულია 2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად. ასეთია, მაგ. პატარა ლიახვის ხეობაში არსებული რამდენიმე სოფელი: დისევი, სათიხარი, ვანათი, ერედვი, ეს უკანასკნელი დოკუმენტში იხსენიება ერედის სახელწოდებით. *იხ. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 109; შიდა ქართლი, პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. I, თბ., 2002, გვ. 94.*

დოკუმენტში მოხსენიებული **„ქვაბნი“,** ჩვენი აზრით, პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე მდებარეობდა და სოფელ ვანათს ესაზღვრებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი ვანათის აღწერისას წერს: „ვანათის ციხე შემუსვრილი განაახლა შანშემ. შემუსვრეს კუალად ყიზილბაშთა. ციხის უკან, ჩრდილოთ არს კლდე მაღალი, ქარაფოვანი, მჭურეტი ლიახვსა, და მას შინა ქუაბნი გამოკვეთილნი მრავალნი.“[118] არ არის გამორიცხული, რომ „ქუაბნი“ ვანათთან ახლოს მდებარე სოფელს თავდაპირველად ამ გამოქვაბულების გამო ერქვა. სოფელი ქვაბთა იხსენიება 1720 წელს შედგენილ სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის ყმების და მამულის ნუსხაში, სადაც აღნიშნულია: „ქ. ქვაბთ (?) სამი.“[119] აკად. ნ. ბერძენიშვილმა, სოფლის სახელწოდებას, რაკი ის გაურკვევლად ეწერა ნუსხაში, კითხვის ნიშანი დაუსვა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ნუსხაში „ქვაბთა“ იხსენიება სოფელ ერედვის შემდეგ. ჩვენი აზრით, 1720 წლის ნუსხაში მოხსენიებული „ქვაბთა“ და 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში მოხსენიებული სოფელი „ქუაბნი“ ერთი და იგივე სოფელი უნდა იყოს. ამ სოფელს იხსენიებს სეხნია ჩხეიძე. მისი გადმოცემით, 1731 წელს, თეიმურაზ II-მ ქართველთა და ოსმალთა ჯარით შანშე ქსნის ერისთავის სამფლობელო დაარბია, ხოლო შემდეგ სამაჩაბლოში გადავიდა და აიღო მუგუთისა და სვერის ციხეები, ასევე საცხენისი, ქვაბები.[120] სხვადასხვა წყაროებში მოხსენიებული ტოპონიმები: „ქვაბთა,“ „ქუაბნი,“ „ქვაბები,“ პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფლის აღმნიშვნელი სახელებია. ეს სოფელი უნდა ყოფილიყო სოფელ ვანათის სამხრეთით. ტოპონიმი „ქვაფთა,“ რაც, ჩვენი აზრით, „ქვაბთას“ შეცვლილი ფორმა უნდა იყოს, უფრო მოგვიანებითაც გვხვდება. 1894 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ვ. მძინარაშვილის კორესპონდენციაში მოხსენიებულია ქვაფთის ჭალა, რომელიც დიციდან 5 ვერსის დაშორებით დიცურის სათავესთან,* მდებარეობდა.[121]

დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობდა სოფელი **ვირშა,** სადაც ვირშას მონასტერი არსებობდა. ზემოთ ნახსენებ საკათალიკოსო მამულების ნუსხაში იხსენიება „ვირშას მთავარანგელოზის მონასტერი თვისითა შესავლითა.“ აღსანიშნავია, რომ ვირშას მონასტერი თავისი შესავალი მამულებით XV საუკუნის I ნახევრის დოკუმენტშიც ფიგურირებს. საქართველოს მეფემ

118 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 369.

119 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. თ. I, თბ., 1940, გვ. 184, №256.

120 ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის რედ. ტ. II, სპბ., 1854, გვ. 335.

* დიცურა პატარა ლიახვის ერთ ტოტს ერქვა და ის სათავეს სოფელ არბოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, მდ. პატარა ლიახვიდან იღებდა. როგორც ჩანს, ქვაფთის ჭალა სოფელ არბოსა და ვანათს შორის არსებულ პატარა ლიახვის ნაპირს ერქვა, სავარაუდოდ, აქვე ყოფილიყო აღნიშნული დასახელების სოფელი

121 გაზეთი „ივერია,“ 1894 წ. 26 ოქტომბერი, №226, გვ. 2.

ალექსანდრე I დიდმა ვირშის მთა და მონასტერი თავისი კუთვნილი სოფლებით განახლებულ სვეტიცხოველს უწყალობა.[122] როგორც მივუთითებდით, სოფელ ვირშას ზუსტი ლოკალიზაცია ძნელია, თუმცა, ჩვენი აზრით, ის მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე, დისევის სიახლოვეს, მთის ფერდობზე უნდა ყოფილიყო.

პატარა ლიახვის ხეობის ერთ-ერთი სოფელი **ბადანი (იგივე ბადაანი)** არაერთ დოკუმენტურ წყაროში გვხვდება. ნიკოლოზ კათალიკოზის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ სიგელში, რომელიც 1687 წლით არის დათარიღებული, ჩამოთვლილია კათალიკოსის მიერ სვეტიცხოვლისადმი გაწეული ღვაწლი, დოკუმენტში აღნიშნულია: „კიდევე ნასოფლარი ბადანი ავაშენე.“[123] „ბადაანის“ არსებობა უფრო გვიანდელი პერიოდის საბუთითაც დასტურდება. კათალიკოსმა ანტონ I-მა გიორგი გედევანიშვილს უბოძა „ოსების მოურაობა ბადაანისა და ხოდელისა.“ ზემოთ ნახსენებ ვირშის მონასტერს ეკუთვნოდა „შესავალნი ქორდი და ბადასშვილნი,“ ანუ ბადასშვილების მამული (მცირე სოფელი).* სწორედ აქ ცხოვრობდნენ ვირშის მთავარანგელოზის „მეგანძურნი“ ჯინჯიხასძე-ბადასშვილები, რომლებიც (სავარაუდოდ, ბადაანის ნასოფლარად ქცევის შემდეგ) ქორდში გადმოსახლდნენ. მოგვიანებით ნიკოლოზ კათალიკოსმა „ბადანი,“ იგივე ბადაანი, ხელახლა მოაშენა და სვეტიცხოველს გადასცა. უფრო გვიან, XVIII საუკუნეში აქ ჩრდილოეთიდან ჩამოსული ოსები დაასახლეს, რომლებიც საეკლესიო ყმები გახდნენ. ანტონ კათალიკოსმა მათ მოურავად გიორგი გედევანიშვილი დანიშნა. ჩვენი აზრით, სოფელი ბადაანი პატარა ლიახვის ხეობაში ვირშას სიახლოვეს არსებობდა.

1348 წელს ანდრონიკე მეფის მიერ წითლოსან ქვენიფნეველისადმი ბოძებულ წყალობის სიგელში იხსენიება **ბაკურისუბანი**, რომელიც, სავარაუდოდ, პატარა ლიახვის ხეობის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გვერდისძირის სიახლოვეს მდებარეობდა. საბუთში ვკითხულობთ: „ქ. სახელითა ღმრთისაითა, ანდრონიკესაგან ბაგრატუნიანის, ნებითა ღმრთისითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთ მეფისა, შარვანშე და შანშა და ყოვლის აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ხელმწიფედ მოპყრობელისა; მოვიდა ჩუენს წინაშე ქუენიფნეველი, ლარგ[ვ]ელისა შვილი წითლოსან და გუეაჯა და მოგ[უ]ახსენა, რაითამცა ქართლს მუხუსძისა სალარისეულნი სოფელნი: კარბაი და გარეჯარ ბაკურისუბანი მისთუსისმცა მიგუებოძნეს. დაგუეაჯა ღმერთმან და ვისმინეთ აჯაი ქუენიფნეველისაი წითლოსანისი, ვინაითგან მათის ცოლის ძმის მუხუსძეს სალარესცა მისთუის და მისთა დისწულთათუის ეანდერძა მისი მამული,

122 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ, თბ., 2013, გვ. 171-172.

123 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 592.

* შესაძლოა, ბადასშვილებს სწორედ ვირშის მთავარანგელოზის ტაძრის წინაშე არსებული დამსახურების გამო გადაეცათ მამული მონასტერთან ახლოს. საგანძურის მცველები მონასტრიდან შორს ვერ იცხოვრებდნენ.

ჩუენცა შევიწყალეთ და მიუბოძენით სოფელნი: კარბაი და გარეჯარ ბაკურისუბანი, მისითა სამართლიანითა მძღურითა მკ[უ]იდრად, სამამულოდ, შეუვ[ა]ლად და შეუცვალებლად."[124] დოკუმენტში ნახსენები სოფლები: კარბი და გარეჯვარი დღესაც არსებობს (გარეჯვარი ორ ნაწილად არის გაყოფილი: დიდ და პატარა გარეჯვრად). ზუსტად ძნელია ბაკურისუბნის ლოკალიზება. შესაძლებელია, რომ გარეჯვარი ძველ დროშიც რამდენიმე ნაწილად იყოფოდა და მის ერთ ნაწილს ბაკურის უბანი ერქვა.

1382 წლით არის დათარიღებული სიგელი, რომლითაც დავით მეფემ ოქონის ხატს თამარ მეფის დროს ნაწყალობევი მამულები განუახლა. დოკუმენტში მოხსენიებულია გარეჯვარს **ლომსათუბანი**: „ზემო რეხას ათი საკუამლო მისითა რუთა, მამულითა, მიწითა, საწისქვილოთა, სასაფლავოთა, სამძღვრითა და სამნებითა ყოველის კაცისაგან მოუდევარი და შემოუცილებელი; აგრეთვე გარეჯვარს ლომსათუბანი მისითა წყლითა, რუთა, სამძღურითა და სამნითა ამით: თამარ დედოფლის რუმდის ქუემოთ, რეხის ფშნამდინ, გვერდით ხელთუბნის სამნამდის, მარჯუნით თორტიზის ფშნამდინ."[125] დოკუმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლომსათუბანი გარეჯვრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა და ის თორტიზას, ხელთუბანს და რეხას ესაზღვრებოდა. ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ: პატარა სოფელი (შესაძლებელია უბანიც) ბაკურისუბანი, შედიოდა დიდი სოფლის-გარეჯუარის შემადგენლობაში. გარეჯვარში სხვა მცირე დასახლებაც იყო, რომელიც 1382 წლის დოკუმენტში ლომსათუბნის სახელწოდებით გვხვდება.

ტყიურა პატარა ლიახვის ხეობის ქვემო წელზე არსებულ სოფელი იყო. ამას ადასტურებს 1716-1724 წ.წ. შედგენილი განაჩენი ვახტანგ VI-ისა თუმანიშვილებსა და ქარუმიძეებს შორის ხევთუბნისა და თორტიზის რუზე დავის გამო. დოკუმენტში ვკითხულობთ: „მეფეს როსტომს შეეწყალა, თვითან მიბძანებულიყო რუ და სათაო მოესაზრა, ქვეყნისათვი[ს] მუშა შეეწერა, დიდის ლიახვიდამ და პატარას ლიახვიდამ, ორითგანვე, სათავე აეღო და წყალი წამოეყუანა და ერთ რუდ შეეყარა და მარანა გაეთარხნებინა, მერუეთ დაეყენებინა და ეს რუ და წყალი ყოვლის კაცის უცილობლად თუმანიშვილებისთვის ხევთუბნის სარწყავად ებოძებინა. ძევერელთა, ტყიურელთა, კარალელთა, ორთავ გარეჯურელთა და თორტელთათვინ თავეთი რუები ზოგი ზედ გარდაეტარებინა და ზოგი ქვეშ გაეძურინებინა."[126] სოფელი ტყიურა, თუ დოკუმენტში მითითებული სოფლების ჩამონათვალის მიხედვით ვიმსჯელებთ, ძევერას და კარალეთს შორის უნდა ყოფილიყო. შემდეგ იგი ნასოფლარად იქცა, ან სოფელ

124 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 98-99, დოკ. 34.

125 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს, თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა და ბაბილინა ლომინაძემ, თბ., 2013, გვ. 51.

126 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. II, ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ., 1953, გვ. 20.

კარალეთს შეუერთდა და როგორც ცალკე სოფელმა არსებობა შეწყვიტა. სოფელ ტყიურეთს იხსენიებს იოანე ბაგრატიონი: „ქ. ჩმართა მოსახლე, ქ. ზერტი, მოსახლე, ქ. ტყიურეთი, მოსახლე.“[127] ჩვენი აზრით, ტყიურა და ტყიურეთი ერთი და იგივე სოფელი იყო, რომელიც უფრო გვიანდელი პერიოდის დოკუმენტურ მასალებში აღარ გხვდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის XIX საუკუნის დასაწყისში (როგორც აღვნიშნეთ, აღნიშნული სოფელი, როგორც „მოსახლე“ მოხსენიებულია იოანე ბაგრატიონის თხზულებაში, რომელიც 1794-1799წ.წ შეიქმნა) ნასოფლარად გადაიქცა.

პატარა ლიახვის ქვემო წელზე, სოფელ შერთულთან, იქ, სადაც მდ. დიდი ლიახვი პატარა ლიახვს უერთდება, არსებობდა სოფელი **ძველი ძევერა.** ეს დასტურდება 1582 წლით დათარიღებული წყალობის წიგნით სვიმონ მეფისა უგანაძეებისადმი, სადაც ვკითხულობთ: „...მოვიდნენ [წინაშე ჩვენსა ჩვენი ერთგულნი ყმანი: უგანაძე გიორგი და დავით და] სამკვიდრო მამული ძველი ძევერა იჩივლეს. მოკითხული ვქენით და სამკვიდროც ამათი ყოფილიყო სამართლიანის საქმით, არც არავის ჴელი ჰქონდა. ჩვენ, ნეფეთ-ნეფემან და თვით-ჴელმწიფემან პატრონმან სვიმონ, თავისი სამკვიდრო ძველი ძევერა ისევ უგანაძეებს უბოძეთ და დავანებეთ გიორგის და დავითს. არას კაცს ამ ძველ ძევერასთან ჴელი არა ქონდეს, მისის სამართლიანის სამძღვრით სამძღვრამდის. ქ(ორონი)კ(ონ)ს სო.“[128] თუ დოკუმენტს დავუკვირდებით, აშკარაა, რომ ძველი ძევერა უგანაძეების სამკვიდრო მამული ყოფილა და მათ ეს სოფელი დაკარგეს. სავარაუდოდ, იგი სიმონ I-ის ტყვეობაში ყოფნის დროს ამილახვრებს უნდა მიეტაცათ. როგორც ჩანს, სიმონის გათავისუფლების შემდეგ უგანაძეებს მამულის დაბრუნების იმედი გაუჩნდათ და მათ საჩივრით სწორედ ქართლის მეფეს მიმართეს.

სოფელი „ძველი ძევერა“ აღარ არსებობს. ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტის შედგენის დროს, სავარაუდოდ, ახალი ძევერაც იქნებოდა. დღეს, ამ სოფლების ადგილზე სოფელი ძევერაა. იგი მდ. დიდი ლიახვის და მდ. პატარა ლიახვის შეერთების სიახლოვეს მდებარეობს – ქ. გორიდან 14 კმ-ის დაშორებით.[129]

საისტორიო წყაროების მიხედვით, პატარა ლიახვის ხეობაში კიდევ ერთი სოფელი იყო, რომელიც შემდეგ ნასოფლარად იქცა, ან სხვა მეზობელი სოფლის ნაწილი გახდა. დოკუმენტებში ერედვის და სათიხარის გვერდით გვხვდება **ზაკუი (ზაკჳ)**. 1532-1534 წლებით დათარიღებულ საბუთში, რომელიც მცხეთის დაკარგული მამულების ნუსხას წარმოადგენს, ზაკუი მოხსენიებულია ერედვთან ერთად, და, როგორც ირკვევა, იგი ფავნელიშვილებს ეკუთვნოდა: „და აქუს რატიშვილსა წირი, გურ-

127 იოანე ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40. აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ფრონეს ხეობაში არსებობდა სოფელი ტყის უბანი, სადაც ყმები ჰყავდათ ფალავანდიშვილებს. იხ. ა. *თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII ს. II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 78.*

128 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 341.

129 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1987, გვ. 267.

ზის-ივლიტა...ფავნელიშვილსა ზაკუი და ერედუს გლეხები."[130] ცნობილია, რომ ფავნელიშვილთა გვარი მხარგრძელთა საგვარეულოდან მომდინარე თმოგველ-უჯარმელების დიდგვაროვანთა სახლს უკავშირდებოდა (ამაზე ქვემოთ). მათი ერთი ნაწილი ცხოვრობდა ნიქოზში, რასაც ადასტურებს ნიქოზის საყდრისადმი მათ მიერ ბოძებული სიგელები,[131] ხოლო მეორე ნაწილი კი სახლობდა ერედვში.[132] უნდა ვივარაუდოთ, რომ ზაკუი (ზაკჯ) ერედვს ემიჯნებოდა და შესაძლებელია, შემდეგ ამ სოფლის უბნად იქცა. ზაკუი იხსენიება ასევე 1559 წლის სიგელში, საიდანაც ირკვევა, რომ სიმონ I-მა სვეტიცხოველს შეწირულობა განუახლა. როგორც ჩანს, „ზაკუი მისი მზღურითა" საკათალიკოსოს ეკუთვნოდა. ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია სვეტიცხოვლის მამულები დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში. მათ შორის: ტირძნისში, ზემო მეღვრეკისში, ცოტა მეღვრეკისში, ერეთში (სავარაუდოდ, უნდა ეწეროს ერედვი). მცხეთის საყდარს ეკუთვნოდა ასევე ქორდი, ზაკუი, სათიხარი და სხვ.[133] აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ზაკუი პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე, ერედვსა და სათიხარს შორის მდებარეობდა. შესაძლებელია, ეს სოფელი ქორდის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ერედვის სამხრეთით იყო. ზაკუი ერედვის გვერდით იხსენიება 1574 წლის დოკუმენტშიც, ეს არის „გაცვლილობის წიგნი ნიკოლაოზ კათალიკოსისა ვახტანგ ბატონიშვილისადმი," რომლის მიხედვით, კათალიკოსმა ვახტანგ ბატონიშვილს (სიმონ I-ის ძმას) მუხრანთან ახლოს მდებარე სოფელ ყურისუბანში სვეტიცხოვლის მამულები გაუცვალა. მათ შორის გადასცა: „ერეთს (იგულისხმება ერედვი, – გ. ს.) გილაშვილი მისითა მამულითა; ზაკჯ მისითა მზღურითა..."[134] მოგვიანებით საპატრიარქომ უკან დაიბრუნა პატარა ლიახვის ხეობაში არსებული მამულები, რასაც ადასტურებს 1594 წლით დათარიღებული დოკუმენტი, სადაც ზაკუი მოხსენიებულია „ზემო ქართლს," ქორდისა და სათიხარის გვერდით.[135] აღსანიშნავია, რომ სოფელი „ზაკუ" არსებობდა ქვემო ქართლშიც, რაც დასტურდება სიმონ I-ის მიერ მანგლისის ღმრთისმშობლისადმი ბოძებული შეწირულობის წიგნით.[136]

პატარა ლიახვის ხეობაში, საცხენისსა და ბელოთს შორის კიდევ ერთი დასახლებული პუნქტი იყო, რომელსაც XVIII საუკუნის ბოლოს იოანე ბატონიშვილი **ედემქალაქის** სახელით იხსენიებს.[137] „ედემქალაქი" დატანილია ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზეც. მკვლევარი კ. ხარაძე მას ხადურიანთკართან აიგივებს, რომელიც ბელოთთან ახლოს იყო (ხადურიანთკარში მდ. პატარა ლიახვის სანაპიროდან 30 მ-ის სიმაღლეზე კლდეზე დაშენებული მრგვალი კოშკია შემორჩენილი[138]).

130 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 136-137.
131 ს. კაკაბაძე, თმოგველთა გვარის ისტორიისათვის, თბ., 1913, გვ. 7.
132 გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 115.
133 ქართული ისტორიულ საბუთების კორპუსი, ტ. III, გვ. 244.
134 იქვე, გვ. 289.
135 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897 გვ. 415.
136 ქართული ისტორიულ საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 439-440.
137 იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 38.
138 კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 137.

პატარა ლიახვის ხეობა და ზემო ქართლის სადროშო. როგორც ცნობილია, ქართლის სამეფოში XV საუკუნეში ოთხი სადროშო ჩამოყალიბდა. აქედან, ერთ-ერთი „ზემო ქართლის სადროშო“ იყო, რომლის სარდლები ამილახვრები იყვნენ. სადროშოს ცენტრს გორი წარმოადგენდა.[139] ზემო ქართლის სადროშოს საზღვრების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ვიწყებთ მეორეს სასპასპეტოს, მემარჯუენეს, შიდა ქართლის ნაკუეთსა, რომელ არს აწის ზემო ქართლი. ხოლო საზღვარი ამისი არს: აღმოსავლით, რომელი დავსწერეთ ხაზი კასპიდან წასრული ჩდილოს, გამჭრელი წლევისა, შავტყისა და მისრული კსნის კიდემდე და ბოლადმდე; სამჭრით მდინარე მტკუარი; ჩდილოთ, რომელი აღვსწერეთ კსნის მამულის საზღვარი, და მერმე კავკასი; დასავლით ძირულას იქითი მთა კოლბეურისა, მცირე, რომელი მიჰყვება ჩდილოთ კერძ პერანგამდე, მუნიდამ ერწო-კუდარამდე და ესევ მთა კოლბეურისა, ჭეფინისხევსა და ამაშუკეთს შუა, მიჰყვების სამჭრით ვერტყვილამდე; ვეტყვილიდამ ხაზი ჩხერიმელის დაბის ქუაბამდე, და მუნიდამ მახვილოს მთის განმჭრელი დვირამდე და ბაკულიანის მთამდე.“[140] როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, სადროშოს აღმოსავლეთი საზღვარი კასპიდან ვრცელდებოდა მდ. ქსნის ნაპირამდე და სოფელ ბოლამდე (ახალგორის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფელი, რომელიც ზემო და ქვემო ბოლად იყოფა[141]). ჩრდილოეთით ზემო ქართლის სადროშოს ქსნის მამული ესაზღვრებოდა და „მერმე კავკასი.“ ზემო ქართლის სადროშოში, ალ. ამილახვრის ცნობით, შედიოდა შემდეგი სათავადოები: აბაშიძეების, ფალავანდიშვილებისა, ფავლენიშვილებისა, ხერხეულიძეებისა, დავითაშვილებისა, ამირაჯიბებისა, ავალიშვილებისა, ხიდირბეგაშვილებისა, მხეიძეებისა, დიასამიძეებისა, სიამარდიშვილებისა, თაქთაქიშვილებისა, შალიკაშვილებისა, მაჩაბლებისა.[142] როგორც დ. გვრიტიშვილმა მიაქცია ყურადღება, ალექსანდრე ამილახვრის მიერ ჩამოთვლილი სათავადოთა ნუსხა არ უნდა იყოს სრული. მკვლევარი იმოწმებს XVII საუკუნის ერთ-ერთ საბუთს, რომელშიც ვკითხულობთ: „ქ. არის ბატონის ამილახორის დროშაზედა: ბატონიშვილი გიორგი, ერთობილნი ზევდგინიანი, ფავლენიანი, მაჩაბელნი, თუმანიანი, ბატონი მრუელი, ავალიშვილი ქაიხოსრო, ბატონი ურბნელი, ხერხეულიანი, ფალავანდიანი, ბატონი სუეტის ცხოველისა და იელუსარემისა ერთობილნი ამირეჯიბიანი, თვალდამწვრიანი, დიასამიძე ელიზბარ, როსტომ ქავთარაძე, შალვა თუხარელი, ამუან(?) თაქთაქიძე, თაქთაქ ტატიანი და წერეთლის მამული, აბაშიძის მამულები, იტრის წინამძღვარი, აბაზაძე, დამღაწაშვილი, ავალიშვილი გულბათ, ფაფინა იაღუზიშვილი როსტომ.“[143]

139 ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, ტ. I, თბ., 2018, გვ. 373.

140 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 364.

141 ენციკლოპედია „საქართველო,“ ტ, I, თბ., 1997, გვ. 455.

142 ალ. ამილახვარი, გეორგიანული ისტორია, გ. ქიქოძის თარგმანი, ჟურნ. „მნათობი,“ 1939, № 8, გვ. 128.

143 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 289; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 2124.

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით, ზემო ქართლის სადროშოს ჩრდილოეთით ქსნის მამული და კავკასიონი ესაზღვრებოდა: „ჩრდილოთ, რომელი აღვსწერეთ კსნის მამულის საზღვარი და მერმე კავკასი.“ როგორც ალ. ამილახვრის, ისე დ. გვრიტიშვილის მიერ დამოწმებულ XVII საუკუნის ზემო ქართლის სადროშოში შემავალ სათავადოთა ნუსხაში ქსნის საერისთავი არ არის დასახელებული. ამ ჩამონათვალში არაგვის საერისთავოც არ გვხდება. შესაბამისად, არც ამ საერისთავოების ტერიტორიაზე არსებული საეპისკოპოსოები შედიოდა ზემო ქართლის სადროშოში, განსხვავებით რუისის და ურბნისის საეპისკოპოსოებისაგან. ქსნისა და არაგვის საერისთავოები, სამუხრანბატონოსთან ერთად, მემარცხენე სადროშოს მიეკუთვნებოდა, რომლის სარდლები მუხრანბატონები იყვნენ.[144]

„ზემო ქართლის სადროშოს“ აღმოსავლეთი საზღვარი ქსნის ნაპირამდე ვრცელდებოდა და, შესაბამისად, მისი მომიჯნავე ქსნის საერისთავო იყო. სადროშოს სამხრეთ-დასავლეთით საამილახვრო ესაზღვრებოდა.[145] როგორც ე. მამისთვალიშვილი მიუთითებს: „ვახუშტის მიერ შემოხაზულ ზემო ქართლის სადროშოს საზღვრებში თავსდება დღევანდელი რაიონები: კასპის (ნაწილობრივ), ახალგორის (ნაწილობრივ), გორის (ნაწილობრივ), ცხინვალის, ჯავის, ზნაურის, ქარელის (ნაწილობრივ), ხაშურის (ნაწილობრივ), ხარაგაულის (ნაწილობრივ), ბორჯომის და ახალციხის (ნაწილობრივ).“[146]

ზემო ქართლის სადროშოს ჩრდილოეთი საზღვარი არაერთგვაროვანი იყო, მას ჩრდილოეთ მხარეს ერთ ნაწილში „ქსნის მამული“ საზღვრავდა, ხოლო მეორე ნაწილში კავკასიონის ქედი. ეს განპირობებული იყო, იმ გარემოებით, რომ ქსნის ერისთავებმა გვიან შუასაუკუნეებში თავიანთი მამულები საერისთავოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლების და დიდი ლიახვის ხეობის ჩრდილოეთით მდებარე მაღრან-დვალეთის ხარჯზე გააფართოვეს. სწორედ ამიტომ იქცა „ზემო ქართლის სადროშოს“ ჩრდილოეთ „საზღვრად“ ვახუშტის მიერ მითითებული „ქსნის მამული.“

განსხვავებით პატარა ლიახვის ხეობისაგან, დიდი ლიახვის ხეობა, კერძოდ, მაჩაბელთა სათავადო ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა და სამხედრო მობილიზაციის დროს ამილახვრებს ექვემდებარებოდა. ამას ადასტურებს 1644 წელს, ქართლის მეფის როსტომის მიერ ბეჟან ამილახორისადმი მიცემული სიგელი: „მას ჟამსა ოდეს ლიეხუს ზედათ და ლიეხუს ქვეშეთ ქართლის ქვეყანა თქვენის სახლის კაცის სასარდრო ყოფილა, აწე ჩუენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ თავადის, აზნაურისშვილისა, ბერისა და ერთობილთ ყოვლის კაცის, რა რიგადაც ამას წინათ თქვენი სახლისკაცი სარდარი ყოფილა, იმავე რიგითა და წესითა სარდრობა თქვენთვის გვიბოძებია.“[147]

144 ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, ტ. I, თბ., 2018, გვ. 373.

145 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 73.

146 ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, ტ. I, გვ. 375.

147 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 2125.

საინტერესოა სადროშოს სახელწოდება „ზემო ქართლი.“ ვახუშტი ბატონიშვილი გარკვევით წერს: „ვიწყებთ მეორეს სასპასპეტოს, მემარჯუენეს, შიდა ქართლის ნაკუეთსა, რომელ არს აწის ზემო ქართლი.“ ე. ი. ვახუშტი პირდაპირ მიუთითებს, რომ ზემო ქართლი მეორე, მემარჯვენე სასპასპეტოს, შიდა ქართლის ნაწილია, რომელსაც ამჟამად ზემო ქართლი ეწოდება. ზემო ქართლი ვახუშტისავე განმარტებით, უწინ სამცხეს ერქვა: „ხოლო აქამომდე რომელნი აღვსწერენით, ესე არს უმეტესად ზემო ქართლი და შემდგომად სამცხე წოდებული, და აწცა სამცხედვე ისახელების.“[148]

რატომ გადმოინაცვლა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხის სამცხის სახელწოდებამ „ზემო ქართლმა“ ჩრდილოეთით? ამ საკითხზე საინტერესო დაკვირვება აქვს დ. მერკვილაძეს. მკვლევარი წერს: „XVI ს-დან საქართველოს სამეფო-სამთავროებად დანაწევრებისა და შემდგომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს) ოსმალეთის მიერ მიტაცების შემდეგ, ეს ტერიტორია ყოველთვის უპირობოდ „ქართლის ქვეყნად“ აღარ განიხილება. მართალია, მწიგნობრული ტრადიცია ინერციით უკვე ახალციხის საფაშოდ გადაქცეულ მიწა-წყალს ჯერ კიდევ „ზემო ქართლად“ მოიხსენიებს, მაგრამ, ვინაიდან ახლადწარმოქმნილი ქართლის სამეფო, ძირითადად, საკუთრივ ქართლით შემოიფარგლა, ზემო ქართლად წარმოჩინდა სამეფოს ფარგლებში არსებული მტკვრის ყველაზე ზემო წელი-შიდა ქართლის დასავლეთი ნაწილი (ამილახვართა სასარდლო, რომელსაც საამილახვროს გარდა საფალავანდიშვილო, საავალიშვილო, სააბაშიძეო და სხვა სათავადოები შეადგენდა).“[149]

ტერიტორიული ერთეულების სახელწოდების და პოლიტიკურ-კულტურული ცენტრების გადანაცვლება უცხო პროცესი არ იყო. ს. ჯანაშიას დაკვირვებით, უწინდელი „ზენა სოფელი“ ეს არის მერმინდელი „შინა ქართლი,“ რაც, სწორედ ქართველების პოლიტიკურ-კულტურული ცენტრების გადმონაცვლებას უკავშირდება. ქვეყნის ადრინდელი უკიდურესი ნაწილი ზენა სოფელი შემდეგში ქვეყნის ცენტრში მოექცა.[150] ჩვენი აზრით, სახელწოდება „ზემო ქართლი,“ იმ არეალს, რომლის აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა, სადროშოების შექმნამდე ეწოდა. ამაში დიდი როლი, სავარაუდოდ, XVI საუკუნის I ნახევარში სამცხეში ოსმალთა დაპყრობებს უნდა შეესრულებინა.

დოკუმენტურ წყაროებში სახელწოდება „ზემო ქართლი“ არაერთგან გვხვდება. მაგ. 1580 წლის 14 ივლისით დათარიღებულ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ სვიმონ I-ის შეწირულობის წიგნში მოხსენიებულია: „ზემო

148 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 667.

149 დ. მერკვილაძე, „ზენა სოფლიდან“—„შიდა ქართლამდე“ (აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან), ამირანი, 2001, IV-V, გვ. 92.

150 ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 288; გ. ჩიტაია, აკად. ს. ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა, „მიმომხილველი“, I, თბ., 1949, გვ. 7; ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 25.

ქართლს სოფელი მოხისი."[151] პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფლებში, ვანათში, ბელოთში, აწრისხევში, გვიან შუასაუკუნეებში, ძირითადად, ქსნის ერისთავთა მამულები იყო და ეს სოფლები ზემო ქართლის სადროშოს სარდალს არ ექვემდებარებოდნენ. ისინი ჩრდილოეთიდან ემიჯნებოდნენ ზემო ქართლის სადროშოს ტერიტორიას, ამიტომაც მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი სადროშოს ჩრდილოეთ საზღვრად „ქსნის მამულს." ცნობილია, რომ 1777 წელს ერეკლე II-მ გიორგი ქსნის ერისთავის (ყულარაღასის) განდგომით ისარგებლა და ქსნის საერისთავო გააუქმა.[152] როგორც ჩანს, ქსნის ერისთავთა სათავადოს გაუქმებამდეც, მეფე ოპოზიციაში მყოფ ქსნის ერისთავებს არ ენდობოდა, განსაკუთრებით კი „ლეკიანობის" მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარების დროს და მათი გვერდის ავლით, ერეკლე II-მ, საერისთავოში შემავალი პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლები (აწრისხევის გარდა), ზემო ქართლის სადროშოს დაუქვემდებარა. თუმცა, ლეკთა წინააღმდეგ გაწერილ სამდევრო ღონისძიებებში, რაც მითითებულ სადროშოს ეხებოდა, ერეკლემ ქსნის ერისთავებიც ჩართო. ამის შესახებ ზემო ქართლის სადროშოსთვის 1772 წლის 28 აგვისტოს ერეკლე II-ის მიერ გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „1. ქ. როდესაც რომ მუხრანიდამ ყარაული მოვიდეს, ცხენიანი ჯარი წამოვიდაო, ყველანი გაფრთხილდნენ. თუ მჭურვალეთში შევიდეს ლეკის ჯარი, როგორც გაჩენილი არის, მდევარი შეიყაროს, თავი და ბოლო მოუდრიკონ, ყარაულები გაგზავნონ, თავს დააყენონ, მდევარს დაუძახონ, მეჯვრისჭევს შეიყარნენ; თუ თავს დასხმა ამჯობინონ, თავს დაესხან, თუ გზის შეკვრა ამჯობინონ გზა შეუკრან, თუ წინ დახვედრა ამჯობინონ წინ დაუხვდნენ, რომელიც ამჯობინონ იმ გზით ეცადნენ მტრის პასუხის გაცემასა და გაყრასა. 2. ქ. თუ ცხენიანი ლეკის ჯარი იყოს, ერთმანერთს ნუ მოუცდიან, ყველანი სირბილით გამოიქცენ; თუ ქვეითი ჯარი იყოს, სოფელი და სოფელი ერთად შეიყარნენ, დამრგვალდენ და ისე მივიდნენ, სადაც სარქარდებმა დაუძახონ. 3. ქ. ბელოთიდამ მოკიდებული საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, ქორდი, დიცი, და პატარა ლიახვის გამოღმართი, გვერდის ძირი და ვაკე, გორით ბერშოეთამდის, რაც ამათ შუა სოფლებია, ესენი ერთ სამდევროდ უნდა იყვნენ შეპირებულნი. 4. ქ. თუ რომ დიდის ჯარის ამბავი მოვიდეს და სარქარდებმა დაუძახონ, ორისავ მჭრის მდევარი უნდა საჩქაროდ სირბილით წამოვიდნენ. ცხენიანი სულ ჭენებით გამოიქცენ და ქვეითნი სოფელ და სოფელ შეიყარნენ, დამრგვალდენ და სადაც სარქარდებმა ამჯობინონ და დაუძახონ იქ მიცვივდენ. 5. ქ. თუ სამაჩაბლოსაკენ გაჩნდეს ლეკის ჯარი, ან დიდის ლიახვის გაღმა სადმე, ამ დიდი ლიახვის მდევარი და პატარა ლიახვის გაღმართი მდევარი, რომელიც მეორე მდევრად მიგვიჩენია, საჩქაროდ გაცვივდენ და, როგორც სარქარდებმა ამჯობინონ, ისე შეებნენ, თუ რომ კიდევ მოუნდესთ მდევარი და სარქარდებმა დაუძახონ, გამოღმა

151 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, თბ., 2016, გვ. 311.

152 ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

მჭრის მდევარიც წავიდეს და ღვთით პასუხი გასცენ. 6. ქ. თუ ქარელიდ-ამ მდევარი დაიძახონ, მაშინვე ქცხილვანს ქვეით კაცი დიდის ლიახვისა, პატარა ლიახვის გაღმართი კაცი და დირბის წყლის სოფლები ყველანი შეიყარნენ და გაცვივდენ ცხენიანი და ქვეითი, ნურავინ დააკლდება....9. ქ. თუ ამილახორი და ერისთავი (იგულისხმება ქსნის ერისთავი, – გ. ს.) ზემო ქართლში იყვნენ, იმათ უნდა შეიყარონ მდევარი და ისე იმდევრონ. 10. ქ. თუ ესენი არ იყვნენ ყურაღასმა გიორგიმ და მდივან-ბეგმა იასემ ქმ-ნან. 11. ქ. თუ არც ესენი იყვნენ, აღაბამ და ან შალვამ, ბეჟან და ან ომანმა ქმნან და იმდევრონ. 12. ქ. რომელიც ერისთვისშვილი და ამილახორისშ-ვილი დაესწროს მდევრობა გვიბძანებია, ამათ შემოიყარნენ და როგორც ამჯობინონ ისე მოიყვანონ, დიდად ბეჯითად იყვნენ ერისთვისშვილები და ამილახორისშვილები მდევრობისა, რომ ეს მდევრობა მათ აძევსთ.“[153]

მიუხედავად იმისა, რომ ზემო ქართლის სადროშოში ქსნის საერის-თავო არ შედიოდა, რაკი ქსნის ერისთავს პატარა ლიახვის რიგ სოფ-ლებში, რომლებიც ერეკლემ ზემო ქართლის სადროშოს დაუქვემდებარა, მამულები ჰქონდა, სამდევროებზე ლეკთა თავდასხმების დროს მას, ან მისი ოჯახის წევრს გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, პატარა ლიახვის ხეობის სოფლები ორ სამდევროში შედიოდა, ბელოთი, დიდი ვანათი (როგორც ჩანს, მცირე ვანათიც არსებობდა), საცხენისი, არბო, ქორდი, დიცი და „გამოღმართი“ (სავარუდოდ, თერგვისი, ტირძნისი) ერთ სამდევროში იყო. პატარა ლიახვის ხეობის „გაღმართი“ სოფლები (სავარაუდოდ, მერეთი, კარბი, ტყვიავი, ქერე, ფლავისმანი), დიდი ლიახვის სოფლებთან ერთად, მეორე სამდევროს შემადგენლობაში შედიოდა. აღნიშნულ სამდევროს სა-მაჩაბლოში ან ქარელში ლეკების გამოჩენის შემთხვევაში უნდა ემოქმედა.

გვიანფეოდალურ პერიოდში ის ტერიტორიია, რომელსაც „ზემო ქარ-თლის სადროშო“ მოიცავდა, სადროშოში შემავალი მრავალი სათავადოს მიუხედავად, დოკუმენტურ, თუ ნარატიულ წყაროებში ერთიანი სახელით – ზემო ქართლად იხსენიება. ასეთი სახელდება ჰქონდა პატარა ლიახ-ვის ხეობის იმ ნაწილს, რომელიც ქსნის საერისთავოში არ შედიოდა. ამას ადასტურებს 1574 წლის 14 მარტით დათარიღებულ დოკუმენტზე (გაცვლილობის წიგნი ნიკოლაოზ კათალიკოსისა ვახტანგ ბატონიშვილ-ისადმი) არსებული XVII საუკუნის მინაწერი: „კ(ათალიკო)ზის მ(ა)მ(უ) ლის ნაცვალი წიგნი. ქ. ზემო ქართლის სიგელი პატარა ლიახზედ.“[154] ამ სიგელის თანახმად, კათალიკოსმა ნიკოლოზმა სიმონ I-ის ძმას ვახ-ტანგ ბატონიშვილს მუხრანთან ახლოს მდებარე სოფელ ყურისუბნის სანაცვლოდ, დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში სვეტიცხოვლის კუთ-ვნილი ყმა-გლეხები გადასცა. სიგელის გვიანდელი მინაწერიდან ირკვევა, რომ აქ მოხსენიებული მამულები (მათ შორის პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე: ერედვში, სათიხარში, ასევე ცოტა უფრო სამხრეთით: ვირ-

153 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 426-428.

154 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 290.

შაში, ქორდში, ტირძნისში),[155] ზემო ქართლს მიეკუთვნებოდა. ეს დასტურდება 1595 წლის საბუთითაც, რომლის მიხედვით, დომენტი კათალიკოსმა მუხრანთან ახლოს არსებული სოფელი ყურისუბანი სიმონ I-ის ძმას ვახტანგს გადასცა და დაიბრუნა სვეტიცხოვლის ძველი ქონება: „ზემო ქართლს, ქორდს, ზაკუს, სათიჭარს და მათ გარეშემო რაც საყდრის მამულები ყოფილიყო."[156]

პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლები რომ ზემო ქართლად იწოდებოდა, უფრო გვიანდელი პერიოდის წყაროებიდანაც ჩანს. დავით ბატონიშვილი XIX საუკუნის დასაწყისში გადმოგვცემს რა სამეფო სახლის წევრების იულონ ერეკლეს ძის და დავით გიორგის ძის დაპირისპირების შესახებ, წერს: „ხოლო რაჟამს სახლეულნი მეფის ძის იულონისანი იყვნენ ლიახვზედ – ბელოთს, რომელიცა აქუნდა ამას მამული ესე საბატონიშვილოდ, მსმენელმან ამან მეფისძემანცა დავით მუნ წარგზავნა ქსნის ერისთავის შვილნი, რათა განდევნონ მუნითმცა იულონ და დაიპყრან ლიახვი თვისად. მისრულთა **ზემო ქართლს** ჯარითა ჰყვენ ყოველივე ნაბრძანები მისდა..."[157]

საქართველოს საპატრიარქოს მამულები პატარა ლიახვის ხეობაში

საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას თავისი მამულები ჰქონდა პატარა ლიახვის ხეობაში. ეს იყო, როგორც სამეფო ხელისუფლების, ისე წარჩინებულ საგვარეულოთა მიერ შეწირული ქონება.[158]

ეკლესიის აქტიურ ურთიერთობას პატარა ლიახვის ხეობის სოფლებთან არაერთი დოკუმენტური წყარო ადასტურებს. ჩვენამდე მოღწეული ისტორიული საბუთებიდან ერთ-ერთი ყველაზე ძველი დოკუმენტი 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარია, სადაც დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში არსებული არაერთი სოფელი იხსენიება: „გორს, რაც მცხეთის მამულნი და ვაჭარნი არიან, კუალად სოფელი ზერტი, თჳსითა მამულით, ნასოფლარი სათიბი, სოფელი ქვეში, სოფელი დისევი, ფლავი, სოფელი ჩხრიკეთი, სოფელი სათიჭარი და ვანათს ცხრა კომლი კაცი, სოფელი ქუაბნი, სოფელი ქორ-

155 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 289.

156 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გამოსაცემად მოამზადა მანანა ჭუმბურიძემ, თბ., 2018, გვ. 428.

157 მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებული ბატონიშვილის დავით გიორგისძისა და მისი ძმებისა, 1744-1840, ტფ., 1906, გვ. 58-59.

158 გ. სოსიაშვილი, საკათალიკოსო მამულები პატარა ლიახვის ხეობაში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, თბ., 2016, № 11, გვ. 320-394.

დი და პატარა მეღვრეკისი, ერედს გილაძენი, ვირშას მონასტერი მთავარ-ანგელოზისა-თუსითა შესავლითა; ქრცხინვალს ელიოზიძე ურია, მამულითა.“[159]* 1392 წლის საკათალიკოსო მამულების ნუსხაში გვხვდება სოფელი „ქვაბნი.“ როგორც მივუთითებდით, იგი პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე მდებარეობდა და, სავარაუდოდ, სოფელ ვანათს ესაზღვრებოდა. უფრო გვიანდელ წყაროებში „ქვაბნი“ „ქვაბთას“ ფორმით გვხვდება. 1720 წელს შედგენილ სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის ყმების და მამულის ნუსხაში, სვეტიცხოველს ქვაბთაში სამი კომლი გლეხი უკუთვნოდა.[160]

საკათალიკოსო მამულების ნუსხაში ყურადღებას იპყრობს „ვირშას მთავარანგელოზის მონასტერი თვისითა შესავლითა.“ აღსანიშნავია, რომ ვირშას მონასტერი თავისი შესავალი მამულებით XV საუკუნის I ნახევრის დოკუმენტშიც გვხვდება. საქართველოს მეფემ ალექსანდრე I დიდმა (1412-1442 წწ.) ვირშას მთა და მონასტერი თავისი კუთვნილი სოფლებით განახლებულ სვეტიცხოველს შეწირა. 1431 წლით დათარიღებულ სიგელში ვკითხულობთ: „და ვითარ გუმართებს, და ჩუენგან სათანადო არის,

159 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD – საბ. 8712; ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 179, დოკ. 23; АКАК, т. VI, стр. 769-770.

* ზემოთ მითითებულ სქოლიოში ნაგულისხმევი დოკუმენტი, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული, სხვადასხვა დროს არის გამოქვეყნებული, საბუთი XIX საუკუნეში გადაწერილ დედნის ასლს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ სიგელს თ. ჟორდანია იმერეთის მეფის ალექსანდრეს მიერ გაცემულად მიიჩნევდა. მკვლევარი წერდა: „ეს სიგელი XV საუკუნის პირია ძველის გუჯრისა, 1392 წელს დაწერილისა ალექსანდრე მეფის სახელით. ამავე გუჯრის მე-17 საუკ. პირი ჩართულია ნუსხაში №506 (:სიბ:) პირველი სიგელი (ასლი) დაწერილი ყოფილა მეფის კარის მწიგნობრის იოსებისაგან, რომელიც მართლა სჩანს 1399 წელს (იხ, 1399 წ. ქვეშე), ხოლო მისგან გადაწერილი პირი ეკუთვნის სვიმონ მეფის დროს, როდესაც დაუმტკიცებიათ ეს პირი... რადგან 1392 წ. ქართლში არ მეფობდა ალექსანდრე, ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უნდა იყოს იმერთა მეფე ალექსანდრე, რომელიც მეორედ გამეფებულა 1392 წელს, როდესაც მოჰკლეს გიორგი მეფე, ძმა მისი, თუმცა შინაარსი გუჯრისა თითქმის მხოლოდ ქართლ-კახეთ-მესხეთს ეხება და არა იმერეთს“. *თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 195.* მწიგნობარი იოსები 1399 წლის დოკუმენტში მართლაც იხსენიება, ეს არის გიორგი მეფის მიერ მცხეთისადმი გაცემული შეწირულობის დოკუმენტი. *პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1993, გვ. 458.* აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, იოსები გიორგი მეფის მწიგნობარია და არა იმერეთის მეფის ალექსანდრესი. ჩვენი აზრით, ზემოთ ნახსენები სიგელი, რომელიც მცხეთის მამულების ნუსხას წარმოადგენს, ალექსანდრე I დიდის დროს უნდა იყოს შედგენილი. ცნობილია, აღნიშნული მეფის განსაკუთრებული დამოკიდებულება სვეტიცხოვლისადმი, რასაც მის მიერ გაცემული არაერთი საბუთი ადასტურებს. სიგელი, რომელსაც ალექსანდრე მეფე ამტკიცებს, იოსებ მწიგნობრის მიერ არის დაწერილი. ალექსანდრეს მიერ გაცემული სიგელებიდან ცნობილია რამდენიმე მწიგნობარი, მათ შორის, ვიგრი ქადაგისძე, კლიმი კაკალაჩასძე, დემეტრე მარკოზისშვილი. *იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, თბ., 2013, გვ. 210, 213, 115.* შესაძლებელია, რომ იოსები ალექსანდრეს სამეფო კარის ერთ-ერთი მწიგნობარი იყო.

160 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. თ. I, თბ., 1940, გვ. 184, №256.

ეგრეთ კუალადვე ვინებეთ შემატება და გაზედავება და შევსწირეთ და მოვახსენეთ ძუელითგან მეფეთაგან შემკობილი და აღშენებული და გადიდებული მთა ვირშისა, მონასტერი და მისნი შესავალნი ბადასშვილნი და ქორდი; და მას აქათ, ანუ მზღვარი ჰქონებიან მისითა მიმდგამითა, ყანითა, ვენახითა, წყლითა, წისქულითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა და ბარითა, მზღურითა, სამხრითა და უხმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა სამართლიანითა ყუალათა ერთობ უნაკლულოდ, მოგუიხსენებია თქუენ, დიდისა და ცათა მომბაძავისა მცხეთისა საყდრისათუის და თქუენისა მპყრობელისა ჩუენისა სულისა მოძღურისა და მეოხისა კათალიკოზისა თეოდორესათუის: მოგუიხსენებია ძუელითგან ჩუენითა მომავალთა მეფეთაგან გადიდებული და შემკობილი **ვირშა მთა და მონასტერი და მისნი შესავალნი, ქორდი და ბადასშვილნი** და მას აქათ, რაცა ძუელითგან მთას და ანუ მამულნი, ანუ გლეხნი და ზღვარნი, და პარტახტნი ჰქონებიან, ყანითა, ვენახითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა და ბარითა, სახმრითა და უხმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა მიმდგამითა, სამართლიანითა ყუელათა, ყ(ოვლა)დვე უნაკლულოდ... არას ჟამისა შემოსრულობისა და გამოცვალებისათვის არ მოგეშალოს და ვერვინ იკადროს ამისად სარჩლად და ცილებად, ვითა ჩუენითა მომავალთა მეფეთაგან აღშენებულისა და გადიდებულისა და პატივცემულისა და აწ ჩუენგან ახლად შემოწირულისა და სამკუიდროდ მოხსენებულისა დაცილება არავის მართებს აგრე. და ვინცა დაგეცილოს, პირნი და პასუხისა გამცემნი ჩუენ ვართ. და ვირშისა მთისა და მონასტრისა და მისთა შესავალთა, ვითა არვინ ღირსა, ყოვლისაგან კაცისაგან უაჯო არის. და დაღათუ ვისმე შემოტყუვილითა ანუ მამული ანუ გლეხი და ანუ ზღუარი და ყანა და ვენახი დიდი, გინდა მცირე გამოეაჯოს, იგი ყუალა ამა დაწერილითა გაგუიცუდებია და მტკიცე ესეოდენ არის. ამა **ვირშისა სახლისა** ულუფა ძუელითგანვე ჩუენთა მეფეთაგან ამოკუეთილი და გაშუებული არის და მას აქეთ, როგორცა სხუანი მცხეთისა მამულნი, შეუვალნი არიან, აგრეთვე ესე შეუვალად და თარხნად მოგუიხსენებია და არასთანა სათხოვარი არაოდეს ეთხოებოდეს."[161]

როგორც მივითითებდით, ზუსტად ძნელია ვირშას მთის და მონასტრის ადგილმდებარეობის დადგენა, თუმცა, ჩვენი აზრით, იგი პატარა ლიახვის ხეობაში, სოფელ ქორდთან ახლოს, პატარა ლიახვის გაღმა მხარეს მდებარეობდა. ვირშის „შესავალნი" იყვნენ სოფელი ქორდი და „ბადასშვილნი," რომლებიც ვირშასთან ერთად სამეფო ხელისუფლებას კათალიკოს თეოდორესთვის გადაუცია. 1392 წლის გუჯარიდან ჩანს, რომ სოფელი ქორდი საკათალიკოსო მამულებში შედიოდა. ალექსანდრე I-მა ქორდი, ვირშას მონასტერთან ერთად, კვლავ სვეტიცხოვლის საკუთრებაში დატოვა. ვირშას მონასტერი, როგორც ჩანს, სამეფო კარის მხრი-

161 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა და ბაბილინა ლომინაძემ, თბ., 2013, გვ. 171-172.

დან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო, სწორედ ამაზე მეტყველებს ალექსანდრე I-ის სიგელში არსებული ჩანაწერი „ძუელითგან მეფეთაგან შემკობილი აღშენებული და გადიდებული მთა ვირშისა, მონასტერი.“ სავარაუდოდ, ვირშას მთაზე ძველი დროიდანვე სამონასტრო ცხოვრება იყო და სამეფო ხელისუფლება იქ არსებულ მონასტერს დახმარებას უწევდა. აღნიშნული საბუთის გარდა, ვირშას მონასტერი სხვა დოკუმენტებშიც იხსენიება, მაგ.: 1447 წლის ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარის მიხედვით, ალექსანდრე I-ის ძემ, გიორგიმ, სხვა მამულებთან ერთად, საპატრიარქოს ხელახლა დაუმტკიცა მამულები. ამ მამულებში მოხსენიებულია „ვირშა მისითა შესავლითა.“ დოკუმენტში აღნიშნულია: „ესე სულკურთხეულსა მამასა ჩუენსა მეფეთა მეფესა ალექსანდრეს შე[ე]წირნეს თარხნად თავისუფლად და შეუვლად დაემტკიცნეს. აწ ჩუენ ახლად გუჯრითა ამით ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ ყოვლისა სათხოვარისა და გამოსაღებისაგან.“[162] 1559 წლის მონაცემებით, ვირშას მონასტერი კათალიკოსის საკუთრებას წარმოადგენდა. ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში იხსენიება პატარა ლიახვის ხეობაში საპატრიარქოს კუთვნილი ქონება, მათ შორის ვირშაც: „კულბითს სამი საგლეხო: გეგელიშვილი, ლიპარიტაშვილი და მიქლუტაური, ვირშა მისი შესავლითა, წიასწყალთა ერისთვისაგან შემოწირული არჩვაძე[ე]ბი მათითა მამულითა...“[163]

ზემოთ წარმოდგენილ 1431 წლის ალექსანდრე I-ის სიგელში კიდევ ერთი საინტერესო დეტალი გვხვდება: „ამა **ვირშისა სახლისა ულუფა**[164] ძუელითგანვე ჩუენთა მომავალთა მეფეთაგან ამოუკუეთილი და გაშუებულ არის.“ რას ნიშნავს „ვირშისა სახლისა ულუფა.“ ხომ არ არსებობდა ვირშელთა სახლი, ვირშელთა საგვარეულო, რომელიც უკავშირდებოდა ვირშას მთას, ან სოფელ ვირშას? რაკი წყაროებში ამ საგვარეულოს შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება, ძნელია, ვარაუდის გარეშე ვისაუბროთ. საინტერესოა, რომ ქართულ ონომასტიკონში ვირშელი გავრცელებული საკუთარი სახელი იყო. ვირშელი, როგორც საკუთარი სახელი, გვხვდება ქსნის საერისთავოში. XIII-XIV საუკუნეში ქსნის ერისთავთა საგვარეულოში რამდენიმე ვირშელია ცნობილი.[165] სახელი ვირშელი გვხვდება ასევე თირის მონასტრის 1432 წლის სიგელში, სადაც იხსენიება ვირშელ იალღუზისშვილი.[166] ვირშელი გავრცელებული სახელი იყო ჯავახიშვილთა საგვარეულოშიც. 1504-1516 წ.წ. მცხეთის სიგელში იხსენიებიან ჯავახიშვილთა საგვარეულოს წევრები, მათ შორის:

162 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ, III, გვ. 191, დოკ. 29.

163 იქვე, გვ. 265, დოკ. 59.

164 ძველი სამოხელეო თანამდებობების, გადასახადებისა და ზომა-წონის ერთეულების განმარტებები, იხ: ნაშრომის ბოლოს, გვ. 363-365

165 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 26-27.

166 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ, ტ. II, თბ., 2013, გვ. 180.

ვირშელი, გამრეკელი, ქვეშელი. ეს სახელები სადაურობის აღმნიშვნელი გვარებიდან არის ნაწარმოები. ასეთივე ნაწარმოები საკუთარი სახელია მაჩაბელი, რომელიც საკუთარი სახელის ფორმით გვხვდება თირის მონასტრის სამრეკლოს წარწერაში.[167] საკუთარი სახელის ვირშელის გავლენით შემდგომში გაჩნდა გვარი – ვირშელიშვილი.[168] ჩვენს ხელთ არსებული საბუთებიდან, ვირშელაშვილი იხსენიება 1473 წლის სიგელში. ვირშელაშვილები, როგორც ჯავახიშვილთა ყმები, მოხსენიებულნი არიან 1527-1558 წ.წ დათარიღებულ ჯავახიშვილთა გაყრის დოკუმენტში, ისინი ამ დროს ხანდაკში ცხოვრობდნენ.[169] ვირშელაშვილის გარდა ქართულ დოკუმენტურ წყაროებში გვხვდება ვირშელიშვილის გვარი. ვირშელაშვილებისაგან განსხვავებით ვირშელიშვილების საგვარეულო ქვემო ქართლში, კერძოდ, საბარათიანოს სიახლოვეს ცხოვრობდა და ის ფეოდალურ სახლს წარმოადგენდა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს 1670 წლით დათარიღებული „განჩინება შაჰნავაზ მეფისა ბარათაშვილებისა და ვირშელიშვილების სასისხლო საქმეზე“. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ბარათაშვილები და ვირშელიშვილები ერთმანეთს მამულებს ედავებოდნენ. საბოლოოდ, ქართლის მეფემ პაპუნა და შანშე ვირშელიშვილების მამულებიდან რამდენიმე სოფელი, მათ შორის: სოფელი აბანო, ასევე სოფელი სენების თოფრაყალა, ნასოფლარი ბაღჩალარი ყაფლან ბარათაშვილს და მის შვილებს გადასცა.[170]

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ვირშელი“ ძველ ფეოდალურ გვარს წარმოადგენდა, საიდანაც წარმოიქმნა საკუთარი სახელი ვირშელი, ხოლო შემდეგ გაჩნდა გვარები: ვირშელაშვილი და ვირშელიშვილი. აღსანიშნავია, რომ ასეთი პრაქტიკა სხვა ქართულ გვარსახელებშიც გვხვდება. მაგ.: მაჩაბელი მომდინარეობს აჩაბეთიდან. აღნიშნული გვარიდან გაჩნდა საკუთარი სახელი მაჩაბელი, ხოლო შემდეგ წარმოიქმნა გვარი მაჩაბელაშვილი.[171] საფიქრებელია, რომ ვირშელთა გვარი შიდა ქართლში ისეთივე ძველი იყო, როგორც ფხუენელი, ყანჩაელი და სხვ. ასეთ საგვარეულოებს იცნობს „მატიანე ქართლისაჲ“, სადაც, X საუკუნის ამბების გადმოცემისას, ჩამოთვლილია: „აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვილოსელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხუენელნი.“[172] ასეთივე იყო ქართლში ტბელთა საგვარეულო.[173] ჩვენი აზრით, ვირშელთა საგვარეულოს

167 ნ. ანდღულაძე, თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976, გვ. 36.

168 პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. II, გვ. 194.

169 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 40, დოკ. 5.

170 იქვე, გვ. 125-126, დოკ. 65.

171 გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005, გვ. 41.

172 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 268.

173 მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 251. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული

არსებობაზე უნდა მიუთითებდეს ალექსანდრე I-ს მიერ მცხეთისადმი ბოძებულ სიგელში არსებული ჩანაწერი. „ამა **ვირშისა სახლისა** ულუფა ძუელითგანვე ჩუენთა მეფეთაგან ამოკუეთილი და გაშუებული არის.“ აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეში „ძეგლი ერისთავთა“ მოხსენიებული „ვირშელი,“ აკად. ექვთიმე თაყაიშვილს ქსნის ერისთავთა ერთ-ერთ განშტოებად მიაჩნდა, ისევე, როგორც „ლარგველი“ და „ქვენიფნეველი.“ მისი აზრით, ვირშელი ქსნის ერისთავთა მესამე განშტოება იყო, რომელიც ვირშას უკავშირდებოდა. მეცნიერის აზრით, ვირშაში ციხე-სიმაგრე და მონასტერი არსებობდა, ოღონდ მისი ადგილმდებარეობა უცნობი იყო.[174] ქსნის ერისთავთა წინაპრებს რამდენიმე საგვარეულოს უკავშირებდა პლატონ იოსელიანი. მისი დაკვირვებით, ეს საგვარეულოები იყო: ბიბილურები, ბურსელები, ქვენიფნეველები და ვირშელები.[175] დ. გვრიტიშვილი არ იზიარებდა ე. თაყაიშვილის და პ. იოსელიანის მოსაზრებებს და „ძეგლი ერისთავთაში“ მოხსენიებულ ლარგველს და ქვენიფნეველს ქსნის ერისთავთა სხვადასხვა შტოებად კი არა, არამედ ერთი და იგივე პირად მიიჩნევდა.[176] ჩვენი აზრით, უდავოა, რომ ვირშელთა ფეოდალური სახლი, მერმინდელ ქსნის ერისთავთა კუთვნილ ტერიტორიაზე არსებობდა. რაკი ალექსანდრე I-ის სიგელში ვირშის „შესავალნი“ ქორდი და ბადაშვილნი იყო, სავარაუდოდ, იგი პატარა ლიახვის ხეობაში, ქორდის სიახლოვეს მდებარეობდა. ალექსანდრე I-მა კათალიკოს თეოდორეს არამარტო ვირშას მთა და მონასტერი უბოძა, არამედ „მისნი შესავალნი ბადასშვილნი და ქორდი“. ქორდში დღემდე ცხოვრობენ სიგელში მოხსენიებული ბადაშვილები. ბადაშვილთა საგვარეულო ჯინჯიხისძეთა საგვარეულოდან მომდინარეობს და, როგორც ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, ჯინჯიხისძე-ბადაშვილები ვირშის მთავარანგელოზის ტაძრის საგანძურის მცველები ყოფილან. ამას ადასტურებს 1453 წლის მცხეთის სიგელი, სადაც ვკითხულობთ: „...ესე სიგელი მოგახსენეთ თქუენ ვირშის წ˜თა მთავარანგელოზთა მიქელ და გაბრიელს, ქართლისა პატრიარქს დავითს და თქუენთა მკუიდრთა მეგანძურთა სახლისა თქუენისა უხუცესთა ჯინჯიხისძეთა ბადასშვილთა გრიგოლს და შენთა შვილთა ბადასა და ბევროს და შენთა ძმისწულთა შალვას და ივანეს... მე უჯარმელმან (ფავნელმან?), ჩემმა შვილმან შალვამ მას ჟამსა, ოდეს გაგიცვალეთ ჰჯიკას ძესა (უჯიკასძისა) ოქროთა ნასყიდსა და მიქაურსა მამულსა ზედა მოგუახსენეთ (მოგახსენეთ) ქუბეშური (ქუბებური) მამული ჩარეხელას შვილითა გერასიმისძისეული მამული... სახლითა, კარითა..

წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X ს.ს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 172.

174 Э. Такаишвили, Археологические экскурсии, розыскания и заметки, вип. V, Тб., 1915. стр. 77-80; ე. თაყაიშვილი, ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობა, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, 1951, გვ. 4.

175 Пл. Иоселиани, Икортский монастырь в Карталинии, საქართველოს სასულიერო მახარებელი, ნოემბერი, 1865, გვ. 69.

176 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 56.

ჭურითა... მოგუიხსენებია ჩუენ უჯარმელსა ფავანელსა... თქუენ ვირშის თავს წ˜თა მთავარანგელოზთათუის ესე მამული და გლეხნი... არა მოგეშალოს."[177] ხსენებული სიგელი გამოქვეყნებულია თ. ჟორდანიას მიერ, თუმცა, გამოცემულია ამ დოკუმენტის ოდნავ განსხვავებული ვარიანტი, რომელიც დათარიღებულია 1459 წლის 28 ნოემბრით და წარმოადგენს სვეტიცხოვლისადმი ფავნელ უჯარმელის შეწირულობის წიგნს.[178] დოკუმენტში ვკითხულობთ: „ამა ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა, ესე წიგნი და სიგელი სამკუიდრო, სამამულო, მტკიცე და შეუცვალებელი, რასაცა გინდა ჟამთა შლილობა-ქცევა-გამოცვალებასა შიგანცა დაგიწერეთ და მოგ[ა]ხსენეთ თქუენ, ვირშისა წმიდათა მთავარანგელოზთა მიქაელს და გაბრიელს, და ქ[ა]რთლისა პატრიაქსა დ(ავი)თს, და თქუენთა მკუიდრთა მეგანძურთა, სახლისა თქუენისა უხუცესთა, ჯინჯიხისძეთა: ბადას შვილთა გრიგოლს და შენთა შვილთა, ბადასა და ბევროზს, და შენთა ძმისწულთა შალვასა და ივანეს, და თქუენთა მომავალთა ყოველთავე. მე, უჯარმელმან ფავნელმ(ა)ნ და ჩემმან შვილმან შალვა, მას ჟამსა ოდეს დაგიცვალეთ ოჯიკასძესა ოქროთა ნასყიდსა მიქაურსა მამულსა ზედა და მოგ[ა]ჴსენეთ ქუბუშური მამული ჩარუხელისაშვილითა, გერასიმისძისეული მ[ა]მული – და – ტალაკაური, ამილბარასშვილი მამაგულა, სადენურნი ნასახლევნი მისითა ჭურითა და ნავენახხევი, მურყნეველთა ზემოთ ხუითსა ქუემოთ, ფოლოცასა აქათ, გვრგვლივ თექუსმეტისა დღისა მიწა; ბროწლეს* ქუბეშური მამული ველითა,** ვენაჴითა, წყლითა, წისქუილითა ტყითა, სანადიროთა, მთითა, ბ[ა]რითა, საძებრი-

177 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 272.

178 აღსანიშნავია, რომ ფავნელ-უჯარმელები XVI საუკუნის II ნახევარში თმოგველ-უჯარმელ-ფავნელიშვილებად იწერებოდნენ. 1569 წლით დათარიღებულ დოკუმენტში გვხვდება ნიქოზში დამკვიდრებული თმოგველ-უჯარმელ-ფავნელიშვილები. იხ. *ს. კაკაბაძე, თმოგველთა გვარის ისტორიისათვის, ტფ., 1913, გვ. 6-7;* ჩვენი ვარაუდით, XIV საუკუნის ბოლოს ჯავახეთიდან გადმოსახლებული თმოგველები უჯარმაში დამკვიდრდნენ და თმოგველთა საგვარეულოში გვარის მეორე ნაწილი-უჯარმელი გაჩნდა. მოგვიანებით, თმოგველ-უჯარმელები ქართლში, კერძოდ, ფავნისში გადმოსახლდნენ. მათ ფავნელთა ფეოდალური საგვარეულოს ტერიტორია დაიკავეს და თმოგველ-უჯარმელ-ფავნელებად იწოდნენ. *იხ. გ. სოსიაშვილი, საქართველოს წარჩინებულ გვართა ისტორიიდან, თბ., 2008, გვ. 38. მისივე, ფავლენიშვილთა წარმომავლობის საკითხისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, 2019, XV, გვ. 232-248.*

* იგულისხმება სოფელი ბროწლეთი. *ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 180-181, დოკ. 181.*

** დოკუმენტში ინტერესს იწვევს „ქუბეშური მამული," შესაძლებელია, ქუბეშური გვარის აღმნიშვნელი იყოს. შდრ: 1432 წლის თირის მონასტრის სიგელში გვხვდება „ლალური," რაც ცხინვალში მცხოვრებ ლალასძეების კუთვნილ მამულს აღნიშნავდა. იხ. *გ. სოსიაშვილი, თირის მონასტრის 1432 წლის სიგელი და თავხელისძეთა საგვარეულო, „ანალები," 2015, №11, გვ. 168.*

თა და უძებრითა, საყდრითა წილითა, სასაფლაოთა, ყოვლითურთ უნ-აკლულოდ. აგრევე – გერასიმისძისეული მამული მისითა მიმდგომითა ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა, ბ[ა]რითა, სახმრითა და უხმრითა, საძებრითა და უძებრითა, შესავლ-ითა და გამოსავლითა, ყოვლითურთ უნაკლულოდ. აგრევე სადუნურ-ნი ნას[ა]ხლევნი მისითა [მზღურითა] და ნავენაჭევი; აგრევე ბროწლეს თექუსმეტის დღისა მიწა მოგუიხხსენებია, ჩუენ, უჯარმელსა ფავნელ-სა და ჩემსა შვილსა შალვ[ა],ს, თქუენ, ვირშის თავს წმიდათა მთა-ვარანგელოზთათუის... რხუითს მთავარანგელოზთა მკუიდრი მამული მთავარანგელოზთავე დარჩეს უსარჩლელად ყოვლის ადამის ტომისა კაცის[ა]გან."[179] როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ვირშას მთავარანგე-ლოზის ტაძარი ქართლის კათალიკოსს დავითს ექვემდებარებოდა. მონ-ასტერს დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში თავისი მამულე-ბი ჰქონდა. აქ ნახსენები „მკუიდრთა მეგანძურთა," უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ჯინჯიხისძე-ბადაშვილებს ვირშის მთავარანგელოზის სა-განძური ძველი დროიდან ჰქონდათ ჩაბარებული. ბადაშვილები შედარე-ბით გვიანდელ დოკუმენტურ წყაროებში კათალიკოსის ყმები იყვნენ. 1694 წლის დოკუმენტის თანახმად, ნიკოლოზ კათალიკოსმა გიორგი გედევანიშვილს ქორდში მცხოვრები ბადაშვილების მამული გადასცა.[180] უფრო გვიანდელი პერიოდის დოკუმენტით დასტურდება ადგილის სა-ხელწოდება „ბადაანი." ანტონ I კათალიკოსმა გიორგი გედევანიშვილს უბოძა „ჩვენის ეკლესიის ყმების მოურავობა, ბადაანისა და ხოდელ-ისა"[181] (ამაზე ვრცლად ქვემოდ შევჩერდებით).

ნიკოლოზ კათალიკოზის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ 1687 წლით დათარიღებული სიგელში, სადაც საუბარია კათალიკოსის მიერ სვეტიცხოვლისადმი გაწეულ ღვაწლზე, აღნიშნულია, რომ „კიდევე ნა-სოფლარი ბადანი ავაშენე."[182] როგორც ჩანს, ვირშის მონასტერს ეკუთვ-ნოდა „შესავალნი ქორდი და ბადასშვილნი," ანუ ბადასშვილების მამუ-ლი (სავარაუდოდ, მცირე სოფელი), არ არის გამორიცხული, რომ ვირ-შას მონასტერი დისევ-კულბითთან, ორბოძალას მთის ძირში არსებულ „ნაქალაქევთან" ახლოს მდებარეობდა. აქ, სავარაუდოდ, ძველ დროში ქალაქური ტიპის დასახლება იყო. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს ადგი-ლის სახელწოდება. „ნაქალაქევთან" ახლოს არის მთავარანგელოზთა სახელზე აგებული ეკლესია. როგორც ს. მაკალათია აღნიშნავს: „ამავე სოფელში (კულბითში, – გ. ს.), ქედის გადაღმა, ორბოძალას მთის ძირში, არის ადგილი „ნაქალაქევი," რომელიც ერისთავს (ქსნის ერისთავს, – გ. ს.) ეკუთვნოდა, აქვეა ეკლესიაც, სადაც დღეობა „მიქელგაბრიელობა"

179 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, შეადგინეს თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, თბ., 2014, გვ. 96-97.

180 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 603-604, დოკ. 159.

181 გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 78.

182 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 592, დოკ. 149.

იცოდნენ.“[183] ზემოთ წარმოდგენილ 1459 წლის ფავნელ უჯარმელის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ შეწირულობის სიგელიდან ჩანს, რომ ვირშას მონასტერი გაბრიელ და მიქაელ მთავარანგელოზების სახელობის იყო. ამიტომ არ გამოვრიცხავთ, რომ სწორედ „ნაქალაქევის“ ტერიტორიაზე არსებული ეს ეკლესია იყო დოკუმენტებში მოხსენიებული ვირშას მონასტერი, რომელმაც შემდეგ თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა და იგი პატარა ლიახვის ხეობაში სხვა ფეოდალური საგვარეულოების მიერ აგებულმა სალოცავებმა ჩაანაცვლეს. როგორც ჩანს, აღნიშნულ ტერიტორიაზე პირველობისთვის რამდენიმე ფეოდალური სახლი ერთმანეთს ებრძოდა და ვირშელთა სახლი ამ ბრძოლებს შეეწირა. ისინი, სავარაუდოდ, ქვენიფნეველებმა დაამარცხეს და პირველობა ჩამოართვეს. ვირშელთა ქონება სამეფო ხელისუფლების საკუთრება გახდა. ვირშის მთავარანგელოზის „მეგანძურნი“ ჯინჯიხასძე-ბადასშვილები, მათი დასახლების (ან სოფლის) ნასოფლარად ქცევის შემდეგ, ქორდში გადმოსახლდნენ. როგორც აღვნიშნეთ, მოგვიანებით ნიკოლოზ კათალიკოსმა „ბადანი,“ იგივე ბადაანი ხელახლა მოაშენა და სვეტიცხოველს გადასცა.[184] უფრო გვიან, XVIII საუკუნეში, აქ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული ოსები დამკვიდრდნენ. ბადაანში ჩამოსახლებული ოსების მოურავობა ანტონ კათალიკოსმა გიორგი გედევანიშვილს ჩააბარა. ამას უნდა ადასტურებდეს სიტყვები: „ჩვენის ეკლესიის ყმების ოსების მოურაობა ბადაანისა და ხოდელისა.“

გაურკვეველია, სად მდებარეობდა ხოდელი, სავარაუდოდ, ისიც პატარა ლიახვის ხეობაში, ბადაანთან ახლოს იქნებოდა. ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში იხსენიება „ვირშის თავი.“ როგორც ჩანს, ვირშა ორად იყოფოდა, არსებობდა სოფელი ვირშა და ასევე ვირშას თავი, სადაც მთავარანგელოზის ტაძარი მდებარეობდა. ისევე, როგორც არსებობდა სოფელი გერი და გერისთავი.[185] ტოპონიმ ვირშას არსებობას სხვა არაერთი დოკუმენტიც ადასტურებს. როგორც მივუთითებდით, XVII საუკუნის ერთ-ერთ საბუთში გვხვდება „ვირშას წყალი.“[186]

პატარა ლიახვის ხეობაში საეკლესიო მამულების არსებობა სხვა არაერთი ისტორიული დოკუმენტით დასტურდება. 1447 წლის 25 დეკემბრით არის დათარიღებული შეუვალობის სიგელი გიორგი მეფისა სვეტიცხოვლისადმი, საიდანაც ჩანს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში თავისი გლეხები ჰყავდა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქვეში მისითა მზღვრითა; ჭინჭველისძე მისითა

183 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 67.

184 იხ. გ. სოსიაშვილი, ლიახვის ხეობის ნასოფლარები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, 2016, №10, გვ. 150.

185 იხ. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 88; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 520.

186 თ. ჟორდანია, ქრონიკები, თ. II, გვ. 494.

მამულითა; ჭარებელისძე* მისითა მამულითა; კულბითს სამი საგლეხო; გაგელისშვილისა, ლიპარტისშვილი** და მიქლუტაური;*** სათიჭარი ნასოფლარი მისითა მზღურითა; ზაკუი მისითა მზღურითა; ვირშა მისითა შესავლითა."[187] იგივე მამულები მოხსენიებულია 1447 წლის ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში.[188] საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ ეკლესიისათვის პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში მამულების გადაცემის ფაქტს უფრო ადრინდელ წყაროებშიც ვხვდებით. აღსანიშნავია, რომ დისევში მცხოვრებ ოქროპირიძეებში შემონახული ყოფილა სიგელი (მათივე ინფორმაციით, მცხეთის სიონის არქივში დაცული სიგელის პირი), რომლის მიხედვითაც, დავით მეფემ (ოქროპირიძეთა გვარში არსებული გადმოცემით, სიგელი დავით აღმაშენებლის მიერ არის გაცემული) სოფელი დისევი და იქ მცხოვრები ოქროპირიძენი სვეტიცხოველს შესწირა. სიგელის ასლი სასულიერო პირმა ალ. ოქროპირიძემ პროფ. ი. მეგრელიძეს გააცნო. დოკუმენტი ი. მეგრელიძემ გამოაქვეყნა: „ქ. ნებითა ღვთისათა ჩვენ მეფეთ მეფემ აფხაზეთისათა აღმოსავლ-დასავლამდე მპყრობელ პატრონმა ჴელმწიფემან დავით და ძემან-ჩემან დიმიტრიმან ესე მტკიცე და უცილებელი შემოწირულობისა სიგელი მოგახსენეთ თქუენ ცათა სწორსა სასოსა ჩვენსა სვეტიცხოველსა და მას შინა აღმართებულსა და კვართსა საუფლოსა და მირონსა წმიდასა შემოგწირეთ სოფელი დისევი თავის სამართლიანის სამზღვრებით(.) ასე მოგვეხსენება და შემოგვიწირავს საქარე გზამდისინ, წურბელთ წყარომდისინ და სათიბის წვერამდისინ, ღრმა გზამდისინ ბერიჯვრის წვერამდისინ და სათივის წვერამდისინ საოსო გასაყარ გზამდისინ, იქით საიკორთო გზამდისინ, გახვრეტილ ქვამდისინ, სასადილო წყალმდისინ, ფურთსადმგომამდისინ, წითელ კოშკამდისინ, ნასერლები, ჩხოკურის წყლამდისინ(,) მრგვლივ ტყემდისინ და ტბამდისინ, კვირაცხოვლის გზა-

* ჭარებელისძეთა გვარი უნდა უკავშირდებოდეს პატარა ლიახვის ხეობაში სოფელ ქსუისთან ახლოს პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე არსებულ სოფელ ჭარებს. ეს გვარი იხსენიება 1532-1534 წწ. დათარიღებულ მცხეთის დაკარგული მამულების ნუსხაში. როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, ამ დროისთვის, სხვა ქონებასთან ერთად, საპატრიარქოს ეკუთვნოდა ჭარებლისძის მამული. *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 137.* მოგვიანებით, 1559 წელს, სიმონ I-მა სვეტიცხოველს შეწირულობის სიგელი განუახლა და „ჭარებელისძე მისითა მამულითა" გადასცა. *იქვე, გვ. 244.* არ გამოვრიცხავთ, რომ ჭარებელისძე-ჭარებლისძე პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ ჩვენთვის უცნობ ფეოდალურ გვარს ჭარებელს უკავშირდებოდეს (ასეთივე წარმომავლობის გვარებია: ფხვენელი, კორინთელი, ქვეშელი) შესაძლოა, ამ გვარის ერთ-ერთი განაყოფი ჭარებლისძე, მოგვიანებით, თავისი მამულით, ეკლესიის საკუთრება გახდა.

** ლიპარტიშვილთა გვარი პატარა ლიახვის ხეობის სოფელ კარბში იხსენიება XVIII საუკუნის II ნახევრის დავთარში. *იხ. ა. თაბუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.*

*** მიქლუტაური გვართან დაკავშირებული ტოპონიმი უნდა იყოს, ისევე როგორც ამავე დოკუმენტში მოხსენიებული ტოპონიმები: ქოჩიბაგაური, გულიაური და აყუშური.

187 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, გვ. 40.

188 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 191.

მდისინ და ნაცარყანახევამდისინ, ზეით გზამდისინ და ქვევით შარამდისინ, ეს სოფელი დისევი მრგვლივ სამზღვრით შემოგვიწირამს ყოველის კაცის უცილებლად და ულაპარაკოდ ჭელშეუშლელად მოგვირთმევია და კაცნი შემოგვიწირამს კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი მოსახლენი დავით და ნიკოლოზ და მალიაძე დემეტრე ესენი თავისის მთითა, ბარითა, აბილახტაური* თავის საწისქჯლოთი... დაიწერა ჭელითა მღვდელმონაზვნის ეგნატისათა, თვესა აპრილსა იგ ქკნ [ს] სდ(,) ხელჩართული ესე არს. დავით მეფე ვამტკიცებ(.). ნებისათა ღვთისათა ჩვენ ყოველის საქართველოს პატრონმა, მეფის ირაკლის მეორის ძემან ანტონი დავით მკვიდრისამან გარდავაწერინე წიგნი ესე წ(ინაშ)ე ჩვენისა სიონის დეკანოზის იოვანეს უმეტნაკლებოდ, რომელისაცა მკვიდრი ჩვენა გვაქვს."[189]

დისევისადმი დავით მეფის მიერ შეწირული დოკუმენტი გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას. დოკუმენტში დავით მეფე და მისი ძე დემეტრე სოფელ დისევს სვეტიცხოველს წირავენ, ოღონდ, ზემოთ წარმოდგენილი სიგელისგან განსხვავებით, ჟორდანიასეულ რედაქციაში იხსენიება კათალიკოსი დოროთეოსი და არა დოსითეოსი. თ. ჟორდანია ამ სიგელს 1516 წლით ათარიღებს. სიგელის თ. ჟორდანიასეულ რედაქციაში ვკითხულობთ: „ჩუენ მეფეთ-მეფემან... დ˜თ და ძემან ჩ˜ნმან დიმიტრი ესე მტკიცე სიგელი... შემოგწირეთ სოფელი დისევი... თქუენ სუეტსა ცხოველსა და ქ˜ზს დოროთეოს(ს)... თვესა აპრილსა :იგ:ქ˜კს:სდ"[190]

იგივე სიგელი გამოაქვეყნა ასევე მ. სურგულაძემ. როგორც მკვლევარი მიუთითებს, დოკუმენტი XX საუკუნის დასაწყისში ს. კაკაბაძეს გადაუწერია[191] და თარიღდება 1516 წლის 13 აპრილით. მ. სურგულაძის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში იხსენიება კათალიკოსი დოროთეოსი: „ესე ასრე მოგვიხსენებია და შემოგვიწირავს თქვენ, სვეტსა ცხოველსა და ქათალიკოზს დოროთეოს[ს]. შეიწირე მცირე ესე შესაწირავი და ნაცვალ გვაგე დღესა მას განკითხვისასა. და რომელმანცა ამის შლად ხელყოს, რისხავს ღ(მერ)თი და ყოველნი მისნი წმიდანი და სვეტი ცხოველი, და ჩუენთა ცოდვათა მიერ განიკითხვის დღესა მას განკითხვისასა. ხოლო დამამატკიცებელი ამისი ღ(მერ)თ(მა)ნ აკურთხოს. დაიწერა ჭელითა მღვდელმოლოზნის ეგნატისითა, თვესა აპრილსა იგ, ქ(ორონი)კ(ონ)სა სდ.

* მამულის სახელწოდება აბილახტაური, აბულახტარისძეთა საგვარეულოსთან უნდა იყოს დაკავშირებული, ეს გვარი გვხვდება 1433 წლით დათარიღებულ დოკუმენტში. აბულახტარისძეები, როგორც ირკვევა, ქვეშს ფლობდნენ, რომელიც შემდეგ ზედგინიძეებმა დაისაკუთრეს. *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, გვ. 187.* გვარებიდან მამულების ასეთივე სახელწოდებები სხვაც არაერთი გვხვდება დოკუმენტურ წყაროებში. მაგ.: საღირაული, ბაღვერაული. *იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 475.*

189 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 30-31.

190 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 334.

191 იხ. С. Какабадзе, Грузинские документы IX-XV вв. в собрании Ленинградского отделения института востоковедения АН СССР, Перевод и коментарии С. С. Какабадзе, изд. „Наука," Москва, 1982, № 35, 75.

დავით მეფე ვამტკიცებ, ნებითა ღვთისათა.“[192]

სიგელში ბევრი საინტერესო ტოპონიმი გვხვდება, მაგ: ჩხოკურის წყალი, სასადილო წყალი, წურბლის წყარო... დოკუმენტში მოხსენიებული ოქროპირიძეთა გვარი დისევში ყველაზე გავრცელებული გვარია. ამ სოფელში ცხოვრობდნენ ასევე მალიაძეები. ამას ადასტურებს სოფლის აღმოსავლეთით შემორჩენილი სახნავი მინდვრის სახელწოდება „მალიაანთეულები.“[193]

ოქროპირიძეთა სიგელში დაინტერესებას იწვევს ჩანაწერი „საოსო გასაყარ გზამდისინ.“ „საოსო გზა“ ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართლის ბარის სოფლებში პატარა ლიახვის და ქსნის ხეობაში მომავალი გზა უნდა ყოფილიყო. დავით აღმაშენებლის მმართველობის პერიოდში დისევის სიახლოვეს „საოსო გზის“ არსებობა უნდა გამოვრიცხოთ. როდესაც დავით აღმაშენებელმა ყივჩაღთა ლაშქრის გადმოყვანის ღონისძიება დაგეგმა, ყივჩაღებმა ოსებისაგან მშვიდობიანი გზის მიცემა ითხოვეს. დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს: „მისთჳსცა ბრძანა მეფემან წარსვლა ოვსეთს, და სიტყუასავე თანა წარემართა და თანაწარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართ-უხუცესი თჳსი... შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი... და აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი.“[194]

დავითის მეფობის პერიოდში, როგორც ვნახეთ, გავრცელებული იყო ტერმინები, „ოვსეთი“ და „ოვსთა,“ ზემოთ წარმოდგენილ სიგელში ნახსენები „საოსო,“ უფრო გვიანდელი უნდა იყოს. სიგელი, სავარაუდოდ, ქართლის მეფის დავით X-ის (1505-1525 წ.წ.) მიერ უნდა იყო გაცემული. დოკუმენტში მოხსენიებულია დემეტრე ბატონიშვილი. დავით X-ეს 3 ქალიშვილი და 5 ვაჟი ჰყავდა, აქედან ერთ-ერთი დემეტრე იყო. რაც შეეხება საბუთში ნახსენებ კათალიკოს დოროთეოსს, იგი საისტორიო წყაროებიდან ცნობილი დოროთეოს II-ა (1503-1505 წ.წ.). ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში მოხსენიებული „საოსო გზა,“ სავარაუდოდ, გზის ერთ-ერთი მონაკვეთი იყო, რომელიც დისევიდან ვანათს უკავშირდებოდა, აქედან კი შესაძლებელი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლა, ამ გზას, როგორც ჩანს, დავით X-ის დროს ოსებთან დასაკავშირებლად იყენებდნენ.

XVI საუკუნის პირველ ნახევარში მართლმადიდებელი ეკლესია პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში ფლობდა ქონებას, თუმცა, 1529-1530 წ.წ სიგელში (თ. ჟორდანიას ვარაუდით, დოკუმენტი ბასილი კათალიკოსის დროს არის შედგენილი. ამის შესახებ განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს, იხ: ქვემოთ – სათიხარი), პატარა ლიახვის ხეობა-

192 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 52-53.

193 ნ. ოთინაშვილი, ლიახვის ხეობის ონომასტიკა, თბ., 2002, გვ. 212.

194 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 336.

ში კათალიკოსის კუთვნილი ყმა-გლეხები დაკარგულად იხსენიება: „აქუს რატიშვილს წირი... კორინთელს ველური...* ამილახორს თაჯუაშვილები... ზემო-ერისთავსა ქუეში და სათივარი** და ქორდი... აქუს ვაჩნაძესა წოლდი, ფავნელიშვილსა ზაკჯ და ერედუს გლეხები... კიდე კუნელთ სამზღუარშიგა ბატონმა ბაგრატ სოფელი ააშენა და თეკენა დაარქუა."[195] როგორც ჩანს, გარკვეული პერიოდი ეკლესიის კუთვნილი ქონება სხვასხვა ფეოდალურ საგვარეულოს ჰქონდა მითვისებული.

XVI საუკუნის პირველი ნახევარში პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთი სოფელი ლევან კახთა მეფემ ქართლის მთავარეპისკოპოს მალაქიას შეწირა. როგორც ცნობილია, ერთიანი საქართველოს უკანასკნელმა მეფემ – გიორგი VIII-მ საფუძველი ჩაუყარა კახეთის სამეფოს. ქართლის სამეფომ დამოუკიდებლად დაიწყო არსებობა, თუმცა, კახთა მეფეები XV-XVI საუკუნეებში ქართლის ტერიტორიაზე გარკვეულ უფლებებს ინარჩუნებდნენ, მათ შიდა ქართლში თავიანთი მამულებიც ჰქონდათ. გარდა ამისა, კახეთის მესვეურთა გავლენა ვრცელდებოდა ქართლის საკათალიკოსოს ადმინისტრაციული აპარატის წარმომადგენლებზე – „მცხეთიშვილებზე," კერძოდ კი „ქადაგებზე." კახთა მეფეებს (როგორც ჩანს, მათ ეს პრივილეგია გიორგი VIII-საგან გადაეცათ) „სამცხეთისშვილო წილის" განკარგვა და „ქადაგის" დანიშვნაც შეეძლოთ.[196] ამ მხრივ, ძალზე საყურადღებოა 1527-1532 წწ. ლევან I კახთა მეფის მიერ გაცემული საბუთი: „ქ. სასოო ჩუენო მარკოზ და ყარსლან! ჩუენ მაგიერად პატრონსა ქართლისა მ˜ზსა (მთავარეპისკოპოსსა) მალაქიას ასრეთ მოაკსენეთ: მცხეთისა საყდრისა და კ˜ზისა საქმესა ეგენი დახუდეს და, რაც ჩუენისა შვილისა ჭელთ იყო და ანუ ვისმე ქონდა, ყუელა უკლებად მივაბარე და ჩუენი შვილი სამუქფოთა გავიჯერეთ და გარეჯისა უდაბნონი საყდარს მოვახხსენეთ, ასე რომ, კ˜ზმან მართლად მოიკლოს და უდაბნოთა ძუელითაგან გაჩენილი არა მოაკლდეს და არცა გარეჯით მცხეთას მივიდოდეს: მასზედა აღაპნი არიან გაჩენილნი, იგი ტრაპეზსა არ დააკლდეს, და გარეჯის ხატნი და ნაწილნი იქვე მათსავე საბრძანისსავე ზედა მიასვენონ. სხუა ჩუენი ჭელი არა შევა ლაშქრობისა და ნადირობისა (და) მალისა (მეტი?); და თუ გავიაროთ, ძღუენითა დაგუხუდებოდენ. აგრეეე სხუანი საღაპონი (sic:) მამულ-

* ამ სახელით სოფელი იხსენიება 1559 წლის ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში: „ზერტი მისითა მზღურითა, ლეხონი და მამულნი არიან, მათითა მზღურითა, ველური სოფელი მისითა მზღურითა." *ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 265, დოკ. 59.*

** ჩვენი აზრით, უნდა ეწეროს სათიხარი.

195 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 373.

196 გ. სოსიაშვილი, კახთა მეფეები და მცხეთის „ქადაგები," (XV-XVI ს.ს.) ჟურნ. „ანალები," 2016, № 12, გვ. 205-224; გ. სოსიაშვილი, მაღალაძეთა საგვარეულოს ისტორიიდან (XVსაუკუნის II ნახევარი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ქართველოლოგია: წარსული, აწმყო, მომავალი, პროგრამა და თეზისები, თბ., 2016, გვ. 36-37.

ნი მოგვიხსენებია და ტრაპეზსა მისი ნუ მოაკლდების. ამაზედ მომკლებად (მომჭრებად?) საღმრთონი კაცნი უჩინეთ და ჩუენი საუკუნო საქმე ნუ მოგუაკლდების. ამას გარეთ რანიცა მცხეთას მონასტერნი არიან აქეთ და მანდით, იგიც მოიკლონ: ჯუარისა მონასტერი მისითა შესავლითა, მეტეხთ მონასტერი მისითა შესავლითა, ქადაგის მონასტერი მისითა საჭელოთა და შესავლითა, სარკისა და ვირშისა მონასტერი მისითა შესავლითა; და **რაც პაპისა ჩუენისა სამწირველო არის აქეთ,** იმას ჩუენ მოვიკლებთ და მაზედა მწირველსა დავაყენებთ. ქადაგის საქმე აქაც გაუტყდით, ჩუენი მინდობილი არის და საავკაცოდ არვის დავანებებთ და არცა მცხეთით არ გამოვიყუან (ე.ი ამ მოხელეს მე თჳთ დავნიშნავო, მცხეთით ნუ მიგზავნიანო და არცა სად გაუშვებთ. და რაცა ჩუენგან მცხეთის საყდრის საჭელო აბარია, არცა იმას წაუღებთ. როგორც მცხეთისა საყდარი არა მოიშლების, აგრევე **ქადაგისა**, მონასტერსა და საჭელოსა არ მოვშლი. – სოფელი ახალშენი შემოწირული არის ასრე რომე საყდარსა ემსახუროს და მისი გამოსავალი ჩუენ გულისთჳს წაიგებოდეს. აბრეშუმი რაც გამოვგზავნეთ, უკლებად შეგვინახონ: კალატოზთათუის მოგუინდების. აგრევე აქაური პური და ღჳნო.“[197]

შიდა ქართლში, კერძოდ, პატარა ლიახვის ხეობაში, კახთა მეფემ ლევანმა, 1532-1548 წლებში დაწერილი სიგელის თანახმად, კათალიკოს მალაქიას* უბოძა ყმები და მამულები: „კათოლიკე ეკლესიასა და თ˜ქნსა საჭეთმპყრობელსა... კ˜ზსა პატრიარქსა მალაქიას (მოგახსენე) ტფილისის ქალაქს მეტეხთა მონასტერი წინამძღურითა და მეტეხლითა ხელ-შეუვალად, ქორდს ყანდიაშვილი... მამულითა, თრიალეთს სოფელი ეძანი... უკანა ბეშქენაშენი, ერთი ვაჭარი გორს და ერთი ქალაქს... მეფობისა ჩ˜ნისა წარსამართებელად... სხუა რაც ჟამთა-ვითარებისაგან ძუელნი შეწირულნი და გაჩენილნი მოშლილ იყუნეს, თ˜ქნგან წყალობად გომნი ნასიძესა ჰბოძებოდეს ამითა ემსახური(უმსახური), ჩ˜ნ ჯავახიშვილს როინს და ელიზბარს აღარა გამოვართვთ გომნი და გემსახუროს ასე რომე ერთი მის სახლისა არ გაგეყაროს (და სხ.) (არა გეთხოვებოდეს რა) სათათროსა

197 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 370.

* ქართლის მთავარეპისკოპოსი მალაქია, რომელსაც შეწირულობის სიგელი გადაეცა, შემდეგში, ლევან კახთა მეფის დახმარებით, ქართლის კათალიკოსი გახდა. თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ 1532 წლის მცხეთის სიგელში აღნიშნულია: „ქ. ჩ˜ნ ღვთივ გვრგვნოსანმან მეფეთ მეფემან პატრონმან ლევან დედამან ჩ˜ნმან დედოფალთ დედ˜ფლმან ელენე და თანამეცხედრემან ჩ-ნმან დედოფალმან თინათინ და ძეთა ჩ˜ნთა გ˜ი და იესე ესე... წიგნი... მოგაჴსენეთ (მცხეთას) და წ˜ა მეუფესა და შესავედრებელსა სულისა ჩ˜ნისასა, ზეცისა კაცსა და ქ˜ყანისა ანგელოზსა, დიდსა მამათმთავართ-მთავარსა ქართლისა კთ-ლიკოზს პატრიარქს მალაქიას მას ჟამსა, ოდეს მცხეთის საქმე შემცირებულ იყო, იპრიანა ღ˜ნ ნებითა და შეწევნითა ღ˜თისათა და კათალიკოსად დაგადგინეთ და მოგაჴსენეთ, რაიცა სულ˜კურთხეულთა ღვთივგჳრგჳნოსანთა პატრონთა პაპათა და მამათა ჩ˜თაგან განთავისუფლებულნი და შემოწირულნი სოფლები და მამულნი იყუნეს მთას ანუ ბარს.“ *თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 375.* ხოლო, უფრო მოგვიანებით, 1561 წელს, კათალიკოსის ტახტი ლევანის ძემ ნიკოლოზმა დაიკავა.

საურსა გარეთ, ეზროშვილი ვირშელი წინუბნით.“[198]

საინტერესოა, რა უფლებებით სარგებლობდა ლევან I კახთა მეფე შიდა ქართლში არსებულ მამულებზე. ამის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის 1537 წელს შედგენილი „წყალობის წიგნი ბასილ კათალიკოზისა გიორგი ჭარმაულისადმი.“ ქართლის კათალიკოსმა ბასილმა „მცხეთის შვილებს,“ ჭარმაულებს, გიორგის, მის შვილს ავთანდილს და მის ძმებს გრიგოლს და აბიათარს სოფელი ხატისწობენი სიგელით დაუმტკიცა. დოკუმენტში აღნიშნულია: „და ჩუენცა სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ და მოგეცით სოფელი ხატისწობენი მისითა შესავლითა, და რარიგადცა პატრონმან [მეფემან ლეონ] დაგიმტკიცა და გიბოძა.“[199] ხატისწობენი რომ ჭარმაულების საკუთრება იყო, დასტურდება 1505 წლის დოკუმენტით. ეს სოფელი კონსტანტინე მეფემ და შიო კათალიკოსმა ივანე ჭარმაულს უბოძეს.[200] ხატისწობენზე XVI საუკუნის II ნახევარშიც კახთა მეფეებს მიუწვდებოდათ ხელი. ეს ჩანს 1579 წლის დოკუმენტით, რომლის თანახმადაც, ალექსანდრე II-მ ხსენებული სოფელი სვეტიცხოველს დაუმტკიცა.[201]

ლევან კახთა მეფე შიდა ქართლთან მიმართებაში კიდევ ერთ დოკუმენტში იხსენიება. ეს არის 1562-1565 წ.წ დათარიღებული „წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა გედეონ მაღალაძისადმი.“ როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ნიკოლოზ კათალიკოზმა მაღალასძე გედეონს, მის ძეს – რომანოზს და ძმისწულებს დავითს და ნიკოლოზს სოფელ ნიაბსში* უბოძა კანაჩისძის გივისეული მამული, რომელიც მანამდე მაღალასძეებს სიმონ მეფის მიერ ჰქონდათ ნაწყალობევი. დოკუმენტიდან ჩანს, რომ გედეონ მაღალასძეს თავისი ძის – მომავალი კათალიკოსის, ნიკოლოზის, აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ლევან მეფე დიდად სწყალობდა, ამის შესახებ ნიკოლოზ კათალიკოსი წერს: „ხოლო შენ მიერ განსწავლულ ვიქმენ კითხვასა ღმრთივ-სულიერთა წიგნთასა და გალობასა ანგელოზებრივსა, რომელ აღწევნულ ვიქმენ თავსა სრულებისასა ვიდრე რიტორობად და ღრ[ა]მატიკოსობად და მამამან ჩემმან დიდმან მეფემან ლეონ დიდად პატივგცა კეთილად აღზრდისა ჩემისათვს და მრავალნი საფასენი მოგანიჭნა ცხორებასა შინა თვსსა.“[202] კათალიკოზ ნიკოლოზის აღზრდაში და მის განსწავლაში ქადაგ გედეონ მაღალასძეს დიდი წვლილი შეუტანია. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში მოხსენიებული ქადაგის – გედეონ მაღალასძის მამა – რომანოზ მაღალასძეც მცხეთის ქა-

198 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 376.

199 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 253, დოკ. 50.

200 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD-საბ. 14681;

201 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd-464; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I, (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით) გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964, გვ. 271.

* სოფელი ნიაბი კასპის რაიონში მდებარეობს.

202 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 273, დოკ. 63.

დაგი იყო,[203] რომლისთვისაც 1542 წელს კათალიკოს თეოდოსს მცხეთაში მჭედლისშვილი იოვანესეული სახლ-კარი და მამული უბოძებია, ხოლო დიღუამში კი მზევასძისეული ვენახი.

ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის 1559 წლის გუჯარის მიხედვით, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში ეკლესიის საკუთრებაში შემდეგი მამულები იყო: „ტირძნისს გელდიაშვილი, გუდაძე, უტიძე და ფილიპაშვილნი მათითა მამულითა, ზემო მეღვრეკის ერთი მრთელი მამული საგლეხო, ცოტა მეღვრეკისი** ნასოფლარი მისითა სამართლიანითა მზღურითა, ერეთს ორი კუამლი კაცი გაბრიელაი და მისი განაყოფი, მათითა მამულითა, სოფელი ქორდი მისითა მზღურითა, ზაკუი მისითა მზღურითა, სათიხარი მისითა მზღურითა, სოფელი დისევი და მონასტერი მისითა შესავლითა და მზღურითა, ფლავს მრუვლისშვილი მისითა მონასტრითა და მამულითა, ჭინჭველიძე მისითა მამულითა, ჭარეველიძე მისითა მამულითა, ცალყუელიძე მისითა მამულითა, კულბითს სამი საგლეხო: გეგელიშვილი, ლიპარიტაშვილი და მიქლუტაური, ვირშა მისითა შესავლითა, წიასწყალთა ერისთვისაგან შემოწირული არჩვაძეები მათი მამულითა.“[204] ამ დოკუმენტის თანახმად, პატარა ლიახვის ხეობაში საპატრიარქოს სოფელ ერედვში ორი კომლი (დოკუმენტში დამახინჯებით წერია ერეთი, ჩვენი აზრით, უნდა ეწეროს ან ერედვი, ან მერეთი), ეკუთვნოდა, სოფელ ტირძნისში – ოთხი კომლი, სოფელ კულბითში სამი კომლი, ეკლესიის სოფლები იყო: ქორდი, ზაკჷ (ზაკუი), სათიხარი, ვირშა.

1559 წელს, სიმონ I-მა სვეტიცხოველს შეწირულობის სიგელი განუახლა. დოკუმენტში ჩამოთვლილია პატარა ლიახვის ხეობაში არსებული მცხეთის მამულებიც, მათ შორის: „ვირშა მისითა შესავლითა წიას-წყლითა ერისთვისგან შეწირული...“[205] როგორც მივუთითებდით, წიასწყალი ქორდთან ახლოს მდებარეობდა, დოკუმენტების მიხედვით, იქ ცხოვროდნენ არჩვაძეები. ირკვევა, რომ წიასწყალი თავის დროზე ქსნის ერისთავებს ვირშას მონასტრისათვის შეუწირავთ, სიმონ I-ის ზემოთ მითითებული სიგელის დროს იგი სწორედ ამ მონასტრის „შესავალს“ წარმოადგენდა და მთელი ეს ქონება სვეტიცხოველს ეკუთვნოდა. 1574 წლის 14 მარტით დათარიღებული წყალობის წიგნის თანახმად, ქართლის კათალიკოსმა ნიკოლოზმა სოფელ ყურისუბნის სანაცვლოდ ვახტანგ ბატონიშვილს რამდენიმე სოფელი გადასცა, მათ შორის, ვირშაც. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, კითხვითა, მოწმობითა და ბრძანებითა მეფისა პატრონისა სუიმეონისითა და დედოფლისა პატრონისა ნესტანდარეჯანისითა ჩუენ, ქართლის კათალიკოზ-პატრიაქმან ნიკო-

203 მაღალასძეთა ოჯახის წევრები ამ დოკუმენტში იხსენიებიან, როგორც „მცხეთის შვილნი.“

** ზოგიერთ დოკუმენტში გვხვდება „პატარა მეღვრეკისი“. *იხ. გ. სოსიაშვილი, ლიახვის ხეობის ნასოფლარები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №10, 2016, გვ. 154.*

204 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 265, დოკ. 59.

205 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 401.

ლაოზ და ყოველთავე მცხეთისშვილთა მოგახსენეთ და მოგეცით თქუენ, პატრონიშვილსა პატრონსა ვახტანგს ყურისუბნის სანაცვლოდ: მონასტერი და სოფელი ვირშა მისითა შესავლითა რარიგადცა სუეტიცხოველს შემოსწირვია; წიასწყალს არჩვაძეები ერისთავსა რომ შემოუწირავს, მითვე წესითა; ერეთს გილაშვილი მისითა მამულითა; ზაკუი მისითა მზღურითა; სათიხარი მისითა სამართლიანითა მზღურითა; ქორდს, რაც სუეტის ცხოვლისა ყოფილა, მათითა სამართლიანითა; ტ[ი]რძნის[ს] რაც სუეტის ცხოვლისა ყოფილა, მათითა სამართლიანითა; ცოტა მეღურეკისი მისითა სამართლიანითა; მეღურეკის ვენაჯი და სხვა, რაც საჩუენო იყო; ახალდაბას ფალავანდიშვილის შემოწირული საგლეხოები, რაც ვარდანს შემოუწირავს, მისითა სამართლიანითა; ყელქცეულს ვირშის შეწირულნი მიწანი რარიგადცა აქამდი ჩუენ გუქონებია; ესე მოგუიბარებია და დაგუინებებია ყურისუბნის სანაცვლოდ.“[206]* როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ვირშას მონასტერს თვითონაც გააჩნდა თავისი მამულები. მათ შორის, სოფელ ყელქცეულში „შეწირულნი მიწანი.“ პატარა ლიახვის ხეობაში სვეტიცხოვლის კუთვნილი მამულები, საპატრიარქომ სამეფო კარისაგან რამდენიმე წლის შემდეგ ხელახლა გამოითხოვა. კათალიკოსმა დომენტიმ მუხრანთან ახლოს არსებული სოფელი ყურისუბანი ვახტანგ ბატონიშვილს გადასცა და სანაცვლოდ სვეტიცხოვლის მამულები უკან დაიბრუნა. 1595 წლით დათარიღებულ დოკუმენტში: „წიგნი დომენტი კათალიკოზისა ვახტანგ ბატონიშვილისადმი სოფელ ქორდის სვეტიცხოველისადმი დანებების შესახებ,“ ვკითხულობთ: „მას ჟამსა, ოდეს თქუენის ძმის მეფის პატრონის სუიმეონისგან მუხრანს სოფელი ყურისუბანი სამამულოდ და სამკუიდროდ მოგცემოდა. ამას წინათ კურთხეულს კათალიკოზს პატრონს ნიკოლოზს ზემო ქართლს ქორდი და **რაცა სხუა მის გარშემო საყდრის მამული იყო**, თქუენთვის ყურისუბანზედ გაეცვალა; ამისთვის, ვითა ყური-

206 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 277-278, დოკ. 66.

* აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი ოდნავ განსხვავებული სახით აქვს გამოქვეყნებული თ. ჟორდანიას: „1574 წ. ნუსხა მცხეთისა №: მ სვიმონ მეფე სწერს: „...მონასტერი და სოფელი ვირშა მისითა შესავლითა რა გვარადაც სვეტიცხოველს შემოსწირვია წასწყალს (?) ***(როგორც ვხედავთ, მეცნიერს თვითონვე შეჰპარვია ეჭვი ტოპონიმის დასახელებაში და კითხვის ნიშანი დაუსვამს. სავარაუდოდ, უნდა ეწეროს წიას-წყალს, აღნიშნული ტოპონიმი, როგორც ვნახეთ, იხსენიება 1559 წლის დოკუმენტში)***. არჩვაძეები ერისთავს რომ შამოუწირავს მითვე წესითა, ერეთს გ-ლაშქლი (sic:) (უნდა ეწეროს გილაშვილი-გ.ს) მისითა მამულითა, ზაკვ მისითა ზღურითა, სათახი... (უნდა ეწეროს სათიხარი-გ.ს) ქორდს... ხომატე, ღუკერისი. „მეღუკერის ვენახი... ახალდაბას... საგლეხოები, რაც ვარდანს შემოუწირავს, ყელქცეულს ვირშის შეწირულნი... ესე მოგვბარებია და დაგვნებებია ყურის უბანის სანაცვლოდ.. ქ-კ:სიბ:თუესა მარტსა: იდ:“ *თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, 1897, გვ. 415.* ჩვენი აზრით, ეს დოკუმენტი უნდა წარმოადგენდეს პროფ. ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებულ ზემოთ წარმოდგენილ ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის იმ სიგელის ასლს, რომელიც მან ვახტანგ ბატონიშვილს უბოძა და სვეტიცხოვლის მამულების სანაცვლოდ ყურისუბანი გამოართვა. ჩვენი აზრით, თ. ჟორდანიამ ამ დოკუმენტის დაზიანებული ასლი ამოიკითხა და სიგელი სიმონ I-ს მიაწერა.

სუბანი საყდარსა უფრო ახლო ახლდა. აწე არცა თქუენ მოგხდომოდა კარგად და არცა სუეტმან ცხოველმა იპრიანა. აწე თქუენივე ყურისუბანი თქუენვე დაგიდევით და საყდრისა მამული საყდარსავე დაანებეთ.“[207] როგორც ჩანს, პატარა ლიახვის ხეობაში არსებული მამულები ძველი დროიდანვე ეკლესიის საკუთრებაში იყო, ამიტომ პატრიარქმა ყურისუბანს კვლავ ძველი მამულები არჩია.

თუმცა, ირკვევა, რომ სიმონ I-ის ძმას ვახტანგს იმ მცირე დროით, რითაც მას სვეტიცხოვლის კუთვნილი მამულები გადაეცა, პატარა ლიახვის ხეობაში საკათალიკოსოს ზოგიერთი გაუკაცრიელებული სოფელი მოუშენებია. ამ ღვაწლის გამო, ვახტანგის და მისი მეუღლის თინათინის სახელზე კათალიკოსს აღაპი დაუწესებია: „...და ვითა საყდრის მამული ოჭერი აგეშენებინა...და უკაცურნი სოფელნი გაგეკაცრიელებინეს, ჩუენ თქუენის ჭირნახულისა და თქუენგან დასახლებულის გლეხთ აუყრელობის სამუქფოთ დავდევით ...აღაპი ყველიერის პარასკევს თქუენთჳს... და თქუენისა მეცხედრისა ...თინათინისათჳს...“[208]

შუასაუკუნეებში პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთ სოფელში თავისი მამულები ჰქონდათ უცხოეთში არსებულ სამონასტრო ცენტრებს. ერთ-ერთი სოფელი თერგვისი, რომელიც პატარა ლიახვის ხეობის შუა წელზე მდებარეობს, ქრისტეს საფლავის საკუთრებას წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, იერუსალიმში არსებულ სავანეებს შიდა ქართლში ქონება გააჩნდათ.[209] 1613 წლით დათარიღებული სიგელით ირკვევა, რომ ლუარსაბ II-მ მაცხოვრის საფლავს თავისი დის – ხორეშანის „საკანონოდ“ რამდენიმე სოფელი შესწირა, მათ შორის, პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფელი თერგვისი: „...სოფელი თერგისი (იგულისხმება სოფელი თერგვისი-გ.ს.), რაც ყუდანაითს ჰქონდა და ან სხუა კიდევე არადე[თ]ს საღოლაშენი ჩუენდად სადღეგრძელო[დ] და მ[ეფობ]ისა ჩუენისა წარსამართებლად, და წ[ირვი]სათუ[ი]ს შეგვიწირავს იერუსარემისათვინ და ქრისტეს საფლავისათვის. და პარტია{რ}ქის თეოფანესათუ[ი]ს მოგ[ვ]იხსენებია და ნურა კაცი ნუ ეცილებით. ეს ფარდათ მოგვიხსენებია, და სხუა სიგელი პატრონმან მიტროპოლიტმან ზაქარიამ უნდა დასწეროს და ჩუენ ხელი ჩაურთოთ ამისად გასათავებლად თავდებად მოგვიცემია ღ(მერთი და ყოველნი მისნი წმინდანი და ვინც გაუტეხოს, ისიმც ქრისტეს საფლავი რისხავს. ქ(ორონი) კ(ო)ნს ტა.“[210]

განმარტებას მოითხოვს ტერმინი „საკანონო,“ რომელიც საეკლესიო სასჯელის გასაბათილებლად დაწესებულ გადასახადს ნიშნავდა. როგორც ცნობილია, ირანის შაჰის აბას I-ის ჩარევით, კახეთის მეფემ თეიმუ-

207 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 348.

208 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გამოსაცემად მოამზადა მანანა ჭუმბურიძემ, თბ., 2018, გვ. 428.

209 გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2021, გვ, 148-162.

210 დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ავტორები ქართველიშვილი თეა, ბაინდურაშვილი ხათუნა, გელაშვილი ირაკლი, გოგოლაძე თამაზ, შაორშაძე მაია, ჯოჯუა თემო, რედ. მზია სურგულაძე, ტ. I, თბ., 2019, გვ. 119.

რაზ I-მა თავის ნათესავზე ლუარსაბ II-ის დაზე ხორეშანზე იქორწინა. ამ ქორწინებას სამეფო კარის წარმომადგენლები და სასულიერო დასის წევრები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ, თუმცა ქორწინება მაინც შედგა. სწორედ ამის „საკანონოდ“ შეუწირავს ლუარსაბ II-ეს რამდენიმე სოფელი მაცხოვრის საფლავისთვის.[211]

XVII საუკუნის დასაწყისში პატარა ლიახვის ხეობაში სვეტიცხოველს ეკუთვნოდა სოფლები: გერი და გერისთავი. როგორც ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, ეს სოფლები უწინ არაგვის ერისთავთა საკუთრება იყო, ხოლო შემდეგ სამეფო ხელისუფლებას სვეტიცხოვლისთვის გადაუცია. ამ სოფლების სანაცვლოდ, ნუგზარ არაგვის ერისთავმა სვეტიცხოვლის კუთვნილი არბო და სგენასმანი დაისაკუთრა და ეკლესიას ქორდში მცხოვრები თავისი ყმებიც გადასცა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „1617 წ. ქ᾽კს:ტე: ქ. ესე წიგნი მოგახსენე... სუეტსა ცხოველსა... მე ერისთავმან პატრონმან ნუგზარ (და ძეთა ბაინდურ და გ᾽ინ).. ასრე, რომ ჩუენი სამკვდრო გერი და გერისთავი სუეტიცხოვლისათვის შეწირა (შეეწირა) მეფეთა. კიდევ არბო, სგენასმანი (sic:) (სუეტის ცხოვლისა იყო და ეს ჩუენ დავიჭირეთ და ამისად სამუქფოდ ჩუენ მოგართვით ქორდს ჩუენი სამკვუიდრო კვამლი სამი ბექნიაშვილი ირემა (და სხვ.).“[212]

XVII საუკუნის I ნახევარში პატარა ლიახვის ხეობაში საპატრიარქოს ქონებისა და მამულების არსებობა არაერთი დოკუმენტით დასტურდება. მითითებულ პერიოდში ქართლის კათალიკოსმა ზებედემ დავით ელიოზისძეს პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ სოფლებში: ერედვსა და სათიხარში რამდენიმე კომლი გლეხი უწყალობა.[213] 1616 წელს ქორდში მცხოვრები გლეხები საპატრიარქოს ქსნის ერისთავებმა შესწირეს: „... და მოგახსენეთ ქორდს კაცი[კუა]მლი ექვს[ი]: არჩვაძე შო᾽ში[ტა, ბე]რიკასშვილი ნინია, ჭევსური საგინა, მუჭაური გამიხარდ[ი] და ჩუბინასშვილი ფრიდონა და გივ[ი]სშვილის მამული.“[214]

როგორც ზემოთ მივუთითებდით, 1559 წლის საკათალიკოსო გუჯარის თანახმად, ქსნის ერისთავებს ქორდთან ახლოს, წიასწყალს, მცხოვრები არჩვაძეები ეკლესიისთვის შეუწირავთ. კათალიკოსმა ზაქარიამ ერისთავების მიერ ბოძებული ყმებიდან რამდენიმე კომლი გედევანიშვილებს უწყალობა. 1616 წლის მამულის წყალობის წიგნში, რომელიც ზაქარია კათალიკოსის მიერ გედევანიშვილებს ებოძათ, ვკითხულობთ: „ქ. ჩუენ, ქრისტეს ღ[უ]თისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზმან პატრო[ნმან ზ[აქ] არია, ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქუენ, გედევანისშვილთა დავითს, გაბრიელს, როსებს, პეტრეს, გიორგის, აბიათარს და პაპუნასა, ასრე და ამა

211 დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ავტორები ქართველიშვილი თეა, ბაინდურაშვილი ხათუნა, გელაშვილი ირაკლი, გოგოლაძე თამაზ, შაორშაძე მაია, ჯოჯუა თემო, რედ. მზია სურგულაძე, ტ. I, თბ., 2019, გვ. 120.

212 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 441-442.

213 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 390, დოკ. 84.

214 იქვე, გვ. 482-483, დოკ. 93.

პირსა ზედა, რომე მოხუედით კარსა დარბაზისა ჩუენისათა და მამულის წყალობის გუეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძ-ეთ ქორდს მამული კუამლი კაცი ათი: ირემა ბექნიაშვილი, გამეხარდი... უჭაური, შალ(ულაძე?)დათი, არჩვაძე მამუკა, კიდევ არჩვაძე მამუკა, კიდევ არჩვაძე გიორგი, არღუნაშვილი გიორგი, აფხაზაშვილი ნადირა, ხევსური საგინა... (შვილი) ჩუბინაშვილი ფრიდონა, გუიბოძებია მკუიდრად და მოუ-შლელად."[215] ამ დოკუმენტს 1616 წლით (თუმცა საბუთს კითხვის ნიშანი აქვს) ათარიღებდა ნ. ბერძენიშვილი. იგივე დოკუმენტი გამოცემული აქვს ე. თაყაიშვილს, რომელიც აღნიშნულ საბუთს 1626 წელს შედგენილად მიიჩნევდა.[216] ამავე დოკუმენტს 1626 წლით ათარიღებდა პროფ. ი. დოლიძე.[217]

ქსნის ერისთავებმა თანდათან პატარა ლიახვის ხეობის შუა წელ-ზეც მოიკიდეს ფეხი. მათმა კუთვნილმა გლეხებმა: ჩიფჩიურმა და ლა-ფაჩმა ქორდში მამულები იყიდეს. ეს მამულები ქსნის ერისთავებმა სვეტიცხოველს შესწირეს. 1766 წლით დათარიღებულ დოკუმენტში ვკითხუ-ლობთ: „ქ. ეჰა შენ ყოველთა ქრისტიანეთა სიქადულო და საქართველოთა ერთა განმანათლებო, სვეტო **ღ**თივ აღმრთებულო, კვართო საუფლო და მირონო **ღ**თ მყოფელო, რომელი კურნებ სულთა და სხეულ-აღნაგთა კაც-თასა, ჩვენ შენ მიერ ცვაფარვათა მონდობილმან და მსასოებელმან, ქსნის ერისთავმან პატრონმან დავით, და ძმამან ჩვენმამ იოვანმან და იესემან, ბიძაშვილმან ჩვენმან გიორგი ყულარაღასმან, და ძეთა ჩვენთ შალვამ, როსტომ და ბიძანამ, შემოგწირეთ და მოგახსენეთ და გიძღვნის მრთმევ-ელთ თქვენ ცათა მობაძავსა კათოლიკე ეკლესიასა, სვეტსა ცხოველსა და მას ზედა მჯდომარესა **ყ**˜დ სანატრელს უწმიდეს **ვ**ზ-პატრიარქს (sic), მეფის ძეს ანტონის, ასე რომე სურვილითა და ჩვენის ნებადართვით ძვე-ლადვე მამა-პაპათა ჩვენთაგანაც შეწირულობა იყო და სხვა სოფელნი და აგარაკანი და ჩვენც აწე ესე ვინებეთ და შემოგწირეთ იქავე თქვენს სოფელს **ქორდს** ჩვენისავ კაცის ჩიფჩიურისა და ლაფაჩის ნასყიდი ვე-ნახები, ჩვენ ესენი სხვათა სამოქფოთი შევიჯერეთ და სამკვიდროთ და საბოლოთ შემოგწირეთ და მოგახსენეთ, რომ არს დროსა და ჟამსა არცა ჩვენ და ჩვენი შვილნი და შვილის შვილნი და ნათესავნი არავინ გეცილე-ბოდესთ და, თუ ვინმე ამისად ცილებად ხელყოს ვინმე, შერისხდი შ˜ნ დაუსაბამო **ღ**˜თო და ყოველნო მისნო წმიდანო და შ˜ნცა, ცათა მობა-ძო საქართველოს განმანათლებელნო სვეტო ცხოველო, და ნურართამცა იხსნება სული მისი ჯოჯოხეთისაგან, ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი **ღ**˜თნ აკურთხოს. აღიწერა ქრისტესითგან წელსა **ჩღიგ,** ხოლო ქართულს ქორონიკონს უნდ. დაიწერა ხელითა მდივნისა ჩვენის ქარელი თამაზისი-თა."[218] ინტერესს იწვევს დოკუმენტში ნახსენები „ჩიფჩიურისა და ლაფაჩის ნასყიდი ვენახები."

215 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. 16, №18.

216 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ. ტ. I, გვ. 251, №209.

217 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 393, 87.

218 საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 274, №, 224.

სხვა დოკუმენტებიდანაც ირკვევა, რომ ქორდში არსებულ მამულებს პატარა ლიახვის ზემო წელზე არსებულ მცირემიწიან სოფლებში მცხოვრები გლეხები ყიდულობდნენ. ერთ-ერთი საბუთის თანახმად, ქორდში ბელოთელ გლეხებს ბერი ჩიფჩიურსა და გიორგი ფისაძეს ჰქონდათ ნაყიდი ვენახები, რომლებსაც გედევანიშვილები ედავებოდნენ.[219]

პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლებიდან გლეხთა ბარში ჩამოსახლების ფაქტები არაერთ დოკუმენტში გვხვდება. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ლიახვის ხეობის აღწერის დავთრების მიხედვით, სოფელ ფლავში იხსენიება: საური ოთარა საცხენელი, საცხენელი ტატიაშვილი ქრისტესია, ფლავში იხსენიება ასევე აწერისხეველი ტატალაშვილი ქრისტესია.[220] გვიანფეოდალურ პერიოდში პატარა ლიახვის ხეობაში დამკვიდრებულმა საპატრიარქოსთან დაახლოვებულმა გედევანიშვილებმა თანდათან გააფართოვეს თავიანთი მამულები. 1678 წელს გედევანიშვილებს კათალიკოსმა ნიკოლოზმა (ამილახორი) ვირშას წყალი, ვირშას მთავარანგელოზის მონასტერი და ნასოფლარი ბადაანი უწყალობა: „ქკ˜ნს: ტნივ... ჩუენ... ყოვლისა: საქართველოსა: დიდმან: მამათ მთავარმან ქართლისა კათალიკოზმან: ამილახორის (იოთამის)ძემან: პატრონმან ნიკოლოზ: ესე... წყალობის წიგნი... გიბოძეთ თქვენ სვეტიცხოვლისა და ჩვენსა ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა ყმათა ელიოზის ძეთა გედევანის შვილის გიორგის, ძმასა შენსა დავითს, როსებს, ზაალს, და გედევანს... ვირშას წყალი მთავარანგელოზის მონასტერი და ნასოფლარი ბადანი საყმოთ დაგვეაჯენით და გიბოძეთ... დაიწერა მარტსა ოც˜და რვასა ქ˜კსა: ტნივ.“[221]

გედევანიშვილები საპატრიარქოსაგან განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდნენ. ამას ადასტურებს 1638 წლით დათარიღებული დოკუმენტი. კათალიკოსმა ევდემონმა ელიოზიძე-გედევანიშვილებს ქორდში არსებული მამულების წყალობა განუახლა: „პირველადცა გქონებოდა და წიგნიცა გქონდა. აწე ჩუენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ელიოზიძეთა გედეონის შვილთა დავითს, გაბრიელს, პეტრეს, პაპუნასა და ქაიხოსროს და ყოველთავე მომავალთა სახლისა თქუენისათა. მოგეცით ქორდს მამული, აფხაზაშვილის ნაქონი მოზუერაული მამული... ვენაჴი ბექნიაშვილის ნაქონი; ამას წინად ეს მამული ბადაშვილს შოშიტას მივეცით და წიგნიცა ჰქონდა. აწე იმ ჩუენს წყალობას მამულსა სხუაგან ჰყიდდა. და რაც შოშიტამა ჩუენ ფეშქაში მოგვიტანა, ეს ფეშქაშის ფასი ისრევე მიგაცემინეთ და მამულის წყალობა თქვენ გიყავით.“[222]

219 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ ტ. V, თბ., 1974, გვ. 380-382, დოკ. 228.

220 ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 97-99.

221 თ. ჟორდანია, ქრონიკები II, გვ. 493-494.

222 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 495-496, დოკ. 108. ყურადღებას იპყრობს დოკუმენტში მოხსენიებული „მოზუერაული მამული,“ სოფელ ქორდში „მოზუერაული,“ როგორც ტოპონიმი, შემორჩენილი არ არის. შესაძლებელია, რომ „მოზუერაული“ საკუთარ სახელს, ან მეტსახელს – „მოზუერას“ უკავშირდებოდეს.

1652 წლის დოკუმენტის მიხედვით, ქორდი როსტომ მეფისაგან კათალიკოსის დაქვემდებარებაში მყოფ „მცხეთიშვილებს“ – გედევანიშვილებს ჰქონდათ გადაცემული: „ვითარმედ წილხვდომილ ვიქმნენით ჩვენ ქართველნი დედოფლისა მის ღთისმშობლისა. ჩვენ შენ მიერ მტერთა ზედა და წინააღმდგომთა ძლიერმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატონიანმან, შანშა და შირვანშა, ყოვლისა აღმოსავლეთისა მპყრობელ-მქონებელთამან, მეფეთ მეფემან, პატრონმან როსტომ, და თანა მეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან მარიამ და პირმშომან და სასურველ-საწადელთა ძეთა ჩვენთა, პატრონმან ლუარსაბ, და ძეთა ჩვენთა თანა მეცხედრემან პატრონმან თამარ, და ძემან მათმან პატრონმან გიორგი, შემოგწირეთ მცირე ესე შემოსაწირავი სოფელი ქორდი თქვენ სვეტ-ცხოველსა, კვართსა საუფლოსა და მირონსა ღთ˜მყოფელსა, კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა, მას ჟამსა ოდეს ჩვენთა მამა-პაპათა ლიახვის პირს სოფელი ქორდი შემოეწირა, ყოვლის კაცისაგან მოუდევარ-მოუსარჩლელ, მთით ბარამდი, ასრე რომე ძველათგანცა შემოგწირვოდა თქვენ სვეტსა ღთივ აღმართებულსა, კვართსა საუფლოსა და მირონსა ღ˜თ მყოფელსა და მას შინა საჭეთ მპყრობელსა პატრიაქსა კათალიკოზსა პატრონსა ქრისტეფორეს, ასრე რომე ჩვენის ნება დართულობითა და ბრძანებითა დიასამიძეს კათალიკოზს გედაონისშვილის გაბრიელისა და მისთა ძმისწულთა პაპუნასათვის და ქაიხოსროსათვის და შვილთა და მომავალთათვის ებოძებინა, ამად რომე მათის საქონლითა და საფასოთა გრაკალი ეყიდათ, და ჩვენისავე ბრძანებით ეს ჩვენის სასაფლაოს შეწირული სოფელი ქორდი მისდა სანაცვლოდ კათალიკოზს ებოძებინა. აწე ავისა და ცუდის კაცისაგან სხვარიგად გაგჯესინჯვა, რომე ხუთი-ექვსი კვამლი შეწირული არ არისო და ტყჯლათ უჭირავსო, და ჩვენცა ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და ვჰქენით მოკითხული და ბატონის პაპის ჩვენისა და ბატონის ბიძის ჩვენის შეწირულობის წიგნიც გინახეთ და ჩვენცა ჩვენათ სადღეგრძელოთ და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად, და სულისა ჩვენისა საოხად, და ძეთა ჩვენთა სადღეგრძელოთ, ჩვენცა ჭელახლად კადრეთ და მოგახსენეთ და შემოგწირეთ თქუენ ცათა მობაძავს სვეტსა ცხოველსა და მაზედან საჭეთ მპყრობელს კათალიკოზსა სოფელი ქორდი ერთობით, ასრე რომე ბადაშვილებს გარდაის ისრევე ჭელ˜შეუალათ და ყოვლის კაცისაგან უცილებლათ დაგიმკვიდრენ ჩვენგან შემოწირული 1) საყდრის შემოწირული ქორდი და გიბოძეთ თქუენ ჩვენის სასაფლაოს ჯარის უფროსს გედაონისშვილს ბატონს გაბრიელსა და ძმისწულსა შენსა პაპუნასა და ქაიხოსროს და შვილთა მათთა გიორგის და დავითს და

ცნობილია, რომ საქართველოში გავრცელებული იყო ასეთი ტიპის საკუთარი სახელები. ამ მხრივ, საინტერესო დაკვირვება ჰქონდა აკად. ივ. ჯავახიშვილს: „კახეთში ძველადვე ცნობილი გვარის ვაჩინაძეს სახელის მიხედვით უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ წინათ ვაჩინა ქართულში მამაკაცის სახელი უნდა ყოფილიყო, რომელიც ტოტემურობის ნიადაგზე იყო გაზრდილი, დათვას, კურდღელას და ქურციკას მსგავსად, შესაძლებელია ცხოველის სახელი ყოფილიყო.“ *ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. X, თბ., 1992, გვ. 179.*

მომავალთა სახლისა შენისათა, და გიბოძეთ სოფელი ქორდი ყოვლის მისის სამართიანითა მზღურითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაჯითა, ჭალითა, საწყლისპიროთა, სათიბითა და უთიბითა, ქვევრ-მარნითა, სასახლითა და ეკლესიითა და ყოვლის მისის სამართლიანითა მზღურითა: ზემოთ დიცურს რუმდი, იმას ჩამოსწორ ქვაკირას ფონამდი, ისრე ჩატანებით ტრძნისას რუმდი, თერგჯისის სამძურამდი, კიდევ მოკარგულს რუს აქეთ ჩამოტანებით ჭალითა, ველითა და წყლითა, ესე ყოვლითურთ შეგვიწირავს და შენთვი სამკვიდროთ და საბოლოოთ გვიბოძებია საფიცარითა, საწყვეტის წყლითა და ჭალითა. აწე გაგითაოს და გიბედნიეროს ღ~თნ ჩვენსა და საყდრისა ერთგულად სამსახურსა შინა."[223] როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ქორდი ძველი დროიდანვე სვეტიცხოვლის ეკუთვნოდა და როსტომმა იგი (იქ მცხოვრები ბადაშვილების გარდა) ეკლესიის სამსახურში მყოფ გედევანიშვილებს უწყალობა. შესაძლებელია, ბადაშვილები, როგორც ვირშას მონასტრის საგანძურის მცველები, ამ მონასტრის ყმებად რჩებოდნენ. 1694 წელს კათალიკოსმა ნიკოლოზმა მცხეთის ჯარის სარდალს გიორგი გედევანისშვილს ქორდში ბადასშვილის ბახუტას მამული და გლეხი ჯალაბაძე „თვისის უნაკლულოს მამულითა" უბოძა. ირკვევა, რომ ბახუტა ბადასშვილი ეკლესიის ყმა იყო, თუმცა იგი „ბევრის კაცის კვლ[ა]სა და ტყვის გასყიდვაში გ[ა]ერივა და გათათრდა."[224]

პატარა ლიახვის ხეობაში ეკლესიის მამულების არსებობა დასტურდება 1720 წლის დოკუმენტითაც. ეს არის სვეტიცხოვლისა და კათალიკოზის ყმების ნუსხა ვახტანგ VI-ის ოქმით, სადაც ვკითხულობთ: „ქ. არის სვეტის – ცხოვლისა და ბატონის კათალიკოზის ყმა თრიალეთზედ. ქ. საბროწლეთს კომლი ხუთი, ბოგანო ორი. ქ. ერედვს სამი. ქ. ქვაბთ (?) სამი. ქ. მეღვრეკს თაწმინდისა თორმეტი. ქ. ტრძნის სამი.* ქ. ქორდას თექვსმეტი, აზნაური ორი. ქ. თრგვის** ექვსი. რაც ამაში კომლი სწერია, სულ ყველამ თოფი უნდა იშოვნოს, ბოგანომ ფარჭმალი და საფთე მშვილდი წამოიღოს. რაც სახლში საბატიოს კაციშვილი და აზნაურშვილია, ვერ დაგვაკლდება. ვისაც შეეძლოს თოფიც იქონიოს და შუბიცა, ვისაც არა და თოფი წამოიღოს..."[225]

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ამ დროისთვის ეკლესიის დაქვემდებარებაში პატარა ლიახვის ხეობაში 31 კომლი გლეხი და 2 კომლი აზნაური ყოფილა. ყველაზე მეტი საეკლესიო გლეხი ცხოვრობდა ქორდში. ამავე

223 საქართველოს სიძველენი, I, გვ. 337, № 281.

224 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 603-604, დოკ. 159.

* აღსანიშნავია, რომ პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ტირძნისში სვეტიცხოვლის მეტოქი არსებობდა, რომელიც XX საუკუნის 20-წლებამდე მოქმედი იყო. იხ. *საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, XX საუკუნის 20-წლებში, დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 79.*

** დოკუმენტში უნდა ეწეროს თერგვისი, აღნიშნული სოფელი მდებარეობს სოფელ დიცის სამხრეთით, ქორდის სამხრეთ-დასავლეთით

225 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, გვ. 184.

სოფელში ეკლესია ფლობდა 2 კომლ აზნაურსაც, რომელთა ვინაობა არ წერია, თუმცა, ჩვენი აზრით, ისინი გედევანიშვილები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ამ დროისთვის მათი გვარის წარმომადგენლები ქორდში უკვე სახლობდნენ.***

1736-1744 წ.წ. ქართლის საკათალიკოსო ყმების აღწერის დავთრის მიხედვით, საპატრიარქოს ყმა-გლეხები ჰყავდა დიდი და პატარა ლიახვის ხეობების რამდენიმე სოფელში, მათ შორის დისევში: „ქ. არის დისევს გლეხი ..... (ამ ადგილზე, როგორც პროფ. ი. დოლიძესაც აქვს მითითებული, ცარიელი ადგილია დატოვილი ტექსტისათვის), ქ. არის მეღვრევის (სავარაუდოდ, უნდა ეწეროს მეღვრეკისი, – გ. ს.) [აბაზი] ე გლეხი: მამასახლისი მაისურაძე ოთია, კომლი ა, თავი ბ, ფური ა, [აბაზი] დ ქ. ჯანჯალაშვილი ქიტესა, კომლი ა, თავი ა, ფურკამბეჩი ა, [აბაზი[დ ქ. ილარიონის ბერი(სავარაუდოდ უნდა ეწეროს ილარიანი, აღნიშნული გვარის წარმომადგენლები სოფ. მეღვრეკისში დღესაც ცხოვრობენ-გ.ს.), კომლი ა, თავი ბ, ფურკამბეჩი ა, [აბაზი] დ ქ. მაისურაძე ივანე, კომლი ა, თავი ა.“[226]

როგორც ზემოთაც მივუთითებდით, გედევანიშვილები საქართველოს საპატრიაქროსთან ძალზე ახლო ურთიერთობაში იყვნენ. ისინი როგორც „მცხეთიშვილები“ „მცხეთის სარდლის“ სახელოს ფლობდნენ. XVII-XVIII საუკუნეებში ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტების მიხედვით, გედევანიშვილთა საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენელი „მცხეთის სარდალი“ იყო. მათ შორის: გიორგი, ზაზა, გაბრიელ, შიოშ და იოანე გედევანიშვილები.[227] „მცხეთის სარდლებს“ საკათალიკოსო ჯარის ხელმძღვანელობა ევალებოდათ.[228] ეკლესიის წინაშე გაწეული დამსახურებისთვის გედევანიშვილებს პატარა ლიახვის ხეობაში (ქორდში, სათიხარში) ქართლის კათალიკოსის მიერ მამულები ჰქონდათ გადაცემული. გედევანიშვილები იყვნენ ასევე კათალიკოსის მოურავები.[229] 1747 წელს, კათალიკოსმა ანტონ I-მა გედევანიშვილებს* დისევის მოურავობა უბოძა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩუენ, ქრისტეს ღმთისა მიერ მინდობითა დაფარულმან

*** დოკუმენტში ქორდის ნაცვლად წერია „ქორდა.“

226 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 778-780, დოკ. 270.

227 იხ. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ, 76-77; ი. ალიმბარაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში, თბ., 2008, გვ. 139.

228 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 418-419, დოკ. 118; ა. კლიმიაშვილი, საეკლესიო ლაშქრის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბ., 1961, გვ. 109-110.

229 გ. სოსიაშვილი, კათალიკოსის სამოურავოები ლიახვის ხეობაში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიის და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, 2016, № 14, გვ. 306.

* დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული, რომელ გედევანიშვილზეა საუბარი, ჩამოთვლილია გედევანიშვილთა სახლის რამდენიმე წევრი, სავარაუდოდ, დისევის მოურავობა პეტრე გედევანიშვილს გადაეცა.

ძირმოდგმობით დავითიან, სოლომონიან, შარავანდიან, პანკრატოვანთა რტოთაგან აღმოცენებულმან, ჩუენ, ყოვლის საქართველოსა და აღმოსავლეთისა მაკურთხეველმან, კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან მეფის იესესმან, ანტონიმ, ესე უკუნისამდე ჟამთა და დროთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქუენ სვეტის-ცხოვლისა ყმათა და ჩუენსა მემკვიდრეს და ერთგულობით და თავდადებით ნამსახურთ გედევანიშვილს პეტრეს, ერასტის, ძმისწულსა შენსა გიორგის, გედევანს და ივანეს და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე. ასე, რომე მაღალაშვილს ფირანს თავისი ბიძაშვილი მოეკლა და ნიკოლოზ კათალიკოზს იმისთვის ყმა და მამული წაერთმია საუკუნოდ. მერეთ მოხვედით ჩვენს კარს და წყალობას დაგვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოჴსენება თქვენი და მოგიბოძეთ დისევის მოურაობა ყოვლის კაცის მოუდევრად, უცილობლად და წამოუსარჩლელად. რაც სიგელი ამას იქით გამოჩნდეს, ამა სიგელმა გაამტყუნოს."[230]*

დისევი პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ერთ-ერთი უძველესი სოფელია, რომლის ახლოს არსებული სოფელი კულბითი და მისი შემოგარენი ჯერ კიდევ XI საუკუნიდან სვეტიცხოველს ეკუთვნოდა. ნ. ბერძენიშვილის მიერ აღდგენილი და 1020 წლით დათარიღებული მელქისედეკ კათალიკოსის სიგელში, სადაც სვეტიცხოვლისადმი შეწირული მამულებია ჩამოთვლილი, ვკითხულობთ: „და/ქართლს: მონასტერი პალავრაჲ ოთხითა სოფლითა, და ცუქითი შესავალითა მისითა, ყინცუისი შესავალითა მისითა, და შინდებისა ნახევარ[ი, და] კურბითს სააზნაუროჲ კარგი სოფელი..." კათალიკოს მელქისედეკის მიერ სვეტიცხოვლისათვის კულბითის შეწირვას ადასტურებს „მატიანე ქართლისა": „შემდგომად ამისა წმიდამან მეუფემან კათალიკოს-პატრიარქმან მელქისედეკ მოიგო ქართლს: მონასტერი პალავრა ოთხითა სოფლითა; და ცუქითი შესავლითა მისითა; ყინცვისი შესავლითა მისითა; შინდების ნახევარი; კურბითს სააზნაურო კარგი სოფელი ერთი."[231] თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ მელქისედეკ კათალიკოსის იმავე სიგელში არასწორად იკითხებოდა: „კურბითს: რა: აზნაური, კარგი სოფელი ერთი".[232] ეს ადგილი, ნ. ბერძენიშვილს სხვაგვარად აქვს წაკითხული. მკვლევარმა ერთმანეთს შეუდარა მცხეთის საბუთის ორი პირი, რომლებშიც ხარვეზები იყო გაპარული. ამის შესახებ ნ. ბერძენიშვილი წერს: „როგორი ხასიათისაა ეს სხვაობანი? ჩვენ ვიცით, რომ №14 ხელნაწერი თვით არის პირი, ამიტომ

230 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 795.

* დისევში მცხოვრებ ოქროპირიძეებში არსებობდა გადმოცემა, რომ სოფელი დისევი მათი საკუთრება იყო, ამიტომ დისევის მოურავად კათალიკოსის მიერ გედევანიშვილის დანიშვნას მათი უკმაყოფილება გამოუწვევია. *ოქროპირიძეების საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია, შემდგენლები: სქიმიდუმენი ისიდორე (ოქროპირიძე), ზურაბ ოქროპირიძე, უჩა ოქროპირიძე, თბ., 2012, გვ. 12.*

231 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 295.

232 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 33.

გადაწერის ნიადაგზე წარმომდგარი შეცდომებისაგან არც ის არის დაზღვეული. ასეთი ხასიათის შეცდომად მიგვაჩნია ჩვენ №14-ის გამოთქმა: „რა აზნაოროდ“. უკანასკნელი სიტყვის ბოლოსართი „ოი“ გვიჩვენებს, რომ მას წინუძღოდა თავსართი „სა“. ამასვე მოითხოვს კონტექსტიც. პირიქით, სრულიად გაუგებარია: „კურბითს; რა: აზნაური კარგი. სოფელი: ერთი“., როგორც ეს აღუდგენია №13 პირს. № 14 პირისათვის („სა“-ს მაგივრად – „რა“) ახალი შეცდომა დაურთავს („გაუსწორებია“), მაგრამ დაკვირვება არ ჰყოფნია და არსებული შეცდომისათვის („სა“-ს მაგივრად – „რა“) ახალი შეცდომა დაურთავს (გაუგებარი „აზნაოროდ“ გასაგებ „აზნაორი“-დ გადაუკეთებია).“[233] შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მცხეთის საბუთის ჩვენთვის საინტერესო ადგილის სწორი ვარიანტი ასე იკითხება: „კურბითს სააზნაუროდ კარგი სოფელი...“ შესაძლებელია ტექსტის ამ ადგილში იგულისხმებოდეს არა სოფელ კურბითის შეწირვა, არამედ კურბითში შემავალი ერთ-ერთი სააზნაურო სოფლის ბოძება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1747 წელს კათალიკოსმა ანტონ I-მა დისევის მოურავობა პეტრე გედევანიშვილს უბოძა.[234]

გედევანიშვილები იყვნენ დისევის მოურავები ანტონ II-ის დროსაც. 1789 წლით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, კათალიკოსმა მცხეთის

233 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

234 როგორც მივუთითებდით, გედევანიშვილთა გვარი საპატრიარქოსთან ძალზე დაახლოვებული იყო. გედევანიშვილები იყვნენ „მცხეთისშვილები,“ მათ დიდი ხნის განმავლობაში ეპყრათ „მცხეთის სარდლის“ სახელო. ეკლესიის წინაშე გედევანიშვილთა არაერთი დამსახურება დასტურდება. ამ მხრივ საინტერესო ინფორმაციაა შემონახული 1764 წლით დათარიღებულ ანტონ I კათალიკოსის სიგელში, სადაც ეკლესიის მწყემსთავარი საუბრობს მოლარეთუხუცესისა და ნაზირის პაატა გედევანიშვილის ღვაწლზე. როგორც სიგელიდან ჩანს, პაატა გედევანიშვილი კათალიკოს დომენტის გაზრდილი იყო და პატრიარქს ის კონსტანტინოპოლშიც თან ახლდა. პაატა ანტონ I-თან ძალზე დაახლოვებული ყოფილა. ანტონ I-ს პაატა რუსეთშიც გაჰყოლია. ანტონ I-ის თანახმად, ვიდრე პაატა გედევანიშვილი ცოცხალი იყო, მოლარეთუხუცესი და ნაზირი სწორედ ის უნდა ყოფილიყო, ხოლო პაატას გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული თანამდებობები შიოშ გედევანიშვილს უნდა გადასცემოდა *(ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, ტ. III, გვ. 857).* კათალიკოსი ანტონ I სხვა გედევანიშვილებსაც სწყალობდა. 1764 წლის დოკუმენტით ირკვევა, რომ მან პეტრე გედევანიშვილს მეჯინიბეთუხუცესობა უბოძა *(იქვე, გვ. 852).* მოგვიანებით, გედევანიშვილებს, კერძოდ, გაბრიელ სარდლის შვილებს ურთიერთობა დაეძაბათ ერეკლე II-სთან, რის გამოც მათ მცხეთის სარდლობა დაკარგეს. 1783 წლის დოკუმენტში ანტონ I კათალიკოსი იოანე გედეონისშვილს მიმართავს: „შენის სახლისკაცებს – გაბრიელ სარდლის შვილებს მისი უმაღლესობა (იგულისხმება ერეკლე II, – გ. ს) გაუწყრა, მაშინ სარდლობა მადალასშვილს დავითს უბოძეთ მისმა უმაღლესობამ ჩვენმა ძმამა და ჩვენა.“ ანტონმა გედევანიშვილებს კვლავ დაუბრუნა სარდლობა: „და მოგეცით სარდლობა, ამ მიზეზით, რომ უფრო მართებული და ჯეროვანი საქმე იყო, რომ შენ გქონოდა, რადგან თქვენის სახლისა, დია, სამკვიდრო საჭელო იყო და არას დროს თქვენის სახლიდამ არც გამოსულიყო ეს საჭელო. ეგრეთვე ძეგვის მოურაობა როგორც სარდლობაზე სდები[ა], ისიც შენთვის გვიბოძებია“ *(ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 944-945).*

სარდალ იოანე გედევანიშვილს დისევის მოურავობა განუახლა: „...წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ კათედრისა ჩუენისა კათოლიკე ეკლესიისა სუეტის წმიდისა მკვდრთა ყმათა აზნაურთა გედეონის შვილს სარდალს იოანეს, ძმის წულსა შენსა ერასტის და გედეონს, შვილსა შენსა დავითს და ვახტანგს და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე; – ასე რომ მოხუედით კარსა პალატისა ჩვენისასა და დისევის მოურაობას გვეაჯენით და ჩუენ უწულილესის გამოძიებით და ჭ[ეშმარი]ტის სამართლით განჰსჯით გამოვიძიეთ და განვიხილეთ ამისთჳს და ნეტარ ხსენებულის ბიძის ჩუენის კათოლიკოსის ანტონის მიერ ნაბოძები წყალობის წიგნი და სიგელი ბეჭდით დამტკიცებული გქონდათ ამ დისევის მოურაობისა და ჩუენც ვისმინეთ ვედრებით თხოვა თქუენი და აწ მეორედ განგიახლეთ და დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ დისევის მოურაობა ყოვლის კაცის უცილობელად და წამოუსარჩლელად.“[235]

XVIII საუკუნეში პატარა ლიახვის ხეობაში, დისევის გარდა, კათალიკოსის დაქვემდებარებაში, კიდევ ერთი ბადაან-ხოდელის[236] სამოურაო არსებობდა, რომელსაც ასევე გედევანიშვილები მართავდნენ[237] (ამის შესახებ იხ. ქვემოთ)

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დისევის, ბადაანისა და ხოდელის სამოურაოებთან ერთად, დოკუმენტებში გვხდება ძეგვის და გომის სამოურაოები. ანტონ I-მა, როდესაც იოანე გედევანიშვილს ჩამორთმეული მცხეთის სარდლობა დაუბრუნა, მას ძეგვის მოურაობაც უბოძა.[238] გომის სამოურაოს არსებობა დასტურდება 1764 წლით დათარიღებულ ანტონ I-ის მიერ იესე თაზისშვილისადმი ბოძებულ წყალობის სიგელით.[239]

კათალიკოსის დაქვემდებარებაში არსებული სამოურაოები ანტონ I-ის მოღვაწეობის დროს არ შექმნილა. როგორც ჩანს, ასეთი სამოურაოები მანამდეც არსებობდა. ამას ადასტურებს ქრისტეფორე კათალიკოსის

---

235 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. II, თბ., 1953, გვ. 146, №234.

236 პატარა ლიახვის ხეობაში ნასოფლარად ქცეული ბადაანი ქართლის კათალიკოსს-ნიკოლოზს მოუშენებია, რაც 1687 წლით დათარიღებული სიგელით დასტურდება *(გ. სოსიაშვილი, ლიახვის ხეობის ნასოფლარები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №10, 2016, გორი, გვ. 139-158).* როგორც მივუთითებდით, ბადაანიდან ბადაშვილები სოფელ ქორდში გადასახლდნენ, ისინი XVII საუკუნის ერთ-ერთ დოკუმენტში ქორდში იხსენიებიან. ირკვევა, რომ ვირშას მონასტრის დაქვემდებარებაში მყოფი ბადაშვილები მოგვიანებით გედევანიშვილების ყმები გახდნენ. 1694 წელს ბადაშვილის მამული ნიკოლოზ კათალიკოსმა მცხეთის სარდალს – გიორგი გედევანიშვილს გადასცა. *(ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 604)*

237 იხ. გ. სოსიაშვილი, ლიახვის ხეობის ნასოფლარები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №10, 2016, გორი, გვ. 139-158.

238 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 945.

239 იქვე, გვ. 850-851, დოკ. 319.

მიერ მაღალაძეებისადმი 1624 წელს ბოძებული სიგელი: „ქ. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კათოლიკოზმან პატრონმან ქრისტეფორემ ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შაგიწყალეთ და გიბოძ[ე]თ თქუენ მაღალაძეთა ხუციასა და ივანეს და სეხნიასა და ზა[ა]ლს, შვილთა თქვენთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე: საჭელოს გ[ვ]იაჯენით. აჯა და მოხსენება თქვენი შაგიწყალე და მოგიბოძეთ გომნი სამოურავოდ. მიწობალიძეს ქონდა გომნი საჭელოდ, ისი სამუქაბოდ შავიჯერეთ; და გომნი სამკვიდროდ სამოურავოდ გიბოძეთ.“[240]

კათალიკოს ქრისტეფორეს მიერ გაცემული 1618 წლით დათარიღებული ერთ-ერთი სიგელით დასტურდება, რომ შიდა ქართლში არსებობდა ზერტის სამოურავოც.[241] შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პატარა ლიახვის ხეობაში ქართლის კათალიკოსის დაქვემდებარებაში არსებული ორი სამოურაო არსებობდა. აქედან, ერთი დისევისა იყო, მეორე სამოურავო ბადაანსა და ხოდელის (ჩამოსახლებული ოსების სამეთვალყურეოდ). ოსების სამოურაო არსებობდა დიდი ლიახვის ხეობაშიც, რომელიც სამეფო ხელისუფლებას ვინმე თამაზა მირზაშვილისათვის ჰქონდა ჩაბარებული. 1789 წლით დათარიღებული დავთრის მიხედვით, საპატრიარქო პატარა ლიახვის ხეობაში 25 კომლ გლეხს ფლობდა, აქედან ქორდში 13 კომლი ეკუთვნოდა, კულბითში – 7, ტირძნისში – 4, ქსუისში – 1 კომლი: „ქ. ქორდს [ქ.] გედევანიშვილის შოშიას ყმა ბურნაძე შიო, ქ. ამისივე მახათაძე მღვდელი იოანე, ქ. ამისივე ლომაური ივანე, ქ. ამისივე ჯალაბაძე პაპუნა, ქ. ამისივე ჯალაბაძე გოგილა, ქ. აქავ ქარსიძის გლახას ყმა კახიაშვილი რევაზა, ქ. გედევანიშვილის იოსების ყმა არჩვაძე ზაზუნა, ქ. გედევანიშვილის სარდლის ბეციას ყმა მარტოყოფელა სვიმონა, ქ. ამისივე ლომაური გლახა, ქ. ამისივე ლაშაძე გლახა, ქ. ამისივე რაზმაძე დავითა, ქ. ამისივე სვიმონიკა, ქ. ამისივე ხევსური პაპუნა. ქ. კულბითს [ქ.] ოქროპირიძე მღვდელი გიორგი, ქ. ოქროპირიძე მღვდელი პეტრე, ქ. ოქროპირიძე დავით ღვდლისშვილი ბერი, ქ. ოქროპირიძე ქაქუცა, ქ. ოქროპირიძე პეტრე, ქ. ოქროპირიძე ბერუა, ქ. ოქროპირიძე თომა მღვდლის შვილი გაბრიელ ქ. ტ[ი]რძნისს, [ქ.] ტეტუნაშვილი გოგია, ქ. ტეტუნაშვილი მოსე, ქ. ტეტუნაშვილი სიო, ქ. ტეტუნაშვილი ტეტია, ქ. ქსუისს საღირაშვილი ნინია.“[242]

1802 წლის აღწერის მიხედვით, ეკლესიის კუთვნილი გლეხები გვხვდება პატარა ლიახვის შემდეგ სოფლებში: ქორდში, საცხენისში (საცხენეთი), არბოში, ერედვში.[243]

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დასაწყისში რუსულმა ხელისუფლებამ საქართველოში მოსახლეობის რამდენიმე აღწერა ჩაატარა. ერთ-ერთი აღწერა 1804 წელს კაპიტან-ისპრავნიკ იანცოვის მიერ განხო-

240 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 483, დოკ. 94.
241 იქვე, გვ. 395, დოკ. 89.
242 იქვე, გვ. 990-991, დოკ. 429.
243 Акты, Т. I, стр. 461, №575.

რციელდა. აღწერის მასალებში პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში საეკლესიო გლეხები და აზნაურებია დაფიქსირებული. ამ დროისთვის ქსუისში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ეკუთვნოდა 1 კომლი აზნაური,[244] ხოლო კულბითში 10 კომლი გლეხი (აქედან, 27 მამაკაცი. 17 ქალი).[245]

244 საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგ: სეაცსა), ფონდი №254, საბ. 58, გვ. 48. მართალია, აზნაურის გვარი არ წერია, მოხსენიებულია მხოლოდ მისი სახელი იოსები, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი გედევანიშვილი უნდა იყოს, რადგან 1818 წლის კამერალურ აღწერაში ქსუისში იხსენიება აზნაური იოსებ გედევანიშვილი და მისი ყმები: შიო საფერაშვილი, შიოს დედა, მეუღლე და შვილები: სიმონი, სოლომონი, ასევე შიოს ძმა გიორგი. გსიემ, 8235, №128, გვ. 53.

245 სეაცსა, ფონდი №254, საბ. № 58, გვ. 46.

ათონის ვატოპედის ბერძნული მონასტრის მეტოქი და მამულები პატარა ლიახვის ხეობაში

პატარა ლიახვის ხეობაში თავისი მეტოქი და მამულები ჰქონდა ათონის ვატოპედის ბერძნულ მონასტერს.[246] იგი ერთ-ერთი უდიდესი მონატერია ათონის მთაზე. უძველესი სასულიერო ცენტრი მდებარეობს ათონის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთით. გერასიმე სმირნაკის ინფორმაციით, 1903 წლის მდგომარეობით, ვატოპედის მონასტერში, იგივე ვატოპედიონში 966 ბერი მოღვაწეობდა. აქედან 570 რუსი ეროვნების, ხოლო ბერძენი 366.[247] იმ დროისათვის ათონის ივირონის მონასტერში 456 ბერი მსახურობდა.[248] ვატოპედის მონასტერი, როგორც მოქმედი სასულიერო ცენტრი, წყაროებში დადასტურებულია 985 წელს.[249] თუმცა, მის დაარსებას იმპერატორ არკადის სასწაულებრივ გადარჩენას უკავშირებენ. გადმოცემით, ხომალდის დაღუპვის შემდეგ წყალმა საიმპერატორო ტახტის მემკვიდრე ნაპირზე გამორიყა, მან ბუჩქს შეაფარა თავი. აქედან მომდინარეობს მონასტრის სახელწოდება – „ვატოპედი“ – „ყრმა ბუჩქის ქვეშ.“[250] ქართველების კვალი ათონის მთაზე VI საუკუნიდან ჩანს. ათონის ტერიტორიაზე არსებულ რამდენიმე მონასტერს შორის ვატოპედის მონასტერი იერარქიულად მეორე ადგილზეა. იგი თავის დროზე არაერთმა ქართველმა სასულიერო პირმა მოინახულა. ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი ცნობით, XIII საუკუნეში, კერძოდ, 1229 წლის შემოდგომაზე აკრის წმინდა იოანეს მონასტრიდან მიმავალი ერთ-ერთი ქართველი ბერი საბა ანატოლიაში შეჩერდა, სადაც იმპერატორ იოანე III დუკა ვატაცისაგან ათონელი ბერებისათვის დახმარების პირობა მიიღო. ცნობილია, რომ ათონის ლავრაში მყოფი ბერები გარკვეულ შევიწროებას განიცდიდნენ, სანამ იმპერატორმა ანრიმ (1206-1211 წ.წ.) ლათინთა ქმედება არ აღკვეთა. ათონის ივირონის ქართველი ბერები გრიგოლ იკოდომოპულოსმა ოჰრიდის არქიეპისკოპოსთან დაას-

246 აღსანიშნავია, რომ ათონის ქართველთა (ივირონის) მონასტერს ქონება ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ქუთაისში, ასკანაში, გორში, ცხინვალში, დიდ და პატარა საქობიაში, ნუკრიანში და სხვ. ეს ქონება იყო: სახნავ-სათესი მიწები, ვენახები, ხილის ბაღები, წისქვილები. ათონის ივირონს სხვადასხვა დროს 200-ზე მეტი კომლი გლეხი ჰყავდა შეწირული. *ბ. კანდელაკი, ათონის ივერთა მონასტერი, „ძეგლის მეგობარი,“ 1970, №22, გვ. 55-56; გ. სოსიაშვილი, ათონის ვატოპედის ბერძნული მონასტრის მეტოქი და მამულები პატარა ლიახვის ხეობაში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, 2017, გვ. 54-68; G. Sosiashvili, Territories owned in Georgia by the Mount Athos(Vatopedi) Monastery(In the Russian occupied territories, in Liakhvi Gorge), Pro Georgia, journal of kartvelological studies № 28-2018, p. 175-189.*

247 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. VIII, თბ., 1970, გვ. 126.

248 იქვე.

249 იქვე, გვ. 128.

250 პეტრე კონჭოშვილი, მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმს და წმ. ათონის მთაზედ, კომენტირებული გამოცემა, გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ვაჟა კიკნაძემ, თბ., 2016, გვ. 208, 290.

მინა, თითქოს ქართველი სასულიერო პირები ლათინებს დაემორჩილნენ, თესალონიკში პაპის კარდინალს ეახლნენ და მხარდაჭერა გამოუცხადეს.[251] ძალზე საინტერესოა, ათონში მოღვაწე ბერის-გრიგოლის წერილი, რომელიც ოჰრიდის არქიეპისკოპოსის – ხომატიანოსის სახელზეა შექმნილი. როგორც ჟაკ ლეფორი აღნიშნავს: „ივირონელი ბერი გრიგოლი ბერძნული საძმოს სულიერი წინამძღოლი ყოფილა. მისი ვიზიტი ოჰრიდის არქიეპისკოპოსთან შესაძლოა მონასტერში ქართველების უპირატესობას დამუქრებოდა.“[252] ამის შემდეგ ათონში წმინდა საბამ იმოგზაურა და ივირონში მივიდა, სადაც 1197 წელსაც იყო ნამყოფი, ხოლო აქედან ჯერ ვატოპედში, ხოლო შემდეგ ხილანდარსა და თესალონიკში ჩავიდა, სწორედ აქ შეხვდა ეპირის დესპოტს – თეოდორე ანგელოსს.[253]

საინტერესოა, როგორ იყო წარმოდგენილი ათონის ივირონის და ვატოპედის მონასტრების იერარქია. 1045 წელს შედგენილი კონსტანტინე მონომახის (1042-1055 წ.წ.) ტიპიკონიდან გამოდინარე, ივირონის მონასტერს ათონის იერარქიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.[254] აღსანიშნავია, რომ ათონის საბჭოს საბუთებს ივირონის წინამძღვარი ხელს აწერდა პროტის, ან ლავრის წარმომადგენლის შემდეგ. ეს მიდგომა 1366 წლიდან შეიცვალა. ივირონის ხელმძღვანელის ხელმოწერა დოკუმენტებზე ვატოპედის მონასტრის წინამძღვრის შემდეგ ჩნდება.[255]

ათონის ივირონის მონასტერსა და იქ არსებულ ბერძნულ მონასტრებს შორის დავა ხშირი იყო. ათონის კრებული მიწების საკითხზე, ჯერ ხილინდარის მონასტერს (XVI ს.),[256] ხოლო შემდეგ (XVIII საუკუნის I მეოთხედში) ვატოპედის მონასტერს ედავებოდა.[257] 1101 წელს შედგენილ ერთ-ერთი საბუთით, რომელსაც ეწოდება: „სევასტოკრატორ ისააკის მამ-

251 ივირონის აქტები, 1204-1328, დიპლომატიკური გამოცემა, ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდის, დენიზ პაპახრისანთუ, ვასილიკი კრავარი, ელ. მეტრეველის თანაავტორობით, ტ. III, თბ., 2008, გვ. 6.

252 ივირონის აქტები, 1204-1328, დიპლომატიკური გამოცემა, ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდის, დენიზ პაპახრისანთუ, ვასილიკი კრავარი, ელ. მეტრეველის თანაავტორობით, ტ. III, თბ., 2008, გვ. 6-7.

253 ივირონის აქტები, 1204-1328, დიპლომატიკური გამოცემა, ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდის, დენიზ პაპახრისანთუ, ვასილიკი კრავარი, ელ. მეტრეველის თანაავტორობით, ტ. III, თბ., 2008, გვ. 7.

254 ივირონის აქტები, დაარსებიდან XI საუკუნის შუა წლებამდე, დიპლომატიკური გამოცემა, ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდის, დენიზ პაპახრისანთუ, ელ. მეტრეველის თანაავტორობით, ტ. I, თბ., 2008, გვ. 69.

255 ივირონის აქტები, 1328 წლიდან XVI ს-ის დამდეგამდე, დიპლომატიკური გამოცემა, ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდის, დენიზ პაპახრისანთუ, ვასილიკი კრავარი, ელ. მეტრეველის თანაავტორობით, ტ. IV, თბ., 2008, გვ. 9.

256 ივირონის აქტები, 1328 წლიდან XVI ს-ის დამდეგამდე, დიპლომატიკური გამოცემა, ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდის, დენიზ პაპახრისანთუ, ვასილიკი კრავარი, ელ. მეტრეველის თანაავტორობით, თბ., ტ. IV, თბ., 2008, გვ. 35.

257 ივირონის აქტები, 1328 წლიდან XVI ს-ის დამდეგამდე, დიპლომატიკური გამოცემა, ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდის, დენიზ პაპახრისანთუ, ვასილიკი კრავარი, ელ. მეტრეველის თანაავტორობით, თბ., ტ. IV, თბ., 2008, გვ. 298.

ულების ინტენდანტის სგუროსის მიერ ხელმოწერილი სასაზღვრო აქტი“ - ჩანს, რომ ვატოპედის მამულები ივირონის მონასტრის სამფლობელოს ემიჯნებოდა.[258]

ვატოპედის მონასტერი XVIII საუკუნის II ნახევარში მოუნახულებია ტიმოთე გაბაშვილს. ვატოპედთან ერთად მან აღწერა ათონის მთის სხვა მონასტრებიც: ლავრა, ხილანდარი და სხვ.[259] ტიმოთე გაბაშვილი ვატოპედის მონასტერს ათონის მთაზე არსებულ ყველა მონასტერზე გრანდიოზულად იხსენიებს: „...და ვიხილეთ მონასტერი და ტაძარი მჯობი ყოველთა მონასტერთა მთა-წმინდელთასა, და არა რათ ნაკლული მათგან, და თაყუანის-ვეცით ტრაპეზთა და ნაწილთა.“[260] ტიმოთეს ვატოპედიის მონასტერში უნახავს გრიგოლ ღვთისმეტყველის თავი და სხვა წმინდა ნაწილები.[261] ტიმოთე გაბაშვილი, ისევე, როგორც სხვა ქართველი მოგზაურები, ვატოპედის დამაარსებლად ბერძენ უფლისწულ არკადის მიიჩნევს.[262] მისი თხზულების პირველი გამომცემლის--პლატონ იოსელიანის განმარტებით, ვატოპედის მონასტერში ინახებოდა ღვთისმშობლის სარტყელის ნაწილი, რომელიც თავის დროზე სამეგრელოს მთავარს გრიგოლ დადიანს იმპერატორ ალექსანდრე I-სათვის გადაუცია, ამ უკანასკნელს კი, როგორც ჩანს, ვატოპედის მონასტრისათვის შეუწირავს.[263]

ვატოპედის მონასტერი მოილოცა ასევე მროველმა ეპისკოპოსმა იონა გედევანიშვილმა. მისი ცნობით: „იქიდამ (ივირონის მონასტრიდან, – გ. ს.) წამოსულმან, მოველ ვათოპეტს. მომეგება შტეოფილატე განმგებელი მონასტრისა, და მამანი მონასტრისანი. მონასტერი უცხოა და კეთილმშუნიერი. შემიძღუნენ თავსა მას ეკლესიისასა და მამთხჳეს თავსა ანდრია კრიტელისასა და მკლავსა მას წმინდისა გრიგორისასა ფეშხუნითა ოქრო-მოცურჳლითა; და მას შინა ძელსა ჭეშმარიტსა. მონასტერი ესე ვატოპეტი ლავრა, არკადი და ონორისაგან აღშენებულან პირსა ზღჳსასა. მცხოვრებნი მამანი და ძმანი, მონასტერსა ამას შინა არიან ორასნი.“[264]

ვატოპედი მოუნახულებია დეკანოზ პეტრე კონჭოშვილსაც, რომელმაც ათონის მთაზე 1899 წელს იმოგზაურა. აქ იგი მონასტრის ბერძენ არქიმანდრიტსაც შეხვდა.[265]

---

258 ივირონის აქტები, XI საუკუნის შუა წლებიდან 1204 წლამდე, დიპლომატიკური გამოცემა, ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდის, დენიზ პაპახრისანთუ, ვასილიკი კრავარი, ელ. მეტრეველის თანაავტორობით, ტ. II, თბ., 2008, გვ. 241.

259 ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 331-332.

260 იქვე, გვ. 331; ტიმოთე გაბაშვილი, მოხილვა წმინდანთა და სხუათა აღმოსავლეთის ადგილთა, ტფ., 1852, გვ. 61.

261 ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 331.

262 იქვე, გვ. 331.

263 ტიმოთე გაბაშვილი, მოხილვა წმინდანთა და სხუათა აღმოსავლეთის ადგილთა, ტფ., 1852, გვ. 61.

264 კობა ხარაძე, ათი წელი მოგზაურობაში, იონა გედევანიშვილი, თბ., 2013, გვ. 70.

265 აღსანიშნავია, რომ პეტრე კონჭოშვილი ათონის ივირონის მონასტრის წიგნთსაცავში ბერძენმა ბერებმა არ შეუშვეს. თხოვნის მიუხედავად, მან ვერ

ათონის მთაზე არსებულ ივირონის და ვატოპედიის ბერძნულ მონასტრებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ. გადმოცემით, ქართველთა სავანეში მყოფ სასულიერო პირებთან ერთად, ვატოპედიის მონასტერში მოღვაწე ბერებიც იყვნენ მომსწრენი ღვთისმშობლის ხატის სასწაულებრივი გამოცხადებისა ზღვაში – ათონის ნაპირზე: „ხოლო ეს საკვირველება მარტო დღისით კი არა ჩანდა, არამედ ღამით უფრო მეტად ელავდა. ამიტომ იმ მთის (ე. ი. მთაწმინდის) ყველა ბერები გაკვირვებულნი ამ სასწაულით, შეიკრიბნენ იბერთა სავანეში ხომალდებით ლავრიდან ვატოპედიდან და სხვა მონასტრებიდან.“[266]

ათონის ივირონმა და ვატოპედის მონასტერმა ერთად იგემეს ის სისასტიკე, რაც მათ ჯვაროსნების მიერ დაატყდათ. ცნობილია, რომ ათონის ნახევარკუნძული 1259 წელს დაარბიეს ლათინებმა.[267]

ვატოპედიის მონასტერს, როგორც აღვნიშნეთ, თავისი მეტოქი და მამულები ჰქონდა პატარა ლიახვის ხეობაში.[268]*

ვატოპედის მონასტრის მეტოქის შესახებ ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივში, პეტრე კარბელაშვილის პირად ფონდში დაცული, 1779 წლის 30 აგვისტოს შედგენილი დოკუმენტი: „განჩინება დიკასტერიისა მთაწმინდის ვატოპეტის ხარების

მოახერხა ძველი ქართული წიგნების ნახვა, რის შესახებაც გულისტკივილი გამოთქვა ვატოპედის ბერძენ არქიმანდრიტთან, რომელმაც ქართველ სასულიერო მოღვაწეს ვატოპედის წიგნთსაცავი დაათვალიერებინა. *პეტრე კონჭოშვილი, მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმს და წმ. ათონის მთაზედ, კომენტირებული გამოცემა, გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ვაჟა კიკნაძემ, თბ., 2016, გვ. 211-212.*

266 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. VIII, თბ., 1970, გვ. 264.

267 აღნიშნული თარიღი პ. უსპენსკის ნაშრომზე დაყრდნობით მოცემული აქვს ლ. მენაბდეს. *ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1980, გვ. 222.* ე. მამისთვალიშვილი იმოწმებს ერთ-ერთ სლავურ წყაროს, რომლის მიხედვით, ლათინებმა ათონის მთა იავარქმნეს 1276 წელს. როგორც მკვლევარი მიუთითებს, არსებობს ამ ფაქტის განსხვავებული დათარიღებაც, კერძოდ, პროტატში დაცული ბერძნული ხელნაწერის მიხედვით, აღნიშნული ლაშქრობა მოხდა 1280 წელს. *ე. მამისთვალიშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა XIII საუკუნის II ნახევარში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, შოთა მესხია – 100, თბ., 2016, გვ. 306-307.*

268 ნ. ოთინაშვილი, რამდენიმე საკულტო ძეგლი ლიახვისა და ქსნის ხეობიდან, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, შრომათა კრებული, 2016, №11, გვ. 212.

* როგორც მივუთითებდით, პატარა ლიახვის ხეობაში, კერძოდ, სოფელ თერგვისში თავისი მამული ეკუთვნოდა მაცხოვრის წმინდა საფლავს. *ნ. ხუციშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2006, გვ. 41.* დიდი ლიახვის ხეობაში, სოფელ მეღვრეკისში კი თავისი მეტოქი გააჩნდა სინას წმინდა ეკატერინეს მონასტერს. *თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 483.* სინადან მეღვრეკისში არქიმანდრიტები იგზავნებოდნენ. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერს მამული ჰქონდა სოფ. ნიქოზში. *ნ. ხუციშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2006, გვ. 41.* არ გამოვრიცხავთ, რომ საბაწმინდის ცნობილი მონასტრის მეტოქი ყოფილიყო დიდი ლიახვის ხეობაში სოფელ ხეითთან, რომელიც ასევე საბაწმინდის სახელით არის ცნობილი. *ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, I, თბ., 1984, გვ. 59.*

მონასტრის ეკლესიის მამულების საქმეზე“. დოკუმენტში ვკითხულობთ: „განჩინება მისის უწმინდესობის დიკასტერიისა.[269] მისსა უმაღლესობისა სრულიად საქართველოს მეფეს ირაკლის ებრძანებინა დიკასტერიისათვის გარჩევა და გარკვევა მთაწმინდის ვატოპეტის ხარების მონასტრის ეკლესიისა და მამულისა, რათამცა განგვერჩია და განგვესამართლებინა და ჩვენ მიერ განჰსჯილის სამართლის განჩინებითა მოურნე და მწყესელ ყოფილიყო ფოტორის წმიდა გიორგის ეკლესიისა და მის ეკლესიის მამულისა მთაწმიდის ვატოპეტის ხარების მონასტრიდამ წარმოვლენილი იღუმენი იოსაფ, მისის უწმინდესობის დიკასტერიამან ამა საქმისათვის მრავალი მოძიება და გამოკვლევა ჴჰყავთ და ეს გულსავსებით ვირწმუნეთ და დავჭეშმარიტეთ, რომ: ვერცინუალს ფოტოროზედ წმიდის გიორგის ქაშეთის ეკლესია ჰქონებოდა მთაწმიდის ვატოპეტის ხარების მონასტერსა და ის ეკლესია ლიახვის მდინარისაგან დაქცეულიყო და მას ჟამსა ნეტარხსენებულს დედოფალს მარიამს მისსა ნაცვლად ლიახვის გამოღმა ეკლესია აეშენებინა, რომელიც დღეს არის. და იმ დაქცეულს ეკლესიაში რაოდენნის ხატნი სვენებულ იყვნენ, ისინი ქრცხინვალელს მახნიაშვილს შეენახა და მასუკან ამ ახლად აშენებულს ეკლესიაში დაესვენათ. და ეკლესიის დეკანოზობა დედოფალს მარიამს მახნიაშვილისათვის ებოძებინა და აგრეთვე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარხს იოანეს წერილის ბოძებით დეკანოზობავე დაემტკიცებინა. და აგრეთვე მისსა უწმინდესობასავე ყოვლისა საქართველოს კათალიკოს – პატრიარხს ბატონისაშვილს დომენტისცა და აგრეთვე მისსა უწმინდესობასა ყოვლისა საქართველოს კათოლიკოსს – პატრიარხს მეფის ძეს ანტონისცა ებოძებინა და დაემტკიცებინა დეკანოზობავე მახნიაშვილისათვის. აწ ჩვენ ესრეთ განჩინებითა ამით დაგვიმტკიცებია: რომელიც ფოტოროზედ დაქცეულ ეკლესია არის და ან ახლად ლიახვის გამოღმა მარიამ დედოფლისაგან აღშენებული ეკლესია არის და ამ ეკლესიებისა ან ყმა ან მამული ძველი თუ **ახლად შეწირული მარიამ დედოფლისაგან,** შეწირულნი ვენახნი: ელიასშვილის ნახევარი, მაისურაძის ვენახი საყდართან, მუჯარის ბასილას ვენახი, გულას გერის ვენახი, ან სახლი, ან ალაგი, ან სასაფლაო ან სხვა რამ სადამდე არის, ყოველივე მთაწმიდის ვატოპეტის ხარების მონასტრის ეკლესიისა არის. და რომელიც იმ მონასტრიდამ იღუმენი იოსაფ წარმოვლენილი არის, იმის ხელქვეშ არის და იოსაფ იღუმენი არის გამგე

269 დიკასტერიას იოანე ბაგრატიონი ასე განმარტავს: „დიკასტერია არის ბერძული სიტყუა, რომელიც ნიშნავს [E. 162] უპირველეს სამსაჯულოს და სამსაჯულოთა შესაკრებელთა ადგილთა. ხოლო ძველად იყო საბერძნეთსა და რუსეთსაცა შინა, საეპარხიოსა ადგილებსა შინა სულიერნი მსაჯულნი დადგინებულნი, დიკასტერიის წევრად წოდებულნი, რომელთაცა საეკლესიონი და სასულიერონი საქმენი შეეხებოდნენ და მათ მიერ განირიგებოდნენ. ხოლო რომელთამე ადგილთა შინა იქმნებოდა ერთი ეპისკოპოსი, ორი არქიმანდრიტი, აგრეთვე მღუდელნი აღრჩევით, მეცნიერნი კაცნი, და იგინი ჰსჯულიერად გარდასწრიდენ სამართალთა სასულიეროთა და სამღთოთა საქმეთათჳს. ხოლო სხვები დიკასტირიას სახელ სდებენ კონსისტერიად.“ *იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, წიგნი II, თბ., 1991, გვ. 377.*

უფალი და პატრონი. არა რომელსამე კაცთაგანსა, არცა სამღვდელოთა და არცა ერისგანთა საქმე არა აქვსთ არც ეკლესიასთან და არც ყმასა და მამულთანა, თვინიერ იოსაფ იღუმენის მეტს. და თუ დღეის იქით ამ ეკლესიების მამულები ან ყმები ან სხვა რამ გამოჩნდება, რომ მიფარვით და ნამალევად სხვას ეჭიროს, ისიც მთაწმიდის ვატოპეტის ხარების ეკლესიისა არის. დიკასტერიასა შინა წერილ იქმნა თუესა აგვისტოსა 30, წელსა 1779. მდაბალი მიტროპოლიტი ტფილისისა მიხაილ, უღირსი არხიმანდრიტი სტეფანე, უღირსი დეკანოზი მცხეთის დიდისა ეკლესიისა და კარისა ნიკოლოზ, მწიგნობართ-მთავარი დავით თავში: ჩუენის დიკასტერიის მსაჯულთაგან განჩინებისა ამას დავამტკიცებთ. აგვისტოს 31, წელსა 1779. ანტონი კათალიკოზი.“[270]

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, ათონის ვატოპედის მონასტრის მეტოქი მდ. პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადის, მდ. ფოტრისას ნაპირზე მდებარეობდა. სავარაუდოდ, ეს ადგილი უნდა ყოფილიყო მდ. ფოტრისის და მდ. პატარა ლიახვის შესართავი. როგორც აღვნიშნეთ, პატარა ლიახვის ხეობაში ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს ტოპონიმ „ფოტოროს.“[271]

იყო თუ არა დასახლებული „ფოტორო“? ვახუშტი ამის შესახებ ინფორმაციას არ გვაწვდის. აღნიშნული სახელწოდების ადგილი უნდა ყოფილიყო დაახლ. სოფ. საცხენეთსა (წყაროების მიხედვით საცხენისი) და სოფ. ბელოთს შორის, მდ. პატარა ლიახვის ჩრდილოეთ მხარეს. სწორედ ამ ადგილის მიხედვით ეწოდებოდა მდ. პატარა ლიახვის ერთ-ერთ შენაკადს „ფოტრისის ხევი,“ რომლის შესახებაც ვახუშტი წერს: „ხოლო ვანათსა, საცხენისსა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისის ხევი, კლდიანი და ძნიად განსავალ, გამოსდის გერისა და შუაცხვირის მთასა.“[272] „ფოტოროს“ – ასეთ ტოპონიმს არ იცნობს იოანე ბაგრატიონი, პატარა ლიახვის ხეობის სოფლების ჩამონათვალში სოფ. საცხენისის შემდეგ დასახლებული სოფლებიდან ის იხსენიებს „ედემ ქალაქს,“ შემდეგ კი „ბელოთს.“[273]

ფოტოროზე არსებული ათონის ვატოპედის მონასტრის მეტოქი, როგორც ჩანს, მდ. პატარა ლიახვმა იმდენად დაეზიანა, რომ ფოტორისას წმინდა გიორგის ტაძრის ნაცვლად, ქართლის დედოფალმა მარიამმა მდ. პატარა ლიახვის გამოღმა მხარეს სხვა ტაძარი ააშენა. ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ დაზიანებული ვატოპედის მონასტრის საკუთრებაში არსებული ფოტოროს წმინდა გიორგის ტაძრიდან ცხინვალში მცხოვრებ მახნიაშვილს ხატები ახალ ტაძარში გადაუბრძანებია. მარიამ დედოფლის

270 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. V, თბ., 1974, გვ. 128.

271 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 362.

272 იქვე.

273 იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 38.

ინიციტიავით ის ახლადაგებული ტაძრის დეკანოზად დაინიშნა. მახნიაშვილს დეკანოზობა საგანგებო წერილით დაუმტკიცა ჯერ კათალიკოს-პატრიარქმა იოანემ (1688-1692; 1695-1700 წწ.), ხოლო შემდეგ მითითებული სასულიერო თანამდებობა განუახლეს მომდევნო კათალიკოსებმა დომენტი IV-მ (1705-1741 წწ.) და ანტონ I-მა (1744-1755; 1764-1788 წწ.).

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ქრისტიანული ღვთისმოსაობით გამორჩეულ მარიამ დედოფლის (1599-1609?წ.წ) სახელს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აგებულ, თუ განახლებულ ტაძრებთან ერთად,[274] დიდი ლიახვის ხეობაში, ცხინვალთან ახლოს, ზღუდრის წმინდა გიორგის ტაძრის განახლებაც უკავშირდება. ამას ადასტურებს ტაძრის სამხრეთ კარის მაღლა ქვაზე მოთავსებული წარწერა: „წ. ჰოი ახოვანო, მოწამეთა შორის მთავარმოწამეო, წმინდაო გიორგი ზღუდრისაო, მფარველ გვექმენ ორთავე შინა ცხოვრებათა[მადიდე]ბელსა დედოფალთ დედოფალსა ხელმწიფის დადი[ანის ასულსა] მარიამს და ნაცვალ გვაგე მადლი და ფარვა შენმიერი დღესა მას დიდსა განკითხვისასა შინა ამინ!“[275] ამის გარდა, ზღუდრის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში ჩაშენებულ ქვაზე ნუსხურით შესრულებული კიდევ ერთი წარწერაა, სადაც ასეთი ტექსტი იკითხება: „წმინდაო ღვაწლისა მძლეო(,) მოწამეთა შორის წარჩინებულო(,) წმინდაო გიორგი ზღუდრისაო, მწე და მფარველ ექმენ ტაძრისა ამისა ზედამდგომელსა მიქაელს, მის ძეს ი[ოან]ეს ცოდვანი მი[სნი შეუნდენ, ამინ“].[276] როგორც ი. მეგრელიძე განმარტავს: „ორივე წარწერა ეკლესიის კედელთა იმ ნაწილშია, რომლებიც შემდეგაა დაშენებული. ჩანს, რომ წარწერები კედლებზე სიმაღლის მომატების დროს გაუკეთებიათ.“[277] თუმცა, გამოთქმულია განსხვავებული შეხედულებაც. ა. ტუღუშის აზრით, ზღუდერის წმინდა გიორგის ეკლესია მარიამ დედოფალმა კი არ აღადგინა, არამედ ააშენა.[278]

როგორც ჩანს, მარიამ დედოფალი არამარტო საქართველოში არსებულ ტაძრებზე ზრუნავდა, არამედ უცხოეთში არსებულ სასულიერო ცენტრებსაც ეხმარებოდა. მის მიერ ვატოპედის მონასტრისათვის ახალი ტაძრის აგება სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს. აღსანიშნავია, ისიც, რომ მარიამი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა იერუსალიმში არსებულ ქართულ მონასტრებზეც. მისი ინიციატივით ჯვრის მონასტრის საკუთრებაში არსებული სოფელი დირბი ქართლის მეფემ როსტომმა ყოველგვარი გადასახადებისგან გაათავისუფლა. დირბს დაეკისრა მხოლოდ საიერუსალიმო გადასახადი ყოველწლიურად 6000 თეთრის ოდენობით.[279]

ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტის შედგენის დროს, მდ. პატარა ლიახვის ხეობაში ვატოპედის ორივე ეკლესია არსებობდა: ერთი „ფოტოროზე,“ მდ. პატარა ლიახვისაგან დაქცეული და მეორე ლიახვის მარჯვენა ნაპირზე

274 ა. ტუღუში, ცხოვრება და ღვაწლი დედოფალ მარიამ დადიანისა, თბ., 1992, გვ. 32.
275 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, I, თბ., 1984, გვ. 53.
276 იქვე, გვ. 52.
277 იქვე, გვ. 53.
278 ა. ტუღუში, ცხოვრება და ღვაწლი დედოფალ მარიამ დადიანისა, თბ., 1992, გვ. 34.
279 იქვე, გვ. 32.

(გამოღმა) მარიამ დედოფლისაგან აგებული. ორივე ტაძარი ერეკლე II-ს დავალებით დიკასტერიამ კვლავ ვატოპედის მონასტერს მიაკუთვნა. დოკუმენტში ხაზი აქვს გასმული, რომ ვატოპედის მონასტრის საკუთრებად მიიჩნიეს მონასტრისათვის როგორც ძველად შეწირული, ისე შედარებით მოგვიანებით, მარიამ დედოფლისაგან ნაბოძები მამულები. როდის გადაეცა ათონის მთაზე არსებულ ვატოპედის ხარების სახელობის ბერძნულ მონასტერს მამულები პატარა ლიახვის ხეობაში, ან როდის აშენდა „ფოტოროზე" მისი მეტოქი წმინდა გიორგის ტაძარი, ამის თქმა გვიძნელდება წყაროთა უქონლობის გამო, თუმცა, დოკუმენტში არსებული ჩანაწერი: „ძველად თუ ახლად," უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ბერძნები პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ მამულს რამდენიმე საუკუნის წინ მაინც დაეპატრონებოდნენ. შესაძლებელია, რომ ათონის ივირონის მონასტერმა და ვატოპედიის ბერძნულმა მონასტერმა გარკვეული დავის დროს მამულები გაცვალეს.[280] დოკუმენტურ წყაროებში გვხვდება მამულების გაცვლის შემთხვევები. მაგ. 980 წლით დათარიღებული ქრისობულოს თანახმად, ბასილ II-მ ათონის ივირონს აჩუქა ლეონტიას მონასტერი თესალონიკეში, წმ. იოანეს მონასტერი კოლოკუში, იერისოს მახლობლად, ასევე წმ. კლიმენტის სახელობის მონასტერი მთაწმინდაზე. მათ სანაცვლოდ ბასილ II-მ ორი მონასტერი მიიღო, ერთი მონასტერი იბერიის სამეუფო ქალაქში, ხოლო მეორე წმ. ფოკას მონასტერი ტრაპეზუნტში.[281] არ გამოვრიცხავთ, რომ ვატოპედის მონასტერში პატარა ლიახვის ხეობიდან წასული დიდგვაროვანთა რომელიმე ოჯახის წარმომადგენილი მოღვაწეობდა და აქ არსებული ტაძარი და მამულები ბერძნულ მონასტერს მისი ინიციატივით გადასცემოდა. დოკუმენტურ წყაროებში ვხვდებით ქართველ დიდგვაროვანთაგან ვატოპედის ბერძნული მონასტრისათვის შესაწირის გაღების ფაქტებს. ამ მხრივ, ძალზე საინტერესოა მონაზონ მარიამის ანდერძი. დოკუმენტი დათარიღებულია 1098 წლით. მარიამმა თავისი ქართველი მეუღლის – სუმბატ ბაკურიანის ქონება ათონის მთაზე არსებულ იბერთა მონასტერს გაუნაწილა. მას თავისი მამული ჰქონდა რადოვილისში. ვრცელი დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ მარიამს, რომლის საერო სახელი კალი ყოფილა, მეუღლე გარდაცვლია. მისი მეუღლე იმ დროისთვის ფრიად ცნობილი დიდგვაროვანი, კურაპალატი სუმბატ ბაკურიანი იყო. ბაკურიანების ოჯახი

280 ათონის ივირონის მონასტერს სხვადასხვა დროს დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს სამეფო კარი. ქართველთა ამ უდიდეს სავანეს დიდად მფარველობდნენ დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი. *ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1980, გვ. 217, 220.* ათონის ქართველთა მონასტრისადმი დიდ ყურადღებას იჩენდა ალექსანდრე I დიდი (1412-1442წ.წ) ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1980, გვ. 225. სამეფო კარის გარდა ივირონს წარჩინებულ საგვარეულოთა ოჯახებიც ეხმარებოდნენ. *ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1980, 217, 225.* შესაძლებელია, რომ პატარა ლიახვის ხეობაში არსებული მამული ათონის ქართველთა მონასტერს რომელიმე დიდგვარონი ოჯახისაგან, ან სამეფო კარისაგან გადაეცა, რომელიც შემდეგ ვატოპედის ბერძნულ მონასტერს სხვა მამულში გაუცვალეს.

281 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. VIII, თბ., 1970, გვ. 170.

კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა. მთელი თავისი ავლადიდება მარიამმა ოჯახის ახლობლებს და ეკლესია-მონასტრებს შესწირა. როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ: „[სუმბატმა] თავის ანდერძში გამოთქვა სურვილი დაეკრძალათ იბერთა მონასტერში, რისი ხარჯიც, ბერებთან შეთანხმებით, მის მეუღლეს უნდა გაეღო; მან ბერებს ხელწერილით გადასცა 7 ლიტრა ხიხატა და სუმბატის სურვილის შესაბამისად, მისი ნეშტი ამ მონასტერში დაკრძალა."[282] სუმბატის სურვილს, დაკრძალულიყო იბერთა მონასტერში, თავისი საფუძველი ჰქონდა, ეს იყო მისი ქართული წარმომავლობა და მონასტრისადმი გაღებული საბოძვარი. სუმბატს ძმაც ჰყოლია – მაგისტროსი სერგი, რომელიც მარიამ მონაზონთან ერთად სუმბატის ქონების თანამესაკუთრე იყო. მარიამ მონაზონმა გარკვეული შეწირულობა გაიღო ვატოპედის ბერძნული მონასტრისთვისაც: „თავის მაზლის ვაჟს (მაგისტროს სერგის ვაჟი, – გ. ს.) ველკონასს უტოვებს (ჯავშან-პერანგს), თავის „უფალსა" და მოძღვარს" პატრიარქ [ნიკოლოზ III-ის] მიმდევარს, ბერ საბას (მედალიონს), თავის სულიერ მამას, ბერ თომას (ნაღდ ფულს), სხვა ორ ბერს, ოსიოს რავულას წინამძღვარ თეოდორეს, თავისი განსვენებული სულიერი მამის, თეოდორეს მიმდევარს სვიმეონს (წიგნებს). ვატოპედის მონასტერს (ორ ხატსა და თავის ეგვტერში დარჩენილ წიგნებს)."[283] დოკუმენტიდან არ ჩანს, სუმბატ ბაკურიანს და მის ოჯახს რა განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ ბერძნულ მონასტერთან, ან ვატოპედის მონასტერს რატომ გადასცა გარკვეული შესაწირი მარიამმა, რომელმაც ქმრის ანდერძი აღასრულა. ათონის ივერთა მონასტერში სუმბატ ბაკურიანისძის და მისი მეუღლის სახელზე აღაპი იყო დაწესებული.[284]

ბაკურიანების ურთიერთობა ათონის მთაზე არსებულ ვატოპედის მონასტერთან შემთხვევითი არ უნდა იყოს. შესაძლებელია, იქ იმ დროისთვის რამდენიმე ქართველი ბერიც მოღვაწეობდა და ეს შეწირულობა სუმბატის მეუღლემ – მარიამმა მათ საპატივსაცემოდ გაიღო. არ გამოვრიცხავთ, რომ ბაკურიანებს, ან ბიზანტიის იმპერიის სამსახურში მყოფ დიდგვაროვნებს არამარტო უცხოეთში არსებული ქონება გადაეცათ ათონის ვატოპედის მონატრისთვის, არამედ საქართველოშიც ებოძებინათ რომელიმე სოფელი.

რა აკავშირებდათ ერთმანეთთან ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტებში ნახსენებ სუმბატ ბაკურიანსა და პეტრიწონის მონასტრის ამშენებელ გრიგოლ ბაკურიანისძეს? როგორც ცნობილია, გრიგოლი ტაოელი ერისთავთ-ერისთავის ბაკურიანის ძე იყო. მას უმცროსი ძმა აბაზი ჰყავდა. გრიგოლმა თავი გამოიჩინა ბიზანტიის სახელმწიფო სამსახურში. ა. შანიძის განმარტებით, ის მოღვაწეობდა: „სომხეთში, საქართველოში, სასარკინოზეთში (სირიაში), თავადაც ყოფილა კარნუ ქალაქში (თეოდოსიოპოლში), ანისში, კარში (ე.ი. დღევანდელი გამოთქმით ყარსში). შემდეგ

282 ივირონის აქტები, XI საუკუნის შუა წლებიდან 1204 წლამდე, დიპლომატიკური გამოცემა, ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდის, დენიზ პაპახრისანთუ, ვასილიკი კრავარი, ელ. მეტრეველის თანაავტორობით, ტ. II, თბ., 2008, გვ. 214.

283 იქვე, გვ. 215.

284 ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, თბ., 1901, გვ. 246.

ბიზანტიის აღმოსავლეთიდან დასავლეთს გადასულა და, უკანასკნელად, ალექსი კომნენოსის დროს გახდა 1081 წელს „დასავლეთის დიდი დომესტიკოსი.“[285] მის სახელს უკავშირდება მრავალი დიდი საქმე, მათ შორის პეტრიწონის მონასტრის დაარსება, რომელსაც ტიპიკონი შეუქმნა.[286] გრიგოლ ბაკურიანისძე 1086 წელს დაიღუპა პაჭანიკებთან ბრძოლაში, ხოლო ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში ნახსენები სუმბატ ბაკურიანი გარდაცვლილი უნდა იყოს დააახლ. 1093 წელს. გამოდის, რომ ერთ ეპოქაში მოღვაწეობდა ორი ბაკურიანი. კონსტანტინოპოლში მცხოვრები, დიდი მამულის და ქონების პატრონი, კურაპალატის ტიტულის მქონე, სუმბატი ბიზანტიელთა სახელოვან სარდალს, სავარაუდოდ, იცნობდა. შესაძლოა, ისინი სახლისკაცებიც იყვნენ. გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეები ათონის აღაპებშიც იხსენიებიან, როგორც ჩანს, ისინი ივირონსაც ეხმარებოდნენ.[287] ათონის ლავრასთან დაკავშირებული იყო ბაკურიანთა ოჯახის რამდენიმე წევრი. ერთი, საბა სუმბატყოფილი, რომელიც, მისი დამსახურების გამო, აქვე, ივირონის მონასტერში დაიკრძალა.

როგორც მივუთითებდით, სუმბატ ბაკურიანი დაკავშირებული იყო ვატოპედთანაც. შესაძლოა, სწორედ აქედან ეყრება საფუძველი ვატოპედის მონასტრის ურთიერთობას საქართველოსთან. ეს ჯერ კიდევ სამომავლო კვლევის საქმეა. ჩვენი აზრით, XVII საუკუნეში ვატოპედის სასულიერო ცენტრმა, მას შემდეგ, რაც პატარა ლიახვის ხეობაში არსებული მეტოქი მდ. პატარა ლიახვმა დააზიანა, საქართველოსთან კავშირი შეწყვიტა. ბერძნებს მარიამ დედოფლის სიცოცხლეში „ფოტორის“ წმინდა გიორგის ეკლესიაზე გარკვეული უფლებები უნდა ჰქონოდათ, მარიამი, მათი ნებართვის გარეშე, დეკანოზს ვერ დანიშნავდა. მარიამ დედოფლის მიერ ვატოპედიის მონასტრის საკუთრებაში არსებული ტაძრის დეკანოზად შერჩეული მახნიაშვილი,[288] როგორც ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, ერთმანეთის მიყოლებით სამმა კათალიკოსმა დაამტკიცა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ათონის ვატოპედის მონასტერმა საქართველოში თავისი უფლებების აღდგენა მოითხოვა, ამიტომ ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ მონასტრის საკითხის შესწავლა სპეციალურ კომისიას მიანდო. ტაძრის დაზიანების და ათონის მთასთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ, როგორც ჩანს, „ფოტორის“ წმინდა გიორგის ტაძარმა მამულები დაკარგა.[289] ზუსტ ინფორმაციას ვატოპედის მამულების შესახებ, არც სამეფო ხელისუფლება ფლობდა და არც ათონიდან ამ საკითხ-

285 ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი IX, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1986, გვ. 9-10.

286 იქვე, გვ. 11.

287 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 155.

288 მახნიაშვილების გვარი ცხოვრობდა პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ სოფელ ვანათში. ვანათში არსებობდა მახნიანთუბანი. *გ. სოსიაშვილი, ვანათის ისტორიიდან, თბ., 2005, გვ. 40.*

289 ასე დაკარგა მამულები მეღვრეკისში სინას წმ. ეკატერინეს მონასტერმა, რომლებიც მთავარეპისკოპოს ანანიას თხოვნით, ვახტანგ V შაჰნავაზმა გამოუსყიდა მონასტერს.

ებზე ჩამოსული იღუმენი იოასაფი. სწორედ ამას უნდა ადასტურებდეს დოკუმენტში არსებული ჩანაწერი: „და თუ დღეის იქით ამ ეკლესიების მამულები ან ყმები ან სხვა რამ გამოჩნდება, რომ მიფარვით და ნამალევად სხვას ეჭიროს, ისიც მთაწმიდის ვატოპეტის ხარების ეკლესიისა არის.“ სამეფო ხელისუფლებას და საპატრიარქოს ინფორმაცია ჰქონდა მხოლოდ მარიამ დედოფლის მიერ ვატოპედის მონასტრისათვის ნაბოძებ მამულებზე. როგორც ჩანს, მარიამ დედოფალმა მონასტერს გადასცა: ელიაშვილის ნახევარი ვენახი, საყდართან (სავარაუდოდ მარიამის მიერ აგებულ ტაძართან) არსებული ვენახი, ვინმე მუჯარის ბასილას ვენახი,[290] გულას გერის ვენახი.[291] დოკუმენტიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვატოპედის მონასტერმა დაიბრუნა პატარა ლიახვის ხეობაში არსებული მამულები. გამოგზავნა ბერძენი იღუმენი იოასაფი, რომელსაც უნდა ემსახურა მარიამ დედოფლის მიერ აგებულ წმინდა გიორგის ტაძარში და განეკარგა ვატოპედის მონასტრის საკუთრებაში არსებული ქონება. თუმცა, ათონის ბერძენთა მონასტერმა პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ წმინდა გიორგის ტაძართან ურთიერთობა კვლავ გაწყვიტა. XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში, ათონის ვატოპედის მონასტრის საქართველოში რაიმე ქონების არსებობის შესახებ ინფორმაციას წმინდა მთაზე ნამყოფი არცერთი ქართველი მოგზაური არ გვაწვდის. ტიმოთე გაბაშვილმა 1779 წლამდე იმოგზაურა ათონის მთაზე და იმ დროს

290 გაურკვეველია აქ ნახსენები სიტყვა „მუჯარი.“ შესაძლებელია, იგი ძველ საქართველოში პროფესიის აღმნიშვნელი „მუჯირის“ გვარსახელად ქცეული ვარიანტი იყო. „მუჯირს“ სულხან-საბა ასე განმარტავს: „მუჯირი ხვარბლის მნე, ხვარბალთ მნე.“ *სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, I, თბ., 1991, გვ. 532.* „მუჯირობას,“ როგორც მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ ტერმინს, ვხვდებით 1412 წლის დოკუმენტში: „დაწერილი შოთა, სიაოშ და მირიან ზედგინიძეებისა გიორგი დედაბრისშვილისადმი.“ *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, II, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ, თბ., 2013, გვ. 105.* „მუჯირი“ გვხვდება ასევე 1660-1676 წ.წ. დოკუმენტში: „კათალიკოზის სახლთუხუცესის რიგი და შესავალი,“ სადაც ტერმინი „მუჯირი“ „მემარნესთან“ ერთად იხსენიება. *ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 572.* XVII საუკუნის დოკუმენტების მიხედვით, „მუჯირი“ უკვე გვარად არის ქცეული. *პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, თბ., 2004, გვ. 231.*

291 დოკუმენტში ნახსენები „გულა,“ ჩვენი აზრით, საკუთარი სახელი უნდა იყოს, ქართულ ონომასტიკონში გვხვდება გვარი „გულაშვილი“ *პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1991, გვ. 731,* რაც საკუთარ სახელს-გულას უნდა უკავშირდებოდეს. გავცელებული საკუთარი სახელი იყო ასევე – „გულიტა.“ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1991, გვ. 735. აღნიშნული ვენახი, შესაძლებელია, ჯერ ვატოპედის მონასტერს შეწირა მარიამ დედოფალმა, შემდეგ ის პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ გერის წმინდა გიორგის ცნობილ ტაძარს გადაეცა. *გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 87.* თუმცა, შესაძლებელია, რომ გულას ვენახი, რომელიც მარიამმა ვატოპედიის მონასტერს უბოძა, გერთან ახლოს იყო და სწორედ ამიტომაც ერქვა „გერის ვენახი“. გერი და მდ. პატარა ლიახვის ფოტრისის შენაკადი ტერიტორიულად ახლოსაა.

დიკასტერიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ვატოპედის მამულების საკითხი. დიკასტერიის მიერ მამულების გადაცემის მიუხედავად, ვატოპედის მონასტერმა ურთიერთობა მალე გაწყვიტა საქართველოსთან. სხვა შემთხვევაში მროველი მიტროპოლიტი იონა გედევანიშვილი ვატოპედთან საქართველოს ურთიერთობის შესახებ, თავის ჩანაწერში უსათუოდ აღნიშნავდა. ასეთი ინფორმაცია არ მოეპოვება არც დეკანოზ პეტრე კონჭოშვილს. როგორც მივუთითებდით, იგი ვატოპედის მონასტრის წინამძღვარსაც შეხვდა. ქართველი სასულიერო პირი მონასტრის წინამძღვრისაგან ასეთი ქონების არსებობის შემთხვევაში ინფორმაციას უსათუოდ მიიღებდა. მარიამ დედოფლის მიერ აგებული ქაშუეთის (ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში როგორც ჩანს, ვატოპედის ძველი ტაძარი „ქაშეთის“ სახელწოდებით გვხვდება) ტაძარი დღემდეა შემორჩენილი. იგი სოფელ ბელოთიდან აღმოსავლეთით, დაახლ. 1.5 კმ-ის დაშორებით მდებარეობს (იხ. დანართი).

ქართულ-ოსური ურთიერთობები და პატარა ლიახვის ხეობა

XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში ოსთა განსახლების ადგილი, ძირითადად, შიდა ქართლის მთიანი ზოლი იყო. ჩრდილოეთ კავკასიიდან სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად გადმოსული ოსები დასახლდნენ დიდი ლიახვის და ქსნის ხეობების ზემო წელზე, ოსთა ახალშენები გაჩნდა პატარა ლიახვის ხეობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშიც. ვახუშტი ბატონიშვილის განმარტებით, პატარა ლიახვის ხეობაში ოსთა ახალშენები სოფელ ვანათის ზემოთ იყო.[292] დიდი ისტორიკოსი და გეოგრაფი წერს: „ხოლო ვანათს ერთვის დასავლიდამ ლიახვს ჭევი გერისა, გამოსდის მსხლების მთას და დის სამხრით, ამას ზედა მსახლობელნი არიან ოსნი. უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს. ხოლო ვანათსა, საცხენისსა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისის ხევი ღრმა და კლდიანი, ძნიად განსავლელი, გამოსდის გერის და შუა ცხვირის მთას, შუაცხვირს მსახლობელნი არიან ოსნი.“[293] ვახუშტის ცნობით, XVIII საუკუნის პირველი მეოთხედისათვის ოსები ჩამოსახლდნენ, ასევე სოფელ აწრისხევის ჩრდილოეთით.[294]

იოანე ბაგრატიონის აღწერით, პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფლებში XVIII საუკუნის ბოლოს ადგილობრივ ქართული მოსახლეობასთან ერთად ოსებიც ცხოვრობდნენ: „ამასვე მიეწერება პატარა ლიახვის ხეობაზედ მცხოვრებნი ოსნი და შიგ ნახევრად ქართველნიცა.“[295] დიდი ლიახვის ხეობაში ჩამოსახლებული ოსების ერთი ნაწილი, როგორც რ. თოფჩიშვილი მიუთითებს, XVII-XVIII ს.ს. მიჯნაზე პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზეც დამკვიდრდა.[296]

XVIII საუკუნის 70-იან წლებში ოსური მოსახლეობა პატარა ლიახვის ხეობაში ჯერ კიდევ ფრაგმენტული იყო. ამ დროისათვის საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტის ცნობით, პატარა ლიახვის ხეობაში ოსები ცხოვრობდნენ სოფელ ვანათის ჩრდილოეთ მხარეს-გერის ხეობაში: „...საცხენეთიდან 1 საათის შემდეგ ვიყავით მდ. გრიაზე სოფ. ვანათთან. გრიაზე მდებარეობს ოსური რაიონი ჩასუ, რომელიც ეკუთვნის ერეკლე მეფეს.“[297] მდ. გრიაში, როგორც მივუთითებდით, ევროპელი მეცნიერი, ჩვენი აზრით, მდ. პატარა ლიახვის ხეობის ერთ-ერთ შენაკადს, მღვრიას ხევს უნდა გულისხმობდეს, რომელიც გერის ხეობას ემიჯნება.

---

292 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ. თბ., 1973, გვ. 362.

293 ვახუშტი, აღწერა... ქ.ც. IV, გვ. 363.

294 იქვე.

295 იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 38.

296 რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლების და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, გვ. 140.

297 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 99.

პატარა ლიახვის ხეობის სოფლებს, სადაც ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ოსები უნახავს, იოჰან ანტონ გიულდენშტედტი „ოსურ მხარეებად“ მიიჩნევს. ამ „ოსურ მხარეებში“ ქართველებით დასახლებულ სოფლებად გერმანელი მოგზაური იხსენიებს შემდეგ სოფლებს: საცხენისს, კარბს, არბოს, მერეთს, ქსუისს, ბელოთს, ერედვს, ვანათს, დიცს.[298]

გიულდენშტედტის თხზულებაში არსებულ ზოგიერთ არაზუსტ ცნობაზე მიუთითებს პროფ. ჯ. გვასალია, რომელიც აღნიშნავს: „ზოგჯერ გიულდენშტედტი არ იცავს სიზუსტეს. სათაურში ის წერს, რომ ოსებით დასახლებულია მხარე, მაგრამ როდესაც აღწერს ამ მხარეს, ოსურთან ერთად მრავლად უთითებს ქართულს სოფლებს, ასეა მაგალითად, ვანათისა და საფერშეთის მიმართ.“[299] XIX საუკუნის დასაწყისში პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე, ოსი მოახალშენეების რაოდენობა რამდენიმე ასეული კომლი იყო, რაც ცხადია ეთნიკურ სურათს ვერ ცვლიდა.

როგორც რ. თოფჩიშვილმა გამოიკვლია, პატარა ლიახვის ხეობაში 1814 წლის მდგომარეობით, ოსთა რაოდენობა 393 კომლს არ აღემატებოდა. აქედან, ადგილზე ცხოვრობდა 310 კომლი. XIX საუკუნის დასაწყისში ადგილი ჰქონდა ოსთა ინტენსიურ გადაადგილებას ბარის სოფლებში.[300]

შიდა ქართლში ჩამოსახლებული ოსები, ვერ ეგუებოდნენ ვერც ადგილობრივ მოსახლეობას, ვერც ფეოდალურ ვალდებულებებს. ისინი მკვიდრი ქართველების მიმართ აგრესიას იჩენდნენ. **ამ დაპირისპირებას ეთნიკური ხასიათი არ ჰქონდა, ეს იყო მთიდან ჩამოსახლებული უცხო ხალხის სოციალური დაპირისპირება ბარის მოსახლეობასთან.** XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ჩამოსული ოსები ხშირად ურჩობდნენ და გადასახადის გადახდაზე უარს ამბობდნენ. ამის გამო, ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ ერთობლივი ლაშქრობა მოაწყვეს ქსნისა და არაგვის საერისთავოებში დამკვიდრებული ოსების დასამორჩილებლად. სეხნია ჩხეიძე გადმოგვცემს: „წაბრძანდა კახი ბატონი კახეთის ჯარით, მიბრძანდა ანანურს: ორსავ საერისთაოსნი (ოსებზეა საუბარი, – გ. ს.) დიაღ ავკაცობდნენ, არც ბეგარას აძლევდნენ და არც მოხელე შეუშვეს. ამათი წახდენა ინებეს, მოსწერა მამას წიგნი მეფემ ერეკლემ და დაიბარა, წაბრძანდა მეფე თეიმურაზ ჯარითა ქართლისათა, მიბრძანდა ვანათს (პატარა ლიახვის ხეობაში, – გ. ს.) ორსავ გზის მხრები შეუკრეს, მიმშველნი აღარავინ ჰყვანდათ.“[301]

ქართლისა და კახეთის მეფეების მიერ არაგვის საერისთაოს მთიან ნაწილში მცხოვრები ოსების დამორჩილების შემდეგ, ქსნის საერისთავოს ოსებმაც მოიხარეს ქედი: „რა ეს ამბავი და არაგვის ოსის წახდენის ამბავი შეიტყვეს ქსნის ერისთავის ოსთა მივიდნენ მაშინვე ვანათს და შემოეხ-

298 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთოი გ. გელაშვილმა, თბ., 1964, გვ. 65

299 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 170.

300 რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლების და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, გვ. 164.

301 სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, ქც. II, დ. ჩუბინაშვილის რედ. სპბ., 1954, გვ. 380

ვეწნენ მეფე თეიმურაზს ყოვლის კეთილის საფუძველსა და მოსთხოვეს დანაშაულის ფარვანი და მისცეს სრული ბეგარა.“[302]

არაგვის ხეობაში ჩამოსახლებულ ოსთა დასჯის შემდეგ, თეიმურაზ II გარკვეულ ხანს ვანათში შეჩერდა. ქსნის საერისთავოში მცხოვრები ოსების წარმომადგენლები სწორედ აქ შეხვდნენ ქართლის მეფეს. მოგვიანებით, 1779 წელს, ქსნის ერისთავთა ყმობაში მყოფი, მათ შორის – პატარა ლიახვის ხეობაში დამკვიდრებული ოსები, ერეკლე II-მ სახასოდ გამოაცხადა, ამას ასახავს 1779 წლით დათარიღებული ერთ-ერთი საბუთი: „...საფიცრის წიგნი გიბოძეთ, თქვენ ერთობით პატარა ლიახვის ხეობის აზნაურიშვილთა, მოხელეთა, მსახურთა, გლეხთა და ოსთა და ეგრეთვე გვიდისისა (ჩვენი აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს გუდისის ქედი, რომელიც პატარა ლიახვის ზემო წელზეა, – გ. ს.) და ფოტრისის ოსთა, თლეელთა და ჩოფრანცთა ასე, რომ თქვენ ძველთაგან ქსნის ერისთავიანთ ყმანი იყავით, გიორგი ერისთავმან ჩვენ გვიმუხანათა, უკუგვიდგა, ლეკის ჯარი შეიყარა და მიიყვანა, ციხეები გაამაგრა. ჩვენ ჯარები შევუსიეთ ღვთით ციხეებიც აართვეს და კიდეც დაიჭირეს და რადგან ჩვენი მუხანათი იყო იმისი მამული სრულიად ჩვენთვის სახასოდ და დავდევით და თუ რამ ერისთავისშვილის როსტომს მთაში მამული ჰქონდა და ყმა ჰყვანდა იმასაც გამოვართვით და მაგიერი ყმა და მამული ბარში მივეცით. ქსნის საერისთაო ამილახვარს გივის ეჭირა და ჩვენ ღვთით და ჩვენის ხმლით გამოვართვით და ქსნის ერისთავისშვილებს მივეცით და ისინი ამ წყალობის მაგიერ ჩვენს ორგულობასა და მუხანათობაში შევიდნენ... ამათის ამგვარი მუხანათობისაგან მრავალჯერ თქვენც დიდი ზიანი და აკლება და დარბევა მოგსვლიათ... ამაების მიზეზით ჩვენს სახასოთ დაგდევით და ახლა თქვენ ეს წიგნი გიბოძეთ... რომ ჩვენგან თქვენი გაცემა აღარ იქნება, აღარც ერთი კომლი კაცისა.“[303]

ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულ, მათ შორის პატარა ლიახვის ხეობელ ოსებს, ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება საგარეო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველადაც იყენებდა. როგორც ირკვევა, ერეკლე II პატარა ლიახველ ოსებს ვანათის ციხესთან საგანგებოდ წვრთნიდა. ამის შესახებ გადმოცემა ჩაუწერია გაზ. „დროების“ კორესპონდენტს გ. ლიახველს (ჩოჩიშვილს). იგი თავის წერილში „მგზავრის შენიშვნები,“ წერს: „ს. ელტურის ზემოთ, ერთ მაღალ კლდეზედ, არის დანგრეული ციხე, რომელსაც ოსები ფოხალას ციხეს ეძახიან. ფოხალა (კაცის სახელი) განთქმული იყო მთელ სამხრეთ-ოსეთში თავის ღონით. ამბობენ, როდესაც მეფე ირაკლი ვანათის ციხესთან შეჰკრებდა ხოლმე ოსებსაო და ნიშანში ასროლინებდა, ყველაზე მარჯვედ ისროდა ფოხალაო. ამიტომ ირაკლი მეფემ დააჯილდოა დროშათი.“[304]

302 სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, ქც. II, დ. ჩუბინაშვილის რედ. სპბ., 1954, გვ. 380.

303 თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 372-373.

304 გ. ლიახველი, სამხრეთ ოსეთი, „მგზავრის შენიშვნები“, „დროება,“ 1883 წ. № 77, გვ. 3.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ჩამოსახლებული ოსები ძნელად ეგუებოდნენ ადგილობრივ გარემოს და ქართულ მოსახლეობას ავიწროებდნენ. გახშირდა ძარცვის ფაქტები. ერეკლე II-მ ოსები საგანგებოდ გააფრთხილა: „რაც ოსები ხართ, ყველამ გაიგონეთ! თქვენი სიავკაცე ქართლში დიახ გამრავლდა, რომ ქვეყანა გიჩივისთ... ვინც ჩვენი ორგული ხართ და ამ ბრძანებას არ დაემორჩილებით ისეთ რისხვას მოგაყენებთ, რომ არას კაცს არ მოსვლოდეს და არც ჩვენ მამულში თქვენს გვარს ღა გაუშვებთ.“[305]

1791 წელს შედგენილ ერეკლე II-ის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ თუ მძარცველი ოსი ქართველებთან შეტაკებაში დაიღუპებოდა, პასუხი არავის მოეთხოვებოდა: „ესეც მიბრძანებია, რაც ოსი ან ქურდობაზე მოკვდება ან მიხდომაზე იმას სისხლი აღარ გაუჩნდებათ და არც მიეცემათ.“[306]

ოსების თავდასხმის და ადგილობრივი მოსახლეობის დარბევის ფაქტებს ადგილი ჰქონდა პატარა ლიახვის ხეობაში, კერძოდ ვანათში. ამას ადასტურებს XVIII საუკუნის კიდევ ერთი დოკუმენტი: „ქ. ესე ფიცისა და პირობის და ჯარიმა დავდევით და მივეცით ერთმანეთს ერთობლივ ვანათელთ ოსმა და ქართველმა ვანათში მდგომმა ოსებმა დიაღ დიდად შეგვაწუხეს ქურდობით, მძლავრობით, გაძარცვით, დაკლებით, რომ ამ ქვეყნიდამ გვკარგავდნენ. სადამდისაც შევიძელით ერთმანეთის შველა ან ქართველ კაცს ორი-სამგან გაუჭირდეს, რამე და ერთმანეთს უმტყუნოთ და დავაკლდეთ ღვთისაც შემცოდე ვიყვნეთ ბატონისაც და ერთმანეთისაც და ჯარიმაც ორი თუმანი ბატონსაც მივართვით. ერთი თუმანი მოურავს ერთი კარგი ხარი სოფელმა დაუკლათ. მოვკლათ ვინმე სისხლისა სულ ერთობლივ პასუხი მივცეთ. მოვკვდეთ ვინმე სულ ერთობლივ ვისისხლოთ. რაც საქმე მოგვიხდეს ავი, თუ კარგი. ერთი ერთმანეთს არ ვუმტყუნოთ. არის ამის მოწამე მაჩაბელი რევაზ, მოურავი მირზაშვილი. ერთობით არაბელნი(?) და მე ბატონისშვილის გიორგის დეკანოზს დამიწერია და მოწმეცა ვარ ამისთვისა აპრილის ქკსა უპდ.“[307]

ახლად ჩამოსახლებული ოსებისათვის დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში სპეციალური სამოურაოები შეიქმნა. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც პატარა ლიახვის ხეობაში არსებობდა, საპატრიარქოს მიერ დანიშნული მოურავები გედევანიშვილები განაგებდნენ. ეს იყო – ბადაან-ხოდელის სამოურაო. როგორც ირკვევა, მოურავს ეკლესიის ყმობაში მყოფი ოსების ზედამხედველობა ევალებოდა. ანტონ I კათალიკოსის მიერ გიორგი გედევანიშვილისადმი ბოძებულ სიგელში ვკითხულობთ: „ესე უკუნისამდე ჟამთა და დროითა გამოსადეგი მტკიცე და უცვლელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ გედეონისშვილს გიორგის და მომავალთა სახლისა შენისათა ჩვენის ეკლესიის ყმების **ოსების მოურავობა ბადაანისა და ხოდელისა**, რომელიც შეგეძლოს უნდა მოუარო და ეკლე-

305 მ. კეკელია, ერეკლე II-ის განჩინებანი სამაჩაბლოში ბოროტმოქმედების აღსაკვეთად, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა,“ 1991 წ. №25, გვ. 1.

306 იქვე.

307 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD - საბ. №664.

სიას იმათი თავი არ დაუკარგო და რიგიანად რომელიც გეწყობოდეს, ისე გვემსახურო. და თუ ურჩნი შეიქმნენ, მისის სიმაღლის ჩვენი ოქმიც გებოძება. და ესე ჩვენგან ბოძებული წყალობა გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ეკლესიისა და ჩვენს ერთგულობასა შინა."[308] ოსების სამოურავო არსებობდა დიდი ლიახვის ხეობაშიც. აღნიშნული ერთეული სამეფო ხელისუფლების დაქვემდებარებაში იყო და მას მეფის მოურავები განაგებდნენ, რომლებიც მირზაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ.[309]

ჩრდილოეთ კავკასიის მთებიდან ჩამოსული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოსები პატარა ლიახვის ხეობაში ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი ქართველების ინიციატივით სახლდებოდნენ. [310] 1812 წლის 20 მაისს, დმენისელმა ბაკო და ჩიტო ჯუკაშვილებმა ყმობისა და ერთგულების პირობა დადეს სახინა ჯვარიშვილისა და მისი ვაჟისადმი, სადაც ვკითხულობთ: „მასზედ რომ ჩვენ შიმშილმა შეგვაწუხა და თქვენამდე მოგვიყვანა. თქვენ კარგად მიგვიღეთ და შეგვინახეთ, შიმშილისაგანაც გვიხსენით და ქონებაც მოგვეცით, ამიტომ ფიცს გაძლევთ, დღეის შემდეგ თქვენს გარეშე სხვა ბატონი ადარ ვინდომოთ, ხოლო თუ ვინმემ ჩვენი თქვენთვის წართმევა მოინდომოს, პასუხის მიმცემი ჩვენვე ვიყოთ."

დოკუმენტი დაამოწმეს: ზაქარია თარხნიშვილმა, ყარამან ფავლენიშვილმა, მოურავმა ოქრუა მაყაშვილმა, იმის გამო, რომ ბაკომ და ჩიტომ წერა არ იცოდნენ, ხელი მოწერილი აქვს მღვდელ იოანეს.[311]

შიდა ქართლის მთიან სოფლებში ოსთა ჩამოსახლებით მართლმადიდებელი ეკლესიაც იყო დაინტერესებული. სოფელ ხურვალეთში მცხოვრები თევდორე გაზაევის მთავარმართებელ ერმოლოვის სახელზე 1817 წლის 1 მარტს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ თევდორეს მამა-პაპა ოსეთში არსებული მიზურიდან (ჩრდილოეთ კავკასია), დასახლდნენ დვალეთში. იქ იყიდეს მიწები, რამდენიმე წელი ცხოვრობდნენ და იქვე გარდაიცვალნენ. ობლად დარჩენილი თევდორეს მამა, მოგვიანებით საცხოვრებლად გადავიდა სოფ. ღვერცევში ბიძასთან, საიდანაც გარკვეული დროის შემდეგ გადმოსახლდა პატარა ლიახვის ხეობაში, სოფელ ვანათში. იქ 16 წელი იდგა მოსამსახურედ. იგი ვანათშივე დაქორწინდა და აქვე შეეძინა ორი ვაჟი, რის შემდეგ ქაიხოსრო ფალავანდიშვილის მამულის სიახლოვეს

308 გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 78.

309 გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2021, გვ. 213; გ. სოსიაშვილი, შიდა ქართლში ოსთა სამოურავოების საკითხისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, მეოთხე სამეცნიერო კონფერენცია, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები, თეზისები, თბ., 2018, გვ. 65-67.

310 ასეთ ფაქტებს ჰქონდა ადგილი სამაჩაბლოში, როცა მაჩაბელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლებს დაუსახლებლი ადგილების ათვისების მიზნით ჩამოჰყავდათ ოსები. იხ. გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2021, გვ. 206-207.

311 История Юго-Осетий в документах и материалах (1800-1864), сост. Т. Д. Тогошвили и И. Н. Цховребов,т. II, Сталинир, 1960, ч. II, док. № 90.

დამკვიდრდა. როგორც ჩანს, ფალავანდიშვილმა მისი დაყმევება მოინდომა, რის გამოც, თევდორე გაზაევი დვალეთში დაბრუნდა, თუმცა მღვდელი კასრაძე ზეკარის უღელტეხილზე დაედევნა, უკან დაბრუნებაზე დაითანხმა და ფრისში დაასახლა. სახლის ასაშენებლად მისთვის სასულიერო პირს პატარა მიწის ნაკვეთიც მიუცია, რის შემდეგ, თევდორეს შვილებს დვალეთიდან მოუწვევიათ ოთხი ნათესავი და თავიანთ კარ-მიდამოზე „საკუთარი მზუნველობის ქვეშ," იმ პირობით დაუსახლებიათ, რომ გაქრისტიანდებოდნენ.[312]

ოსები ხშირ შემთხვევაში ადგილობრივ ქართველ მებატონეებს სოციალურ ჩაგვრაში ადანაშაულებდნენ და უარს აცხადებდნენ საგადასახადო ვალდებულებებზე. ეს ტენდენცია თვალში საცემი იყო რუსული ხელისუფლების მოსვლის შემდეგაც. 1802 წლის 20 დეკემბრით დათარიღებული კაპიტან-ისპრავნიკ ვასილ ენოხინის მიერ საქართველოს მმართველ კოვალენსკისადმი გაგზავნილი მოხსენების მიხედვით, ენოხინის აწრისხევში ყოფნის დროს, მასთან მისულან ჩამოსახლებული ოსები და მაჩაბლების, ამილახვრებისა და ფურცელაძეების მოურავისგან შევიწროების გამო უჩივლიათ. რუსი ჩინოვნიკი წერს: „მათ განმიცხადეს, რომ ამიერიდან აღარც ამილახვრისგან გამოგზავნილ ხალხს მიიღებენ და არც აყრასა და სხვაგან გადასახლებას აპირებენ. მეტიც, ჩემი პატივისცემა რომ არ ჰქონოდათ, მათგან ერთსაც არ გაუშვებდნენ ცოცხალს."[313] 1802 წელს, მთავარმართებელ კნორინგის დავალებით, კავკასიის გრენადერთა პოლკის ვიცე-პოლკოვნიკ სიმონოვიჩის მიერ ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩამოსახლებული ოსების ურთიერთობის დასარეგულირებლად და საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად არაგვის, ასევე, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ოსებისათვის დროებითი სასამართლოები შეიქმნა. სამაჩაბლოში მცხოვრებ ოსთათვის ჯავის სასამართლო იმუშავებდა, ხოლო პატარა ლიახვის და არაგვის ხეობის ოსებს ვანათის სასამართლო მოემსახურებოდა.[314] ოსებს უფლება ჰქონდათ ყოველწლიურად აერჩიათ თავიანთი წარმომადგენლები სასამართლოში, რომლებიც გორის სამოქალაქო სასამართლოს უნდა დაემტკიცებინა. ოსებისათვის შექმნილ სასამართლოს უნდა ემოქმედა ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, რუსული ხელისუფლების ზედამხედველობით. ვანათის სასამართლოში ხელისუფლების გადაწყვეტილებით შედიოდნენ: მანუჩარ თუმანოვი (თუმანიშვილი) და გიორგი ხერხეულიძე. არაგვის ხეობაში მათი დამხმარენი იყვნენ ოსი უხუცესები: გუსი ქოქოშვილი, სოფ. ყლარცვიდან - დოვლათა ყულუმბეგაშვილი, არბოდან – ჯაჩე ვალიშვილი ორი იასაულით,

312 История Юго-Осетий в документах и материалах, т. II, ч. II, док. № 95.

313 Там же, док. № 82.

314 გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2021, გვ. 218-219; გ. სოსიაშვილი, ოსთა სასამართლოები დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში (XIX საუკუნის დასაწყისი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მასალები, თბ., 2019, გვ. 254-257.

ქართველების მხრიდან – ვანათელი სიმონ ასამბეკაშვილი, მდ. პატარა ლიახვის ხეობიდან: სოფ. შუაცხვირში მცხოვრები აბელა ბესტავაშვილი, შავკუდა ფუხაშვილი, სოფ. ზონკარიდან – პავლე ვალიშვილი ორი იასაულით, სოფ. ბელოთიდან გიგინა ხადური და სხვ. ვანათის სასამართლოს მდივანი იყო სოფელ არბოში მოღვაწე მღვდელი გიორგი გვიმრაძე, ხოლო თარჯიმანი – აზნაური აუშტროვი (შესაძლებელია, დოკუმენტში გვარი დამახინჯებით იყოს მითითებული).

ოსები ვალდებულნი იყვნენ ქართველ მოსახლეობას კარგად მოპყრობოდნენ და არ გაეძარცვათ ადგილობრივი მცხოვრებლები, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ საქმეს გორის სამოქალაქო სასამართლო განიხილავდა.[315]

პატარა ლიახვის ხეობაში წესრიგის დამყარება ხელისუფლებამ მანუჩარ თუმანიშვილსა და გიორგი ხერხეულიძეს დაავალა, რომლებსაც ვანათსა და მის შემოგარენში მცხოვრები ოსებისთვის გადასახადი უნდა გადაეხდევინებინათ, ოღონდ ისე, რომ მათი უკმაყოფილება არ გამოეწვიათ. აღნიშნულთან დაკავშირებით, 1802 წლის 25 აპრილს პოლკოვნიკი სიმონოვიჩის მიერ მდივან მანუჩარ თუმანიშვილისა და გიორგი ხერხეულიძის სახელზე გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ვანათელები მოვიდნენ ჩვენთან და გიჩიოდნენ, რომ დიდი ხანია ქართველები, ოსები და სხვა გამვლელები ავიწროებენ მათ. ჩვენ ეს სოფლები წასახდენად კი არ მოგვიცია თქვენთვის. როგორ მოახერხებენ ისინი თქვენს მუდმივად შენახვას და თვითონაც მშვიდად ცხოვრებას. ხანდახან ადით ვანათსა და სხვა სოფლებში ოსებთან, შემოიარეთ და ხარჯი ოსებისაგანაც და სხვებისაგანაც აიღეთ, ისე რომ მათი მყუდროება არ დაარღვიოთ.“[316]

XIX საუკუნის დასაწყისში პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფლებში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული ოსები უმთავრესად მთიან ზოლში ცხოვრობდნენ და მათი რაოდენობა ვერ ცვლიდა მითითებული ხეობის ეთნიკურ სურათს. მაგ. 1804 წლის რუსული აღწერის მიხედვით, ვანათში, ძირითადად, სახელმწიფო (სახაზინო) გლეხები იყვნენ, სულ 33 კომლი, აქედან 25 კომლი ქართველები (188 მოსახლით), ჩამოსახლებული ოსები 8 კომლი (30 მოსახლით).[317] თანდათან ოსები პატარა ლიახვის

315 История Юго-Осетий в документах и материалах (1800-1864), т. II, Сталинир., 1960, Глава I, док. № 4.

316 Там же, док. № 5.

317 სეაცსა, ფ. 254; საქ. 58, გვ. 10-11. XX საუკუნის 20-იან წლებში ვანათში სულ ორი კომლი ოსი ცხოვრობდა: გიგოლაევი და ბიბილოვი (გადმოცემა 1918 წელს დაბადებული სევასტი ჯოჯიშვილისაგან 2005 წელს ჩავიწერეთ).

ვანათში ოსური მოსახლეობა შედარებით მომრავლდა XX საუკუნის 30-იან წლებში, ადგილობრივი კოლმეურნეობის თავმჯდომარის – ვანო ხეთაგურის მოღვაწეობის დროს (გადმოცემა 2005 წელს ჩავიწერეთ 1935 წელს დაბადებულ გალინა ციცილოშვილისაგან). აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ვანათის სიახლოვეს არსებულ სოფელ ორტევში დამკვიდრებულ ოსებს ზუსტად არ ახსოვდათ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლების დრო. თუმცა, ცნობილი იყო, რომ ამ სოფლის სავარგულები სოფელ ვანათის მკვიდრ ქართველებს ეკუთვნოდათ.

ხეობის შუა წელზე არსებულ სოფლებშიც ჩამოსახლდნენ. მკვიდრი ქართული მოსახლეობა თავიანთი საცხოვრებლებიდან იყრებოდა და ბარში მოიწევდა. ეს შეგვიძლია ვთქვათ სოფელ გერის მაგალითზე, სადაც 1886 წლის მონაცემებით, მხოლოდ ოსური მოსახლეობაა მითითებული (სულ 80 კომლი, აქედან 344 მამაკაცი, 227 ქალი). ისინი სახაზინო მიწებით სარგებლობდნენ.[318]

ჩამოსახლებული ოსები ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროებას რუსული ხელისუფლების დროსაც აგრძელებდნენ. ისინი იტაცებდნენ ადამიანებს და პირუტყვს. ოსები თავს ესხმოდნენ რუს ჩინოვნიკებსაც. ამას ადასტურებს 1806 წლის 28 ნოემბერს პორუჩიკ ეფრემ მახვილოვის შეტყობინება გორის მაზრის უფროსისადმი, საიდანაც ჩანს, რომ მითითებული წლის ნოემბრის თვეში იგი ვანათსა და საცხენეთში წასულა ოსებთან მოსალაპარაკებლად. როგორც წერილის ავტორი წერდა: „ჯაგა და კიკო ჩოჩიშვილების შემოსარიგებლად, მათგან მოვითხოვე მძევალი თითო გვარიდან ერთი კაცი და მათგან დატყვევებული ადამიანებისა და გატაცებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაბრუნება, რაზედაც თანხმობა მივიღე, მაგრამ სარაბუკელები ფარულად შეუთანხმდნენ ორ ოსს, რომლებიც ჩამისაფრდნენ და როდესაც საღამო ხანს ვვახშმობდი, სახლის გარედან თოფი მესროლეს, მხარში დამჭრეს და ტყვია ახლაც სხეულში მაქვს გაჭედილი.“[319]

1808 წლის 3 ივლისს გორის მაზრის თავადაზნაურობის მარშალმა გიორგი ამილახვარმა საქართველოს მმართველს, გენერალ ახვერდოვს დიდი და პატარა ლიახვის ხეობებსა და არაგვის ხეობის ზემო წელზე მცხოვრები ოსების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-რბევის შესახებ შეტყობინება გაუგზავნა, სადაც ვკითხულობთ: „დიდი და პატარა ლიახვის, ასევე არაგვის ხეობის ოსთაგან გორის მაზრაში მოსახლეობის ძარცვა-რბევა, მკვლელობა, თუ საქონლის გატაცება შემცირების ნაცვლად, კიდევ უფრო გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ მათ ზამთრის სარჩო მომარაგებული აქვთ, ქართლის ბარში თავისუფლად დაიარებიან და არა მარტო ქურდბაცაცობენ, არამედ ერედვიდან თავად ფავლენოვის (ფავლენიშვილის) კუთვნილი ნახირიც კი გაიტაცეს, ხოლო მათთვის დადევნებულ მდევარიდან ნიკოლოზ ციციშვილის კაცი მოკლეს. მართალია, შეტაკებისას ოსებმაც ორი კაცი დაკარგეს, მაგრამ გატაცებული საქონლის გამოხსნა ვერ მოხერხდა.

მიუხედავად იმისა, რომ ოსებმა პოლკოვნიკ სიმონოვიჩსა და მაიორ ზაიცევს პირობა მისცეს, ამ საქმეში მათი გავლენიანი გვარების ჩართვა-

ორტევში ჩამოსახლებული ოსები ვანათელებს მიწის სარგებლობისათვის სხვადასხვა სახის გადასახადს უხდიდნენ. ზოგიერთი ოსი ვანათელების მიწას ძალადობრივი გზით დაეპატრონა, ზოგმაც კი გარკვეული საფასურით გამოისყიდა. *ნ. ჯალაბაძე, ლ. ჯანიაშვილი, ნ. ლოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43-44.*

318 Свод статистических данных о населении Закавказскаго края, извлеченных из посемейных списков 1886 г., Тиф., 1893, Тифлисская губерния, №417.

319 Там же, док. №166.

მაც ვერ გადაჭრა პრობლემა. ისინი ძველებურად ყაჩაღობას არ იშლიან, რასაც კიდევ სამი კაცი, მათ შორის, ერთი ეგერი შეეწირა."[320]

ხელისუფლება იძულებული გახდა პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე მცხოვრები ოსებისთვის მკაცრი რეგულაციები დაეწესებინა, რამაც ისინი აიძულა დათმობაზე წასულიყვნენ და ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვაზე ხელი აეღოთ. 1808 წელს, გერის ხეობელმა ოსებმა დავით თარხნიშვილს თავდებობის წიგნი მისცეს, რომლის თანახმადაც, ისინი პირობას სდებდნენ, რომ აღარ იქურდებდნენ: „წელსა ჩყხ დეკემბრის ბ დღესა ესე თავდებობის წიგნი მოგართვი თქვენ თავად დავით თარხანოვს ჩვენ ერთობთ გერის ხეობის ქოქიშვილმა ჯივიმ და ერთობით ჩემა გვარი შვილებმა არბოლიშვილმა პეტრემ და ერთობით ჩემა გვარიშვილებმა ბეკოშვილმა ხოსრომ და ერთობით ჩემმა გვარიშვილებმან ყუღუნ ბეგაშვილმა ძაღლოამ // და ერთობით ჩემმა გვარმან გოგიჩაშვილმა ტატუჩიმ და ერთობით ჩემმა გვარის შვილებმან ჩოჩიშვილმა ყიყომ და ერთობით და ერთობ ჩემმა გვარის შვილებმან ასე რომ ჩვენის ხეობის თავდებათ დავდექით დღეის იქით თუ ჩვენის ხეობის კაცმან ავკაცობა და ქურდობა ქნან სადმე ამ თავდებებმან გადავიხადოთ სადაც ჩვენი გვარის კაცი სახლობს ქართლში თუ ოსებში სულ ყველანი თავდებანი ვართ და რაც დღეს ჩვენს ხეობაში ნაქურდალი არის ისიც ჩვენ მოგაბაროთ და აგრეთვე თუ დანაშაული აქვს ვისმეს ისიც სამართალით ჩვენ გარდვიხადოთ რაც სახელმწიფო ბეგარა არის ყოველთვის უკლებრათ გავიღოთ და საუკუნოთ ამ ერთგულებით მოვიქცეთ და თუ ამაზედ გავმტყუნდეთ მაშინ ნება გაქვსთ ყველას სადაც ამ თავდებების გვარი დაახელოთ გარდაგვახდევინეთ. ამათის თხოვნითა დავწერე მე მოქალაქე ანტონ მემანდარბაშოვი. მოურავი მირზასშვილი ბეჟან ამის დამწერნი ვარ და მოწამე."[321] თუმცა, ოსთა მხრიდან თავდასხმები კვლავ გრძელდებოდა. 1808 წლის თებერვალში გენერალმა ახვერდოვმა საქართველოს მთავარმართებელს წერილი გაუგზავნა. ავტორი იტყობინებოდა, რომ შემოდგომის დადგომისთანავე მოსალოდნელი იყო: არაგვის, მეჯუდის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში ჩამოსახლებული ოსების მიერ ქართული სოფლების ძარცვა-რბევა. რუსი ჩინოვნიკის რეკომენდაციით ამ თავდასხმების შესაჩერებლად აუცილებელი იყო მძარცველების მეთაური ოსი „სტარშინების" დაპატიმრება.[322]

დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში ოსებისთვის შექმნილი სასამართლოების ერთ-ერთი მთავარი მიზანი მათი ქართულ მოსახლეობასთან ურთიერთობის დარეგულირება იყო. თუმცა, ამის მიუხედავად, ოსების თვითნებობა კვლავ გრძელდებოდა, რასაც გენერალ-მაიორ ახვერდოვის მიერ 1810 წლის 17 მაისს საქართველოს მთავარმართებელ ტორმასოვის სახელზე შედგენილი პატაკიც ადასტურებს. დოკუმენტში აღნიშნულია,

320 История Осетии в документах и материалах, т. II, ч. III, стр. 268, док. №173.

321 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD – საბ. 664; გსიემ, 8059, დავთ. I, გვ. 45, დავთ. II, გვ. 157.

322 ბ. გამყრელიძე, ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში, კრებ: ოსთა საკითხი, გვ. 188.

რომ გასულ და მიმდინარე წელს გორის მაზრაში ოსების მიერ მკვლელობის, ყაჩაღობის და ხალხის გატაცების არაერთი ჩადენილი ფაქტი იქნა დადასტურებული. დამნაშავეთა დასასჯელად საჯარისო ნაწილი მზადყოფნაში იყო, მაგრამ ოსებმა, როგორც კი შეიტყვეს ამის შესახებ, გორის მაზრის მარშლის თავად ციციანოვის (ციციშვილი) და აზნაურ იალღუზიძის (იოანე იალღუზიძე) მეშვეობით შერიგება ითხოვეს. დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ რუსებმა მზადყოფნა გამოთქვეს უკან გამოიწვიონ ჯარი იმ პირობით, თუ ოსები აღარ დაარბევენ ქართულ სოფლებს, არ იყაჩაღებენ და შეწყვეტენ ხალხის გატაცებას და ხოცვას. სახაზინო ოსებზე ზედამხედველობა შანშე ერისთავს დაევალა. საბუთში ხაზგასმულია, რომ **სახაზინო ოსების მიმოსვლა ქართულ სოფლებში მოხდებოდა** თავად ერისთავის მიერ გაცემული სპეციალური საშვებით.[323]

1807-1808 წლებში, დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში, ოსების დაუმორჩილებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, შავი ჭირის გავრცელებასთან დაკავშირებით, ხელისუფლების მხრიდან დაწესებული შეზღუდვები იყო.[324]

1808 წლის 2 აპრილით დათარიღებულ წერილში მთავარმართებელი გუდოვიჩი პოლკოვნიკ ახვერდოვს აცნობებდა, რომ დაკავებული მეამბოხე ოსების ჩვენებით, ჯანყი დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ქართულ და ოსურ სოფლებში იმ გარემოებით იყო გამოწვეული, რომ ოსურ სოფლებში გაჩენილი გადამდები ავადმყოფობის გამო, ოსებს ქართულ სოფლებში ჩასვლა ეკრძალებოდათ. მთავარმართებლის გადაწყვეტილებით, სურსათის და ტანსაცმლის შეძენის მიზნით, ოსები ქართულ სოფლებში მხოლოდ მკაცრი კარანტინის პირობებით უნდა შეეშვათ. [325]

გახშირებული თავდასხმებისა და უმართავი სიტუაციის გამო, რუსულ ხელისუფლებას ჩამოსახლებული ოსების მტკვრის ხეობის მეორე მხარეს გადასახლება ჰქონდა ჩაფიქრებული. ამას ადასტურებს მთავარმართებელ რტიშჩევის მიერ ვიცე-პოლკოვნიკ რენიერისადმი გაგზავნილი 1813 წლის 20 იანვრით დათარიღებული წერილი. [326]

საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის მიერ 1815 წელს გამოცემულ განკარგულებაში, რომლის ადრესატია ვიცე-პოლკოვნიკი მიხეილ ერისთავი, აღნიშნულია, რომ დიდი და პატარა ლიახვის, აგრეთვე ქსნისა და მეჯუდის ხეობების ოსები საქონელს იტაცებენ, თავს ესხმიან და ხოცავენ მოსახლეობას. აღნიშნული საკითხების მოგვარებისა და წესრიგის დამყარების მიზნით, გუბერნატორმა მიხეილ ერისთავს დავალება მისცა, რათა ზედამხედველობა გაეწია აღნიშნული ხეობებისათვის. მითითებული განკარგულების IV-ე პუნქტში ვკითხულობთ: „დარწმუნებული ვარ რომ

323 АКАК, т. I, стр. 460, № 636.

324 გ. სოსიაშვილი, საქართველოში ეპიდემიების გავრცელების ისტორიიდან, თბ., 2020, გვ. 129-130.

325 АКАК, т. III, Тиф., 1869, стр. 219, № 393.

326 АКАК, т. V, Тиф., 1873, стр. 516, № 609; გ. სოსიაშვილი, როგორ გეგმავდა რუსეთი ოსთა გადასახლებას შიდა ქართლის მთიანეთიდან, ჟურნ. „ისტორიანი," 3(120), 2021, გვ. 52-60.

აღნიშნული ქმედებები ოსებში სისხლხორცეულად არის გამჯდარი, მაგრამ, როგორც ჩემთვის ცნობილია, ადგილობრივი მემამულეები მეტად ავიწროებდნენ მათ ზედმეტი გადასახადებით ...გამოიჩინეთ მეტი ყურადღება და სიმკაცრე, რათა არა მარტო თქვენ, არამედ არც ერთმა თავადმა ერისთავების გვარიდან და არც ერთმა მაჩაბლების გვარიდან ამიერიდან აღარ შეავიწროვოს ოსები ზედმეტი გადასახადებით, მით უმეტეს, აღარ მიყიდონ მათი ბავშვები თურქებს, აღნიშნულის თაობაზე პირადად აცნობეთ თავად მაჩაბლებს და ერისთავებს და თუ მთავრობაში კვლავ შემოვა საჩივრები და თქვენი უყურადღებობის გამო ოსები კვლავ განაგრძობენ ძარცვა-ყაჩაღობას, თქვენ და ყველა თავადი ერისთავებისა და მაჩაბლების გვარიდან პასუხს აგებთ საკუთარი ქონებით."[327]

ცალკეული ღონისძიებები ოსთა თვითნებობისა და თარეშის ასალაგმავად საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა, რუსული ხელისუფლება დამსჯელ „ეგზეკუციებზე" გადავიდა. 1821 წლის 9 თებერვალს გორის მაზრის უფროსი მაიორი ტიტოვი ბელოთში ჩავიდა და ქართველ თავადებთან: შალვა თომას ძე ერისთავთან, შალვა რევაზის ძე ერისთავთან, რევაზ თუმანიშვილთან და მიხეილ შარვაშიძესთან ერთად, რუსულ-ქართული რაზმით ოსებით დასახლებული 6 სოფელი გადაწვა. გარდა ამისა ოსებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჩამოართვეს.

ხსენებული 6 სოფლის მცხოვრები ოსები იქ მოღვაწე ქართველი მღვდლის იოსებ ბაქრაძის მრევლში შედიოდნენ. ბაქრაძემ საჩივრით მიმართა საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვს (1765-1821 წ.წ.). სასულიერო პირი საჩივარში განმარტავდა, რომ დარბევისას დაზარალდა სოფელი სოჭინი (სადაც მოქმედებდა ქვის ეკლესია ახლადმონათლული ოსებისათვის), ასევე საქანანო, ზემო ვანური, ქვემო ვანური, ჯიგინა[328] და თლათაანთსოფელი.

ქართველი სასულიერო პირის საჩივარს მალევე მოჰყვა მაიორ ტიტოვის საპასუხო წერილი კავკასიის კორპუსის მეთაურ, გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვთან, სადაც რუსი მაღალჩინოსანი განმარტავდა: „ფოტრისის ხეობის მღვდლის იოსებ ბაქრაძის საჩივარი ეგზარქოსისადმი მოკლებულია რეალობას, რადგან იმ დროისათვის ბაქრაძე ადგილზე არ იმყოფებოდა და ინფორმაცია მიღებული აქვს იმ ყაჩაღებისაგან, რომლებიც კიდევ უფრო სასტიკ სასჯელს იმსახურებდნენ.

სინამდვილეში საქმე იყო შემდეგში: პატარა ლიახვის ხეობაში ჩემი (ტიტოვის, – გ. ს.) ჩასვლისას, ადგილობრივმა ყაჩაღებმა, ნაცვლად იმისა, რომ ჩემი სამართლიანი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ, გატაცებული საქონელი გადამალეს ფოტრისის ხეობაში მათ მსგავს ყაჩაღებთან, იმ იმედით, რომ უგზოობის პირობებში ხეობაში შესვლას ვერ შევძლებდი. ბელოთში მისვლისას მე მოვუწოდე იმ ქართველ თავადებს, რომელთა მფლობელობაშიც ითვლებოდა ეს სოფლები და რუსულ-ქართული ორი

327 АКАК, т. V, стр. 519, №612.

328 დედანშია: „Сочины", „Саканано", „Джигина." იხ: История Осетии в документах и материалах, т. II, ч. III, док. №198.

რაზმით შევედი პატარა ლიახვის ხეობაში, სადაც ადგილობრივმა ოსებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაგვიწიეს და გატაცებული საქონელი კიდევ უფრო ხეობის სიღრმეში გადამალეს.

მხოლოდ ამის შემდეგ ვბრძანე, წამოეყვანათ გატაცებული ნახირის ადგილზე დარჩენილი ნახევარი და გადაეწვათ ადგილობრივი 27 ყაჩაღის სახლი შემდეგ სოფლებში: ბენდერში – 1; შამბიეთში – 2; სიათა-გნასურში – 2; ელტურაში – 1; ორტევში – 1; ზემო ქიდინაში – 3; მეფარეთში – 2; ჭრიაში – 1; ქიმასში – 2; კოდობანში – 1; ელბაქიძეებში – 4; საბლეთში (?) – 1 და ფუხაანთკარში – 6.“[329]

რუსულმა ხელისუფლებამ რამდენჯერმე სცადა ჩამოსახლებულ ოსებში წესრიგის დამყარება და მათი მხრიდან ძარცვა-რბევის აღკვეთა, თუმცა ასეთი ფაქტები პატარა ლიახვის ხეობაში XIX საუკუნის ბოლომდე არ შეწყვეტილა. ამას ადასტურებს გორის მაზრის უფროსის 1884 წლის 9 იანვრის მოხსენება თბილისის გუბერნატორისადმი. როგორც ირკვევა, სოფელ სათიხარში იმ დროისთვის ეგზეკუცია იყო ჩაყენებული. წერილში მითითებულია, რომ ადგილობრივები „მიდრეკილნი არიან ყოველგვარი დანაშაულების, განსაკუთრებით საქონლისა და ცხენების პარვისადმი, რაც მოსახლეობის საბოლოო გაღატაკებას იწვევს.“[330]

ჩამოსახლებული ოსები თანდათან ინტეგრირდნენ ქართულ სივრცეში. ქართველი სასულიერო პირების დახმარებით ბარში დამკვიდრებული ოსები ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს სწავლობდნენ და ძველ ტრადიციებზე უარს ამბობდნენ. ამას ადასტურებს 1886 წელს ჟურნ. „მწყემსში“ გიორგი ლიახველის (ჩოჩიშვილი) მიერ გამოქვეყნებული კორესპონდენცია, რომელიც სოფელ გერში, ჭვრივსა და ორტევში მცხოვრებ ოსებს ეხება: „დღე-12 ოქტომბრისა-შესანიშნავ დღედ უნდა ჩაითვალოს და ჩაიწეროს ჩვენის ხეობის მატიანეში, ამ დღემ დაგვიმტკიცა პირველად, ის, რომ განათლების შუქი, ცოტათი მაინც, მოეფინა ოსების მღვიმე-ღელეებსაც და მეორედ გვიჩვენა ის, თუ რაოდენი სარგებლობა შეუძლიანთ მოუტანონ თვის ერს, თვის საყვარელ სამშობლოს მის დაწინაურებულთა შვილთა, რომელთაც სწავლა მიუღიათ და თავის მოძმეთა შორის მოუპოვებიათ გავლენა. ზემოთხსენებულს რიცხვს სოფ. გერში შეიკრიბნენ ორი სამრევლოის მცხოვრებნი: ჭვრივისა და ორტევისა. მათ ჰქონდათ გადასაწყვეტად ორი შესანიშნავი კითხვა ირადის (საუბარია ურვადზე, როდესაც მამაკაცი ცოლს ირთავდა მას ქალის ოჯახისთვის საქონლის და სხვა ნივთების სახით ურვადი უნდა გადაეხადა, – გ. ს.) და ხარნაგების მოსპობაზე. ამ კითხვებს ვეძახი შესანიშნავს, იმიტომ, რომ წარმოდგენილი მაქვს, თუ რამოდენად ღუპავენ ეს ჩვეულებანი ოსთა კეთილდღეობას. ამ ორ კითხვაზე ხალხი ცოტაოდნად ჩაფიქრდა, რადგანაც იგი უნდა გამო-

329 История Осетии в документах и материалах, т. II, ч. III, док. №201.

330 История Осетии в документах и материалах, т. III, ч. I, док. №98. 1918 წელს დაბ. ვანათის მკვიდრის სევასტი ჯოჯიშვილის გადმოცემით, მას პაპისგან გაუგონია, რომ ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებული ოსები ძარცვავდნენ და აოხრებდნენ სოფელ ვანათს. გადმოცემა ჩავიწერეთ 2005 წელს.

სალმებულიყო ამ ჩვეულებათა, რომელთაც ეგრე მაგრად ჩანერგეს თვისი ფესვები ხალხის გონებაში, ასე რომ ეს ორი ჩვეულება ითვლებოდა სამღთოდ. საქმის მეთაურნი და მწარმოებელნი გახლდნენ: პრაპორშჩიკი ბატ. ეგა ქოქოევი და მისი შვილი, –პატივცემული მღვ. მ. გრიგორი ქოქოევი.“ გერის ხეობელმა ოსებმა ირადის(ურვადი) და მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები მკვეთრად შეამცირეს. ოსებს თითოეულ კომლზე თითო აბაზი უნდა აეკრიფათ, რათა ამ თანხით ვანათში არსებული სკოლის გვერდით მოსწავლეებისთვის საცხოვრებელი მოეწყოთ.[331]

ოდნავ მოგვიანებით, სამრევლო-საეკლესიო სკოლა გერშიც გაიხსნა, რომელიც გერსა და ახლომდებარე სოფლის მაცხოვრებლებს უნდა მომსახურებოდა. სკოლის გახსნასთან დაკავშირებით გაზეთში „ცნობის ფურცელი“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „სამრევლო სკოლა ს. გერში. ორთევის საზოგადოების სოფლებს ძიწარეთს, მარალეთს, შელეურს, კლარწს, გერს, გუჯს, ჯვრივს, კიმასს და სადალეთს ერთხმად დაუდგენიათ საზოგადო ყრილობაზე, რომ დაარსებულ იქმნეს სოფ. გერში ერთკლასიანი სამრევლო--საეკლესიო სკოლა, რომლის შესანახად უკისრიათ ყოველწლივ 200 მანეთის გადახდა.“[332]

331 გ. ლიახველი. „გერის ხეობიდამ“ (გორის მაზრა), „მწყემსი,“ 1886 წ. № 32, გვ. 5.

332 გაზ. „ცნობის ფურცელი,“ 1899 წ. 30 იანვარი, № 738, გვ. 1.

პატარა ლიახვის ხეობის ოკუპირებული სოფლები[333]

ერედვი-ფრისი

სოფელი ერედვი მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, ზღვის დონიდან 1010 მ., ცხინვალიდან 7 კმ. მოშორებით.[334]

ერედვი და მისი მიდამოები, საკმაოდ ადრეული პერიოდიდან იყო დასახლებული. ამას ადასტურებს ერედვის მეზობელ სოფელ ფრისში, XX საუკუნის 50-იან წლებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ენეოლითის პერიოდის იარაღები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები,[335] ასევე შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხი, ადამიანთა და ცხოველთა ძვლები, თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ხანჯლის პირი.[336]

ერედვის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ამ ნიქოზის ჩრდილოეთით დიდის ლიახჳს კიდეზედ არს მცირე ქალაქი ქცხილვანი, კეთილ-ჰაეროვანი. მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი. გარემოს წალკოტოვან-ვენახოვანი, საზრდელით მაძღარი, ლიახუს გაღმა, აღმოსავლეთით ქცხილვანისა, ასტყდების მთატყიანი და ეს მთა მიჰყვების ჩრდილოთკენ მშხლებამდე. ამ მთის ძირს, ქცხილვანის აღმოსავლით, პატარა ლიახვისაკენ არს **ერედვს** ციხე და ეკლესია მას შინა, წმინდა გიორგისა, სასწაულიანი, მის ჩრდილოთ მთის კალთას, არს ციხე მცირე სხუა. ამ ერედვის ჩრდილოთ განჰყოფს მთა ესე ვანათ-გერის-ხევსა და დიდს ლიახუსა.“[337]

იოანე ბაგრატიონი ერედვს მიაწერს იმ სოფლებს, რომლებიც „პატარა ლიახვით ირწყვის და ისევ გორს მიეწერება.“ აქ ერედვი მოხსენიებულია, როგორც „მოსახლე“ სოფელი.[338]

ერედვს მდ. პატარა ლიახვი მარჯვენა მხარეს ჩამოუდის. ჩვენი აზრით, აქ სარწყავი მიწათმოქმედების განვითარება, მხოლოდ დაბლობ ნაწილში

---

333 მონოგრაფიის ამ ნაწილში წარმოდგენილია პატარა ლიახვის ხეობის იმ ნაწილის ისტორია, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ოკუპირებულია. პატარა ლიახვის ხეობაში მრავალი სოფელია. ზოგიერთ მათგანზე გაცილებით მეტი დოკუმენტური და ნარატიული წყაროები მოიპოვება. არის ისეთი სოფლებიც, რომელთა შესახებ ცნობები შედარებით მწირია. პატარა ლიახვის ხეობის ისტორიული რეპრეზენტაციისთვის, შევეცადეთ ნაშრომში პატარა ლიახვის ხეობის ძირითადი სოფლების ისტორიული წარსული წარმოგვეჩინა. გეოგრაფიული სიახლოვიდან გამომდინარე, სოფლები შემდეგნაირად დავაჯგუფეთ: ერედვი-ფრისი, დმენისი-სათიხარი, აწრისხევი-ზონკარი, დისევი-კულბითი-ქსუისი და სხვ.

334 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 177.

335 ო. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში, თბ., 1955, გვ. 21.

336 Б. Техов, к истории изучения памятников эпохи энеолита и бронзы у нижнем течении реки большой Лиахви, стр. 31.

337 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქც. IV, გვ. 371.

338 იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 40.

უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, გივი ამილახვრის და ერეკლე II-ის დაპირისპირების დროს, ქართლის პოლიტიკურ ამბებთან დაკავშირებით ერედვს იხსენიებს ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე. ირანელების წინააღმდეგ აჯანყებული გივი ამილახვარი ოსმალების გამოყენებით ცდილობდა ერეკლე II-ის წინააღმდეგობის დაძლევას: „ხოლო ვიეთნიმე ქართველთა მოუწოდეს ძესა მეფისასა ირაკლის და წარვიდა ირაკლი სამასის კაცითა და წარიყვანა სამასი ლეკიცა და შემოეყარნენ რაოდენნიმე ზემოქართლელნი თავადნიცა ირაკლის, ძესა მეფისასა, მოვიდნენ დასდგნენ ქრცხინვალს ზემოთ აბო-წმინდასა, ჰსცნა რა ესე, გივმან სურამს მდგომმან, შემოიყარა ოსმალისა და ლეკის ჯარი ვიდრე 5000-მდე და ვიეთნიმე ქართველნიცა შეეწეოდნენ გივსა, მოვიდნენ ღამე და დილას შინდისს დაესხნენ ირაკლისს. ეკვეთა ირაკლი ძე მეფისა, ძლიერად და ფიცხელი ომი მოუხდათ. გარნა მოსცა ღმერთმან გამარჯვება ირაკლისა, ძესა მეფისასა და ამათგან ლტოლვილნი იგი ოსმალ-ლეკნი წარვიდნენ გივითურთ სურამს, ხოლო მეფის ძე ირაკლი წაბრძანდა კახეთად და მეფე თეიმურაზ მივიდა ზემო ქართლს და ერედუს დადგა.“[339] თეიმურაზ II პატარა ლიახვის ხეობის გაკონტროლების მიზნით, სავარაუდოდ, ერედვის ციხეში დაბანაკდა.

ერედვს ფავლენიშვილები ფლობდნენ. ისინი აღნიშნულ სოფელში ძველი დროიდან მკვიდრობდნენ. არსებობს 1783 წლის დოკუმენტი კათალიკოს ანტონ I-ისა ფავლენიშვილებისადმი ნიქოზის ეკლესიის სასაფლაოს თაობაზე, სადაც აღნიშნულია: „ჩვენ დიაღ კარგად ვიცით, რომ თქვენ დიდის გვარისაგან ხართ გამოსულნი, მხარგრძელნი სანაინიდან ფავნისს მოსულნი და ფავნისსიდან მანდ ერედვს მისულნი და დასახლებულნი.“[340]

ფავლენიშვილების საგვარეულო კავშირს მხარგრძელებთან ვახუშტი ბაგრატიონიც ადასტურებს. ვახუშტი წერს: „ფავლენიშვილი იტყვის მხარგრძელობას.“[341]

ფავლენიშვილების წარმომავლობაზე ცნობას გვაწვდის იოანე ბაგრატიონი, რომელიც ვახუშტის მსგავსად, ფავლენიშვილების წინაპრებად მხარგრძელებს მიიჩნევს, თუმცა, მისი ცნობა ნაკლებად სანდოა. იოანე ბაგრატიონი სოფელ ერედვში დამკვიდრებულ იოანე მხარგრძელის ერთ-ერთი შთამომავლის ოსებისაგან მოტაცების შესახებ გადმოგვცემს და ფავლენიშვილების გვარს თაგაურელი ოსი დიდებულის – ფავლეინას სახელს უკავშირებს.[342] იოანე ბაგრატიონი მსგავსი ცნობებს სხვა საგვარეულოთა წარმომავლობასთან დაკავშირებითაც გვაწვდის მაგ.:

339 ომან ხერხეულიძე, ცხოვრება მეფის ირაკლისა მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1989, გვ. 43.

340 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 944.

341 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 18.

342 იოანე ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა, გვ. 18.

არაგვის ერისთავებს იგი ოსურ გვარ სიდამონიძეებს უკავშირებს, ქსნის ერისთავებს ოსურ გვარ გორჭიანს, ციციშვილებს „ურიასტანიდან“ მოსულად თვლის, აბაშიძეებს ეთიოპიიდან ჩამოსახლებულად და სხვ. ქართული წყაროებზე,[343] ასევე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ გამოკვლევებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფავლენიშვილთა საგვარეულო მხარგრძელთა ფეოდალური გვარის ერთ-ერთ განშტოებას – თმოგველთა გვარს უკავშირდება, რომლის მესაძირკვლედ სარგის ვარამის ძე მხარგრძელი მოიაზრება.[344] აღნიშნული გვარი, თმოგვიდან XIV საუკუნის ბოლოს უჯარმაში გადასახლდა და ისინი ამ პერიოდის წყაროებში თმოგველ-უჯარმელებად იხსენიებიან, ხოლო უფრო მოგვიანებით მათ დაიკავეს ფავნისი – გადაშენებულ ფავნელთა მამული და ამის შემდეგ თმოგველ-უჯარმელები – ფავნელიშვილებად იწერებოდნენ. ამ გვარის ერთი ნაწილი მკვიდრობდა სოფელ ნიქოზში, რასაც ადასტურებს ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული ნიქოზის საყდრის XVI საუკუნის ორი საბუთი, რომელთა მიხედვით ნიქოზს ისინი თავიანთ სამკვიდრებელსა და სამარხს უწოდებენ.[345]

ფავნელიშვილთა აღნიშნული ნაწილი ნიქოზში საკმაოდ დიდხანს სახლობდა, რასაც ნიქოზის ტაძარში შემორჩენილი შედარებით გვიანდელი ხანის ეპიტაფიებიც ცხადყოფს.[346] ფავლენიშვილების მეორე შტო სახლობდა ერედვში. ანტონ კათალიკოსის მიერ 1783 წელს გაცემული დოკუმენტის მიხედვით, მხარგრძელები ერედვში ფავნისიდან ჩამოსახლებულან.[347] ფავლენიშვილთა გვარს მხარგრძელთა საგვარეულოს უკავშირებდა ისტორიკოსი კ. თუმანოვიც. იგი აღნიშნულ გვარს ირანული გვარის – არშაკიდების ერთ-ერთი შტოს – კამსარაკინების, იგივე „ფაჰლავადების“ დინასტიის შთამომავლად თვლიდა. მისი აზრით, „ფაჰლავადების“ დინასტიისაგან შეიქმნა სამი შტო: ფალავანდიდი, მხარგრძელი და სუმბატიდი. მათი შტოები იყვნენ: ფალავანდიშვილები, ამირაჯიბები, მხარგრძელ-არღუთაშვილები, არღუთინსკ-დოლგორუკები, ფავლენიშვილები, მაღალაშვილები.[348]

XVI საუკუნის ნიქოზის ტაძრის შესახებ არსებული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ ფავნელიშვილები ამ დროს ნიქოზში კარგა ხნის დასახლებულნი იყვნენ. სავარაუდოდ, აქ ისინი ერედვიდან გადავიდნენ. 1633 წელს თეიმურაზ I-მა თავის ერთგულ დიდგვაროვან ზაქარია ავალიშვილს მისი მამიდაშვილის იოთამ ფავნელიშვილის „კერძი“ მამულები გადასცა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „მას ჟამსა, ოდეს ქართლს ყეენი მოგვიჴდა და ვეღარ დავუდეგით და გარდავედით ლიხთ-იმერით, და გარდმო[გ]უყევით

343 ს. კაკაბაძე, თმოგველთა გვარის ისტორიისათვის, თბ., 1913, გვ. 7.

344 იქვე.

345 იქვე.

346 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1984, გვ. 151.

347 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 944, დოკ. 389.

348 იხ. შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 215; გ. სოსიაშვილი, საქართველოს წარჩინებულ გვართა ისტორიიდან, თბ., 2008, გვ. 29-30.

თანა და მრავალი ჭირი და განსაცდელი ერდგულობა და სამსახური თავს იდევით. ხოლო ჩუენ ბრძანებითა ღ(მრ)თისათა, თქუენისა ერთგულობი/სა და ჭირნახულობისა სანაცულოდ გიბოძეთ ისივ თქუენი სამკუიდრო და მე/ფეთაგან მოცემული სოფელი სომანეთი და აბისი მათის სამართლიანითა, რარი/გაცა პირველ გქონებოდა და შენის მამიდაშვილის ფავნელიშვილის იოთამის კერძი მამული, რაც განაყოფთაგან მოხდომოდა გლეხითა, აზნაურითა, საყდრითა, სასაფლ/აოთა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, საჴნავითა და მინდურითა, და გაღმა ჰერე/დვითა და რაცა ვის რამ მისის მოხდომილის მამულისაგან ჰქონოდა ან ჰქონდეს,/ ყოვლითურთ თქუენთვის გვიბოძებია და დაგვიმტკიცებია საბოლოოდ, მკუიდრად და / შეუცილებლად."[349] დოკუმენტიდან არ ჩანს, ფავნელიშვილების ფეოდალურ სახლის კუთვნილი მამულები რატომ გადასცა თეიმურაზ I-მა თავის ერთგულ ზაქარია ავალიშვილს. შესაძლოა, ფავლენიშვილები თეიმურაზის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყვნენ. ცნობილია, რომ 1633 წელს, როდესაც ქართლში როსტომი გამეფდა, თეიმურაზ I იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო.[350] ზაქარია ავალიშვილმა სწორედ ამ დროს უერთგულა მეფეს, რომელმაც, წყალობის სახით, ზემოთ ნახსენები მამულები გადასცა, მათ შორის – ფავნელიშვილების საკუთრებაში არსებული სოფელი ერედვი (ჰერედვი). თუმცა, ოდნავ მოგვიანებით, ფავნელიშვილებმა აღნიშნული სოფელი როსტომ მეფის დახმარებით დაიბრუნეს. ამას ადასტურებს 1640 წლით დათარიღებული როსტომ მეფის წყალობის წიგნი დავით ფავნელიშვილისადმი: „[ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფეთ-მეფე]მან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთა-დედოფალმან პატრონმა{ნ} მარიამ, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი [წყალობის წიგნი და ნიშანი] შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენსა ერთგულსა და მრავალფერად თავდადებ{ით ნამსახურთა ყმასა}, ფავლენის'შვილს დავითს და შვილთა შენთა: გორასპის, თმოგველს და იოთამს. მას ჟამსა, ოდეს მოგვიდეგით კარსა და თქვენისა სამკვიდროს მამულის წყალობას გვიაჯენ{ით}, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, მოკითხული ვქენით-და ჟამთა ვითარებისაგან თქვენი სამკვიდრო მამული გამოგრთმეოდა. შეგიწყალეთ და ისრევე თქვენი სამკვიდრო ქურთას, ერედ{ვ}ს, ვანათს, ბროწლეთს, ხვითს, რაც თქვენი კერძი ყოფილიყო, გიბოძეთ და სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ მათ-მათის მამულითა, დღეს რისაც მქონებელნი იყვნეთ, ყოვლის კაცისაგან შეუძლებლად."[351] ერედვში ფავლენიშვილების საგვარეულოს არსებობას ადასტურებს გვიანფეოდალური ხანის სხვა დოკუმენტებიც. 1700 წლის საამილახვროსა და

349 დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, I, მზია სურგულაძის რედ., თბ., 2019, გვ. 274-275.

350 იქვე, გვ. 275.

351 დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. II, ავტორები: ქართველიშვილი თეა (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი), ბაინდურაშვილი ხათუნა, გელაშვილი ირაკლი, გოგოლაძე თამაზ, შაორშაძე მაია, ჯოჯუა თემო, რედ. მზია სურგულაძე, თბ., 2021, გვ. 192-193.

გაღმა ლიახვის ხალხის კოდისპურის გამოსავლის ერთ-ერთი დავთრიდან ირკვევა, რომ ოთარ ფავნელიშვილს ყმები ჰყავდა ერედვსა და ვანათში.[352] 1776 წლის 15 ივნისს გლახა და ქაიხოსრო ფავლენიშვილებს (დოკუმენტში წერია ფანველიშვილი, – გ. ს.) დავა მოსვლიათ ერედვში კვირიკაშვილის მამულის თაობაზე. სასამართლოს კვირიკაშვილის მამული გლახა ფავლენიშვილისათვის მიუკუთვნებია, რადგან მისი „სამკვიდრო“ იყო. რაც შეეხება კიდევ ერთ სადავო ადგილს „ჩიკრიკაულს,“ სასამართლოს ის შუაზე გაუყვია, რადგან „ორისავ წილი“ ჰქონდა.[353]

ფავლენიშვილების მფლობელობას ერედვში ადასტურებს ერთი ცნობაც, რომელიც თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა: „აქუს რატიშვილსა წირი... კორინთელსა ველური... ამილახორს თაჯუაშვილები... ზემო ერისთავს ქუში და სათიხარი და ქორდი... აქუს ვაჩნაძესა წოლდა, ფავლენიშვილსა ზაკვ და ერედუს გლეხები.“[354] 1574 წლით დარიღებული დოკუმენტიდან ჩანს, რომ ერედვში მცხოვრები ყმები – გილაშვილები ქართლის მეფე სიმონ I-მა სვეტიცხოველს უბოძა.[355] ოდნავ მოგვიანებით, 1610 წელს ქართლის კათალიკოზმა ზებედემ სამეფო ხელისუფლებისაგან ნაჩუქარი ერედველი ყმა გილაშვილი თავისი მამულით მცხეთის საყდრის ჯვარისმტვირთველს დავით გედევანიშვილ-ელიოზისძეს უწყალობა: „...ჩვენ ქკ˜ზ˜მან ლუარსაბისათა... გიბოძეთ... თქვენ კათოლიკე ეკლესიისა (მცხეთის) ჯუარის მტვირთველსა ელიოზის ძეთა გედეონის შვილთა დავითს, როსებს, ქაიხოსროს ერედვს გილაშვილი გ˜ი (იორგი, – გ. ს.) მისი მამულითა“...[356] როგორც ჩანს, გედევანიშვილებს საპატრიარქო დიდად სწყალობდა, კათალიკოს-პატრიარქმა ზებედემ სვეტიცხოვლის ჯვარისმტვირთველ დავით გედევანიშვილს ერედვში მცხოვრები ეკლესიის საკუთრებაში არსებული სხვა გლეხებიც გადასცა: „და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ერედვს გილაშვილი დათუა მისის მამულითა, ყოვლითურთ უნაკლოდ: მთითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, შესათიბითა, ყოვლითურთ უნაკლოლოდ. სალარაშვილი დათუა, პაპუა, ლომაური დათუა, კიდევ ლომაური ბერუა, ჯერკვალიშვილი ვეფხი და მახარებლის ძე მაღრიბა მისითა მამულითა.“[357]

ირკვევა, რომ ერედვში გედევანიშვილებსაც ჰყავდათ ყმები, თუმცა ამ სოფელში მცხოვრები გლეხები და აქ არსებული მამულები ძირითადად ფავლენიშვილებს ეკუთვნოდათ. XIX საუკუნის დასაწყისში ერედველი ფავლენიშვილები მატერიალურად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. 1804 წლის 24 ნოემბერს მანუჩარ თუმანიშვილი სწერს თავისი ნდობით აღჭურვილ პირს, ვინმე თევდორეს: „ქ. ერედვს მიდი, ფავლენიშვილი არჩილ და მისი ძმა დავით ნახე. ჩემი მიწერილი წიგნი მიართვი, ცამეტი თუმანი

352 სეაცსა, ფ. 1450, დავთ. 31, საბ. 203.

353 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 14,

354 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 373.

355 თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 415.

356 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 197.

357 დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, I, გვ. 95-96.

თავნი უნდა მამცეს და თოთხმეტი მინანთუნი სარგებელი და გამოართვი.“[358] 1812 წელს, გოგია, ტეტია და სოლომონ ფავლენიშვილებს იუსტინე მთავარეპისკოპოსისაგან უსესხიათ „ოცდახუთი თუმანი რუსის მანათის თეთრი“ და ამ ვალის დამადასტურებელი ხელმოწერილი ვექსილებიც მიუციათ.[359]

ფავლენიშვილები სოფელ ერედვში XX საუკუნის 20-იან წლებამდე ცხოვრობდნენ. მათ საგვარეულო სამარხს წარმოადგენდა ერედვის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი (X ს.), სადაც დღემდეა შემორჩენილი ფავლენიშვილების საფლავების ეპიტაფიები: „საფლავსა შინა მდებარე ვარ ბეჟან პავლენოვი. მხილველს გთხოვთ თითო შენდობა მიბრძანეთ. გარდავიცვალე 13 ღვინობისთვის 1872 წ. შობიდგან ვიყავი 60 წ.“ „კნიაჟნა სალომე იოსების ასული ფავლენოვი დავიბადე 6 ოქტომბერს 1853 წელს. გარდავიცვალე 10 მარტს 1876 წელს.“ „კნეინა ელენე ივანეს ასული ფავლენოვისა დავიბადე 20 მაისს 1818 წ. გარდავიცვალე 25 დეკემბერს 1901 წ.“[360]

ერედვში მცხოვრებ ფავნელიშვილთა საგვარეულოდან არაერთი ცნობილი საერო და სასულიერო მოღვაწე იყო, მათ შორის აღსანიშნავია მამა ბესარიონ ფავლენიშვილი. იგი დაიბადა 1774 წელს სოფელ ერედვში. ანჩისხატის სემინარიის დასრულების შემდეგ რუსთველი ეპისკოპისის სტეფანეს მიერ მღვდელ-მონაზვნად ხელდასხმულმა ბესარიონმა მსახურება დაიწყო დავით გარეჯის უდაბნოში – იოანე ნათლისმცემლის მონასტერში. სწორედ ამ მონასტერში გაიღრმავა მან წიგნიერება არქიმანდრიტ ეფთვიმესთან. აღსანიშნავია, რომ ეფვთიმე მჭედელაშვილი ერეკლე II-ის მოძღვარი იყო, იგი სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ სათავეში უდგა იოანე ნათლისმცემლის მონასტერს. მამა ეფთვიმე გიორგი XII-ის დროს გარდაიცვალა.[361] 1799 წელს ბესარიონ ფავლენიშვილი ბერად არქიმანდრიტმა ეფთვიმემ აღკვეცა. მალე მამა ბესარიონ ფავლენიშვილი რუსთველმა ეპისკოპოსმა სტეფანემ მღვდელ-მონაზვნად აკურთხა.[362] მამა ბესარიონი გარკვეული პერიოდი მოღვაწეობდა ქვათახევის მონასტერში, შემდეგ ხევში მისონერულ საქმიანობას ეწეოდა და დროდადრო ქსნის ხეობაში ლარგვისის მონასტრის მამულებს განაგებდა.[363] მამა ბესარიონის მთის მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნეობის ქადაგების შესახებ წერდა გაზეთი „ივერია.“[364] ხევში მყოფი მამა ბესარიონი დასმენის გამო (თითქოს იგი აქაურ მოსახლეობაში მღელვარებას თესავდა), შიო მღვიმის მონასტერში გადაიყვანეს. სარწმუნოებისთვის თავდადებული ბერი, საბოლოოდ მშობლიურ სოფელში, ერედვში, ტყეში დამკვიდრდა და ასკეტურ ცხოვრე-

358 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, ტ. II, თბ., 1953, გვ. 170, დოკ. 241.

359 იქვე, გვ. 202, დოკ. 282.

360 გ. სოსიაშვილი საქართველოს წარჩინებულ გვართა ისტორიიდან, თბ., 2008, გვ. 43.

361 პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედაქციით, თბ., 1978, გვ. 119.

362 ა. მღებრიშვილი, მივიწყებული შემოქმედება, თბ., 2021, გვ. 10-11.

363 იქვე, გვ. 12.

364 გაზ. „ივერია,“ № 117, 1902 წ. გვ. 1.

ბას ეწეოდა. 1924 წლის 18 ივნისს, მამა ბესარიონი მძარცველმა ოსებმა საკუთარ საცხოვრებელში მოკლეს. ღვაწლმოსილი ბერი ერედვის წმინდა გიორგის ტაძარში, ამბიონის წინ დაკრძალეს. XX საუკუნი დასაწყისამდე ერედვის ტაძარში ინახებოდა მამა ბესარიონის ჯაჭვის პერანგი, ლითონის სარტყელი და ლითონისავე კუნკული, რომელსაც შიგნიდან წვეტიანი ლურსმნები ჰქონდა.[365]

ერედველ ფავნელიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო მიხეილ ფავნელიშვილი, რომელსაც ლიტერატურულ ასპარეზზე არაერთი წარმატება ჰქონდა. მას უთარგმნია შექსპირის „ჰამლეტი," პუშკინის „საოცარი სიზმარი," ლერმონტოვის „ანგელოზი" და ა. შ. მის კალამს ეკუთვნოდა ორიგინალური ლექსებიც.[366] XIX საუკუნის მიწურულს ქართულ პუბლისცისტიკაში ფავლენიშვილთა გვარიდან ცნობილნი იყვნენ გიორგი და ნიკოლოზ ფავლენიშვილები, რომელთა კორესპონდენციები ხშირად იბეჭდებოდა „დროებაში."[367] ფავლენიშვილთა საგვარეულოდან XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკნის დასაწყისში განსაკუთრებით პოპულარული იყო რევაზ ფავლენიშვილი. იგი 1884 წელს დაიბადა სოფელ ერედვში. მამიდის-ქეთევან შუბლაძის აქტიურობით ცხრა წლის რევაზი თბილისში ანჩისხატის სამრევლო სკოლაში მიაბარეს, თუმცა უსახსრობის გამო მან სწავლა ვერ შეძლო. რ. ფავლენიშვილის პირველი მოთხრობები პირველად ჟურნ „მოამბეში" დაიბეჭდა და მაშინვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება.[368] მწერლის მოთხრობებს თავიდანვე გამოეხმაურნენ: კ. აბაშიძე, პ. ჭარაია, ალ. ხახანაშვილი.[369] რ. ფავლენიშვილი მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა და არც თუ წარუმატებლად. მის მიერ თარგმნილი მოთხრობა „ტოკერი და ვერონიკა" ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში" გამოაქვეყნა.[370] რ. ფავლენიშვილი საზოგადოებრივ ასპარეზზეც აქტიურად მოღვაწეობდა. იგი ცხინვალის სამკითხველოს მცველის პოზიციას იკავებდა და სხვადასხვა სახის კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობას იღებდა. გარკვეული ხნით რ. ფავლენიშვილი გაზ. „ივერიის" რედაქციაშიც მუშაობდა.[371] იგი 1918 წელს გარდაიცვალა.[372]

ფავლენიშვილების საგვარეულომ სოფელ ერედვში განსაკუთრებით დიდი შევიწროება განიცადა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ბოლშევიკებმა ისინი სოფლიდან გააძევეს, ხოლო მათ საცხოვრებელ სახლში სოფლის სკოლა გახსნეს.

როგორც დოკუმენტური წყაროებიდან ჩანს, ერედვში გვიანფეოდალურ პერიოდში ყმები ჰყავდათ ზედგინიძეებსაც, მათი „კერძი" მამული 1644 წელს, ქართლის მეფემ როსტომმა ცალქალამანიძეებს უწყალობა.

365 ა. მღებრიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27
366 იქვე, გვ. 29.
367 იქვე.
368 იქვე, გვ. 112-113.
369 იქვე, გვ. 115.
370 გაზ. „ივერია," 1899 წ. 29 დეკემბერი, № 279-280.
371 ა. მღებრიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124-130.
372 იქვე, გვ. 142.

რა მიზეზით გადაეცათ სეხნია ცალქალამანიძეს და მის შვილებს ზედგინიძეების მამულები უცნობია. შესაძლოა, ისინი როსტომის პოლიტიკური ბანაკის მომხრენი იყვნენ. დოკუმენტში ვკითხულობთ: „[ქ.] ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა, [ჩვენ, მეფეთ-მეფე]მან, ჭელმწიფ[ემან] პატრონმან როსტომ, და თანამე[ცხედ]რემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან, [პა]ტრონმან მარიამ, პირმშომა[ნ] და სასურველმან ძემან ჩუენმან, პატრონმან ლუარსაბ, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გადასათავებელი წყალობი[სა] წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენის ერდგულისა და თავდადებით ნამსახურევის ყმას, სეხნიას შვილს, ცალქალამანიძეს გიორგის და ძმასა შენსა ზაზასა და მომავალთა სახლისა თქუენისათა, ყოველთავე. ასრე და ამა პირსა ზედან, რომე, რარიგადაც ამას წინათ ზედგინიძის დავითასა და ზაალის კერძი მამული სეხნიასათვის გვებოძებინა იმავე წესითა, რისაც მქონებელნი ერედ[ვ]ს, ანუ ვანათს, ანუ მეღურე[კ]ს და შერთულთ, ან ისინი ყოფლიყვნენ და ან ჩუენგან თქუენ წყალობად გბოძებოდეს, ისრევე ყოვლის კაცისაგან უცილებლად თქუენთვის და თქუენთა შვილთათვის გვიბოძებია.“[373]

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, ერედვი ექვემდებარებოდა ამილახვარს.

დავთარში ვკითხულობთ:

ქაიხოსრო ძე გიორგისა აზნაურია
ზათია ძე მისი ბერი ძე
ბირასი ივანე ძმა მისი
შერმაზან ძე გიორგისა თამაზა ძე
აბრამისა თედორე ძე დათუნასი
თამაზა ძე მისი
იასე ძმა მისი გიორგი ძე
ბაბუნასი ზაქარა ძე კოჩინასი
ფირან ძმა მისი თადუნა ძე
ბაბუნასი გენება ძე ბაბუნასი
ბერი ძე ვახტანგისი
სარკიზა ძე მისი ბირა ძე
გიორგისა თამაზას ძე
ონიასი თამაზა ძე კანისასი
მამუკა ძმა მისი კოკითა ძე
კათისა
გაბრიელ ძე თედორესი ჩუბინა
ძე ბაბუნასი ბაბუნა ძმა მისი
გიორგი ძე გელიკასი ზოსიკა
ძე ბაბუნასი ბაბუნა ძე მისი
ფირან ძე მამუკასი ბაბუნა
ძმა მისი ბირა ძე

გიორგი ძე მისი ბერი ძე
თამაზასი ბერი ძმა მისი
შიო ძე მისი

ზათუნა ძე ფერიხანისა ფირან
ძე მისი
ნასყიდა ძე გიორგისა ნათა
ძე მისი
ბობია ძე გიორგისა
ბაბუნა ძე მისი
ბერი ძე სარკოზასი ხოსიტა
ძე ნიკოლასი მახარა ძე
ბირა ძე დათუნასი
მახარა ძე კასიასი
ბერი ძე მისი
ბერი ძმა მისი ელიოზ ძე
დავითისა ზათუნა ძე
ელიზბარისა ღუსიკა ძე მისი
იორამ ძე თუმანისა
ბაბუნა ძე კასიტა შიო ძე
კათისა
ბერი ძე მისი

373 დოკუმენტები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. II, გვ. 332.

ბაბუნასი კოკა ძე მისი
ბერი ძმა მისი შალვა ძე
ოთარისა ოთარა ძე
ბირასი გიორგი ძე ივანესი
ვებალა ძე მისი
შიო ძე ერასტისა მახარა ძე
გიორგისა ბასილა ძე მისი
გიორგი ძე თამაზასი
კათიკა ძე დორასი ბითა
ძე ონიასი ბარა ძე მისი
საბა ძე გიორგისა
შარდენა ძე მისი დასია
ძმა მისი დეკურ ძე
იოთამისა
გენება ძე მისი ბირა ძე
ჯაბითასი ივანე ძე ბირასი
გორგიკა ძე მისი თამაზა ძე
დავითისი
სახლი 53
მიწის დღიური მფლობელობა 50
სამეუფეო ველის დღიური მფლობელობა 20 სამეუფეო ვენახის დღიური მფლობელობა 5
ჯამი მარცვლეულისა:
ისფენჯი კაცი 88 ახჩა 10560 ხორბალი ქილა
არუსანეს გადასახადი 120 დეშთიბანი,
400 ახჩა 8000 ქერი ქილა 200 ახჩა 150
თაფუს გადასახადი 250 მიწაზე
ჭვავი ქილა 80 ახჩა 1200 ფეტვი ქილა 120
ახჩა 1800 უშრის გადასახადი ვენახზე,
დონუმი 80 ახჩა 3200 გადასახადი
ერბოზე 225 გადასახადი სკაზე 120
ხოსიტა ძე კოკინასი
მახარა ძე ბაბუნასი
სინავერ ძე მისი ბასილა ძე
ივანესი გიორგი ძე მისი
ბაბუნა ძმა მისი კარასი ძე
რისანისა ვახტანგ ძმა მისი
კაცი 88
გადასახადი ცხვარზე 450
გადასახადი ღორზე
3000 ბადიჰავა, ჯურუმ
ჯიბაიეთ, იავავე კაჩკუნ,
ბეითალმალი ამევე
ხასე, მალი გაიფ მალი
მეფკუდ,
დიმედიეთ 350.[374]

ერედველები გადასახადს მხოლოდ დამპყრობთა სასარგებლოდ არ იხდიდნენ, მათ ქართლ-კახეთის სამეფო კარის წინაშეც ჰქონდათ ვალდებულებები, მაგ. XVIII საუკუნის მიწურულით დათარიღებული „კოდის პურის გადამხდელთა“ სიაში, პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად, ერედვიც არის მითითებული.[375]

374 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 368-369.

375 საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, დ. მუსხელიშვილის რედ., ტ. II, თბ., 2010, გვ. 172-173.

სოფელ ერედვში ძველი დროიდანვე ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა, თუმცა, გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი პატარა ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებს, მათ შორის ერედვს, ოსურ მხარეებად იხსენიებს.[376] როგორც ჩანს, პატარა ლიახვის ხეობაში გერმანელმა მოგზაურმა მთის სოფლებიდან ბარში ახლად ჩამოსახლებული ოსური ოჯახები ნახა, რამაც უცხოელი მეცნიერი შეცდომაში შეიყვანა და პატარა ლიახვის ხეობის ეს ნაწილი ოსურ მხარედ მიიჩნია.

ერედვსა და მის ახლომდებარე სოფლებში რომ ოსები ახალი ჩამოსახლებულები იყვნენ, ჩანს ერედვის მეზობელ სოფელ სარაბუკის მაგალითზე, როგორც პროფ. რ. თოფჩიშვილმა გამოიკვლია, XIX საუკუნეში 13 კომლი ოსი ხიზნად იყო ჩაწერილი. სარაბუკელი ოსები, მოგვიანებით, 1866-1876 წ.წ. სხვადასხვა სოფლებში გადასახლებულან, მათ შორის ერედვშიც.[377] 1802 წლის 8 მაისით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, ერედვში ქართველებთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული რამდენიმე კომლი ოსი ცხოვრობდა, ისინი ეკლესიის და სამეფო გვარის მემამულეთა (ასეა მითითებული) საკუთრებას წარმოადგენდნენ.[378] აღსანიშნავია, რომ ერედვის მეზობლად მდებარე სოფელ ფრისში, რომელიც საბჭოთა პერიოდში ოსურ სოფლად იყო მიჩნეული 1804 წლის რუსული აღწერის მიხედვით, მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. ფრისელი 8 კომლი ქართველი (სულ 67 მოსახლე) ამილახვრების კუთვნილება იყო.[379] 1804 წლის აღწერაში, ერედვის მეზობლად მდებარე სოფ. არგვიცში მოხსენიებულია მხოლოდ ქართული მოსახლეობა. სოფელში თავადი ფავლენიშვილები ფლობდნენ 26 კომლს და ყველა მათგანი ქართველი იყო (სულ 143 მოსახლე).[380]

1804 წლის აღწერაში სრულყოფილი ინფორმაციაა სოფ. ერედვის მოსახლეობის შესახებ. აღწერაში მოხსენიებულია: თეიმურაზ ფავლენიშვილის კუთვნილი გლეხები – აქედან 4 კომლი ქართველია, ხოლო ხიზანი ოსი – 3 (ჯამში მათი მოსავალი შეადგენდა 100 კოდ ხორბალს და 40 კოკა ღვინოს). ნინია ფავლენიშვილის მფლობელობაში იყო 2 კომლი (ყველა ქართველი), მათ ქონებას შეადგენდა 20 დღიური მიწა, მოჰყავდათ 80 კოკა ღვინო. გლახა ფავლენიშვილს ეკუთვნოდა 4 კომლი (ქართველები), მათ გააჩნდათ 40 დღიური მიწა, მოჰყავდათ 50 კოკა ღვინო. არჩილ ფავლენიშვილის მფლობელობაში შედიოდა 4 კომლი (ქართველები) და 6 კომლი ჩამოსახლებული ოსები, ისინი 50 დღიური მიწიდან იღებდნენ 100 კოდ ხორბალს და 20 კოკა ღვინოს. ქაიხოსრო ფავლენიშვილს ჰყავდა 10 კომლი, აქედან 8 კომლი ქართველი, 2 კომლი ჩამოსახლებული ოსი. 80 დღიურ მიწაზე ისინი იღებდნენ 200 კოდ ხორბალს და 50 კოკა ღვინოს. ნინია ფავლენიშვილს ჰყავდა 3 კომლი ქართველი; რევაზ ფავლენიშვილს

376 გ. სოსიაშვილი, გერმანელი მოგზაურები ოსების შესახებ, თბ., 2007, გვ. 23.
377 რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.
378 АКАК, Т. I, стр. 469, # 575.
379 სეაცსა, ფ. 254, საქ. 58, გვ. 7.
380 იქვე.

- 4 კომლი ქართველი და 1 კომლი ხიზანი ოსი. მათ გააჩნდათ 50 დღიური მიწა, იღებდნენ 20 კოკა ღვინოს. გარდა ამისა, ერედვში ცხოვრობდა სახაზინო აზნაური (ღონდაძე), რომელსაც ჰყავდა 5 კომლი გლეხი (ქართველები), მის ქონებას შეადგენდა 30 დღიური მიწა, მოჰყავდა 25 კოკა ღვინო. აზნაურ ერასტი გედევანიშვილს ერედვში სამი კომლი გლეხი (ყველა ქართველი) ჰყავდა (მათ ქონებას შეადგენდა 30 დღიური მიწა, მოჰყავდათ 100 კოკა ღვინო).

სულ 1804 წლის აღწერის მიხედვით ერედვში სახლობდა 40 კომლი ქართველი და 9 კომლი ოსი.[381]

1818 წლის აღწერაში ფრისში მოხსენიებულნი არიან ქაიხოსრო ფავლენიშვილის ყმები: ტეტია გაბოძე, მისი მეუღლე და შვილები ბერო და ნინია, შვილიშვილი სოსია; ასევე ღვთისია ხიზაბავრელი, მისი მეუღლე და ასული, ასევე ვაჟი გრიგოლი. ფრისში ცხოვრობდნენ ნიკოლოზ ამილახვარის ყმები: ნინია საური, მისი მეუღლე, შვილები: დათუა, ღვთისია და ტეტია, ღვთისიას მეუღლე და შვილი გლახა.[382]

1804 წლის აღწერის მიხედვით, ფრისში ყმები ჰყავდა ერასტი გედევანიშვილს. დოკუმენტში მითითებულია, რომ მის მიმართ ვალდებულებები გლეხებს არ გააჩნდათ, რადგან იგი თურქებთან გაიქცა.[383] მართლაც, ცნობილია, რომ 1801 წელს ერასტი გედევანიშვილმა, რუსულ ხელისუფლებასთან დაპირისპირების გამო, ოსმალეთს შეაფარა თავი, რის გამოც, მისთვის ჩამორთმეული ყმა-მამული და ქონება მთავრობამ ბეცია გედევანიშვილს გადასცა.[384]

1818 წლის აღწერის მიხედვით ერედვში თარხნიშვილებსაც ჰყავდათ ყმები. 1804 წლის მონაცემებით, ნინია ფავლენიშვილის კუთვნილი სამი კომლი რუსეთის ხელისუფლებას ერთგულ თავადისთვის – ბესარიონ თარხნიშვილისთვის გადაუცია.[385]

XIX საუკუნის დასაწყისში ერედვში, ასევე დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთ სოფელში „შავი ჭირი“ გავრცელდა. დაავადება ერედვში ნიქოზიდან ჩასულმა ოსი ეროვნების ქალბატონმა შეიტანა. 1815 წელს დივიზიის ექიმის მინერვინის მიერ მთავარმართებელ რტიშჩევისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ: „დადგინდა, რომ სოფელ ერედვში დაავადება ერთმა ოსმა ქალმა შეიტანა, რომელიც ქვემო ნიქოზის დასნებოვნებული ოჯახიდან ერედვში გადავიდა. აქ მან ერთ-ერთ ოჯახში რამდენიმე საათი დაჰყო, ხოლო ღამე სხვა ოჯახში გაათენა. ამის შემდეგ ოსური სოფლებისაკენ გაემართა. დაავადება მომდევნო დღეს ორივე ოჯახში გამოვლინდა. ერედვში ერთ სახლში „შავი ჭირისგან“ სამი გარდაცვლილი აღმოჩნდა. ვინაიდან მათ დასაფლავებაზე ადგილობრივ-

381 სეაცსა, ფ. 254, საქ. 58, გვ. 8-9.

382 გსიემ, 8235, №128.

383 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გვ. 52.

384 АКАК, т. I, стр. 303, док. 368.

385 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა... გვ. 389.

მა მაცხოვრებლებმა უარი განაცხადეს, გარდაცვლილთა გვამები, სახლი და ქონების ნაწილი ცეცხლს მიეცა. ამ ორ ოჯახში (?) 12 ადამიანი გარდაიცვალა, 2 ქალი ავადაა და 5-ის მდგომარეობა საეჭვოა."[386] სხვა დამატებითი ცნობები ერედვში ეპიდემიის გავრცელების და მოსახლეობის შემცირების შესახებ არ მოგვეპოვება.

1818 წლის აღწერის მიხედვით, ერედვში სულ 358 ქართველი მოსახლე იყო. აღწერაში მოხსენიებულნი არიან ფავლენიშვილების კუთვნილი ყმები, მათ შორის: მაისურაძეები, ქრისტესიაშვილები, ცოტნიაშვილები, მიდოდაშვილები, მეტრეველები, ბეციაშვილები, რომელაშვილები, კვირიკაშვილები, ბერუაშვილები, ტერაშვილები, ბორცვაძეები, ვახტანგაშვილები, ივანეშვილები, იოსებაშვილები, ჭიორელები, ბეჩიტაშვილები, ბუზალაძეები, ქელეხსაშვილები, ღამბაშიძეები, არბოლიშვილები, აქვე იყვნენ აზნაურ ცალქალამანიძის გლეხები – ღონღაძეები, ასევე გედევანიშვილების კუთვნილი გლეხები – ლომაურები. მოსახლეობა მისდევდა ხვნა-თესვას, ასევე მესაქონლეობას.[387] აღწერის განმარტებით ნაწილში მითითებულია, რომ მემამულეებისა და მკვიდრი გლეხების საკუთრებაში არსებული ვარგისი მიწების რაოდენობა შეადგენს 1000 დღიურს. მათივე სარგებლობაშია 1500 დღიური ტყე. სოფელი ირწყვება ნაკადულებით, ამიტომ წყალი ჭირს. ეპიდემიებით გარდაცვლილთა და სხვა სოფლებში გადასახლებულთა გარდა, ადგილზე დარჩენილი იყო 46 კომლი საბატონო გლეხი.

სოფელში ამ დროისთვის ყმები ჰყავდათ მიხეილ ფავლენიშვილსა და მის ვაჟს ნინიას – 8 კომლი გადამხდელუნარიანი და 1 კომლი ბოგანო; ქაიხოსრო ფავლენიშვილს – 15 კომლი გადასახადის გადამხდელუნარიანი და ერთი ბოგანო; ივანე ფავლენიშვილს 6 კომლი გადასახადის გადამხდელუნარიანი და ერთი ბოგანო[388] და ა. შ.

1842 წლის საეკლესიო გლეხთა კამერალურ აღწერის მიხედვით, ერედვში სულ აღრიცხული იყო 52 კომლი (325 სული) გლეხი. აქედან მიხეილ ფავლენიშვილის ეკუთვნოდა ერთი კომლი – იოსებ მაისურაძე, შვილებთან (გიორგი, დათო, კიკოლა) და ძმებთან (ქიტესასა და ნინიასთან) ერთად.

ნინია ფავლენიშვილის მფლობელობაში იყვნენ:

ტეტია მიდოდაშვილი, მისი ბიძაშვილი გრიგოლი და გრიგოლის შვილები: იაკობი, ივანე და სოსია; ბასილა ცოტნიაშვილი და მისი ძმა - ტეტია; ნინია ცოტნიაშვილი და მისი შვილები: გრიგოლი, სოლომონი, შიო და შიოს ვაჟები: ალექსი და ბერა.

იოთამ ფავლენიშვილის მფლობელობაში შედიოდნენ:

ტეტია მაისურაძე და მისი შვილები: გრიგოლი, ანდრია და სოსია, ტეტიას ძმა - მახარე და მისი ვაჟი - ნინია;

---

386 გ. სოსიაშვილი, საქართველოში ეპიდემიების გავრცელების ისტორიიდან, გვ. 135-136.

387 გსიემ, 8235, №128.

388 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გვ. 384-392.

გიორგი ცოტნიაშვილი, მისი შვილი ნინია და ძმა - გიორგი;

სოლომონ ცოტნიაშვილი და მისი ძმები: ანდრია და სოსია;

სიმონ ცოტნიაშვილი და მისი ვაჟები: ანდრია, ალექსი, გიორგი და ნინია;

გიორგი ცოტნიაშვილი და მისი ვაჟები: ლაზარე, ზაქარია, ასევე ძმები: გოგია, მოსე და ძმისშვილები: გიორგი და ზურაბი.

ქაიხოსრო ფავლენიშვილის მფლობელობაში იყვნენ:

ქიტესა ბერუაშვილი მისი შვილი ბესარიონი, ძმა მოსე და ძმისშვილები: გიორგი, მიხეილი, მერაბი და სოსია, ქიტესას ნათესავი სოსია და მისი ვაჟები: დავითი, გიორგი და ანდრია.

აღწერაში ასევე ჩანან ოჯახებით: აღდგომელა, გლახა, ანდრია, გაბრიელ, პეტუა ბერუაშვილები; ნინია თევდორაშვილი და მისი ვაჟები: მერაბი, გაბრიელი, გლახა; ნინიას ძმა შიო და მისი ვაჟები: იაკობი და გიორგი; ნინიას ნათესავი თევდორე და მისი ვაჟი სოსია. ნინია და გრიგოლ ცარიელაშვილები; ტეტია ივანაშვილი; სოსია და ნინია ბორცვაძეები; ნინია და პეტრე ვახტანგიშვილები; ქიტესა და გოგია ქრისტესიაშვილები; სოსია მაისურაძე; სოსია მეტრეველი; ბერუა ბუზალაძე და სხვ.

სოფლის მამასახლისი იყო ლევან კაკაშვილი (?), ხოლო მოსამართლეები: პეტრე ბერუაშვილი და თანდია ვახტანგაშვილი.[389]

იმავე 1842 წლის საეკლესიო გლეხთა კამერალური აღწერის მიხედვით, ფრისში სულ აღწერილია 3 კომლი და 18 სული. ივანე და ალექსანდრე ამილახვრების მფლობელობაში იყვნენ: ღვთისია საური და მისი შვილები: გლახა და გიორგი, ძმა ტეტია, ტეტიას ვაჟები: პეტრე და ანდრია; ღვთისიას ნათესავი დათუა.

ქაიხოსრო ფავლენიშვილის ყმობაში იყვნენ: ბერო ლაბაძე და მისი ძმები: ნინია, გრიგოლი და მისი შვილები: ალექსი, სოსია და სიმონი.

გიორგი ფავლენიშვილის მფლობელობაში იყვნენ: გიგოლა ვახტანგიშვილი და მისი შვილები: გიორგი და გაბრიელი, ძმა ნინია.

ფრისის მამასახლისი იმ დროისათვის იყო ლევან კაკაშვილი, მოსამართლე – ნინია ვახტანგაშვილი.[390]

მნიშვნელოვნად მოიმატა ერედვის მოსახლეობამ XIX ს. ბოლოსათვის. 1886 წლის აღწერის მიხედვით, სოფელში უკვე 215 კომლი ცხოვრობდა (630 კაცი, 550 ქალი, სულ 1180 სული). ყველა მათგანი ქართველი და მართლმადიდებელი იყო, აქედან, 2 სული თავადაზნაურთა უწყებას მიეკუთვნებოდა, 7 – სასულიერო ფენას, გლეხებიდან: 52 სული სახაზინო უწყებაში ირიცხებოდა, 170 ეკლესიის მფლობელობაში, ხოლო 7 კომლი კერძო უწყებას ეკუთვნოდა, ან ხიზანი იყო.[391]

---

389 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 1951, გვ. 326-343, Камеральное описание церковных крестьян Ксанского участка Горийского уезда, 1842 года.

390 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 1951, გვ. 349-350, Камеральное описание церковных крестьян Ксанского участка Горийского уезда, 1842 года.

391 Свод статистических данных о населении Закавказскаго края, извлеченных из посемейных списков 1886 г., издан по распоряжению Главноначальствующаго гражданскою

ერედველი 1926 წელს დაბადებული ოთარ ქრისტესიაშვილის გადმოცემით, XX საუკუნის პირველ ნახევარში ერედვში რამდენიმე ოსური ოჯახი სახლობდა, მათ შორის: თაბოშვილები, ბეკოშვილები, მულდაროვები, ქასაევები, თუაევები. მისი გადმოცემით, საბჭოთა ხელისუფლება XX საუკუნის 40-იან წლებში ხელს უწყობდა მთაში მცხოვრები ოსების ჩამოყვანას.

ერედვის მოსახლეობა, პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლებში მცხოვრებთა მსგავსად, სოფლის მეურნეობის არაერთ დარგს მისდევდა. რაც სხვადასხვა დროის აღწერებში შეტანილი გადასახადებიდანაც ჩანს.

XIX საუკუნის ბოლოს ერედველი მოსახლეობა არაერთხელ დაზარალდა მკაცრი ბუნებრივი მოვლენებისაგან, რაც იმდროინდელი პრესის ფურცლებიდან ნათლად ჩანს. მაგ. 1895 წელი ძალზე მძიმე გამოდგა ერედველთათვის, ხანგძლივი წვიმების გამო აქური ხალხი რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა: „თითქმის ნახევარი ხალხი უხნავ-უთესი დავრჩით. უსაფქვავო და უშეშო, განუწყვეტელისა წვიმების გამო“, – ჩიოდნენ ისინი.[392]

ზამთარში დიდთოვლობას, როგორც ჩანს, გაზაფხულზე წყალდიდობები მოჰყოლია, წყალი მოსახლეობას სახლებში შევარდნია და წლის სარჩო-საბადებელი და ჭირნახული ერთიანად წაუხდენია. ერედველები მომავალი წლის მოსავალზეც უიმედოდ იყვნენ: „ამდენმა შეუწყვეტელმა წყალმა დათესილ ჭირნახულსაც დიდი ზარალი მისცა. მეტადრე ნაგვიანები ნათესი სულ ერთიანად დაალპო და და ზეზე ჰყრიაო.“[393]

1902 წელს სტიქიას ძალზე დაუზარალებია პატარა ლიახვის ხეობის სოფლები: ფრისი, არგვიცი, სარაბუკი, ერედვი. სასოფლო სავარგულები ერთიანად განადგურებულა. სტიქიის დიდი მასშტაბის მიზეზად „ივერიის“ კორესპონდენტი ერედველების მიერ ახლომდებარე ტყის გაჩეხას ასახელებდა.[394]

სტიქიური უბედურების გამო კიდევ უფრო დამძიმდა ერედველთა სოციალური მდგომარეობა: „ჭირნახულის და ღვინის ფასმა ძალზედ აიწია. ფუთი ხორბალი ექვს აბაზად, მეტადაც იყიდება. სიმინდი სამ აბაზად, ქერი სამ უზალთუნად, ღვინო ადგილობრივი სარწყავით (ექვს ჩარექიანი) ჩვენებური ღვინო თუმნად – თორმეტ მანეთად არის, მაშინ, როდესაც შვიდ-რვა მანეთს არ წაუვა ხოლმეო“, – წუხდა ადგილობრივი მოსახლეობა.[395]

XIX ს. 80-90-იან წლებში ერედვის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასა და პრობლემებზე გაზეთ „ივერიაში“ „ერედველის“ ფსევდონიმით არაერთი საინტერესო პუბლიკაცია აქვს გამოქვეყნებული ცნობილ საზოგადო მოღვაწეს რევაზ ფავლენიშვილს.[396] მისი ცნობით, 1891 წელს ერედვში გაჩენილა „რადაც სატკივარი“, რომელიც მთელ სოფელს მოსდებია. პრობ-

---

частию на Кавказе Закавказским статистическим комитетом, Тифлисская Губерния, Горийский уезд, Цхинвальский участок, Тиф., 1893, №1442.

392 გაზ. „ივერია,“ 1896 წ. 14 თებერვალი, №34, გვ. 2.

393 გაზ. „ივერია,“ 1896 წ. 20 მარტი, №64, გვ. 2.

394 გაზ. „ივერია,“ 1902 წ. 13 აგვისტო, №171, გვ. 2.

395 გაზ. „ივერია,“ 1898 წ. 12 მაისი, №98, გვ. 2.

396 ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. III, ნაკვ. I, თბ., 1963, გვ. 447.

ლემას წარმოადგენდა ისიც, რომ სოფელს მკურნალი არ ჰყავდა. რ. ფავლენიშვილი ცხინვალიდან ერედვში ექიმის ასვლას და მოსახლეობისთვის ყურადღების მიქცევას ითხოვდა: „კარგს იზავდა ცხინვალის მკურნალი, ან თვითონ ამობრძანდებოდეს და დაათვალიერებდეს ავადმყოფებს, ან ფერშალს გამოჰგზავნიდეს.“[397]

XIX საუკუნის ბოლოს ერედვში მცხოვრებ ფავლენიშვილთა საგვარეულოში გარკვეული დაპირისპირება იყო. დაპირისპირების საგანს წარმოადგენდა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, რომელიც აღნიშნული გვარის საძვალედ ითვლებოდა. ფავლენიშვილებში არსებულ უთანხმოების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის გაზეთი „ივერია.“ ერედვში გარდაცვლილა თავადი დ. ფავლენიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ განსვენებულის შვილს არქიელისა და გუბერნატორისაგან მოხუცი მამის სოფლის ეკლესიაში (იგულისხმება წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი) დაკრძალვის ნებართვა მიუღია, მისი სახლისკაცები წინააღმდეგობას უწევდნენ: „ეგ ეკლესია ჩვენი დასის საკუთრებაა და ნებას არ მივცემთ აქ დამარხვისაო.“[398]

XIX საუკუნის ბოლოს ერედველ მოსახლეობას არაერთი სოციალური პრობლემა აწუხებდა. ამას ემატებოდა ადგილობრივი მოხელეების არაკომპეტენტურობა და არაკეთილსინდისიერება. ამის გამო ხელისუფლების სახელზე არაერთი საჩივარი იწერებოდა. სწორედ ამიტომ, 1893 წელს გადაწყდა რამდენიმე სოფლის სამამასახლისოს გაერთიანება, რათა ახლომდებარე სოფლების მცხოვრებთა პრობლემები ოპერატიულად გადაჭრილიყო. რეფორმას ადგილობრივი მოსახლეობა იმედით შეხვდა. მათი წარმოდგენით, „ხალხის გულშემატკივარი ბევრს საკეთილო საქმეს გააკეთებს, რომლისაც სოფელს და საზოგადოდ, უსწავლელ კაცს არა გაეგება რა.“

ამ ღონისძიების შედეგად, ტირძნისის, ერგნეთის, ქორდის და ერედვის საზოგადოებამ, რომელშიც კიდევ ათ სოფლამდე იყო გაერთიანებული და „ათას კომლამდე შედგებოდა,“ მამასახლისად ახალგაზრდა თავადი ს. მაჩაბელი[399] აირჩია.[400] გავიდა რამდენიმე წელი, თუმცა ერედველი გლეხების მდგომარეობა სასიკეთოდ არ შეცვლილა: „აგერ მესამე წელიწადია ერედველები ერთი სამად იხდიან სახელმწიფო ხარჯს და ტყავები სძვრებათო“ – იუწყებოდა „ივერიის“ იმედგაცრუებული კორესპონდენტი.[401]

XIX საუკუნის ბოლოს სოციალური პრობლემების გარდა, ერედვის მოსახლეობას ძალზე აწუხებდა საგანმანათლებლო კერის არ არსებობდა. როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობა ბევრ რამეს იყო ჩამორჩენილი: „თუ სხვა სოფლები ახალ წელს სკოლების გამართვით, იოლკებით და საქველ-

397 გაზ. „ივერია,“ 1891 წ. 30 ივლისი, №160, გვ. 3.

398 იქვე, გვ. 2-3.

399 სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს ცნობილი მოღვაწე და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური წევრი სოლომონ ვახტანგის ძე მაჩაბელი.

400 გაზ. „ივერია,“ 1893 წ. 15 ოქტომბერი, №221, გვ. 2.

401 გაზ. „ივერია,“ 1898 წ. 21 ივნისი, №131, გვ. 2.

მოქმედო საქმის მიზნით გამართული წარმოდგენებით ხვდებიან, ერედველებისათვის ეს ყველაფერი უცხოა“, – წუხდა სოფლის წარმომადგენელი „ივერიის“ კორესპონდენტთან 1891 წელს: „...ხმები დარხეულა, სოფელში სამრევლო სკოლა იმართებაო, მაგრამ საამისოდ, კომლს ორი მანეთი უნდა გადაეხადა და „ამას რომელი ჭკუათმყოფელი იზამს,“ – ეჭვს გამოთქვამდა წერილის ავტორი. სოფელს „უუამურობა“, „ოსებისაგან წვრილფეხობის ქურდობა“[402] და სხვა ბევრი პრობლემაც ჰქონდა მოსაგვარებელი.

სკოლის საკითხი მომდევნო წლებშიც აქტუალური იყო ერედველებისათვის. ამ მხრივ, ინიციატივა გამოიჩინა გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელმა დავითაშვილმა. 1894 წელს სოფელში კრება ჩატარდა, სადაც გადაწყდა, რომ სკოლის გასახსნელად კომლზე „მანეთ-ნახევარი“ დაეწესებინათ, რაც ჯამში 240 მანეთამდე იქნებოდა. სკოლის გახსნას ადგილზე ბევრი გულშემატკივარი გამოუჩნდა, ზოგიერთმა შესაწირი გაიღო, ზოგიერთმა წიგნები და სხვ. სკოლაზე მზრუნველობა დაეკისრა ერედვში მოღვაწე ცხინვალელ მღვდელს ანტონ ლომაურს (sic:).[403] თუმცა, ამ საქმეს თავი ვერ მოაბეს. გავიდა რამდენიმე წელი და ერედველები ისევ სკოლის უქონლობაზე ჩიოდნენ: „აგერ ოთხი-ხუთი წელიწადია ველით სკოლას და არ იქნა და არა გვეშველაო.“ საზოგადოების მიერ სკოლის მზრუნველად ამორჩეული დავითაშვილი და ადგილობრივი ფავლენიშვილები ამ მხრივ ინიციატივას არ იჩენდნენ: „ვინ იტკიებს თავსა, ყველა შეკეტილა თავისთვის თბილ ბუხართან და სძინავთ, რაღა ლუარსაბ თათქარიძე და რაღა ჩვენო“, – აცხადებდნენ ერედველები.[404]

უფრო მეტიც, ადგილობრივი მოსახლეობისა და კერძო პირების მზრუნველობით სკოლის გასახსნელად სახსრებიც დაფანტულა: „ზოგი სესხად, და ზოგიც ქურდულად“[405] და ერედველი ახალგაზრდების განათლების საკითხი 1898 წელსაც გაურკვეველი იყო. ხსენებული წლის მაისში საკითხით დაინტერესებულმა პირებმა სოფლის მოსახლეობა კიდევ ერთხელ შეკრიბეს და, რადგან სკოლისათვის ახალი შენობის აგებას საშველი არ დაადგა, ალტერნატივად განიხილავდნენ „მაისურაანთ უბანში“ არსებულ თავად ზაქარია ბესარიონის ძე ფავლენიშვილის საცხოვრებელ სახლს, რომელიც უშვილო იყო და შეძლებაც საკმაოდ ჰქონდა. თუ იგი უარს იტყოდა, „თარხნიაანთ იქით ნაფუძარში“ მდებარე ვასილ იოსების ძე ფავლენიშვილის სახლი ჰქონდათ მოაზრებული. სამაგიეროდ, ამით „სასარგებლო საქმეს დიდ შემწეობას მისცემენ და უკვდავს ძეგლს დაიდგამენ,“ – აქეზებდა ფავლენიშვილებს კორესპონდენციის ავტორი,[406] თუმცა, ორი წლის შემდეგაც „ივერია“ ერედვში სკოლის გახსნის საჭიროებაზე წერდა.[407]

402 გაზ. „ივერია,“ 1891 წ. 11 იანვარი, №8, გვ. 2.
403 გაზ. „ივერია,“ 1894 წ. 5 იანვარი, №5, გვ. 2.
404 გაზ. „ივერია,“ 1896 წ. 20 მარტი, №64, გვ. 2.
405 გაზ. „ივერია,“ 1898 წ. 12 მაისი, №98, გვ. 2.
406 გაზ. „ივერია,“ 1898 წ. 29 მაისი, №111, გვ. 2.
407 გაზ. „ივერია,“ 1900 წ. 11 ნოემბერი, №247, გვ. 2-3.

1905 წელს ქვეყანაში დაწყებულმა რევოლუციურმა მღელვარებამ მასშტაბური ხასიათი მიიღო და გლეხებსა და მემამულეებს შორის ურთიერთობა მეტისმეტად გაამწვავა, მათ შორის, შიდა ქართლშიც. ერედველ მემამულეებს - ფავლენიშვილებს შეიარაღებულ გლეხთაგან თავდასაცავად ცხინვალის ბოქაულისათვის მიუმართავთ თხოვნით და მასაც სოფელში სამოცი „ყაზახი“ ჩაუყენებია, მაგრამ მათი შესანახი ხარჯი მძიმედ დასწოლია სოფელს და დღეში „თუმნის“, ხოლო ათ დღეში „ას თუმნამდის“ მიუღწევია.

ხარჯისა და შიშისაგან შეწუხებულ ერედველ გლეხკაცობას ფავლენიშვილებთან შუამდგომლობა ცნობილი მწერლისა და პედაგოგის ნიკო ლომოურისათვის უთხოვია და მასაც ორი დღის განმავლობაში დრო და ენერგია არ დაუზოგავს, მაგრამ ფავლენიშვილების პოზიციის გამო, მოლაპარაკება ვერ შემდგარა. მეტიც, როგორც „ცნობის ფურცელის „ცხინვალელი“ კორესპონდენტი წერს: „ნაცვლად მადლობისა, ერედველ თავადებს მისთვის (ნიკო ლომოურისათვის - გ. ს.) სიტყვიერი შეურაცხყოფაც კი მიუყენებიათ.“[408]

სოფელ ერედვის დიდ წარსულზე, დოკუმენტური და ნარატიული წყაროების გარდა, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს X საუკუნის დასაწყისში აგებული წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, რომლის სვეტზე შემორჩენილ წარწერაში ვკითხულობთ: „სახელითა ღმრთისაჲთა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშობელისაჲთა შეწევნითა წმიდისა გიორგისითა, ჴელმწიფობასა ღმრთივ დამყარებოლისა წმიდისა კონსტანტინე მეფისასა რომელმან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს შიგან, ჰერთა მეფე გააქცია და მონით მშვიდობით იქცა. ცისკრად ალავერდს ილოცა, მწუხრი ბრეძას გარდაჰჴთა. მეორედ კულა ავიდა. ვეჯინისა ციხე დალეწა. ქართლს შინა ოფლობასა ტბელისა ივანესა, მთავარებისკობასა სანატრელსა ყ˜ესა, ჯვრითა მისითა, გაზრახვითა ნიქოზელის სანატრელისა. სტეფანე ებისკოსისაჲთა, ძალითა შეწევნითა მოყუასთათა, მე, თეოდორე თაფლაჲსძემან დავდე საძირკველი წელნი იყნეს ხფი ქრონიკ.“[409]

ერედვის წმინდა გიორგის ტაძრის წარწერა თავდაპირველად ამოიკითხა პროფ. ვ. თოფურიამ, მოგვიანებით კი გამოაქვეყნა რ. მეფისაშვილმაც.[410] ერედვის ტაძრის შესახებ ცნობებს გვაწვდის დ. ბაქრაძე, რომელიც ძეგლს 1031 წლით ათარიღებს.[411] თავის დროზე ერედვის ტაძარი მოუნახულებიათ პროფ. გ. ჩუბინაშვილს და პროფ. ლ. მელიქსეთბეგს.[412]

ერედვის ტაძრის წარწერაში უაღრესად საგულისხმო ცნობაა X საუკუნის დასაწყისის ფეოდალურ ქართლში არსებული პოლიტიკური ვითარე-

408 გაზ. „ცნობის ფურცელი,“ 1905 წ. 09 ივლისი, №2857, გვ. 3

409 ვ. თოფურია, შიდა ქართლის წარწერები, საისტორიო მოამბე, წ. II, ტფ., 1924, გვ. 44.

410 რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი: ჟურნ. „ქართული ხელოვნება,“ 1955, №4, გვ. 101-138.

411 ვახუშტი ბატონიშვილი, საქ. ისტორია, გამოცემული დ. ბაქრაძის მიერ, ტფ., 1885, გვ. 187.

412 რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

ბის შესახებ. როგორც ცნობილია, ამ დროს ქართლი აფხაზი მეფეების მფლობელობაში იყო გადასული. მათ მოკავშირეობას უწევდა ტბელთა საგვარეულო. ტბელების სამკვიდროს წარმოადგენდა ცხინვალის სიახლოვეს არსებული სოფელი ტბეთი. როგორც მკვლევარმა რ. მეფისაშვილმაც შენიშნა, ერედვის წარწერაში იერარქიულად სახელდებიან, კონსტანტინე აფხაზთა მეფე, ივანე ტბელი, მთავარეპისკოპოსი, რომლის სახელიც გაურკვეველია წარწერაში, ნიქოზის ეპისკოპოსი სტეფანე და თავად ხუროთმოძღვარი თევდორე თაფლაისძე.

თუ გადავხედავთ, ამ პერიოდის საისტორიო წყაროებს და ერედვის წარწერას შევადარებთ, აშკარაა, რომ წარწერა ზედმიწევნით ასახავს მაშინდელ პოლიტიკურ რეალობას. წარწერის თანახმად კონსტანტინე აფხაზთა მეფემ ჰერეთი დალაშქრა, ჰერთა მეფე გააქცია, ჰერეთიდან მობრუნებულმა ცისკრის ჟამს ალავერდში ილოცა, ხოლო ალავერდიდან გამობრუნებულს ბრეძასთან შემოადამდა. ბრეძა მდებარეობს სოფ. ტკოცასთან ახლოს. ამის შემდეგ კონსტანტინეს ხელახლა ულაშქრია კახეთ-ჰერეთში და ვეჯინის ციხე აუღია.

აკად. მ. ლორთქიფანიძე თვლის, რომ ერედვის წარწერის თარიღი არ უნდა ჩაითვალოს კონსტანტინეს ჰერეთში ლაშქრობის თარიღად, ვინაიდან კონსტანტინე აფხაზთა მეფეს და სომეხთა მეფე სუმბატს შორის უფლისციხის დასაკუთრებისათვის წარმოებულ ბრძოლებს მოჰყვა ქართლში აბულკასიმის შემოსევა და ჰერეთში ლაშქრობაც ამ მოვლენათა შემდგომ უნდა მომხდარიყო.

906 წელი, მ. ლორთქიფანიძის აზრით, ერედვის ეკლესიის აგების დასაწყისია, ხოლო ეკლესიის მშენებლობა 906-917 წწ. უნდა დათარიღდეს.[413]

წარწერაში სრულიად ნათლად ჩანს, რომ ერედვის ტაძარი ნიქოზის ეპისკოპოსის სტეფანეს ინიციატივით ააგო თევდორე თაფლაისძემ და ის სწორედ ნიქოზის ეპარქიაში შედიოდა.

ალავერდიდან წამოსულ კონსტანტინე მეფეს (რომელსაც „წმიდა“-დ იხსენიებს წარწერა, რაც, უსათუოდ ეკლესიის წინაშე მისი დამსახურებით უნდა აიხსნას), როგორც აღვნიშნეთ, ბრეძასთან უწია მწუხრმა. რ. მეფისაშვილის აზრით: „ვეჯინიდან წამოსული კონსტანტინე გომბორის უღელტეხილის გავლით ჟინვანში უნდა ჩასულიყო, აქედან, შესაძლოა, იგი მლეთაში გაემგზავრა, მლეთიდან გადავიდა ქარჩოხის ხეობაში, სადაც ალავერდი იმყოფება. შემდეგ კონსტანტინეს შეეძლო პატარა ლიახვის ხეობით, ერედვის გავლით ცხინვალში ჩასულიყო, ცხინვალიდან კი ბრეძაში გადასულიყო.“[414]

როგორც ჩანს, ეს გზა ძველი დროიდან მოქმედებდა.

წარწერაში მოხსენიებულ ტბელებს, X საუკუნეში ქართლში განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავათ. ივანე ტბელი ქართლის უფალი იყო

413 მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1966, გვ. 245-246.

414 რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114; იხ. გ. სოსიაშვილი, გზები პატარა ლიახვის ხეობაში, ჟურნ. „აღმოსავლეთი და კავკასია,“ 2007, №5, გვ. 93.

(მოგვიანებით პირველობა ტბელებს ყანჩაელთა გვარმა წაართვა). ერედვის წარწერა კონსტანტინე აფხაზთა მეფის შემდგომ იერარქიულად ივანე ტბელს აყენებს. რ. მეფისაშვილი წერს:

„ქართლს შინა უფლობასა ტბელისა ივანესა," ასე გრძელდება წარწერა. ეს სიტყვები შეიძლება მხოლოდ ისე გავიგოთ, რომ ქართლის (ან ქართლის ამ ნაწილის) მთავრად ივანე ტბელი იყო. იგი, ამრიგად, ადგილობრივი ფეოდალი ჩანს. მისი ადგილსამყოფელი დაკავშირებულია არა შავშეთის ტბეთთან, არამედ იმ სოფ. ტბეთთან, რომელიც ქ. სტალინირს (იგულისხმება ქ. ცხინვალი – გ.ს.) დაშორებულია ექვსიოდე კილომეტრით, დასავლეთითაა და უშუალოდ ერედვის და ბრეძას მიდამოებში იმყოფება."[415]

2008 წლის აგვისტოს ომამდე, ერედვში შემდეგი გვარები ცხოვრობდნენ: ბერუაშვილი, ცოტნიაშვილი, მაისურაძე, ქრისტესიაშვილი, ბორცვაძე, ტერაშვილი, ვახტანგაშვილი, ხადური, ტურაშვილი.

ერედვში გავრცელებული ტოპონიმია: დედოფლისწყარო, ბერისაყდრები, დანოახო, ელიები, მცხეთიჯვარი, ცხრამუხები, ქაშუეთი, თხილიწყარო და სხვ.

დისევი-კულბითი-ქსუისი

სოფელი დისევი მდებარეობს მდინარეების პატარა ლიახვისა და მეჯუდის წყალგამყოფი ქედის დასავლეთ მთისწინეთში, მდ. ჭარებულას (აძურის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 980 მ-ის სიმაღლეზე, ცხინვალის აღმოსავლეთით, 15 კილომეტრის დაშორებით. [416]

დისევი საკმაოდ ადრე ჩნდება ქართულ წერილობით წყაროებში. ჯერ კიდევ 1392 წლის მცხეთის საეკლესიო მამულების სიის მიხედვით, სოფელი დისევი სვეტიცხოველს ეკუთვნოდა.[417] გვიანშუასაუკუნეებში დისევი კვლავ საპატრიარქოს დაქვემდებარებაში იყო. 1516 წელს ქართლის მეფემ დავით X-მ (1505-1525) და მისმა ძემ დიმიტრიმ, სოფელი დისევი სვეტიცხოველსა და კათალიკოს დოროთეოზს შეწირეს.[418] შესაძლებელია, სწორედ ამის შემდეგ ჩამოყალიბდა დისევში კათალიკოსის სამოურავო.

415 რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114

416 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბ., 1978, გვ. 569.

417 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წიგნი II (1213 წლიდან 1700 წლებამდე), თბ., 1897, გვ. 197. გადმოცემები იმის შესახებ, რომ დისევი სვეტიცხოველს ეკუთვნოდა გვიანდელი პერიოდის წერილობით წყაროებშიც გვხვდება. ცნობილი სასულიერო მოღვაწე დისევის მკვიდრი დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე მოგონებებში წერს: „დისევის მამულები მცხეთის სვეტიცხოველს ეკუთვნოდა...ჩვენც საეკლესიონი ვიყავით. დისევში ეკლესიის გვერდით ცხოვრობდა პატრიარქ-კათალიკოსის წარმომადგენელი არქიმანდრიტი... " *ზ. ოქროპირიძე, ოქროპირიძეების სასულიერო დასი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული № 11, 2016, გვ. 231.*

418 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 334.

1698 წელს დისევი და არაშენდა იოანე კათალიკოსს სამოურავოდ უბოძებია ნიკოლოზ დასბაისელაშვილისათვის.[419]

XVIII საუკუნეში დისევის მოურავები გედევანიშვილები გახდნენ. 1747 წელს ანტონ I-მა კათალიკოსს „სვეტიცხოვლის ყმასა“ და „ერთგულობით და თავდადებით ნამსახურს“ პეტრე და ერასტი გედევანიშვილებს დისევის მოურავობა უბოძა, სიგელში აღნიშნულია: „ყოვლის კაცის მოუდევრად, უცილობლად და წამოუსარჩელელად, გქონდეს და გიბედნიეროს ღ~თნ საყდრის სამსახურსა და ჩვენსა ერთგულობასა შინა.“[420]

სიგელი „ყოველის კაცის მოუდევრად, უცილობლად და წამოუსარჩლებლად“ იყო ბოძებული, რაც, თავისთავად გარკვეულ ეჭვს აჩენს იმის შესახებ, რომ გედევანიშვილებს დისევის მოურავის „სახელოში“ შემდავებლები ჰყავდათ. მართლაც, სხვა საბუთიდან ირკვევა, რომ დისევის მოურავობა მანამდე ფირან მაღალაშვილს სჭერია, მაგრამ მას „თავისი ბიძაშვილი მოეკლა და ნიკოლოზ კათალიკოსს იმისათვის ყმა და მამული წაერთმივა სამუდამოდ.“[421]

1789 წლის 20 მაისს კათალიკოსმა ანტონ II-მ დისევის მოურავად სარდალი იოანე გედევანიშვილი დანიშნა, უფრო ზუსტად, ძველი წყალობა განუახლა და გედევანიშვილებს დისევი მემკვიდრეობით გადასცა.[422]

როგორც ზემოთაც მივუთითებდით, 1559 წლით დათარიღებული სიგელის მიხედვით, სიმონ I-მა სვეტიცხოველს პატარა ლიახვის ხეობაში მამულები უბოძა, მათ შორის: ერედვში ორი კომლი გლეხი, სოფელი ქორდი, სოფელი ზაკუი, სათიხარი, ასევე „**დისევი და მონასტერი** მისითა შესავლითა და მზღურითა.“[423] დისევთან ერთად, აქ, სავარაუდოდ, იგულისხმება დისევში არსებული ძელიცხოვლის ტაძარი და მისი მამულები. ძელიცხოველის ტაძარს, როგორც ი. მეგრელიძე მიუთითებს, ადგილობრივები დავით აღმაშენებლის აგებულად მიიჩნევდნენ, თუმცა მკვლევარი აღნიშნავს, რომ ბაზილიკური ტიპის ტაძარი X საუკუნის ძეგლია. აქ ერთ დროს სამონასტრო ცხოვრება იყო, ამაზე მეტყველებს ი. მეგრელიძის მიერ მითითებული მინაშენი ძელიცხოვლის ეკლესიაზე, რომელსაც „სამონაზვნო“ ერქვა: „ეკლესიას მთელ სიგრძეზე თაღიანი მინადგამი აქვს კარით აღმოსავლეთიდან, რომელსაც სამონაზვნოს უწოდებენ.“[424] ზემოთ ნახსენებ სიმონ I-ის სიგელში, სავარაუდოდ, ამ მონასტერზე უნდა იყოს საუბარი. ძელიცხოველს, დისევის ტერიტორიაზე თავისი მეურნეობაც ექნებოდა. რაკი დისევის ძელიცხოველი ვახსენეთ, აქვე გვინდა ტაძარზე გამოსახულ წარწერასაც შევეხოთ.

---

419 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I, (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964, გვ. 74.

420 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. I, ტფ., 1899, გვ. 287, დოკ. 243.

421 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 794-795, დოკ. 277.

422 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. II, თბ., 1953, გვ. 146, დოკ. 234.

423 ქართული ისტორიული საბითების კორპუსი, ტ. IV, გვ. 244.

424 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 28.

დისევის ძელიცხოვლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ზემოთ ი. მეგრელიძემ 6-7 სტრიქონიანი წარწერა ამოიკითხა. მკვლევარი წერს: „დისევის ძელიცხოვლის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ზემოთ ვაზის ლერწზე ყურძნის მტევნებია გამოკვეთილი. ამის მარჯვნივ, მტევანს ქვეშ ირემია და მის ქვეშ ლომია გამოსახული, რომელიც ირმისაკენ მიილტვის. ირემი კი ფოთლოვან-ხილოვან ტოტს უდგას. ამ ქვის მარჯვენა ქვაზე პროფილად მდგომარე კაცის თავები შეიმჩნევა; აქვე ვერტიკალურად ორ-სამ ასო-ასოდ ჩამოწერილი 6-7 სტრქონიანი ასომთავრულით შესრულებული (შიგ ლ ნუსხურია) წარწერის კვალია, რომელიც შესწავლას მოითხოვს. ირჩევა ასოები: **გს**(ლიგატურა-გიორგის?) **ო**(ან –ე) **პს/ნა**(ან ე) **სლ/სა**(სულსა)/**ჩემ** (მ თუ ვ?) ა/სა.“[425]

თუ ი. მეგრელიძის მიერ მიკვლეულ წარწერაში არსებულ გრაფემების ჯგუფს წავიკითხავთ, როგორც ო-პ-ს (ოქროპირ), მაშინ წარწერიდან ძალიან საინტერესო ინფორმაციას მივიღებთ. ვინ შეიძლება ყოფილიყო დისევის ძელიცხოვლის წარწერაში მოხსენიებული ოქროპირი? ი. მეგრელიძე, როგორც მივუთითებდით, ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, სადაც ამ წარწერას მიაკვლია, წერს, რომ მდგომარე კაცის თავები იყო გამოსახული, ეჭვგარეშეა, რომ ისინი ტაძრის ქტიტორები იყვნენ. დისევის დასახელებულ ტაძარს ვ. ცინცაძე და რ. მეფისაშვილი X საუკუნით ათარიღებენ.[426] აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში, ტბელთა ფეოდალური საგვარეულოს მიერ არის აგებული არაერთი ტაძარი დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში, რასაც მოწმობს შემორჩენილი წარწერები.[427] მათ შორის ტბეთის ბორცვისჯვრის ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე ყოფილა X საუკუნის შუა წლებით დათარიღებული ოქროპირ ტბელის ძის მოსახსენებელი. ამ წარწერის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის მ. ბროსე.[428] ეს წარწერა მოგვიანებით უნახავს ვ. თოფურიასაც.[429] წარწერა ასე იკითხებოდა: „ქ(რისტ)ე ა(დი)დე ოქრ(ო)პირ ძე ტბ(ე)ლ(ი)ს(ა)ი“.[430] ოქროპირ ტბელი ქავთარ ტბელთან ერთად, ტბეთის ბორცვისჯვრის ტაძრის სხვა წარწერაშიც იხსენიება. აღნიშნული წარწერაც დაკარგულია: „ჯ(უა)რო ბ(ო)რცჯს(ა)ო, ა(დ)ი(ე)ნ შვ(ი)ლნი მ(ა)თნი: ოქრ(ო)პ(ი)რ, პდღ-დ (ტბელი და ?) ქ(ა)ვთ(ა)რ.“[431] წარწერას ვ. თოფურია ასე კითხულობდა: „ჯ-რო ბრცსა ღნ შჯლნი მთ-ნი ოქრ-აი სპდ-ღდ დვ-თ ქვთრ“. ანუ, „ჯუარო ბორცვისაო

425 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 28.

426 Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной часть исторической провинции Грузии Шида Картли, Тб., 1975, стр. 100; შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 54-56.

427 გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, თბ., 2017, გვ. 52-63.

428 M. Brosset, Rapports sur un Voyage archeologique dans laGeorgie et dans I Armenie, exsecuteen 1847-1848 dar M. Brosset. Membre de I Academie. Imperiale des Sciens. 2 de Livr. VI, St. Tetesbourg, 1851, p. 57.

429 ვ. თოფურია, შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, საისტორიო მოამბე, ტ. II, თბ., 1924, გვ. 133.

430 ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 181.

431 იქვე, გვ. 183.

ადიდენ შვილნი მათნი ოქროპირი სპდღ(?) დავით ქავთარ“.[432] თუ ი. მეგრელიძის მიერ დისევის ძელიცხოვლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე მიკვლეულ წარწერაში მართლაც ოქროპირი იხსენიება, შესაძლებელია, რომ ბორცვისჯვრისა და დისევის წარწერებში მოხსენიებული ოქროპირი ერთი და იგივე პიროვნება იყოს. არ გამოვრიცხავთ, რომ ოქროპირ ტბელს, ქართლის უფალის-ივანე ტბელის[433] ერთ-ერთ ძეს დისევი ებოძა, რომელმაც თავის მამულში ძელიცხოვლის სახელობის ტაძარი ააგო. შესაძლებელია, დისევში მცხოვრები ოქროპირიძეების გვარი სწორედ ოქროპირ ტბელს უკავშირდებოდეს.[434]

1516 წლით დათარიღებულ დავით X-ის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ შეწირულობის სიგელში აღნიშნულია, რომ სვეტიცხოველს, დისევის მამულებთან ერთად, იქ მცხოვრები ოქროპირიძეთა საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენელიც გადაეცათ. ოქროპირიძეები მოხსენიებულნი არიან, როგორც „კეთილგვარნი“: „ესე სოფელი დისევი მგვრგვლივ სამძღვრით შემოგვიწირავს ყოვლის კაცის უცილობლად და ულაპარაკოდ, და ჭელშეუვლად მოგვირთმევია. და კაცნი შემოგვიწირავს კეთილგვარნი ოქროპირიძენი-მოსახლენი დავით, ნიკოლოზ და მალიაძე დემეტრე...“[435] „კეთილგვაროვნებაში“, ჩვენი აზრით, ოქროპირიძეების დიდგვაროვნული წარმომავლობა უნდა იგულისხმებოდეს. დისევში მცხოვრებ ოქროპირიძეთა საგვარეულოს არაერთი გამოჩენილი სასულიერო პირის სახელი უკავშირდება. დისეველი ოქროპირიძეები იყვნენ: ეპისკოპოსი ალექსანდრე (1824-1907 წ.წ.), ეპისკოპოსი პიროსი (1874-1922 წ.წ.), კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე (1861-1921 წ.წ.), დეკანოზი ირიდიონ ოქროპირიძე (1862-1933 წ.წ.) და სხვ.[436]

---

432 ვ. თოფურია, დასახ, ნაშრომი, გვ. 133.

433 გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, თბ., 2017, გვ. 52.

434 ზემოთ ნახსენებ დისევის ტაძრის წარწერაში გრაფემების „ს-ლსა მომდევნო ქარაგმას ხელოვნებათმცოდნე ს. მელაძე შემდეგნაირად კითხულობს: „ს[უ]ლსა ტ[ატ] ა[ის]ა.“ ეს სახელი, ზ. ოქროპირიძის დაკვირვებით, ძალიან წააგავს ტბეთის ტაძრის სამხრეთ ფასადზე ამოკვეთილ წარწერაში („ს[უ]ლ[ს]ა ც[უა]ტ[აი]სა“) მოხსენიებულ სახელს - „ცუატას.“ *ზ. ოქროპირიძე, ოქროპირიძეების სასულიერო დასი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული 2016, № 11, გვ. 229-230.* აღსანიშნავია, რომ ოქროპირიძეების წარმომავლობის შესახებ არსებობს განსხვავებული ვერსიაც, რომლის მიხედვით ოქროპირიძეთა წინაპარი სახელად ოქროპირი დისევში ისტორიული დვალეთიდან ჩამოსახლდა. ოქროპირიძეთა საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია, გვ. 23. დისეველი ოქროპირიძეები მიიჩნევენ, რომ თავიანთ გვარის არსებობა დავით აღმაშენებლის (1089-1125 წ.წ.) მეფობიდან იწყება. ამაზე მიუთითებს მემუარებში დეკანოზი ირიოდიონ ოქროპირიძე (1859-1933 წ.წ.) *ზ. ოქროპირიძე, ოქროპირიძეების სასულიერო დასი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული 2016, № 11, გვ. 226.*

435 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 52.

436 ზ. ოქროპირიძე, ოქროპირიძეების სასულიერო დასი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული № 11, 2016, გვ. 223-287; ოქროპირიძეების საგვარეულო

1447 წლით დათარიღებული დოკუმენტში „შეუვალობის სიგელი გიორგი მეფისა (იგულისხმება ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (1446-1466 წ.წ. – გ. ს.) სვეტიცხოვლისადმი“ ირკვევა, რომ გიორგის მამამ, ალექსანდრე I-მა დიდმა (1390-1445 წ.წ.), თემურ-ლენგისაგან დაქცეული სვეტიცხოველი აღადგინა, ქართველთა უპირველეს სალოცავის ქონების დამადასტურებელი დოკუმენტები, ალექსანდრე I-ის მემკვიდრემ ხელახლა მოიძია და სვეტიცხოველს დაკარგული მამულები დაუბრუნა: „გამოწულით ვიძიეთ და გულსმოდგინებით ახლად გუჯრითა ამით ჩუენცა დავამტკიცეთ.“ ამ მამულებში დასახელებულია კულბითში არსებული სამი საგლეხო: „გაგელიშვილისა, ლიპარტიშვილი და მიქლუტაური.“[437] როგორც ჩანს, კულბითსა და მის შემოგარენში, ჯერ კიდევ XI საუკუნეში ჰქონდა სვეტიცხოველს მელქისედეკ კათალიკოსისაგან ბოძებული მამულები. სამეფო ხელისუფლებამ ამის შესახებ იცოდა და სწორედ ამიტომ დაუმტკიცა „ახლად გუჯრითა.“[438]

პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთ სოფელში XVI საუკუნეში მამულები ჰქონდათ ძმობილაშვილებს. როგორც მივუთითებდით, 1532-1534 წლებში შედგენილი მცხეთის დაკარგული მამულების ნუსხის მიხედვით, სვეტიცხოვლის კუთვნილი ტერიტორიები სხვადასხვა დიდგვაროვნებს ჰქონდათ დასაკუთრებული. მათ შორის პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფელი ქორდი ძმობილაშვილებს ეპყრათ.[439] ამავე პერიოდში, როგორც XVI საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ მცხეთის საყდრის კუთვნილ მამულების ნუსხიდან ირკვევა, სვეტიცხოვლის საკუთრებას წარმოადგენდა კულბითში არსებული ოთხი კომლი გლეხი, რომელსაც ძმობილაშვილი ფლობდა: „ქართლს-მცხ/ეთის ჯუარი, კუართისა, ქრცხილოვანს ურია ელიოზისძე, სოფელი ქუეშ/ი ქუენითნეველსა, ჭარებელისძე მისით მამულითა, მარცევლისძე მი/სის მამულითა, ჯინჭველისძე მისით მამულითა,

---

სოფლის მოკლე ისტორია, შემდგენლები: სქიმიღუმენი ისიდორე (ოქროპირიძე), ზურაბ ოქროპირიძე, უჩა ოქროპირიძე, თბ., 2012, გვ. 36-72. დისევიდან სასულიერო მოღვაწეების ასეთი სიმრავლე შემთხვევითი არ იყო. მღვდელი ეროდიონ ოქროპირიძის ცნობით, აღნიშნულ სოფელში ძველთაგანვე არსებულა საეკლესიო სკოლა. აღნიშნულმა სასწავლო დაწესებულებამ: „დააყენა ფეხზე ჩვენი სწავლა-განათლება... აქ იღებდნენ ბავშვები, ვაჟები, ქალები, ზნეობრივ და სარწმუნოებრივ აღზრდასა და მწიგნობრობასა...ამ სკოლის საშუალებით გამოჩენილი და სასარგებლო შვილები გამოვიდნენ საქართველოში...“ *ზ. ოქროპირიძე, ოქროპირიძეების სასულიერო დასი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული 2016, № 11, გვ. 234.* ეროდიონ ოქროპირიძის ცნობით, აღნიშნული სკოლა XIX საუკუნეში გააუქმა რუსულმა ხელისუფლებამ. *იქვე, გვ. 236.*

437 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, გვ. 40.

438 „კურბითი“ რომ სვეტიცხოველს ეკუთვნოდა „მატიანე ქართლისაის“ (XI ს.) გვიანდელი ჩანართითაც დასტურდება. როგორც თ. ჟორდანია მიუთითებს, აღნიშნული ცნობა თეიმურაზ ბატონიშვილს (1782-1846 წ.წ.) ეკუთვნის: „კურბითი ძველადაც ჰქონდა წმინდასა სუეტიცხოველსა...“ *თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, თბ., 2004, გვ. 185.*

439 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 137.

ცაყუერისძე მი/სის მამულითა. ძმობილაშვილისა, რაცა აქუს, იმის ჴელი არის ოთხი კუამლ/ი კულბითს.“[440]

XVI საუკუნის მეორე ნახევარში კულბითში მამულები ჰქონდათ ქართლის სამეფო ოჯახის წარმომადგენლებსაც. ამას ადასტურებს 1560 წლით დათარიღებული „საკანონო შეწირულების წიგნი პატრონ კოსტანტინესი მცხეთისადმი“. როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, პატრონ კონსტანტინეს კულბითში არსებული მიწა სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს: „მას ჟამსა, ოდეს ჩუენის განაყოფისა ხოსროს ქალი შევირთე, ჩუენ, პატრონმან კოსტანტინე, და პატრონი კ(ათალიკო)ზი გამოგუენახა სჯულისა წესით, როგორცა მართებდა. მიუდექით კარსა და შემოგეხუეწენით ჩუენ, პატრონი კოსტანტინე და ძმანი ჩუენნი: პატრონი გიორგი და მელქსიდეკ. მოგახსენეს და შემოგწირეს მცირე ესე შემოსაწირავი შენ, წმიდასა კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა მცხეთასა ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად და დღეთა ჩუენთა განგრძელებისათვის: ტფილის ქალაქს ერთი სასახლე კალო[უ]ბანს წინ, შარამდინ, მისით სახლ-კარითა და მამულითა და ქულბაქითა, [რისაც დღეს მქონებელი იყოს]; მიწა კულბითს მოგუიხსენებია და შემოგუიწირავს სუეტისს ცხოველისათუის, ჩუენ ბატონსა კოსტანტინეს და ჩუენთა ძმათა.“[441]

1559 წლის 1 დეკემბერს გაცემული ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარის მიხედვით, სხვა სოფლებთან ერთად, საგადასახადო ვალებულებებისაგან თავისუფლდებოდნენ: „სოფელი დისევი და მონასტერი მისითა მზღურითა“ და კულბითს „სამი საგლეხო: გეგეჯლიშვილი, ლიპარიტაშვილი და მიქლუტაური.“[442] (როგორც ჩანს, ხსენებული „სამი საგლეხო“ წინა საუკუნეებშიც სვეტიცხოვლის საკუთრება იყო).

ისევე როგორც შიდა ქართლის სხვა სოფლებში, კულბითში დოკუმენტური წყაროების მიხედვით, გლეხთა სხვადასხვა კატეგორია ცხოვრობდა. თუმცა შედარებით ჭარბობდნენ ბოგანო გლეხები. მაგ. XVII ს. მეორე ნახევრის ზემო ქართლის სადროშოს აღწერის ერთი დავთრის მიხედვით, კულბითიდან მეფის ბრძანებით უნდა გამოსულიყვნენ:

„ქ. კულბითს ბოგანო ბაკურაძე გიორგი კუამლი ერთი
მისი ძმა შალვა ერთი, დათუნა ერთი
იმათი ნაშენი ოთხი ვაჟი
კვირიკე, კვამლი ერთი ბოგანო
ძმა იმისი ათანა
იმათი ნაშენი ოთხი ვაჟი
დვალი ზუბიტა კვამლი ერთი ბოგანო
შვილი მისი გოგია, ყაითმაზა ერთი, პაატა ერთი
იმათი ნაშენი ორი ვაჟი
რევაზა დვალი, კუამლი ერთი ბოგანო
ძმა მისი პაატა

440 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 196.
441 იქვე, ტ. IV, გვ. 247-248.
442 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 265.

იმათი ნაშენი ერთი ვაჟი".[443]

კულბითელი გლეხები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგს მისდევდნენ და მათი საგადასახადო ვალდებულებებიც მიწათმოქმედებასა, თუ მესაქონლეობაზე იყო დამოკიდებული. სტიქიური მოვლენები ხშირად ამძიმებდა მათ სოციალურ მდგომარეობას. ამას ადასტურებს 1771 წლის 7 ოქტომბერს დავით ქსნის ერისთავის წერილი ერეკლე II-ისადმი: „ღმერთმა ისე თქვენს ორგულს გაუჭირვოს საქმე, როგორც ამ გუერდისძირის კაცს უჭირდეს. მეჯვრისხევიდამ მოკიდებული იმას ზეით სულა და ნამეტნავათ წლეულობითა ...არცევი აიყარა და საქონელი დაკარგეს. ფურცელაძესაც დაეკარგა საქონელი და კულბითელთაც დაეკარგათ საქონელი და ამას გარდა ფურცელაძე, ზარდიაშვილი, ქსუისი, კულბითი და ნახევარი დიციც დასეტყვა, რომ აღარაფერი მოსვლიათ რა და მთის სოფლებში რაც დაიკარგა ან ქალოთებში (sic:) და ან ოსებში, იმაზე რაღა თავი გაწყინო."[444]

სტიქიას და სოციალურ პრობლემებს, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ოსების თავდასხმებიც ემატებოდა, რაც მოსახლეობის ყოფას კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდიდა.

დისევ-კულბითის მეზობელი სოფლის ქსუისის მოსახლეობისათვის ოსებისაგან „ხიფათების მიღებასა" და მებატონის ძალმომრეობაზეა საუბარი ერთ დოკუმენტში, რომელიც 1799 წ. 9 მარტით თარიღდება და დავით უთნელიშვილისა და მისი ყმის კაპანაძის საქმის განჩინებას წარმოადგენს. იმერელი კაპანაძე გოგია და მისი ვაჟები: იესე, დათუა და პაატა უთნელიშვილების ყმები იყვნენ დიდი ხნის განმავლობაში. ისინი მფლობელს ქსუისსა და ბერშუეთს დაუსახლებია, მაგრამ, ოსების თავდასხმის შიშით აიყარნენ, ავნევს გადავიდნენ და იესე ამილახვრის ყმები გახდნენ. ამის გამო დავით უთნელიშვილი იულონ ბატონიშვილთან ჩიოდა.

მოპასუხედ სასამართლოზე დათუა კაპანაძე გამოვიდა, რომლის განმარტებით, კაპანაძეების ავნევში გადასვლა და ამილახვრების ყმობის მიზეზი, უთნელიშვილის ძალმომრეობა ყოფილა: „ეგები (ქსუისიდან აყრა, ავნევს გადასვლა და ამილახვრების ყმობა, – გ. ს.) მართალი არის, მაგრამ ჩემი საჩივარი ეს არის: ავნევიდან იასაულით რომ გადმომიყვანე, დამიჭირე და ორმოში ჩამაგდევ და რაც რამ მქონდა ჩემი სულით აქეთი სულ წამართვი. ათი სული ხარი, კამეჩები და ძროხა, ერთი თოფი თხუთმეტ მინალთუნად ნაყიდი, თოფის იარაღი, სახლის ავეჯეულობა და სულად ისე წამართვი რომ ჩემს ბედობაზე აღარა დააგდევ რა. მრავალს გეხვეწე და ერთის დაშავებულის ხარის მეტი აღარა მომეცი რაო", – ჩიოდა კაპანაძე.[445]

1789 წლის კათალიკოსის სახასო და „სააზნაურშვილო" გლეხების დავთრის მიხედვით, კულბითელი ოქროპირიძეები კათალიკოსის მფლობელობაში იყვნენ. დავთარში ვკითხულობთ:

443 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, გვ. 48.

444 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 191-192, დოკ. 192.

445 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 92-93, დოკ. 43.

„ოქროპირიძე მღვდელი გიორგი
ოქროპირიძე მღვდელი პეტრე
ოქროპირიძე დავით ღვდლისშვილი ბერი
ოქროპირიძე ქაქუცა
ოქროპირიძე პეტრე
ოქროპირიძე ბერუა
ოქროპირიძე თომა მღვდლისშვილი გაბრიელ.“[446]

1781 წლის აღწერაში სოფელ კულბითის ერთი მოსახლე და მერეთის მაცხოვრებლები ერთად არიან აღნუსხული, კულბითში მცხოვრები ფირან ჩერქეზიშვილის მფლობელობაში. დოკუმენტის მიხედვით, ფირანის ყმები მერეთში იყვნენ: პეტრე და შერმაზან გუდაძეები, ნინია და გლახა შავარდენიძეები, გლახა და მანძულა ბეღელურები, გლახა თოდაძე, თამაზა დათუაშვილი, პეტრე გუგუტიშვილი, დათუა ტრამაკიძე, ბერიკა ჯიჯიური, დათუნა კრეხიაშვილი, ბერუა რევანდიშვილი, მოსე ნუკრაძე, ელისე ჯავახი, პაატა ნუკრაძე და შიო ტრამაკიძე. ამავე აღწერის მიხედვით, იგივე მებატონეს კულბითში ეკუთვნოდა გოგია მეტრეველი.[447]

კულბითის და მერეთის მკვიდრნი აქტიურად მონაწილეობდნენ ერეკლე II-ის მორიგე ჯარში. XVIII ს. 70-იან წლებში მეფის ბრძანებით კულბითიდან გამოდიოდა აზნაურიშვილი იორამ ჩერქეზიშვილი, ხოლო მერეთიდან: ფურცელაძის ნაყიდი ტეღაძე ნინია, ზურაბ სუფრაჯის ყმა ასპატელი ოჭანა და ულუმბოს ღთის მშობლის ყმა დეკანოზიშვილი დეკანოზი იოსებ.[448]

ისევე, როგორც პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სხვა სოფლები, დისევ-კულბითი მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა ქართლში ლეკიანობის გავრცელების დროს. ერთ-ერთი გადმოცემით, ლეკებმა დაატყვევეს დისეველი ოქროპირიძეები, რომლებმაც ტყვეობიდან თავი დაიხსნეს, თუმცა, სოფელში არსებული საფრთხის გამო, დისევში აღარ დაბრუნდნენ და ქვემო ქართლში სოფელ კლდეესში გააგრძელეს ცხოვრება.[449] მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ, რომლებიც დისეველ ოქროპირიძეებთან ურთიერთობას აგრძელებენ (გადმოცემა ჩაგვაწერინა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, დისევის მკვიდრმა ზურაბ ოქროპირიძემ).

ზემოთ ნახსენები კულბითელი იორამ ჩერქეზიშვილი იხსენიება 1807 წლის 2 ივნისით დათარიღებულ ქსნის ერისთავთა გაყრილობის წიგნშიც, რომლის მიხედვით, თავად შანშე ერისთავს „ფარდით წილურით“ ერგო დეკანოზი ალექსი, ჩერქეზიშვილი იორამ, ასევე „კულბითი სახასოთი და

446 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 990, დოკ. 429.

447 ა. თაბუაშვილი ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII ს. II ნახევარი), გვ. 98-99.

448 ი. ლორთქიფანიძე. საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV-B, 1947, გვ. 337.

449 1787 წლის 22 აპრილს გაცემული ერთი დოკუმენტის მიხედვით, ოქროპირიძეების ერთი შტო ცხოვრობდა იმერეთში. ამილბარ მაღალაძის ყმა შერმაზან ოქროპირიძის იმერეთიდან გადმოსულა და შემდეგ დისევში კათალიკოსის მფლობელობაში ყოფილა. *(ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 368, დოკ. 220.)* სავარაუდოდ, შერმაზანის სახლობა დისევიდან იყო წასული და უკან დაბრუნდა.

ზარდიაშვილი გაბრიელ თავათის მამულით, დღეს რისაც მქონებელნი არიან.“[450]

1795 წლის სიის მიხედვით, იმ სოფელთა ჩამონათვალში, ვისაც „რუსებისათვის მისასყიდი ფქვილი შესწერდა,“ პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად, დისევ-კულბითი და ქსუისიც იხსენიებიან. აქედან, დისევისა და ქსუისის მოსახლეობას 10-10 ხარვარი ჰქონდათ შეწერილი, ხოლო კულბითს – 20 ხარვარი.[451]

კულბითელები სხვადასხვა სახის გადასახადებს იხდიდნენ, მათ შორის „კოდის პურსაც.“ მაგ. XVIII საუკუნის ბოლოს შედგენილ „კოდის პურის გადამხდელთა“ სიაში, პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად, კულბითიც არის მითითებული.[452]

დისევ-კულბითი მდიდარი იყო ბუნებრივი სიმდიდრეებით. XIX ს. 90-იან წლების აღწერისას, დისევში მოხსენიებულია წყარო, რომელიც სამკურნალო თვისებებით გამოირჩეოდა: „ვისაც კი გააციებდა, წყაროს წყალში იბანავებდა და მორჩებოდა, ამიტომაც შეურქმევიათ „წამალაწყარო.“[453]

კულბითში, ჩერქეზიშვილების ოჯახში გაიზარდა ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ვაჟი იულონ ბატონიშვილი. როდესაც რუსული ხელისუფლებისაგან დევნილი იულონ ერეკლეს ძე დასავლეთ საქართველოში გადავიდა, მას თან გაჰყვა ერთგული მხლებელი ფირან ჩერქეზიშვილი, რომელიც, რუსებთან შეტაკებისას, ასო-ასო აუჩეხიათ. მისი ნაწამები ცხედრის ნაწილები კულბითელ ივანე შევარდენიძეს კალათებში ჩაულაგებია, მშობლიურ სოფელში გადმოუტანია და კულბითის მიწისათვის მიუბარებია.[454]

კულბითის ძეგლებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის აღწერას ფართო ადგილი დაუთმო გაზეთმა „ივერიამ.“[455] წერილის ავტორი „თანამემამულეს“ ფსევდონიმით წერს, რომ ეს ეკლესია ბატონიშვილ გოჩას აუშენებია და მისი განსასვენებელიც ამავე ეკლესიაში, ჩრდილოეთის სვეტსა და სამკვეთლოს შუაში მდებარეობდა.

კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II (1855-1918 წ.წ.) კულბითის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს გოჩა ბატონიშვილის მიერ აგებულად მიიჩნევდა.[456] ქართულ ისტორიოგრაფიაში გოჩა ბატონიშვილი შეცდომით იყო მიჩნეული, როგორც გიორგი IX-ის (1525-1527 წ.წ.) ვაჟი. ბერი ეგანტაშვილის ცნობით: „ბატონიშვილი გოჩა, რომელი იყო პაპის ძმისწულის შვილი

450 გსიემ 7486, ისტორიული საბუთები საამილახვროს, საციციანოს და ქსნის საერისთავოს შესახებ, გვ. 441.

451 მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. III, თბ., 1955, გვ. 106-107, დოკ. 76.

452 საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, დ. მუსხელიშვილის რედ. ტ. II, თბ., 2010, გვ. 172-173.

453 გაზ. „ივერია,“ 1890 წ. 4 ოქტომბერი, № 210, გვ. 2.

454 იქვე.

455 იქვე.

456 Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие. Е.К, Тиф., 1901, стр. 312.

მეფისა სჯმონისა...“ [457] განსხვავებული ცნობა აქვს ვახტანგ VI-ეს, რომელიც მოწინავე სადროშოს სპასპეტს გოჩა ბატონიშვილს კონსტანტინე II-ის შვილის და დავით X-ის ძმის – ალექსანდრეს შვილიშვილად (გიორგის ძე) თვლის. ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, გოჩა სიმონ მეფის „ბიძას შვილი“ იყო. დ. ნინიძის აზრით, გოჩა ბატონიშვილი სწორედ კონსტანტინე II-ის შთამომავალი გახლდათ, რომელიც სიმონ I-ის (1556-1600 წწ.) მიმართ დიდი ერთგულებით გამოირჩეოდა და ამ ერთგულებას შეეწირა კიდეც.[458] როგორც დ. ნინიძე აღნიშნავს: „გოჩაშვილებს ძირითადი მფლობელობა შიდა ქართლში ჰქონდათ, კერძოდ, არც ისე შორს იმ რეგიონიდან, სადაც მეორე განშტოების-დავითიშვილთა მამულებია.“[459] გოჩა ბატონიშვილის მამულებში შედიოდა სავარაუდოდ კულბითიც, სადაც როგორც მივუთითებდით, ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ტაძარიც აუშენებია და აქვე დაუკრძალავთ.

კულბითის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დაბრძანებული ყოფილა ქართველთა ერთ-ერთი მთავარი სიწმინდის – ივერიის ღვთისმშობლის იმ სასწაულთმოქმედი ხატის ასლი, რომელიც გაბრიელ ბერმა ათონის ივირონის სიახლოვეს ზღვიდან გამოაბრძანა.[460]

XIX ს. ბოლოს კულბითის ღვთისმშობლის ტაძარი ჟამთა სიავის გამო, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, იგი აღდგენას საჭიროებდა. ადგილობრივ მღვდელს გაბრიელ ოქროპირიძეს ეგზარქოს პალადისათვის დახმარების თხოვნით მიუმართავს. შეიქმნა სპეციალური კომისია გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის ივანე სულხანიშვილის, გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილის (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II), მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მღვდელ-მონაზონის – მამა ლეონიდის (შემდგომში კათალიკოს პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე 1861-1921 წ.წ.) შემადგენლობით. გორის ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს ტაძრის აღდგენისათვის ათი თუმანი გაუღია.

კომიტეტს, მშენებლობის დასაწყებად მოლაპარაკება გაუმართავს ბერძენ მშენებლებთან, რომელთაც გარკვეული სამუშაოები ჩაუტარებიათ.

გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ზემოთ ნახსნები სტატიის ავტორი აღფრთოვანებული იყო იმით, რომ „ამ მოკლე ხანში განახლებულ ნიქოზის ტაძარს მიემატება გოჩას ეკლესიაც“ და სხვებსაც მოუწოდებდა: „ყურადღება მიაქციონ ძველს ისტორიულ ნაშთებს და თუ თვითონ თავს ვერ უდვიათ განახლება, სთხოვონ სასულიერო მთავრობას მცოდნე კაცთაგან კომიტეტების დაარსება და ერთმანეთის დახმარებით შეუდგნენ ძველს ტაძრების განახლებას.“[461]

---

457 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 379.

458 დ. ნინიძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია, თბ., 2004, გვ. 259-262.

459 იქვე, გვ. 268.

460 გაზ. „ივერია,“ 1890 წ. 4 ოქტომბერი, № 210, გვ. 2

461 იქვე.

1818 წლის რუსულ კამერალურ აღწერაში, კულბითში მებატონეებად მოხსენიებულნი არიან შანშე და ელიზბარ ქსნის ერისთავები. ასევე, მათი აზნაური ჩერქეზ ჩერქეზიშვილი. ჩერქეზ ჩერქეზიშვილს ოჯახში სულთა რაოდენობა 11-ს შეადგენს, მის მფლობელობაში მითითებულნი არიან: ნინია გუგუტიშვილი (ოჯახის წევრთა რაოდენობა 6 სული), სოსია მეტრეველი (4), თევდორე სიმონიშვილი (19), ნინია ბოგელაური (6), ბერუა ბოგელაური (7), ნინია შევარდენიძე (7), გიორგი ჩალაური (10), გაბრიელ ბექიაშვილი (3), ნინია ტატიური (6), გიორგი დემეტრაშვილი (4), ანდრია ელისაშვილი (5), გიორგი ღონღაძე (2); თავად ელიზბარ ერისთავის მფლობელობაში იყვნენ: ბერუა ტრამაკიძე (3 სული) და გიორგი რევანდიშვილი, მასთან ერთ ოჯახად მცხოვრებ ძმასთან – ნინიასთან ერთად (6).

აღწერაში განმარტებულია, რომ სოფელში ვარგისი მიწის ფართი 300 დღიურს შეადგენდა. სოფელი სარგებლობდა მდ. დისეურას წყლით, ამიტომ მიწა მოსავლიანი იყო. აქ არსებული ციხე-სიმაგრე ეკუთვნოდა ჩერქეზ ჩერქეზიშვილს. მოსახლეობის ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება, მევენახეობა, მებაღეობა და მესაქონლეობა წარმოადგენდა.[462]

გორის მაზრის 1831 წლის საეკლესიო გლეხთა აღწერაში კულბითში მოხსენიებულნი არიან სვეტიცხოვლის ყმები:

1. ქვრივი ბერუა ოქროპირიძე (ოჯახის წევრთა რაოდენობა 13);
2. ბერი ოქროპირიძე (6)
3. ქვრივი პაატა ოქროპირიძე (10);
4. დათუა ოქროპირიძე (9);
5. ნიკოლოზ ოქროპირიძე (6);
6. ქვრივი ბეცია ოქროპირიძე (6);
7. გიორგი, ოქროპირ ოქროპირიძის ვაჟი (12);
8. ქვრივი ზურაბ ოქროპირიძე (10);
9. ტეტია ოქროპირიძე (2).[463]

ეკლესიის მფლობელობაში, ცხადია, საეკლესიო ყმებისა და აზნაურების გარდა, სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები და სავარგულებიც შედიოდა (სახნავ-სათესი, საძოვარი, ტყე და ა. შ.). საქართველოში რუსული ეგზარქატის დაწესების შემდეგ, საეკლესიო ხელისუფალთ, დისევის ტყე, ასი დღიურის ოდენობით ოსი გლეხებისთვის ბესტავაშვილების და ლოლაშვილებისთვის გადაუციათ, იმ პირობით, რომ ეკლესიის სასარგებლოდ გადასახადი უნდა გადაეხადათ. ამავდროულად, ტყით დისეველ საეკლესიო გლეხებს ოქროპირიძეებსაც უნდა ესარგებლათ. თუმცა, ჩამოსახლებულმა ოსებმა მალევე შეუწყვიტეს გადასახადის გადახდა და ოქროპირიძეებსაც შეუზღუდეს ტყით სარგებლობის უფლება. ამასთან დაკავშირებით, არქიეპისკოპოსმა

462 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გვ. 376-378.

463 Камеральное описание церковных крестьян Горийского уезда, 1831 год; სეაცსა, ფ. 254, საქმე 1246, გვ. 163-164.

ევგენიმ[464] 1838 წლის 2 ივლისს წერილი გაუგზავნა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს ფალავანდიშვილს, საიდანაც ირკვევა, რომ იღუმენ იოანეს 1836 წლის 16 ოქტომბრის მიერ სინოდალური კანტორისათვის წარდგენილი მოხსენების მიხედვით, ბესტავაშვილებსა და ლოლაშვილებს მიცემული ჰქონდათ სოფ. დისევის ტყე 100 დღიურის ოდენობით, რის გამოც მათ უნდა გადაეხადათ 12 მანეთი ვერცხლით, მაგრამ, არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, ისინი უარს ამბობდნენ დადგენილი გადასახადის გადახდაზე და, უფრო მეტიც, საეკლესიო გლეხებს – ოქროპირიძეებს ავიწროებდნენ.

წერილის მიხედვით, სინოდალურ კანტორას არაერთხელ განუხილავს ოქროპირიძეების და ოსების დაპირისპირების საკითხი და იღუმენ იოანესათვის დაუვალებია, უფლება არ მიეცა ოსებისთვის დასახლებულიყვნენ და სახნავ-სათესად გამოეყენებინათ სოფელ დისევის მიწა, სანამ დაკისრებულ ვალდებულებებს არ შეასრულებდნენ.[465]

1886 წლის საოჯახო სიებში სოფელი დისევი აღწერილი არ არის. სავარაუდოდ, იგი კულბითთანაა გაერთიანებული. კულბითის მოსახლეობა ამ დროისათვის 80 კომლს (289 მამაკაცი, 255 ქალი, სულ 544 სული) შეადგენდა. მცხოვრებნი ყველა ქართველი (მართლმადიდებელი) იყო. გლეხობის ნაწილი სახაზინო უწყებას ეკუთვნოდა (24 კომლი, 102 კაცი, 82 ქალი), დისევის და კულბითის მკვიდრთა დიდი ნაწილს კი (47 კომლი, 135 კაცი, 128 ქალი) საეკლესიო გლეხები წარმოადგენდნენ.[466]

დოკუმენტურ წყაროებში შემორჩენილია ცნობები ქსუისის მოსახლეობის შესახებ. 1781 წლის სურსათის გამოსაღების ერთი დავთრის მიხედვით, ქსუისში ვალდებულებები ხუთ კაცს ეკისრებოდა, ესენი იყვნენ:

„ქ. ქსუისს ფუხაური გლახა.

ქ. ქუდაშვილი რევაზა.

ქ. შოშიტაშვილი ნინია.

ქ. ვარამასშვილი გოგილა.

ქ. ბედიანიძე ძაღლუა.“[467]

1804 წლის პირველ კამერალური აღწერის მიხედვით, ქსუისში 15 კომლი (45 მამაკაცი, ამდენივე ქალი, სულ 90 სული) იყო აღრიცხული. სოფელი ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ. 1 კომლი (7 სული) გლეხი ჰყავდა ოთარ ამილახვარს. აქვე 1 კომლს (14 სული) ფლობდა კათალიკოსი, 4 კომლს (18 სული) - სამეფო კარი, 4 კომლი (21 სული) ჰყავდა აზნაურ გლახა უთნელიშვილს, 1 კომლი (4 სული) – დავით უთნელიშვილს და 1 კომლი (12 სული) – გიორგი უთნელიშვილს. სოფლის მოსახლეობიდან

464 იგულისხმება საქართველოს ეგზარქოსი 1834-1844 წლებში ევგენი ბაჟანოვი.

465 История Юго-Осетий в документах и материалах, т. II, Сталинир, 1960, док. 41.

466 Свод статистических данных о населении Закавказскаго края, извлеченных из посемейных списков 1886 г., издан по распоряжению Главноначальствующаго гражданскою частию на Кавказе Закавказским статистическим комитетом, Тифлисская Губерния, Горийский уезд, Меджврисхевский участок, Тиф., 1893, №873.

467 ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII ს. II ნახევარი), გვ. 98.

ყველა ქართველი იყო. აღწერის განმარტებით ნაწილში მითითებულია, რომ მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო: „მაგრამ მოსავალი მოჰყავთ მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის ოსების მუდმივი თავდასხმების გამო.“[468]

1818 წლის აღწერით, ქსუისის მოსახლეობა თითქმის განახევრებულია. შესაძლებელია ამის მიზეზი შიდა მიგრაციული პროცესი, ან გავრცელებული ეპიდემია იყო. მითითებულ დოკუმენტში აღნუსხულია მხოლოდ 10 კომლი (32 მამაკაცი, 23 ქალი, სულ 55 სული). იმ დროისთვის სოფელი შანშე ერისთავს ეკუთვნოდა. აზნაურთაგან მოხსენიებულნი არიან გლახა და თამაზ უთნელიშვილები, რომელთა მფლობელობაში იყო 3 კომლი ყმა. 1 კომლი საეკლესიო აზნაურს იოსებ გედევანიშვილს ეკუთვნოდა. აღწერის მიხედვით, ქსუისში ცხოვრობდნენ: აზნაური უთნელიშვილი (სახელი მითითებული არ არის, – გ. ს.), მამუკა, გიორგი და ანდრია ტოლიაშვილები, დათუა ჯახოევი, გოგია და ესტატე შოშიტაშვილები, შიო საფერაშვილი. შანშე და ბიძინა ერისთავების მფლობელობაში არსებული ჩობა დუგაზაშვილი (დოღუზაშვილი?) ექვსსულიანი ოჯახით, რომელიც ჩამოსახლებულა „ოსეთიდან 19 წლის წინ,“ ანუ, 1799 წელს.

აღწერის განმარტებით ნაწილში ნათქვამია, რომ „სოფელი სარგებლობს ლიახვიდან (იგულისხმება პატარა ლიახვი, – გ. ს.) გამოყვანილი წყლით, ამიტომ წყალი საკმარისია. მიწა ყველა კატეგორიის მოსახლეობისათვის 234 დღიურია, დასამუშავებლად გამოუყენებელია – 30 დღიური, სოფელში ვენახების რაოდენობა – 7-ია, ტყე – 15 დღიური, წისქვილი – 1. სოფელში არსებული ციხე-სიმაგრე ეკუთვნით მემამულე უთნელიშვილებს. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედებაა.“[469]

XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის ქსუისის მოსახლეობა 25 კომლს (84 მამაკაცი, 64 ქალი, სულ 148 სული) შეადგენდა. ყველა მათგანი ეთნიკურად ქართველი (მართლმადიდებელი) იყო. სოციალური კატეგორიების მიხედვით, 5 სული თავადაზნაურთა ფენას მიეკუთვნებოდა, 5 – სასულიეროს. 23 კომლი (79 კაცი, 59 ქალი) გლეხიდან ყველა საეკლესიო საკუთრებას წარმოადგენდა.[470]

დისევსა[471] და კულბითში გავრცელებული ონომასტიკური ერთეულებია: წამალა წყარო, ნათლისმცემელი, დისეურა, ბერიჯვარი, ქაშუეთი, კვირაცხოველი, წმინდა მარინეები, ნადიკვრები, გუთნიყლაპია. 2008 წლის

468 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა... გვ. 71.

469 იქვე, გვ. 380-381.

470 Свод... Тифлисская Губерния, Горийский уезд, Меджврисхевский участок, №872.

471 დისევის სახელწოდებას გადმოცემა ერთ ქალბატონს უკავშირებს, რომელმაც ბრძოლაში გამარჯვებულ ძმას ის ტერიტორია გადასცა, სადაც ეს სოფელი მდებარეობს. ლეგენდის თანახმად, ამ ადგილისთვის დისეული, ე. ი. დის ნაჩუქარი უწოდებიათ. მეორე ვერსიით, პატარა ლიახვის ხეობის ამ ნაწილს დავით აღმაშენებლის და ფლობდა, რომელმაც თავისი წილი მამული მეფისაგან ნაწყალობევ ხეობის მკვიდრ ქართველებს უბოძა. *ოქროპირიძეთა საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია, გვ. 25.*

აგვისტოს ომამდე აღნიშნულ სოფლებში ცხოვრებდნენ გვარები: ოქროპირიძე, ჩერქეზიშვილი, ტრამაკიძე, თუხარელი, ბეღელური, ჩალაური, მეტრეველი, შევარდენიძე, გუგუტიშვილი.

სათიხარი-დმენისი

სოფელი სათიხარი პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე, მდ. ჭარებულას მარჯვენა ნაპირზეა შეფენილი. იგი ზღვის დონიდან 960 მ. ხოლო ცხინვალიდან კი 12 კმ. დაშორებით მდებარეობს.[472]

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი ამ სოფელს იხსენიებს როგორც „სათიხარა.“[473] გერმანული ტექსტის მთარგმნელი და გამომცემელი გ. გელაშვილი მიუთითებს, რომ შესაძლოა ევროპელი მეცნიერი „სათივარას“ გულისხმობდა, რაც, ჩვენი აზრით, არაზუსტია.

როგორც ზემოთაც მივუთითებდით, ჯერ კიდევ XIV საუკუნეში შედგენილი ერთ-ერთი საეკლესიო გუჯარის მიხედვით, „.სოფელი სათიხარი და ვანათს ცხრა კომლი კაცი, სოფელი ქუაბნი, სოფელი ქორდი და პატარა მეღვრეკისი“ საქართველოს საპატრიარქოს ეკუთვნოდა.[474]

მოგვიანებით, სათიხარის შეწირულობა სვეტიცხოველს ალექსანდრე I-მა (1398 წ.) და სიმონ I-მაც (1559 წ.) განუახლეს.[475]

XV ს. 40-იან წლებში სათიხარი ნასოფლარად ქცეულა, ამის მიზეზი უცნობია, შესაძლოა, მოსახლეობა ან ბარში ჩამოსახლდა, ან მტრის შემოსევებს შეეწირა. ფაქტია, რომ 1447 წელს, გიორგი VIII-ის (1446-1466 წ.წ.) მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ შეუვალობის სიგელში, სადაც ჩამოთვლილია მეფისაგან ბოძებული მამულები პატარა ლიახვის ხეობაში, მათ შორის კულბითში სამი საგლეხო, ვირშა და ზაკუი, სათიხარი მოხსენიებულია, როგორც ნასოფლარი: „სათიჭარი ნასოფლარი მისითა მზღვრითა.“[476]

მოგვიანებით სათიხარი ეკლესიის საკუთრებაში აღარ შედიოდა. როგორც ჩანს, საპატრიარქომ ეს სოფელი და მასთან ერთად სხვა მამულები დაკარგა. ამ მხრივ, საინტერესოა, თ. ჟორდანიას მიერ მიკვლეული ერთი

472 გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან, სოფელი სათიხარი, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი,“ 1998, № 3, გვ. 5.

473 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 277.

474 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ., 1970, გვ. 179.

475 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I, (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენიების მიხედვით), გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964, გვ. 182.

476 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, შეადგინეს თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, თბ., 2014, გვ. 40.

საბუთი, რომელიც, მკვლევრის ვარაუდით, 1539-1530 წწ. უნდა იყოს შედგენილი. ეს არის მცხეთის სიგელი, იგი დაწერილია კათალიკოზ ბასილის დროს და მცხეთის დაკარგულ მამულებს ეხება. საბუთის მიხედვით: „... აქუს რატიშვილსა წირი... კორინთელს ველური... ამილახორს თაჯუაშვილები... ზემო ერისთავს ქუცში და სათიხარი და ქორდი...“[477] თუმცა, მ. სურგულაძის მოსაზრებით (მის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი განსხვავდება თ. ჟორდანიასეული ვარიანტისაგან), ხსენებული დოკუმენტი არა ბასილი კათალიკოსის დროს, არამედ მალაქიას მოღვაწეობის პერიოდშია შედგენილი. მალაქიამ მცხეთას მრავალი დაკარგული მამული დაუბრუნა. საბუთი 1532-1534 წლებით თარიღდება და სათიხარი „ზემო“ ერისთავების მფლობელობაშია: „...და აქუს რატიშვილსა წირი, გურზის-ივლიტა, კორინთელს-ველური, ამილახვარს-თაჯუაშვილები, ზემო ერისთავსა ქუეში და სათიჭარი. და ქორდი ძმობილაშვილსა აქუს, ვაჩენაძესა[478] წოლდი, ფავნელიშვილსა ზაკუი და ერედუს გლეხები...“[479]

როგორც ჩანს, ეკლესიის დაკარგული მამულები სხვადასხვა წარჩინებულებს ჰქონდათ განაწილებული. სათიხარის მფლობელად სიგელში ზემო ერისთავია მოხსენიებული (უნდა იგულისხმებოდეს ქსნის ერისთავი, რადგან, ცნობილია, რომ პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფლებზე ქსნის ერისთავთა გავლენა ვრცელდებოდა).

მოგვიანებით, ქართლის მეფე სიმონ I-მა სვეტიცხოველს თავისი მამულები განუახლა და სხვა სოფლებთან ერთად გადასცა „სათიჭარი მისითა მზღურითა.“[480]

XVI საუკუნის მეორე ნახევარში სათიხარი პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელთან ერთად სამეფო ხელისუფლებამ, კერძოდ, სიმონ I-ის ძმამ ვახტანგ ბატონიშვილმა სვეტიცხოველს მუხრანთან ახლოს მდებარე ყურისუბანში გაუცვალა. ამას ადასტურებს 1574 წელს შედგენილი საბუთი: „ნუსხა მცხეთსა.“[481] ვახტანგ ბატონიშვილსა (სიმონ I-ის ძმა) და ნიკოლოზ კათალიკოსს შორის გარიგება შედგა და დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ზოგიერთი სოფელი, მათ შორის: „სათიხარი მისითა სამართლიანითა მზღურითა,“ მუხრანის სიახლოვეს არსებული სოფლის – ყურისუბნის სანაცვლოდ, მეფის ძმას გადაეცა.[482] თუმცა, როგორც მივუთითებდით, მამულების გაცვლიდან ორი ათეული წლის შემ-

477 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 373.

478 „ვაჩენაძესა,“ შესაძლებელია, მიღებულია პირის გადაწერისას „ვ“ და „კ“ გრაფემების აღრევის გამო. თუ ამ სავარაუდო შეცდომას გავითვალისწინებთ, მაშინ დედანში მოსალოდნელია ყოფილიყო „კანაჩაძესა.“ „ასეთი გვარსახელი გვხვდება შიდა ქართლის მცხეთის ყმა-აზნაურთა შორის“ (გამომცემლის შენიშვნა). *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, სპარსული ტექსტები მოამზადა თამაზ აბაშიძემ, თბ., 2016, გვ. 136.*

479 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 136.

480 იქვე, გვ. 243-244.

481 იქვე, გვ. 415.

482 იქვე, გვ. 289.

დეგ კათალიკოს-პატრიარქ დომენტის დროს, საპატრიარქომ ყურისუბანი სიმონ მეფის ძმას ვახტანგს უკან დაუბრუნა და ეკლესიის კუთვნილ სხვა სოფლებთან ერთად, სათიხარი კვლავ სვეტიცხოველს დარჩა.[483]

XVII საუკუნის დასაწყისამდე სათიხარი საქართველოს საპატრიარქოს ეკუთვნოდა.

1610 წელს შედგენილ ზებედე კათალიკოსის წყალობის წიგნიდან ირკვევა, რომ სათიხარი კათალიკოს-პატრიარქისაგან ელიოზიძეებს გადაეცათ: „ამათ ყოველთა წმიდათა თავმსდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან, ყოვლისა აღმოსავლისა და ჩრდილოსა დიდმან მამათ მთავარმან კათალიკოზმან პატრონმან ზებედე, შეგიწყალეთ და გიბოძეთ კითხვითა და ნება დართულობითა ღმრთივ გვირგვინოსანისა მეფისა ლუარსაბისა მოგეცით და გიბოძეთ... კათოლიკე ეკლესიასა ჯვარის მტვირთველსა ელიოზის ძეთა გედეონის შვილთა, დავითს, როსებს, ქაიხოსროს... სათიხარი მისის მთითა ბარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, შესათიბითა ყოვლითურთ უნაკლულოდ: სადირაშვილი დათუა, პაპუა, ლომაური დათუა, კიდევ ლომაური ბერუა, ჯერკვალიშვილი ვეფხი და მახარა, ჭარეშნისაძე მაღრიშა მისითა მამულითა გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა საყდრისა და ჩვენსა ერდგულად ნამსახურსა შიგა შენ ჯვარისმტვირთველსა დავითს და როსებს, ქაიხოსროს.“[484]

ზემოხსენებული საბუთი საინტერესოა XVII ს. დასაწყისში სათიხარში მაცხოვრებელი მოსახლეობის ეთნიკურობის თვალსაზრისითაც. შედარებით გვიანდელი პერიოდის (XIX ს. დასაწყისის) აღწერებში, სადირაშვილები უკვე გვხვდებიან ხვითსა და ხურვალეთში,[485] ჯირკველიშვილები – ცხინვალსა და თამარაშენში,[486] ლომოურები (ლომაურები) – არბოში[487] და სხვ.

„ჯვარისმტვირთველობას,“ ისევე, როგორც სხვა თანამდებობებს (ქადაგი, მოურავი, სარდალი და სხვ.), „მცხეთიშვილები“ ფლობდნენ. ელიოზიძე-გედევანიშვილები სწორედ ამ პრივილეგიით სარგებლობდნენ და ეკლესიის სამსახურში იდგნენ. დოკუმენტში ნახსენებ სოფელ სათიხარში, რომელიც პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე მდებარეობს, მამულები გედევანიშვილებს XVIII საუკუნის I ნახევარშიც ჰქონდათ. ქაიხოსრო გედევანიშვილის მიერ თავისი ბიძის გედევან გედევანიშვილისადმი 1728 წელს ბოძებულ ერთ ნასყიდობის წიგნში აღნიშნულია: „...სიგელი ნასყ-

483 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 438.

484 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 390, დოკ. 84.

485 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გვ. 471, 345-346.

486 იქვე, გვ. 425, 443.

487 გ. სოსიაშვილი, სოფელ არბოს ისტორიიდან, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 2019, გვ. 102-147.

იდობის მოგართვი მე გედევანიშვილმან ქაიხოსრომ, შვილმან ჩემმან დავით, ძმისწულმან ჩემმან რევაზ, თქვენ ბიძაჩემს გედევანს შვილსა შენსა ოთარს და პეტრეს, ერასტის, გიორგის მომავალთა სახლის თქვენისათვის, რომ დამეჭირა და მოგყიდე სათიხარს ლომაური ნადირას შვილები ნიკოლა და სეხნია თვისის ძმებითა, თვისის სამართლიანის მამულითა, მთითა, ბარითა, ვენახითა, სახნავითა, უხნავითა, წყლითა, წისქვილითა, სასაფლაოითა, ნასყიდითა, საძებრითა, უძებრითა, ყოვლისა მისის სამართლიანის მამულითა. მოგყიდე და გიბედნიეროს ღმერთმან როგორათაც სხვას მონასყიდეს ქონიათ. გიბედნიეროს ღმერთმან ავიღე ფასი სრული და უკლებელი. შენზე ადარა დარჩა რა ერთის იოტის ფასი."[488]

სათიხარის მოსახლეობას, სხვა სოფლების მსგავსად, სამეფო კარისაგან გარკვეული ვალდებულებები ჰქონდა დაკისრებული, როგორც სამხედრო, ასევე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. XVII საუკუნით დათარიღებული ერთი საბუთის მიხედვით, სათიხარიდან მეფის ბრძანებით 7 სახასო მოლაშქრე უნდა გამოსულიყო.[489] 1795 წლის სიის მიხედვით, იმ სოფელთა ჩამონათვალში, ვისაც „რუსებისათვის მისასყიდი ფქვილი შესწერდა," პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად, სათიხარიცაა მითითებული. სათიხრელებს ხელისუფლებისთვის 20 ხარვარი პურის მიყიდვის ვალდებულება ჰქონდათ.[490]

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაური აკად. იოჰან ანტონ გიულდენშტედტი პატარა ლიახვის ხეობის სოფლების აღწერისას აღნიშნავს: „ამ ოსური მხარეებიდან, შემდეგნი არიან ქართველებით დასახლებული ადგილები, ნაწილობრივ სომხებთან შერევით: 1) საცხენისი, სათიხარი, კარბი... ერედვი."[491]

გერმანელი მოგზაურის მიერ მოხსენიებული პატარა ლიახვის ხეობის სოფლები ქსნის საერისთავოში შედიოდა. „ოსურ მხარეებში" ის ტერიტორიები იგულისხმება, სადაც ჩრდილოეთ კავკასიიდან სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად ჩამოსული ოსები სახლდებოდნენ. XVIII საუკუნეში ჭურთის, დიდი და პატარა ლიახვის, ისროლის, ქსნისა თუ ჯეჯორის ხეობებში ოსური ახალშენები წარმოიქმნა.[492]

სათიხარის მოსახლეობის შესახებ ცნობები ძალზე მწირია. როგორც ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში სათიხარში ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა. სოფლის სახელწოდება გვაფიქრებინებს, რომ სათიხარი, სიტყვა თიხადან არის წარმოშობილი და იგი მეთუნეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მსგავსი სახელწოდების არაერთი სოფელი გვხვდება დოკუმენტურ წყაროებ-

488 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. 225.

489 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I, გვ. 182.

490 მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. III, თბ., 1955 გვ. 106-107, დოკ. 76.

491 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 277.

492 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 432.

ში. მაგ. 1415 წლით დათარიღებულ საბუთში: „დაწერილი გუგუნა ხაჩიმისძისა კათოლიკოს ელიოზისადმი,“ მოხსენიებულია „სათიხე“: „...კადრეთ და შემოგწირეთ ჩემის სულისა სამლოცველოდ ჩემი მკვიდრი სათიჴეს და კურძეულისა ბოლოსა მისითა სამართლიანითა მზღურითა.“[493]

როგორც ირკვევა, პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე, კერძოდ, სოფელ ვანათში მეთუნეობის მძლავრი კერა იყო და მას საკმაოდ დიდი ტრადიციაც ჰქონდა.[494]

სავარაუდოდ, მეთუნეობის ასეთივე კერა უნდა არსებულიყო სათიხარშიც.

სათიხარს იოანე ბაგრატიონი იხსენიებს იმ სოფლების ნუსხაში, „რომლებიც პატარა ლიახვით ირწყვის და ისევ გორს მიეწერება.“ სათიხარი მას მოხსენიებული აქვს როგორც მოსახლე და იქვე განმარტავს: „ესე სოფლები გვერდისძირს მიეწერებოდნენ, იულონ ბატონიშვილს ეჭირა, ახლა ქსნის ერისთავთა აქუთ.“[495] XIX საუკუნის დასაწყისში სათიხარში თანდათან ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ოსები დამკვიდრნენ.

1802 წლის 8 მაისით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, სათიხარში ოსი მოახალშენეებიც სახლობდნენ, რომლებიც საეკლესიო საკუთრებას წარმოადგენდნენ.[496]

1842 წლის საეკლესიო გლეხთა აღწერის მიხედვით, სათიხარში 13 კომლი ცხოვრობდა (50 სული) და ყველა მათგანი ერთი გვარისა იყო: ზაალ, გიორგი, გაბრიელ, გიორგი, სოლომონ, მოსე დუგუზაშვილები (აღწერაში გვარი შეცდომით წერია, უნდა იყოს დოღუზაშვილი) და სხვ. სოფელი ეკუთვნოდა: შალვა, ბიძინა და გიორგი ქსნის ერისთავებს.

სოფლის მოსამართლეები იყვნენ: სოლომონ და მოსე დუგუზაშვილები, მაგრამ, რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, უწყისზე ხელს აწერდა წყალობა თანდიევი.[497]

1886 წლის მონაცემებით, სათიხარის მოსახლეობა 29 კომლს შეადგენდა, (151 კაცი, 133 ქალი, სულ 284 სული). ისინი საეკლესიო უწყებას მიეკუთვნებოდნენ.[498]

სათიხარიდან ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის აყრა ლიახვის ხეობაში გვიანფეოდალურ პერიოდში ჩამოსახლებული ოსების მარბიელ-

493 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ, თბ., 2013, გვ. 120

494 მ. ზანდუკელი „ქალი მეთუნეები შიდა ქართლში,“ კრებ.: შიდა ქართლი, ეთნოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1984, გვ. 156.

495 იოანე ბაგრატიონი ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ.,1986, გვ. 40.

496 Акты, т. I, стр. 469, № 575.

497 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 1951, გვ. 296-298, Камеральное описание церковных крестьян Ксанского участка Горийского уезда, 1842 года.

498 Свод статистических данных о населении Закавказскаго края, извлеченных из посемейных списков 1886 г., издан по распоряжению Главноначальствующаго гражданскою частию на Кавказе Закавказским статистическим комитетом, Тифлисская Губерния, Горийский уезд, Цхинвальский участок, Тиф., 1893, №844.

მა და განუწყვეტელმა თავდასხმებმაც განაპირობეს, რაც, რუსული ხელისუფლების პირობებშიც გაგრძელდა. ამას ადასტურებს 1884 წლის 9 იანვარს გორის მაზრის უფროსის ა. ამილახვრის მიერ თბილისის გუბერნატორისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც ამილახვარი იტყობინებოდა, რომ „ლიახვის ხეობის მთიან ნაწილში მცხოვრები ოსების მხრიდან თავდასხმებსა და ძარცვა-რბევას საზღვარი არა აქვს. მათ ხეობის შუა წელზე არსებული სოფლების: სათიხარის, სისკივის ? (დედანშია Сискиви), ბიყარის მოსახლეობა ისეთ დონეზე მიიყვანეს, რომ ამ ადგილებიდან აყრას და სხვაგან გადასახლებას ითხოვენო.“[499]

წერილის ავტორი იქვე აღნიშნავს: „ზემოხსენებულის გამო, სოფელ სათიხარში ეგზეკუცია ჩავაყენე, ადგილობრივი გავლენიანი მცხოვრები ზურაბა დოღუზაშვილიც დავაპატიმრებინე და გორის სამაზრო საპყრობილეში ჩავსვი, მაგრამ შედარებით მეტი ქმედითი ღონისძიებების გატარებაა საჭირო.“[500]

რაც შეეხება, სათიხარის მეზობელ სოფელ დმენისს, 1818 წლის აღწერით მასში სულ 6 კომლი ცხოვრობდა (13 მამაკაცი, 13 ქალი), ყველა ვალიშვილთა საგვარეულოს მიეკუთვნებოდა და ქსნის ერისთავთა მფლობელობაში იყვნენ.

აღწერის განმარტებითი ნაწილში დმენისის შესახებ ვკითხულობთ: „„ძველ აღწერაში (იგულისხმება 1804 წლის აღწერა, – გ. ს.) ხსენებული სოფელი შეტანილი არ იყო. ამჟამად სოფელში ცხოვრობს 6 კომლი საბატონო გლეხი, მაგრამ, რამდენადაც ყველა ისინი ეთნიკურად ოსები და ახლად ჩამოსახლებულები არიან, გადასახადები მათზე უნდა გაიწეროს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების გადაწყვეტილებით.“[501]

1842 წლის საეკლესიო გლეხთა აღწერაში დმენისში აღწერილია 9 კომლი (18 სული): ბასილა და გიუნა ვალიშვილები, შალვა, ნინია და დავით ხაჩირაშვილები, ლუა მეხაშვილი, რაჯაბა ქარქუსაშვილი და სხვ. სოფელი ეკუთვნოდა შანშე, თორნიკე და გიორგი ერისთავებს. დმენისის მამასახლისი იყო დავით ქარქიშვილი, მოსამართლეები: ლამინა ალბორიშვილი და ლუა ყესაშვილი, მაგრამ, რადგან ამათ წერა არ სცოდნიათ, უწყისზე ამ შემთხვევაშიც ხელს აწერდა წყალობა თანდიევი.[502]

როგორც ცნობილია, ფეოდალურ საქართველოში მებატონეთა ვალდებულებებისაგან გათავისუფლებულ გლეხთა რამდენიმე კატეგორია არსებობდა: „თარხანი,“ „თავდახსნილი,“ „ნებიერი“ და სხვ.

საქართველოში რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გლეხთა ეს კატეგორიები თანდათანობით გაუქმდა და გლეხობა, ძირითადად,

499 История Юго-Осетий в документах и материалах (1864-1900), т. III, Сталинир., 1961, ч. I, стр. 190, док. № 98.

500 Там же.

501 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გვ. 383.

502 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 1951, გვ. 294-295, Камеральное описание церковных крестьян Ксанского участка Горийского уезда, 1842 года.

„სახაზინო," „საბატონო" და „საეკლესიო" უწყებებს მიაწერეს. ასე იყო ბატონყმობის გაუქმებამდე (აღმოსავლეთ საქართველოში 1864 წლამდე). თუმცა, საგლეხო რეფორმამდეც, მებატონეთა ვალდებულებებისაგან გათავისუფლებულ გლეხთა მცირე ფენა მაინც არსებობდა. ეს ფაქტი მებატონეთა ნება-სურვილით ხდებოდა, რის გამოც, ასეთ გლეხებს „ნებით გაშვებულებს" (Вольноупущенных) უწოდებდნენ. ამ კატეგორიის გლეხთა შორის 1843 წელს დმენისში აღრიცხულია 2 კომლი:

1. იოსებ ივანეს ძე ბატიაშვილი, შვილებთან: ივანესა და მიხეილთან, იოსების ძმასთან სოლომონთან და ბიძაშვილთან იოსებთან ერთად.

მათ განკარგულებაში იყო 100 დღიური მიწა, რომელზეც მოჰყავდათ 36 კოდი ხორბალი, 30 კოდი ქერი, 50 კოდი სიმინდი. ჰყავდათ 15 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი;

2. ზაქარია სიდამონის ძე ბატიაშვილი, ძმასთან გიორგისთან და ზაქარიას ვაჟთან – სიდამონთან ერთად. აღწერაში მისი დღიური მიწის ოდენობა არ ჩანს, თუმცა, ირკვევა, რომ მოჰყავდათ 20 კოდი ხორბალი, 10 კოდი ქერი, 30 კოდი სიმინდი. ჰყავდათ 5 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი.[503]

დმენისის მოსახლეობა XIX საუკუნის ბოლოსათვის უკვე 32 კომლს (107 მამაკაცი, 80 ქალი, სულ 187 სული) შეადგენდა. აქედან, 25 კომლი (93 მამაკაცი, 68 ქალი) ოსია, ხოლო 7 კომლი (14 მამაკაცი, 12 ქალი) – ქართველი. დმენისელთაგან ყველა მართლმადიდებელი იყო, ისინი საეკლესიო უწყებას მიეკუთვნებოდნენ.[504]

გერი

სოფელი გერი მდ. პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე, გუდისის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1480 მ-ის სიმაღლეზე, ცხინვალიდან 22 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. 1991 წლამდე იგი ცხინვალის რაიონში შედიოდა.[505] გერს გვერდით პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადი გერისხევი ჩამოუდის, რომელიც მსხლების მთიდან იღებს სათავეს. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: „ხოლო ვანათს ერთვის დასავლეთიდამ ლიახჳს ხევი გერისა, გამოსდის მსხლების მთას და დის სამხრით, ამას ზედა მსახლობელნი არიან ოსნი. უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს. ხოლო ვანათსა, საცხენისსა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისის ხევი, ღრმა კლდიანი ძნიად განსავალი, გამოსდის გერის და შუაცხვირის მთას, შუაცხვირს მსახლობელნი არიან ოსნი."[506]

503 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 2036, გვ. 15-16, Посемеиние списки вольноупущенных крестьян по Горийскому уезду, 1843-46 года.

504 Свод ..., Тифлисская Губерния, Горийский уезд, Цхинвальский участок, №845.

505 გ. სოსიაშვილი, სოფელი გერი და გერის წმინდა გიორგის ტაძარი, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ტ. II, 2020, გვ. 203.

506 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 363.

იოანე ბაგრატიონი სოფელ გერს ე. წ. „საარაგო სოფლების“ ჩამონათვალში იხსენიებს: „ქ. საარაგო სოფლები, რომელიც მიეწერება და მეზობელნი არიან ამა ლიახვის ხეობისა არიან ესენი: ქ. საარაგო შინდისი, მოსახლე ქ. ტირძნისი მოსახლე ქ. ვანათი, მოსახლე ქ. ოსის სოფელი მარილეთი, მოსახლე ქ. შურიული, მოსახლე ქ. ინაური, მოსახლე ქ. ყლარცვი, მოსახლე ქ. მეფარეთი, მოსახლე, ქ. გერი, მოსახლე. ესეც იულონს თჳს ეყიდა. ეხლა ერისთვიანთ უჭირავთ.“[507] როგორც ზემოთ მივუთითებდით, იოანე ბაგრატიონის ცნობაში სიტყვა „საარაგო“ შემთხვევით არ არის ნახსენები, როგორც ჩანს, სოფელ გერზე და მასთან ერთად მოხსენიებულ რამდენიმე სოფელზე შუასაუკუნეებში არაგვის ერისთავების გავლენა ვრცელდებოდა.[508] იოანე ბაგრატიონს აღნიშნული აქვს, რომ ერთ დროს არაგვის ერისთავთა საკუთრებაში არსებული გერი იულონ ბატონიშვილის მფლობელობაში შედიოდა, ბოლოს კი იგი „ერისთვიანთ უჭირავთ.“ როდესაც ქსნის ერისთავს გიორგი ყულარაღასს, ერეკლე II-მ მამული ჩამოართვა და ქსნის საერისთავო გააუქმა, სათავადოს ერთი ნაწილი, პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლები იულონ ბატონიშვილს გადასცა. იულონ ერეკლეს ძის რეზიდენცია სოფელ ბელოთში იყო.[509] სწორედ ამის შემდეგ უნდა ეყიდა იულონს სოფელი გერიც, რომელიც ოდნავ მოგვიანებით ქსნის ერისთავებმა დაისაკუთრეს. მათ პატარა ლიახვის ხეობაში მამულები დაიბრუნეს[510] და, როგორც ჩანს, გერიც დაისაკუთრეს.

სოფელი გერი რომ ოდესღაც არაგვის ერისთავთა საკუთრებას წარმოადგენდა, ამას XVII საუკუნის პირველი ნახევრის ერთი დოკუმენტიც ადასტურებს (ამის შესახებ ქვემოთ). საინტერესოა სოფლის სახელწოდება გერი. გერის ეტიმოლოგიას მკვლევარი ჯ. გვასალია ზანურის საფუძველზე ხსნის: „პატარა ლიახვის ხეობის ზოგი ტოპონიმიც შეიძლება აიხსნას ზანურის ნიადაგზე. პატარა ლიახვს მარჯვნიდან გერის ხევი ერთვის, რომლის სათავეში არის ქართლში განთქმული გერის სალოცავი. აქ სალოცავად მოსული მოსახლეობა ხატს საქონლის მფარველობასა და მგლებისაგან თავდაცვას სთხოვდა. „გერი“ მეგრულად მგელს ნიშნავს და შესანიშნავად უდგება სალოცავის შინაარსს. გერი და ლომისა შესაძლოა საერთო წარმოშობისანი გამოდგნენ, თუ ლომისაში სვანურ ლომს//ლემ-ს დავინახავთ, რომლის თაყვანისცემაც გენეტიკურად მგლის (ძაღლის) კულტამდე მიდის.“[511] ჯ. გვასალია ასეთივე მსგავსებას ხედავს შიდა ქართლში არსებულ ჰიდრონიმ „მეჯუდასა“ და ზანურ სახელ „მეჯუდას“ (მაჯუდის)

507 იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 38.

508 არაგვის ერისთავთა წინაპრები პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე, გერთან ახლოს არსებულ ვანათიდან იყვნენ. *გ. სოსიაშვილი, საქართველოს წარჩინებულ გვართა ისტორიიდან, თბ., 2008, გვ. 45-58.*

509 გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 139.

510 სეაცსა, ფ. 254, საქ. 58, გვ. 12.

511 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1986, გვ. 165.

შორის. მკვლევრის აზრით, შიდა ქართლის ზოგიერთი ტოპონიმი სვანური წარმოშობისაა. მაგ. „ისროლი," სადაც ფუძეა „ისრ," რაც სვანურად ისლს ნიშნავს და სხვ.[512] ჯ. გვასალიას დაკვირვება შიდა ქართლში არსებული ონომასტიკური ერთეულების წარმომავლობის შესახებ გასათვალისწინებელია, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიახვის ხეობაში გავრცელებული არაერთი ტოპონიმი ძალზე დიდ მსგავსებას ამჟღავნებს დაღესტნურ ენებში არსებულ ლექსიკურ ერთეულებთან. მაგ. ჰიდრონიმ „ლიახვს" ნახურ ენაზე ასეთი მნიშვნელობა აქვს: „ლია-თოვლი, ხუ(ხი) წყალი."[513]

გერის სახელით საქართველოში სოფელი არსებობდა ბორჯომის ხეობაშიც. მას ახლომდებარე სოფლებთან ერთად გზის გაწმენდით სამუშაოებთან დაკავშირებით იხსენიებს გაზეთი „ცნობის ფურცელი."[514] აღსანიშნავია, ისიც რომ დაღესტანში არსებობდა სოფ. გერგებილი.[515]

საინტერესოა, რომ „გერ" ფუძიანი სახელები, როგორც ტოპონიმები, არამარტო ჩრდილოეთ, არამედ სამხრეთ კავკასიაშიც არის გავრცელებული, მაგ. XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსულ აღწერაში ერევნის გუბერნიაში იხსენიება „გერაპისი," „გერგერი,"[516] ხოლო ელიზავეტოპოლის – (განჯის) გუბერნიაში კი გვხვდება „გერანა," „გერა ზლიარი."[517] „გერგერი," „გერგებილი" და „გერი" ძალზე დიდ მსგავსებას ამჟღავნებს „გერგეტთან." ამავე ფუძით საქართველოშიც არსებობდა სოფელი გერმუხა, სადაც პალეოლითის პერიოდის ძეგლებია მიკვლეული.[518]

გერის, როგორც ტოპონიმის შესახებ, ს. მაკალათია წერს: „ოსები მას ჯგერძუარს" უწოდებენ. ქართული გერი და მისგან წარმოებული ოსური ჯერან (ჯგერ) იგივეა, რაც სვანური ჯგჯრაგ და მეგრული ჯეგე (ჯგეგე და გეგე). ესეც გიორგის, ანუ ჯეგე გიორგის (წმ. გიორგის) ნიშნავს."[519] აღსანიშნავია, რომ ქართლში გავრცელებული მამაკაცის საკუთარი სახელია გერისო, რაც ჩვენი აზრით, გერის წმინდა გიორგის სალოცავთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ სახელის წარმომავლობას ძველ დროში ინფექციური დაავადებებისაგან ბავშვებისადმი გერის სალოცავის მფარვე-

512 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1986, გვ. 165.

513 კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 113. ჰიდრონიმ „ლიახვის" წარმომავლობის შესახებ სხვა მოსაზრებებიც არსებობს. ვ. აბრამიშვილის აზრით, ჰიდრონიმ „ლიახვის" პირველი ნაწილი „ლია" ნიშნავს ლამიან ადგილს, ხოლო მეორე ნაწილის ახსნა სწორედ ძველი ფორმით უნდა მოხდეს-ლიახუ, ძველი ქართულის მიხედვით, მდინარის ძლიერ ხმაურს ნიშნავს. *ვ. აბრამიშვილი, მდინარე ლიახვის სახელწოდების განმარტებისთვის, „მნათობი," №1, 1971, გვ. 154-155; კ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.*

514 გაზ. „ცნობის ფურცელი," 1899 წ., 10 იანვარი, № 722, გვ. 1.

515 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, თბ., 1964, გვ. 101.

516 Свод статистических данных *о населении Закавказскаго края, извлеченных из посемейных списков* 1886 *г.*, Тиф., 1893, Эриванская губерния, №154, 985.

517 Там же, Елизаветпольская губерния, №488, 1212.

518 ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1986, გვ. 48.

519 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 61.

ლობა უნდა დასდებოდა საფუძვლად. გერის წმინდა გიორგის სალოცავის, ისევე, როგორც ქართლში არსებულ წმინდა გიორგის საკულტო ნაგებობების ადგილზე, ოდესღაც წარმართული სალოცავები იყო. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, საქართველოში წმინდა გიორგიმ ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი დაიკავა.[520] რაკი „გერ“ ფუძე ერთია, როგორც ქართული, ისე ჩრდილო კავკასიური ტოპონიმებისთვის, იგი უძველესი, წინარექრისტიანული წარმოშობის უნდა იყოს და კავკასიაში მცხოვრები ეთნოსების საერთო ლექსიკურ ერთეულს უნდა წარმოადგენდეს. ეს საკითხი ენათმეცნიერთა მხრიდან განხილვის საგნად უნდა იქცეს.[521]

დოკუმენტურ წყაროებში გერი XVII საუკუნიდან გვხვდება. როგორც ჩანს, პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არაგვის ერისთავების გავლენა ვრცელდებოდა. ერთ-ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გერი და გერისთავი, რომლებიც არაგვის ერისთავებს ეკუთვნოდათ, სამეფო ხელისუფლებამ სვეტიცხოველს შესწირა (სვეტიცხოველს ქართლის მეფემ ლუარსაბ I-მა გადასცა გერის „მთავარმოწამის საყდარი.“ ამის შესახებ ქვემოთ), რის გამოც, ნუგზარ არაგვის ერისთავმა პატარა ლიახვის ხეობაში არსებული არბო და გენესმანი დაიკავა და სვეტიცხოველს ამის სანაცვლოდ არბოს მეზობლად არსებულ სოფელ ქორდში რამდენიმე კომლი გლეხი გადასცა. ნუგზარ არაგვის ერისთავის შეწირულობის სიგელში ვკითხულობთ: „ქ. კს: ტე: ესე წიგნი მოგახსენე... სვეტსა ცხოველსაო, მე ერისთავმან პატრონმან ნუგზარ(და ძეთა ბაინდურთ და გ-იგ) ასე რომ ჩვენი სამკვიდრო გერი და გერისთავი (ხაზგასმა ჩვენია, – გ. ს.) სვეტიცხოვლისათვის შეეწირა მეფეთა... კიდევ არბოს გენასმანი სვეტიცხოვლისა იყო და ეს ჩუენ მოგართვით ქორდს ჩუენი სამკვიდრო კვამლი სამი ბექნიაშვილი ირემა და სხვ.“[522] როგორც ვხედავთ, არაგვის ერისთავების საკუთრებაში იყო გერი და გერისთავი. დოკუმენტში შემთხვევით არ არის ნახსენები სიტყვა „სამკვიდრო.“ პატარა ლიახვის ხეობის ზემო ნაწილზე არსებული ზოგიერთი სოფელი ნუგზარ არაგვის ერისთავის წინაპრების მფლობელობაში შედიოდა. ნუგზარის პაპა, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ვანათელი აზნაური იყო[523] (იხ. ქვემოთ). როდის დაკარგეს პატარა ლიახვის ზემო წელზე, მათ შორის სოფელ გერზე გავლენა არაგვის ერი-

520 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 50.

521 სოფელ გერის შესახებ იხ. გ. სოსიაშვილი, სოფელი გერი და გერისთობის დღესასწაული, პროფ. ლელა მელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კონფერენციის მასალები, 2012; გვ. 48-55; გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 96-112. გ. სოსიაშვილი, სოფელი გერი და გერის წმინდა გიორგის ტაძარი, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, II, თბ., 2020, გვ. 203-226. გ. სოსიაშვილი, როგორ გოდებს გერის ტაძარი, გაზ. „ლიტერატული ცხინვალი,“ 1999, № 5.

522 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფ, 1897, გვ. 441.

523 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 534.

სთავებმა, წყაროებიდან არ ჩანს.

გერი მთელს ქართლში თავისი სასწაულთმოქმედი სალოცავით იყო ცნობილი, მაგრამ საინტერესოა, რომ სვეტიცხოვლისათვის არაგვის ერისთავის მიერ ბოძებულ სიგელში, იხსენიება მხოლოდ გერი და გერისთავი, დოკუმენტში ნახსენები არ არის გერის წმინდა გიორგის ტაძარი, რომლის დაარსებას „გერის მონასტრის ქრონიკა“ VI საუკუნეში მოღვაწე ქართლის მეფეს ფარსმანს მიაწერს (ამაზე ქვემოთ შევჩერდებით). გვიან ფეოდალურ პერიოდში, როგორც ზემოთ მივუთითებდით, გერში არსებული ვენახი ათონის მთაზე არსებულ ვატოპედის მონასტრის მეტოქს – ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძარს ეკუთვნოდა, რომელიც გერის სიახლოვეს, პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობდა. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტიდან კარგად არ ჩანს, გერის ვენახი სამეფო ოჯახმა შეწირა ათონის მთაზე არსებულ ვატოპედის მონასტერს, თუ აღნიშნული მამული გერის მფლობელმა არაგვის ერისთავებმა (ან, სხვა დიდგვაროვნებმა) გადასცეს წმინდა მთაზე არსებულ სასულიერო ცენტრს, იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ ვატოპედის მონასტერს, სხვა მამულებთან ერთად, თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში გერის ვენახიც დაკარგული ჰქონდა და როგორც უკვე მივუთითებდით, ერეკლე II-ის ძალისხმევით, ათონიდან ჩამოსული სასულიერო პირის თხოვნის საფუძველზე, სხვა მამულებთან ერთად, გერის ვენახი კვლავ ვატოპედს გადაეცა.

დოკუმენტურ წყაროებში სოფელ გერის მოსახლეობის შესახებ ძალზე მწირი ინფორმაციაა შემონახული. როგორც ნუგზარ არაგვის ერისთავის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებული სიგელიდან ირკვევა, სოფელი გერი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ერთ ნაწილს გერი ერქვა, ხოლო მეორეს – გერისთავი. სწორედ გერისთავში არსებობდა ქართლში განთქმული გერის წმინდა გიორგის ტაძარი და აქედან მომდინარეობდა ამ სალოცავთან დაკავშირებული დღესასწაული გერისთაობა (გერისთობა) (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

1766 წლით დათარიღებული ერთ-ერთი დოკუმენტის – „განჩინება ამილახვრიშვილისა და მისი სახლისკაცების გაყრის საქმეზე“ მიხედვით, სოფელ გერისთავში ყმებს და მამულებს ფლობდნენ ამილახვრები: „ქ. გერისთავს მებაღიშვილი შიო და იმის ბიძაშვილი, დღეს რისაც მქონებელნი არიან...ქ. გერისთავს მემშვილდისშვილის ზურაბას მამული ხარაბა.“[524]

გვიანფეოდალურ პერიოდში გერის მოსახლეობის შესახებ ინფორმაცია შემოგვინახა 1728 წელს შედგენილმა „თბილისის ვილაიეთის დიდმა დავთარმა.“ როგორც ოსმალურ დოკუმენტშია მითითებული, ფისკალური საბუთის შედგენისას გერი გივი ამილახვარს ექვემდებარებოდა, რომელიც გარკვეული ხნის განმავლობაში ოსმალებს ებრძოდა, შემდეგ კი

524 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 520, დოკ. 416.

მათ სამსახურში ჩადგა და ოსმალთაგან ზემო ქართლი გადაეცა.[525] გერში ამ დროისთვის 11 კომლი (24 ოჯახი) ცხოვრობდა. თურქულ საბუთში მოხსენიებულნი არიან გერში მცხოვრები ოჯახის უფროსი მამაკაცები: „ბაბუნა ძე ივანესი, ივანე ძმა მისი, ზურაბ ძმა მისი, გიორგი ძე შიოსი, გიორგი ძმა მისი, ზაზირ ძე ზალიკასი, ბერი ძმა მისი, გიორგი ძე მისი, ალია ძმა მისი, ოთარა ძე ჩუბინასი, ოქრუა ძე გიორგისა, ადუა ძმა მისი, გიორგი ძე დათუნასი, ჩუბინა ძე მისი, გიკუკა ძე თევდორესი, დიმიტრი ძმა მისი, ჩუბინა ძე ბევიასი, თამაზა ძმა მისი, ბერი ძმა მისი, გენება ძე თევდორესი, გიორგი ძმა მისი, იოსება ძე ზაქარასი, ონია ძმა მისი, ბირა ძე მისი.“[526] თუ საშუალოდ ოჯახში 6 სულს ჩავთვლით, 1728 წლის მონაცემებით გერში სულ 144 მოსახლე ყოფილა. ოსმალური წყარო გერის მოსახლეობის ეთნიკურ კუთვნილებაზე ინფორმაციას არ იძლევა, თუმცა აქ გავრცელებული მამაკაცის სახელების მიხედვით (ივანე, ზურაბი, გიორგი, შიო, ზალიკა, ბერი, ოთარა, ოქრუა, დათუნა, დიმიტრი, თამაზა, თევდორე, იოსება, ზაქარა), შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ გერში ქართული მოსახლეობა იყო. ზოგიერთი სახელი დავთრის შემდგენლების მიერ შეცდომით არის ჩაწერილი. მაგ: ზაზირი, გიკუკა, გენება, ბირა. ოსმალურ წყაროში მოხსენიებული რამდენიმე მამაკაცის სახელი ქართულ ონომასტიკონში საყოველთაოდ გავრცელებული არ იყო, თუმცა მათგან ახალი გვარები წარმოიქმნა. მაგ: ონიასგან – ონიაშვილი,[527] ჩუბინასგან – ჩუბინაშვილი,[528] ადუასგან – ადუაშვილი.[529] გერში მცხოვრებთა გადასახადები ოსმალურ დავთარში ასეა წარმოდგენილი: „მიწის დღიური მფლობელობა 50 სამეუფო ველის დღიური მფლობელობა 20 სამეუფო ვენახის დღიური მფლობელობა 3 ჯამი მარცვლეულისა ისფენჯი კაცი 24, ახჩა 2640 ხორბალი ქილა 110 ახჩა 2200 ქერი ქილა 60 ახჩა 900 ჭვავი ქილა 30 ახჩა 450 ფეტვი ქილა 40 ახჩა 600 უშრის გადასახადი ვენახზე, დონუმი 50, თითოეულს 40 ახჩა 2000 გადასახადი ერბოზე 250 გადასახადი სკაზე 120 არუსანეს გადასახადი 120 გადასახადი ცხვარზე 290 დეშთიბანი მიწაზე თაფუს გადასახადი 180 გადასახადი ღორზე 120 წისქვილი თვალი 1, სრული წლით გადასახადი 120 ბადიჰავა, ჯურუმ ჯიბაიეთ,

525 გ. სოსიაშვილი, „ოსმალობა“ და პატარა ლიახვის ხეობა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქართულ-თურქული სამეცნიერო კონფერენცია, კონფერენციის მასალები, გორი, 2016, გვ. 62.

526 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 408.

527 ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, თბ., 1991, გვ. 486.

528 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მესამე, გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 031.

529 ი. ახუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

იავავე კაჩკუნ, ბეითალმალი ამევეხასე, მალი გაიფ მალი* მეფკუდ 200 ჯამი 10090.“[530]

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, გერის მოსახლეობა ოსმალური ხელისუფლების მიერ დაწესებულ რამდენიმე სახის გადასახადს იხდიდა, მათ შორის: ცხვარზე, ფუტკარზე, ღორზე. გერელებს გადასახადი ჰქონდათ შეწერილი ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, ისინი ნატურით იხდიდნენ: ერბოს, ქერს, ჭვავს, თივას და სხვ. დოკუმენტში, გერში, ისევე, როგორც ქართლის სოფლების დანარჩენ მოსახლეობაზე დაკისრებული სხვა სახის გადასახადებიც გვხვდება. მაგ: ბედიჰავას გადასახადი, ჯურუმჯიბაიეთ, იავავე კაჩკუნ, ბეითალმალი, ამევე ხასე, მალი, გაიფ მალი. ბადიჰავას გადასახადში, მკვლევართა ერთი ნაწილის შეხედულებით, შედიოდა სხვადასხვა სახის ჯარიმა: საქორწინო გადასახადი, მიწის თაფუ და სხვ. ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ ბადიჰავას გადასახადი დამნაშავეების ფულად ჯარიმას წარმოადგენდა.[531] როგორც ნ. გორგოძე აღნიშნავს: „ბადიჰავა უნდა იყოს გადასახადების ერთი ჯგუფის საერთო სახელწოდება. ამის საფუძველს იძლევა კანონ-ნამეები. წყაროებში ჯარიმები, „იავა, „კაჩკუნ,“ „მალი გაიფ“ და სხვა ერთადაა დასახელებული. ამრიგად, წყაროებიდან ჩანს, რომ ბადიჰავაში გაერთიანებული იყო რამდენიმე სახის გადასახადი, რომლის გადახდა მწარმოებელი საზოგადოების უშუალო ვალდებულებას წარმოადგენდა.“[532] დავთარში ოსმალური ტერმინოლოგიით მოხსენიებული სხვა გადასახადები, (მაგ. ჯურუმ ჯიბაიეთ), შესაძლებელია, წვრილმან გადასახადდებს წარმოადგენდა და „ბადიჰავას“ გადასახადების ჯგუფში შედიოდა.

გერში მცხოვრები გლეხები სახელმწიფო ბეგარასაც იხდიდნენ. ეს კარგად ჩანს XVIII საუკუნის ბოლოს შედგენილ ერთ დოკუმენტში, სადაც მღვრიას ხევის (პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადი) სოფლებში მცხოვრები იმ გლეხების ჩამონათვალია, რომელთაც დარჩენილი ჰქონდათ

---

*ქართულ საგადასახადო სისტემაში მალი ითვლებოდა სულად გადასახადად, იხ. *ვ. გაბაშვილი, ფეოდალური წყობილება საქართველოში, თბ., 1958, გვ. 199.* მკვლევრის განმარტებით „სათათრო მალი“ უცხო დამპყრობთა სასარგებლოდ დაწესებულ ხარკს ეწოდებოდა. მალი საგადასახადო ტერმინის მნიშვნელობით, საქართველოში თათართა ბატონობის დროს ვრცელდება.“ *იქვე, გვ. 251.* ვ. გაბაშვილი მიიჩნევს, რომ მალი უფრო გვიან სათათრო ელფერს კარგავს და სამეფო გადასახადებს შორის მთავარ ადგილს იჭერს... XVI-XVIII ს.ს. „მალი“ სათათრო ხარკს აღარ ნიშნავს.“ *იქვე, გვ. 253.* ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით, რადგან 1728 წლის თბილისის ვილაიათის დიდ დავთარში,“ მალი, როგორც გადასახადი, წარმოდგენილია სხვა ოსმალური გადასახადების გვერდით.

530 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 408.

531 ნ. გორგოძე, ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ქსნისა და არაგვის ხეობაში „თბილისის ვილაიეთის დიდ დავთრის მიხედვით“ (1728 წ.) მიხედვით, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 12, თბ., 2005, გვ. 426.

532 ნ. გორგოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 426.

ვალდებულებების შესრულება (ბეგარა). დოკუმენტის სრული სათაურია: „რაც რომ მღვრიას ხეობაზედ ბეგარა დარჩა აუღებელი ამას ქვეით წერია.“ საბუთში ვკითხულობთ:

„ქ. შულიურში დარჩა გუბეშვილის მთელი ბეგარა;

ქ. აქავ შულიურში დარჩა არჩივავანთ ბეგარა ნახევარი;

ქ. მარალეთში დარჩა კაბულაანთ ნახევარი ბეგარა;

ქ. აქავ მარალეთში დარჩა მოსე კაბულაშვილზედ ერთი თოხლი;

ქ. ყლარცვს დარჩა ჩუფილაშვილის ბეგარა სამი წილი;

ქ. აქავ ყლარცვში დარჩა ბადრი ყულუნბეგაშვილის ერთი თოხლი;

ქ. აქავ ყლარცვში დარჩა გოგიჩაშვილზედ სამი წილი ბეგარა;

ქ. აქავ თაბუანთზედ დარჩა ბუდაზედ ცხვარ-თოხლი;

ქ. თაბუაშვილს ფაცაზედ დარჩა ორი ცხვარი რომ ერედვში არის;

ქ. გერს ჩუჩურის ბეკოშვილზედ დარჩა მეოთხედი ბეგარა;

ქ. წიარს დარჩა არჩოშვილის ბეგარა ნახევარ ბეგარა რომ ერთი თხა გვიჭირამს

ქ. ალბორიანთ ბეგარა დარჩა სამი წილი ბეგარა;

ქ. ჭვრივს ტორიანთზედ და მაზიანზედ დარჩა ორისა ბეგარა;

ქ. აქავ ჭვრივს დარჩა საბანაშვილის ბეგარა ერთი მთელი ბეგარა;

ქ. აქავ ჭვრივს დარ საჩიანთზედ და მერთს ხაჩივას ბიჭებზედ ნახევარ ბეგარა.[533]

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, გერში იმ დროისათვის ბეკოშვილები ცხოვრობდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს საბუთი რუსულ ენაზე 1962 წელს გამოაქვეყნეს გ. თოგოშვილმა და ი. ცხოვრებოვმა. მათ რუსულად თარგმნილ დოკუმენტში, მღვრიას ხევის სოფლების მცხოვრებლებს გვარების დაბოლოებები შეუცვალეს, მაგ. კაბულაშვილი – კაბულოვად გადაიტანეს, თაბუაშვილი – თაბუევად, ალბორიშვილი – ალბოროვად და სხვ.

მღვრიას ხევის სოფლების მცხოვრებთა გვარების თვითნებურად გადაკეთება და მათთვის XVIII საუკუნეში რუსული დაბოლოებების მიცემა ადვილად წარმოსადგენია, რასაც ემსახურებოდა.

მკითხველს რომ სრული წარმოდგენა შეექმნას ზემოთქმულზე, თვალსაჩინოებისა და შედარებისათვის ვთავაზობთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დოკუმენტის დედანის ასლს, ასევე გ. თოგოშვილისა და ი. ცხოვრებოვის მიერ რუსულად თარგმნილ და გამოქვეყნებულ დოკუმენტს (იხ: ფოტო დანართი, გვ. 392-393).“[534]

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გერში თანდათან ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ოსები დამკვიდრდნენ. 1886 წლის აღწერით სოფელში აღრიცხულია 80 კომლი (344 კაცი, 227 ქალი, სულ 571 სული) ოსი,

533 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 5888.

534 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ფ. HD-საბ. №5888; История Осетии в документах и материалах, Составители: Г. Д. Тогошвили и И. Н. Цховребов, Цхинвали, 1962, стр. 241, №178.

რომლებიც სახაზინო უწყებას მიეკუთვნებოდნენ,[535] თუმცა მითითებულ კომლთა რაოდენობა, სავარაუდოდ, გერის ხეობის რამდენიმე სოფელში იქნებოდა.

როგორც ითქვა, სოფელ გერს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ქართლში განთქმული გერის წმინდა გიორგის ტაძარი, რომელიც განვითარებული შუასაუკუნეებით თარიღდება (იხ. დანართი).

1898 წელს გერის წმინდა გიორგის ტაძრის ირგვლივ ქვითკირის გალავანი აუშენებიათ.[536] მისი ნაშთები XX საუკუნის 70-იან წლებამდე იყო შემორჩენილი. ამის შესახებ სერგი მაკალათია წერს: „მთაზე ჩანს სოფ. გერი, რომელიც ხუთ უბნად არის გაყოფილი. სოფლის ზემოთ მაღალი კლდეა, სადაც გერის წმინდა გიორგის ეკლესია დგას. ეკლესიის მოედანი მცირეა, მას გალავანი აქვს შემორტყმული. გალავნის კარიბჭე ნაგებია თლილი ქვით და თავზე ამოკვეთილია ლომის თავი. ეკლესია ნაგებია ქვაფიქლით. წინათ აქ ძველი კოშკი ყოფილა, ის დაუნგრევიათ და ეკლესიისთვის ეკვდერი მიუშენებიათ 1879 წელს. ეკლესიის დასავლეთ მხარეზე მიშენებულია სამრეკლო. ეკლესია დარბაზულია, მოცულობით პატარა და ცარიელი. ეკლესიის გარშემო რაიმე სხვა სიძველე არ მოიპოვება. არის ორიოდე ქოხი, სადაცა ღამისმთევლები დგებოდნენ. გერის წმ. გიორგი ითვლებოდა ფსიქიკურად დაავადებულთა მკურნალად, რომლებიც გერში მიჰყავდათ და წმ. გიორგის მის განკურნებას შესთხოვდნენ.

გერის ეკლესიის აშენებაზე არსებობს ასეთი თქმულებაც: ქართლის მეფეს ფარსმანს (VI ს.) შეურთავს აფხაზთა მთავრის ასული ხვარაზმა, რომელსაც მოჰყოლია ვაჟი ვარამადსადი. ხვარაზმშას მზითევში ჰქონია მოჭედილი ნაწილიანი ხატი წმ. გიორგისა. მეფე უშვილო ყოფილა და სიცოცხლეშივე ეს ნაწილიანი ხატი თავისი გერისათვის (ვარამადსადისათვის) უბოძებია.

სპარსელების შემოსევისას მეფეს თავისი გერი მთაში გაუხიზნავს, მთის წვერზე აუშენებია ეკლესია და ხატიც იქვე დაუსვენებია, სოფელსაც ამის გამო გერი დარქმევია. გერის წმ. გიორგის ხატობა ქართლში ორ ადგილს იმართებოდა: სოფელ გერსა და არბოში. გერი იყო ამ ხატის მთის საბრძანისი, არბო კი – ბარისა. გერის შესახებ ასეთი თქმულებაც არსებობს: წმინდა გიორგი რომ უწამებიათ, ასო-ასო აუქნიათ. მისი მკლავი და თავი გერში დაუმარხავთ, ამ ადგილსაც ამის გამო თავგერი ეწოდაო. გერის გიორგის ძმებიც ჰყოლია: არბოს ჯვარი, ატოცის წმინდა გიორგი და სარკის წმ. გიორგი (ხვედურეთშია). გერისთობა იწყებოდა 27 აგვისტოს და გრძელდებოდა სამ კვირას: პირველი – თავგერითობა, მეორე შუაგერითობა და მესამე – გერის ბოლო. გერის ბოლო არბოში იმართებოდა და აქედან მლოცავები პირდაპირ იქ გადადიოდნენ. მლოცავები

535 Свод статистических данных о населении Закавказскаго края, извлеченных из посемейных списков 1886 г., издан по распоряжению Главноначальствующаго гражданскою частию на Кавказе Закавказским статистическим комитетом, Тифлисская Губерния, Горийский уезд, Меджврисхевский участок, Тиф., 1893, №1417.

536 გაზ. „ცნობის ფურცელი,“ 1898 წ. 25 ოქტომბერი, № 662, გვ. 3.

გერში ღამისთევით დგებოდნენ და იქ სხვადასხვა რიტუალს ასრულებდნენ – ხოხვით შემოუვლიდნენ ეკლესიას, ვისაც შეთქმული ჰქონდა, ისინი ცეკვითა და მუსიკით. მოჰქონდათ მრავალი სახის შესაწირი: სანთლისაგან გაკეთებული ადამიანის გამოსახულება თეთრებში გამოწყობილი, ბეჭდები, საყურეები და სამაჯურები. ვისაც შეთქმული ჰქონდა კისერზე რკინის ჯაჭვს –„დადიანურს“ დაიდებდა და ასე სამჯერ შემოუვლიდა ეკლესიას. მზის ჩასვლისას მლოცავი შეუდგებოდა ღამის თევის სამზადისს: აბინავებდნენ საქონელს, მორთავდნენ ბინებს და სხვ. დაღამებისას ეკლესიაში სანთლებს ანთებდნენ: გაისმოდა ხატის ქადაგის ვედრება.“[537]

გერის წმინდა გიორგის ტაძრის გალავანი 1924 წელს უნახავს სიძველეთმცოდნეს გ. ბოჭორიძეს.[538] ი. მეგრელიძე მიუთითებს, რომ გერის წმინდა გიორგის ტაძრისთვის XIX საუკუნის ბოლოს სენაკი მიუშენებიათ. სენაკის კარის მაღლა მკვლევარს შეუმჩნევია კედელზე გამოსახული, 1899 წლით დათარიღებული ჯვარი.[539]

გერის წმინდა გიორგის ტაძრის სიახლოვეს მლოცველებისთვის ღამის გასათევი სახლებიც იდგა.[540] ი. მეგრელიძე აღნიშნავს: „ძველი შენობაც რესტავრირებულია; ჩრდილოეთ კედელში ამ დროსაა (1899 წ.) ჩასმული ფანჯარა. აღმ. კედელში სარკმელია და მის ზევით ჩუქურთმებიანი ქვებიცაა... საყდარში ერთი ჯვრიანი ქვა ძევს. კედლის თაროში 45 პატარ-პატარა ზარია, რომლებიც სხვადასხვა დროსაა შეწირული.[541] ი. მეგრელიძის გადმოცემით, გერის ეკლესიას მონასტერსაც უწოდებდნენ[542] თუმცა, აქ მონასტრული ცხოვრების კვალი არ ჩანს. წვიმიანი ამინდების გამო გერში ასვლა მლოცველებს უჭირდათ, ამიტომ ვინც ვერ ადიოდა, სალოცავის დაბლა არსებულ ნიშთან ლოცულობდა. გერის ძირში, XX საუკუნის პირველ მეოთხედში სალოცავი წიფლის ხე უნახავს რუს მკვლევარს გ. ჩურსინს. ხეზე ორი-სამი ზარი ყოფილა ჩამოკიდული და ვინც სალოცავში ვერ ავიდოდა, აქაც შეეძლო ელოცა.[543]

როგორც ზემოთ მივუთითებდით, გერის ტაძრის დაარსებას „გერის ქრონიკა“ VI საუკუნეში მოღვაწე ქართლის მეფე ფარსმანს მიაწერს. „გერის ქრონიკის“ შემდგენელია სოფ. არბოს მკვიდრი დეკანოზი იაკობ ლომური, რომელსაც გერის ტაძარში უმსახურია და ტაძრის ისტორიაც სწორედ იქ შეუდგენია. „ქრონიკაში“ მოთხრობილია სოფელ გერის ისტორია და გერის წმინდა გიორგის ტაძრის დაარსების ამბავი. იაკობ ლო-

537 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 59-62.

538 გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გამოსაცემად მოამზადეს ზაზა სხირტლაძემ და ნატალია ჩიტიშვილმა, ინგა გოგობერიშვილის მონაწილეობით, თბ., 2011, გვ. 130.

539 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, II, თბ., 1997, გვ. 41.

540 იქვე, გვ. 42; გაზ. „ცნობის ფურცელი,“ 1898 წ. 25 ოქტომბერი, № 662, გვ. 3.

541 ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

542 იქვე, გვ. 40.

543 ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42; Труды Закавказской научной ассоциации. Серия 1, Тифлис, 1925, стр. 203.

მოური ცნობილი ხალხოსანი მწერლის ნიკო ლომოურის წინაპარი იყო.*[544] მის მიერ შექმნილი ქრონიკა 1911 წელს ეპისკოპოს კირიონის (მომავალში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II) ხელში მოხვედრილა, რომელსაც ხელნაწერი საქართველოს ეროვნული მუზეუმისათვის შეუწირავს. „გერის ქრონიკა“ ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.[545] ქრონიკაში ვკითხულობთ: „ჟამთა უკუე საქართველოს მეფე ფარსმან მეოთხის ბაკურ მეფის შემდეგისათა რომელმანცა ცოლად მოიყვანა აფხაზეთის დიდის თავადის თაქთორის ასული ხვარამზე, რომელსაცა ჰყვა პირველისთანა ქმრის წული, წოდებული ვარამისად. და ამას ხვარამზედა რა იქორწინა ხსენებულმან ფარსმან მეფემან, მისისა მდიდრულისა მზითვებისა გარდა ის ჰყვაცა შეჭედილი ხატი საღმთოისა გიორგისა რომელი მიუბოძა ახალთა რომის კეისარსა საბერძნეთისასა ნიჭად ერთგულობისა, ესე ვარამი გერი მისი ჰყვა ვითარცა მემკვიდრე თვისი მეფისა ვინათაგან თვით იყო უძეო, და სიცოცხლესა თვისსა, ხატი ესე ნაწილები დიდის გიორგისსა მოუბოძა მეფემან გერსა თვისსა და მიზეზისა გამო სპარსთა მიერ აოხრებასა ესე მეორედ ქართლისა ვერღარა ეძლო ფეხზედ დგომაი, არამედ აღმოუჩინა გერსა თვისსა, და მისცა ხეობაი ესე და მთა იგი, სადაცა ზდეურნი დიგალნი ოვსნი შემოასხნა და დააშენა ვაკესა მას ზედა, ხოლო წვერსა მისსა მთისასა ეკლესიაი, მისსავე სახელსა ზედა აღაშენა შუენიერი და არა დიდი, დიდისა მას სოფელსა უწოდა დიდი გერისა, ხოლო ზდება მისსა სახელსა ზედა ეკლესიასა დიდისა გერისთავი და შემდგომად აღშენებისა ამისა დიდისა სოფლის და მისისა ეკლესიისა, დედოფალი მიიცვალნეს და მერმეღა მეფეცა, დაშთა სახელითა ამით ადგილი იგი შემდგომად მეფეთგან საუფლისწულოდ იწოდებოდა, ვიდრე სახელოვანის მეფის თამარისადმე, ხოლო ამის რა ქართლსა შინა ჰყო სასურველი მშვიდობაი თვით ამისა დედოფლის წარსაგებელი აღშენებულს ვაკეზე ეკლესიისა შინა ბრძანა შთამოყვანება დიდის პატივით სასწაულმოქმედისა მის ნაწილსა და ვიდრე აქამომდე განისვენებს მას შინა, მცველი მეფეთა და ერთა.“[546]

„გერის მონასტრის ქრონიკაში“ დაცულ ცნობებს იმეორებს ასევე ალექსანდრე გარსევანიშვილი ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში: „არბოს ანუ გერით ხევის წმინდა გიორგის ეკლესიის აღშენებისათვის“, იგი გერის ქრონიკაში არსებულ ინფორმაციას ოდნავ განსხვავებულად გადმოგვცემს. მაგ. „ქრონიკაში“ ფარსმანის გერის სახელია ვარამი, ხოლო ალექსანდრე გარსევანიშვილის წერილში ვარამადსადი. „ქრონიკაში“ დედოფალს ჰქვია ხვარამზე, გარსევანიშვილის

544 * იაკობ ლომოურის სახელს უკავშირდება არბოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში გუმბათიანი ტაძრის აშენება. იაკობთან ერთად, ამ საქმეში მონაწილეობას იღებდა მისი ძმა იოსებ ლომოურიც. *გ. სოსიაშვილი, სოფელ არბოს ისტორიიდან, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ტ. I, გვ. 119-120.*

545 ვ. სიდამონიძე, გერის მონასტრის ქრონიკა, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1962 წ. 17 ნოემბერი, გვ. 3.

546 იქვე.

მიხედვით, – ხვარაზმშა. ალ. გარსევანიშვილი წერს: „ხოლო ადგილი იგი (გერი, – გ. ს.) დაჰშთა სახელითა ამით დღევანდლად დღემდე, რომელიცა შემდგომად მეფეთაგან საუფლისწულოდ იწოდებოდა. ვიდრე სახელოვნისა, და დიდებულისა და ძლევამოსილისა მეფისა თამარისადმდე. განაჩინა რა თამარმან სასურველი მშვიდობა ქართლსა შინა აღაშენა სოფელი არბო, წელსა თრპვსა (1186) და მუნ თვისითა წარსაგებელითა აღშენებულსა ვაკეზედ, ეკლესიასა შინა, ჰბრძანა დიდის პატივითა ჰშთამოყვანებაი საკვირველმოქმედისა და ძლევამოსილისა გიორგის ნაწილსა, თუესა აგვისტოსა. ხატი იგი აქამომდე განისვენებს მას ეკლესიასა შინა. მცველი და დიდი შემწე მეფეთა და ერთა მათთა. ამის მიზეზისათვის განწესებულ არს, იმ დღიდან ქართველ ერისაგან დღეობა 28-სა მარიამობისთთვისასა კვირა დღეს, რომელსაცა უწოდებენ გერისთობასა არბოობასა, სადაც შეიკრიბებიან სალოცავად მრავალნი ხალხნი, ქართლიდამ, იმერეთიდამ, ტფილისიდამ და კახეთიდამ."[547]*

ცნობილი ხალხოსანი მწერლის ნ. ლომოურის გადმოცემით, გერში წმინდა გიორგის თავის სარქველი ესვენა: „...ასვენია თავის სარქველი მოხსენებულის წმინდანისა...გაზაფხულდება თუ არა, დაიძვრის ამის მლოცავი და საქართველოს ყოველი კუთხიდან მოდის აქ შესაწირავი"....[548] იგივე ინფორმაციას გვაწვდის ზ. ჭიჭინაძე. მისი ინფორმაციით, როდესაც წმინდა გიორგი აწამეს, წმინდანის თავის ქალა გერში დააბრძანეს. სწორედ ამის გამო დაერქვა სოფელს გერის თავი: სამას სამოცდა სამი წმინდა გიორგის თავი გერის ეკლესია არისო. როცა წმიდა გიორგი სამას სამოცდა სამ ნაწილათ დასჭრესო, მაშინ თავი გერში მოიტანესო, ამიტომ ეძახიან გერის თავს. ესე იგი ცოტა გადასხვაფერებული სიტყვა გიორგის თავი. ასევე ითქმევა კახეთის თეთრი გიორგის შესახებ, რომელიც გერის ეკლესიის შემდეგ პირველი სასწაულთ მოქმედათ ითვლება მთელ საქართველოში, ესე იგი, იმის სახელიც გადასხვაფერებულიაო და ნამდვილი სახელი თეთრი გიორგი კი არ არი, თითი გიორგია, რადგანაც წმიდა გიორგის იმ მარჯვენა ხელის თითი იმაშია ნაწილათ. მთელ კავკასიაში იმდენი მლოცავი არც ერთ ეკლესიაში არ მიდის, რაც გერში და თეთრი გიორგში მიდის. კავკასიაში ისეთი ადამიანი ძვირათ იქნება, რომ ეს ორი ეკლესიის სახელი არ ჰქონდეს გაგონილი."[549]

როგორც „გერის მონასტრის ქრონიკიდან" ჩანს, გერში დაბრძანებული იყო წმინდა გიორგის ნაწილებიანი ჭედური ხატი. საინტერესოა, რომ ქართლში ასეთ ცნობილ სალოცავს, ვახუშტი ბატონიშვილს თავის აღწ-

547 * *ალ. გარსევანოვი, არბოს აბო წმინდის გიორგის ეკლესიის აღშენებისათვის, ჟურნ. „ცისკარი," 1866 წლის სექტემბერი, გვ. 3-4.* არ გამოვრიცხავთ, რომ ლეგენდა, რომელიც გერის სალოცავს აფხაზეთიდან წმინდა ნაწილებიანი ხატის გადმობრძანებას უკავშირებს, X საუკუნეში შიდა ქართლში აფხაზთა მეფეების მიერ განხორციელებული ექსპანსიის გამოძახილი იყოს. *გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, თბ., 2017, გვ. 73-75.*

548 ნ. ლომოური, მოთხრობები, თბ., 1955, გვ. 72.

549 ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, ტფ., 1913, გვ. 184-185. http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/6236/3/oseTis%20istoria.pdf

ერაში არ იხსენიებს. გერის მიდამოებზე საუბრისას დიდი გეოგრაფი და ისტორიკოსი აღწერს მხოლოდ სპარსის წმინდა გიორგის ტაძარს: „კეხვის აღმოსავლეთიდამ ლიახვს ერთვის ხევი სვერსა და ქემერტს შუა ჩამოვარდების ჩრდილოდამ გამოსდის ამასა და გერის შორის მთას. ამ მთის თხემზედ არს ეკლესია სპარსის წმინდის გიორგისა და არს ხატი დიდი ოქროსი. კვლავად სვერიდამ წარივლის მთა ტყიანი ჩრდილოთ, და სადაცა მოდრკების ლიახვი, მოდრკების მთა ესეცა წარივლის აღმოსავლით და მიადგების გერის მთასა.“[550]

ვახუშტის მიერ მოხსენიებული სპარსის წმინდა გიორგის ტაძარი მდებარეობს დიდი ლიახვის ხეობაში სოფ. ძარწემის ჩრდილოეთით 3-4 კმ-ის დაშორებით.[551] საინტერესოა, რატომ გამორჩა ვახუშტის ექსპედიციას გერის წმინდა გიორგის სალოცავი და წმინდა გიორგის ნაწილებიანი ხატი? ხომ არ გააიგივა მან სპარსის და გერის წმინდა გიორგის ხატები? გერის წმინდა გიორგის ტაძარში დაბრძანებული ყოფილა გერის დიდი ჯვარი, რომელიც XIX საუკუნეში ქსნის ერისთავებმა იკორთის წმ. აბოს ეკლესიაში გადაიტანეს. ჯვარზე ცნობილ ფრანგ ქართველოლოგს, მარი ბროსეს ასეთი წარწერა ამოუკითხავს: „შემოგწირე მე თავყელაშვილმა დავით, წმინდასა გიორგის გერისათვის, ჩვენის სულის საოხებოთ, ჩემი შვილის სადღეგრძელოდ. ვინც წაიკითხოთ, შენდობა ბრძანეთ.“[552]

გერის წმინდა გიორგის ტაძარი მორწმუნეებში ძალზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. კ. ბერძნიშვილის ცნობით, მლოცველები მოდიოდნენ არა მხოლოდ ახლომდებარე სოფლებიდან, არამედ საკმაოდ შორიდანაც, ოჯახებით: „აკვანში ჩაკრული თოთო ბავშვებით,“ საგზლის სახით მოჰქონდათ „ხაჭაპურები, ხაბაზგინები, ბურახი, ლუდი, ვოტკა.“[553]

აღსანიშნავია, რომ წირვის დასრულების შემდეგ იმართებოდა საერო სასამართლო პროცესი. კ. ბერძნიშვილს აღწერილი აქვს „გერისთობის“ დღესასწაული, რომელსაც ოცი სოფლის წარმომადგენლები დასწრებიან და წირვის შემდეგ გამართულა 12 მოდავე წყვილის სასამართლო, რომელიც, სტატიის ავტორის აზრით, მოსამართლეს „ზედმიწევნილათ და კანონისამებრ ყველა კარგად გადაუჭრია სამართალი და არა მიდგომით.“[554]

გერის წმინდა გიორგის ტაძარი დიდი პატივისცემით სარგებლობდა არამხოლოდ ქართველ მლოცველებში, არამედ გერის ხეობაში ჩამოსახლებულ ოსებშიც, რომლებიც გერის წმინდა გიორგის სალოცავში სხვადასხვა რიტუალებს ასრულებდნენ. წმინდა გიორგის პატივსაცემად იკვლებოდა საკლავი, იხარშებოდა ლუდი, სკიდან თაფლს იღებდნენ და

550 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 77.

551 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 78-80.

552 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 41.

553 ოსების გერისთობა კონსტანტინე ბერძენოვისა, „ცისკარი“, 1870 წლის ივლისი, გვ. 387-399.

554 იქვე, გვ. 392.

სალოცავში სიმღერით და ცეკვით მიემართებოდნენ, სადაც დეკანოზები ხვდებოდნენ.[555]

გერის სალოცავში დაწყებული დღეობა – გერისთობის დღესასწაული[556] არბოს წმინდა გიორგის სალოცავში გრძელდებოდა. გერში ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდანაც მოდიოდნენ მლოცველები.[557] ამის შესახებ გაზეთში „ცნობის ფურცელი“ გამოქვეყნებულ წერილში ვკითხულობთ: „ამ ეკკლესიის დღეობა დაიწყობა 15 მარიამობისთვიდგან და თავდება 10 გიორგობისთვეში. ამ დროის განმავლობაში, ოცი ვერსის მანძილზედ კაცი მხარს ვერ აუქცევს ჩარდახიან ურმებს, ბაწარაღებით მომავალს ცხენოსნებს და ფეხშიშველა მლოცავ დედაკაცებს. თითოეულ ურემს, უეჭველად თითო კურატი უბია წვრილფეხი საქონელი, ან ერთი ცხვარი. გერის ეკლესიაში დაიკვლის ასობით კურატი და ათასობით ცხვარი და ბატკანი. ციცაბო კლდეებზედ დიდი გაჭირვებით ადიან მლოცავები, თუ ძლიერ კაი ხარ-კამეჩი არ ჰყავთ, ძნელად თუ ეკკლესიამდინ მიაღწევენ. ურმებს მთის ძირში დატოვებენ და თვითონ ფეხით ადიან. მლოცველებმა უეჭველად ერთი ღამე უნდა უთიონ ცის ქვეშ.“[558] რელიგიურ რიტუალს, ქართველი სასულიერო პირის გარდა, გერის წმინდა გიორგის ტაძარში ოსი მნათეებიც ასრულებდნენ: „ამ ღამეს დაანთებენ დიდ ცეცხლებს, რავდენიმე ოჯახი ერთად შეერთდებიან, მთელ ღამეს არა სძინავთ ლხინითა და ქეიფით ათენებენ. რამწამს ირაჟრაჟებს, აიშლებიან მლოცავები და მიეხვევიან ეკკლესიის კარებს. ეკკლესია ძლიერ პატარაა, ძველებურია, ჭედვით მოთავსდება შიგ ორმოცი სული, ორი მნათე ოსი სდგას ეკკლესიის კარებში აქეთ-იქით ხალხი ჯერ იმათთან მივა, იმათ თვითო ყანწი არაყი უჭირავთ ხელში და ამწყალობებენ ოსურ ენაზედ, მერე ეკლესიის კარებზედვე მიყვანილ კურატს, ან ცხვარს მოკიდებული წმინდა სამთლით შესტრუსავენ თავებს და იქვე მდგომი, გაშიშვლებული ხანჯლებით ოსები, დასტაცებენ ხელს საკლავს, დაჰკლავენ, თვალის დახამხამებაზედ გაატყავებენ, გასჩეხავენ საკლავს შუაზედ, ნახევარს პატრონს მისცემენ, ნახევარს და ტყავს თვითონ წაიღებენ.“[559]

გერის უმცროს ძმებად ითვლებოდა არბოს წმინდა გიორგი, ასევე ატოცის და სარკის წმინდა გიორგის სალოცავები.[560]

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ 1609 წლით დათარიღებულ ლუარსაბ I-ის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ წყალობის წიგნში, არბო გერის

555 მ. გაჩეჩილაძე, სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა, თბ., 1996, გვ. 61.

556 ნ. ღამბაშიძე, ქართული ხალხური და საეკლესიო დღესასწაულები, თბ., 2011, გვ. 86-87.

557 გ. სოსიაშვილი, სოფელი გერი და გერისთობის დღესასწაული, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფ. ლელა მელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, კონფერენციის მასალები, 2012, გვ. 49-50.

558 გაზ. „ცნობის ფურცელი,“ 1898 წ. 25 ოქტომბერი, № 662, გვ. 2-3.

559 იქვე, გვ. 3.

560 გერისთობის დღესასწაულის შესახებ: გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 96-110.

„მთავარმოწამის საყდრის“ „შესავლად,“ ანუ, მის საკუთრებაში არსებულ სოფლად იხსენიება.[561]

გერის სალოცავში, გერისთობის დღესასწაულზე, ხშირად იკრიბებოდნენ ქართული ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები. სწორედ ამ სალოცავში უნახავს ცნობილ ხალხოსან მწერალს, ეკატერინე გაბაშვილს ყმაწვილი ივანე მაჩაბელი, რომელიც სამოციქულოს კითხულობდა. ე. გაბაშვილი იგონებს: „ცხრა თუ ათი წლისა ვიქნებოდი, როდესაც პირველად ვნახე ვანო მაჩაბელი, იმ დროს ციებამ დამიგდო და ბებიაჩემმა მკითხავის რჩევით გერისთავში წამიყვანა. ეკლესიის ეზო სავსე იყო ხალხით და დაჩარდახული ურმებით. აქა-იქ დიდი ლხინები იყო გაჩაღებული და ჩვეულებრივი ჯვარობის ჟრიამულისაგან ყურთასმენა აღარ იყო, მამაჩემს ხელმოკიდებული დავყავდი გერში და მიხსნიდა გერისთობის ბაზრის მნიშვნელობას ზემო ქართლის ცხოვრებაში. ეკლესიაში წირვა იდგა. ხალხი შედიოდა ხატის სამთხვევად და პარაკლისის გადასახდელად, ჩვენც იქითკენ ვიწევდით, რამდენადაც ხალხის ტალღა ნებას გვაძლევდა. უცებ ხმა გავარდა სამოციქულოს სულ პაწაწინა ბავშვი კითხულობსო და ხალხი უფრო აჩოჩქოლდა და ეკლესიის შესავალს მიაწყდა. მამაჩემმა ფეხს აუჩქარა, ხელი უფრო მაგრად ჩამჭიდა და რამდენიმე წამის შემდეგ ეკლესიაში შემიყვანა. ხატების წინ მრავალი სანთელი ენთო, მაგრამ ეკლესიაში მაინც ბნელოდა, პატარა საყდრის ვიწრო სარკმლებიდან საკმაო სინათლე არ შემოდიოდა და ხალხს ვერ ატანდა. ამ ბინდში მკაფიოდ მოჩანდა მხოლოდ ხელში აყვანილი რვა წლის ბავშვი, რომელსაც მარჯვენა ხელში კელაპტარი ეჭირა და წინ გადაშლილ უშველებელ წიგნს კითხულობდა.“[562]

გერისთობის დღესასწაულზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის XIX საუკუნის მეორე ნახევრის პუბლიცისტი, გაზ. „დროების“ კორესპონდენტი გიორგი ლიახველი (ჩოჩიშვილი): „მზე ჩასვლას აპირებდა, როდესაც ჩვენ მივაღწიეთ სოფ. გერს. ამ სოფელში ერთ კლდეზე იმყოფება ეკლესია, რომელსაც გერის წმინდა გიორგის ეძახიან. სწორედ ამ ეკლესიის დღეობა იყო, როდესაც ჩვენ იქ ავედით. საყდრის წინ გაშლილა ტრიალი მინდორი; აქ ხშირად იმართება სხვადასხვა თამაში; მარულა, კრივი, ჭიდაობა, და სხვანი. მინდვრის ნაპირას არის ერთი ძველი მუხა, რომლის ქვეშ იმართება ხოლმე ქეიფი. აქ გამოისმის ოსური სიმღერები ვასჯირჯიზე (წმ. გიორგი), ვაჩილაზე (წმ. ილია) და სხვ. იმ ღამეს იქ მოვისვენეთ. მეორე დილით გავხდით მოწამედ ერთის საზარელის სანახაობისა – კლდიდან ერთი შეშლილი ქალი უნდა ჩაეშვათ. დილაადრიან გამოვედით კლდეზე და ვუცდიდით შეშლილის მოყვანას. დიდხანს აღარ ველოდეთ. ორ შეიარაღებულ ოსს მოჰყვანდათ შვენიერი გასათხოვარი ოსის ქალი.

561 დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ავტორები: ქართველიშვილი თეა, ბაინდურაშვილი ხათუნა, გელაშვილი ირაკლი, გოგოლაძე თამაზ, შაორშაძე მაია, ჯოჯუა თემო, რედ. მზია სურგულაძე, ტ. I, თბ., 2019, გვ. 89.

562 ვ. ჭელიძე, ივანე მაჩაბელი, თბ., 1968, გვ. 22-23.

მოიყვანეს თუ არა კლდის პირას გაატიტვლეს შეუკრეს ხელები და თოკებით კლდიდან გადაუშვეს დაჰყვიროდნენ ზემოდან: „მალე სთქვი შენი ეშმაკების სახელები, საწყალ ქალს სახელების დარდი არა ჰქონდა. იგი ჰყვიროდა გულსაკლავად – კლდის ალმასივით ქვებით ტანი ეკაწრებოდა, სისხლში იყო მოსვრილი, მისი ტირილი და ხვეწნა ამაოდ რჩებოდა, ქალის ძმა ამ ჟამად აქ იმყოფებოდა და ეუბნებოდა ხალხს თუ არა სთქვა სახელები ეშმაკებისაო, რომ ქაღალდზე დავწეროთ და ცეცხლში ჩავაგდოთო.“ როგორც გიორგი ლიახველი გადმოგვცემს, საბოლოოდ ქალს ათქმევინეს ეშმაკების სახელები: ცოფრხან, თოყმიზ და ბეთრყან, შემდეგ ეს სახელები ქაღალდზე დაწერეს და დაწვეს, თუმცა ნაწამები ქალი მალე გარდაიცვალა.[563]

გერის წმინდა გიორგის სალოცავში ფსიქიკურად დაავადებული ავადმყოფების „განწმენდის“ შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ზაქარია ჭიჭინაძეც. მისი გადმოცემით, გერის სალოცავში ასულ სნეულებს ტაძრის მნათე ავი სულების სახელებს ეკითხებოდა: „ეშმაკებს და დევებს გერის ხატისა ძალიან ეშინიანთო, ამიტომ ბნედიანები და გიჟები ძალიან ხშირათ მიჰყავთ გერში, რომ მოარჩინონ და ეშმაკებიც მოაშორონ. როცა გიჟებს გერში მიიყვანებენ, მაშინ მნათეები კითხავენ! შენი ეშმაკების სახელები გვითხარიო? თუ არა გცემთ და კლდიდან გადაგაგდებთო. და მართლაც, თუ არ უთხრა ეშმაკიანმა თავის ეშმაკების სახელები, მაშინ თოკით შეკრავენ, სცემენ და უზარმაზარი კლდეზე გადააყუდებენ. მაშინ ზოგიერთი ეშმაკეული გიჟები ყვირიან კლდიდგან რომ გადამაგდოთ მაშინაც არ გეტყვი ეშმაკების სახელს, რადგანაც კლდის ძირში ბამბა არის დაფენილი და არ მეშინიან, რომ გადამაგდოთ ესე იგი ისე აჩვენებს, რომ თითქო კლდის ძირში ბამბა დააფინეს. მხოლოთ თუ უთხრა თავის ეშმაკების სახელები, მაშინ მნათეები დაწერავენ ქაღალდზე და მერე ანთებულ საცეცხლოში დასწვავენ იმ ქაღალდს და მაშინ ღვთისა და წმინდა გიორგის მადლით ეშმაკებიც იწვებიან და ადამიანიც თავისუფლდება მათგან; მხოლოთ თუ არ უთხრა ეშმაკების სახელებიო, მაშინ იცოდეთ, რომ იგი სულიერათ და ხორციელათ მათია, ესე იგი, ეშმაკებისა.“[564]

მლოცველების რწმენით, გერის წმინდა გიორგის ტაძარი ფსიქიკურად აშლილ ადამიანებს ბოროტი სულების განდევნაში ეხმარებოდა. ამის შესახებ გაზეთ „ცნობის ფურცელის“ 1898 წელს გამოქვეყნებული კორესპონდენციაც გვამცნობს. შეშლილი ადამიანების კლდეზე გადაკიდების ტრადიცია, როგორც ირკვევა თანდათან იკრძალებოდა, თუმცა მსგავსი რიტუალი XIX საუკუნის ბოლომდე მაინც შემორჩა: „... ეხლაც მოჰყავთ ჭკუაზე შეშლილები გერში, მაგრამ ადგილობრივი მღვდელი ნებას აღარ აძლევს კლდეზე გადაკიდვისას,“ – იუწყებოდა „ცნობის ფურცელი.“[565]

563 გაზ. „დროება,“ 1883 წ. 18 აპრილი, №77.

564 ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, ტფ., 1913, გვ. 185. http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/6236/3/oseTis%20istoria.pdf

565 გაზ. „ცნობის ფურცელი,“ 1898 წ. 25 ოქტომბერი, № 662, გვ. 3.

გადმოცემით, გერის წმინდა გიორგის სალოცავი ეპილეფსიით დაავდებულების, მუნჯების და დახუთული ადამიანების მკურნალად ითვლებოდა. ეპილეფსია სალოცავისადმი შეცოდების გამოვლენად მიაჩნდათ. გერში ასული მლოცველები ქედზე დიდ ჯაჭვს დაიდებდნენ და სალოცავს სამჯერ უვლიდნენ გარშემო. აკად ივ. ჯავახიშვილს ასეთი ჯაჭვი უნახავს გორიჯვრის ტაძარში: „ამ საყდარში (იგულისხმება გორიჯვრის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, – გ. ს.) ინახება დიდი მძიმე რკინის ჯაჭვი. როცა მლოცველი, რომელსაც წმიდა გიორგისათვის შეთქმული აქვს, ეკლესიის კარზე მივა, ამ რკინის ჯაჭვს კისერზე დაიდებს და სამჯერ გარს შემოუვლის ხოლმე. ამ შემთხვევაშიც შენახულია ძველი ადამიანის მსხვერპლის შეწირვის სიმბოლური ჩვეულება.“[566] ამ ჯაჭვს „დადიანი“ ერქვა. ასეთივე ჯაჭვები იყო არბოსა და ზერტში.*[567] სარიტუალო ჯაჭვი ჯერ კიდევ წარმართობის დროს არსებობდა, მას იხსენიებს სტრაბონი: „ალბანელები... ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსს და მთვარეს, გამორჩევით-მთვარეს, მისი სალოცავი არის იბერიის მახლობლად. ქურუმობს კაცი უწარჩინებულესი მეფის შემდეგ, ის განაგებს ტაძრის მიწას და ტაძრის მონებსაც, რომელთაგან მრავალნი, შთაგონებულნი, წინაწარმეტყველებენ ხოლმე. მას, რომელიც უფრო მეტად იქნება შთაგონებული და მარტო დაეხეტება ტყეში, დაიჭერს ქურუმი, შეკრავს წმინდა ჯაჭვით და ერთი წლის განმავლობაში საგანგებოდ ჰკვებავს.“[568]

ცნობილია, რომ მთვარის კულტი, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, წმინდა გიორგის კულტმა ჩაანაცვლა. საგულისხმოა, რომ არბოს წმინდა გიორგის ბაზილიკური ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე სავსე მთვარეა გამოსახული. სავსე მთვარის გამოსახულებას ვხვდებით ასევე ნიქოზის მთავარანგელოზის ტაძრის ჩრდილოეთ ფასადზეც, წმინდა გიორგის ბარელიეფის გვერდით. რკინის ჯაჭვი, რომელიც მთვარის ღვთაების სარიტუალო ნივთი იყო, წმინდა გიორგის სახელობის ტაძრებში გვიანპერიოდამდე შემორჩა. ძველ საქართველოში ჯაჭვი დასჯის იარაღიც იყო და საკულტოც.[569] რკინის ჯაჭვს ქართლში არსებულ წმინდა გიორგის ტაძრებში მისული მლოცველები მხრებზე იდებდნენ და ტაძარს გარშემო

566 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 54.

567 ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, ტ. II, გორი, 1999, გვ. 150.

* ე. მამისთვალიშვილის განმარტებით, საკულტო ჯაჭვის ამგვარი სახელწოდება სამეგრელოს მთავრებს – დადიანებს უკავშირდებოდა. დადიანები დამნაშავეებს სპეციალური ჯაჭვით აბამდნენ. ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი. მისი ცნობით: „ამგვარად საქმე გვაქვს დასასჯელად გამოყენებულ ჯაჭვთან, რომლის ერთ-ერთი ნიმუში სიგრძით 6,6 მეტრი ყოფილა. გორისჯვრის ჯაჭვი, როგორც ითქვა, რიტუალური დანიშნულებით გამოიყენებოდა „დადიანისგან“ განსხვავებით, მაგრამ მასაც იგივე სახელი ერქვა.“ *ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, ტ. II, გორი, 1999, გვ. 151.*

568 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 134.

569 მ. მგელაძე, დასჯის ფორმები განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ჩვეულებით სამართალში, „ქართული წყაროთმცოდნეობა,“ XXI, 2019, გვ. 59-61.

ხოხვით უვლიდნენ. სცოდნიათ ასევე ბამბის სარტყლის შემორტყმა და სხვა რიტუალები.[570]

სალოცავის კარზე მიყვანილ ავადმყოფთა განკურნების, მათგან ავი სულების განდევნის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გერის წმინდა გიორგის ტაძარში ჩატარებული რელიგიური რიტუალის თვითმხილველი პროფ. ს. მაკალათია: „სულით ავადმყოფებს წინათ გერში კლდეზე თავდაღმა დაჰკიდებდნენ თურმე. აქ დღესაც დაცულია ეს ადგილი და იგი გალავანში შესასვლელი კარების მარცხენა მხარეზეა მოთავსებული. ჩამოსაკიდი კლდე მაღალია და კედელივით დაქანებული, საიდანაც გადაცქერაც კი გულშემზარავია. სულით ავადმყოფს გერითობას ამ კლდესთან მიიყვანდნენ, თოკით შეკრავდნენ, მას მუხლებზე მნათე ხელს მოჰკიდებდა და ეტყოდა: „სთქვი შენი ეშმაკის ცოლის სახელიო.“ ხალხის გადმოცემით, ეშმაკის ში'ით ავადმყოფი სდუმდა და არ პასუხობდაო. მაშინ მას ხანჯლების მოღერებითა და თოფის სროლით აშინებდნენ, რომ ეთქვა მისი ეშმაკის სახელი დაშინებული ავადმყოფი ზოგჯერ თავისი ცოლის ან ნაცნობი ქალის სახელს იტყოდა.“[571] ხალხის რწმენით, ავი სული ავადმყოფს შეუჩნდებოდა და არწმუნებდა, რომ არაფერი ეთქვა და თუკი კლდიდან გადააგდებდნენ, მას დაბლა ბამბა და ბუმბული დახვდებოდა დაგებული. მის გამო, ავადმყოფი არაფერს ამბობდა. ბევრი მცდელობის შემდეგ იგი დაიძახებდა უცნაურ ქალის და მამაკაცის სახელებს: (ქეთუშხან, კატუშხან და სხვ.) და მამაკაცის სახელებს (ილისხან, გულისხან). ამ სახელებს მნათე ქაღალდზე დაწერდა. შემდეგ ავადმყოფს კლდიდან ამოიყვანდნენ, თოკს შეხსნიდნენ და ამ ქაღალდს ცეცხლში წვავდნენ. მათი წარმოდგენით, ამის შემდეგ ავადმყოფი განიკურნებოდა. ს. მაკალათიას სტუმრობის დროს ის მხოლოდ ღრმად მოხუცებს ხსომებიათ.[572]

გერში ღამის თევით ასულ მლოცველებს მრავალი შესაწირი მიჰქონდათ. მათ შორის: სანთლისგან გაკეთებული ადამიანის გამოსახულება, ბეჭდები, საყურეები და სამაჯურები და სხვ.[573] გერის წმინდა გიორგის სალოცავში მისული მლოცველები ზოგჯერ თეთრ ხალათებით და ხილაბანდებით შემოსილები ლოცულობდნენ.[574] გერში ასული მლოცველების შესახებ 1898 წელს გაზეთში „ცნობის ფურცელი“ – ვკითხულობთ: „თითქმის ყველა შეკვეთილ მლოცავს, თავით-ბოლომდე უნდა ეცვათ უეჭველად ან თეთრი, ან წითელი მიტკლის ტანისამოსი, რომლებსაც დაიხდიან და ეკკლესიის კარებთან დაჰყრიან. მაშინ ნება აქვთ თავის ტანისამოსი ჩაიცვან.“[575]

570 თ. კოშორიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი შიდა ქართლში, ხელნ. 2014, გვ. 98.

571 გსიემ 5942, 10.

572 თ. კოშორიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი შიდა ქართლში, გერითობა/გერისთობა, ხელნ. 2014, გვ. 98.

573 იქვე, გვ. 98.

574 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, გვ. 62.

575 გაზ. „ცნობის ფურცელი,“ 1898 წ. 25 ოქტომბერი, № 662, გვ. 3.

როგორც აღვნიშნეთ, გერისთობის დღესასწაულზე, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდნენ მლოცველები და შესაწირი მოჰყავდათ. გერის წმინდა გიორგის ტაძარს მოსალოცად გორის მაზრაში მცხოვრები სომხებიც სტუმრობდნენ.[576]

გერის წმინდა გიორგის სალოცავის კარზე სასტიკად იყო დაგმობილი ქურდობა, რაც წმინდა გიორგის სხვა სალოცავებში ოსების აზრით დაშვებული იყო. ზემოთ მითითებულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ წერილში, რომელსაც ხელს ვინმე მართალაძე აწერს, ამის შესახებ აღნიშნულია: „საკვირველი ის არის, რომ ქურდი ოსების აზრით, არც ერთ წმ. გიორგის არა სწყინს ქურდობა; მაგრამ გერის წმ. გიორგი კი არ ყაბულობს. ეკკლესიის ახლო-მახლო ჯერ ქურდობა არ მომხდარა, თუ დაჰკარგავს ვინმე რასმე, ნაპოვარსაც კი მაშინვე ეკკლესიის კარებზე მიიტანს და დასდებს.“[577]

გერისთობის დღესასწაული ძალზე პოპულარული იყო არა მხოლოდ ქართლში, არამედ მთელ საქართველოში. „მწყემსის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ გიორგი ლიახველის კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „...ჩვენგან მოხსენიებული გერის ძუარი (ჯერი ძუარ) იმყოფება გორის მაზრის ოსეთში, ერთ მაღალ კლდის წვეროზე. იქვე ძუარის გვერდზე იმყოფება აწ დანგრეული კოშკი. თვით ეკლესიის აღმშენებლად ოსები „თამარ წყნარს“ სთვლიან, მაგრამ იგი დანგრეული კვლავ აღუშენებია „ოსურ სასულიერო კომისიას“ 1818 წელს. ძნელად მოიპოვება გორის მაზრაში და საზოგადოდ მთელ ქართლშიაც (არბოს მეტი) იმისთანა სალოცავი, რომელშიაც მოდიოდეს ამდენი მლოცველები, როგორც გერში. ამ სალოცავს ესტუმრებიან ხოლმე თვით „ოქროს ფოთლიდამაც“ (კახეთიდამ), თრიალეთიდამ, სოფ. ლილოდამ (თბილისის მაზრაში), სადაც გარდასახლებული ოსები სცხოვრობენ (ლილოში ოსების გადასახლება, ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს ერთ ფაქტთან, 1771 წელს ერეკლე II-მ სამეფო კარისაგან განდგომილი მაჩაბლები თავიანთი გლეხებით ლილოში გადაასახლა[578]) და სხვ. ჩვენ დავესწარით მარიამობისთვის 26-ს ამ ძუარის დღეობაზე. უკანასკნელი ოქროს ფეროვანი სხივიღა ეალერსებოდა ამ ძუარს, როდესაც მე და ჩემი თანამოგზაური გიტა ცხენებით ავდიოდით ერთ ვიწრო ბილიკზედ და დიდი მანძილიც აღარ გვქონდა დასავლელი წმიდა ალაგამდის, გზაზედ შემოგვხვდებოდნენ ხოლმე მრავალნი ქართველნი, რომელნიც წინ მიერეკებოდნენ ბატკნებს სამსხვერპლოდ. სიტყვაზე „გწყალობდეთ,“ მათგან გამოისმოდა ჩვეულებრივი გულწრფელი ქართველური სალამი: „თქვენი მწყალობელიც იყოს“ მობინდდა, ჩვენ ავედით ძუარში, მყუდრო მკვდარმა ბუნებამ ქართლის ახლო-მახლო სოფლებისამ, აქ სხვა ხასიათი მიიღო: გრილი ლიახვის ქარი გვიბერავდა ხეობიდამ და საზამთროდ მოგვაწყო. ღამე იყო მშვენიერი, განიერი მინდორი სალოცავის წინ ერთბაშად აიმსო ცეცხლებით; ზურნის, მუზიკა, დაირის ხმა, ლეკური, სუფრული და „წმიდა გიორგო ცხოველო,

576 გაზ. „ცნობის ფურცელი,“ 1898 წ. 25 ოქტომბერი, № 662, გვ. 3.
577 იქვე..
578 გ. სოსიაშვილი. სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005, გვ. 130.

შენს სალოცავად მოველო“-ს სიმღერა უნებურად მოიყვანდა კაცს აღტაცებაში. შორი ახლოდამ, მთვარით განათებულ ღამეში, ჩვენ გადმოგვყურებდა ვერცხლის-ფეროვანი მოხუცებული ბრუთ-საბძელი, რომელსაც თითქო ესიამოვნებოდა ხალხის პატივისცემა თავის მოძმისადმი (ბრუთი-საბძელიც ძუარია)... გრძელი ბაასის შემდეგ მღ. გრ. და ალ. ქოქოშვილებთან, რომლებმაც ბევრი საინტერესო ცნობები გადმომცეს ამ ეკკლესიაზე, მის წარსულზე და სხვ. ჩვენ დავრჩით მეორე დილამდე. სხვათა შორის, მე უნდა ვაცნობო ის საშუალება, რომელსაც ოსები ხმარობენ შეშლილების მორჩენისათვის ამ ძუარში. შეშლილს (ქალია თუ კაცი) გაატიტვლებენ ხოლმე სულ მთლად, შეჰკრავენ თოკებით და ჩაუშვებენ ერთ მაღალ კლდეზე, ზევიდამ სცემენ, აგინებენ, ესვრიან ქაღალდით გატენილ დამბაჩებს და ზევიდამ დასძახიან: „გვითხარი რა ჰქვიან შენს ეშმაკებს, თორემ მოგკლავთო.“ საწყალი, როდესაც მეტისმეტად შეწუხდება და უფრო შეიშლება ჭკუაზე, ისვრის რაღაც სიტყვებს, რომელთაც ოსები ქაღალდზე დასწერავენ და ცეცხლში ჩააგდებენ, „ეხლა მორჩებაო“, მაგრამ მორჩენის მაგივრად ზოგჯერ ამისთანა პირნი საუკუნო განსვენებასაც მიეცემიან ხოლმე. ადგილობრივი მღვდელი მ. გრ. ქოქოევი, რომელიც, პირმოუთვნელად რომ ვსთქვათ, ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ჩაითვლება გორის მაზრის ოსეთის სამღვდელოებისა, ბევრი ებრძოლა და ებრძვის ამ ჩვეულებას და შეამოკლა კიდეც ამისთანა ცრუმორწმუნეობის რიცხვი; ჩემ იქ ყოფნის წინა დღესაც ამოეყვანათ ერთი შეშლილი ოსი, ჯიბალაშვილი, კლდიდამ გარდასაშვებლად, მაგრამ მ. ქოქოევის სიტყვებმა გამოაცვლევინეს განძრახულება და იგი დაბრუნდა შინ. გერის ძუარში რომაელების პონტიფეხებივით იმყოფებიან „დეკანოზებიც“, მაგრამ აქ მათ ისეთი მნიშვნელობა და გავლენა არა აქვსთ, როგორც სხვა ოსეთის ძუარებში“.[579]

გერის წმინდა გიორგის ტაძარს თავისი ქადაგებიც ჰყავდა. სულხან-საბა ორბელიანი ქადაგს ასე განმარტავს: „ქადაგი მაღლა მძახებელი სწავლისა.“[580] თუმცა, შუასაკუნეებში ქადაგი მხოლოდ სალოცავებში ღვთის სახელით მოლაპარაკე ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვა არ იყო. ქადაგი საკათალიკოსო საბჭოს ერთ-ერთი წევრის აღმნიშვნელ ტერმინადაც გამოიყენებოდა. „ქადაგი“, ისევე, როგორც კათალიკოსის სხვა დამხმარე თანამდებობის წარმომადგენლები „მცხეთისშვილები“ იყვნენ. „მცხეთისშვილობა,“ როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „კათალიკოზის გვერდით არსებული გავლენიანი საგულისხმო დაწესებულება იყო.“[581] ტერმინი „მცხეთისშვილი“ მეცნიერს XI საუკუნის ხელნაწერში ამოუკითხავს.[582] „მცხეთიშვილები“ მცხეთის საკათალიკოსო საყდრის სა-

579 გაზ. „დროება,“ 1883 წ. 14 აპრილი, №77.

580 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტობიოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1993, გვ. 209.

581 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 19.

582 იქვე.

კუთრებაში არსებული მამულების გარკვეულ ნაწილს ფლობდნენ. მ. სურგულაძის განმარტებით: „...მცხეთიშვილებს უპყრიათ კათალიკოსის კარზე სამცხეთიშვილო წილთან მიბმული ყველა ადმინისტრაციული, საეკლესიო და სამეურნეო თანამდებობა: ჯვარისმტირთველობა, ქადაგობა, სარდლობა, მეღვინეთუხუცესობა, მსახურთუხუცესობა, მდივანმწიგნობრობა, მოურავობა, პირისმწდეობა, ამირაჯიბობა და სხვ.“[583]

„ქადაგი,“ XIII ძეგლის „კურთხევა მირონისა და განგება დარბაზობისა“ მიხედვით, სვეტიცხოვლის ტაძარში მირონის კურთხევის ცერემონიალშიც იღებდა მონაწილეობას.[584]

როგორც აღვნიშნეთ, ქადაგი, ღვთის, ან წმინდანის ენით მოსაუბრე ადამიანსაც აღნიშნავდა. ისევე, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ სალოცავებში, გერისთობის დღესასწაულზეც, გერში ასულ მლოცველებს ქადაგი ხდებოდა. ქადაგი, ხალხის რწმენით, ღვთაების ნება-სურვილს აუწყებდა მლოცველებს.[585]

გერის წმინდა გიორგის ტაძარში, გერისთობის დღესასწაულზე ქადაგი უნახავს ს. მაკალათიას. მისი გადმოცემით, გერის ქადაგი ხადურის გვარის წარმომადგენელი იყო.[586] ს. მაკალათია წერს: „დადამდა, ეკლესიაში სანთლები აანთეს და გაისმა ქადაგის ვედრება. ქადაგი გიორგი ხადურია სოფელ ნიქოზიდან. იგი 45 წლის მამაკაცია, საშუალო ტანის და შავგვრემანი. ხადური ფეხშიშველი იყო, გულზე ეკიდა ხატი, ხელში ეჭირა ჯოხი, რომელსაც თავზე გარჭობილი ჰქონდა ჯვარედინი თეთრი ფრთა. ხადურის თქმით, იგი 1932 წელს ხატს დაუჭერია ძელიცხოველში ამაღლება დღეს და ამის შემდეგ დაავადმყოფებულა: „ეშმაკები და ავსულები მოსვენებას არ მაძლევენ“, – ამბობდა ხადური, – ყველგან იგინი მელანდებოდნენ, ძილში ვბოდავდი და ხატებიც მაწუხებდნენო. ბოლოს ძელიცხოველს შეუთქვი: შენ კარზე მოვალ ღამის თევითა. 15 მაისს ამაღლებას ძელიცხოველს ღამე უთიე, დილას მას სანთლები დაუნთე. ამ დროს ტრაპეზიდან ქალი მომეჩვენა და მითხრა: გიორგი, სად იყავ დაკარგულიო, გეძებდიო. ტრაპეზი გაიხსნა და ქალმა უჩინმაჩინად ხელი შემავლო, ტრაპეზში შემაგდო და მცემა: შე კერპო, შენა, ემსახურე გიორგი ძელცხოველსაო. აჰა, აჰა, ახლა ხო ხელში ჩაგიგდეო, მოგიყვანთ ჩვენს ჭკუაზეო. ის გარეთ გამოვიდა და დუდუკი დაუკრა. ბევრი ხატები დამეცნენ და მცემეს, უნდა მოხვიდე წლის თავზე უნიშნო ცხვრითა (თეთრი), თეთრი

583 მ. სურგულაძე, მცხეთიშვილები, ჟურნ. „ანალები,“ 2008, გვ. 171; გ. სოსიაშვილი, კახთა მეფეები და მცხეთის ქადაგები (XV-XVI ს.ს), „ანალები“, № 12, 2016, გვ. 205-224.

584 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 47.

585 თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 4.

586 აღსანიშნავია, რომ ხადურების გვარი ცხოვრობდა სოფელ ბელოთთან ახლოს არსებულ ხადურიანთ უბანში, სადაც XVIII საუკუნის კოშკიც არის შემორჩენილი. *შიდა ქართლი, პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურა (ცხინვალის რაიონი 1981-1983 წლების ექსპედიციის მასალები), I, თბ., 2002, გვ. 245.*

ტანისამოსით, ფეხშიშველი და თავშიშველიო. თუ ამას შეასრულებ, მაშინ კარგად გაგხდიო, თუ არა და დაგადნობთ, როგორც ქონის სანთელსო. ამწონეს და სიმართლემ ჩემმა დასძლია: ჰაი დედასა, ჰაი დედასა სიმართლე ჰქონია, თორემ შენი სული ეშმაკებს დარჩებოდაო. სახლში წამოვედი. სამი თვე გალახული ვიწექი, ვტიროდი, თავზე ხელებს ვიცემდი და დედამიწას ვასკდებოდი. ხატებმა მიბრძანეს: შენ როგორც ხატისგან დაჭერილმა, უნდა გვემსახურო თავშიშველა და ფეხშიშველიო, რომ ყველამ გიჟი დაგიძახოსო.“[587] როგორც გერის ქადაგი განმარტავდა, ხატებმა ის 15 აგვისტოს სარკის წმინდა გიორგიში დაიბარეს, სადაც განუცხადეს, რომ გულთმისანი უნდა გამხდარიყო და რაც დედამიწაზე სამკურნალო ბალახი იყო ყველაფერს გამოიცნობდა. მისივე თქმით, სწორედ სარკეში გამოეცხადა მომავალ ქადაგს გერის წმინდა გიორგი, მას უთქვამს, რომ ხადური გულთმისანი გერში გახდებოდა. ქადაგს თან ჰქონია ლითონის ორი მილი, რომლებსაც ხატის დუდუკებად მოიხსენიებდა – ერთი მომცა სამებამ და მეორე კი ბრეთის მამა კვირიამო.[588] ქადაგი დუდუკებს ახმაურებდა და ქადაგებდა; ხატების შესახებ საუბრობდა; ეშმაკებსა და ბოროტ სულებს არ ივიწყებდა: „ჭვავთხელმწიფე და მისი მნრია ეშმაკების უფროსია. 1913 წლის კუდიან ვარსკვლავს წილი აქვთ ბოროტ ხალხშიო. მან ააღელვა ხალხი და ომი გამიოწვიაო. თეთრიწმინდა გიორგი ეუბნება ეშმაკებს-ვინც ჩემთან გულით მოვიდეს სამღვთო --საწირით, ის ჩემი იყოს, ვინც არა და შენი იყოსო და სხვ. ხადური ამწყალობებდა მლოცველს; აძლევდა ხატის სახელით ყველას რჩევა – დარიგებას. თუ რაიმე საეკლესიო ნივთს ხელს ახლებდა მაშინვე წაილუღლუღებდა: მალა ლიხა ლალილა.“[589]

გერის წმინდა გიორგის ტაძარში ს. მაკალათიამ ქადაგი XX საუკუნის პირველ ნახევარში ნახა, თუმცა, ქართლის ამ განთქმულ სალოცავში ქადაგები უფრო გვიან პერიოდშიც გვხვდება. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა სალოცავში შესაწირით ასულ მლოცველს გერისთობის დღესასწაულზე, ღამით გამოეცხადებოდა წმინდა გიორგი და ის ქადაგებას იწყებდა. 1999 წელს, გერის წმინდა გიორგის ტაძარს სწორედ გერისთობის დღესასსწაულზე ვსტუმრობდით. დაღამებისას, ერთ-ერთ მლოცველს, მისი თქმით, წმინდა გიორგი გამოეცხადა და ესაუბრებოდა. მლოცველი, ხან ყვიროდა, ხან მშვიდად საუბრობდა, ხან მჯდომიარე ლაპარაკობდა, ხან კი სალოცავის ეზოში დარბოდა და წმინდა გიორგის „ენით“ მიმართავდა მლოცველებს. ზოგჯერ ქადაგს კრუნჩხვა ეწყებოდა. შეშინებული მორწმუნეები ქადაგს უკან დასდევდნენ. როდესაც გათენდა, ქადაგი მშვიდად გამოიყურებოდა, წუხანდელი ტანჯვის კვალი არ ეტყობოდა. ქართლში დღესაც არსებობს ასეთი გამოთქმა: „რა ქადაგად დაეცი,“ რაც ღმერთის, ან რომელიმე წმინდანის ენით მოლაპარაკე ადამიანთან არის დაკავშირებული.

587 გსიემ 5942, გვ. 11-12.

588 თ. კოშორიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი შიდა ქართლში, ხელნ. თბ., 2014, გვ. 157.

589 გსიემ 5942, 12.

გერში მლოცველები თავგერისთობის მსგავსად, შუაგერისთობასაც მიდიოდნენ და შუაგერისთობის მომდევნო კვირასაც (ბოლო გერისთობ-ას), რომელიც გერის წმინდა გიორგის პატივსაცემად დაწესებული დღე-სასწაულის დახურვის დღედ მიიჩნევა. სოფლებში სადაც გერისთობა აღნიშნება, ადგილობრივი მოსახლეობა დიდ სამზადისს ეწევა. ეს დღე მათთვის განსაკუთრებით წმინდაა. იგი აღდგომის შემდეგ ყველაზე დიდ დღედ მიიჩნევა. იკვლება საკლავები, სტუმრებს საგანგებოდ ამ დღისთვის დაყენებული ღვინით ეგებებიან და სხვ.

საგულისხმოა, რომ 1920 წლის ივნისში, სოფელი გერი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ამბოხებული ოსების თავშესა-ფრად იქცა. როგორც ეროვნული გვარდიის სარდლის, ვალიკო ჯუღელის მოგონებებიდან ირკვევა, 1920 წლის 14 ივნისს, დილით 10 საათისთვის სამთავრობო ძალებმა სოფელი გერი დაიკავეს. გაქცევის წინ მეამბოხე ოსებმა გერის ტაძარი დაარბიეს.[590]

1924 წელს გერის წმინდა გიორგის ტაძარი ცნობილმა ქართველმა სიძველეთმცოდნემ გ. ბოჭორიძემ მოინახულა. მეცნიერს გერის ეკლესი-აში უნახავს: „ქართული საომარი დროშები, ორი ცალი; ერთი ტარით, მეორე-უტაროთ; ორივე ძლიერ დაზიანებული. ერთი ცალკე ტარი რომე-ლიღაც ბაირადისა.“[591] გ. ბოჭორიძის ინფორმაციით, გერის წმინდა გიორ-გის ტაძრის ზოგიერთი სიწმინდე არბოს ტაძარში ინახებოდა. მათ შორის: „42 (ნუმერაცია ასეთი სახით მოსდევს სხვა სიძველეების შემდეგ, – გ. ს.) ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის ხატი წმ. გიორგისა, შეჭედილი ლუ-არსაბ მეფის ძის(?) ვახტანგის(?) მიერ, ქართული ასომთავრული წარწერ-ით, დაზიანებული (ზურგად ფიცარი აქვს), 35-23 სმ. 422. დიდი ჯვარი ხისა, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი, შემკული ორი თვლით (აკლია ერთი თვა-ლი) ქართული მხედრული წარწერებით. ჯვრის უკანა მხარეს და ჯვრის ტარზე უკანასკნელი წარწერა იხსენიებს დ. თავყელაშვილს. ჯვარი ძლიერ დაზიანებულია, ბევრ ადგილას ვერცხლის ფურცელი მთლად მოცილებუ-ლი და დაკარგული აქვს., 67-30 სმ. 423. „დასამწყალობელი ხატი“ წმ. გიორ-გისა, გრძელი ტარით, შეჭედილი ვერცხლით, დაზიანებული (ვერცხლის ფურცელი ზოგ ადგილას აგლეჯილი და დაკარგული აქვს), 769 სმ. 424. „აზარფეშა“ ანუ განსაზავებელი ვერცხლისა, შეწირული აბრამ სარქისო-ვის მიერ 1847 წ., ქართული მხედრული წარწერით. 425. თასი ვერცხლისა, შეწირული ვებუაძის მიერ ქართული მხედრული წარწერით.“[592]

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, სოფელი გერი და მასთან ერთად გერის წმინდა გიორგის ტაძარი საოკუპაციო ხაზს მიღმა მოექცა. დღეის

590 В. Джугели, Тяжелый крест (записки народногвардейца), с предисл. Е. П. Гегечкори, Тиф., 1920, стр. 279-280; ა. მღებრიშვილი, ცხინვალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921), თბ., 2019, გვ. 321.

591 გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გამოსაცემად მოამზადეს ზაზა სხირტლაძემ და ნატალია ჩიტიშვილმა, ინგა გოგობერიშვილის მონაწილეობით, თბ., 2011, გვ. 287.

592 იქვე, გვ. 285-286.

მდგომარეობით, ქართველ მლოცველებს და მეცნიერებს საოკუპაციო რეჟიმი ტაძარში მისვლის უფლებას არ აძლევს. გაურკვეველია ამ უძველესი ძეგლის ბედი. როგორც საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2016-2017 წლების ანგარიშშია აღნიშნული, ოკუპაციის შემდეგ გერის წმინდა გიორგის ეკლესიას უნებართვო აღდგენითი სამუშაოები უტარდება. ტაძარს მოანგრიეს დასავლეთ კეხზე აღმართული სამრეკლო, რის შემდეგაც დაგეგმილია ინტერიერის რეაბილიტაცია.[593] თვითნებურმა, არასპეციალისტთა მიერ განხორციელებულმა აღდგენითმა სამუშაოებმა შესაძლოა ძეგლი მნიშვნელოვნად დააზიანოს და პირვანდელი სახე დაუკარგოს.

გერის წმინდა გიორგის სალოცავის პატივსაცემად 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქართველმა მლოცველებმა გერის ნიში ორ ადგილზე აღმართეს. დიცის და ერედვის გასაყართან – საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს და, ასევე, ბერბუკის დევნილთა ჩასახლებაში.

ვანათი-სარაბუკი

სოფელი ვანათი, პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1000 მ. სიმაღლეზე, ხოლო, ქ. ცხინვალიდან 15 კმ-ის დაშორებით, გუდისის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს.[594]

ვანათის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი მიმოიხილავს პატარა ლიახვის ხეობის შუაწელზე არსებულ სოფლებსაც: „არბოწმინდის ზეით ერთვის პატარა ლიახუს აღმოსავლეთიდამ მერის-ჭევი. ამ ჭევზე აღმოსავლეთით არის, ორბოძლის კალთასა ზედა, კულბითის ციხე. კულბითს ქუეით მოერთვის ამ ხევს ლაფაჩების ჭევი. გამოსდის ორბოძალს. ამ ჭევს ერთვის სნეკვის ჭევი დიდი და ღრმაკეთილი შემრგო, რომელიცა გამოსდის სნეკვსავე. და არს სნეკვი, და ლაფაჩები, და მერე კსნისავე. ამ მერისჭევს ზეით, ჩდილოთ კერძ, არს ვანათი, პატარა ლიახჳს კიდესა. მაღლა გორასა არს ციხე, სნეკვიდამ წამოსულს მცირესა მთასა ზედა. ეს მთა განჰყოფს კულბითს-ვანათამდე სოფლებსა, და საცხენისსა, და ბელოთს, და პატარა ლიახუს და მიადგების ორბოძალს. ჩრდილოთ უდის პატარა ლიახჳ, სამჭრით აქუს კულბითი და ვანათი.“[595]

ვახუშტი ბატონიშვილი ვანათს სავახტანგო მამულებს მიაკუთვნებს: „ხოლო ვანათს ერთვის დასავლიდამ ლიახვს ხევი გერისა გამოდის მშხლების მთას და დის სამხრით. ამას ზედა მსახლობელნი არიან ოსნი. უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს.“[596]

593 საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2016-2017 წლების ანგარიში, 2018, გვ. 54.

594 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბ., 1979, გვ. 287.

595 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 369.

596 იქვე, გვ. 362.

ტერიტორია, სადაც ვანათია გაშენებული, სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენს.[597] როგორც მივუთითებდით, აქედან გზები გადადიოდა დიდი ლიახვის ხეობაში, დასავლეთ საქართველოში. ვანათიდან დაკავშირება შესაძლებელი იყო ქსნის და არაგვის ხეობებთან, ასევე ჩრდილოეთ კავკასიასთან. ვანათის ციხე პატარა ლიახვის ხეობას და აქ არსებულ გზებს აკონტროლებდა, სწორედ ამიტომ ქსნის ერისთავთა კუთვნილი ეს მნიშვნელოვანი სოფელი ხეობის პოლიტიკურ, თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში ძველი დროიდანვე დიდ როლს ასრულებდა.[598]

როგორც უკვე აღინიშნა, პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული ერთ-ერთი სოფელი აწრისხევი ვახტანგ III-მ თავის ერთგულ შალვა ქვენიფნეველს უბოძა. მოგვიანებით, ქსნის ერისთავები აწრისხევის გარდა, პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლებსაც დაეუფლნენ, მათ საკუთრებაში გადავიდა ვანათი და საცხენეთი. ამას ადასტურებს XV ს-ის პირველ ნახევარში ქსნის ერისთავის მიერ იკორთის მონასტრისადმი ბოძებული შეწირულობის სიგელი, სადაც ვკითხულობთ: „სახელითა ღვთისათა...მიქაელ და გაბრიელისათა...მე ყოველთა კაცთა უნარჩევესმან ცოდვილმან, ერისთავმან ძემან ქვენიფნეველისამან შალვა...შევსწირეთ (იკორთას) სოფელი მანვაზეთი და საცხენეთი და ერთი გლეხი ფლავს ერთითა ვენაჭითა, სასახლითა და სამის დღის საჭნავითა და დავაწერინე წ-ნი ესე ზატიკნი...და ერთი დავით(დავითნი), ორი თუეე, ფ/ბრვლი და მარტი...ამას გარეთ სამი ლიტრა ცჯლი ფლავს, ვანთით(ვანათით?) მოიღებდენ ჩემსა აღაპსა შინა.“[599] იოანე ბაგრატიონს თავის თხზულებაში: „ქართლ-კახეთის აღწერა,“ ვანათი მოხსენიებული აქვს იმ სოფლების ნუსხაში, რომლებიც: „პატარა ლიახვის ხეობით ირწყვის და ისევ გორს მიეწერება.“ ეს სოფლები, მათ შორის ვანათი, იოანე ბაგრატიონის განმარტებით: „...გვერდისძირს მიეწერებიან, იულონ ბატონიშვილს ეჭირა, ახლა ქსნის ერისთავთა აქუთ.“[600]

იოანე ბაგრატიონს ვანათი მოხსენიებული აქვს ასევე დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულად იმ სოფლებს შორის, რომელთაც ასე ასათაურებს: „ქ. საარაგო სოფლები, რომლებიც მიეწერება და მეზობელნი არიან ამა ლიახვის ხეობისა არიან ესენი.“[601]

საქართველოში, პატარა ლიახვის ხეობის ვანათის გარდა, სხვა არაერთი სოფელი არსებობდა ვანათის სახელწოდებით. იოანე ბაგრატიონის ცნობით, ვანათი ერქვა ერთ-ერთ სოფელს შულავერის ხეობაში.[602] ვანათის სახელწოდებით არსებობდა ასევე სოფელი კახეთში.[603]

---

597 გ. სოსიაშვილი, სოფელ ვანათის მდებარეობის საკითხისათვის, გორის მცირე აკადემიის შრომათა კრებული, 2008, გვ. 140.

598 გ. სოსიაშვილი, ვანათის ისტორიიდან, თბ., 2005, გვ. 7.

599 თ. ჟორდანია, ქრონიკები II, თბ., 1897, გვ. 23.

600 იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 40.

601 იქვე, გვ. 38.

602 იქვე, გვ. 68.

603 იქვე.

პატარა ლიახვის ხეობის დიდი ნაწილი XV-XVIII საუკუნეებში ქსნის ერისთავების საკუთრებად იქცა.[604] ქსნის საერისთავოს მფლობელებმა პატარა ლიახვის ხეობაში ამ პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი ციხე ააგეს, ზოგიც აღადგინეს. შანშე ქსნის ერისთავს უკავშირდება ვანათის ციხის აღდგენაც.

გადმოცემით, პატარა ლიახვის ხეობაში ქსნის ერისთავთა ექსპანსიამდე, ვანათში სამეფო ხელისუფლების რეზიდენცია იყო.

ვანათის მკვიდრის, გ. მახნიაშვილის ცნობით, არსებობს გადმოცემა, თითქოს პატარა ლიახვის ხეობაში სანადიროდ ამოსული მეფეები ვანათში შეჩერდებოდნენ (დაივანებდნენ) ხოლმე.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ვანა ნიშნავს სადგომს.[605]

სოფლის სახელწოდების შესახებ საინტერესო გადმოცემებია შემონახული ადგილობრივ მოსახლეობაში. 70 წლის გალინა ციცილოშვილის ცნობით, ადრეულ პერიოდში სოფელი შედარებით მაღლა იყო გაშენებული ტყეში არსებული ე. წ. „დაშლილი საყდრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. თავიდან სულ ათიოდე კომლი ყოფილა და იმიტომაც დაერქვა ვანათი[606] (გადმოცემა ჩავიწერეთ 2005 წელს). კიდევ უფრო განსხვავებული ცნობა მოგვაწოდა 87 წლის სევასტი ჯოჯიშვილმა: „როგორც ამბობენ, ადრე ჩვენს სოფელში რამდენიმე კაცი ცხოვრობდა, რომლებსაც ვანო ერქვათ და იმიტომაც დაერქვა „ვანოეთი,“ ანუ „ვანათი“ (გადმოცემა ჩავიწერეთ 2005 წელს).

როგორც ზემოთ მივუთითებდით, ვახუშტი ბატონიშვილი ვანათს იმ სოფლებს მიაწერდა, რომლებიც გვიანფეოდალურ ხანაში არსებულ ფეოდალურ ადმინისტრაციულ ერთეულში – სავახტანგოში შედიოდა. ტერიტორიულად პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირს, იგივე საცხუმეთს, პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობებს შორის მოქცეული ტერიტორია ემიჯნებოდა, რომელსაც გვერდისძირი ეწოდებოდა: „ამ მთის სამხრით კერძს, ჯარიაშენიდან ვანათამდე უწოდებენ გუერდისძირს და არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ბრინჯ-ბამბას გარდა ყოველნი სცენდების ნაყოფიერად, ვითარცა დავსწერეთ ქართლისასა, არამედ ღვინო იქაური თხელი და მომჟავო გარნა საამო სასმელად“, – განმარტავს ვახუშტი ბატონიშვილი.[607]

ვანათი XVIII საუკუნის 70-იან წლებში მოუნახულებია საქართველოში მყოფ გერმანელ მოგზაურს, იოჰან ანტონ გიულდენშტედტს, რომელიც წერს: „...საცხენეთიდან 1 საათის შემდეგ ვიყავით მდ. გრიაზე სოფ. ვანათთან, სადაც პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე, მნიშვნელოვან სიმაღლეზე ჩანს ვანათის ციხე.“[608]

604 ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

605 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991, გვ. 253.

606 გ. სოსიაშვილი, ვანათის ისტორიიდან, თბ., 2005, გვ. 18.

607 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 362.

608 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1963, გვ. 99.

ვანათის შესახებ წერდა გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი, გიორგი ლიახველი (ჩოჩიშვილი), რომელიც XIX საუუნის 80-იან წლებში აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა და თავის კორესპონდენციებს სისტემატიურად აქვეყნებდა გაზეთ „დროებაში.“ მისი სტატიები შეეხებოდა შიდა ქართლის, კერძოდ, დიდი და პატარა ლიახვის ხეობათა სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. წერილში „მგზავრის შენიშვნები,“ გ. ლიახველი აღნიშნავს: „სტეფან-წმინდიდამ ჩვენ სოფელ ვანათში ავედით. მდ. პატარა ლიახვის პირას დგას სოფლის სკოლა, რომელიც მაშინ დაკეტილი იყო. სკოლა ძლიერ ცუდს ალაგას არის აშენებული. არც ჩრდილი, არც სათამაშო ადგილი და არც საბაღე. ვანათში იმყოფება ერთი დანგრეული ციხე, აშენებულია რგვლად და ძალიან ხელოვნურადაც. მის ოთახიდამ მიწის ქვეშ გათხრილია გზა, რომელიც ლიახვისაკენ მიდის და რომლის შემწეობითაც ამბობენ ჯარები უწინ წყალს აზიდვიდენო. ვანათში მცხოვრები სულ ქართველები არიან. ვანათიდამ დაიწყობა მთები და შემდეგს სოფლებში სულ ოსები ცხოვრობენ...“[609]

ნარატიულ წყაროებში ვანათის სახელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩნდება XVI საუკუნეში. ამ სოფელს უკავშირდება არაგვის ერისთავთა წარმომავლობა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ნუგზარ არაგვის ერისთავის წინაპარი იყო ვანათელი აზნაური, რომელმაც ისარგებლა ქვეყანაში არსებული არასტაბილური სიტუაციით, დაიკავა არაგვის ხეობა და სათავე დაუდო არაგვის საერისთავოს:

„ხოლო ესე ნუგზარ, იყო ერისთავი არაგვისა, რამეთუ პაპა ამისი იყო აზნაური ვანათელი და პირველსა მეფობასა სვიმონისასა უკუდგა ვანათის ციხის მპყრობელი და მან ბრძანებითა მეფისათა და შეტყუვებითა აღიღო ციხე იგი (ვანათისა, – გ. ს.) და მეფემან მიანიჭა მუნ მამულნი. ხოლო ოდეს შეიპყრეს ყიზილბაშთა მეფე სვიმონ, ამანვე მოიმწო ქსნის ერისთავი, დაესხა და მოსწყვიტნა თექთურმანიძე და ჭარმეული და დაიპყრო ბაზალეთი, მოკუდა იგი და ხარჭისა ნაშობმან ძემან მისმან მოსრნა ძმანი თვისნი ყოველნი და ესე ნუგზარ ძმისწული ამისი წარიტაცეს ყრმა: შემდგომად აღზრდისა მოიბირნა ნუგზარ კაცნი და მიჰკლეს იგი და დაიპყრნა ნუგზარ ბაზალეთი, მერმე დაიმორჩილა მთიულეთი, ხოლო მოვიდა რა სვიმონ მისცა პაპასვე ნუგზარისასა სამსახურებისათვის მისისა და იყუნეს ამ ჟამამდე ერისთავად.“[610]

ვახუშტის თხზულებაში აღნიშნულია ვანათის ციხის „მპყრობელის“ განდგომა სამეფო ხელისუფლებისგან. ვანათელ აზნაურს სწორედ სიმონ I-ის (1556-1600 წ.წ.) ბრძანებით გამოუხსნია დაკავებული ვანათის ციხე. ამის გამო, სიმონ I-ს ვანათელი აზნაურისათვის მამული უბოძებია ვანათში. ეს ფაქტი, თუ ვახუშტის ცნობას ვენდობით, მომხდარა: „პირველსა მეფობასა სვიმონისასა.“ ამ სიტყვებში ჩვენი აზრით, უნდა იგულისხმებოდეს სიმონ I-ის მეფობა 1569 წლამდე, ანუ მოღალატე ყორღანაშვილის

609 გაზ. „დროება,“ 1884 წ. №77, გვ. 2.

610 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 534.

მეშვეობით ყიზილბაშების მიერ ქართლის მეფის შეპყრობამდე. სიმონ I-ის დატყვევების შემდეგ ვანათელმა აზნაურმა მოიმხრო ქსნის ერისთავი, ამოწყვიტა არაგვის ხეობის მფლობელი თექთურმანიძე და ჭარმეული და დაიმორჩილა ბაზალეთი.

ვახუშტის ცნობის იდენტურია ბერი ეგნატაშვილის ცნობა. იგი მცირეოდენი განსხვავებით გადმოგვცემს ნუგზარ არაგვის ერისთავის წინაპრის მიერ არაგვის ხეობის ხელში ჩაგდებას: „ხოლო ესე ნუგზარ არაგუს ერისთაუს მამა-პაპათა ამოსწყვიტეს პატრონი ჴევისა თექთურმანიძე და დაიჭირეს ჴევი და მიერითგან მისცა მეფემან რომელთამე ჴადა, რომელთამე მთიულეთი და რომელთამე დუშეთი და ანანური და იქმნეს ჴევისა მის ერისთავად.“[611] როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ვანათელმა აზნაურებმა ამოწყვიტეს ხევის პატრონი თექთურმანიძე, დაიკავეს ხევი. გარდა ამისა, სამეფო ხელისუფლებამ მათ უბოძა: ხადა, მთიულეთი, დუშეთი, ანანური და ისინი ხევის ერისთავებად იწოდნენ.

არაგვის ერისთავთა წარმომავლობის შესახებ, საკმაოდ ვრცელი ცნობა აქვს იოანე ბაგრატიონს, რომელიც ისტორიული სინამდვილისაგან საკმაოდ შორს არის და არადამაჯერებლად გამოიყურება, თუმცა მისი გაცნობა მკითხველისათვის მაინც საინტერესო იქნება. იოანე ბაგრატიონი თავის თხზულებაში: „აღწერა საქართველოს თავადაზნაურთა გვარებისა,“ – წერს: „ესე არაგვის ერისთავნი არიან კავკასიის მთით მოსრულნი ოსნი კარგის გვარისანი სიდამონისძენი. ამათნი წინაპარნი მოსახლეობდნენ ვანათსა ადგილსა შინა. ამათ პირველათ მიუბოძა მეფემან კონსტანტინემ გიორგის ძემან აზნაურობაჲ და განაწესნა მოხელედ სიდამონ წოდებული არაგვსა ზედა. ხოლო ოდეს მოვიდა მუსათურქი საქართველოსა ზედა დიდისა მხედრობითა, მაშინ ბრძო მეფემან კონსტანტინემ თურქთა მათ და ბრძოლასა ამას შინა მოიკლა მეფე თურქთაგან და იძლივნენ ქართველნი და იქნა აღრეულობა ურთიერთისა შორის ქართველთაგან წელსა ქრისტეს აქეთ 1407. ამ მიზეზითა სიდამონმა შემოიყარნა მხედრობანი ოსთანი და სახლისკაცნი თვისნი და მოსწყვიდნა ბაზლიძენი თავადნი, მოსახლენი ვაკესა შინა არაგვისასა, რომლისა გამო დღესაცა ეწოდების მუნ ტბასა ბაზალეთისა ტბაჲ, სახელისა გამო მათისა. და ამა სიდამონმან დაიპყრნა ადგილნი იგი. გარნა ვერა იწოდა ერისთავად, არამედ მებატონედ არაგვისა. ხოლო შემდგომად ამისა ჟამსა მეფობისა სვიმონისასა იქმნა მრავალნი ბრძოლაი თურქთა და სპარსთაგან და ყოველგან შეიმოსა ძლევაი მეფემან სვიმონ ლუარსაბის ძემან და უკანასკნელს ბრძოლასა შინა თურქმეთსა იძლივნენ ქართველნი და შეიპყრეს ბრძოლასა შინა მას მეფეი სვიმონი და დაშთა ძეი მისი ლუარსაბ ჯერეთ ყრმა, მაშინ იწოდა ერისთავად შთამომავლობაი სიდამონისა სიდამონ ერისთავად და მერეთ ამისა ძე მისი ნუგზარ რომელმანცა დანაშთენი მუნ ბაზლის ძენი ასწყვიტნა.“[612]

611 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის რედ. თბ., 1940, გვ. 125.

612 იოანე ბაგრატიონი, აღწერა ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა გვარებისა, ზ. კაცელაშვილის რედ. თბ., 1997, გვ. 20.

იოანე ბაგრატიონის ეს ცნობა სინამდვილისაგან შორს დგას და იგი არაგვის ერისთავების წარმომავლობის საკითხის კვლევისას, როგორც სანდო წყარო, არ გამოგვადგება. ვახუშტი ბაგრატიონისაგან განსხვავებით, იოანე ბაგრატიონი ვანათელ აზნაურთა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის ქრონოლოგიურ ჩარჩოს გაცილებით უკან სწევს და კონსტანტინე გიორგის ძის მეფობას უკავშირებს.

იოანე ბატონიშვილის თხზულებაში არსებული გადმოცემა არაგვის ერისთავთა ოსური წარმომავლობის შესახებ მეორდება ვახტანგ ბატონიშვილის მოხსენებაში, რომელიც მან მთავარმართებელ კარლ კნორინგს 1801 წლის 9 ივლისს წარუდგინა. უფლისწული ვახტანგი თავის წერილში უკმაყოფილებას გამოთქვამს მდივანბეგის თავად ბეჟან სარიდანის ძის მიმართ, რომელმაც გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს არაგვის ხეობის მფლობელობაზე და ერისთავობაზე პრეტენზიებით მიმართა (1801 წელს ბეჟან არაგვის ერისთავმა არაგვის საერისთავოს აღდგენა სცადა, რომელიც თეიმურაზ II-მ 1743 წელს გააუქმა). ვახტანგ ბატონიშვილი მთავარმათებლის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ არაგვის ხეობა ოდითგანვე ბაგრატიონთა სამეფო გვარის საკუთრებას წარმოადგენდა და ერეკლე II-მ მას უბოძა. ვახტანგ ერეკლეს ძე ხაზს უსვამს სიდამონოვების ოსურ წარმომავლობას და დასძენს, რომ ბეჟან ერისთავის ნათესავები – სიდამონები დღემდე ოსეთში ცხოვრობენ და მისთვის უცნობია, როგორ მიიღეს მათ აზნაურის წოდება: „ესე ხსენებული არაგვი ყოფილ არს ნიადაგ ბაგრატოვანთა მეფეთა სახლისა და გუარი ხსენებულისა ამისა ბაჟანისა (საუბარია ბეჟან არაგვის ერისთავზე, – გ. ს.) გამოსული არს რომლისამე ოსეთიდამა. დღესაც არიან ამისნი გვარნი ოსნი სიდამონნი და მიუღეს მას პატივი კეთილშობილებისა, ესე იგი აზნაურობისა და თუ ვისგან და ვითარ – ვუწყი და ესახლნენ ესენი ქართლის სოფლისა შინა ვანათსა, ანუ მსახლობელ მისსა და შემდგომად განყოფისა სამეფოთა უბედურებისა საქართველოჲსათა დროსა სპარსეთის გაძლიერებისა და ფრიად დაჩაგრულებასა ქართლისა და კახეთის მეფეთასა. ჰპოვა ამათგანმცა ვინმე მზგავსად სხუათა ვიეთნამე კეთილშობილთა, ავაზაკებრი ძალით და მოქმედება და დაიპყრნა ხსენებული სოფელი ვანათი და გარეშე მისნი და შემდგომად ჰპოვა მრავალნი სხვანიცა თანახმანი თვისასა ავაზაკებისანი და ეკირთებოდა ბრძოლა ქუჩყანა ამას არაგვსა და დაიპყრნა ამით, გარნა არა სრულიად, და შემდგომად რაოდენთამე ხანთა მზგავსად ზემოხსენებულთა მოქმედებითა, დაიპყრო სრულიად.“[613]

როგორც ჩანს, ვახტანგ ბატონიშვილმა არაგვის ერისთავების ოსური წარმომავლობის შესახებ შექმნილი ლეგენდა მარჯვედ გამოიყენა, მან რუსულ ხელისუფლებას „დაუსაბუთა,“ რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულ ბეჟან ერისთავის წინაპრებს არაგვის ხეობაზე არანაირი პრეტენზიები არ უნდა ჰქონოდათ.

613 Акты, собранные Кавказской Археографической комиссией (АКАК), Под общ. ред. А. Д. Берже, т. I, Тиф., 1866, стр. 265-266.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, არაგვის ერისთავებად შაბურისძენი არიან მიჩნეულნი. დ. გვრიტიშვილმა სპეციალურად გამოიკვლია არაგვის ერისთავების წარმომავლობის საკითხი. მან ყურადღება გაამახვილა თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ რამდენიმე დოკუმენტზე. ამ დოკუმენტებიდან ერთ-ერთში, რომელიც 1398 წლით თარიღდება, ერისთავი შაბურისძე მიქაი მოიხსენიება. შაბურისძე ერისთავები, როგორც არაგვის საერისთავოს მეპატრონენი მოიხსენიებიან აგრეთვე თ. ჟორდანიას მიერ მოკვლეულ 1439 წელს შედგენილ გერგეტის სამების „სულთა მატიანეში.“[614] მასზევე ყოფილა ხუცური მინაწერი, რომელიც თ. ჟორდანიას აზრით, უფრო ადრინდელი პერიოდისაა. მკვლევრის დაკვირვებით, სწორედ ამ მინაწერში მოხსენიებული შაბურისაგან უნდა მომდინარეობდეს ერისთავ შაბურისძეების საგვარეულო.[615] შაბურიძე-ერისთავებს იცნობს ასევე 1465 წლის ერთ-ერთი სიგელი, საიდანაც ჩანს, რომ ვამიყ შაბურისძემ მცხეთას მამულები შესწირა.[616] 1477 წლის დოკუმენტით ირკვევა, რომ იმავე ვამიყ შაბურიძემ ბოდორნის მონასტერს, რომელიც მათი საგვარეულო სამარხი იყო, სოფელი ხანდაკი გადასცა.[617]

ზემოთ მითითებულ დოკუმენტებზე დაკვირვების შედეგად დ. გვრიტიშვილი წერს: „მოტანილი ცნობებიდან აშკარაა, რომ XII-XV საუკუნეებში არაგვის ერისთავებად შაბურისძეები არიან.“ მკვლევარმა ყურადღება მიაქცია წილკნელის სარგოს წიგნს, სადაც აღნიშნულია: „ქ. ანანურს ზევითი ხევს გარდა ისევე წილკნელის ათორმეტთაგანის მოქცეული არის, რახან წმინდის ემბაზის შვილნი შექნილიყვნენ, იმათი ეფისკოპოზი ვინც ვინ წილკნელი ყოფილან, იმათ სამწყსო ყოფილა. მცირედ მცირედ ქრისტიანობა შამოუგდიათ, ხუცესი და დიაკონი დაუდგინებიათ, წმინდის ნათლისღების შვილობა გამრავლებულა. არაგვის ერისთავი არვინ ყოფილა იმის მოქცევაში ერისთავათ თვინიერ შაბურიშვილის მეტი. იმას ჭერია დაბალი საერისთო.“[618]

დ. გვრიტიშვილის აზრით, არაგვის საერისთავოს გარდა, ფეოდალურ საქართველოში ხევის საერისთავოც არსებობდა, რომლის ცენტრიც, ხევში არაგვის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე ყაზბეგის რაიონში, ქაბარჯინის მთის ძირში მდებარე სოფელი სიონი იყო. მისი მტკიცებით, XVII საუკუნის რუსი მოგზაურები არაგვის ერისთავებს „სონთა ერისთავებს“ უწოდებდნენ და „სონთა ერისთავში“, ასევე „სიონის ერისთავში“, იგივე ხევის ერისთავი იგულისხმება.[619] დ. გვრიტიშვილი თვლის, რომ ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის ცნობებში მოხსენიებული თექთურმანიძე ხევის ერისთავი უნდა ყოფილიყო. როგორც დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს: „ვა-

614 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 85.

615 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 203.

616 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

617 იქვე.

618 იქვე.

619 იქვე, გვ. 93.

ნათელებს არაგვის დამორჩილება მხოლოდ ხევის დამორჩილების შემდეგ შეეძლოთ. ვანათი პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობს, პატარა ლიახვიდან თრუსოს გზით ხევში შეიძლება გადასვლა. ხევში გაბატონების შემთხვევაში კი არაგვის ხეობის მთიანი ზოლის ხელთ გდება ადვილია, მით უმეტეს, რომ მთიელთა გადაბირება ფეოდალების წინააღმდეგ არც ისე ძნელი იყო. რაც შეეხება ცნობას იმის შესახებ, რომ ვანათელმა ქსნის ერისთავები მოიშველია, შესაძლებელია საფუძველს მოკლებული არ იყო...“[620]

რაც შეეხება ვანათელი აზნაურების მიერ არაგვის საერისთავოს დაპყრობას, ამის შესახებ დ. გვრიტიშვილი წერს: „XVI საუკუნიდან სარგებლობენ რა საგარეო და საშინაო პირობების გართულებით, პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები აზნაურები, შესაძლებელია სიდამონიძენი, მოიშველიებენ ოსებსა და ქსნის ერისთავებს, ხოლო ამის შემდეგ, თანდათან არაგვის საერისთავოსაც შეიერთებენ და ამიერიდან ორი საერისთავო ერთ საერისთავოდ – არაგვის საერისთავოდ ხდება.“[621]

მკვლევარმა, იოანე ბაგრატიონის ნაკლებად სანდო ცნობაზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ვანათელმა აზნაურმა არაგვის საერისთავო ოსების მოშველიებით ჩაიგდო ხელში. დ. გვრიტიშვილის დასკვნა, არაგვის ერისთავების ოსური წარმომავლობის შესახებ, მეცნიერულ არგუმენტაციას მოკლებულია, რადგან ასეთი რამ, თუ არ ჩავთვლით იოანე ბაგრატიონის ცნობას და ვახტანგ ბატონიშვილის ზემოთ მოყვანილ მოხსენებას, არც ერთი ქართული წყაროთი არ დასტურდება. ვახუშტი ბაგრატიონი, როგორც მივუთითეთ, აღნიშნავს, რომ ნუგზარ არაგვის ერისთავის პაპა ვანათელი აზნაური იყო, მაგრამ მის ოსურ წარმომავლობაზე არაფერს ამბობს. დ. გვრიტიშვილი ძირითადად იოანე ბაგრატიონის ცნობას ეყრდნობა, რომლის შესახებაც თავად აღნიშნავდა: „როგორც დავინახეთ (მოტანილი ცნობა, – გ. ს.) სრულიად სხვა თხრობას იძლევა და არც ერთ სხვა წყაროში, არაგვის საერისთავოსთან დაკავშირებით ბაზლისძენი არ იხსენიებიან. ჩვენ არც ვიცით მოტანილი წყაროს ავტორი რა ცნობებს ეყრდნობოდა, როდესაც აღნიშნულ დებულებას ავითარებდა, მოსალოდნელია, რომ იგი რომელიმე ზეპირ გადმოცემას ემყარებოდა. საერთოდ, ეს წყარო ბევრ შეცდომებს შეიცავს, მათ შორის ფაქტიურ-ქრონოლოგიურსაც...“[622] ასე რომ, იოანე ბაგრატიონის ცნობაზე დაყრდნობით, ზემოთ აღნიშნული დასკვნის გამოტანა ჩვენთვის მიუღებელია.

არაგვის ერისთავთა ოსური წარმომავლობას საკითხს საკმაოდ ვრცლად შეეხო თავის ერთ-ერთ ნაშრომში გ. თოგოშვილი.[623] მან ისარგებლა იმავე წყაროებით, რომელთაც ეყრდნობოდა დ. გვრიტიშვილი. ეს არის იოანე ბაგრატიონის თხზულება და ვახტანგ ბატონიშვილის მოხსენება

620 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

621 იქვე.

622 იქვე, გვ. 87.

623 გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII ს.ს., თბ., 1969, გვ. 189.

მთავარმართებელ კარლ კნორინგისადმი. გ. თოგოშვილმა ისარგებლა, აგრეთვე სტ. ჩუბინოვის თხზულებით: „შთამომავლობისათვის გვარისა თავადთა ერისთავთა,“ სადაც აღნიშნულია: „ქსნისა და არაგვის ერისთავნი... ოსი გვარისაგან სიდამონოვისა... XVI ს. პირველ ნახევარს იასონმა – მეორე შვილმა ქსნის ერისთავისა, არმქონმა მამულისა, დაიპყრა ვანათის ციხე და მრავალნი სხვანი ადგილები შემდგომად სიკვდილისა უფროსისა ძმისა ეძებდა იგი ქსნის მემკვიდრეობასა (1560); ხოლო მეფე სიმონ, მოშიშარმან რათა არა უფრორე განაძლიეროს უიმისოდაც ძლიერი თავადი, მისცა ქსნის ერისთავობა უმცროსსა ძმასა იასონისასა, ხოლო მპყრობელსა ვანათისასა იასონს მისცა სრულებით არაგვის თემი და უწოდა სახელად არაგვის ერისთავი. ეს არის მიზეზი დაუცხრომელისა მტერობისა შორის ერისთავთა ქსნისა და არაგვისა, მტრობა, რომელმანცა შებღალა ქსანი და არაგვიცა სისხლითა...“[624] გ. თოგოშვილმა ამ ცნობაზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ XVII საუკუნის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ნუგზარ ერისთავი ჩუბინოვის თხზულებაში მოხსენიებული იასონის შვილი იყო, რაც ჩვენი აზრით, მიუღებელია.

სტ. ჩუბინოვის თხზულება, სხვა ქართული წყაროებისაგან განსხვავებით (ვახუშტი, ბერი ეგნატაშვილი), არ იცნობს არაგვის ხეობის თავდაპირველ მფლობელებს, რომლებიც ვანათელ აზნაურთა გამოჩენამდე არსებობდნენ. სტ. ჩუბინოვის თხზულებაში მოხსენიებულ იასონს, რომელმაც ვანათის ციხე დაიპყრო, გ. თოგოშვილი ნუგზარ არაგვის ერისთავის მამად მიიჩნევს. შეუძლებელია, რომ ნუგზარ არაგვის ერისთავის მამის (თუ ის არაგვის საერისთავოს ფუძემდებელი იყო), სახელი არ სცოდნოდა ვახუშტის, ანდა ბერი ეგნატაშვილს. ვახუშტის თხზულებიდან ჩანს, რომ სიმონ I-ის თანამედროვე ვანათელი აზნაური, ნუგზარ არაგვის ერისთავის პაპა იყო, თანაც, იმ დროს, როცა ქართლის მეფე ყიზილბაშებმა შეიპყრეს, ვანათელ აზნაურს ქსნის ერისთავთან, როგორც ეს სტ. ჩუბინოვის თხზულებიდან ჩანს, მტრული დამოკიდებულება კი არ ჰქონია, არამედ ქსნის ერისთავები ვანათელ აზნაურებს არაგვის ხეობის დამორჩილებაში დახმარებიან.

გ. თოგოშვილი, ზემოთ წარმოდგენილი წყაროების გაცნობის შემდეგ, ასკვნის: „ამ ცნობათა ჩვენებიდან ჩვენ გამოვყოფთ ყველა ავტორის მიერ თითქმის ერთხმად აღიარებულ ფაქტს, რომ გვიანდელ შუა საუკუნეებში არაგვზე გაბატონებული ერისთავები წარმოშობით ოსთა სოციალური ზედაფენის წარმომადგენლები იყვნენ.“[625] საინტერესოა, ვის გულისხმობდა გ. თოგოშვილი ყველა ავტორში?

მეცნიერი ყოველგვარი არგუმენტის გარეშე წერს: „ვანათელ ოს აზნაურებს დიდი აქტივობით უწარმოებიათ ბრძოლა სოციალური კიბის მაღალ საფეხურზე ასასვლელად. მათი ბრძოლა ადგილობრივ ფეოდალურ გვარებთან ყმა-მამულის გასაფართოვებლად განსაკუთრებით გააქტიურდა

624 გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII ს.ს., თბ., 1969, გვ. 189.

625 იქვე, გვ. 191.

XVI საუკუნეში. მათ კარგად ისარგებლეს ქვეყნის პოლიტიკური დეცენ-ტრალიზაციით, სამეფო ხელისუფლების სისუსტით და მთელი საარაგვოს დამორჩილება შეძლეს, მის ერისთავებად იქცნენ... მოყვანილ ცნობებში ხაზგასმული მითითება არაგვის ერისთავთა ოსური წარმოშობის შესახებ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ არაგვის აუზში მათ გაბატონებას წინ უსწრებ-და ოსური მოსახლეობის გაჩენა ამ ადგილებში, რომელთაც მხარი უნდა დაეჭირათ ვანათელი აზნაურების ბრძოლისათვის."[626]

ვერ გავიზიარებთ აგრეთვე გ. თოგოშვილის აზრს, არაგვის ხეობაში ოსური მოსახლეობის წარმოქმნასთან დაკავშირებითაც. XVI საუკუნემდე არაგვის ხეობაში იმ რაოდენობის ოსური მოსახლეობის არსებობა, რომ მათ ოსი აზნაური ერისთავად დაესვათ, ყოვლად წარმოუდგენელია. რო-გორც რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს: „მცდარ წარმოდგენას არაგვის ხეობა-ში ოსური მოსახლეობის არსებობის შესახებ ხელი შეუწყო 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიულმა ნუსხამ, რომელიც სრულიად არ ემყარება რეალურ მონაცემებს."[627]

როგორც რ. თოფჩიშვილმა გამოიკვლია, ამ ნუსხაში შეტანილია ოსე-ბით დასახლებული ისეთი თემები, რომლებიც არაგვის ხეობაში არ შე-დიოდა, მაგ.: „ჭვრივი, ზაყა, თრუსო და სხვა."[628] არსებული დოკუმენტური მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნათელია, რომ XVI საუკუნემდე არაგვის ხეობაში ოსთა მრავალრიცხოვანი დასახლება არ ყოფილა.

რ. თოფჩიშვილი არ იზიარებს გ. თოგოშვილის მოსაზრებას: „ვანათელი აზნაური ოსი ვერ იქნებოდა. ის შეიძლება მხოლოდ ნაოსარი ყოფილიყო. ვანათში ოსი აზნაური ვერ იჯდებოდა. ოსი აზნაური მხოლოდ ოსეთში შეიძლებოდა მჯდარიყო. საქართველოში, შიდა ქართლის მთისწინა ზო-ლის სოფელ ვანათში მცხოვრები აზნაური უდავოდ ქართველი იქნებოდა. სხვანაირად წარმოუდგენელია."[629]

არაგვის ერისთავთა წარმომავლობის შესახებ საინტერესო ინფორმა-ციას გვაწვდის 1617 წლით დათარიღებული ერთი დოკუმენტი, რომელიც თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა, ეს არის წყალობის წიგნი, საიდანაც ჩანს, რომ ნუგზარ არაგვის ერისთავმა სვეტიცხოვლის ტაძარს ყმა-მამული შესწი-რა:

„ქ. კს: ტე: ესე წიგნი მოგახსენე... სუეტსა ცხოველსაო, მე ერისთავმან პატრონმან ნუგზარ (და ძეთა ბაინდურ და გ~იმ) ასრე... რომ ჩვენი სამ-კვიდრო გერი და გერისთავი სვეტიცხოვლისათვის შეეწირა მეფეთა... კიდევ არბო, სგენასმანი სვეტიცხოვლისა იყო და ეს ჩუენ დავიჭირეთ და ამისად სამუქმოდ (sic:) ჩუენ მოგართვით ქორდს ჩუენი სამკვიდრო კვამლი სამი ბექნიაშვილი ირემი ქ~კს: ტე."[630]

---

626 გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII ს.ს. გვ. 192.

627 რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 155.

628 რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

629 იქვე, გვ. 155.

630 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 441-442.

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ნუგზარ არაგვის ერისთავი სოფ. გერსა და გერისთავს „სამკვიდროს“ უწოდებს. სოფ. გერი, სადაც წმინდა გიორგის განთქმული სალოცავია, სოფ. ვანათის ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობს. თუ ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში ნახსენებ „სამკვიდროს“ განვმარტავთ, არაგვის ერისთავების ოსური წარმომავლობა სავსებით გამოირიცხება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „სამკვიდრო“ არის მემკვიდრეობითი მიღებული მამა-პაპური ქონება.“[631]

შეუძლებელია, გერი და გერისთავი, ოსი აზნაურის სამკვიდრო მამული ყოფილიყო. დაუჯერებელია ასევე, რომ ოს აზნაურს მკვიდრი ყმები ჰყოლოდა სოფ. ქორდში. აღნიშნული სოფელი მდ. პატარა ლიახვის შუა წელზე მდებარეობს, სადაც ძველი დროიდანვე საპატრიარქო ფლობდა მამულს, აქვე ჰყავდათ ყმები ქსნის ერისთავებს და აზნაურ გედევანიშვილებს.[632]

არაგვის ერისთავთა წარმომავალობის საკითხის ირგვლივ საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა მ. ბახტაძემ. მკვლევარი არაგვის პირველ ერისთავებად შაბურისძეებს მიიჩნევს. არაგვის საერისთავო, როგორც მ. ბახტაძე წერს: „შეიქმნა XIII საუკუნის მეორე ნახევარში. მოყოლებული ამ დროიდან, ვიდრე XV საუკუნის ბოლომდე არაგვის ერისთავები იყვნენ შაბურისძეები.“[633] მეცნიერი ეთანხმება პლატონ იოსელიანის შეხედულებას,[634] რომლის მიხედვით, შაბურისძეების შემდეგ არაგვის ერისთავები გახდნენ თექთურმანიძეები და ჭარმაულები, თუმცა, როგორც აღნიშნავს, პლატონ იოსელიანი ცდება თარიღის (ეს ფაქტი, არა ალექსანდრე I-ის (1412-1442) დროს, არამედ უფრო გვიან უნდა მომხდარიყო) განსაზღვრაში (ამაზე დ. გვრიტიშვილიც მიუთითებდა).[635] როგორც მ. ბახტაძე მიუთითებს: „სწორედ ამის შემდეგ (იგულისხმება შაბურისძეების საგვარეულოს რეგრესი, – გ. ს.) უნდა მომხდარიყო, მანამდე ერთიანი არაგვის საერისთავოს გაყოფა ორ ნაწილად....ერთ ნაწილში დამკვიდრდნენ თექთურმანიძეები, ხოლო მეორეში კი ჭარმაულები. თუ ვენდობით ბერი ეგნატაშვილს და ალბათ უნდა ვენდოთ, მაშინ გამოდის რომ თექთურმანიძეები ყოფილან ხევის პატრონები. ასეთ შემთხვევაში, ჭარმაულებს თავად არაგვის ხეობის მფლობელობა რჩებათ.“[636]

არაგვის ხეობაში, როგორც ჩანს, არაერთი ფეოდალური სახლი იბრძოდა პირველობის მოსაპოვებლად. ვახუშტი ბატონიშვილის და ბერი ეგნატაშვილის ცნობებს თუ დავუკვირდებით, ერთმანეთს უპირისპირდებოდა რამდენიმე საგვარეულო (თექთურმანიძე, ჭარმეული, ბაზლიძენი და ნუგ-

631 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, აკად. არნ. ჩიქობავას რედ., თბ., 1986, გვ. 391.

632 გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან (ქორდი), თბ., 2007, გვ. 27.

633 მ. ბახტაძე, არაგვის ერისთავთა ქრონოლოგია (XVI-XVIII საუკუნეები), თბ., 2005, გვ. 4.

634 Пл. Иоселиани. Описание города Душета, Тб., 1866, стр. 36

635 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

636 მ. ბახტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 9-10.

ზარ ერისთავის წინაპრები). საბოლოოდ, ამ ბრძოლაში სწორედ ნუგზარ ერისთავის წინაპრებმა გაიმარჯვეს და ისინი არაგვის ერისთავები გახდნენ. როგორც გ. ჯამბურია წერს: „XVI საუკუნეში ვანათელმა აზნაურმა (პატარა ლიახვის ხეობიდან) ქსნის ერისთავთა დახმარებით ამოწყვიტა არაგვის ერისთავები და თვითონ დაეპატრონა საერისთავოს. ამიერიდან ერისთავი მათ გვარად იქცა.“[637] ნუგზარ ერისთავის პაპის გვარი ვახუშტისთვის უცნობი იყო, სხვა შემთხვევაში იგი აუცილებლად მიუთითებდა. შესაძლოა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენილი ნუგზარის პაპა, პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები აზნაური განსაკუთრებული გვარიშვილობით არ გამოირჩეოდა, ამიტომ თავიანთი საგვარეულოს განსხვავებულად წარმოჩენის მიზნით შექმნეს ლეგენდა მათი ოსური წარმომავლობის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო იოანე ბატონიშვილის ცნობას. გადმოცემა, რომელიც არაგვის ერისთავთა ფეოდალურ სახლში არსებობდა,[638] გვიანდელი შეთხზული უნდა იყოს.

როგორც ზემოთ მივუთითებდით, ვანათი XIV საუკუნის ბოლოს მცხეთის საეკლესიო მამულების ნუსხაში იხსენიება, ხოლო XVI საუკუნის მეორე ნახევარში არაგვის ერისთავთა წინაპრების ვანათელი აზნაურების მფლობელობაში მოექცა. ჩვენ უკვე გავეცანით ნუგზარ არაგვის ერისთავის წყალობის წიგნს, რომლის თანახმადაც, ნუგზარის სამკვიდრო გერი და გერისთავი სამეფო კარმა სვეტიცხოველს შესწირა, ამის სანაცვლოდ არაგვის ერისთავმა არბო და სგენესმანი დაიკავა და ქორდში კუთვნილი რამდენიმე გლეხი სვეტიცხოველს გადასცა. ვანათი ამ საბუთში არ იხსენიება, მაგრამ რაკი საბუთში მოხსენიებული გერი ვანათის სიახლოვესაა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ სოფელზეც არაგვის ერისთავებს გარკვეული გავლენა ექნებოდათ. ვანათი, მიუხედავად იმისა, რომ უფრო გვიანდელ პერიოდში ტერიტორიულად ქსნის საერისთავოში შედიოდა, იოანე ბაგრატიონის აღწერის მიხედვით, საარაგვო სოფლების ნუსხაში იხსენიება. იოანე ბაგრატიონს ცალკე აქვს გაამოყოფილი საარაგვო მამულები „ქ. საარაგო სოფლები, რომლებიც მიეწერება და მეზობელნი არიან ამა ლიახვის ხეობისა არიან ესენი: ქ. საარაგვო შინდისი, მოსახლე ქ. ტირძნისი მოსახლე, ქ. ვანათი, მოსახლე...“[639] აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ვანათში ყოფილა ანანურის საეკლესიო ყმა – სოსია ჯაფარაული (სავარაუდოდ, ესეც არაგვის ერისთავების გავლენის გამო).[640]

XVII საუკუნის პირველ ნახევარში ვანათში ყმები ჰყავდათ ფავნელიშვილებს.

---

637 გ. ჯამბურია, არაგვის საერისთავო, ენციკლოპედია „საქართველო,“ თბ., 1997, გვ. 181.

638 АКАК, т. VII, Тиф., 1878, стр. 348.

639 იოანე ბაგრატიონის, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 38.

640 რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

1640 წლით დათარიღებული სიგელით ვიგებთ, რომ ქართლის მეფე როსტომმა (1632-1658) ვანათში ყმა-მამულის წყალობა განუახლა დავით ფავნელიშვილს.[641] 1700 წლის საამილახვროსა და გაღმა ლიახვის ხალხის კოდისპურის გამოსაღებ დავთრიდან ჩანს, რომ ამ დროს ვანათში ყმა-მამულს ფლობდა ოთარ ფავნელიშვილი. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ვანათს ფავნელიშვილის ოთარისა ვეფხიას შვილები ა) ნუგზარისა – რაჯაბას შვილი ბატატი, ა) რაჯაბას შვილის მამულზე, მაისურაძე ოთია, ა) ელიაშვილი სეხნია და იოსებასშვილი ბერუკა.“[642]

XVII საუკუნეში ვანათის მოსახლეობის შიდა მიგრაციის, ბარის სოფლების მიმართულებით გადაადგილების შესახებ, საინტერესო ინფორმაციას შეიცავს 1649 წლის 25 ივლისით დათარიღებული ერთი საბუთი, რომლის მიხედვით, ვანათელმა „გოგიჩაიშვილმან, იმედაიშვილმან და ივანემან, ბერუკამან და შოშიტამან და ბატაშვილმან ზაქუტამან და ბერუკამან და ბიბიტაშვილმან დათუნამან“ ტინისხიდში ამირაღა მესახასტურიშვილსა და მის შვილებს „მიჰყიდეს მიწა.“ სხვებთან ერთად, ნასყიდობის აქტს ემოწმება ვინმე „ვანათელი ალნიაც“[643] (სავარაუდოდ, მათ ადრე ნაყიდი მიწა, ხელახლა გაყიდეს). ამავე საუკუნის ბოლო ოცწლეულში (1688 წ. 5 მარტს) ტინისხიდელ თამაზას ვანათელ თევდორე ადუაშვილისათვის მიუყიდია მიწა „ტინისხიდის ნატყევნიდან გემანას (ტინისხიდის იმდროინდელი მამასახლისი, – გ. ს.) მიწის მიდგმამდის.“[644] როგორც ჩანს, ვანათელი გლეხები ბარის სოფლებში ყიდულობდნენ მიწის ნაკვეთებს.

ვანათიდან ტინისხიდში მოსახლეობის მიგრაციის ფაქტები უფრო მოგვიანებითაც გვხვდება. ტინისხიდელი ჯოჯიშვილები XX ს. დასაწყისში სწორედ ვანათიდან გადმოსახლებულან.[645]

ვანათში ყმები ჰყავდათ აგრეთვე ამილახვრებს.[646] გვიანფეოდალურ ხანაში ვანათში ყმების და მამულების მოპოვებას ცდილობდნენ მაჩაბლებიც.

როგორც აღვნიშნეთ, ვანათიდან თლიაყანაზე გავლით გზა გადადიოდა დიდი ლიახვის ხეობაში, სადაც მაჩაბელთა სათავადო არსებობდა. გადმოცემით, XIX საუკუნის დასაწყისში მაჩაბლები დაპატრონებიან თლიაყანაზე არსებულ მამულს, რომელიც ვანათის მკვიდრს სესე მახნიაშვილს ეკუთვნოდა, ამ მიზეზით მაჩაბლებსა და მახნიაშვილს შორის მწვავე წინააღმდეგობა ჩამოვარდა. სესე მახნიაშვილს მაჩაბელთა სათავადო სახლის ერთ-ერთი წარმომადგენელი მოუკლავს.[647]

641 სეაცსა, ფ. 1450, საბ. 95, გვ. 168.

642 სეაცსა, ფ. 1448, საბ. 3602.

643 ხეც, ფ. HD, საბ. 5306.

644 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი, (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით) გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964, გვ. 202.

645 ი. ალიმბარაშვილი, ტინისხიდის ისტორია, გორი, 2005, გვ. 130.

646 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

647 გადმოცემის ჩაწერაში დაგვეხმარა ვანათის მკვიდრი გია მახნიაშვილი, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში არსებული თავდაცვითი ნაგებობებიდან გვიანშუასაუკუნეებში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ვანათის ციხეს. მას XVIII საუკუნის 20-იან წლებში ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ მოხერხებულად იყენებდა შანშე ქსნის ერისთავი. ვახუშტის ცნობით: „კუალად განდგა ქსნის ერისთავი შანშე და თეიმურაზ არაგვის ერისთავიცა განაძეს ოსმალთა და დასუეს რევაზცა, არა ერჩდათ ოსმალთა, ამისთვის უბრძანა ისაყ-ფაშამ მაჰმად ყულიხანს და წარმოავლინა ახალციხის სპანი. მოვიდნენ ქსანი მოარბიეს და მოადგნენ ვანათის ციხესა და ქუაბიდან მოსვრიდნენ მრავალთა ოსმალთა. არამედ ღამესა მას განილტვნენ ქუაბიდან, იხილა შანშემ, მისცა ქრთამი ოსმალთა ზავჰყო.“[648] ვანათის ციხესთან გამოქვაბულების ხსენება ამ ცნობაში უსაფუძვლო არ არის, ამის შესახებ წერს ვახუშტიც.[649]

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ოსმალთა ბატონობა საქართველოში „ყიზილბაშობამ“ შეცვალა. ირანის ახალმა შაჰმა ნადირმა ქართლს მძიმე გადასახადები დააკისრა, რამაც ფეოდალური არისტოკრატიის და ასევე დაბალი სოციალური ფენების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ყიზილბაშთა წინააღმდეგ აჯანყებული ერთ-ერთი პირველი მედროშე ქსნის ერისთავი შანშე იყო, რომელმაც საგარეო მტრის ძალმომრეობის თავიდან ასაცილებლად გაამაგრა საერისთავოში არსებული სიმაგრეები, მათ შორის ვანათის ციხე.[650]

1733 წელს ქსნის საერისთავოში თეიმურაზ II-მ ილაშქრა. ამ ლაშქრობის შესახებ შანშე ერისთავი ემიგრაციაში მყოფ ვახტანგ VI-ს წერდა: „მაშინ, რომ თათრები და კახი ბატონი, ქართველნი, მომადგნენ. ჯერ ახალგორს მობრძანდა კახი ბატონი და აქ ვერა გაარიგა რა, წაბრძანდა. მას უკან ლიახვზედა მომდგნენ, მღვთით და თქვენის დოვლათით ვერც არა იქიდან გაარიგეს. დიდი ჯარი იყო, თორმეტი ათასი იყო თათარი, ლეკი, ქართველნი და კახნი.“[651] მალე აჯანყებული ერისთავის დასჯის მიზნით, ირანის შაჰმა მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა სეფიხანის მეთაურობით. სეფიხანმა ჯერ ქსნის საერისთავოს სამხრეთი ნაწილი მოაოხრა, შემდეგ კი პატარა ლიახვის ხეობაში გადავიდა. მან ზედიზედ აიღო შანშეს მიერ გამაგრებული ციხეები. სეხნია ჩხეიძის ცნობით: „ქორონიკონს უკე (=1737 წ.) აპრილის გასულს კიდევ მოვიდა სეფიხან დიდის ჯარით ქართლში, მივიდა ქსნის ერისთავს შინა შეხვდა, აიღეს ციხე იკორთისა, ციხე ვანათისა, ციხე კულბითისა...“[652] წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ, შანშე იძულებული გახდა იმერეთში გახიზნულიყო. იმერეთიდან შანშე ერისთავი, იმ იმედით, რომ პეტერბურგში მას დახმარებას გაუწევდნენ, რუსეთის გზას დაადგა, თუმცა საიმპერატორო კარმა მას იმედი გაუცრუა და ერისთავი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

648 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქ.ც. IV, გვ. 620.
649 იქვე, გვ. 369.
650 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 322.
651 იქვე, გვ. 320.
652 სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, ქ. ც. II, გვ. 341-342.

როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „ენერგიული ფეოდალი არ გატყდა, ის შევიდა თავის სამკვიდრო ქსნის ხეობაში და სამ წელიწადს მედგარ ბრძოლას მეთაურობდა დამპყრობელთა წინააღმდეგ...“[653]

ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი კერა კვლავ ვანათის ციხე იყო. პოლიევქტოს კარბელაშვილის „ქრონიკებში“ დაცული ცნობის მიხედვით, შაჰის კარმა შანშე ერისთავის წინააღმდეგ კვლავ გამოგზავნა დამსჯელი რაზმი: „1739 წელს ასლამაზ-ხანი (ყიზილბაშთა ჯარის სარდალი, – გ. ს.) მოუხდა ერისთავს შანშეს, ააოხრეს იკორთა, კულბითი, შემოადგნენ ვანათის ციხეს, 22 დღე აღდგნენ და ვერა დააკლეს – რა, მოვიდა თოვლი და ჯარი დაბრუნდა ქალაქში.“[654]

ვანათის ციხე მართლაც მიუდგომელ ადგილზეა აგებული და მისი ალყით აღება ზამთრის პერიოდში, ძალზე გაძნელდებოდა.

შანშე ერისთავი მოქნილი პოლიტიკოსი იყო, იგი ლეკთა ძალას მოხერხებულად იყენებდა როგორც ყიზილბაშთა ჯარის, ისე თავის მოქიშპე ფეოდალების წინააღმდეგ.[655]

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში „ლეკიანობა“ კიდევ უფრო გაძლიერდა. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ლეკთა ბელადმა ზუბეიდალამ, პატარა ლიახვის ხეობა გაძარცვა და ვანათის ციხეც აიღო, რომლის ხელში ჩაგდება ლეკებისათვის მთელი ხეობის კონტროლს ნიშნავდა.[656]

ქართლის სამეფო კარისთვის ლეკიანობის აღკვეთა, ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავად იქცა. ერეკლე II ცდილობდა აქტიური თავდაცვითი ღონისძიებებით აღეკვეთა ლეკების თარეში. ამ მიზნით მან სპეციალური გეგმა შეიმუშავა, რომელიც წერილობითი სახით გაგზავნა ზემო ქართლის სადროშოში 1772 წელს. ამ გეგმის თანახმად, ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლის მეორე უბანში შედიოდა პატარა ლიახვის სოფლები, მათ შორის: ბელოთი, საცხენისი, ვანათი, არბო, ქორდი, დიცი და სხვა.[657]

არაერთხელ გამხდარა ლეკთა თავდასხმების ობიექტი ვანათის ციხეც. პროფ. ს. მაკალათიას ვანათში ჩაუწერია გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, ლეკებს ვანათის ციხის აღებაში ერთი ადგილობრივი ქალი დახმარებია. ქალს ლეკთა ბელადი მოსწონებია, ძაფის გორგლის წვერისათვის მოუბავს ბარათი, რომელშიც სწერდა, ძაფის სიგრძე კიბე გააკეთე და ციხეში ამოხვალო. ბელადიც ასე მოქცეულა. ლეკებს ღამით ციხე აუღიათ და ციხეში მყოფი ხალხი ამოუხოციათ. მოღალატე ქალი ლეკთა ბელადს ცოლად შეურთავს.[658]

აღსანიშნავია, რომ ლეკთა თავდასხმები რუსული მმართველობის დამყარების შემდეგაც გრძელდებოდა. XIX საუკუნის დასაწყისში ხელი-

653 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, გვ. 325.

654 საქართველოს ისტორიის ქრონიკები, პროფ. ა. იოსელიანის რედ. თბ., 1980, გვ. 74.

655 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 226.

656 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 56-58.

657 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. №13714.

658 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, გვ. 58.

სუფლებამ დაღესტნელთა რაზმების შესაკავებლად სპეციალური საგუშაგოები მოაწყო. 1802 წლის 19 აპრილს ვიცე-პოლკოვნიკ სიმონოვიჩის მიერ გენერალ-მაიორ ლაზარევის სახელზე დაწერილ პატაკში აღნიშნულია, რომ ლეკების თავდასხმების აღსაკვეთად რუსი სამხედროების მიერ გატარებული იქნა წინმსწრები ღონისძიებები, კერძოდ, თურქეთის, ოსეთის და იმერეთის მიმართულებით სასაზღვრო სოფლებსა და ხეობებში განლაგდა საგუშაგოები, რომელთა შემადგენლობის ძირითად ნაწილს ქართველები წარმოადგენდნენ, ხოლო მათ უკან-კაზაკთა პიკეტები მოეწყო. ერთ-ერთი ასეთი პიკეტი შეიქმნა სოფელ ვანათში, სადაც მითითებული დოკუმენტის მიხედვით, სამი კაზაკი იდგა.[659]

XVIII საუკუნის ბოლოს ვანათში ყმები ჰყავდათ ამილახვრებს. როგორც ირკვევა, იოანე ამილახვრისშვილს თავისი წინაპრების მიერ ნასყიდი რაჯაბაშვილების მამული იკორთის მონასტრის წინამძღვრისთვის არქიმანდრიტ გამალიელისთვის მიუყიდია. ამას ადასტურებს 1800 წ. 22 ნოემბერით დათარიღებული ნასყიდობის წიგნი: „ქ. ნებითა და შეწევნითა მაღლისათა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისათა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელის ჯვარისათა ესე ამიერითგან უკუნისამდე, ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი, ყოვლის კაცისაგან მოუდევარი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ამილახვრისშილმან მინბაშისშვილმან იოვანემ და ძმისწულმან ჩვენმან გიორგიმ და დავითმან, თქვენ, იკორთის არქიმანდრიტს ბატონს გამ(ა)ლიელს, ასე რომ დაგვეჭირა და მოგყიდეთ გამოღმა ვანათს ჩვენის მამაპაპისაგან ნასყიდი სამკვიდრო რაჯაბაშვილის ოთარასი და ივანეს მამული, რისაც მქონებელი ყოფილა, თავისის მთითა, ბარითა, კლდითა, ტყითა, ახოთი, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, საწყლისპიროთი, სასაფლაოთი, სასახლითა, კალო საბძლითა, ქვევრმარნითა, შესავლითა, გასავლითა, სახნავითა, უხნავითა და ყოველსავე მისის სამართლიანის სამზღურითა. რადგან ფავლენიშვილებმა გამოღმა ვანათს დმენისს(!) თავეთი წილი მამული სრულებით შენ მოგყიდეს, ჩვენც ეს ჩვენი ნასყიდი მამული შენ მოგყიდეთ... გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ეკკლესიის სამსახურსა შინა..... არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი და კაცთაგან ჩერქეზისშვილი ბოქაულთუხუცესი ფირან (ბეჭედი), ფურცელაძე მოურავი გიორგი (ბეჭედი), ბიბილური მოურავი დათუა (ბეჭედი), ვანათის ნაცვალი (ბეჭედი: გოგია), მამასახლისი ვანათისა გიორგი (ჯვარი), მაისურაძე ასანბეგ (ჯვარი), თედელური იასე (ჯვარი), ჯოჯიშილი ბერი(ჯვარი) თევდორაშვილი გლახა(ჯვარი), ხადური თაყა(ჯვარი), ელისბარაშილი ოთარ(ჯვარი), ამის დამსწრე და გამრიგე თავშავაძე ნიკოლოზ (ჯვარი). მე ბიბილურს პაატას ამ ამილახვრიშვილის იოვანეს სიტყვით დამიწერია და მოწმეცა ვარ ამისი(ბეჭედი პაატა). აღიწერა სიგელი ესე ნოენბერსა კბ, ქორონიკონსა უპ. ჩვენ, ამილახვრისშვილს ცხინვალის მოურავს ივანეს ამ სიგელის ყაბული მაქვს, ჩემი ხელია და ბეჭედია (ორი ბეჭედი)...“[660]

659 АКАК, т. I, стр. 656, № 923.

660 სეაცსა, ფ. 1450, წიგნი 36, საბ. 163.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე ვანათს გიორგი XII-ის მოურავი ზედამხედველობდა. პლატონ იოსელიანის ცნობით, ვანათის, არბოს და შინდისის მოურავი გოგია მირზაშვილი ყოფილა.[661] სხვა ცნობით, გოგია მირზაშვილის სამოურავოში შედიოდა, ჭვრივი, მღვრივი (სავარაუდოდ, უნდა იყოს სოფელი ღვრია, ვანათთან ახლოს, პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადის „მღვრიას“ ხევში არსებული მცირე კომლიანი სოფელი),[662] ვანათი, არბო და შინდისი.[663] პლატონ იოსელიანისავე ცნობით, პატარა ლიახვის ხეობას გიორგი XII-ის კიდევ ერთი მოურავი გოგია ფურცელაძე ზედამხედველობდა, იგი იყო მეთვალყურე „პატარა ლიახვისა და ოსებისა.“[664] 1803 წლის 2 აპრილით დათარიღებულ კაპიტან ენოხინის პატაკს მთავარმართებელ პავლე ციციანოვისადმი თან ერთვის დანართი: „გორის მაზრაში მდებარე სამეფო ოჯახის კუთვნილებაში მყოფი უძრავი ქონების და მამულების მდებარეობის შესახებ.“ დანართში ასახულია სოფლების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მიწის ვარგისიანობა, ტყის მასივები, იქ მცხოვრებთა რაოდენობრივი მაჩვენებლები და ეთნიკური კუთვნილება, მათი ქონებრივი და სოციალური მდგომარეობა, გადასახადები, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები...აქვე აღწერილია სოფელი ვანათი: „სოფელი ვანათი მდინარე პატარა ლიახვის პირას მდებარეობს. იქ 17 კომლი ცხოვრობს. ადგილობრივების თქმით, სახნავი საშუალო დონის სახაზინო მიწა ერთდღიური სახნავის 31 ნაკვეთის ტოლფარდია. ტყე სოფლიდან 3 ვერსის მოშორებითაა და დაახლოებით 10 ვერსის გარშემოწერილობისაა. გლეხობა ღარიბია, ხვნა-თესვითაა დაკავებული. მოჰყავთ ხორბალი, დიკა, ქერი, ფეტვი და სიმინდი, მეტობა არ აქვთ. მესაქონლეობა საშუალოდ არის განვითარებული. ბეგარა და გადასახადები სოფლის მფლობელის სასარგებლოდ 40 რუბლს შეადგენს და მათი ამოღება ძალდატანებით ხდება. სოფლის მოურავი ბეჟან მირზაშვილი (სავარაუდოდ, იგი ზემოთ ნახსენები გოგია მირზაშვილის შვილი იყო, – გ. ს.) ოჯახთან ერთად სოფელ შინდისში ცხოვრობს, სადაც ძმასთან ერთად აქვს ბაღი, მაგრამ მისი მეურნეობა მოუწყობელია. გლეხების ვალდებულება მოურავის წინაშე დღესასწაულზე თითო ქათამს და რამდენიმე თონის პურს შეადგენს.“[665]

1803 წლიდან, მას შემდეგ, რაც ერეკლე II-საგან შერისხულმა ქსნის ერისთავებმა უფლებები აღიდგინეს, ვანათი, ისევე როგორც პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლები, კვლავ ქსნის ერისთავების საკუთრებაში გადავიდა. ამას ადასტურებს 1807 წლის 2 ივნისით დათარიღებული დოკუმენტი, რომელიც ქსნის ერისთავთა გაყრას ეხება. აღნიშნული საბუთის მიხედვით, ვანათი (ციხიანად) მიხეილ ერისთავის საკუთრება გახდა: „ვანათი ერთობით თავისი ციხით, კაცით და მამულით

661 პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 263.
662 გ. სოსიაშვილი, ძიებანი, თბ., 2007, გვ. 48.
663 АКАК, т. I, стр 195, № 157.
664 პლ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 263.
665 АКАК, Т.II, Тиф., 1868, стр. 73, №121.

და ათი კომლი კაცი ხახალა ანიაშვილი, ხიბლიშვილი დემეტრე, ხოსრო ბუთხუზი, არჩვაძე ღვთისია, გოგაძე ნინია, ბეგია ოსი ლეკვია, ოსი კუდალა, ონიაშვილი იოსებ, ონიაშვილი და ხოხაშვილი.“[666]

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ქართული საზოგადოება მძიმე პოლიტიკური წნეხის ქვეშ მოექცა, ეს იგრძნო ყველა ფენამ: თავად-აზნაურობამ, სამღვდელოებამ, გლეხობამ. საქართველოში დამყარებული რუსული ბიუროკრატიული მმართველობა, ჩრდილოეთიდან ქვეყნის მმართველ რგოლებში განწესებული ჩინოვნიკების სიხარბე და თვითნებობა, მოსახლეობის მიმართ გამოჩენილი ძალადობა მალე თვალშისაცემი გახდა. საიმპერატორო კარის მიერ ეროვნულ ინსტიტუტების მოშლისათვის დაგეგმილი სხვადახვა სახის კამპანია რუსული მმართველობის წინააღმდეგ ქართული საზოგადოების ყველა ფენის გაერთიანების და აჯანყებების მიზეზად იქცა. რუსული მმართველობის წინააღმდეგ პირველი გამოსვლა 1802 წელს, კახეთში, სოფელ კელმენჩურში მოხდა.[667] 1804 წელს აჯანყებამ იფეთქა მთიულეთში.[668] დავით ბატონიშვილი წერდა: „მაშინ იყო შემჭირვებაი დიდი ქართველთა ზედან...სადაცა განვლიდიან რუსნი, ამჭირვებდიან სოფელთა ცემითა, ტაცებითა, და რომევითა.“[669] ამას მოჰყვა 1812 წლის კახეთის აჯანყება.[670] აჯანყებულებმა ქართლიდან ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე მოიწვიეს და მეფედ გამოაცხადეს.[671] რუსული მმართველობის წინააღმდეგ არსებულმა მოძრაობამ საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მოიცვა. კოლონიალურ პოლიტიკას წინ აღუდგა დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მოსახლეობაც. რუსული რეჟიმის დასამხობად თავგამოდებით იბრძოდნენ ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრები. ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები 1804 წელს ქართლ-კახეთის მოსახლეობის ყველა ფენას წერილებს უგზავნიდნენ და რუსების წინააღმდეგ გამოსვლისკენ მოუწოდებდნენ.[672] რუსულ ხელისუფლებასთან განსაკუთრებული შეურიგებლობით გამოირჩეოდნენ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები, რომლებსაც საქართველოს ყველა კუთხეში ჰყავდათ მხარდამჭერები, მათ შორის დიდი და პატარა ლიახვის ხეობების სოფლებში, სადაც არაერთხელ სცადეს რუსული ხელისუფლების

666 გსიემ, 7486.

667 საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, XVIII-XXI საუკუნეებში, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 341.

668 იქვე, გვ. 342.

669 დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გამოსცა თამარ ლომოურმა, თბ., 1941, გვ. 40.

670 რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წიგნი I, გვ. 345; დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის, დოკუმენტები გამოსაცემად მოამზადა პროფ. შ. ხანთაძემ, თბ., 1999; ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა, 1812, ისტორიული ამბავი, ტფ., 1907, გვ. 42.

671 713. ნ. ჯავახიშვილი, რუსეთის იმპერიასთან მებრძოლი უკანასკნელი ქართველი მეფე გრიგოლი, ჟურნ. „ისტორიანი,“ № 11, 2011, გვ. 12-17.

672 ე. ორჯონიკიძე, ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები, თბ., 1999, გვ. 13.

წინააღმდეგ მოსახლეობის ამხედრება. იულონი და ფარნაოზი მალხაზ ანდრონიკაშვილის დახმარებით ქართლში მცხოვრებ წარჩინებულებთან საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. ამბოხებულ ბატონიშვილებს კავშირი ჰქონდათ მაჩაბლებთან, ჟურულებთან, გედევანიშვილებთან...[673]

იულონ ბატონიშვილი, როგორც სახელმწიფო მრჩევლის კოვალევსკის მიერ მთავარმართებელ კნორინგის სახელზე 1802 წლის 13 აგვისტოს დაწერილი პატაკიდან ირკვევა, პატარა ლიახვის ხეობაში, კერძოდ, სოფელ ბელოთში შეჭრილა. იგი განმეორებით აპირებდა პატარა ლიახვის ხეობაში შესვლას. ამის შესახებ რუსეთის ხელისუფლებას თავისი აგენტურის მიერ წინასწარ მიეწოდა ინფორმაცია. დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში რამდენიმე საგუშაგო გაამაგრეს. ამას ადასტურებს 1802 წლის 16 აგვისტოთი დათარიღებული ვიცე-პოლკოვნიკ სიმონოვოჩის პატაკი გენერალ-მაიორ ლაზარევისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ცხინვალის საგუშაგოს და ბელოთის ციხესიმაგრის სამხედრო ძალით გაძლიერების აუცილებლობა დადგა, რის თაობაზეც გენერალ-მაიორმა ტუჩკოვმა გასცა განკარგულება, რომლის თანახმად, ცხინვალში სატევიდან (?) გადმოყვანილი საჯარისო ქვედანაყოფი განთავსდებოდა, ხოლო ბელოთში – 51 ჯარისკაცი, 1 ობერ-ოფიცერი, 2 უნტერ-ოფიცერი, კაზაკთა ურიადნიკი და 12 კაზაკი, რომელთაგან 6 ვანათის საგუშაგოზე უნდა ყოფილიყო. ამასთან ერთად გიორგი ამილახვრის მიერ გამოგზავნილი 20 შეიარაღებული ქართველი ბელოთში იქნებოდა.[674]

რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის გაგრძელება იყო 1810 წელს სამაჩაბლოში ცარიზმის წინააღმდეგ დაგეგმილი აჯანყება, რომელსაც ლევან იულონის ძე ბატონიშვილი მეთაურობდა.[675] დიდი ლიახვის ხეობაში შეიარაღებული გამოსვლა მარცხით დასრულდა, მაგრამ სამეფო ოჯახის წევრები იმედს არ კარგავდნენ. მათ მოსახლეობის დაბალ ფენებშიც აქტიური მხარდამჭერები ჰყავდათ, რომლებიც ძალღონეს არ იშურებდნენ და დიდი და პატარა ლიახვის ხეობების სოფლებში ანტირუსულ მოწოდებებს სხვადასხვა მეთოდით ნიღბავდნენ.

ამ მხრივ, ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის რუსი მოხელეების მიმოწერა. წერილების მიხედვით, პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობაში ანტირუსული განწყობის შექმნაზე განსაკუთრებით აქტიურობდა სოფელ ვანათში მცხოვრები ქალბატონი ბარბარე ლაფაჩი. ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის შტაბს-კაპიტანი სმირნოვი 1812 წლის 15 მაისს, გორის კომენდანტს. ვიცე-პოლკოვნიკ რენიერს ცხინვალიდან წერდა: „გუშინ ცხინვალში მყოფმა ქვემეხის მომსახურე ჯარისკაცმა ალექსეევმა სიტყვიერად მომახსენა, რომ ვიღაც ქალმა ეკლესიაში საღამოს ლოცვაზე შეკრებილ ხალხს მიმართა სიმშვიდის დარღვევისაკენ მიმართული სიტყვებით, რომ მალე უფლისწული ალექსანდრე ჩამოვა და რუსებს ამოხოცავენ, ხოლო ვინც გადარჩება განდევნილნი იქნებიან რუსეთში. ქართველები კი რო-

673 გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2021, გვ. 233.
674 АКАК, Т. I, стр 248, №241.
675 Там же, стр. 236.

გორც უწინ ისე იცხოვრებენ. თითქოს ყოველივე როგორც წინასწარმეტყველება მას ძილში წმინდა გიორგიმ აუწყა. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე მისი დაკავება. ჩემს კითხვაზე მისი და ადგილობრივი მცხოვრებლების ჩვენებით, იგი სოფელ ვანათის მკვიდრი აღმოჩნდა. მას, როგორც ხალხის აღმაშფოთებელს, აღნიშნულთან (პატაკთან) ერთად გიგზავნით. ყოველივეს თაობაზე პატაკით მივმართე ეგერთა 15 პოლკის შეფს პოლკოვნიკ პეჩერსკის."[676]

როგორც ჩანს, რუსი მოხელეების მიერ ადგილობრივ მოსახლეობაზე, ხალხმრავალ ადგილებში თვალთვალი ხდებოდა. შტაბს-კაპიტან სმირნოვის წერილიდან ირკვევა, რომ ბარბარე ლაფაჩს ფარული კავშირი ჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილის მხარდამჭერ ძალებთან და თავის მოწოდებას რუსების წინააღმდეგ ძილში წმინდა გიორგის გამოცხადებას მიაწერდა. რუსებმა მეამბოხე ქალბატონი დააპატიმრეს და გორის კომენდანტთან ვიცე-პოლკოვნიკ რენიერთან გადაგზავნეს. როგორც სახელმწიფო მრჩევლის მალინსკის გენერალ რტიშჩევისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რუსი მაღალჩინოსანი ბარბარე ლაფაჩის შემოწმებას ითხოვდა. თუ იგი ფსიქიკურად შეშლილი (გონებრივად სუსტი) აღმოჩნდებოდა, მაშინ სახელმწიფოს 25 რუბლი უნდა გამოეყო მის სამკურნალოდ. რაკი ბარბარე ლაფაჩმა ანტირუსული მოწოდებით ეკლესიაში შეკრებილ მლოცველებს მიმართა, მალინსკი ეჭვობდა, ხომ არ იყო ბარბარე ლაფაჩის მოწოდება სასულიერო პირების მიერ წაქეზებული, ამიტომ რტიშჩევს რეკომენდაციას აძლევდა, სასულიერო პირებთან ყოფილიყო ეს საკითხი მოკვლეული. მალინსკის რჩევით, რენიერს უნდა წაეყვანა ეს ქალი და გაერკვია, თუ ვისთან ჰქონდა მას ურთიერთობა, ვინ იყო მისი სანაცნობო წრე. თუ აღმოჩნდებოდა, რომ ბარბარე ლაფაჩი არ იყო ანტირუსულ ძალებთან შეკრული, მაშინ სოფელი, სადაც ბარბარე ცხოვრობდა, მისი თავდები უნდა გამხდარიყო და მეთვალყურეობა დაეწესებინა, რომ სხვა სოფლებში სიარული შეეწყვიტა.[677]

1812 წლის 25 მაისს სახელმწიფო მრჩეველი მალინსკი გენერალ რტიშჩევს სწერდა: „გორის კომენდანტი ვიცე პოლკოვნიკი რენიერი მაუწყებს ნიჟეგოროდსკის დრაგუნთა პოლკის შტაბს კაპიტან სმირნოვის მიერ მასთან გაგზავნილი ერთი ქალის შესახებ, რომელსაც ბარბარე ჰქვია და ამავე მაზრის სოფელ ვანათიდანაა. ეს ქალი სოფელ ცხინვალის ეკლესიაში ვითომდა მისთვის წმინდა გიორგის კარნახით, რუსეთის მთავრობაზე აღმაშფოთებელი სიტყვებით ხალხს მიმართავდა. აგზავნის რა ჩემთან ამ ქალის ჩვენებას და პატაკის ასლებს, შტაბს-კაპიტანი სმირნოვი მიდის დასკნამდე, რომ თუ ეს ქალი არ ეშმაკობს, მაშინ გონებასუსტი უნდა იყოს. გიგზავნით რა აღნიშნულთან ერთად დანართებიდან იგივე ნაირ

676 АКАК, Т.V, Тиф., 1873, стр. 943, №25.

677 გ. სოსიაშვილი, ანტირუსული გამოსვლების ერთი ეპიზოდი ლიახვის ხეობაში, XIX საუკუნის დასაწყისში (ბარბარე ლაფაჩი) გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული № 19 (1-2), 2020, გვ. 183.

ასლებს, ჩემი აზრით საჭიროდ მიმაჩნია, რომ 1) შემოწმდეს ხსენებული ქალის გონებრივი მდგომარეობა საექიმო სამმართველოს ინსპექტორის რიზენკოს მეშვეობით, რომელიც ამჟამად გორში, სხვა მედიკოსებთან ერთად იმყოფება და თუ ისინი მის (ბარბარეს) გონებრივ შეზღუდვას აღმოაჩენენ, მათ უნდა მიეცეთ მოქმედების შესაძლებლობა, რისთვისაც მისი შენახვისა და მკურნალობისთვის გუბერნიის ექსტრაორდინალური თანხებიდან გამოიყოს 25 რუბლი, რომლის იქ გაგზავნა მე შემიძლია. 2) მიეცეს შესაძლებლობა სასულიერო ხელისუფლებას გამოიკვლიოს, ხომ არ დამოძღვრა ეს ქალი სასულიერო პირთაგან რომელიმემ, რათა მისი მეშვეობით ხალხისთვის ეცნობათ რომ მომხდარი – გამოცხადებაა. თუ ეს ქალი გონებასუსტი არ აღმოჩნდება, ვიცე პოლკოვნიკმა რენიერმა თან გაიყოლოს და ვითარებების გამჟღავნების გარეშე ადგილობრივებში გაარკვიოს, სად იმყოფებოდა და ვის სცნობდა, მოიძიოს ცნობები მისი ყოფაქცევისა და გონების მდგომარეობის შესახებ. 3) თუ აღმოჩნდება, რომ ყოველივე ეს სიმართლეს არ შეესაბამება, როგორც ხანდახან ხდება ხოლმე, ეს ქალი გადაეცეს იმ სოფელს, სადაც ცხოვრობს და სოფელმა იკისროს თავდებობა და დააწესოს ზედამხედველობა მასზედ, მიხედონ მის ყოფაქცევას, რათა არ დაუშვას მისი ხეტიალი სხვადასხვა ადგილებში.“[678] მალინსკის პატაკს დანართის სახით ახლავს ბარბარე ლაფაჩის დაკითხვის ოქმი:

„1812 წლის მაისი მე-18 დღე, იმას რაც ვიცი ჭეშმარიტად ჩვენებაში ვიძლევი. სახელად მქვია ბარბარე და წარმოშობით ქართველი ვარ. მამაჩემი გოგია ლაფაჩი იყო, ხოლო დედა დარეჯანი, მაისურაძის შვილი, ორივე წარმოშობით ქართველები იყვნენ და ცხოვრობდნენ სოფელ ჭარებში. ისინი გარდაიცვალნენ. ჩემი მეუღლე თევდორე ჯოჯიშვილი, ქართველია და დღემდე სოფელ ვანათში ცხოვრობს.[679] იმის გამო, რომ 1811 წლის 8 სექტემბერს გავხდი ავად, წავედი ჭარების მთავარანგელოზის ეკლესიაში, სადაც ხუთი კვირა ლოცვაში ვიყავი. შემდეგ დავბრუნდი ვანათში, სადაც მაცხოვრის ეკლესიაში დილა საღამოს ვლოცულობდი.[680]

6 იანვარს, ნათლისღებას, ჩავედი სოფელ არბოში და იმდროიდან იქ, წმინდა გიორგის ეკლესიაში ვიმყოფები, რომლის ნება-სურვილით მოსალოცად დავდიოდი შემდეგი სოფლების: დევრისის (სავარაუდოდ, იგულისხმება სოფ. დგვრისი, რომელიც ამჟამად ცხინვალის ნაწილს წარმოადგენს, – გ. ს.), ნიქოზის, ზემო ხვითის, ქვეშის, ხვითის, ტირძნისის, დიცის, ქორდის და ცხინვალის ეკლესიებში. ხალხისაგან მიღებული მოწყალებით ვიყიდე თავშალი, ცვილი, საკმეველი და მივიტანე არბოს

678 АКАК, T.V, стр. 943. №1052, № 1613.

679 პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ სოფელ ვანათში ჯოჯიშვილების გვარის არსებობას არაერთი დოკუმენტური წყარო ადასტურებს, *იხ. ს. ალიმბარაშვილი, ტინისხიდის ისტორია, გორი 2005, გვ. 130;* ვანათში არსებობდა ჯოჯიანთ უბანი. *გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 82.*

680 იგულისხმება ვანათის მაცხოვრის სახელობის დარბაზული ეკლესია, რომელიც X-XI ს.ს. თარიღდება. *გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 80; პ. ზაქარაია, ცხინვალის რაიონი, თბ., 1981, გვ. 21.*

წმინდა გიორგის ეკლესიაში, რომელიც (იგულისხმება არბოს წმ. გიორგი) იმავე თვის 13 რიცხვში გამომეცხადა, მიბრძანა ჩავსულიყავი ცხინვალში და ზღუდრის წმინდა გიორგისთვის მელოცა, მოსახლეობისგან შესაწირი შემეგროვებინა, რითაც ცხვარი მეყიდა და არბოს წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში დამეკლა. ამიტომ მომდევნო დღეს ცხინვალში წავედი. ზღუდერის წმინდა გიორგის ეკლესიაში, საღამოს ლოცვისას წმინდანები გამომეცხადნენ, რომლებმაც თავიანთი სახელები გამიცხადეს. დავიმახსოვრე მხოლოდ წმინდა გიორგი და ღვთისმშობელი. მათ მიბრძანეს, რომ **თუ რუსებს ღმერთის არ შეეშინდებათ და ისინი ხალხებს არ დაინდობენ, მაშინ ისინი რუსეთში განდევნით დაისჯებიან, რომ უფლისწული ალექსანდრე ჩამოვა საქართველოში და ქართული მმართველობა კვლავ აღდგება.** ამ გამოცხადების განმავლობაში უგონო გავხდი, მის დამთავრებისას მახსოვს მხოლოდ ნაწილი. არა მხოლოდ ეს, არამედ სხვა მრავალი გასაოცარი გამოცხადებები მქონია არბოს და სხვა ეკლესიებშიც, მე ავადმყოფობის გამო არასრულფასოვნად ვაზროვნებ, გარდა ზემოთაღნიშნული სოფლებისა სხვა ადგილებში არ ვყოფილვარ, სხვა არაფერი მინახავს და არც ვიცი. ჩემი ჩვენება ჭეშმარიტად ისაა, რაც ვიცოდი."[681]

როგორც ჩანს, რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ დიდი და პატარა ლიახვის ხეობების სოფლებში მოსახლეობის ასამხედრებლად „მლოცველმა" ბარბარე ლაფაჩმა, იმისათვის, რომ რუსი მოხელეების წნეხისგან თავი გაეთავისუფლებინა, ავადმყოფობა „აღიარა." თითქოს ის არასრულფასოვნად აზროვნებდა და მოწოდება, რასაც ხალხში ავრცელებდა, მხოლოდ წმინდა გიორგის და ღვთისმშობლის გამოცხადებისას ჩაესმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ხელისუფლების რისხვას ვერ გადაურჩებოდა. რა ბედი ეწია ბარბარე ლაფაჩს, როგორ გაგრძელდა მისი ცხოვრება, ჰქონდა თუ არა მას ალექსანდრე ბატონიშვილის მომხრე ძალებთან მომავალშიც ურთიერთობა, უცნობია.

ვანათში უძველესი დროიდან სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი იყო განვითარებული. ზემოთ წარმოდგენილი ვახუშტის ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ ჯარიაშენიდან ვანათამდე არსებული გვერდისძირის ტერიტორია უხვმოსავლიანი იყო და აქ მცხოვრები მოსახლეობა სოფლის მეურნეობის არაერთ დარგს მისდევდა. ვანათში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ტრადიციული დარგების გარდა, დაწინაურებული ყოფილა მეფუტკრეობაც. XIV საუკუნეში აღნიშნულ სოფელს ქსნის ერისთავის შალვა ქვენიფნეველის ერთ-ერთი წყალობის სიგელის თანახმად, სამი ლიტრა სანთლის ცვილის გადახდა ევალებოდა, რომელიც იკორთის ტაძარს უნდა გადასცემოდა.[682]

681 АКАК T.V, стр. 943; გ. სოსიაშვილი, ანტირუსული გამოსვლის ერთი ეპიზოდი ლიახვის ხეობაში XIX საუკუნის დასაწყისში (ბარბარე ლაფაჩი), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, 19(1-2), გვ. 173-188.

682 თ. ჟორდანია, ქრონიკები II, თბ., 1897, გვ. 197.

ვანათში ძველი დროიდან განვითარებული იყო მეთუნეობაც. როგორც ირკვევა, ვანათის თიხა განთქმული ყოფილა თავისი საუკეთესო თვისებებით. ვანათელი მეთუნეები თავიანთი ხელგაწაფულობით მთელ ქართლში იყვნენ ცნობილნი. მეთუნეობასთან დაკავშირებული ტოპონიმების და სხვა სახის ონომასტიკური მასალის არსებობა, ვანათში თიხის წარმოების უძველეს ტრადიციაზე მეტყველებს. ადრეულ პერიოდში, ამ სოფლის ყველა ოჯახი თიხაზე მუშაობით ყოფილა დაკავებული.[683]

XIX საუკუნეში ვანათი ქართლის სხვა სოფლებისაგან ბევრად არ განსხვავდებოდა და ყოფითი პრობლემები აქაურ მოსახლეობასაც ძალზე აწუხებდა. ერთგვარი შედავათი ვანათელთათვის ის იყო, რომ „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“[684] ხარჯზე აქ სკოლა ფუნქციონირებდა, მაგრამ ვანათელთა სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან 1884 წელს საზოგადოებას განუცხადებია, რომ „სკოლის შესანახად საშუალება აღარ არის და თითონ თქვენ იკისრეთ ეს სასყიდელიო.“[685]

ეს ფაქტი განპირობებული იყო იმითაც, რომ „ივერიის“ კორესპონდენტის ცნობით, სკოლისა და სწავლის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობიდან „არავითარი თანაგრძნობა“ არ იყო და მშობლები ხშირად აცდენინებდნენ ყმაწვილებს მეცადინეობებს. ადგილობრივ მასწავლებელსა და მღვდელს გამოსავალი მოუნახავს იმაში, რომ „სალიტერატურო საღამოების“ ჩატარება დაუწყია. ერთ-ერთ ასეთ საღამოს 1894 წლის 27 თებერვალს სოფლის გლეხკაცობა და მანდილოსნებიც დასწრებიან, სადაც წაუკითხავთ ილიას „გლახის ნაამბობი,“ რომელსაც ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.[686]

რუსული ხელისუფლების მიერ 1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით, ვანათში 33 კომლი ცხოვრობდა (133 სული მამაკაცი და 85 ქალი). აქედან, დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ (25 კომლი - 114 მამაკაცი, 74 ქალი). ოსების რაოდენობა მხოლოდ 8 კომლი იყო (19 მამაკაცი, 11 ქალი). აღწერაში ვანათელ ოსებზე მითითებულია: „ჩამოსახლებული ოსები.“ ყველა მათგანი ჩარიცხულნი იყვნენ სახაზინო უწყებაში. მოსახლეობის სარგებლობაში იყო 200 დღიური მიწა. აქედან, დიდი ნაწილი სახნავი იყო, ნაწილიც – სათიბი და დიდი ფართობის ტყე. აღწერის უწყისში გაურკვეველად წერია, რომ „საუკეთესო ნაწილი ლეკებმა მიისაკუთრეს.“[687] მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. ადგილობრივ გლეხებს ვალდებულებები არ ჰქონ-

683 მ. ზანდუკელი, ქალი მეთუნეები შიდა ქართლში, კრებ.: „შიდა ქართლი,“ ეთნოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1987, გვ. 156.

684 იგულისხმება მისიონერული ორგანიზაცია მეფის რუსეთის დროს, 1860-1917 წლებში. საზოგადოებას მართავდა, თბილისში დაფუძნებული საბჭო, რომელსაც სხვადასხვა დროს თავჯდომარეობდა კავკასიის მეფისნაცვალი და საქართველოს ეგზარქოსი.

685 გაზ. „დროება,“ 1884 წ. 20 სექტემბერი, №203, გვ. 2.

686 გაზ. „ივერია,“ 1894 წ. 5 მარტი, №48, გვ. 2.

687 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გვ. 54.

დათ, „გარდა იმისა, რაც 1802 წელს ენოხინს[688]* გამოურთმევია 20 კოდი ხორბალი და ამდენივე ქერი.“[689] ზემოთ აღინიშნული (იხ: დმენისი) „ნებით გაშვებულ“ გლეხთა (Вольноупущенных) კატეგორია ვანათშიც გვხვდება. ამ კატეგორიის გლეხთა შორის 1843 წელს ვანათში ცხოვრობდნენ: ერემა მახნიაშვილი და მისი შვილები: დათო და ისაკა, ერემას ბიძაშვილი ბერია და მისი შვილები: იაკობი და გიგოლა, გიგოლას ვაჟები: დავითი, შიო და ანდრია. მათ მფლობელობაში იყო 180 დღიური მიწა, სადაც მოჰყავდათ 500 კოდი პური, 150 კოდი ქერი და 60 კოდი სიმინდი. ჰყავდათ 10 ცხენი, 40 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 100 ცხვარი.

ივანე მახნიაშვილი, მისი შვილი გიორგი და შვილიშვილები: იოსები და მაქსიმე, ივანეს ნათესავი ბაჩანა და მისი ვაჟი თევდორე, თევდორეს ვაჟები: პეტრე და სოლომონი.

ზურაბ მახნიაშვილი, მისი ვაჟი სოსია, ძმა ზურაბი და ზურაბის ვაჟები: გაბრიელი, გლახო და სოსია.

ვანათში ამავე კატეგორიის გლეხთა შორის ასევე აღრიცხულნი იყვნენ: გლახა მახნიაშვილი, იორამ ივანე, ანდრია, დავით ჯოჯიშვილები, ნიკოლოზ მაისურაძე, ნინია ბედანაშვილი, დავით და ცაცა თევდორაშვილები, ანდრია, ხოსრო და სოლომონ თედელურები, სოსია და გრიგოლ ციცილაშვილები, ნასყიდა ჩოჩიშვილი (ძმასთან და ძმისშვილთან ერთად) და სხვ. სულ 31 კომლი (136 სული).

ვანათის მამასახლისი ამ დროისათვის ქაიხოსრო თედელური იყო.

დაზუსტებულია წინა წლის აღწერებში გამორჩენილ გლეხთა ვინაობაც, მაგ. სიმონ ხეთაგაშვილს, მიწერილი აქვს: „გამორჩენილი იყო ახალ კამერალურ აღწერაში.“[690]

მნიშვნელოვნად გაიზარდა ვანათის მოსახლეობა XIX საუკუნის ბოლოს. 1886 წლის აღწერით, ვანათში აღრიცხულია 83 კომლი (235 მამაკაცი, 186 ქალი, სულ - 228 სული). ყველა მათგანი ქართველი და მართლმადიდებელი იყო. 79 კომლი სახაზინო უწყებას ეკუთვნოდა, ხოლო 3 ეკლესიის საკუთრებაში იმყოფებოდა.[691]

სოფელ ვანათში შემორჩენილია არაერთი ტოპონიმი, რომელთაგან შეგვიძლია დავასახელოთ: თლიაყანა, წყალწმინდა, ითრაფი, მახნიაანთ უბანი, ჯოჯიაანთ უბანი, ბასიანთ ხევი, თალა ახო, გალეგაანთ ახო და სხვ. 2008 წლის აგვისტოს ომამდე ვანათში შემდეგი გვარები ცხოვრობდნენ: მახნიაშვილი, ჯოჯიშვილი, თედელური, გალეგაშვილი, ბასიშვილი,

688 * კაპიტანი, გორის მაზრის პოლიციის უფროსი მთავარმართებელ პავლე ციციანოვის დროს.

689 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გვ. 54.

690 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 2036, გვ. 17-23, Посемеиние списки вольноупущенных крестьян по Горийскому уезду, 1843-46 года.

691 Свод статистических данных о населении Закавказскаго края, извлеченных из посемейных списков 1886 г., издан по распоряжению Главноначальствующаго гражданскою частию на Кавказе Закавказским статистическим комитетом, Тифлисская Губерния, Горийский уезд, Цхинвальский участок, Тиф., 1893, №1248.

ზაქაროშვილი, ციცილოშვილი, გოჩიაშვილი და სხვ.

სოფელი სარაბუკი ვანათის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. ქართულ საისტორიო დოკუმენტებში აღნიშნული სოფელი არ იხსენიება. როგორც ჩანს, იგი მოგვიანებით, ახალმოსახლეთა მიერ შეიქმნა.

1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით, სარაბუკი რევაზ, ნინია, თეიმურაზ და გლახა ფავლენიშვილების მფლობელობაში იყო. აღნიშნულ სოფელში, ძირითადად, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ოსები ცხოვრობდნენ, რომლებსაც მებატონეებისადმი ვალდებულებები არ გააჩნდათ. მათ მხოლოდ ტყიდან შეშის ზიდვა და წელიწადში ერთხელ, კომლზე ერთი ცხვარის გადახდა ევალებოდათ.[692]

1842 წლის საეკლესიო გლეხთა კამერალურ აღწერის მიხედვით, სარაბუკი კვლავ ნინია ფავლენიშვილის მფლობელობაში იყო, სადაც 5 კომლი ყმა (31 სული) ცხოვრობდა. დოკუმენტში მოხსენიებულია ბადურა არბოლიშვილი და მისი შვილები: ნინია, მოსე და პეტრე. ბაადურის ძმა – სპირიდონი. სოლომონ არბოლიშვილი და მისი შვილები: იოსები, ნიკოლოზი და ალექსი. ტეტია ჩახალიძე და მისი შვილები: ფარსადანი, სოლომონი და გიგოლა. ლევან კოკოშვილი და სხვ. სოფლის მამასახლისი იყო სოსია არბოლიშვილი, ხოლო მოსამართლეები: სოსია ჭიღლაძე და სიმონ კოკოშვილი. იმის გამო, რომ „ამათ წერა არ სცოდნიათ," უწყისზე ხელს აწერს წყალობა თანდიევი (თანდიაშვილი).[693]

ბელოთი-საცხენეთი (საცხენისი)

სოფელი ბელოთი მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1160 მეტრზე, ხოლო ცხინვალიდან 15 კმ-ის დაშორებით, გუდისის ქედის სამხრეთით მდებარეობს.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ადმინისტრაციული დაყოფით, ბელოთი წარმოადგენდა სოფ. საბჭოს ცენტრს და მას მიეკუთვნებოდა შემდეგი სოფლები: ალბირი, აწრისხევი, ბისოითა, გნასური, გნული, გოზო, დელაგინა, დისიგინი, ელტურა, ზემო ზონკარი, ინაური, ლაცაური, მალძიგათა, საკანაფო, სიათა, სოწი, ქვემო ზონკარი, შამშიეთი, შუაცხვირი, შულაური, ხადურიანთკარი, ხოშური, ხურითა.[694]

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: „ამ მერისხევს ზეით ჩდილოეთ კერძ არს ვანათი, პატარა ლიახჳს კიდესა. მაღლა გორასზედა არს ციხე, სნეკვიდან წამოსულს მცირეს მთასა ზედა. ეს მთა გამოჰყოფს კულ-

692 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა... გვ. 54.

693 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 1951, გვ. 319-324, Камеральное описание церковных крестьян Ксанского участка Горийского уезда, 1842 года.

694 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 289.

ბითს – ვანათამდე სოფლებსა, და საცხენისსა, და ბელოთს და პატარა ლიახჳს.“[695]

ბელოთი, ისევე, როგორც პატარა ლიახვის ხეობის შუა და ზემო წელზე არსებული სოფლები, ქსნის ერისთავთა საკუთრებას წარმოადგენდა. ვახუშტი თხზულების მიხედვით, ბელოთში ქსნის ერისთავებს თავიანთი ციხესიმაგრე და რეზიდენციაც ჰქონდათ: „აქა ბელოთს კეთილ ჰავისათვის ჰქმნა სასახლე, ქსნის ერისთვის ძემან ყულარაღასმან გიორგი საყოფელად თჳსად.“[696]

XVIII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაურის იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ცნობიდან ჩანს, რომ ბელოთისა და პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სხვა სოფლების გამო დავა ჰქონიათ ქსნის ერისთავსა და მის ბიძაშვილს, გიორგი ყულარაღასს.

„...საღამოს მესტუმრა ერისთავის ბიძაშვილი გიორგი, რომელიც ატარებს სპარსულ ტიტულს – ყულარაღასს და რომელსაც ერისთავმა (ქსნის ერისთავზეა საუბარი, – გ.ს.) ბევრი დავის შემდეგ დაუთმო ბელოთი და რამდენიმე სოფელი პატარა ლიახვზე.“[697]

იოანე ბაგრატიონს თავის თხზულებაში: „ქართლ-კახეთის აღწერა,“ ბელოთი მოხსენიებული აქვს იმ სოფლების ნუსხაში, სადაც არიან „პატარა ლიახვის ხეობაზედ მცხოვრებნი ოსნი და შიგ ნახევრად ქართველნიცა.“ აღნიშნულ ნუსხაში ვკითხულობთ: „ქ. საცხენისი, მოსახლე, ედემ ქალაქი, მოსახლე, ბელოთი, მოსახლე...“[698]

პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე იოანე ბაგრატიონი ოსებს შემთხვევით არ ახსენებს. ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ოსები XVIII საუკუნის ბოლოს შიდა ქართლის მთიან ნაწილში დამკვიდრდნენ. როგორც პროფ. რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, „XVIII ს-ის ბოლოსათვის სამხრეთის მიმართულებით (ისევ მთაში) ოსებმა რამდენიმე ახალი სოფელი შექმნეს, უფრო სწორედ, ქართველთა ნასოფლარებში დასახლდნენ... საერთოდ არ ცხოვრობდნენ ოსები ფრონეების ხეობაში (ე. წ. ზნაურის რაიონი). კომპაქტური დასახლებანი ჰქონდათ მხოლოდ დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის მთიან ნაწილში, აგრეთვე თრუსოსა და კუდაროში.“[699] გიულდენშტედტს პატარა ლიახვის ხეობის აღწერისას დასახელებული აქვს „ოსური მხარეები,“ მათ შორის ის სოფლებიც, რომლებიც არიან ქართველებით დასახლებული, „ნაწილობრივ სომხებთან შერევით,“ ესენია:

695 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 369.

696 იქვე.

697 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964, გვ. 99.

698 იოანე ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

699 რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 148.

საცხენისი, კარბი, მერეთი, ქსუისი, ბელოთი და სხვ.[700]

გიულდენშტედტი ბელოთთან დაკავშირებით აღნიშნავს: „გავიარე 30 ვერსი დასავლეთით შუა ალპების თხემზე და დავეშვი ხეობაში, რომელშიც პატარა ლიახვი მოედინება. მას დავუყევი 30 ვერსის მანძილზე ქვევით და სამხრეთით გავიარე, ქართული ციხეები აწრისხევი, ბელოთი და ერედვი.“[701]

ზ. ჭიჭინაძე მიუთითებს, რომ 1801 წლის მდგომარეობით, ქართველებთან ერთად, ოსები ცხოვრობდნენ პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში: დიცში, აწრისხევში, ვანათში, ბელოთში და სხვ.[702] რ. თოფჩიშვილის გამოკვლევით, 1814 წლისათვის პატარა ლიახვის ხეობაში ოსური მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 393 კომლს. თუმცა, მკვლევარი განმარტავს, რომ აქედან, ადგილზე ცხოვრობდა 300 კომლი: „ჩანს, რომ პატარა ლიახვის ხეობიდან XIX ს-ის დასაწყისში ოსთა ინტენსიური გადასახლება მიმდინარეობდა დაბლობის სოფლებში და 83 კომლი მიგრირებული იყო.“[703]

1804 წლის რუსული აღწერის მიხედვით, ბელოთი ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ. მიხეილ ერისთავის მფლობელობაში შედიოდა 15 კომლი ოსი (199 მოსახლით), ხოლო რევაზ ერისთავს ეკუთვნოდა 12 კომლი ოსი (85 მოსახლით) და 9 კომლი ქართველი (56 მოსახლით), სულ სოფელში ცხოვრობდა 27 კომლი ოსი (204 მოსახლით) და 9 კომლი ქართველი (56 მოსახლით).[704] მოსახლეობა ამუშავებდა 40 დღიურ მიწას.

1830-1831 წ.წ. აღწერის მიხედვით, ბელოთში 16 ქართული კომლი სახლობდა, მათ შორის: დემეტრაშვილები, ტერაშვილები, ჩიფჩიურები და სხვ.[705]

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში შედგენილ ქსნის ერისთავების შემოსავლის დავთარში, ბელოთში მხოლოდ ქართული მოსახლეობა ფიქსირდება. დოკუმენტში ვკითხულობთ: „სოფელს ბეგარა: ღვთისო ტერაშვილს სძევს ორკოდნახევარი პური და ქერი, საკლავის ათი შაური, ათი შაური საზრო(?) ხუთი აბაზი მეღუნის, შობა-აღდგომისა ხუთი აბაზი, თივა ქერის ორი აბაზი და მთისა ჩარექნახევარი ერბო, ერთი ქათამი; ნიკა ტერაშვილზედ სამი კოდი პური და ქერი, სამი მანეთი და ათი შაური ფული, ნახევარი ლიტრა ერბო და ქათამი; ანდრია ტერაშვილზედ ერთი კოდი პური, ორი მანეთი და სამ აბაზ უზალთუნი ფული – ნახევარი ჩარექი ერბო და ქათამი; იასე დემეტრაშვილზედ ოთხი კოდი პური და ქერი; სამი მანეთი და ათი შაური ფული, ნახევარი ლიტრა ერბო და ერთი ქათამი, ერთი ვარია; ფისაძე სოსიაზედ ხუთი კოდი პური და ქერი; სამი მანეთი და სამი აბაზი ფული; ნახევარი ლიტრა ერბო, დედალი და

700 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 65.
701 იქვე, გვ. 153.
702 ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, ტფ., 1913, გვ. 185.
703 რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.
704 სეაცსა, ფ. 254; საქ. 58, გვ. 12.
705 რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 199.

ვარია; ბენიამენის შვილ – ქიტოზედ ნახევარ კოდი პური და ქერი, ცამეტი აბაზი ფული და დედალი; ბენიამენის შვილი ზაქარაზედ ნახევარი კოდი პური და ქერი, ცამეტი აბაზი ფული; ბენიამენისშვილი ხოსურუვაზედ ერთი კოდი პური და ქერი, თოთხმეტი აბაზი ფული; ამ სამთ ძმათ უნდა გაიღონ ერთი ჩარექი ერბო და დედალი; ბეცია წიქარიძეზედ ორი კოდი და აქუსი ჩანახი პური და ქერი, სამი მანეთი და ერთი აბაზი ფული, სამი ჩარექი ერბო, დედალი და ვარია; გაბრიელ წიქარიძეზედ სამი კოდი პური და ქერი, სამი მანეთი და ათი შაური ფული, ნახევარლიტრა ერბო, დედალი და ვარია, გოგია წიქარიძეზედ სამი კოდი და ორი ჩანახი პური და ქერი; სამი მანეთი და ორი აბაზი ფული, სამი ჩარექი ერბო, დედალი და ვარია; ნინიკა წიქარიძეზედ, კოდნახევარი პური და ქერი, თოთხმეტი აბაზი ფული, ჩარექი ერბო, დედალი სოსიკა არჩუაძეზედ სამი კოდი პური და ქერი; სამი მანეთი და ერთი აბაზი; ჩარექნახევარი ერბო, დედალი და ვარია; შიო არჩუაძეზედ ოთხი კოდი პური და ქერი, სამი მანეთი და ათი შაური, ნახევარი ლიტრა ერბო, დედალი და ვარია“ (დოკუმენტი მოგვაწოდა გორის უნივერსიტეტის პროფესორმა ნიკოლოზ ოთინაშვილმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით).

პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფლებიდან ბელოთი სტრატეგიული მდებარეობით გამოირჩეოდა.

როგორც აკად. პ. ზაქარაია აღნიშნავს: „მდ. პატარა ლიახვის ხეობას მაღრან-დვალეთსა და უფრო ზემოთ, ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზა მიუყვებოდა, შუა საუკუნეებში, თუ უფრო ადრე, ჩრდილოეთიდან, კავკასიის მთაგრეხილის გაღმიდან, ხშირად შემოდიოდა მტერი, მას კი სათანადო დახვედრა სჭირდებოდა. ამ მიზნით ქვეყნის თუ კერძოდ ხეობის მესვეურნი აქ გამავალ გზას ყოველ დროში ამაგრებდნენ. სწორედ ამის შედეგია, რომ ამ ხაზზე შუა ფეოდალური ხანიდან ციხეები და კოშკებია ჩარიგებული, ხოლო უფრო ადრეული, ალბათ მიწის ქვეშაა საძებნი. გვიანი საუკუნეების ერთ-ერთი მთავარი ციხე-დარბაზი ბელოთშია.“[706]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბელოთის ციხე XVIII საუკუნის 70-იან წლებში მოუნახულებია გერმანელ მოგზაურს გიულდენშტედტს. გიულდენშტედტის გარდა, იმავე პერიოდში ბელოთის ციხე მეორე გერმანელ მოგზაურს იაკობ რაინეგსსაც უნახავს. ი. რაინეგსი წერს: „ქართლის ყველაზე ბევრი და მჭიდრო მოსახლეობა ახლაც ისევე როგორც წარსულში, უნდა ვეძებოთ დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ ნაწილის მთისწინეთსა და შუა მთებში. მთელი ზოლი მრავალტოტიან მდინარე ქსანსა, ლარგვსა და პატარა ლიახვს შორის (ამ უკანასკნელის მარცხენა ნაპირზე ძევს მაგარი მთის ციხე ბელოთი) უკავიათ გრუს გვარის მრავალრიცხოვან ოჯახებს.“[707]

სოფელ ბელოთს და პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლებს შუასაუკუნეებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ხეობაში არსებული და ძველი დროიდან მოქმედი გზები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებე-

706 პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988, გვ. 131.

707 ი. რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 149.

ლი იყო დაკავშირება არამარტო ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებთან, არამედ ჩრდილოეთ კავკასიასთანაც.

ქვეყანაში გავრცელებული ეპიდემიების დროს, როგორც წყაროებიდან ირკვევა, სამეფო ოჯახი ხშირად პატარა ლიახვის ხეობას აფარებდა თავს. 1770 წელს ქვეყანაში გავრცელებული „შავი ჭირის“ გამო ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ბელოთში გახიზნულა. ამის შესახებ პ. კარბელაშვილის მიერ შედგენილ „ქართლ-კახეთის XVII-XVIII საუკუნეების ქრონიკებში“ ვკითხულობთ: „1770 წ. 6 ივნისსს გაჩნდა დიდი ჭირიანობა თბილისში, ერეკლე გაიხიზნა ქართლში ნოემბერში ბელოთს. მეჯვრისხევიდან გორში ჩამოიბარგა დედაწულით.“[708] აღნიშნულ ცნობას ადასტურებს იესე ბარათაშვილიც: „ქორანიკონს 458 (1770 წ.) ივნისს 6, დიდი ჭირვება გაჩნდა ქალაქში. ბატონი (იგულისხმება ერეკლე II – გ.ს.) აიყარა, წაბძანდა. იოანე ავადმყოფი მყვანდა, ბატონს ვერ ვიახელ, ავადმყოფი სად მეტარებინა! ღმერთს ვადიდებ, რომელმან მომცა ძალი. ორი ურემი და ხუთი ცხენი ვიყიდე, აღვიტვირთენი და წაველ ზემო ქართლს. მომეგება ქსნის ერისთავი დავით, ტყვიავს დამაყენა დიდის ხელის შეწყობით. რომ დაცხა, ბელოთს წავედით, იოანეს სალმობა გაგრძელდა და სილი არისო, იტყოდნენ. მრავლის აქიმის სხვისდა და სხვის წამლის მიღებით და უფრო ბელოთის ჰავამ მომირჩინა, ვმადლობ ყოვლად ძლიერსა ღმერთსა. ბელოთით მეჯვრისხევს მიგვიპატიჟეს და ყოველსა ამას სლვასა გვქონდა ნებიერობა, სიხარული, განსვენება.“[709]

როგორც აღინიშნა, ბელოთი შუასაუკუნეებში ქსნის ერისთავთა მფლობელობაში შედიოდა, თუმცა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში პატარა ლიახვის ხეობა სამეფო ხელისუფლების კუთვნილება გახდა. ამაში დიდი როლი შეასრულა გიორგი ყულარაღასის განდგომამ.

დავით ბატონიშვილის ცნობით, ქსნის ერისთავის გიორგი ყულარაღასის დასჯის შემდეგ ერეკლე II-მ პატარა ლიახვის ხეობა იულონ ბატონიშვილს გადასცა.[710]

ერეკლე II-მ, ქსნის ერისთავის ძეს როსტომს, ქსნის და პატარა ლიახვის ხეობებში არსებული მამულების სანაცვლოდ, „ვაკესა და გვერდის ძირს“ მისცა მამულები, პატარა ლიახვის ხეობის სოფლებიდან კი მხოლოდ ქსუისი დაუტოვა. ამის შესახებ იესე ბარათაშვილი წერს: „ქორონიკონს 466 (1778 წ.) იანვარს 17 ქალაქით წაბძანდა ბატონი ქსანზე; მუხრანს რომ მივედით, იქ დარბაისელთ უბძანა: – თქვენც იცით, ნადირშამ მამაჩემს უბოძა ქსანი და მოვედით და ხელშით დავიჭირეთ. მრავალჯერ შემოგვეგებნენ ქსნისხეველნი და ვაჯობეთ, მერმე თავეთი ბატონი ითხოვეს, ხორასნიდ-

708 საქართველოს ისტორიის ქრონიკები, პროფ. ა. იოსელიანის რედ. თბ., 1980, გვ. 126.

709 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა, თბ., 1950, გვ. 57-58; გ. სოსიაშვილი, საქართველოში ეპიდემიების გავრცელების ისტორიიდან, თბ., 2020, გვ. 16-17.

710 მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებული ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, 1744-1844 წ.წ. თბ., 1906, გვ. 15.

ამ მოვაყვანინეთ და დიდი მინათი დაგვდვა მძლავრმა ხელმწიფემ, მერმე შანშეც უკუმიდგა და ზურაბაც და ახლა ხომ გიორგიმ დაბეჭდა. მართალია, როსტომს და მამას //იმისას არა დაუშავებია რა, მაგრამ მე ვეღარავის ვენდობი ქსანზე, ლიახვზე, აღარავის შეუშვებო და რაც იქ კაცი ერგება როსტომს, ვაკესა და გვერდის ძირს მივსცემო. აზნაურშვილებში აიყვანა ახატელი და ზარდიაშვილი, ფურცელაძე, ჩერქეზაშვილი; უთნელიშვილებში მარტო სახლთუხუცესი გიორგი და ფიცხელაურები მთლად და მას, – როსტომს მისცა ქსუისი, პაპუთი, ტყვიავი, მარანა, კარალეთი, რეხა, მეჯვრისხევი, ახალუბანი და საქათგორი და სათემოები: კუმისი და ნავთლუღი. გორს, ცხინვალს რაც ან გიორგის წილი იყო, ან როსტომისა, ყველა როსტომს მისცა, აბძანდა ახალგორს, ქართველთ, ოვსთაც ესევე უბძანა. გიორგი ბატონისშვილი ქსანზე დაუტევა, იულონ ლიახვზე გაისტუმრა და წაბძანდა ტფილისს იანვარს 26."[711]

მამის წყალობის შემდეგ, იულონ ბატონიშვილი პატარა ლიახვის ხეობის ერთ-ერთ სოფელში – ბელოთში დამკვიდრდა.

თუმცა, ქსნის ერისთავების წინააღმდეგობა ამით არ ჩამცხრალა. ისინი კვლავ ესწრაფოდნენ პატარა ლიახვის ხეობის დაუფლებას. 1788 წლით თარიღდება დარეჯან დედოფლის ერთი წერილი, რომლითაც ერეკლე II-ის თანამეცხედრემ ოთარ ამილახვარს დაავალა ბელოთში მყოფი იულონი ქსნის ერისთავთაგან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გაეფრთხილებინა:

„ქ. ჩემს შვილს იულონს ესეც ასე შეატყობინე, რომ ეხლა ბელოთს დგას მაგდენი სიფრთხილე და თადარიგი ხომ არ იქნება რა, ქსნის ერისთავის შვილები ახალციხეს რომ წავიდნენ. ახლა იულონის ბელოთს დგომა აღარ ვარგა, აიყაროს და ცოლ-შვილით გორს ჩამოვიდეს და დადგეს. მეც ასე მემჯობინება და სხვანი ბევრნიც ასე არჩევენ და თქვენ კი არ ვიცი."[712]

იულონ ბატონიშვილის ბელოთში დამკვიდრების შემდეგ, აღნიშნული სოფელი კულტურის მნიშვნელოვან კერად იქცა. იულონის პატარა ლიახვის ხეობაში ყოფნის დროს ბელოთში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები: იასე ბარათაშვილი (1728-1786) და სოლომონ ალექსიშვილი (1742-1808),[713] ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით, ბელოთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული იულონ ბატონიშვილის აღმზრდელი და კარის მწიგნობარი იოანე ქართველიშვილი, რომელსაც იულონის მიწვევით, მეფის ძის მცირეწლოვანი ბატონიშვილების აღზრდა მიანდეს, როგორც იგი გადმოგვცემს: „წელიწადსა 1800, ქრონიკონს უპე (488), დაწყებაში მეფის ძე იულონ აიყარა ფომილიით ბელოთიდამ და ქრცხინვალს ჩამოვიდა. მეც ჩამოვყევ თან და თქვენც ჩამოგიყვანე, შვილო შიო. აქ მომეცა ღუთისაგან ძე, ძმა შენი, იანვრის კზ (27), რომელიც მოვანათვლინე მეფის ძეს, ლეონს და უწოდე გაბრიელ. ესრეთ დავყავით ზამთარი ესე მუნ, მაგრამ

711 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 57-58; გ. სოსიაშვილი, საქართველოში ეპიდემიების გავრცელების ისტორიიდან, თბ., 2020, გვ. 83.

712 მ. ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორიისათვის, თბ., 1966, გვ. 65.

713 ლ. მენაბდე, ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1990, გვ. 53.

ვმწუხარებდი ორისა მიზეზისათვის: ერთი//ამისთვის შემდგომის ჩვენის უბედურების ნიშნები ცხადად ჩნდა და მეორეთ ამისთვის, რომ დედა ჩემი, ბებია თქვენი, მომატებულის სნეულებით დამძიმდა და ვეღარ ადგა. ამ წლის ორმეოცის დაწყებაში, ფებერვალში მოვიდა კახეთის ჯარით ბატონისშვილი დავით გორს. მეფის ძე ფარნაოზ შევიდა სურამის ციხეში და გაამაგრა. დავითმა დაუწყო მოციქულობა და სურამის ციხის თხოვნა. ამ ჟამიდან, ბატონისშვილი იულონ საცა წაბრძანდებოდა, თან არ გამიყოლებდა ხოლმე, ბატონის სძალს ვახლდი, მღუდელობით ვმსახურობდი და ყმაწვილებს წიგნს ვაკითხებდი.“[714]

იოანე ქართველიშვილს იულონ ბატონიშვილთან ნათელ-მირონობაც აკავშირებდა. როგორც მოგონებებში წერს, იოანეს თავისი შვილი იულონის ძისათვის – ლევან ბატონიშვილისათვის მოუნათვლინებია: „წელიწადსა 1800. ქორონიკონს უპა დაწყებაში მეფის ძე იულონ აიყარა ფომილიით ბელოთიდან და ქრცხინვალს, ჩამოვიდა. მეც ჩამოვყე თან და თქვენც ჩამოგიყვანე, შვილებო, აქ მომეცა ღუთისაგან ძე ძმა შენი, იანვრის კ. ზ. (27) რომელიც მოვანათვლინე მეფის ძის ძეს ლეონს და უწოდე გაბრიელი.“[715] იოანე ქართველიშვილს ოჯახიც ბელოთში ჰყოლია. აქ მას დედა გარდაცვლია, რომელიც წამოუსვენებია და არბოს ეკლესიის ეზოში დაუკრძალავს: „ამ კულბით დგომაში დედაჩემი, ბებიათქვენი (მიმართავს შვილებს, – გ. ს.) დიდათ ავად იყო, ამდენი ვერ მოვიცალე, რომ სანახავად ამოვსულიყავ, არა თუ ჩემი საქმე მქონდა ბატონიშვილი თავს არ მანებებდა, რომ ნიადაგ საქმეები ჰქონდა და სხვა მწერალი არავინ ჰყვანდა. ერთ დღეს დავეთხოვე, ამოველ ბელოთს, დედაჩემი ვნახე და მეორე დღეს ისევ დავებარებინე, წამიყვანეს, ჩემი ცოდვით და უბედურებით ამისთანას ჟამს მომივიდა ჰამბავი, რომ დედაჩემი აღსრულებულიყო, მაისის დ(4) წამოველ და იმ ღამეს მოველ ბელოთს, საღამოს ხანზე შევიტყვე, დღის ერთი საათი იქნებოდა გასული და მოველ; ბელოთს ხომ ეკლესია არ არის მიცვალებულის დასამარხავი. მეორე დღეს რითაც ღონით იყო ვცადე რომ მიცვალებული არბოს ეკლესიაში ჩავიტანე და იქ დავმარხე. კაცი გამოეგზავნა ბატონიშვილს იულონს, ზევით აღარ გამიშვა, იქიდან ისევ კულბითს გამიყვანეს. ამ დროს მისთანა მწუხარებაში მომადგა მშობელს და მოამაგეს დედის სიკვდილზედ. ამგვარად მოუცლელობა თქვენ იქ ბელოთს იყავით უპატრონოთ, ეს კიდევ სხვა საწუხარი იყო. დღე ყოველ შფოთს მოველოდები, მას გარდა ეს კიდევ სხვა საწუხარი ჰქონდა.“[716]

იულონ ბატონიშვილი დროდადრო ხან ბელოთში იმყოფებოდა, ხან კულბითსა და ცხინვალში. იულონ ერეკლეს ძის ოჯახი, ვიდრე ის აღმოსავლეთ საქართველოს დატოვებდა, ბელოთში ცხოვრობდა. ამის შესახებ იოანე ქართველიშვილი წერს: „დავითმა ჯარი დაშალა და ქალაქს წავიდა. ჩვენც ბელოთს მოვედით. ეს ზაფხული ასე მწუხარებით გა[ვ]ნლეთ.

714 იოანე ქართველიშვილი, მემუარები, ავთ. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1952, გვ. 80-81.

715 იქვე, გვ. 81.

716 იქვე, გვ. 95.

ბატონისშვილი ქალაქს წაბრძანდა დედოფლის წამოსაყვანათ; სამნი ძმანი იულონ, ვახტანგ და ფარნაოზ ჩავიდნენ ჯარით ავჭალას დედოფალი (იგულისხმება ერეკლე II-ს მეუღლე დარეჯან დედოფალი, – გ. ს.) კავალენცკიმ[717]* არ დაანება და მოვიდნენ ისევე ცარიელები. ამ ჟამად ბატონის სძალს (იგულისხმება იულონ ბატონიშვილის მეუღლე სალომე რევაზის ასული ამილახვარი, – გ. ს.) ცივება დააწყებინა. ბელოთიდამ კულბითს ჩამოიყვანეს.“[718] იულონ ბატონიშვილი რომ გარკვეული პერიოდი ბელოთში ცხოვრობდა, ამას ადასტურებს 1800 წლის 16 ოქტომბერს იულონ ბატონიშვილის მიერ კარლ კნორინგის სახელზე ბელოთიდან გაგზავნილი წერილი, სადაც იულონი რუს მოხელეს მეგობრულ ურთიერთობაზე ესაუბრება. ამ წერილით ირკვევა, რომ კნორინგს იულონმა საჩუქრად ცხენი („ბედაური ქურანი“) გაუგზავნა.[719]

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე იულონ ბატონიშვილს გიორგი XII-ის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი დაუპირისპირდა, რომელიც თვისი ბიძის წინააღმდეგ რუსთა რაზმებს იყენებდა. ბელოთის ციხესიმაგრე იულონ ბატონიშვილის თავშესაფრად იქცა. გენერალ ლაზარევის მიერ მთავარმართებელ კარლ კნორინგის სახელზე დაწერილ, 1801 წლის 23 იანვრით დათარიღებული წერილიდან ირკვევა, რომ იულონს, თავისი მოწინააღმდეგე ფეოდალის – გიორგი ამილახვრის მეუღლე მძევლად აუყვანია და ბელოთის ციხე-სიმაგრეში ჩაუკეტავს.[720]

იულონი ბატონიშვილი ძმისწულთან დაპირისპირებას ერიდებოდა. დავით გიორგის ძემ ბიძის წინააღმდეგ ქსნის ერისთავები გამოიყენა, რომლებსაც იულონის პატარა ლიახვის ხეობიდან განდევნის შემთხვევაში, მისი მამულების გადაცემას დაპირდა. იულონი ბელოთიდან აიყარა და იმერეთს გაიხიზნა. პატარა ლიახვის ხეობიდან წასვლის შემდეგ, ის მცირე ხნით ცხინვალში შეჩერდა.[721] დავით ბატონიშვილის გადმოცემით: „ხოლო მეფის ძე იულონ და ფარნაოზ გარდავიდნენ იმერეთს დედაწულით თვისით დისწულისა თვისთანა მეფეს სოლომონთან და მუნ დაასადგურა ჭალატყესა და განუწესა საზრდოთ.“[722]

1891 წ. ჟურნალ „მწყემსში“ გამოქვეყნდა წერილი, სოფ. არბოს ტაძარში დაცული სიწმინდეების შესახებ. წერილიდან ირკვევა, რომ არბოს წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზს ანდრია ჟურულს კავშირი ჰქონდა ბელოთში მყოფ იულონ ბატონიშვილთან. მოგვიანებით მოზდოკში გაქცეულ დეკანოზს არბოს წმინდა გიორგის ტაძრის სიწმინდეებთან ერთად ბელოთის მაცხოვრის ეკლესიაში არსებული იესო ქრისტეს ხატიც წაუღია.[723]

---

717 * იგულისხმება რუსეთის ელჩი, შემდეგ „საქართველოს მმართველი“ პეტრე კოვალენსკი, გარდ. 1817 წ.

718 იოანე ქართველიშვილი, მემუარები, გვ. 82-83.

719 АКАК, Т. I, стр. 226, № 191.

720 Там же, стр. 235, № 210.

721 იოანე ქართველიშვილი, მემუარები, გვ. 95.

722 მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებული ბატონიშვილის დავით გიორგისძისა და მისი ძმებისა, 1744-1840, ტფ., 1906, გვ. 58-59.

723 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, II, თბ., 1997, გვ. 20.

სოფელი ბელოთი იხსენიება ერეკლე II-ის მორიგე ჯარის დავთარში. დოკუმენტის მიხედვით, XVIII ს. 70-იან წლებში ბელოთიდან მეფის ბრძანებით სალაშქროდ გამოსვლის ვალდებულება ჰქონდა ნავროზა ჩიფჩიურს.[724]

გვიანფეოდალურ პერიოდში ბელოთისა და საცხენეთის მოსახლეობა სხვადასხვა სახის გადასახადებს იხდიდა. XVIII ს. ბოლოს „კოდის პურის გადამხდელ“ სოფლების ჩამონათვალში ბელოთი და საცხენეთიც (საცხენისი) არის მითითებული.[725] დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საცხენეთელ გლეხებს რუსების სასარგებლოდ 6 ხარვარი პური უნდა გაეღოთ.[726]

1781 წლის აღწერის მიხედვით, ბელოთში ისევე, როგორც პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სხვა სოფლებში, ქართველები ცხოვრობდნენ. დოკუმენტში მოხსენიებულნი არიან: მღვდელი იოსები, გოგია ტერაშვილი, თევდორე და ბენიამინ დემეტრაშვილები, პეტრე და გოგია ლობჟანიძეები, მანძულა და გოგია წიქარიძეები, გიორგი და ნინია არჩვაძეები, ქიტესა ლაზარეშვილი, გიორგი ჩიბჩიური და გლახა ტერაშვილი.[727]

ეთნიკურად განსხვავებულ სურათს გვაძლევს რუსული ხელისუფლების მიერ 1804 წელს ჩატარებული პირველი კამერალური აღწერა, სადაც ბელოთში აღრიცხული 36 კომლიდან (160 მამაკაცი, 100 ქალი), 27 კომლი (128 მამაკაცი, 76 ქალი) ოსი იყო, ხოლო 9 კომლი (32 კაცი, 24 ქალი, ყველა მათგანი მიხეილ და რევაზ ქსნის ერისთავების საკუთრებაში იყვნენ) ქართველი.[728]

1842 წლის საეკლესიო გლეხთა კამერალური აღწერის მიხედვით, ბელოთი შანშე, თორნიკე და გიორგი ერისთავების მფლობელობაში იყო და სულ 16 კომლი ყმა ცხოვრობდა (74 სული): ქრისტესია, ხოსრო, იესე, შიო და ივანე დემეტრაშვილები, ხოსრო, ნინია, ქიტესა ტერაშვილები, ბეცია წიქარიძე, სოსია ფისაძე, ნინია ჭურჩაშვილი, თევდორე და დიმიტრი ჩიბჩიურები (დედანშია Чавчеури), კიკოლა რთველიძე და სხვ. ბელოთის მამასახლისად დოკუმენტში მოხსენიებულია ქიტესა დემეტრაშვილი. სოფლის მოსამართლეები იყვნენ: ანდრია ტერაშვილი და სოსია არჩუაძე. „რადგან ამათ წერა არ სცოდნიათ,“ უწყისზე ხელს აწერდა წყალობა თანდიევი (თანდიაშვილი).[729]

---

724 იასე ლორთქიფანიძე, საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV-B, 1947, გვ. 337.

725 საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, დ. მუსხელიშვილის რედ., ტ. II, გვ. 172-173.

726 მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. III, თბ., 1955, გვ. 106-107, დოკ. 76.

727 ა. თაბუაშვილი ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII ს. II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 96.

728 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა... გვ. 55. XIX ს. I ნახევრის მომდევნო აღწერებში ბელოთში ოსები აღარ ჩანან. შესაძლოა, მათ ბარის სოფლებში გადაინაცვლეს.

729 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 1951, გვ. 312-316, Камеральное описание церковных крестьян Ксанского участка Горийского уезда, 1842 года.

1886 წელს ჩატარებულ აღწერის მიხედვით ბელოთში 37 კომლია მითითებული (129 მამაკაცი, 99 ქალი, სულ 228 სული). ყველა მათგანი ქართველი იყო (აღმსარებლობით მართლმადიდებელი), აქედან 6 სული სახაზინო უწყებას ეკუთვნოდა, ხოლო დანარჩენი ეკლესიას.[730]

სოფელ ბელოთში, მთის პირობების შესაბამისად, მოსახლეობა უმთავრესად მესაქონლეობას მისდევდა. იმის გამო, რომ სახნავ-სათესი მიწები აქ უხვად არ იყო, ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როდესაც ადგილობრივი მცხოვრებლები პატარა ლიახვის ხეობის ქვემო წელზე არსებულ სოფლებისაკენ მიიწევდნენ და აქ ითვისებდნენ სავარგულებს. ამას ადასტურებს 1786 წლის ერთი დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, რომ ბელოთელი გლეხები გიორგი ფისაძე და ბერი ჩიფჩიური მამულს ამუშავებდნენ ქორდში, რის სანაცვლოდაც მათ ეკლესიისათვის კულუხი უნდა გადაეხადათ.[731]

ბელოთის მდიდარ წარსულზე მეტყველებს მის ტერიტორიაზე შემორჩენილი ხუროთმოძღვრული ძეგლები, აქედან აღსანიშნავია ბელოთის ციხე, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებშია აგებული.[732]

როგორც აკად. პ. ზაქარაია აღნიშნავს: „ბელოთის ციხე XVIII საუკუნეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო.“[733] ამ ციხემ დიდი როლი შეასრულა, პატარა ლიახვის ხეობაში ლეკიანობის აღკვეთის საქმეში, ასევე რუსული ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისითაც. 1801 წელს, როგორც ჩანს, იულონ ბატონიშვილმა ბელოთის ციხე დაკარგა.[734] ამას ადასტურებს 1801 წლის 2 თებერვალს გენერალ ლაზარევის მიერ კარლ კნორინგის სახელზე დაწერილი პატაკი, სადაც აღნიშნულია, რომ წინა დღით მან დუშეთიდან მაიორ თავად სააკაძისგან მიიღო პატაკი უფლისწულების: ვახტანგის და მირიანის მცირე რაზმის თანხლებით დუშეთში ჩასვლის თაობაზე, ხოლო გორის ციხე-სიმაგრეში განლაგებული გულიაკოვის მუშკეტერთა პოლკის ქვედანაყოფის კაპიტნის გარცევიჩის მოხსენებით, სოფელ ბელოთში მიმავალმა უფლისწულებმა იულონმა და ალექსანდრემ, გზად სოფელ კარალეთში შეჭრა სცადეს, მაგრამ ადგილობრივებთან შეტაკებისას მათ ერთი ადამიანი დაკარგეს და ვერაფერს გახდნენ.[735]

---

730 Свод статистических данных о населении Закавказскаго края, извлеченных из посемейных списков 1886 г., издан по распоряжению Главноначальствующаго гражданскою частию на Кавказе Закавказским статистическим комитетом, Тифлисская Губерния, Горийский уезд, Цхинвальский участок, Тиф., 1893, №1445.

731 გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან, გვ. 37.

732 პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988, გვ. 131.

733 იქვე.

734 აღსანიშნავია, რომ ბელოთის ეკლესიაში XX საუკუნის 20-იან წლებში იულონ ბატონიშვილის ნაქონი საომარი დროშა უნახავს ცნობილ სიძველეთმცოდნეს გ. ბოჭორიძეს. მკვლევარი ამის შესახებ წერს: „ქართული საომარი დროშა, რომლის ქვეშაც გადმოცემით, იბრძოდა იულონ ბატონიშვილი XIX საუკუნის დასაწყისში. იგი ძლიერ დაზიანებულია, შუბი მოცილებული და დაკარგული აქვს.“ *გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გამოსაცემად მოამზადეს ზაზა სხირტლაძემ და ნატალია ჩიტიშვილმა, ინგა გოგობერიშვილის მონაწილეობით, თბ., 2011, გვ. 288.*

735 АКАК, Т. I, стр. 262, № 270.

1802 წლიდან ბელოთის ციხე რუსის ჯარმა დაიკავა. გენერალ ტუჩკოვის მოხსენებიდან, რომელიც გენერალ ლაზარევის სახელზე 1802 წლის 12 აგვისტოს არის დაწერილი, ირკვევა, რომ იულონ ბატონიშვილი ცდილობდა ქართლში მცხოვრები დიდგვაროვნების გადაბირებას და რუსთა წინააღმდეგ ამბოხებას. იულონს საგანგებო წერილები დაუგზავნია წარჩინებულებისათვის. წერილების გამავრცელებლებად დასახელებულნი არიან მალხაზ ანდრონიკაშვილი, ფირან ჩერქეზიშვილი და ლუარსაბ მაჩაბელი. რუსი ჩინოვნიკის მოხსენებიდან ჩანს, რომ ხელისუფლებისთვის ეჭვმიტანილთა ადგილსამყოფელი ცნობილი იყო. მალხაზ ანდრონიკაშვილი და ლუარსაბ მაჩაბელი დიდი ლიახვის ხეობაში არსებულ სოფელ სვერში იმყოფებოდნენ, ხოლო ფირან ჩერქეზიშვილი – კულბითში. გენერალმა ლაზარევმა გასცა ბრძანება, რომ ეჭვმიტანილები დაეპატიმრებინათ და მათთან ერთად დაეკავებინათ იულონ ბატონიშვილიც, ბელოთის ციხეში კი დამატებითი 50 რუსი გრენადერი უნდა გაეგზავნათ.[736] იულონ ბატონიშვილმა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მთიან ზოლში მცხოვრები ოსების აჯანყებაც სცადა. როგორც სახელმწიფო მრჩევლის კოვალენსკის მიერ კარლ კნორინგის სახელზე დაწერილ პატაკიდან ჩანს, ამ მიზნით, თავის ყოფილ მამულში, სოფელ ბელოთში, იულონ ბატონიშვილი რუსთა რაზმს თავს დაესხა. კოვალენსკი იქვე ხაზს უსვამს, რომ გენერალ-მაიორი ტუჩკოვი მოქმედებდა მისი განკარგულებების შესაბამისად და წინმსწრები ღონისძიებები ჩაატარა, რის შედეგადაც იულონ ბატონიშვილმა თავისი გეგმები ვერ განახორციელა.[737]

პატარა ლიახვის ხეობა, კერძოდ, ვანათის საგუშაგო და ბელოთის ციხე მომდევნო დღეებში რუსულმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო გაამაგრა, როგორც ჩანს, მათ აჯანყებული ბატონიშვილების შემოჭრის შესახებ გარკვეული ინფორმაცია ჰქონდათ. ვიცე-პოლკოვნიკ სიმონოვიჩის მიერ გენერალ-მაიორ ლაზარევის სახელზე 1802 წლის 16 აგვისტოს დაწერილ პატაკში აღნიშნულია, რომ საჭირო გახდა ცხინვალის საგუშაგოს და ბელოთის ციხე-სიმაგრის სამხედრო ძალით გაძლიერების აუცილებლობა, რის გამოც, გენერალ-მაიორ ტუჩკოვის განკარგულებით, ბელოთში განთავსებული იქნა 51 ჯარისკაცი, 1 ობერ-ოფიცერი, 2 უნტერ-ოფიცერი, კაზაკთა ურიადნიკი და 12 კაზაკი, აქედან 6-ს ვანათის (წერია ვაკუთი, სავარაუდოდ, უნდა იყოს ვანათი) საგუშაგოზე უნდა დამდგარიყო. ბელოთის ციხეში დამატებით ჩააყენეს გიორგი ამილახვრის მიერ გამოგზავნილი 20 შეიარაღებული ქართველი.[738]

რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებული იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები ბრძოლას განაგრძობდნენ. ხელისუფლებას ინფორმაცია ჰქონდა, რომ ისინი შეიარაღებული რაზმებით იმერეთიდან ქართლში გადმოსვლას აპირებდნენ. მათ წინააღმდეგ, როგორც 1802 წლის 20

736 АКАК, Т. I, стр. 247, № 238.
737 Там же, стр. 393, № 497.
738 Там же, стр. 248, № 241.

აგვისტოთი დათარიღებული ვიცე-პოლკოვნიკ სიმონოვიჩის მიერ გენერალ ლაზარევის სახელზე შედგენილი პატაკიდან ირკვევა, იასაულ კონდრაშევის კაზაკთა რაზმი და ცხენოსანი ქართველები გაგზავნეს. უფლისწულებმა რუსული რაზმების მოახლოვება შეიტყვეს და უკან გაბრუნდნენ. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებამ შეიტყო თავად ელიზბარ ერისთავის მიერ რევაზ ერისთავის სახელზე გაგზავნილი წერილის შესახებ, რომელშიც ელიზბარი რევაზს იულონის და ფარნაოზის ქართლში ჩამოსვლისთანავე მათთვის ბელოთის ციხე-სიმაგრის ჩაბარებას სთავაზობდა.[739]

ამავე პერიოდშია დაწერილი გენერალ-მაიორ ლაზარევის პატაკი კარლ კნორინგისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ იმერეთის მეფე თავის ჯარით ქართლ-იმერეთის გასაყართან 30 ვერსის მოშორებით სოფელ ჭალაში იდგა, მას მცირერიცხოვანი ლეკთა რაზმიც შეუერთდა. მათთან იმყოფებოდნენ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები. გენერალ ლაზარევისთვის ცნობილი გახდა, რომ მათი ჯარი მთლიანობაში 3000 კაცს ითვლიდა. პატაკში საუბარია იმ სამხედრო ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელება საზღვრების დაცვას, შიდა ტერიტორიების უსაფრთხოებას და სრულ მზადყოფნას უზრუნველყოფდა. იმ დროისთვის ბელოთის ციხე-სიმაგრეს 50 გრენადერი (ოფიცრებითურთ) და 12 კაზაკი ამაგრებდა.[740]

ხელისუფლებას სურდა, რომ შიდა ქართლის სხვა ციხე-სიმაგრეებთან ერთად, დამატებით ძალებით გაემაგრებინა ბელოთის ციხე. ამას ადასტურებს 1802 წლის 20 აგვისტოთი დათარიღებული გენერალ ლაზარევის პატაკი კარლ კნორინგისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ უკეთესი იქნებოდა საქართველოში მწყობრიდან გამოსული ქვემეხების შეკეთება და შემდეგ ცხინვალის, სურამის და ბელოთის ციხე-სიმაგრეებში, ასევე კარალეთის საგუშაგოზე განლაგება.[741] ხელისუფლებას სოფელ ბელოთში თავისი წარმომადგენელი კაცია ფავლენიშვილი ჰყავდა, რომელიც ამბოხებული ბატონიშვილების გადაადგილების შესახებ რუს ჩინოვნიკებს რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციას. ამას ადასტურებს 1804 წლის 15 ივნისით დათარიღებული ვიცე-პოლკოვნიკ ელიზბარ ერისთავის წერილი მთავარმართებელ ციციანოვისადმი. როგორც წერილის ავტორი აღნიშნავს, 13 ივნისს თავად ვოლკონსკისაგან მიიღო შეტყობინება, სადაც ის შეხვედრას სთხოვდა. ირკვევა, რომ ბელოთში განწესებულმა აზნაურმა კაცია ფავლენიშვილმა ანანურში მიმავალ რუს მოხელეს გზად წერილი დააწია, სადაც ნათქვამია, რომ იულონ ბატონიშვილი, მისი ორი ვაჟი და ძმა ფარნაოზი დიდი ლიახვის ხეობაში ჩამოვიდნენ და აჯანყებას აპირებდნენ.[742]

1802 წლის მონაცემებით, სოფელი ბელოთი სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა.[743] 1803 წლის 2 აპრილით დათარიღებულ დოკუმენტში, რო-

739 АКАК, Т. I, стр. 250, № 245.
740 Там же, стр. 394, № 501.
741 Там же, стр. 363, № 1130.
742 АКАК, Т. II, Тиф., 1868, стр. 129, № 216.
743 АКАК, Т. I, стр. 467, № 575.

მელიც კაპიტან ენოხინის მიერ მთავარმართებელ პ. ციციანოვის სახელზე დაწერილი პატაკის დანართს წარმოადგენს, მოცემულია ცნობები „გორის მაზრაში მდებარე სამეფო ოჯახის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების და მამულების მდებარეობის შესახებ.“ მითითებულ დოკუმენტში სოფელი ბელოთიც არის აღწერილი. რუსი ჩინოვნიკის პატაკის დანართის მიხედვით: „სოფელი ბელოთი პატარა ლიახვის პირას მდებარეობს. იქ ქართველი ეროვნების 27 კომლი ცხოვრობს, მათ შორის 83 კაცი და 78 ქალი. ადგილობრივების თქმით, მთებს შორის მდებარე ადგილი სახნავად (თითქმის) მოუხერხებელი, ქვანარევი მიწაა, სადაც ერთი დღიური სახნავი 240 ნაკვეთის ტოლფარდია. ტყე სოფლიდან ერთი ვერსითაა მოშორებული, შეშისათვის იყენებენ და ერთი დღიური სახნავი 30 ნაკვეთის ტოლფარდია. გლეხობა სოფლად ღარიბია, მოჰყავთ ხორბალი, დიკა, ქერი და შვრია, რაც ძლივს-ძლივობით აკმაყოფილებს მათ საარსებო მოთხოვნებს. მესაქონლეობა საშუალოდ არის განვითარებული. გადასახადისა და ბეგარის სახით სოფლის მფლობელს უხდიან გვარის მიხედვით, მათი შესაძლებლობის შესაბამისად: 8 გვარი იხდის 25 კოდ ხორბალს და 25 კოდ ქერს, 4 გვარი თითო ლიტრა ერბოს და 4 გვარი ნახევარ ლიტრა ერბოს, სულ 25 რუბლის ღირებულებისას. სოფლის მოურავი უფლისწულ იულონის მიერ დანიშნული აზნაური ფურცელაძეა,[744] რომელიც ოჯახთან ერთად, სოფელ დიდ მერეთში ცხოვრობს. გლეხების ვალდებულება მოურავის წინაშე სახლიდან 6 ჩანახ პურს და თითო ქათამს შეადგენს. ადგილობრივების თქმით, სოფელი მეფე ერეკლემ 25 წელია რაც უფლისწულ იულონს გადასცა და მის მფლობელობაშია.“[745]

1831 წლის 10 ივნისს კოლეგიის ასესორების იანოვსკის და კოზაჩკოვსკის მიერ მთავარმართებელ პასკევიჩის სახელზე დაწერილ პატაკში, აღნიშნულია, რომ 1803 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით, პატარა ლიახვის ხეობის 3 სოფელი: აწრისხევი, ბელოთი და საცხენეთი ქსნის საერისთავოში შედიოდა.[746] იმავე პატაკში ვკითხულობთ, რომ პატარა ლიახვის ხეობაში შეინიშნება უფრო განვითარებული ხალხის ცხოვრების კვალი, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობაა. ავტორებს მოჰყავთ სოფელ ბელოთის მაგალითი, სადაც სპარსული მორთულობის ორსართულიანი სახლი და ციხე-სიმაგრე იყო. იქ ჯერ ქსნის ერისთავები ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ იულონ ბატონიშვილი. ბელოთიდან ორი ვერსით ზემოთ, სადაც ფოტრისის ხეობა პატარა ლიახვის ხეობას ერწყმის, რუსი ჩინოვნიკების ინფორმაციით, ციხე-სიმაგრეა (სავარაუდოდ, ფოხალას ციხე იგულისხმება), რომელიც თავდასხმებისაგან დასაცავად იყო აგებული. აქვე, აღნიშნულია, რომ ხეობაში უფრო ზემოთ ქართული სოფელი აწრისხევი მდებარეობს, სადაც ციხე-სიმაგრის ნანგრევებია, მისგან ცოტა

744 სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს გოგია ფურცელაძე, რომელიც გიორგი XII-ის დროს პატარა ლიახვისა და ოსების მოურავად იხსენიება. იხ: *პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 263.*

745 АКАК, Т. II, стр. 73, № 121.

746 АКАК, Т. VII, Тиф., 1878, стр. 375, № 306.

მოშორებით, ხეობის ორივე მხარეს ორი სათვალთვალო კოშკია აღმართული. ხოლო კოშკების ზემოთ კი დაუმორჩილებელი კიოტის (?) ოსები ცხოვრობენ.[747]

მიუხედავად იმისა, რომ იულონ ბატონიშვილმა პატარა ლიახვის ხეობაზე კონტროლი დაკარგა და ბელოთის ციხე-სიმაგრეს რუსული ხელისუფლება აკონტროლებდა, როგორც ირკვევა, ბელოთსა და მის შემოგარენში მცხოვრები ელიზბარ ქსნის ერისთავის კუთვნილი გლეხობა, რუსი სამხედრო ჩინოვნიკების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ხელისუფლებას დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ ოსებიც, რომელთა უკმაყოფილება ოსებით დასახლებულ სოფლებში „შავი ჭირის“ გავრცელების გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა კიდევ უფრო გაზარდა. ხელისუფლებამ, პატარა ლიახვის ხეობაში დაინფიცირებული სოფლებიდან ოსების გადაადგილების გაკონტროლების მიზნით, სპეციალური საგუშაგო მოაწყო. ასევითვე შეზღუდვები იყო დაწესებული დიდი ლიახვის ხეობის მთიან ზოლში მცხოვრები ოსებისთვის, სადაც აღნიშნული პერიოდისთვის „შავი ჭირი“ იყო გავრცელებული.[748] 1807 წლის 10 დეკემბრით დათარიღებულ მთავარმართებელ გუდოვიჩის მიერ პოლკოვნიკ შტაუბეს სახელზე დაწერილ განკარგულებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მმართველმა მას გორის საოლქო მეთაურის პატაკი გადაუგზავნა, რომელიც სოფელ ბელოთში, სნეხსა (სავარაუდოდ, უნდა ეწეროს სნეკვი) და გურთაულში მცხოვრებ თავად ელიზბარ ერისთავის კუთვნილ გლეხობის ქმედებებს ეხებოდა. კერძოდ, ერთად შეკრებილმა 100-ზე მეტმა ადამიანმა დაუმორჩილებელი ოსების დასაკავებლად გაგზავნილ კაზაკთა რაზმს ცეცხლი გაუხსნა და ერთ-ერთი მათგანი დაჭრა. საგუშაგოდან კი ქართველი გუშაგები გააძევა, რომელნიც გადამდები დაავადებით მოცულ ოსური სოფლებიდან ქართლში ოსების გადმოსვლას თვალყურს ადევნებდნენ. იქვე აღნიშნულია, რომ გრაფის განკარგულებით პოლკოვნიკს ზემოთ აღნიშნულ სამ სოფელში სამხედრო რაზმის გაგზავნა და არეულობის თავკაცების დაკავება დაევალა.[749]

1922 წლის 20 აპრილს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით სოფ. ბელოთი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს მიაწერეს.

ხსენებულ დეკრეტში ჩამოთვლილია რამდენიმე საზოგადოება, მათ შორის თამარაშენის, ცხინვალის, წუნარის, დირბის, ავლევის, მერეთის, ბელოთის. ბელოთის საზოგადოებაში პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლები შედიოდა.[750]

სოფ. ბელოთში გავრცელებული ტოპონიმებიდან შეგვიძლია დავასახელოთ: მანავლები, ქაშუეთი, სამარილეები, ნასერალი, საჯვარე, ფოხ-

747 АКАК, Т. VII,, стр. 376, № 306.

748 გ. სოსიაშვილი, საქართველოში ეპიდემიების გავრცელების ისტორიიდან, გვ. 129-130.

749 АКАК, Т. III, Тиф., 1869, стр. 54, № 105.

750 ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 88-90.

ალა, წმინდა მარინე, ლომისა, ჩიკოკარი, ავაზანი, ვაკემთა, ციხემთა, დიდ-ვაკე, ნადრასეულები, ბეროსახო, ჯუკაანთკარები, ტერაანთახო, ნარუჯები, გურჯელა, საპიტნე, საგოჭეები, ცხანარები, გოგინახო, დიდმიწები, ლაშეე-ბი, ტირიფები.

2008 წლის აგვისტოს ომამდე ბელოთში შემდეგი გვარები ცხოვრობდ-ნენ: დემეტრაშვილები, ჩიფჩიურები, ტერაშვილები, წიქარიძეები, არჩუაძეე-ბი, რთველაძეები, ფისაძეები და სხვ.

პატარა ლიახვის ხეობაში ერთ-ერთი უძველესი სოფელია საცხენეთ-იც (საცხენისი). როგორც მივუთითებდით, „საცხუმეთი“ პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელს ეწოდებოდა, რომელიც საბოლოოდ დავიწროვდა და საცხენეთის ფორმით ერთ-ერთი სოფლის სახელწოდებად შემოგვრჩა. ვახ-უშტი ბატონიშვილი საცხენისსა და მეზობელი სოფლების გეოგრაფიული დახასიათებისას აღნიშნავს: „ვანათსა, საცხენისსა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისის-ჭევი, ღრმა და კლდიანი, ძნიად გასავალი. გამოდის გერისა და შუაცხვირის მთას.“[751]

ცნობილ ქართველ მკვლევარს თედო ჟორდანიას იკორთის ხელნაწ-ერებში უპოვია ერთი საბუთი, რომლის მიხედვით, შალვა ქვენიფნეველს (XIII ს. ბოლო – XIV ს. დასაწყისი) იკორთის მონასტრისათვის, სხვა სოფლებთან და მამულებთან ერთად, შეუწირავს სოფელი საცხენეთიც.[752]

დაახლ. 1745 წლით დათარიღებული ერთ დოკუმენტში, რომელიც მიცე-მულია ბეგაძე პარნუმეკაშვილის მიერ რამაზა როსებაშვილისადმი, მოწ-მეთაგან მოხსენიებულნი არიან საცხენელი ესიტა ქართველი, შერმაზანაშ-ვილი ესტატე, ბაინდურასშვილი გიორგი, მათიასშვილი ოტია, თოროზასშ-ვილი ასლანა, ხუცის-შვილი ოთარა და კურდღელასშვილი გიორგი.[753]

საცხენისი მოხსენიებულია XVIII ს. შუა ხანების (1751 წ. 20 ნოემბერი) ერთ საბუთშიც, რომელიც კახა სავანელსა და ქაიხოსრო რამინაშვილს შორის წარმოშობილ დავას ეხება.[754]

ერეკლე II-ის 1772 წლის 28 აგვისტოს შიდა ქართლის სამდევროების განწესების მიხედვით, პატარა ლიახვის ხეობის სოფლები: „ბელოთიდამ მოკიდებული, – საცხენისი, დიდი ვანათი არბო, ქორდი, დიცი და პატარა ლიახვის გამოღმართი“ ერთ სამდევროში შედიოდნენ და ერთმანეთისადმი დახმარების ვალდებულება ჰქონდათ.[755]

საცხენისში მცხოვრები გლეხები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვა-

751 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, გვ. 362.

752 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წიგნი II (1213 წლიდან 1700 წლებამდე), თბ., 1897, გვ. 23.

753 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. 323, დოკ. 455.

754 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ. ტ. III, ტფ., 1910, გვ. 462-463, დოკ. 503.

755 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 426-427, დოკ. 124.

დასხვა საბრძოლო ოპერაციებში. ამას ადასტურებს XVIII ს. პირველ ათწლეულში შედგენილი მოსახლეობის სამხედრო ხასიათის აღწერის დავთარი, რომლის მიხედვით, საცხენეთიდან უნდა გამოსულიყვნენ:

„სუხიტასშვილი პაპუნა მოხელე. კვამლი ა, თავი ბ, თოფი ბ.
ბახუტა ბულბულას შვილი კვამლი ა, თავი ა, თოფი ა.
მინდასშვილი მამუკა.
ელისა ბოგანო.
წაწალა კახაბრის შვილი კვამლი ა, თავი ა, თოფი ა.
გიორგი ბურბურას შვილი
პეტრე კახაბრის შვილი
გარია მოაყვირეს შვილი
კაკია, მისი განაყოფი
მირზაშვილი ბერი აყრილი
აქიმის შვილი ოთარა
ჩხეიძე ბერი
ჯუღლიაშვილი გიორგი
გიორგი გოგიტას შვილი
მირზაშვილი ბერი აყრილი
ბერი კახაბრის შვილი აყრილი
მჭადიას შვილი ბერი აყრილი
მამუკა მჭადაძე აყრილი.“[756]

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საცხენეთში მოსახლეობიდან ინტენსიური ხასიათი ჰქონდა „აყრას.“ სავარუდოდ, აქაური გლეხები საცხოვრებლად ბარში მიდიოდნენ.

გვიანფეოდალურ პერიოდში საცხენეთელი გლეხები სხვადასხვა სახის გადასახადებს იხდიდნენ. 1781 წლის სურსათის გამოსაღების ერთი დავთრის მიხედვით, საცხენეთიდან ვალდებულებები ეკისრებოდა 11 კაცს. ესენი იყვნენ:

„ქ. საცხენეთს ხადური ბერო,
ქ. ბიძიონაშვილი მიქელა.
ქ. რჩეულიშვილი ბერუა.
ქ. ჯანიაშვილი თევდორე.
ქ. ელისბარაშვილი ბერი.
ქ. ხადური მამუკა.
ქ. ხადური თაყა.
ქ. კეპაშვილი მუთია. ი.
ქ. კობალაძე ქუთი.
ქ. წინწალაშვილი ბერო.
ქ. ტალაშვილი ბერო.“[757]

---

756 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, გვ. 268-269.

757 თაბუაშვილი ა. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII ს. II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 97.

XVIII საუკუნის მიწურულს აღნიშნული სოფლიდან ორი მცხოვრები მონაწილეობდა სამგორის არხის სამუშაოებზე, რისთვისაც გასამრჯელოს სახით ოთხი მინალთუნი უნდა მიეღოთ.[758]

1795 წლის სიის მიხედვით, იმ სოფელთა ჩამონათვალში, ვისაც „რუსებისათვის მისასყიდი ფქვილი შესწერდა," პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად, საცხენეთის მოსახლეობას 6 ხარვარი პურის გამოღების ვალდებულება ჰქონდა.[759]

1804 წლის პირველი რუსული კამერალური აღწერით, საცხენეთის გადასახადების გადამხდელუნარიანი მოსახლეობის რიცხვი 18 კომლს შეადგენდა (62 მამაკაცი, 38 ქალი). აქედან, ყველა ჩამოსახლებული ოსი იყო. მითითებული აღწერის დროს 11 კომლი თავად მიხეილ და შანშე ერისთავების მფლობელობაში იყო, ხოლო 7 კომლი რევაზ და ელიზბარ ერისთავებს ეკუთვნოდათ. საბატონო სახნავი მიწის ფართობი 20 დღიურს შეადგენდა. სოფელს დიდი ტყე ჰქონდა. აღწერაში განმარტებულია, რომ გლეხები მისდევდნენ მიწათმოქმედებას, იხდიდნენ 28 კოდ ხორბალს და ცხოვრობდნენ საშუალო სოციალურ დონეზე.[760]

ვფიქრობთ, 1804 წლის აღწერის ეროვნების გრაფაში ხარვეზია, რაც, ზოგადად, პირველი რუსული აღწერისათვის დამახასიათებელია. XIX საუკუნის შედარებით გვიანდელი აღწერების მონაცემებით, საცხენეთში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. მაგ. 1842 წლის საეკლესიო გლეხთა კამერალური აღწერის მიხედვით, საცხენეთში 20 კომლი ყმა (97 სული) ცხოვრობდა და ყველა ეთნიკურად ქართველი იყო: სიმონ, ხოსრო, გიორგი კობალაძეები, გიორგი, ტეტია, სოსია, თევდორე, გლახა, გიორგი ხადურები, პეტრე და ნინია კეპაშვილები, გიორგი ელიზბარაშვილი, გაბრიელ ბიძიონაშვილი, ანდრია და სარდიონ კეპაშვილები და სხვ. სოფელი შანშე, თორნიკე და გიორგი ერისთავებს ეკუთვნოდათ. აღწერაში მოხსენიებულია სოფლის მამასახლისი პეტრე კეპაშვილი. აქვე მითითებულნი არიან მოსამართლეები: გაბრიელ ბიძიონაშვილი და კობალაძე (სახელი არ წერია).[761]

1886 წლის აღწერის მიხედვითაც, საცხენეთში 58 კომლი (198 კაცი, 124 ქალი, სულ 322 სული) იყო, აქედან ეთნიკურად ყველა ქართველი. ისინი საეკლესიო უწყებას ეკუთვნოდნენ.[762] საცხენეთში შემდეგი გვარები ცხოვრობდნენ: კობალაძე, ხადური, ბიძიონაშვილი, ტერაშვილი, კეპაშვილი, ჭიო-

758 საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, დ. მუსხელიშვილის რედ. ტ. II, თბ., 2010, გვ. 28.

759 მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. III, თბ., 1955 გვ. 106-107, დოკ. 76.

760 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის I ოცწლეულში, რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გვ. 85.

761 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 1951, გვ. 319-324, Камеральное описание церковных крестьян Ксанского участка Горийского уезда, 1842 года.

762 Свод статистических данных о населении Закавказскаго края, извлеченных из посемейных списков 1886 г., издан по распоряжению Главноначальствующаго гражданскою частию на Кавказе Закавказским статистическим комитетом, Тифлисская Губерния, Горийский уезд, Цхинвальский участок, Тиф., 1893, №1446.

ტაშვილი. აღნიშნულ სოფელში არსებული ტოპონიმებია: კვირაცხოველი, დიდი ახო, წმინდა გიორგი, ვაკე, საქორია, სალთაუბანი, ზეკარას ახო.

უნდა აღინიშნოს, რომ პატარა ლიახვის ხეობის გარდა, ასეთივე სახელწოდების სოფელი არსებობს კახეთშიც, გარდაბნის მუნიციპალიტეტში.

აწრისხევი-ზონკარი

სოფელი აწრისხევი გუდისის ქედის სამხრეთ კალთაზეა შეფენილი. იგი ზღვის დონიდან 1320 მ-ის სიმაღლეზე, ქ. ცხინვალიდან აღმოსავლეთით, 18 კმ. დაშორებით მდებარეობს.[763]

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „ხოლო ვანათსა, საცხენის და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისის ხევი, ღრმა და კლდიანი, ძნიად განსავალი, გამოსდის გერის და შუაცხვირის მთას. შუაცხვირს მსახლობელნი არიან ოსნი, ამ ფოტრისას ხევს ზეით არს აწერის ხევი. აქ აღაშენა შანშემ ციხე სიმაგრედ თჳსად.“[764]

გვიან შუასაუკუნეებში პატარა ლიახვის ხეობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილზე ქსნის ერისთავების გავლენა ვრცელდებოდა. ხეობის უკეთ გაკონტროლების მიზნით, მათ სახელს უკავშირდება პატარა ლიახვის ხეობაში რამდენიმე ციხესიმაგრის აგება. როგორც ვახუშტი ბატონიშვილის ცნობიდან ჩანს, ხეობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, პატარა ლიახვის ხეობის და ქსნის ხეობის გასაყარზე, ქსნის ერისთავთა შორის ერთ-ერთმა ყველაზე გამოჩენილმა პილიტიკურმა მოღვაწემ შანშემ, აწრისხევში ციხე ააშენა, რომელიც, მოგვიანებით ოსმალთა და ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრ კერად იქცა.

ნარატიულ წყაროებში სოფელი აწრისხევი XIV საუკუნიდან იხსენიება. ცნობილია, რომ მონღოლთა თავდასხმების შედეგად, XIII ს-დან დაიწყო რუსეთის სამხრეთ სტეპებში მცხოვრები ოსების მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში. ოსები, გარკვეული ხნის შემდეგ (XV–XVIსს.), დვალეთის ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ.[765] ჩრდილოეთიდან ოსთა მოწოლამ გამოიწვია დვალების განსახლება დიდი ლიახვის ზემო წელზე არსებულ შენაკად ხეობებში. დიდი ლიახვის ხეობის შუა წელზე ჩამოსახლებული დვალები ხშირად სამეურნეო ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით, პატარა ლიახვის ხეობის სოფლებშიც გადმოდიოდნენ. დემეტრე II-ის ვაჟის, ვახტანგ III-ის მოკავშირემ შალვა ქვენიფნეველმა, როგორც „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი გადმოგვცემს, მარბიელი დვალები დასაჯა: „ხოლო შალვა მიმართა ჭევთა დვალეთისათა და გააოხრა ყოველი, (და)მოუხდეს შავ-დვალნი ღამესა ბნელსა, დაუხვდეს მომლოდინელნი, რამეთუ ესმა შალვას მოსვლა მათი. მაშინ დააწყჳდინეს იგინი მთხრებლსა კლდისასა,

763 გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან, სოფელი აწერისხევი, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი,“ 1998 წ. №7, გვ. 6.

764 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 362.

765 რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

და ერთიცა მათგანი ვერღარა წავიდა და მოსწყდეს სიმრავლე არა მცირედი დვალთა. მაშინ მოწვნეს და მოაოხრეს ყოველნი ჭევნი დვალეთისანი და შემუსრნეს და დაარღვინნეს ყოველი ციხენი თრუსით აჩაბეთამდის. – მაშინ წარვიდა ყოველი სპაი სპარსთა, მაშინ მეფემან მიუბოძა შალვას თრუსო, ღუდა, გაგასძენი, მლეთე(მლეთი?), არაჭვეთი, ჭანდო, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული ძაგნაკორნაჲ, დიღვამი, გავაზი, აწერისხევი, ბეჭუში და ყოველთა დიდებულთა მისთა უმჯობეს ხედევდა.“[766] როგორც მივუთითებდით, სწორედ ამის შემდეგ გაფართოვდა ქსნის ერისთავთა გავლენა პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე. ავგაროზ ბანდაისძის თხზულებაში მოხსენიებული მეფე ვახტანგ III, დემეტრე II-ის თავდადებულის ძე, 1302-1308 წლებში მეფობდა. ცნობილია, რომ ამ დროს დემეტრე II-ის შვილებს შორის ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით მწვავე დაპირისპირება იყო.[767]

მონღოლ დამპყრობელთა მიერ დავით VIII-სთან მეტოქედ შერჩეულ, ტახტის მაძიებელ უფლისწულს – ვახტანგ დემეტრეს ძეს ერთგული დიდგვაროვნებიც უდგნენ მხარში, ასეთი იყო „ძეგლი ერისთავთაში“ მოხსენიებული შალვა ქვენიფნეველი,[768] რომელმაც დვალთა თავდასხმები აღკვეთა. ამ დამსახურების გამო, მეფისაგან მას, ზემოთ ჩამოთვლილ მამულებთან ერთად, აწრისხევიც ებოძა. საგულისხმოა მემატიანის სიტყვები: „ყოველთა დიდებულთა (იგულისხმება ვახტანგ III-ის მომხრე დიდგვაროვნები, – გ. ს.) მისთა უმჯობეს ხედვიდა.“

დვალები პატარა ლიახვის ხეობაში, კერძოდ, სოფელ აწრისხევში ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით მომდევნო პერიოდშიც შემოჭრილან, ამის პასუხად, ქსნის ერისთავებმა დვალთა საცხოვრებელი დაარბიეს. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეში ვკითხულობთ: „ამას ჟამსა ქვემო დვალთა წაასხეს ძროხაჲ აწრისხევით, ესმა ერისთავსა ივანეს და განილაშქრა, ხოლო ყრმაჲ იგი ვირშელ წუთლა ჩვილ იყო, არამედ წინამძღვარ ექმნა ლაშქართა თჳსთა და გარდავლეს მთაჲ და მოაოჭრეს თლე ბიძურთა და წეღვაჲ, აღივსნეს ლაშქრითა ყოვლითა ალაფი და ნატყვევნითა და წარმოვიდეს განმარჯვებულნი.“[769]

როგორც ირკვევა, აწრისხევი XIV საუკუნის დასაწყისამდე მეფის მამულებში შედიოდა და ამის შემდეგ ქსნის ერისთავთა საკუთრება გახდა. სავახტანგოს ერთი ნაწილი, პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელი, აწრისხევის ჩათვლით, სწორედ ქსნის ერისთავთა მფლობელობაში მოექცა.

გვიანფეოდალურ პერიოდში ქართლ-კახეთში არსებული რთული პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა „ლეკიანობის“ გავრცელებამ. ოსმალთაგან წაქეზებული მძარცველი ლეკები მარტო სამეურნეო ნადავლს როდი კმაყოფილდებოდნენ, ისინი ტყვეებსაც იტაცებდნენ. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „XVIII საუკუნის 30-იან წლებ-

766 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 7.

767 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1982, გვ. 138.

768 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

769 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გამოსაცემად მოამზადა მანანა ჭუმბურიძემ, თბ., 2018, გვ. 13.

ში მთელი ქართლი ლეკთა ბრბოებით იყო მოცული, ქვეყნის ზოგიერთი მხარე სავსებით დაიცალა მოსახლეობისაგან. მწარმოებელი მოსახლეობა გაწყდა, დატყვევდა, ან გაიხიზნა...“[770]

შიდა ქართლში გახშირებულ ლეკთა თავდასხმების შესახებ არაერთი ცნობა არსებობს. დაღესტნელთა ძარცვას ვერც პატარა ლიახვის ხეობა გადაურჩა. ამას მოწმობს თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც XVIII საუკუნის 20-იანი წლებით თარიღდება: „ღ~თო შ~ე („ღმერთო შეიწყალე“, – გ. ს.) ყულარაღასი იესე, ქსნის ერისთავის დავითის ძე და ძმა შანშე ერისთავისა რომელმან სასოებით ინება ამა წმიდისა და წიგნის დაწერა ხელითა მახარობლის მღვდლისათა. საუკუნომცა არიან ხსენება მისი. ციხესა მთაბორისასა სოფელსა აწერისჴევს დიდსა შეჭირვებასა იყო ყოველი საქართველო ოსმალთაგან და ლეკთაგან და შემდგომად კუალად სპარსელთაგან ქ-ეს აქეთ ჩღკთ (1729).“[771]

თ. ჟორდანიას კიდევ ერთი დოკუმენტი აქვს გამოქვეყნებული, რომლის მიხედვით, XVIII საუკუნის 20-30-იან წლებში: „ლეკთაგან პატარა ლიახვი წამხდარი იყო.“[772]

ოსმალთა ბატონობა 1735 წლიდან „ყიზილბაშობამ“ შეცვალა, ქვეყანას ირანელები დაეპატრონნენ.

1735 წელს ყიზილბაშთა სარდალმა თამაზ-ხანმა კახთა მეფე თეიმურაზი, გივი ამილახვარი, მამუკა მუხრანბატონი და სხვა ქართლელი თუ კახი დიდებულები ერევანში იხმო. თეიმურაზ II ფშავში გაიხიზნა, გივი ამილახვარი იმერეთს, მამუკა მუხრანბატონი კი რუსეთში წავიდა.[773] ირანელთა სარდალი განრისხდა, ქართლის ტერიტორია დაარბია და ასეულობით მცხოვრები ტყვედ წაიყვანა: „იწყინა ეს თამაზ-ხან დააქცია ციხე გორისა, ქალაქს თაბორი. გაუსივა ჯარი არაგვის ერისთავს ბარძიმს, ოთხი ათასი ზემო ქართლს, ოთხი ათასი საციციანოს, არაგვის ერისთავი ანანური და იმას აქეთ ქსნის ერისთავისა მონასტერს ქვეით, აწრისხევს ქვეით დაატყვევეს, დასწვეს, ზემო ქართლისა ფახანიდან დაწყებული მუხრანამდე ააოხრეს, დაატყვევეს, დასწვეს... წაიყვანეს ქართლიდან კომლად რვაასი.“[774] თამაზ-ხანის ლაშქრობის შემდეგ ქართლზე ყიზილბაშთა ზეწოლა უფრო გაძლიერდა. მუღანში ირანის ხელისუფლებაში მოსულმა ნადირ შაჰმა 1736 წ. ქართლ-კახეთის მმართველად ალექსანდრე (იმამ-ყული-ხანის ძე) გამოგზავნა და მას დიდი ჯარით ყიზილბაში სარდალი სეფი-ხანი გამოაყოლა. სეფი-ხანმა ქვეყანას გადასახადები დააკისრა.[775]

ქართველი დიდგვაროვნები ყიზილბაშების წინააღმდეგ აჯანყდნენ. მათ შორის: „უკუდგა ქსნის ერისთავი შანშე, ამილახვარი გივი, აბაშიძე ვახუშტი და

770 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, 1973, გვ. 369.

771 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 21.

772 თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 122.

773 საქართველოს ისტორიის ქრონიკები, პროფ. ავთ. იოსელიანის რედ. თბ., 1980, გვ. 67.

774 ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, II, სპბ., 1854, გვ. 339.

775 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 448.

სულ ზემო ქართლი, გაღმით თარხანი ლუარსაბ და მისი სახლის კაცნი.“[776] ამ ბრძოლაში განსაკუთრებით შანშე ერისთავი აქტიურობდა, რომელმაც ქსნის საერისთავოს სხვა ციხეებთან ერთად, აწრისხევის ციხეც გაამაგრა.[777]

აჯანყებული შანშე ერისთავის დასასჯელად 1737 წელს ყიზილბაშთა სარდალმა სეფი-ხანმა გამოილაშქრა და ქსნის საერისთავოს სხვა ციხე-სიმაგრეებთან ერთად, აწრისხევის ციხეც აიღო: „ქორონიკონსა უკე, აპრილის გასულს კიდევ მოვიდა სეფი-ხან დიდის ჯარით ქართლში, მივიდა ქსნის ერისთავს შინ შეხედა, აიღეს ციხე იკორთისა, ციხე ვანათისა, ციხე კულბითისა, მოადგნენ აბაშიძეს ვახუშტის, აიღეს ციხე ციხისძირისა და ციხე სურამისა, შეუხდა ქსნის ერისთავს, აიღო ციხე აწერისა, ციხე ბეშო და მონასტერი.“[778] რაკი შანშე ერისთავს თავის სამფლობელოში საიმედო თავშესაფარი აღარ ეგულვოდა, იგი ოჯახით იმერეთს შეეხიზნა, იქიდან კი 35 კაციანი ამალით ასტრახანის გავლით რუსეთის გზას დაადგა.[779]

რუსთა მეფეს შანშე ერისთავმა ბაქარ ვახტანგის ძის სამშობლოში დაბრუნება სთხოვა, მაგრამ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს. ქსნის ერისთავი ხელმოცარული გამობრუნდა და ისევ ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება. დაუმორჩილებელმა ერისთავმა დაღესტნელები დაიქირავა, ჩრდილოეთ კავკასიიდან ლეკის ჯარი გადმოიყვანა და როგორც ვახუშტი ამბობს: „აოხრებდა ქვეყანათა.“ დაღესტნელებს შანშე ერისთავი არა მარტო ყიზილბაშების, არამედ თავის მოქიშპე ფეოდალების წინააღმდეგაც იყენებდა.[780]

1739 წელს შანშემ ლეკის ჯარით ირანელების მომხრე არაგვის ერისთავების წინააღმდეგ გაილაშქრა. მან ჯერ ხაშმის ციხე აიღო, შემდეგ კი ანანური. ამოსწყვიტა არაგვის ერისთავის ოჯახი და არაგვის ერისთავის ძის გიორგის ცოლი ტყვედ წაიყვანა. არაგვის ხეობიდან შანშე ერისთავმა ლეკის ჯარით ქვემო ქართლში გადაინაცვლა და ყიზილბაშთა გარემოცვაში მყოფ დმანისის ციხეს შემოადგა, თუმცა, დმანისის ციხის აღების ცდა უშედეგოდ დამთავრდა. განჯიდან ჩამოსულმა სეფი-ხანმა ქსნის ერისთავი დაამარცხა. შანშეს ლაშქრის გადარჩენილი ნაწილი ახალგორში ჩავიდა. ხაშმის და ანანურის ნაძარცვი ლეკებს სწორედ იქ ჰქონდათ შენახული. ამის შემდეგ ისინი დაღესტნისაკენ გაემართნენ, თუმცა, ყიზილბაშთა სარდალი დაედევნა და „ერთიანად ამოსწყვიტნა ლეკნი.“[781]

ყიზილბაშებთან ბრძოლაში შანშე ერისთავმა მწვავე მარცხი განიცადა და ქსნის საერისთავოს დიდი ნაწილი, ახალგორის ჩათვლით, ირანელთა ხელში მოექცა. ერისთავი, ოჯახთან ერთად, აწრისხევის ციხეში გამაგრდა. სავარაუდოდ, ის ყველაზე საიმედოდ იყო დაცული. ამავე ციხეს შეაფარა თავი მოქიშპე ფეოდალთაგან შევიწროებულმა იმერეთის მეფემ ალექსანდრემ. როგორც ირკვევა, რთულ დროს მას შანშე ერისთავი დაეხმარა.

---

776 სეხნია ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., ტფ. 1913, გვ. 49.
777 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 322.
778 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 341-342.
779 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 323.
780 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, გვ. 326.
781 საქართველოს ისტორიის ქრონიკები, ა. იოსელიანის რედ., თბ., 1980, გვ. 73.

იმერეთის მეფე ყიზილბაშთაგან დევნილ შანშე ერისთავთან აწრისხევის ციხეში თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობდა. მან კარგად იცოდა, რომ ნადირშაჰი, აჯანყებული შანშე ერისთავის ხელში ჩასაგდებად ყველა გზას გამოიყენებდა. ალექსანდრე მეფე აწრისხევიდან ირანელებს ეახლა და მორჩილება გამოუცხადა. ნადირშაჰმა ალექსანდრე შეიპყრო.[782]

გაუტეხელი, მტკიცე ხასიათის შანშე ერისთავი მაინც აგრძელებდა ბრძოლას. როგორც დ. გვრიტიშვილი აღნიშნავდა: „ქსნის საერისთაოს ბრძოლა ყიზილბაშების წინააღმდეგ ოთხ წელს გაგრძელდა ერთგვარი ინტერვალებით, მაგრამ ხალხს თანდათან დაღლა დაეტყო. ერისთავის შვილებს შორისაც ღალატი მოსჩანდა.“[783]

ინდოეთიდან მობრუნებულმა ნადირშაჰმა შანშე ერისთავის მოქიშპე ქართველი დიდებულები ყაზვინში დაიბარა.[784] მათ შორის იყვნენ „სარდალი ქაიხოსრო და ამილახვარი გივი”. ნადირშაჰმა ქსნის საერისთავოს აოხრება ბრძანა, გივი ამილახვარს ყიზილბაშების ჯარი უბოძა და შანშე ერისთავის „წასახდენად“ გამოისტუმრა. ამ ჯარის ერთ ნაწილს იმამ-ყულიხანი სარდლობდა: „გამოისტუმრა (ნადირ შაჰმა, – გ. ს.) მოსცა ჯარი ინდოელნი, ლაურელნი და ფაშაურელნი, ოთხი სულთანი ექვსის ათასი კაცით შემოვიდა ქალაქს ტფილისისასა, შემდგომად ამისა მოიწვიეს ჯარი ავღნისა.“[785]

პაპუნა ორბელიანის ცნობით: „უყვეს თარეში, ააოხრეს ქსანი, დასწვეს და დაატყვევეს და ამოჟლიტეს ურიცხვი, დააქცივეს ციხეები, ან საცა კოშკი იყო, არსად გაუშვეს შენობა: გაიქცა ერისთავი შანშე, ცოლშვილიც იქა ჰყვანდა და შევიდა აწერის ციხესა შინა. მაშინვე მოვიდა ხანი ღამითვე და შემოადგა გარს, ვეღარა სძლო შანშემ და გაიპარა ციხიდან... რა გათენდა აიღეს ციხე აწერისა ყიზილბაშთა, შეიტყეს გაპარვა ერისთავისა, აიკლეს ციხე და იავარ-ჰყვეს საქონელი ანუ ტყვე... დააქცივეს ციხე აწერისა და ანუ სად სიმაგრენი იყვნეს სრულიად ააოხრა.“[786] პაპუნა ორბელიანის ცნობიდან ჩანს, რომ აწრისხევის ციხე ამ ლაშქრობის დროს დაანგრიეს, რითაც შანშე ერისთავს საიმედო თავშესაფარი მოუსპეს. აწრისხევიდან გაქცეული შანშე თავის ძმასთან – იესე ყულარაღასთან ერთად ახალციხეში ჩავიდა. მას ოსმალების დახმარების იმედი ჰქონდა, მაგრამ, საბოლოოდ, ოსმალებმა ნადირშაჰის თხოვნას ანგარიში გაუწიეს და შანშე, თავის ძმასთან ერთად, ირანელებს გადასცეს: „არამედ შაჰნადირმა ინება განტევება მისი თავმდებობითა ქართველთათა, გარნა ქართველთა არა ინებეს და წარგზავნა ხვარასანს. არამედ მოგზაური შანშე გამოიპარა, შეიპყრეს კვალად და აღმოხადეს თვალნი ძმითურთ.“[787]

ირანელების მიერ აწრისხევის ციხის აღების შესახებ ცნობას გვაწვდის ასევე XVIII საუკუნის ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე. მისი ცნობით, ნა-

782 ვახუშტი, აღწერა... ქ.ც. IV, გვ. 891.

783 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 324.

784 იქვე, გვ. 324.

785 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 346.

786 იქვე, გვ. 345-346.

787 იქვე, გვ. 93.

დირ-შაჰთან მოლაპარაკებაზე მისულმა თეიმურაზ II-ის მეუღლემ, ქართლის დედოფალმა თამარმა, ირანის მბრძანებელს, რომელსაც ქართლ-კახეთის „მოწყვეტა“ ჰქონდა განზრახული, მეუღლის თხოვნა გადასცა, რათა: „არა ასწყვიდოს ქართლ-კახეთისა ხალხი და დასცხრესცა მრისხანება მისი ქრისტიანეთა ზ(ედ)ა.“ დედოფლის თხოვნამ შედეგი მოიტანა. ნადირმა ქართლ-კახეთის მოსახლეობის აყრა გადაიფიქრა, მაგრამ შანშე ერისთავის მამულში აწრისხევის ციხეში გამაგრებული ირანელების წინააღმდეგ ამბოხებული ქართველი დიდებულები მაინც დასაჯა: „...მოუწერა შაჰ-ნადირ ტფილისს მჯდომსა ხანსა უკუმდგართა ქართველთა ზ(ედ)ა ბრძოლა და ოხრება. მივიდა ესე ტფილისს მჯდომი ყიზილბაში და მოადგა აწერის ხევსა, შემუსრა აწერისხევი და გამოიყვანა ქსნის ერისთავის შანშეს ცოლ-შვილი და ძმებისა მისისა, ხ(ოლო) შანშე ილტვოდა აღსიხას, გარნა ჰსთხოვეს იგი ყიზილბაშთა და მოსცეს ოსმალთა შანშე და შეიპყრეს ძმაიცა შანშეს იესე და წარგზავნეს ცოლ-შვილით ხორასანს და დაიპყრეს ქსნის ხევი და მამული შანშესი ამილახორმან გივმან, და ამ ჟამამდე მოჰკლეს არაგვის ერისთავი ყმათა თვისთა და გამოაძეს სახლისკაცნიცა მისნი.“[788] შანშე ერისთავის სამფლობელო გივი ამილახვარმა დაისაკუთრა, ამასვე მოწმობს ხალხური ლექსიც:

„ამილახვარმა გატეხა შანშე ერისთვის კარია,
შევიდა, გამოიტანა მარგალიტი და თვალია.“[789]

შანშე ერისთავის ირანში გადასახლების შემდეგ ქართლ-კახეთის მეფეები: თეიმურაზი და ერეკლე ვერ ურიგდებოდნენ ასეთი აქტიური პოლიტიკური მოღვაწის ტყვეობაში ყოფნას და მათ ნადირშაჰს შანშეს განთავისუფლება სთხოვეს. ირანის შაჰმა ერეკლე-თეიმურაზის თხოვნა დააკმაყოფილა. გათავისუფლების შემდეგ, შანშეს ერეკლემ და თეიმურაზმა კვლავ ქსნის ერისთავობა უბოძეს.[790] თუმცა, შანშეს დიდხანს აღარ უცოცხლია, რამდენიმე წლის შემდეგ, ერისთავს სამეფო კარის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობა დაბრალდა, დააპატიმრეს და თბილისში პატიმრობაში გარდაიცვალა. ამის შემდეგ ქსნის ერისთავობა შანშეს ძმისწულს დავითს ებოძა, შანშეს წილი მამული კი სამეფო საკუთრებად იქცა.[791]

XVIII საუკუნის 70-იან წლებში ქართლის სამეფო კარს ქსნის ერისთავი გიორგი ყულარაღასი დაუპირისპირდა. ხელისუფლებამ ქსნის საერისთავო გააუქმა. პატარა ლიახვის ხეობა ერეკლე II-ის ძეს იულონ ბატონიშვილს გადაეცა.[792] აწრისხევი, ისევე, როგორც პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლები, იულონ ერეკლეს ძის მფლობელობაში მოექცა. ქსნის ერისთავებს კი საერისთაოს მცირე ნაწილი, თორმეტიოდე სოფელი დაუტოვეს.[793]

---

788 ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1989, გვ. 42-43.

789 საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 74.

790 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, გვ. 54.

791 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, გვ. 362.

792 დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის რედ. თბ., 1941, გვ. 15.

793 გ. აკოფაშვილი, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII ს.ს. ქართლში, თბ., 1965, გვ. 127.

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის – გიორგი XII-ის სიკვდილის შემდეგ, ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით, დავით გიორგის ძე და იულონ ბატონიშვილი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. იულონ ბატონიშვილმა 1800 წელს, პატარა ლიახვის ხეობა დატოვა და დედაწულით თავის ძმასთან – ფარნაოზთან ერთად იმერეთში გაიხიზნა.[794] დავით გიორგის ძემ ერეკლე II-სგან ჩამორთმეული მამულები, მათ შორის – პატარა ლიახვის ხეობის სოფლები ქსნის ერისთავებს დაუბრუნა.[795]

ქსნის ერისთავებისთვის კუთვნილი მამულების დაბრუნების საკითხს ეხება 1803 წლის 28 მარტს, იმპერატორის სახელზე გაგზავნილი წერილი, სადაც საუბარია 1802 წლის 4 სექტემბერს ხელმოწერილ უმაღლეს განკარგულებაზე. მასში განხილულია ქართველი თავადების ქსნის ერისთავების თხოვნა ერეკლე II-ის მიერ მათთვის ჩამორთმეული მამულების დაბრუნების შესახებ. საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო კრებამ, როგორც ჩანს, ქსნის ერისთავების მამულები მათ უდავო კუთვნილებად მიიჩნია და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო. ხსენებული დოკუმენტი რუსეთის იმპერატორისადმი წარსადგენად პავლე ციციანოვს გადაეცა. საიმპერატორო კარზე გაგზავნილ წერილში ციციანოვი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული მამულები, რომლებიც სამეფო ოჯახის წევრების მფლობელობაში იყო, ერისთავებს ეკუთვნოდათ. წერილის ავტორი დასძენდა, რომ ერისთავებისათვის მამულების გადაცემის შემთხვევაში, თუ იმპერატორის ნება იქნებოდა, ამის სანაცვლოდ, სამეფო ოჯახის წევრებს პენსია დანიშვნოდათ და ამით ყველა პრობლემა გადაჭრილი იქნებოდა. ციციანოვის წერილს თან ერთვოდა ქსნის ერისთავების საქმესთან დაკავშირებით საქართველოს უმაღლესი მთავრობის გადაწყვეტილება, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, ერისთავებისათვის გადასაცემი სამეფო ოჯახის წევრების და სხვათა მფლობელობაში არსებული მამულების, სოფლების და ცალკეული კომლების ჩამონათვალიც იყო, აქ შედიოდა იულონ ბატონიშვილის სოფლები: ბელოთი, დიცი და აწრისხევი.[796]

1803 წლის 2 აპრილით დათარიღებული კაპიტან ენოხინის მიერ მთავარმართებელ ციციანოვისადმი დაწერილ პატაკში, სადაც ვრცელი ინფორმაციაა გორის მაზრაში მდებარე სამეფო ოჯახის კუთვნილებაში არსებული უძრავი ქონების და მამულების შესახებ, ვკითხულობთ: „სოფელი აწრისხევი პატარა ლიახვის პირას მდებარეობს. იქ 14 კომლი ცხოვრობს, მათ შორის 11 ქართველი და 3 ოსი (73 მამაკაცი და 56 ქალი). ადგილობრივების თქმით, ფერდობებსა და ტყეს შორის მიწა ძნელად დასამუშავებელია. ფერდობების დახრილობის გამო ხვნა შეუძლებელია და თოხით მუშავდება. ტყე მთებში ცოტაა. სოფლად გლეხობა მეტად ღარიბია. მოჰყავთ: ხორბალი, დიკა, ქერი და შვრია, მაგრამ ეს მხოლოდ ნახევარ წელს თუ ჰყოფნით, ამიტომ მათი საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყ-

794 მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა 1744-1840, ტფ., 1906, გვ. 58-59.

795 დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გვ. 27.

796 АКАК, Т. II, стр. 550, № 1070.

ოფილებლად, ქართლში საქონელს და მატყლს მარცვლეულზე ცვლიან. მესაქონლეობა საშუალოდ არის განვითარებული. გადასახადისა და ბეგარის სახით სოფლის მფლობელს (იულონ ბატონიშვილს) შვიდი გვარი თითო ცხვარს, ასევე ერთნახევარ კოდ ხორბალს და ქერს უხდის –სულ 16 რუბლის ღირებულებისას. გარდა ამისა, მოურავის აზნაურ ფურცელაძის (იგულისხმება პლატონ იოსელიანის თხზულებაში მოხსენიებული „პატარა ლიახვის და ოსების“ მოურავი გოგია ფურცელაძე, – გ. ს.)[797] წინაშე ვალდებულება კომლიდან 6 ჩანახ პურს და თითო ქათამს შეადგენს.“[798]

აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის 80-იან წლებში პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში მცხოვრები გლეხობა „სარუსო“ გადასახადს იხდიდა. ოთარ ამილახვრის სახელზე ერეკლე II-ის მიერ გაგზავნილ წერილში იხსენიებიან „სარუსონი.“ როგორც ჩანს, ეს გადასახადი რუსული სამხედრო დანაყოფის სურსათ-სანოვაგით მომარაგებისთვის იყო განკუთვნილი. დოკუმენტში: „ბრძანება ერეკლე II-ისა ზემო ქართლის სამინბაშო საქმეების და რუსის ჯარისათვის პროვიანტის დამზადების შესახებ,“ ვკითხულობთ:

„ქ. ბრწყინვალეს თავადს ბატონს ამილახორ მდივანბეგს იესეს მრავალი მოკითხვა მოეხსენოს. მერე მინბაშების ზოგიერთი მოჩივარნი ჰყვანან. მაგათთვისაც ოქმი მოგვიწერია, ბეჟან მინბაშიც და ზაზა მინბაშიც აქ უნდა ჩამოვიდნენ და მანდაური სამინბაშო საქმე ამილახვრიშვილმა ოთარმა და მაჩაბელმა ხუთასის თავმა ზაზამ გაარიგოს მანამდინ მათი საქმე გაიშინჯებოდეს... რუსის პროვიანტისა სულხან ბეგთაბეგიშვილისათვის რომ მოგეწერა, რაც გვერდისძირისა, მეჯვრისხევისა და იმას ზეით სარუსო არიან, ან პატარა ლიახვისა, ცხინვალისა და იმას ზეით, ესენი სურამს მიატაინეთ...“[799]

როგორც აღვნიშნეთ, სოფელი აწრისხევი და პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული რამდენიმე სოფელი ქსნის ერისთავებს დაუბრუნდათ. 1807 წლის 2 ივნისით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, რომელიც ქსნის ერისთავების გაყრას ეხება, შანშე ერისთავის საკუთრება გახდა: „ბელოთი, ხოშური, ერტულა, აწერისხევი და ხადური თაყა, მარანი თავის ხოდაბუნით, ტატიშვილები ერთობით და ელიოზისშვილი ზურაბ... გაყრის შემდეგ შანშეს ერგო ასევე საცხენეთი და ჩარდახი ინდუაშვილი და რაც ჩვენი წილი მამული არის ნავთლუღში.“[800]

1811 წლით დათარიღებული დოკუმენტით ირკვევა, რომ შანშე და სოლომონ ერისთავებმა ყმები გაცვალეს და ზაქარია შერმაზანაშვილის სანაცვლოდ შანშემ თავის სახლისკაცს აწრისხევში მცხოვრები გლეხი მარიამიძე უბოძა: „ჩყია წელსა მარტი 13-ს დღესა, მე, ქვემორე ამის ხელისმომწერელი გაძლევ ამ მოცვლილობის წერილს თქვენ, ჩემს ბიძაშვილს თავად შანშე იესეს ძეს ერისთავს და თქვენს ძმებს, ასე რომე ათუა შერმაზანაშვილი თავისის შვილებით მე მერგო და ოჰანეზა შერმაზანაშვი-

797 პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 263.
798 АКАК, Т. II, стр. 73, № 121.
799 სეაცსა, ფ. 1448, საბ. 1341.
800 გსიემ 7486, გვ. 441.

ლი თქვენ გერგო და რადგანაც ამ შარმაზანაშვილებს ძმობის წილზედ დავა ჰქონდათ ერ(თ)მანეთში, ჩვენს შორისაც სამდურავი მოხდებოდა და იმისთვის ჩვენ ასე გავრიგდით. თქვენ მე მომეცით აწრისხეველი გლახა მარიამისძე თავისის შვილები(თ) და თავის საცხოვრებელით დღეს რისიც მქონებელია, გარდა სამკვიდროს მამულისა რომელიც სამკვიდრო მამული აქვს, ის თქვენი არის და მე მოგეცი ამის სამაგიეროდ ზაქარია ათუასშვილი შერმაზანოვი თვინიერ ძმისა და ყოვლისა მამულისა, რომელიც დღეს აქვსთ მამულიც და საცხოვრებელიც და ხმაც(?) ყოველივე ჩემია...“[801]

აწრისხეველები მონაწილეობდნენ ქვეყნის თავდაცვისათვის გამართულ ბრძოლებში. ერეკლე II-ის მორიგე ჯარის დავთრებში, XVIII ს. 70-იან წლებში, მეფის ბრძანებით აწრისხევიდან უნდა გამოსულიყვნენ: არჩვაძე დათუნა და ლობჯანიძე პეტრე.[802] XVIII საუკუნის ბოლოს შედგენილ „კოდის პურის გადამხდელთა“ სიაში, პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად, აწრისხეველებსაც ჰქონდათ საგადასახადო ვალდებულებები.[803]

1781 წელს აწრისხევში აღწერილნი არიან: მიქელა, პეტრე და დათუა ასკილაშვილები, ბერუა გ(ძ)მობილაშვილი, ბერუკა და შიო მარიამიძეები, ალხაზა, ბერი ქურმუხაგაშვილი, დათუნა ფაციაშვილი, გიორგი ინაური და გოგია ფოსური.[804] როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის ბოლოსათვის აწრისხევში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. XIX საუკუნის დასაწყისში აღნიშნულ სოფელში რამდენიმე კომლი ოსი დასახლდა. 1802 წლის 8 მაისით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული ოსები სახაზინო საკუთრებას წარმოადგენდნენ.[805] მოგვიანებით სოფლის ეთნიკური სურათი შეიცვალა. 1804 წლის რუსული კამერალური აღწერით, აწრისხევში 39 კომლი (192 კაცი, 148 ქალი, სულ 340 სული) სახლობდა, აქედან, 26 კომლი ქართველი იყო (136 კაცი, 108 ქალი) და 13 ოსი (56 კაცი, 40 ქალი). ხიზნებში ნაჩვენებია 4 კომლი ქართველი (21 კაცი, 4 ქალი) და 9 კომლი ოსი (42 კაცი, 25 ქალი). აწრისხევში მცხოვრები გლეხები ეკუთვნოდნენ მიხეილ და რევაზ ქსნის ერისთავებს. მოსახლეობა მისდევდა მარცვლეული კულტურების მოყვანას, მესაქონლეობას, განვითარებული იყო ასევე მეფუტკრეობაც.[806]

1831 წლის 10 ივნისს, მთავარმართებელ პასკევიჩის სახელზე შედგენილ კოლეგიის ასესორების იანოვსკის და კოზაჩკოვსკის მიერ შედგენილი პატაკის მიხედვით, პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ ქართულ სოფელ აწრისხევში ციხე-სიმაგრის ნანგრევები იყო შემორჩენილი. მისგან მოშორებით, ხეობის ორივე მხარეს, ორი სათვალთვალო კოშკი მდებარე-

801 გსიემ 7486, გვ. 453.

802 იასე ლორთქიფანიძე, საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV-B, 1947, გვ. 337.

803 საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, დ. მუსხელიშვილის რედ. ტ. II, თბ., 2010, გვ. 172-173.

804 ა. თაბუაშვილი ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII ს. II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 95-96.

805 АКАК, Т. I, стр. 467, № 575.

806 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გვ. 54.

ობდა. კოშკების ზემოთ კი, როგორც მივუთითებდით, დაუმორჩილებელი ოსები ცხოვრობდნენ.[807]

1842 წლის საეკლესიო გლეხთა კამერალური აღწერის მიხედვით, აწრისხევში სულ 17 კომლი ცხოვრობდა (67 სული): მოსე, სტეფანე, დავით, სოლომონ, თომა და გიორგი ასკილაშვილები, ტეტია, და გიორგი ინაურები, მახარე და პავლე ოქრუაშვილები, გოგია, სიმონ და იოსებ მარჯანიძეები, ზაზა ზაზარაშვილი და სხვ. სოფელი შანშე, თორნიკე და გიორგი ერისთავების მფლობელობაში იყო. აწრისხევის მამასახლისად მოხსენიებულია მახარე ინაური, ხოლო სოფლის მოსამართლეები იყვნენ: მახარე ასკილაშვილი და გოგია მარიამიძე. „რადგან ამათ წერა არ სცოდნიათ," უწყისზე ხელს აწერდა წყალობა თანდიევი (თანდიაშვილი).[808]

XIX ს. 80-იანი წლებისათვის აწრისხევში მოსახლეობის რაოდენობამ იკლო. მართალია, კომლთა რაოდენობა არ შეცვლილა და ისევ 39-ს შეადგენდა, მაგრამ სულთა რაოდენობა 53-ით შემცირდა (152 კაცი, 135 ქალი, სულ 287 სული). აღწერილი 39 კომლიდან, 36 კომლი (131 მამაკაცი, 117 ქალი) ქართველი მაცხოვრებელი იყო, 3 კომლი (21 მამაკაცი, 18 ქალი) კი ოსი. აწრისხევის მკვიდრნი მართლმადიდებლები იყვნენ და საეკლესიო უწყებას მიეკუთვნებოდნენ.[809] აწრისხევში გავრცელებული გვარები იყო: ასკილაშვილი, ინაური, ვაზაგაშვილი, მარიამიძე, სოფლის ტოპონიმებიდან კი უნდა დავასახელოთ: ქისიაანთ კონტოხები, ვაკე, ინაურთ ჭალები და სხვ.

რაც შეეხება, აწრისხევის მეზობლად არსებულ სოფელ ზონკარს, მის შესახებ ცნობები მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან გვაქვს. 1804 წლის კამერალურ აღწერაში, ზონკარში მხოლოდ 15 კომლი მოსახლე ცხოვრობდა (84 მამაკაცი, 76 ქალი). ისინი ქსნის ერისთავების მფლობელობაში იყვნენ. აღწერის განმარტებით ნაწილში აღნიშნულია, რომ „გლეხები ღარიბები არიან და ღალას იხდიან წლიურად კომლზე 3 ბატკანს, ხოლო ყოველ მეოთხე წელს კი 9 ძროხას."[810]

XIX საუკუნის ბოლოს ზონკარის მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. სოფელში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ოსები დამკვიდრდნენ. 1886 წლის აღწერის მიხედვით, ზონკარში უკვე 39 კომლი (180 მამაკაცი, 148 ქალი, სულ 328 სული) ოსი ცხოვრობდა. ისინი საეკლესიო უწყებას მიეკუთვნებოდნენ.[811]

807 АКАК, Т. VII, стр. 376, № 306.

808 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 1951, გვ. 308-312, Камеральное описание церковных крестьян Ксанского участка Горийского уезда, 1842 года.

809 Свод статистических данных о населении Закавказскаго края, извлеченных из посемейных списков 1886 г., издан по распоряжению Главноначальствующаго гражданскою частию на Кавказе Закавказским статистическим комитетом, Тифлисская Губерния, Горийский уезд, Цхинвальский участок, Тиф., 1893, №1244.

810 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა... გვ. 82.

811 Свод..., Тифлисская Губерния, Горийский уезд, Цхинвальский участок, №1293.

პატარა ლიახვის ხეობის საოკუპაციო ხაზთან არსებული სოფლები

დიცი

სოფელი დიცი გორის მუნიციპალიტეტში შედის. იგი მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 880 მ-ის სიმაღლეზე, გორიდან 31 კმ-ის დაშორებით მდებარეობს.[812] აღმოსავლეთით მას ესაზღვრება სოფ. ქორდი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – თერგვისი, სამხრეთით – ტირძნისი, ჩრდილოეთით – ერედვი, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი არბო.

დიცის თემში, თანამედროვე ადმინისტაციული დაყოფით, შედის საკუთრივ დიცი, ქორდი და არბო. გასული საუკუნის პირველ მეოთხედში დიცის თემში რამდენიმე სხვა სოფელიც შედიოდა: ერგნეთი, ტირძნისი, მეღვრეკისი, ბროწლეთი და თერგვისი. 1932 წელს დიცი ტირძნისის სასოფლო საბჭოს მიეკუთვნებოდა, მასთან ერთად საბჭოში გაერთიანებული იყო შემდეგი სოფლები: დიცი, არბო, ერგნეთი, მეღვრეკისი, ქორდი, თერგვისი, ბროწლეთი, ტირძნისი.[813]

XVIII საუკუნის ცნობილ ქართველ ისტორიკოსს იოანე ბაგრატიონს, თავის თხზულებაში – „ქართლ-კახეთის აღწერა," სოფ. დიცი შეტანილი აქვს იმ სოფლების ნუსხაში, რომლებიც „პატარა ლიახვით ირწყვის და ისევ გორს მიეწერება" და მას „მოსახლეთა" კატეგორიას მიაკუთვნებს.[814]

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში ნამყოფი გერმანელი მეცნიერ-მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი დიცს იხსენიებს ძირითადად ქართველებით დასახლებულ სოფლად, სადაც მცირეოდენი სომხებიც ცხოვრობდნენ.[815]

დიცის ტერიტორიაზე ძველი ნამოსახლარები აღმოჩენილი არ არის, თუმცა, დიცის მახლობლად არსებულ სოფლებში მიკვლეული ადამიანთა უძველესი საცხოვრებლები თუ სამარხები გვაფიქრებინებს, რომ მოსახლეობა ამ სოფლის ტერიტორიაზე ძველი დროიდან ცხოვრობდა. როგორც მივუთითებდით, ყორღანული სამარხი უნდა იყოს სოფ. დიცის ტერიტორიაზე, რომელიც სოფელში „გორეების" სახელწოდებითაა ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის I ნახევარში „დიცის გორის" საიახლოვეს, სახნავი მიწების დამუშავებისას, კოლმეურნეებმა დიდი რაოდენობით კერამიკულ ნაწარმს მიაკვლიეს. სამწუხაროა, რომ „დიცის გორას"

---

812 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბ., 1977, გვ. 592.

813 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიულო ორგანო გორის რაიონული არქივი, ფ. 4, ანაწერი 1, №202, გვ. 34.

814 იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 40.

815 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., გვ. 277.

ჯერ მეცნიერთა ხელი არ შეხებია და ვიმედოვნებთ, იგი ახალი თაობის მკვლევართა ყურადღების საგანი გახდება. სავარაუდოდ, დიცში არსებობდა რკინის მეტალურგიის უძველესი კერა, რაზეც უნდა მიგვანიშნებდეს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით მინდვრის სახელწოდება „რკინობები.“[816]

ჩვენი აზრით, სოფ. დიცი პატარა ლიახვის ხეობის იმ ნაწილს განეკუთვნებოდა, რომელიც ქორდითირიკოს სახელით იყო ცნობილი.

დიცის ტერიტორიის ათვისებას ძველთაგანვე ხელს უწყობდა მისი მდებარეობა. იგი ემიჯნებოდა იმ სოფლებს, სადაც უძველესი გზები გადიოდა. ეს გზები პატარა ლიახვის ხეობას, მათ შორის დიცს, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასიასთანაც აკავშირებდა.[817]

დიცში მოსახლეობის ძველი დროიდან არსებობისათვის ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა სოფლის ბუნებრივ-კლიმატური პირობები. იოანე ბაგრატიონის ზემოთ მოყვანილ ცნობიდან ჩანს, რომ დიცი მდ. პატარა ლიახვით ირწყვებოდა, რაც სოფლის მეურნეობის არაერთი დარგის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. დიცში არსებობდა სარწყავი სისტემა, რომელიც მდინარე დიცურას უკავშირდებოდა. ცნობილი ეთნოგრაფი, გ. ჯალაბაძე დიცურის არხის შესახებ წერს: „გორის რაიონის სოფლები: არბო, ქორდი, დიცი, ერგნეთი, თერგვისი და ტირძნისის მინდვრები და ბაღ-ვენახები ირწყვოდა დიცურის არხით, რომელიც პატარა ლიახვიდან იყო გამოყვანილი. ამ არხის მოვლა-შენარჩუნებაზე დასახელებული სოფლები ზრუნავდნენ. არხს ემიჯნებოდა მარჯვენა მხრიდან სოფ. ერედვის ურწყავი მინდვრები, ერედველები არხით სარგებლობდნენ მხოლოდ მინდვრად მუშაობის დროს და მინდორში პირუტყვის ძოვებისას პირუტყვი მიუდიოდათ წყალზე. დიცურის მერუეთა გადმოცემით, ერედველებს წყლის დალევის შემდეგ წვერი უნდა დაებერტყათ, რომ არხს ბევრი წყალი არ მოკლებოდა.“[818] დიცურის არხის გარდა, „წვერის ჩამობერტყვის“ ჩვევა დოკუმენტურ წყაროებში სხვა სარწყავ რუებთან დაკავშირებითაც გვხვდება.[819] სარწყავი სისტემის მოვლა-პატრონობის თვალსაზრით, არსებობდნენ ამ საქმისათვის საგანგებოდ გამოყოფილი პირები – მერუეები. გ. ჯალაბაძის განმარტებით, მერუეებისათვის გარკვეული გადასახადი იყო დაწესებული, რომელსაც სოფლის მოსახლეობა იხდიდა: „მერუეს სოფელი გარკვეულ გადასახადს უხდიდა, რომელსაც „სამერუეოს“ უწოდებდნენ. სამერუეო დღიურზე ერთი ჩანახით განისაზღვრებოდა. ჩვეულებრივ სარწყავიან სოფელს ორი მერუე ჰყავდა. გვალვიანობისას სოფელი დამატებით კიდევ ორ კაცს გამოჰყოფდა, რომლებიც მერუეთა თანაშემწეებად ითვლებოდნენ. ნახევრად სარწყავ სოფლებში, სადაც წყა-

816 შდრ. „სარკინე,“ ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 21.

817 გ. სოსიაშვილი, გზები პატარა ლიახვის ხეობაში, ჟურნ. „აღმოსავლეთი და კავკასია,“ 2008, №5, გვ. 93-95.

818 გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986, გვ. 298.

819 იქვე, გვ. 297-298.

ლის სარწყავ მნიშვნელობას ბაღ-ბოსტანი განსაზღვრავდა, მერუეს არ ირჩევდნენ და მის მოვალეობის შესრულებას მეველეს აკისრებდნენ.“[820]

გვალვიანობის პერიოდში ბაღ-ვენახების მოსარწყავად მოსახლეობა რიგს აწესებდა, გლეხები ხშირად მორწყვის რიგსაც კი ჰყიდდნენ.

როგორც გ. ჯალაბაძე წერს: „სოფ. დიცის მოხუცების გადმოცემით, ჭირნახულით ხელმოკლე კაცი, რიგს გაყიდდა ხოლმე. ასეთი რიგი, მათივე თქმით, ზოგჯერ 3 ჩანახ სიმინდად გაყიდულა (ჩანახში 8 კილო მარცვალი ჩადის).“[821]

დიცურის არხმა გაზაფხულზე ადიდებაც იცოდა, რის გამოც სოფლის ზოგიერთი ნაწილი წყლით იტბორებოდა. ამას ადასტურებს დიცში არსებული ტოპონიმი „ნაჭაობარი,“ რომელიც სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე მინდორს ეწოდება. დიცურის არხის ჩრდილოეთ მხარეს არსებული ტერიტორია შედარებით მწირმოსავლიანი იყო. ეს ადგილი არ ირწყვება, ამიტომ სოფლის ამ ნაწილს „ურწყავი“ ერქვა.

დიცურის არხზე იყო დამოკიდებული სოფელში წისქვილების არსებობა, სადაც მოწეული მარცვლეული იფქვებოდა. დიცში არსებობდა: დუღაძეების, სოსიაშვილების, ბოლაშვილების წისქვილები, ერთ-ერთი ასეთი წისქვილი დღემდეა შემორჩენილი, თუმცა, აღარ მოქმედებს.

დიცურის არხი მდ. პატარა ლიახვის ერთ-ერთ შენაკადს წარმოადგენდა, იგი სათავეს იღებდა სოფ. დმენისთან, მოემართებოდა სოფ. არბოს ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, კვეთდა სოფ. ქორდის ჩრდილოეთით არსებულ მინდვრებს, შემდეგ გაივლიდა დიცის მინდვრებს და უკავშირდებოდა სოფ. ერგნეთს. დიცურით ირწყვებოდა ტირძნისის მინდვრების ერთი ნაწილი, ასევე სოფ. თერგვისი, რომელიც ქართლის მეფემ ლუარსაბ II-მ მაცხოვრის საფლავს შესწირა,[822] რაც დოკუმენტებით დასტურდება.[823] დიცურის სარწყავი სისტემის არსებობის დროს, ხშირად დიცის მცხოვრებლები, ერგნეთის მოსახლეობას სარწყავ წყალს არ აძლევდნენ. ამას ასახავს 1774 წელს ერეკლე II-ს სახელზე შედგენილი იოანე ხერხეულიძის საჩივარი: „არზა იოანე ხერხეულიძისა წყლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით.“ დოკუმენტში ვკითხულობთ:

„ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ხერხეულიძე იოანეს.

მერმე ამას მოვახსენებ მათს უმაღლესობას: ერგნეთს წყალი ქორდულის რუდამ ქონია, ახლა იმ წყალს დიცელები აღარ მანებებენ. ამას გევედრებით: იესე ერისთავის ძმაზე ერთი ოქმის წყალობა მიყოთ, თუ სიტყვა არა ჰქონდესთ რა, რაც წყალი მქონდეს, ჩემი წილი მომცენ. და თუ

820 გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986, გვ. 300.

821 იქვე.

822 ე. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია (ქართული პერიოდი), თბ., 2005 გვ. 53.

823 ე. მამისთვალიშვილი, საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII ს.ს), თბ., 2008, გვ. 39.

სიტყუა რამ ჰქონდესთ, თქვენს სამართალში მომყუნენ. ღმერთი გაგიმარჯვებს. აპრილის იბ, ქორონიკონს უიბ.“

დოკუმენტის მიხედვით, ქორდულის რუს ამ დროს ქსნის ერისთავები ფლობდნენ. როგორც ჩანს, მათი გავლენა დიცზეც ვრცელდებოდა. ერეკლე II-მ ქსნის ერისთავებს იოანე ხერხეულიძისათვის თავისი წილი სარწყავი წყლის მიცემა დაავალა:

„მერე იოანე ხერხეულიძე ამ არზით რომ ასე გიჩივისთ (იგულისხმებიან გიორგი და იესე ქსნის ერისთავები, – გ. ს.), როგორც ძველადგან წყალი ჰქონებოდესთ, ახლაც ისე თავეთი წილი წყალი დაანებეთ, ჩვენთან ნუდარ აჩივლებთ, თორემ მწვავედ გვეწყინება...“[824]

დიცურის არხს ადგილობრივი მოსახლეობა სასმელადაც იყენებდა. სასმელი წყლის უქონლობა სოფლისათვის ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა XIX საუკუნის ბოლომდე. სწორედ ამ საკითხს ეხება 1894 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ვ. მძინარაშვილის კორესპონდენცია:

„ეს ერთი თვე მიდის თქვენი მტერი იყოს ისე შეწუხებული და გაჭირვებული, როგორც ჩვენ (იგულისხმება სოფ. დიცის მოსახლეობა, – გ. ს.) ვართ, ამ სოფლის მცხოვრებლები, ცალკე შიმშილი გვაწუხებს და ცალკე წყლის სურვილი. განათუ საჭმელი გვაკლია, ან სასმელი, წყალი არა გვაქვს არც დასალევად და არც საჭმლისათვის სახმარად. ჩვენი სოფლის წყალს უწოდებენ დიცურას და შიგ შუა სოფელში მოდის. ამ წყლის მეტი სხვა არც დასალევი სადმე წყალი გვაქვს მდინარე და არც წყარო. მხოლოდ ხუთ ვერსზედ თუ წავალთ, შეგვიძლია პატარა ლიახვიდგან წყალი ამოვიტანოთ, მაგრამ დიდად ძნელია ამ სიშორიდგან წყლის ზიდვა. დიცურა შიგ შუა სოფელში აბრუნებს ამავე სოფელში ოთხ წისქვილს, რომლითაც მთელი სოფელი სარგებლობს და ამ საფქვავსა ჰფქვავს. წარმოიდგინეთ ეს ერთი თვე სრულდება, რაც ამ წყალს გვიწყვეტენ სათავეში ხუთი ვერსის მანძილზედ, ქვაფთის ჭალასთან; რამდენჯერ იყო შემთხვევა, როდესაც დაწყვეტენ წყალსა და ამ სოფლის გლეხნი წავიდოდნენ და ისევ გადმოუგდებდნენ ხოლმე, მაგრამ როდემდის უნდა იყოს ასე?

საჭიროა რომ ჩვენმა მამასახლისმა ყურადღება მიაქციოს როგორმე ამ საქმეს და ხალხი დაიხსნას გაჭირვებისაგან.“[825]

დიცურის სარწყავმა არხმა XX საუკუნის პირველ ნახევრამდე იარსება. არხი სოფლის მეურნეობის არაერთი დარგის განვითარების საშუალებას იძლეოდა, ამას ხელს უწყობდა დიცის ნაყოფიერი მიწა. მარცვლეული კულტურის მოყვანის თვალსაზრისით, დიცში საკმაოდ ხელსაყრელი პირობები იყო. XVIII საუკუნის ერთ-ერთ დოკუმენტში დიცში ნახსენებია „ხოდაბუნი.“

„ხოდაბუნი“ ნაყოფიერ ადგილს ერქვა. გ. ჯალაბაძის განმარტებით, „ხოდაბუნს“: „არც ბატონი და არც მისი მფლობელი გლეხი გასასყიდად თუ გასაცემად იოლად ვერ გაიმეტებდა.“[826]

824 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 320.
825 გაზ. „ივერია,“ 1894 წ. 26 ოქტომბერი, №226, გვ. 2.
826 გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 267.

ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით, „ხოდაბუნზე“ დასახლება გლეხს, მხოლოდ ბატონის ნებართვით შეეძლო.[827]

დიცში მარცვლეული კულტურების[828] გარდა, დაწინაურებული იყო მევენახეობა. სოფლის მეურნეობის ამ დარგებთან ერთად, მოსახლეობა მესაქონლეობას და მეფუტკრეობასაც მისდევდა, ხოლო XX საუკუნის პირველ ნახევარში, კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შემდეგ, – მებაღეობაც განვითარდა.[829]

სოფლის მეურნეობის გარდა, დიცში ვაჭრობასაც მისდევდნენ. ადგილობრივი მკვიდრნი საქონლის პროდუქტებით ქ. ცხინვალში ვაჭრობდნენ, ცხინვალიდან სოფ. დიცი ოთხი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. სოფლის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს დღემდე არსებობს გზა, რომელსაც აქაურები „ცხინვალის გზას“ უწოდებენ.

როგორც აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი დიცს მოიხსენიებს იმ სოფლების ნუსხაში, სადაც ქართველებთან ერთად, ნაწილობრივ სომხებიც სახლობდნენ. თუმცა, დიცში სომხური მოსახლეობის არსებობას აღნიშნული პერიოდის არცერთი სხვა წყარო არ ადასტურებს. XVIII საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ჩამოსახლებულმა ოსებმა შიდა ქართლის მთიანეთიდან ბარში იწყეს განსახლება. XIX საუკუნის დასაწყისში პატარა ლიახვის ხეობის ზედა ნაწილიდან ოსები ხეობის ქვედა ნაწილში არსებულ სოფლებში ჩამოსახლდნენ. რ. თოფჩიშვილის განმარტებით, ერთ-ერთი ასეთი სოფელი იყო დიცი.[830] 1802 წლის რუსული მონაცემებით, დიცი პატარა ლიახვის ხეობის იმ სოფლების ნუსხაშია, სადაც ქართველებთან ერთად ოსებიც ცხოვრობდნენ.[831] თუმცა, როგორც ჩანს, დიცში ჩამოსახლებულ ოსურ ოჯახებს აქ დიდხანს არ უცხოვრიათ. 1804 წლის რუსული აღწერის მიხედვით, დიცში 33 კომლი ცხოვრობდა, სულ 252 სული, რომელთაგან ყველა ქართველი იყო. აქედან, ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდა 17 კომლი, მაჩაბლებს – 10 კომლი, ხოლო დანარჩენი მცხოვრები 6 კომლი იყო.[832]

დიცის მოსახლეობის შესახებ ძალზე საინტერესო მონაცემებია 1818 წლის რუსულ კამერალურ აღწერაშიც, სადაც ჩამოთვლილია სოფელში მცხოვრები ოჯახები, მათი ქონება, სოციალური მდგომარეობა, თუ სამეურნეო საქმიანობა.

იმ დროისთვის დიცში ცხოვრობდნენ: სოლომონ ერისთავის კუთვნილი

---

827 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963, გვ. 509.

828 გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, თბ., 2010, გვ. 13.

829 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის რაიონული არქივი, ფ. 9, ანაწერი I, საქმე №82, გვ. 259.

830 რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 167.

831 Акты кавказской Археологической комисии Т. I, Тиф.,1866, стр. 467, №575.

832 სეაცსა, ფ. 254, საქ. №58.

ტეტია რუმენაშვილი (უნდა იყოს რომელაშვილი), მისი მეუღლე (სახელი არ არის მითითებული) და ვაჟები: გიორგი და ბესარიონი, ასევე ორი ქალიშვილი. ჩამოთვლილია მისი ქონება: სახლი, 10 დღიური სახნავი მიწა, აქედან, ამუშავებდა 3 დღიურ მიწას, იღებდა 60 კოდ ხორბალს, ჰქონდა ასევე ნახევარი დღიური ვენახი, საიდანაც იღებდა 40 კოკა ღვინოს, ჰყავდა 5 სული მსხვილფეხა, რქოსანი პირუტყვი.

თევდორე მინდიაშვილი, მისი მეუღლე, შვილები: გიორგი, გიგოლა და დათუა, ასევე ერთი ასული. შვილიშვილები: სოლომონი, პეტრე და მათი და. მის ქონებას შეადგენდა: სახლი, 30 დღიური მიწა, აქედან, ამუშავებდა 8 დღიურ მიწას (იღებდა 100 კოდ ხორბალს), 1 დღიური ვენახი (იღებდა 20 კოკა ღვინოს), ჰყავდა 8 სული პირუტყვი.

ბერუა მეტრეველი, მისი მეუღლე, შვილი ნინია და ერთი ქალიშვილი. მის ქონებას შეადგენდა: 10 დღიური მიწა, აქედან, ამუშავებდა 5 დღის სახნავს (მოჰყავდა 50 კოდი ხორბალი), ჰქონდა ასევე ნახევარი დღიური ვენახი (იღებდა 10 კოკა ღვინოს). ჰყავდა 3 სული პირუტყვი და 1 ძირი ფუტკარი.

მიქელა დუღაძე, მისი მეუღლე, შვილიშვილი სოსიკა, მის ქონებას შეადგენდა: სახლი, 10 დღიური სახნავი მიწა, აქედან, ამუშავებდა 5 დღის სახნავს (მოჰყავდა 50 კოდი ხორბალი), ჰქონდა ასევე 2 დღის სახნავი ვენახი (იღებდა 20 კოკა ღვინოს), ჰყავდა 4 სული პირუტყვი და 1 ძირი ფუტკარი.

გოგია მაისურაძე, მისი მეუღლე, შვილი დავითი. მის ქონებას შეადგენდა: სახლი, მებატონის საკუთრებაში არსებული 10 დღიური სახნავი მიწა, ნაყიდი ჰქონდა 5 დღის სახნავი მიწა (იღებდა 60 კოდ ხორბალს), 1 დღიური ვენახი (მოსდიოდა 20 კოკა ღვინო), ჰყავდა 3 სული პირუტყვი.

ალექსი მაისურაძე, მისი მეუღლე და შვილი ბერო. მის ქონებას შეადგენდა: სახლი, მებატონის კუთვნილი 10 დღის სახნავი მიწა. ნაყიდი ჰქონდა 5 დღის სახნავი, ამუშავებდა 5 დღის სახნავს, მოჰყავდა 60 კოდი ხორბალი, ჰქონდა ასევე 1 დღიური ვენახი (მოსდიოდა 20 კოკა ღვინო), ჰყავდა 4 სული პირუტყვი.

ნინია საურის კომლი: მეუღლე, შვილები: გიორგი, გაბრიელი და ერთი ასული. ნინიას ძმა ღვთისია მეუღლით. მის ქონებას შეადგენდა: სახლი, საკუთარი 10 დღიური სახნავი მიწა (იღებდა 70 კოდ ხორბალს), ერთ დღიურ ვენახში კი მოსდიოდა 20 კოკა ღვინო, ჰყავდა 10 სული პირუტყვი.

მამუკა მინდიაშვილის კომლი: მეუღლე, შვილები – ბესარიონი, გრიგოლი და ერთი ასული. მის ქონებას შეადგენდა: სახლი, მის მიერ ნაყიდი 10 დღიური მიწა, აქედან, ამუშავებდა 5 დღიურ სახნავს (იღებდა 60 კოდ ხორბალს), მასვე ეკუთვნოდა ნახევარი დღიური ვენახი (იღებდა 10 კოკა ღვინოს), ჰყავდა 8 სული პირუტყვი.

იოსებ მინდიაშვილის კომლი: მეუღლე, ასული და ვაჟი – ბერო, ბიძაშვილები: ნინია და სოსია. ნინიას მეუღლე და შვილი ბერუა, ასევე ნინიას ასული. მათ ქონებას შეადგენდა: სახლი, ნაყიდი 5 დღიური მიწა (იღებდნენ 60 კოდ ხორბალს), ნახევარი დღიური ვენახი (სადაც მოჰყავდათ 10 კოკა ღვინო). ჰყავდათ 5 სული საქონელი.

რუსულ აღწერაში ჩამოთვლილია ასევე სოფელ დიცში ქსნის ხეობიდან გადმოსახლებული გლეხები:

ივანე კურმაშვილის კომლი: მეუღლე და შვილები: დიმიტრი, სოლომონი, შიო და ზურაბი.

დავით კურმაშვილის კომლი: მეუღლე და შვილი – მოსე, ერთი შვილიშვილი (მდედრობითი სქესის, მისი სახელი დაფიქსირებული არ არის), ასევე მათი დედა.

ჯაჩა კურმაშვილის კომლი: მეუღლე და შვილი – (ქიმი?), ასევე ძმა სტეფანე.

ნიკალა ლაფაჩის კომლი: მეუღლე, შვილი ანდრია, ძმა ბერი, ასევე, ბერის მეუღლე და შვილი.

აღწერაში მოხსენიებულია დიცში მცხოვრები სხვა გლეხებიც: სესია ცქიალაძის კომლი: მეუღლე და შვილი ნინია, მის ქონებას შეადგენდა: სახლი, სარგებლობდა მებატონის კუთვნილი 8 დღის სახნავი მიწით, აქედან, დამუშავებული ჰქონდა 2 დღის სახნავი (იღებდა 20 კოდ ხორბალს). მას ეკუთვნოდა ასევე 1 დღიური ვენახი (იღებდა 10 კოკა ღვინოს).

გრიგოლ მინდიაშვილის კომლი: მეუღლე და შვილი – იაკობი. მის ქონებას შეადგენდა: სახლი, ასევე, მის მიერ ნაყიდი 5 დღის სახნავი მიწა (იღებდა 60 კოდ ხორბალს), ნახევარი დღიური ვენახი (მოჰყავდა 10 კოკა ღვინო), ჰყავდა 6 სული პირუტყვი.

თევდორე ჯანაშვილის კომლი: მეუღლე და შვილები – ივანე, ნინია, სიმონა და გაბრიელი.

რუსულ აღწერაში ჩამოთვლილია დიცში მცხოვრები ის გლეხებიც, რომლებიც ლუარსაბ ქსნის ერისთავს ეკუთვნოდნენ და მისი გარდაცვალების შემდეგ ლუარსაბის მემკვიდრის – ივანე ერისთავის საკუთრებაში გადავიდნენ.

მამასახლის ივანე მარკოზაშვილის კომლი: მეუღლე, შვილი – სიმონი, ასევე ერთი ასული, შვილიშვილები: იოსები და გრიგოლი, მათი მეუღლეები. ივანე მარკოზაშვილის ქონებას შეადგენდა: სახლი, მებატონის კუთვნილი მიწა 20 დღის სახნავი, ნაყიდი მიწა 4 დღიური, დამუშავებული ჰქონდა 15 დღის სახნავი (იღებდა 150 კოდ ხორბალს), ასევე, 2 დღიური ვენახი (იღებდა 40 კოკა ღვინოს). ჰყავდა 8 სული პირუტყვი.

ბერი მარკოზაშვილის კომლი: მეუღლე, შვილი დავითი, ძმა იოსები, მისი მეუღლე და ქალიშვილი. მათ ქონებას შეადგენდა: სახლი, მებატონის კუთვნილებაში არსებული 8 დღის სახნავი მიწა (მოჰყავდათ 80 კოდი ხორბალი), ასევე, ნახევარი დღის სახნავი ვენახი (მოჰყავდათ ღვინო, რაოდენობა არ არის აღნიშნული), ჰყავდა ერთი ცხენი და 10 სული პირუტყვი.

ნინია მინდიაშვილის კომლი: მეუღლე, ქალიშვილი და ბიძაშვილი გრიგოლი. მის ქონებას შეადგენდა სახლი, მებატონისგან აღებული 15 დღის სახნავი მიწა, აქედან, ამუშავებდა 6 დღის სახნავს (მოჰყავდა 60 კოდი ხორბალი), ჰქონდა ასევე 1 დღის სახნავი ვენახი (მოჰყავდა 20 კოკა ღვინო).

იოსებ კანჩაშვილის კომლი: (ჩვენი აზრით, უნდა იყოს კანჯაშვილი. XVIII საუკუნის ერთ დოკუმენტში დიცში იხსენიება კანჯაშვილების გვა-

რი) მეუღლე და შვილი ივანე. მის ქონებას შეადგენდა 5 დღის სახნავი მიწა, ნაყიდი ჰქონდა 5 დღის სახნავი, დამუშავებული ქონდა 2 დღიური მიწა (მოჰყავდა 30 კოდი ხორბალი) და 1 დღიური ვენახი (იღებდა 10 კოკა ღვინოს).

ნინია ლაფაჩის კომლი: მეუღლე და შვილი გიორგი, მის ქონებას შეადგენდა: სახლი, მებატონისაგან აღებული 10 დღის სახნავი მიწა, ამუშავებდა 3 დღის სახნავს (მოჰყავდა 30 კოდი ხორბალი), 1 დღიური ვენახიდან მოჰყავდა 8 კოკა ღვინო. ჰყავდა 1 სული პირუტყვი.

იაკობ ბარიაშვილი (უნდა იყოს ბარიშვილი, რადგან დიცში დღესაც ცხოვრობენ ბარიშვილები), მის ქონებას შეადგენდა სახლი, 9 დღიური მიწა, ამუშავებდა 6 დღიურ მიწას (იღებდა 70 კოდ ხორბალს), ჰქონდა ასევე ერთი ვენახი (იღებდა 10 კოკა ღვინოს), ჰყავდა 4 სული საქონელი. მის ოჯახში მოხსენიებულნი არიან მეუღლე, ორი ასული, ძმა ივანე, ივანეს მეუღლე და დისშვილი – დავითი.

გიორგი კახაშვილის კომლი: მეუღლე და შვილები: ვაჟები – ზაზა და გლახა, ორი ასული, მის ქონებას შეადგენდა: სახლი, 8 დღიური მიწა, ნახევარი დღიური ვენახი (საიდანაც იღებდა 5 კოკა ღვინოს), ჰყავდა 3 სული პირუტყვი.

იოსებ მინდიაშვილის კომლი: მეუღლე და ორი ასული. ჰქონდა სახლი, 10 დღიური მიწა, ამუშავებდა 4 დღიურ მიწას (იღებდა 40 კოდ ხორბალს), ჰქონდა ასევე ნახევარი დღიური ვენახი (იღებდა 90 კოკა ღვინოს). ჰყავდა 10 სული პირუტყვი.

რუსულ აღწერაში მითითებულია აგრეთვე ერთი კომლი გლეხი, რომელიც ეკუთვნოდა ელიზბარ მაჩაბელს, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ელიზბარის მემკვიდრის – მიხეილ მაჩაბლის საკუთრება გახდა, ეს იყო:

ივანე სოსიაშვილის კომლი: მეუღლე, შვილი იაკობი, იაკობის მეუღლე და შვილები: გიორგი, იოსები და სოლომონი. ივანე სოსიაშვილის ქონებას შეადგენდა: სახლი, ნაყიდი 7 დღიური მიწა (იღებდა 80 კოდ ხორბალს), ჰქონდა ასევე 1 ვენახი (მოჰყავდა 20 კოკა ღვინო), ჰყავდა 6 სული პირუტყვი.

დიცში ცხოვრობდნენ ასევე თეიმურაზ მაჩაბლის ყმები:

ბერო სოსიაშვილის კომლი: მეუღლე, შვილი პაატა, პაატას მეუღლე და შვილი პეტრე. მის ოჯახშივე ცხოვრობდნენ ძმები – გაბრიელი და მოსე, გაბრიელის მეუღლე, შვილი ნინია, მოსეს მეუღლე, მისი ასული, ძე დავითი, ბიძაშვილები: პავლე და დავითი, ბერო სოსიაშვილის ქონებას შეადგენდა: სახლი, 12 დღიური მიწა (იღებდა 140 კოდ ხორბალს), 1 ვენახიდან იღებდა 30 კოკა ღვინოს, ჰყავდა 8 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 40 სული – ცხვარი და თხა.

ნინია მძინარაშვილის კომლი: მეუღლე, მის ოჯახშივე ცხოვრობდნენ ნინიას ძმები: იასე და სოლომონი, ბიძაშვილი გიორგი. ნინიას დედა, ასევე გიორგის დედა.

ნინიას ქონებას შეადგენდა: სახლი, 10 დღიური საბატონო მამული, 20 დღიური ნაყიდი მამული. ამუშავებდა 12 დღიურ მიწას (მოჰყავდა 120 კოდი

ხორბალი). ჰქონდა ასევე 2 ვენახი, საიდანაც იღებდა 40 კოკა ღვინოს. ჰყავდა 12 სული პირუტყვი და 2 ძირი ფუტკარი.

აღწერაში მოხსენიებულია ღექტორ მაჩაბლის ყმები:

ნინია მძინარაშვილის კომლი: მეუღლე და ორი ასული, მასთან ერთად ცხოვრობდა ასევე, მისი ძმა დავითი, დავითის მეუღლე, მისი ბიძაშვილები – ტეტია და პავლე. ნინია მძინარაშვილის ქონებას შეადგენდა სახლი, 10 დღიური საბატონო მიწა, 5 დღიური ნაყიდი მიწა, დამუშავებული ჰქონდა 8 დღიური (იღებდა 100 კოდ ხორბალს), ჰქონდა ასევე 2 დღიური ვენახი (იღებდა 80 კოკა ღვინოს). ჰყავდა 9 სული პირუტყვი.

დავით მძინარაშვილის კომლი: მეუღლე, შვილები გიორგი და ერთი ასული, დისშვილი გაბრიელი და მისი მეუღლე. მის ქონებას შეადგენდა: სახლი, 6 დღიური საბატონო მიწა, ამუშავებდა 10 დღიურ მიწას (იღებდა 10 კოდ ხორბალს), ჰქონდა ასევე, 1 დღიური ვენახი (იღებდა 20 კოკა ღვინოს), ჰყავდა 6 სული პირუტყვი.

გოგია მძინარაშვილის კომლი: მეუღლე და შვილი ბერუა, დისშვილი ქიტესა, მის ქონებას შეადგენდა სახლი, 8 დღიური საბატონო მიწა, ამუშავებდა 4 დღიურ მიწას (იღებდა 40 კოდ ხორბალს), ჰქონდა 1 დღიური ვენახი (იღებდა 20 კოკა ღვინოს), ჰყავდა 2 სული პირუტყვი.

რუსული აღწერის მიხედვით, დიცში ყმები ჰყავდა ასევე ბარძიმ მაჩაბელს. ესენი იყვნენ: აზნაური დავით რჩეულაშვილი და მისი მეუღლე, მათ ქონებას შეადგენდა: სახლი, საბატონო 10 დღიური მიწა, ამუშავებდა 3 დღიურ მიწას (იღებდა 60 კოდ ხორბალს), ჰქონდა ასევე, 1 ვენახი (იღებდა 30 კოკა ღვინოს), ჰყავდა 7 სული პირუტყვი.

თავის მხრივ, დავით რჩეულაშვილს ჰყავდა გლეხები:

ტეტია ყორანაშვილი, მისი შვილები – ათგომელა (სავარაუდოდ – აღდგომელა, – გ. ს.), სოლომონი და ნინია. მასთან ცხოვრობდნენ აღგომელას მეუღლე და შვილი სოსია. მათ ქონებას შეადგენდა: სახლი, 10 დღიური საბატონო მიწა, სულ ამუშავებდა 12 დღიურ მიწას (მოჰყავდა 100 კოდი ხორბალი), გარდა ამისა, მას ჰქონდა ასევე 1 ვენახი, საიდანაც იღებდა 20 კოკა ღვინოს, ჰყავდა 10 სული პირუტყვი.

მახარე ყორანაშვილის კომლი: მეუღლე, შვილები: გაბრიელი და სიმონი. მათთან ერთად ოჯახში ირიცხებოდნენ მახარეს ძმები: გიორგი და დათუა, გიორგის მეუღლე და შვილები: სოსია, დათუა და ერთი ასული, ასევე დათუას შვილი ღვთისია, მისი ასული და დისწული ზაქარია. მათ ქონებას შეადგენდა: სახლი, 10 დღიური მიწა (იღებდა 100 კოდ ხორბალს), ნახევარი დღიური ვენახი (მოსდიოდა 30 კოკა ღვინო), ჰყავდა 10 სული პირუტყვი.

რუსულ აღწერაში მოხსენიებულია ასევე იმერეთიდან გადმოსული აზნაურ დავით რჩეულაშვილის ყმა – ხუცია ბაბოთაძე, მისი მეუღლე და შვილები: გაბრიელი და მიხეილი, მის ოჯახშივე იყვნენ ხუციას ძმები ხვთისია და დავითი და მათი მეუღლეები. ბაბოთაძეების ქონებას შეადგენდა: სახლი და 4 დღიური მიწა (იღებდნენ 40 კოდ ხორბალს), ჰყავდათ 3 სული პირუტყვი.

რუსული აღწერის მიხედვით, 1818 წლისათვის დიცში ცხოვრობდა 120 მამაკაცი და 94 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი.[833]

დიცის მცხოვრებთაგან ეთნიკურად ყველა ქართველი იყო.

1842 წლის აღწერის მიხედვით, დიცში, რომელიც გორის მაზრის ქსნის უბანზეა მიწერილი, სულ აღწერილია 35 კომლი (118 სული). აქედან „პოდ-პორუჩიკ“ ივანე ერისთავის მფლობელობაში იყო 13 კომლი:

1. ბესარიონ რომელაშვილი და მისი ნათესავი გრიგოლი;
2. სოლომონ მინდიაშვილი, მისი შვილი ანდრია და ძმა - პეტრე;
3. გიორგი მინდიაშვილი, მისი შვილი აკაკი და ძმები: გიორგი და დათუნა, დათუნას ვაჟი ზაქარია;
4. ბესარიონ მინდიაშვილი, მისი შვილი ივანე, ძმა გრიგოლი და ძმისშვილი ისაკა;
5. იოსებ მინდიაშვილი, მისი შვილები: გაბრიელი და გრიგოლი;
6. იაკობ მინდიაშვილი და მისი შვილი ანდრია;
7. სიმონ მეტრეველი;
8. მიხეილ დუღაძე და მისი შვილები: გიორგი და ალექსი;
9. დავით მაისურაძე და მისი შვილი იაკობი;
10. გიორგი საურიშვილი და მისი ბიძაშვილი სოსია;
11. სიდამონ ლაფაჩი და მისი შვილი ივანე;
12. ნინია ცქიალაძე და მისი შვილი ივანე;
13. ნინია ცქიალაძე და მისი შვილი სოსია.

ლევან, ზურაბ და დავით ერისთავების მფლობელობაში იყო 9 კომლი:

1. გრიგოლ მარკოზაშვილი და მისი შვილები: იოსები და მოსე, ბიძაშვილი სიმონი და მისი ვაჟი ნინია;
2. ბერო მარკოზაშვილი და მისი შვილი დავითი, ასევე, დავითის ვაჟები: ალექსა, ნინია და ცეცი, მათი ნათესავები: გრიგოლი და გაბრიელი;
3. ნინია მინდიაშვილი, მისი ბიძაშვილი გრიგოლი, გრიგოლის ვაჟი გიორგი;
4. გიორგი მინდიაშვილი და მისი ვაჟები: ანდრია და სოლომონი, მათი ნათესავი ბერო და ბეროს ვაჟი სოსია;
5. გიორგი ნინიას ძე ლაფაჩი და მისი ვაჟი ნინია;
6. შალვა კურმაშვილი და მისი ძმები: შავერდა და ზურაბი;
7. ნინია კურმაშვილი და მისი შვილები: სარდიონი და ანდრია;
8. დავით კურმაშვილი და მისი შვილი ივანე, ასევე დავითის ძმა მოსე;
9. გლახა ყაზიშვილი და მისი შვილი დათი, ასევე ძმა ანდრია;

თავად მიხეილ მაჩაბლის მფლობელობაში იყო 1 კომლი:

1. იაკობ სოსიაშვილი და მისი შვილები: იოსები და სოლომონი;

თავად თეიმურაზ და სიმონ მაჩაბლებს ეკუთვნოდათ 4 კომლი:

1. ნინია სოსიაშვილი, მისი ძმა გოგია და ბიძაშვილი სტეფანე;

833 გსიემ, ფ. 8235, №128.

2. პავლე სოსიაშვილი, მისი შვილი დიმიტრი და ძმა – გრიგოლი;
3. ნინია მძინარაშვილი, მისი ძმა იესე და ძმისშვილი ანდრია;
4. გიორგი მძინარაშვილი და მისი შვილი ბესარიონი.

ვიქტორ (ჰექტორ?) მაჩაბლის მფლობელობაში იყო 5 კომლი:

1. დავით მძინარაშვილი და მისი ვაჟი გიორგი, ასევე ნათესავი ნინია და ნინიას ვაჟები: გიორგი და ნონია;
2. პავლე მძინარაშვილი და მისი ვაჟი სოლომონი;
3. დავით მძინარაშვილი და მისი ვაჟი გიორგი, ასევე მათი ნათესავი გაბრიელი და გაბრიელის ვაჟები: გრიგოლი და ალექსი;
4. გოგია მძინარაშვილი და მისი ვაჟები: გიორგი და გიგოლა;
5. ქიტესა მძინარაშვილი და მისი ვაჟი სოსია.

ბარძიმ მაჩაბელს ეკუთვნოდა 2 კომლი:

1. ტეტია ყორანაშვილი და მისი ვაჟი სოლომონი, ასევე სოლომონის ვაჟები: ნინია, ზაქარია, გიორგი და ანდრია, ასევე, ტეტიას ნათესავი სოსია;
2. დავით ვატიტაძე და მისი შვილი ღვთისო და ძმა – გივი. მათი ნათესავი ხუცია და მისი ვაჟები: ნინია და სიმონი.

აზნაურ დავით რჩეულისშვილის მფლობელობაში იყო:

1. გაბრიელ ყორანაშვილი და მისი ვაჟი ისაკი. ასევე, მათი ნათესავები: ნასყიდა და ანდრია;
2. სოსია ყორანაშვილი და მისი ვაჟი ნონია, ასვე, ძმა – თევდორე და თევდორეს ვაჟი – სოლომონი, სოსიას ბიძაშვილები: ზაქარია და ზაქარიას ვაჟი ზურაბი.

დიცის მამასახლისი იმ დროისათვის იყო გიორგი ზარიძე. მოსამართლეებად კი იხსენიებიან: დავით მძინარაშვილი და მიქელა ...აძე (გაურკვეველია გვარის წინა ნაწილი). უწყისს მათ ნაცვლად ხელს აწერს წყალობა თანდიაშვილი.[834]

დიცის მოსახლეობის შესახებ ძალზე საინტერესოა ცნობებია ასევე 1886 წლის აღწერის მასალებში. ამ დროისათვის დიცი მიეკუთვნებოდა თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში შემავალ ცხინვალის უბანს.

აღწერის მიხედვით, დიცში 104 კომლი კომლი ცხოვრობდა, აქედან, 317 მამაკაცი და 287 ქალი. სულ 604 მაცხოვრებელი.

ეთნიკური შემადგენლობა:

რუსი ..... არცერთი
ოსი ..... არცერთი
სომეხი ..... 1 კომლი (აქედან მხოლოდ ერთი მანდილოსანი)
ქართველი ..... 103 კომლი (აქედან 317 მამაკაცი და 286 მანდილოსანი)

რელიგიური აღმსარებლობა:

მართლმადიდებელი ..... 317 მამაკაცი, 386 მანდილოსანი
გრიგორიანელი ..... 1 მანდილოსანი
სექტანტი ..... არცერთი

834 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 1951, გვ. 350-355, Камеральное описание церковных крестьян Ксанского участка Горийского уезда, 1842 года.

სოციალური მდგომარეობა:

აზნაურები ..... 7 მამაკაცი და 5 მანდილოსანი

სასულიერო პირები ..... 12 მამაკაცი და 12 მანდილოსანი

ვაჭარი ..... არცერთი

გლეხები:

სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ..... 7 კომლი (აქედან, 12 მამაკაცი და 8 მანდილოსანი)

საეკლესიო - 86 კომლი (აქედან, 282 მამაკაცი და 256 მანდილოსანი),

ხიზანი გლეხები - 3 კომლი (აქედან, 4 მამაკაცი და 6 მანდილოსანი).“[835]

დიცის მოსახლეობის შესახებ საინტერესო მონაცემები დაცულია 1915-1917 წ.წ შედგენილ დიცის ღვთისმშობლის ეკლესიის სარეგისტრაციო წიგნებში. აღნიშნულ პერიოდში, სწორედ ეკლესია ახდენდა ახალდაბადებული მოსახლეების, ჯვარდაწერილი წყვილების, თუ გარდაცვალებული ადამიანების რეგისტრაციას. დიცის ეკლესიის სარეგისტრაციო წიგნები დამოწმებულია სოფლის სასულიერო პირების მღვდელ – გიორგი ივანიძის და ე.წ. „პრიჩუტ-ნიკის“ (დიაკვანის) ვასილ მძინაროვის (მძინარაშვილის) მიერ.[836] დიცის საეკლესიო წიგნის მიხედვით, XX საუკუნის პირველ მეოთხედში სოფელში ცხოვრობდნენ: მძინარაშვილები, სოსიაშვილები, მინდიაშვილები, ვატიტაძეები, ყორანაშვილები, მაისურაძეები და სხვ.[837]

XX საუკუნის პირველ მესამედში დიცის მოსახლეობის შესახებ არსებული მონაცემები დაცულია გორის რაიონულ არქივში, ეს არის 1925-1926 წ.წ. შედგენილი სოფ. დიცის მცხოვრებთა ნუსხა, საიდანაც ჩანს, რომ ამ პერიოდისათვის დიცში ცხოვრობდა 414 მოსახლე, აქედან, 210 ქალი და 204 მამაკაცი.[838]

1930 წლისათვის დიცში 482 მოსახლე ცხოვრობდა, მათგან, 243 მდედრ. სქესის, ხოლო 279 მამრ.[839]

სოფელი დიცი ისტორიულად, მაჩაბელთა საკუთრებას წარმოადგენდა.[840] ამას ადასტურებს 1700 წელს შედგენილი საამილახვროსა და გაღმა ლიახვის ხალხის კოდისპურის გამოსავლის დავთარი.

„კოდისპური,“ როგორც ცნობილია, სახელმწიფო გადასახადი იყო, რომელიც კომლზე 4 კოდ ხორბალს და ქერს ითვალისწინებდა. ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ დოკუმენტში ჩამოთვლილია მაჩაბლების მეკოდისპურე ყმები სამაჩაბლოს მთელ რიგ სოფლებში, მათ შორის დიცში დასახელებულია:

---

835 Свод статистических данных о населений Закавказского края излеченных из посемеичных списковь 1886 г. Тифл., 1893 №1315.

836 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გორის სამსახურის არქივი, დიცის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის სარეგისტრაციო დავთრები, ელექტრონული ვერსია №26724.

837 გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, თბ., 2010, გვ. 104-113.

838 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფ. 3, ანაწერი 1, საქმე №89, გვ. 24-30.

839 გორის რაიონული არქივი, ფ. 4, ანაწერი 1, საქმე №101, გვ. 20.

840 გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მცირე სათავადოები, სადოქტ. დისერტაცია, ხელნაწერი, 1999, გვ. 103; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 321.

„ქ. დიცს ზურაბა მაჩაბლის კეკელიშვილი ზაქარია, ა) სოსიაშვილი მახარა ა) ჩარეულასშვილი პაპუა, ყორანასშვილი ნასყიდა, ა) მაძინარიშვილი დათუნა, იორდანესშვილი გიორგი, ა) ტრანკასშვილი ა) დიცს მუხრანის ბატონის ერეკლესი: დუღაძე ნასყიდა, ა) კანჯაშვილი ღვთისია, ა) გულიტასშვილი ზურაბა, ა) მაისურაძე დათუნა, ა) გოდერძასშვილი გოდერძა... მარკოზისშვილი პაპუნა, ა) ოსიტაშვილი...“[841]

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, დიცში ამ დროისათვის ყმა-მამულს მაჩაბლებთან ერთად ერეკლე მუხრანბატონიც ფლობდა. სოფელი დიცი იხსენიება ასევე XVII საუკუნის 70-იან წლებში შედგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში, საიდანაც ირკვევა, რომ ამ სოფელში სამკვიდრო ყმა-მამული ჰქონდა ზაზა მაჩაბელს. საბუთში აღნიშნულია: „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წიგნი მოგართვით ჩუენ მაჩაბელმა ზაზამ და მამა ჩუენმა ელიზბარ და შვილმა ჩუენმა იესემ, ლუარსაბ და ზურაბ თქუენ მაჩაბელს ალხაზს და ძმას თქუენსა შიოსა და მომავალთა თქუენთა, ყოველთავე, ასე, რომე საბანაძის სანაცვლოდ მოგეცით დიცს ჩუენი სამკვიდრო ჯერკუალისშვილის მამული მისის შესავალ-გამოსავლითა, მთითა და ბარითა ყოვლითურთ უნაკლულოდ, თქუენთვინ მოგვირთმევია... არის ამის მოწამე წინამძღვრიშვილი იობ, მამასახლისი ნასყიდა, ბადაშვილი დათუნა, ჭიოელიძე ებიტა, მეტრეველი მამუკა, საღირაშვილი ივანე, მაისურაძე ბერი, რაზმაძე ბერი, მებატონის (იგულისხმება მაჩაბელი, – გ. ს.) კარის მღვდელს დავითს დამიწერია და მოწამეცა ვარ.“[842]

მაჩაბლები ყმა-მამულს დიცში უფრო გვიანდელ პერიოდშიც ფლობდნენ. ამას ადასტურებს XVIII საუკუნის შუა ხანებში იასე მაჩაბლის მიერ შედგენილი ლეკების ტყვეობიდან გამოხსნილი ყმების ნუსხა, სადაც აღნიშნულია: „მუქუთობას დაიკარგა სოსიაშვილი ბერი ცოლ-შვილით, მივეც თხუთმეტი თუმანი.“[843]

ცნობაში დიცი მოხსენიებული არ არის, თუმცა სოსიაშვილები სწორედ აღნიშნულ სოფელში მკვიდრობდნენ. არცთუ იშვიათი შემთხვევა იყო დიცში ლეკების შემოსევა და ადგილობრივი მოსახლეობის დატყვევება. ზემოთ წარმოდგენილ ცნობაში მოხსენიებული მაჩაბლის მიერ ბერი სოსიაშვილის ლეკთა ტყვეობიდან დახსნის ფაქტი შემთხვევითი არ უნდა იყოს. შედარებით უფრო გვიანდელი ხანის ცნობებს თუ გადავხედავთ, ჩანს, რომ სოსიაშვილები მაჩაბლების მოურავები იყვნენ. გადმოცემით, გიორგი მაჩაბლის (ივანე მაჩაბლის მამა) მოურავი ყოფილა გიგო სოსიაშვილი (გადმოცემა ჩავიწერეთ 1929 წელს დაბადებულ ი. სოსიაშვილისაგან).

---

841 საბუთში ჩვენ მიერ მოტანილ ადგილზე მიწერილი სახელი არ იკითხება. სეაცსა, ფ. 1448, საბ. №3602.

842 სეაცსა, ფ. 1450, დავთ. 26. საბ. 216; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ანა ბაქრაძემ, ლევან რატიანმა და გიორგი ოთხმეზურმა, თბ., 2004, გვ. 109.

843 იხ. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. III, თბ., 1955, გვ. 173-174.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გიორგი მაჩაბელს, გაღატაკების დროს, სწორედ სოსიაშვილების მამულების დაგირავება განუზრახავს. ამასთან დაკავშირებით, 1871 წლის თებერვალში, ივანე მაჩაბელი პეტერბურგში მყოფ თავის ძმას – ვასო მაჩაბელს გორიდან წერდა: „ჩვენი ჯავრი ნურა გაქთ რა, ყველანი მშვიდობით ვართ, ეს არის რომ, მამაჩემის მოვალე თათარი გვაწუხებს. მეორედაც მოვიდა, მაგრამ რა საკვირველია, ხელცარიელი წავიდა ისევ ისე. ახლა მამაჩემს უნდა სოსიაშვილის მამული დააგირაოს და იმით ყველა მაწუხებელი ვალები გაისტუმროს, მაგრამ არ ვიცი როგორ მოახერხებს და ან შენ რას მოიწერები ამაზედ. ჩემის აზრით, თუ ამ მამულით გაუძღვა იმ ვალებს, ძალიან კარგი იქნება.“[844]

წერილში მოხსენიებული სოსიაშვილი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს გიორგი მაჩაბლის მოურავი გიგო სოსიაშვილი. როგორც ჩანს, მაჩაბელს, ვალების გადახდისას, მისი მამულის დაგირავების იმედი ჰქონდა.

ფეოდალურ პერიოდში დიცში მაჩაბლებს „მკვიდრი“ ყმები ჰყავდათ. 1725 წელს შედგენილ ნასყიდობის წიგნში, რომლითაც ლევან მაჩაბელმა გივი ამილახვარს ყმა-მამული მიჰყიდა, აღნიშნულია: „...დაგვეჭირა და სათათროს სათხოვარისაგან დიაღ ძალი დაგვადგა და მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ყმა, ჩემს ბარათში ნარგები და ბარათიც თქვენ მოგართვით, წაკულთას ოვსი ნარიკაშვილი ვეფხიას საკვამლო მთასა და ბარში, რაც ალაგი ჰქონდეს და დიცს, რაც მამული აქუს.“[845] როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ქართლში „ყიზილბაშობის“ გავრცელების შემდეგ მაჩაბლებს ირანელი დამპყრობლების მიერ დაწესებული გადასახადების გადახდა უჭირდათ და იძულებული ხდებოდნენ ყმა-მამული გაეყიდათ. სწორედ ამის გამო მიჰყიდეს მათ ამილახვრებს დიცში არსებული მამული.

სოფელი დიცი იხსენიება აგრეთვე მაჩაბელთა სათავადო სახლის წევრთა გაყრის დროს, სახლისკაცებისაგან დაჩაგრული დათუა მაჩაბლის არზაში, რომელიც 1785 წელს არის შედგენილი ერეკლე II-ის სახელზე. საბუთში აღნიშნულია: „ღმერთმა ბედნიერის ხელმწიფის ჭირი დათუა მაჩაბელს მისცეს. მოწყალევ ხელმწიფევ, უწინდელ დროს ვისაც უსამართლო დამართებოდა, თქვენს ხელმწიფობაში ყველას სამართალი მიეცა და ჩემის უბედურობით უსამართლო ვრჩები, ჩემის სახლისკაცებისაგან ყმითა და მამულით აკლებული ვარ... ღმერთი გაგიმარჯვებს ერთის ოქმის წყალობა მიყავით, რომ ოსებს თავდებად არავინ მიმცეს და იმ ქვეყნიდამ სრულებით არ დავიკარგო და ჩემი ყმის და მამულის სამართალიც დამემართოს, რომ მიმძლავრებით უჭირამთ ჩემს სახლიკაცებს და სხვათაცა სვერი მთლად, ძარწემს გოგიძე, ხეთში (უნდა იყოს ხეითი, – გ. ს.) საბანაძე, საბაწმინდაში (?), დიცს კაპარჭაძის მამული, კიდევ ჩემი ბარათის კაცნი და მისი შვილები დაუყიდნია თეიმურაზ მაჩაბელსა. ამას გარდა,

844 ვ. ჭელიძე, ივ. მაჩაბელი, თბ., 1968, გვ. 61.

845 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. 215-216.

ჩემი წილი ოსები ბარძიმს და ზაზას უჭირამს; კიდევ თამარაშენს ამილახვრიანთ ყმას კახს ერთი საკომლო მამული.“[846]

როგორც ირკვევა, დიცში კაპარჭაძის მამული დათუა მაჩაბელს ეკუთვნოდა, მაგრამ მის სახლისკაცებს ეს მამული „მიმძლავრებით“ ეჭირათ. ასეთივე შინაარსისაა დათუა მაჩაბლის სხვა საჩივრის წიგნები, საიდანაც ჩანს, რომ სახლისკაცებისაგან დაჩაგრული დათუა სამეფო ხელისუფლებისაგან მაჩაბელთა სათავადო სახლის წევრთა შორის სამამულო დავის სამართლიანად გადაწყვეტას მოითხოვდა.[847]

მაჩაბლების გარდა, დიცში ყმებს ქსნის ერისთავებიც ფლობდნენ, ამას ადასტურებს 1771 წელს შედგენილი დავით ქსნის ერისთავის არზა. როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ქართლის სოფლებში ერთ კომლ მოსახლეზე სახელმწიფო გადასახადი – 3 კოდი ხორბალი ყოფილა დაწესებული. დავით ერისთავმა ერეკლე II-ს თხოვნით მიმართა, რომ მის მამულში მცხოვრებ გლეხებისათვის გადასახადი არ გაეზარდა, რადგან სტიქიით არაერთი სოფელი დაზარალებულა. აქვეა მოხსენიებული დიცი: „და ერთიც ეს მოგხსენდესთ: ღმერთმა ისე თქვენს ორგულს გაუჭიროს საქმე, როგორც იმ გვერდისძირის კაცს საქმე უჭირდეს მეჯვრისხევიდან მოკიდებული იმას ზეით სულა და ნამეტნავად წლეულობითა; რამაზ ხმალაძე მოკლეს და საქონელიც ასე დაეკარგა იმასაცა და იმის განაყოფსაცა, რომ აღარა მორჩომიათ რა. სრესელებმაც ასე დაკარგეს, რომ არაფერი არა შერჩომიათ რა არცერთს განაყოფსა; არცევი აიყარა და საქონელი დაკარგეს; ვინც იკორთას იდგა, საქონელი იმათაც დაკარგეს; ფურცელაძესაც დაეკარგა საქონელი; კულბითელთაც დაეკარგათ საქონელი და ამას გარდა ფურცელაძე, ზარდიაშვილი, ქსუისი, კულბითი და **ნახევარი დიციც ასე დასეტყვა**, რომ აღარაფერი მოსვლიათ რა...ჩემი მოხსენება და სავედრებელი ეს არის რომ: ჩემი მოხელეები წამოაყენონ თქვენმა მოხელეებმა, დააფიცონ და ვისაც ხარჯის მიცემა შეძლოს, მოგახსენონ და სამ-სამი კოდი გამოართვათ...“[848]

ერეკლე II-მ სახლთუხუცეს დავითს დაავალა, რომ ქსნის ერისთავის მფლობელობაში მყოფი მთიელები კოდისპურის გადასახადებისაგან გაეთავისუფლებინა, ხოლო ბარის სოფლები ხელახლა აღეწერათ და გადასახადიც ისეთი სახით დაედოთ, როგორც ქართლის სხვა სოფლებს ჰქონდათ.[849]

1789 წლის დოკუმენტიდან ჩანს, რომ დიცში ყმა ჰყავდა ზურაბ ფალავანდიშვილს, ეს იყო მისი სახლისკაცის გიორგი ფალავანდიშვილის „გაყიდული კაცი,“ რომელიც „დიცს იდგა.“[850]

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში დიცში მამულს ფლობდნენ, ფავნელიშვილებიც, რომლებიც შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დიცის

846 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 321, დოკ. 304.
847 სეაცსა, ფ. 1450, დავთ. 26, №206, №209.
848 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 192, დოკ. 192.
849 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 483, დოკ. 462.
850 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 807, დოკ. 844.

მეზობლად მდებარე სოფ. ერედვში მკვიდრობდნენ, სადაც მათ ციხე-სიმაგრეც ჰქონდათ.[851]

1721 წელს შედგენილი ნასყიდობის წიგნიდან ჩანს, რომ პაატა ფავნელიშვილმა ზაალ ერისთვისშვილს დიცში მამული მიჰყიდა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწევნითა მღვთისათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, პაატამ ფავნელიშვილმა და შვილმა ჩემმან კაციამ და ბარძიმ და მამავალმა სახლისა ჩემისამან თქვენ, ერისთვის დათუნას შვილს ზაალსა. მოგყიდეთ თერგვისს მიწა მთიულების ვენახთანა, ქვემო იმერლის მიწამდე, ზეით კარკიმლის შვილის კარზედ რომ რუ გამოვა, იქით გვერდზედ რუმდი ნერგს შესწვრივ, აქათ ბიძიონის შვილის კედლამდი, თავს გზის პირზედ სამნამდი. კიდევ მოგყიდე **დიცის მინდორში ხოდაბუნი, ბოლას მოურავს ზაზას მიწამდი, თავს მინდიასშვილის მიწამდი, აქათ ძეძვამდი გზამდი, იქით (. . . არ იკითხება) მარკოზასშვილი რომ ცილაობენ, იქამდი და იმ სამძღვრამდი თორმეტის დღისა მოგვიყიდია.** ავიღევით ფასი სრული და უკლებელ, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან. მის გასათავებელათ მოგეცით ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი, ვინც შემოგეცილოს, პასუხის მიმცემი მე ვიყო. არის ამის მოწამე და გარდამწყვეტი მოურავი წითლიაშვილი ზაზა, ოთანასშვილი იესე, მამასახლისი ბახუტა და დემეტრასშვილი პაპა, ჯობინასშვილი თამაზა. ეს მოწმეები ფასის მიმცემიცა და გარდამწყვეტიც ესენი არიან. და კიდევ ამისი მოწამე დედანასშვილი თამაზა. მე, ამირა რიკაძეს დამიწერია და მოწმეცა ვარ ამისი...“[852]

საყურადღებოა, რომ ამ დოკუმენტში იხსენიება „ბოლას მოურავი ზაზა,“ რომლის მამულამდეც მიჰყიდეს ფავლენიშვილებმა ზაალ ერისთავს დიცის ხოდაბუნი. ძნელი სათქმელია, დიცის შემოგარენიდან რომელ ტერიტორიას ეწოდებოდა „ბოლა.“ თუმცა, ადგილის ეს სახელი დიცში ბოლაშვილების გვარის სახით დღემდე გვხვდება. აღნიშნული საგვარეულო, შესაძლებელია, სწორედ ბოლას მოურავს (იგი დოკუმენტში წითლიაშვილის გვარით იხსენიება) უკავშირდებოდეს.

დიცში, ისევე, როგორც შიდა ქართლის სხვა სოფლებში, ხშირი იყო ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ყმა-გლეხების გადმოსვლა. როგორც ზემოთ ვნახეთ, 1818 წლის რუსულ აღწერაში დიცში იმერეთიდან გადმოსახლებული ოჯახი იხსენიება. ყმა-გლეხები მებატონეებისაგან თავის დაღწევას ცდილობდნენ. 1786 წლის ერთი დოკუმენტით ირკვევა, რომ კავთისხევში მცხოვრები ჯავახი ზურაბა, რომელიც გედევანიშვილების ყმა იყო, აიყარა და ოცი წელიწადი დიცში იმალებოდა. „ქ. ჯავახი ზურაბა გედევანიშვილებს შოშიასა და ბეციას სამართალში ყმობაზე ელაპარაკებოდა: მე ძველთაგან ქვათახევის ეკლესიის ყმა ვყოფილვარო, ჯავახეთს გადავსულვართ და ჯავახეთიდამ პატარა ჩემმა მოყვარემ ისევ ქვათახევის ყმად გუდით გადმომიყვანა და ქვათახევს შემწირაო, სანამ კავთიხევი

851 იხ. გ. სოსიაშვილი, საქართველოს წარჩინებულ გვართა ისტორიიდან, თბ., 2008, გვ. 27-44.

852 სეაცსა, ფ. 1448, საბ. 201.

შენათ იყო, იქ ვიდეგო. კავთიხევი რო მოიშალა, იქიდამ სამაჩაბლოში წაველო და ოცი წელიწადი დიცს ვიდეგო და დიციდამ ქორდის ერასტი გოსტაშაბისშვილის ყმის ქალი შევირთე და აქამდინ ჩემს მოყვარესთან ვცხოვრობდიო.“[853] საბოლოოდ, ჯავახი ზურაბა გოსტაშაბიშვილების საკუთრება გახდა.[854]

ცნობილია, რომ ლეკიანობა XVIII საუკუნის 50-იან წლებში ქართლ-კახეთისათვის ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა. ლეკიანობის საფრთხე, რაც გამოიხატებოდა დაღესტნელი მარბიელებისაგან ქართული ტერიტორიების ძარცვა-აწიოკებაში, განსაკუთრებით ზემო ქართლის სადროშოს, კონკრეტულად კი მასში შემავალ ერთ-ერთ სათავადოს – სამაჩაბლოს დაემუქრა.[855] XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ქვეყნის დასუსტებაში დიდი როლი ითამაშა ლეკთა თავდასხმებმა.

ლეკთა წინააღმდეგ საბრძოლველად ერეკლე II-მ სპეციალური გეგმა შეიმუშავა და ზემო ქართლი სამდევროებად დაჰყო. ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლის სამდევროში შემდეგი სოფლები შედიოდა: ბელოთი, საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, ქორდი, დიცი. ერეკლე II-ის ბრძანებაში აღნიშნული იყო: „ქ. ბელოთიდამ მოკიდებული საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, ქორდი, დიცი და პატარა ლიახვის გამოღმართი, გვერდის ძირი და ვაკე, გორით ბერშუეთამდის, რაც ამათ შუა სოფლებია, ესენი ერთ სამდევროდ უნდა იყვნენ შეპირულნი.“[856] როგორც პროფ. ს. ალიმბარაშვილი აღნიშნავს: „სამდევროები ვალდებულნი იყვნენ ერთმანეთისათვის დროულად ეცნობებინათ ლეკთა მოძრაობის შესახებ და იმის მიხედვით, თუ როგორი იყო შემოსული მტრის რაოდენობა და ტიპი (ცხენოსანი, ქვეითი, შერეული), დავალებიც შესაბამისად ეძლეოდათ.“[857]

თავდაპირველად მძარცველი ლეკების წინააღმდეგ სამეფო ხელისუფლებას ძალების მობილიზება უჭირდა, ამას ასახავს ერეკლე II-ის წერილი სარდალ რევაზ ამილახორის სახელზე, რომელიც შედგენილია 1774 წელს: „ქ. ჩვენ მაგიერად ბატონს ამილახორს რევაზს და აპრილის მორიგეთ ასე უამბეთ. მორიგენო, თქვენი დიდათ მადლიერნი ვართ, კარგად გარჯილხართ, ხელი გამოგიღიათ და ღვთით მტრისათვის პასუხი მოგიციათ. თქვენი პირი ნათელი იყოს. ამილახორო ამდენი უნამუსობა როგორ იქნება? ზემო ქართლელთ გლეხთა და აზნაურთაგან დილით საღამომდინ სროლა ჰქონებიათ. ლიახვს გამოღმართი კაცნი როგორ არ მიეშველნენ? მიუშველებლობა დიდათ სააუგო საქმე მომხდარა, მაგრამ ახლა რაღა გაეწყობა. ვინცავინ ამ თვის მორიგენი ხართ, ნუ დაიფანტებით ამი-

853 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, თბ., 1974, გვ. 340, დოკ. 207.

854 იქვე, გვ. 341.

855 გ. სოსიაშვილი, „ლეკიანობის საკითხი“ და სამაჩაბლო, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია, თბ., 2003, №111, გვ. 37.

856 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 297.

857 ს. ალიმბარაშვილი აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში, თბ., 2008 გვ. 46.

ლახორთან იყავით და ამ ორს დღეზედ როგორც ჩვენი ამბავი და წიგნი მოგივიდესთ, ისე ჰქმენით. აღიწერა აპრილის ქორონიკონსსა უიბ.“[858]

ერეკლე II ბრძანების თანახმად, ლეკთა შემოსევების ასალაგმად ქართლის სოფლებს „საყარაულოდ“ გამოსვლა ევალებოდათ. რიგითობის მიხედვით, შედგენილი იყო ამ მიზნით გამომსვლელ სოფელთა ნუსხა.[859] მეომრების გამოყვანის გარდა, სოფლებს საყარაულო გამოსაღების გადახდაც ეკისრებოდათ. 1772 წლის პატარა ლიახვის ხეობის საყარაულო გამოსაღების ნუსხაში 24-ე სოფლად დასახელებულია დიცი.[860]

1772 წლის 14 თებერვლის დავთრის მიხედვით, საყარაულო გადასახადს ზემო ქართლის ორმოცდაექვსი სოფელი იხდიდა. ამ დავთრის მიხედვით, დიცს 3 მინალთუნი და 10 შაური უნდა გადაეხადა.[861]

დიცელები ერეკლე II-ის მიერ დაწესებულ მორიგე ჯარშიც აქტიურად გამოდიოდნენ, რომელიც დაღესტნელი მძარცველების წინააღმდეგ მართლაც ეფექტურად მოქმედებდა.[862]

1774-1800 წ.წ. დავთარში, სადაც წარმოდგენილია ზემო ქართლის 58 სოფლიდან გასაყვანი მორიგე ლაშქარში მონაწილე მეომრების ნუსხა, აღნიშნულია:

„ქ. დიციდამ: მინდიაშვილი მახარე,

იმერეთიდამ გარდმოსული ზაზუტა,

იმერეთიდამ გარდმოსული შამანაძე პეტრე.[863]

იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მორიგე ჯარიგან თავის დაღწევის მიზნით, გლეხები სოფლიდან იყრებოდნენ. სწორედ ასეთ ფაქტს ასახავს, 1774-1800 წ.წ. შედგენილი დავთარი, რომელიც ზემო ქართლის სოფლებიდან აპრილის თვეში გასაყვანი მეომრების ნუსხას წარმოადგენს:

„აყრილა ქ. დიციდამ:

გიორგი ფალავანდიშვილის ყმა ჯმუხაძე ანდრია,

გიორგი ფალავანდიშვილის ყმა გოგიჭაშვილი პაატა.“[864]

როგორც მორიგე ჯართან დაკავშირებით არსებული დოკუმენტებიდან ირკვევა, აღნიშნული სოფლიდან საკმაო რაოდენობის მებრძოლები გადიოდნენ, დიციდან მორიგე ჯარში მონაწილეობდა 29 მებრძოლი, იმ დროს,

858 სეაცსა, ფ. 1448, საბ. №389.

859 ს. ალიმბარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

860 ა. კლიმიაშვილი, მასალები XVIII საუკუნის II ნახევრის აღმ. საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის (მორიგე ლაშქარი) წ. II, თბ., 1966 (სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), გვ. 40-41, დოკ. №25.

861 ა. კლიმიაშვილი, მასალები XVIII საუკუნის II ნახევრის აღმ. საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის (მორიგე ლაშქარი) წ. I, თბ., 1966 (სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), გვ. 119-120.

862 ს. ალიმბარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

863 ი. ლორთქიფანიძე, საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV, თბ., 1947, გვ. 337; ა. კლიმიაშვილი, დასახ. ნაშრომი, წ. I, გვ. 89, №44.

864 ა. კლიმიაშვილი, დასახ. ნაშრომი, წ. I, დოკ. №43; გვ 70-81.

როდესაც ახალდაბიდან გადიოდა 2, არადეთიდან - 6, არგვიციდან - 32, აჩაბეთიდან - 19, ფხვენისიდან - 11, ქემერტიდან - 22, ქურთადან - 20, ცხინვალიდან - 16...[865]

მორიგე ჯართან დაკავშირებით არსებულ ერთ-ერთ საბუთს აქვს მინაწერი, სადაც ჩამოთვლილია ის სოფლები, რომელთაც მებრძოლების გამოყვანა ევალებოდათ: „ზემო ქართლში: ციცი 17, კულბითი 11, მერეთი 12, მეჯვრისხევი 1, რუისი 9, 14, ტყვიავი 8, ცხინვალი, 16, წინუბანი 40, წირქოლი 55, ხვითი-ქვემო 15, ჯარიაშენი 3, სულ 11 სოფელი.“[866]

ეჭვსგარეშეა, რომ აქ მოხსენიებული ციცი, სწორედ სოფელი დიცი უნდა იყოს, იგი ნუსხაში დამახინჯებით არის შეტანილი. როგორც ცნობილია, ერეკლე II-მ 1777 წელს ქსნის ერისთავის – გიორგი ყულარაღასის განდგომის შემდეგ, ქსნის საერისთაო გააუქმა. ქსნის ერისთავების არაერთი სოფელი იულონ ბატონიშვილის გავლენის საკუთრებაში მოექცა. 1803 წლის დოკუმენტში, რომელიც მთავარმართებელ პავლე ციციანოვის ოფიციალურ რაპორტს წარმოადგენს, ჩამოთვლილია იულონ ბატონიშვილის საკუთრებაში არსებული სოფლები, ამ სოფლებთან ერთად იხსენიება დიციც.

დიცის შესახებ, ძალზე საინტერესო ცნობები გვხვდება, XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში. კორესპონდენციები ადგილობრივი მრევლისა და სასულიერო პირის ურთიერთობას ეხება.

1903 წელს, გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე დაბეჭდილი კ. ნოდიას წერილიდან ირკვევა, რომ იმ პერიოდში დიცში ეკლესია ახალი ამოქმედებული იყო. მანამდე დიცის მრევლი სოფ. ტირძნისის ეკლესიაში დადიოდა. სინოდის გადაწყვეტილებით, რასაც წინ უძღოდა დიცელი მორწმუნეების თხოვნა, სოფელში ეკლესია გაიხსნა და მოძღვარიც გამოიგზავნა, რომელსაც სინოდმა გარკვეული ჯამაგირი დაუნიშნა, თუმცა, მალე მრევლსა და მოძღვარს შორის ისე დაიძაბა ურთიერთობა, რომ საქმე სასამართლომდე მივიდა.[867]

დიცში ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს უკავშირდებოდა ღვთისმშობლობის საეკლესიო დღესასწაული, 1923 წელს შედგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში: „ცნობები საეკლესიო დღეობების შესახებ,“ აღნიშნულია, რომ დიცში დაწესებული იყო ღვთიშობლობა, რომელიც აღინიშნებოდა აღდგომის მე-2-ე დღეს.[868]

დიცში დღესასწაულობდნენ, ასევე, გერისთობას, რომელიც გერის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარს უკავშირდებოდა. იგი სექტემბრის პირველ კვირას იწყებოდა და სამ კვირას გრძელდებოდა. აღინიშნებოდა თავგერისთობა, შუა გერისთობა და ბოლო გერისთობა. გერის სალო-

865 ი. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 340-341.

866 იქვე, გვ. 336.

867 გაზ. „კვალი,“ 1903 წ. 7 ივლისი, № 23, გვ. 379-370.

868 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფ. №3, საბ. 49.

ცავში ასული მლოცველები ღამეს ათევდნენ, ხოლო მეორე დღეს არბოს წმინდა გიორგის სალოცავში ჩამოიკლიდნენ. როგორც მივუთითებდით, არბოს წმინდა გიორგი გერის წმინდა გიორგის უმცროს ძმად ითვლებოდა.[869]

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გვერდით ადრე ძველი სასაფლაო არსებობდა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისის საეკლესიო წიგნებშიც იხსენიება, აქ დღემდე არსებობს XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის საფლავის ქვები, სადაც შემორჩენილია ეპიტაფიები.[870] ღვთისმშობლის ტაძართან არსებულ საფლავის ქვებზე რამდენიმე წარწერა ამოუკითხავს ი. მეგრელიძეს.[871]

დიცში გავრცელებული გვარებიდან ზოგი უფრო ძველია, ზოგიც შედარებით ახალი (ვგულისხმობთ სოფელში დასახლებას). ფეოდალური პერიოდის დოკუმენტურ წყაროებში სოფ. დიცში იხსენიება ისეთი გვარებიც, რომლებიც დღეისათვის აღარ გვხვდება, თუმცა, მათი არსებობა დოკუმენტური წყაროების გარდა, ონომასტიკური მასალითაც დასტურდება.

სხვადასხვა სახის წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიცში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები:

გოდერძაშვილები, გოგიჭაშვილები,[872] იორდანეშვილები, კანჯაშვილები, კახაშვილები (აღნიშნული გვარი იხსენიება 1818 წლის რუსულ აღწერაში),[873] კურმაშვილები,[874] ნარიკაშვილები,[875] ოსიტაშვილები,[876] ტრანკაშვილები, ღვინიაშვილები (აღნიშნული საგვარეულოს არსებობას ადასტურებს ტოპონიმი – „ღვინიანთეული“), შამანაძეები (იხსენიებიან 1774-1800 წ.წ. დოკუმენტში, ისინი გადმოსახლებულები იყვნენ იმერეთიდან),[877] ჩარეულაშვილები, ჯერკვალიშვილები,[878] ჯმუხაძეები.

დღეისათვის დიცში ცხოვრობენ შემდეგი გვარები: ყორანაშვილი, დუღაძე, სოსიაშვილი, გულიტაშვილი, მარკოზაშვილი, მძინარაშვილი, მინდიაშვილი, მიდოდაშვილი, საური, ვატიტაძე, თადიაშვილი, ბარიშვილი,

869 ი. მეგრელიძე დასახ. ნაშრომი, გვ. 75; ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971.

870 გ. სოსიაშვილი, ეპიტაფიები სოფელ დიციდან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XI, თბ., 2016, გვ. 205-220.

871 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 15.

872 ა. კლიმიაშვილი, მასალები XVIII საუკუნის II ნახევრის აღმ. საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის (მორიგე ლაშქარი), წ. II თბ., 1966 (სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), გვ. 70-81, №43.

873 გსიემ, №8235, საბ. №128.

874 იქვე.

875 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, გვ. 215-216.

876 სეაცსა, ფ. 1448, საბ. №3602.

877 ა. კლიამიაშვილი, მასალები XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის (მორიგე ლაშქარი), წიგნი I, გვ. 89, №44.

878 სეაცსა, ფ. 1450, დავთ. 26, საბ. 216.

დემეტრაშვილი, ბოლაშვილი, გუგუტიშვილი, ბასიშვილი, ჯარმელიშვილი, რომელაშვილი, ღამბაშიძე, თაბაგარი, ქიტუაშვილი, არჩუაძე, ლაფაჩი, სურამელი, ფცქიალაძე, ვაზაგაშვილი, ბერუაშვილი, ცერაძე, მეტრეველი, რჩეულიშვილი, გაგვიშვილი, გალეგაშვილი, ბეგალოვი, სანახჩიანი, ხადური, რაზმაძე, მაზმიშვილი, მაღალდაძე და სხვ.[879]

სოფელ დიცში გვხვდება ტოპონიმები: ბლები, გორეები, დათილაანთეული, დამპალა, დიცურები, თავკალაური, ლომისა (ლომისები), მინდიაური, ნაალიზევი, ნაჭაობარი, რკინობები, სამნიმიწები, ურწყავი, შეთიაური, ღვინიანთეული, ხევები.

ქორდი

სოფელი ქორდი მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, ზღვის დონიდან 880 მ.-ის სიმაღლეზე, გორიდან 30 კმ.-ის დაშორებით.[880] როგორც მივუთითებდით, VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში ქორდითირიკოს ხევი იხსენიება, რომელიც პატარა ლიახვის შუა წელის სახელწოდება უნდა ყოფილიყო (შრდ. „კურბითი," „საცხუმეთი").[881] როგორც ჩანს, ქორდითირიკოს ხევში რამდენიმე სოფელი შედიოდა. მოგვიანებით, ეს სახელი დავიწროვდა და ერთ-ერთი სოფლის – ქორდის სახელით შემორჩა. იოანე ბაგრატიონის ცნობით, ასეთი სახელით არსებობდა სოფელი კახეთში.[882] თუ გადავხედავთ დოკუმენტურ წყაროებს, ცხადი ხდება, რომ აღნიშნული სოფელი ძველი დროიდანვე იყო დასახლებული. იოანე ბაგრატიონს ქორდი შეტანილი აქვს იმ სოფლების ჩამონათვალში, რომლებიც: „პატარა ლიახვით ირწყვის და ისევ გორს მიეწერება." იგი ქორდის შესახებ სხვა ინფორმაციას არ გვაწვდის. ხსენებულ ნუსხაში თითოეულ სოფელს გვერდით უწერია – „მოსახლე," ქორდს კი ამგვარი ჩანაწერი არ ახლავს. როგორც ჩანს, აქ მექანიკური უზუსტობაა.

ქორდის მიდამოების ათვისებაში უდაოდ დიდი როლი უნდა შეესრულებინა მდ. პატარა ლიახვს, რომლითაც ხეობის სოფლები ირწყვოდა. პატარა ლიახვიდან გამოყვანილი რუსხმულები სახნავ-სათესი სავარგულების დამუშავებაში განმსაზღვრელი ფაქტორი იყო. როგორც პროფ. გ. ჯალაბაძე[883] აღნიშნავს: „ქორდის მინდორი და ბაღ-ვენახები პატარა ლიახვით ირწყვის, ახლომახლო მდებარე მთის სოფლები დიდ ინტერესს იჩენდნენ, რომ აქ მათ ვენახები ჰქონოდათ. ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ აქ ვენახები ჰქონდათ ერედველ მაისურაძეებს, ვანათელ მახ-

879 გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, თბ., 2010, გვ. 104-113.

880 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986, გვ. 548.

881 გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან (სოფელი ქორდი), თბ., 2007, გვ. 10.

882 იოანე ბაგრატიონი ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 69.

883 აღსანიშნავია, რომ ქორდი, ცნობილი ქართველი ეთნოლოგის, პროფ. გ. ჯალაბაძის მშობლიური სოფელი იყო.

ნიაშვილებს, სარაბუკელ არბოლიშვილებს, ასევე ბელოთელ ფისაძეს და ჩიბჩიურს“ (ციტირება მოგვყავს გ. ჯალაბაძის გამოუქვეყნებელი ჩანაწერებიდან). ქორდის ჩრდილოეთით, მთიან ზოლში, მცირემიწიან სოფლებში მცხოვრებნი გვიან პერიოდამდე ამუშავებდნენ ქორდში არსებულ კუთვნილ ადგილებს. მაგ. ვანათელ მახნიაშვილებს ქორდში 0. 5 ჰა ფართობის ვენახი ჰქონდათ, აქვე გააჩნდათ ბაღ-ვენახი ერედველებს.[884]

გ. ჯალაბაძე ქორდის შესახებ არსებულ ჩანაწერებში გარკვეულ ადგილს უთმობს სოფლის სახელწოდების განმარტებას: „იმ დროს, როცა ვახუშტი ბატონიშვილს ქართლის, კერძოდ, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები აღუწერია და მისი ექსპედიციის რომელიმე შემადგენლობას ეს საქმე გაუკეთებია, ეს აღწერა უნდა მომხდარიყო მაშინ, როცა საქართველო, კერძოდ, ეს მხარე მოოხრებულ-დანგრეული იყო და სოფელი სოფლის ალაგას აღარ იდგა. ნასახიც ალბათ ძნელი შესამჩნევი გახდებოდა, რადგან ჩვენს წინაპრებს ჰქონიათ სახლად მიწური ბანები, ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ ადამიანი თუ მეტად არ დააკვირდებოდა ნგრევის შემდეგ სოფელს იმავ ალაგას ვეღარ მიაგნებდა. ხომ არ შეიძლება, სოფელი ქორდი ასეთ მდგომარეობაში მყოფი ყოფილიყოს, მაშინ როცა ვახუშტიმ, თუ მისმა ექსპედიციამ ამ მხარის აღწერა აწარმოვეს. ეს მდგომარეობა მოსალოდნელია, რადგან სოფელი, სადაც ქორდია გაშენებული, წინად უნდა ყოფილიყო ტყით დაფარული და სახელი ქორდიც, სიტყვა კორდის სახესხვაობად უნდა ვიგულისხმოთ. ქორდი-ამბობს საბა, უნამუშავარი მიწაა, და მართლაც, ეს მოსალოდნელია, თუ როგორ გადაიქცა კ-ასო ქ-ასოდ, ეს ენათმეცნიერების ელემენტარული საკითხია ...ასე, ამრიგად, სოფელი ქორდის დღევანდელი სახელი კორდიდან ნაწარმოები სახელია, მაგრამ საინტერესოა როდიდან მოსდევს ეს სახელი სოფელს.“ გ. ჯალაბაძის განმარტებით, სოფლების სახელები კარგად გამოხატავდნენ მათ წარსულს. მათი სახელწოდებები მომდინარეობენ ან მდინარეების სახელებიდან, ან უკავშირდებიან მცენარეულ საფარს, რელიეფს, ნიადაგის თვისებებს, ისტორიულ მოვლენებს, ან ადამიანთა გვარ-სახელებს. მეცნიერის აზრით: „ქორდის სახელი ისევე უკავშირდება ნიადაგს, როგორც ეწერი, ლაშე, ქვათეთრი...“[885]

პროფ. გ. ჯალაბაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება ყურადსაღებია, თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სულხან-საბას მიერ, კორდი განმარტებულია, როგორც უნამუშევარი მიწა, რაც ქორდის გეოგრაფიულ მდებარეობას ვერ მიესადაგება,

ქორდის კორდთან, – დაუმუშავებელ მიწასთან დაკავშირება არ უნდა იყოს სწორი. მით უფრო, რომ ქორდის თავდაპირველი ფორმა ქორდითირიკოა და ის ლიახვის ხეობის გარკვეულ ნაწილს ერქვა. „თირი,“ როგორც ზემოთაც მივუთითებდით, ცეცხლგამძლე ქვას აღნიშნავდა ქართულ ენაში. როგორც ჩანს, რუხი, კირიანი ნიადაგი დამახასიათებელი იყო

884 გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986, გვ. 294.

885 იქვე, გვ. 270.

პატარა ლიახვის ხეობისთვის. ამის შესახებ გ. ჯალაბაძეც მიუთითებს: „პატარა ლიახვისა და დიდი ლიახვის შორისი მინდვრის ზოლი რუხი, შავმიწა და თირი-ლოტი მიწებისგან შედგება.“[886]

ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში, ამ არეალში ხევის, ე. ი. ადმინისტრაციული ერთეულის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული ტერიტორია, ძველი დროიდანვე უნდა ყოფილიყო ათვისებული, რაშიც, როგორც მივუთითებდით, დიდ როლს ასრულებდა მდ. პატარა ლიახვიდან გამოყვანილი სარწყავი რუები. 1652 წლით დათარიღებულ როსტომ მეფის სიგელში მდ. პატარა ლიახვიდან გამოყვანილი რამდენიმე რუ იხსენიება. მათ შორის: „დიცურის რუ,“ „ტირძნისის რუ,“ „მოკარგულის რუ.“[887]

ქორდში სარწყავი მიწათმოქმედება ძველი დროიდანვე იყო განვითარებული. სოფლის სავარგულებზე იმდენად დიდი მოთხოვნა იყო, რომ მთიან ზოლში მცხოვრებნი აქ ადგილებს ყიდულობდნენ, რომ დაემუშავებინათ და მოსავალი მოეყვანათ. ამ მიზნით ჩამოდიოდნენ აქ ბელოთითან, სარაბუკიდან, ერედვიდან.

მიწათმოქმედების განვითარებაზე მეტყველებს აქ არსებული წისქვილები. კოლექტივიზაციამდე ქორდში 15 თვალი წისქვილი მუშაობდა. ეს წისქვილები ქორდში მცხოვრები საგვარეულობის საკუთრებას წარმოადგენდა. წისქვილი ჰქონდათ ხაჩიურებს, ჯალაბაძეებს...[888] აღსანიშნავია, რომ ხაჩიურების წისქვილი უწინ გედევანიშვილების საკუთრება ყოფილა.[889]

ქორდი ძველი დროიდანვე საპატრიარქოს კუთვნილება იყო. რაც დასტურდება 1392 წლით დათარიღებული დოკუმენტით. ეს არის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი. აღნიშნულ დოკუმენტში დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში არსებულ სოფლებთან ერთად, ქორდიც იხსენიება: „გორს, რაც მცხეთის მამულნი და ვაჭარნი არიან, კუალად სოფელი ზერტი, თუსითა მამულით, ნასოფლარი სათიბი, სოფელი ქვეში, სოფელი დისევი, ფლავი, სოფელი ჩხრიკეთი, სოფელი სათიხარი და ვანათს ცხრა კომლი კაცი, სოფელი ქუაბნი, სოფელი ქორდი და პატარა მეღვრეკისი, ერედს გილაძენი, ვირშას მონასტერი მთავარანგელოზისა-თუსითა შესავლითა; ქრცხინვალს ელიოზიძე ურია, მამულითა.“[890]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქორდში მამულს უფრო მოგვიანებითაც ფლობდა. თუმცა, 1529-1530 წლებით დათარიღებულ სიგელში (თ. ჟორდანიას ვარაუდით, დოკუმენტი ბასილი კათალიკოსის დროს არის შედგენილი), პატარა ლიახვის ხეობაში არსებული კათალიკოსის კუთვნილი ყმა-გლეხები მათ შორის, სოფელ ქორდშიც, დაკარგულად იხსენიება, რომელიც „ზემო ერისთავს“ (სავარაუდოდ, ქსნის ერისთავს)

886 გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 301.

887 საქართველოს სიძველენი, I, გვ. 337, № 281.

888 იქვე, გვ. 286.

889 იქვე.

890 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 177, დოკ. 23.

ჰქონდა დასაკუთრებული.[891]

1532-1548 წლებში დაწერილი სიგელის თანახმად, ლევან კახთა მეფემ ქართლის მთავარეპისკოპოს მალაქიას შიდა ქართლის ზოგიერთ სოფელში კუთვნილი ყმები და მემულები შეწირა. დოკუმენტში იხსენიება ქორდში მცხოვრები ყმა ყანდიაშვილი.[892]

ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის 1559 წლის გუჯარში მოხსენიებულია პატარა ლიახვის ხეობაში ეკლესიის საკუთრებაში არსებული მამულები, მათ შორის სოფელი ქორდი.[893]

1559 წელს, სიმონ I-მა სვეტიცხოველს შეწირულობის სიგელით პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ქონება განუახლა, ჩამონათვალში გვხვდება სოფელი ქორდიც.[894]

1574 წლის 14 მარტით დათარიღებული წყალობის წიგნის თანახმად, ქართლის კათალიკოსმა ნიკოლოზმა, სოფელ ყურისუბნის სანაცვლოდ, ვახტანგ ბატონიშვილს რამდენიმე სოფელთან (სათიხარი, ზაკუი, ვირშა) ერთად, ქორდში სვეტიცხოვლის საკუთრებაში არსებული ქონება გადასცა.[895] პატარა ლიახვის ხეობაში სვეტიცხოვლის კუთვნილი მამულები, საპატრიარქომ სამეფო კარისაგან რამდენიმე წლის შემდეგ ხელახლა გამოითხოვა. კათალიკოსმა დომენტიმ მუხრანთან ახლოს არსებული სოფელი ყურისუბანი ვახტანგ ბატონიშვილს გადასცა და სოფელ ქორდთან ერთად, **„რაცა სხუა მის გარშემო საყდრის მამული იყო,“** სვეტიცხოვლის ქონება დაიბრუნა. რაც 1595 წლით დათარიღებული დოკუმენტით დასტურდება.[896]

XVII საუკუნის დასაწყისში პატარა ლიახვის ხეობაში სვეტიცხოველს სამეფო ხელისუფლებამ არაგვის ერისთავის საკუთრებაში არსებული სოფლები: გერი და გერისთავი გადასცა. ერთ-ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ აღნიშნული სოფლების სანაცვლოდ, ნუგზარ არაგვის ერისთავმა არბო და სგენასმანი დაიკავა და სვეტიცხოველს „სამუქფოთ“ ქორდში მცხოვრები კუთვნილი სამი კომლი (მათ შორის ირემა ბექნიაშვილი) უწყალობა.[897]

1616 წელს ქსნის ერისთავებმა ქორდში მცხოვრები რამდენიმე კომლი გლეხი: „არჩვაძე შოში[ტა, ბე]რიკასშვილი ნინია, ჭევსური საგინა, მუჭაური გამიხარდ[ი] და ჩუბინასშვილი ფრიდონა და გივ[ი]სშვილის მამული“ საპატრიარქოს შეწირეს.[898]

როგორც ზემოთ მივუთითებდით, 1559 წლის საკათალიკოსო გუჯარის თანახმად, ქსნის ერისთავებს, ქორდთან ახლოს, წიასწყალს მცხოვრები არჩვაძეები ეკლესიისთვის უბოძებიათ. ირკვევა, რომ ერისთავებმა, რომელთა საკუთრებას პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული

891 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 373.
892 იქვე, გვ. 376.
893 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 265, დოკ. 59.
894 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 401.
895 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 277-278, დოკ. 66.
896 იქვე, გვ. 348, დოკ. 71.
897 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 441-442.
898 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 482-483, დოკ 93.

სოფლები წარმოადგენდა, თანდათან ხეობის შუა წელზე არსებულ ზოგიერთ სოფელზეც გაავრცელეს გავლენა.[899]

1656 წლით დათარიღებული დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ როსტომ მეფემ ვინმე ჭიაურთ მოურავ შანშეს, ქორდში მცხოვრები გლეხები უწყალობა: „მას /ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და მამულის წყალობას/ დაგუაჯენით, შეგიწყალეთ და გიბოძეთ: პაპუ[ა]ს უზანისშ[ვი]ლ[ი]ს ნ/აქონი მამული ორი კუამლი გლეხი თიანეთს; ქორდს-/ ნემსაშვილი, მახ{ა}ური და ჩურუხული, ქოილაშვილი პაპ/უნა და სოზიკა.“[900]

1694 წელს კათალიკოსმა ნიკოლოზმა მცხეთის ჯარის სარდალს გიორგი გედევანისშვილს ქორდში ბადასშვილი ბახუტას მამული და გლეხი ჯალაბაძე „თვისის უნაკლულოს მამულითა“ უბოძა.[901] კათალიკოზის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ბადაშვილის მამული ამ წესით გიბოძეთ, რომ საყდრის ყმა იყო და ბევრის კაცის კვლასა და ტყვის გასყიდვაში გაერია და გათათრდა და ჩვენგანცა საწყენო იყო და საყდრის შემცოდეც იყო; აწე წავიდა ის და დაიკარგა. და იმისი მამული, რისაც მქონებელი ყოფილიყო სულ უკლებლივ თქვენ გიბოძეთ მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, საკაფითა, სასხლითა და სასაფლაოთი, ქვევრითა და მარანითა, მისის სამართლიანის მძღვრითა.“[902]

მოგვიანებით ქორდზე გარკვეული უფლებები მოიპოვეს ქსნის ერისთავებმაც, რომელთაც XVIII ს-ში სვეტიცხოველს გადასცეს ქორდში არსებული მათი სახლიკაცების მიერ „ჩიფჩიურისა და ლაფაჩის ნასყიდი ვენახები.“ ამას ადასტურებს 1766 წლით დათარიღებული დოკუმენტი.[903]

დამატებით განმარტებას ითხოვს დოკუმენტში ნახსენები „ჩიფჩიურისა და ლაფაჩის ნასყიდი ვენახები.“

როგორც ჩანს, ეკლესიისათვის ყმა-მამულის გადაცემას ყოველთვის ნებაყოფლობითი ხასიათი არ ჰქონდა. ბელოთელი გიორგი ფისაძისა და ბერი ჩიბჩიურის 1786 წლის 22 ივნისის განჩინების მიხედვით, ფისაძესა და ჩიბჩიურს ქორდში ვენახები ჰქონიათ ნაყიდი, მაგრამ დავით და შალვა ერისთავებს ჩამოურთმევიათ და სვეტიცხოველისთვის შეუწირავთ, ისე, რომ სამაგიერო მიწა არ მიუციათ. ფისაძესა და ჩიბჩიურს კათალიკოსთან უჩივლიათ, რომლის განჩინებით, მათ ქორდის ვენახები უკან დაუბრუნდათ, თუმცა, სვეტიცხოვლისათვის კულუხი უნდა მიერთმიათ.[904]

რაკი სოფელ ქორდთან შუასაუკუნეებში მჭიდროდ იყო დაკავშირებული გედევანიშვილთა საგვარეულო, საჭიროდ მივიჩნიეთ აღნიშნული გვარის წარმომადგენლების სამეფო კართად და საპატრიარქოსთან ურთიერთო-

899 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 68.

900 დოკუმენტები XVII საუკუნის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. II, გვ. 446.

901 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 603-604, დოკ. 159.

902 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 604, დოკ. 159; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. I, გვ. 372.

903 საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 274, №, 224.

904 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 380-382, დოკ. 228.

ბის საკითხსაც შეეხოთ. ცნობილია, რომ შუასაუკუნეებში საქართველოს საპატრიარქოს თავისი ადმინისტრაციული აპარატი გააჩნდა, რომელიც კათალიკოსის დამხმარე თანამდებობებით იყო დაკომპლექტებული.

საპატრიარქოს ადმინისტრაციულ აპარატში ძალზე აქტიურად იყო ჩართული გედევანიშვილთა საგვარეულო.

გედევანიშვილთა გვარი ელიოზისძეთა საგვარეულოს უკავშირდება. პროფესორ ე. მამისთვალიშვილის დაკვირვებით, XVI საუკუნის მეორე ნახევარში ელიოზისძეთა გვარს ცალკე შტო გამოეყო. ელიოზ ელიოზისძე და გედეონ გულბადისშვილი, ელიოზისძეთა ორ სახლად გაიყარნენ. ელიოზ ელიოზის ძის შთამომავლობამ მიიღო ელიოზიშვილის გვარი, ხოლო გედეონ ელიოზისძისამ გედევანიშვილისა.[905]

გედევანიშვილები, როგორც „მცხეთიშვილები," საუკუნეების განმავლობაში კათალიკოსის „ჯვარისმტვირთველები" და „მცხეთის სარდლები" იყვნენ.[906] გედევანიშვილების „ჯვარისმტვირთველობა" სხვადასხვა დოკუმენტური მასალით დასტურდება. ჯერ კიდევ გვარის გაყოფამდე, XV საუკუნის შუა წლებში, ელიოზისძეები კათალიკოსის „ჯვარისმტვირთველებად" იხსენიებიან. 1447 წლის ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, ასევე, 1454 წლის კულუხის გამოსაღების წიგნში იხსენიება „ჯვარისმტვირთველი" ელიოზ ელიოზისძე.[907] როგორც ჩანს, სარდლობა გვარის გაყოფის შემდეგ გედეონ ელიოზისძის შთამომავლებს გადაეცათ, თუმცა, ქართულ ეკლესიასთან ელიოზიშვილებიც დაახლოებულნი იყვნენ და ისინიც „მცხეთიშვილთა" შორის გვხვდებიან. 1718 წლის დოკუმენტის მიხედვით, დომენტი IV კათალიკოსმა დიმიტრი ელიოზიშვილს „სამკვიდრო და ბარათში გამოყოლილი" წეროვნის მოურავობა უბოძა. დოკუმენტს ამოწმებენ კათალიკოსის ადმინისტრაციის წამომადგენელი „მცხეთიშვილები." მათ შორის მოხსენიებულია „ელიოზისშვილი მგალობელი აბიათარი."[908]

მომდევნო პერიოდის დოკუმენტურ წყაროებში ჯვარისმტვირთველებად, მცხეთის სარდლებად, ასევე კათალიკოსის მოურავებად ელიოზისძეების განაყრები – გედევანიშვილები გვევლინებიან. პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ სოფელ ქორდში ყმა-გლეხები და მამულები გედევანიშვილებს ჯერ კიდევ XVII საუკუნის I მეოთხედში კათალიკოს-პატრიარქის ზაქარიას დროს გადაეცათ. მათ შორის: ირემა ბექნიაშვილი, გამეხარდი, უჭაური, მამუკა არჩვაძე, ნადირა აფხაზაშვილი და სხვ.[909] ამ დოკუმენტს 1616 წლით (თუმცა, საბუთს კითხვის ნიშანი აქვს) ათარიღებდა ნ. ბერძენიშვილი. იგივე დოკუმენტი გამოცემული აქვს ე. თაყაიშვილს, რომელიც საბუთს 1626

905 ე. მამისთვალიშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995, გვ. 159; გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 73-82.

906 გ. სოსიაშვილი, გედევანიშვილები--კათალიკოსის ჯარის სარდლები და მოურავები, ჟურნ. „ანალები," 2017, № 13, გვ. 55.

907 ე. მამისთვალიშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ. 1995, გვ. 156.

908 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 698-699, დოკ. 214.

909 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. 16, №18.

წელს შედგენილად მიიჩნევდა.[910] განსხვავებული თარიღი (1626 წ.) აქვს მოცემული პროფ. ი. დოლიძეს.[911] ოდნავ მოგვიანებით, კათალიკოსმა ევდემონმა დავით გედევანიშვილს და მის ოჯახის წევრებს: გაბრიელს, პეტრეს, პაპუნას და ქაიხოსროს 1638 წელს, ქორდში იმ ქონების წყალობა განუახლა, რომლებიც მათ საკუთრებას წარმოადგენდა „აფხაზაშვილის ნაქონი „მოზუერაული მამული“ და „ვენახი ბექნიაშვილის ნაქონი.“[912] გედევანიშვილებმა, როგორც კათალიკოსის დაქვემდებარებაში მყოფმა „მცხეთიშვილებმა,“ ქორდში მყარად მოიკიდეს ფეხი. ამას ადასტურებს როსტომ მეფის მიერ 1652 წელს გედევანიშვილებისადმი ბოძებული წყალობის წიგნი. როსტომმა საკათალიკოსო ჯარის სარდალს გაბრიელ გედევანიშვილს და მის ოჯახს უბოძა „სოფელი ქორდი ერთობით,“ ბადაშვილების გარდა: „ყოვლის მისის სამართლიანითა მზღურითა: ზემოთ დიცურს რუმდი, იმას ჩამოსწვრივ ქვაკირას ფონამდი, ისრე ჩატანებით ტრძნისას რუმდი, თერგუისის სამძურამდი, კიდევ მოკარგულს რუს აქეთ ჩამოტანებით ჭალითა, ველითა და წყლითა.“[913] ამ დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ ქორდი სვეტიცხოველს ძველი დროიდანვე ეკუთვნოდა და როსტომმა ეკლესიის სამსახურში მყოფ გედევანიშვილებს წყალობა განუახლა.

სარდლის სახელო რომ ტრადიციულად გედევანიშვილებს ეპყრათ, ამას ადასტურებს ანტონ I კათალიკოსის მიერ 1767 წელს შედგენილი დოკუმენტიც: „ასე, რომ: ძველთა ხემწიფეთა და წმიდათა პატრიარქთაგან ვითაცა სარდლობა თქვენის ოჯახის ყოფილა, დია წყალობა გჭირვებიათ და წიგნიც უბოძებიათ ძველთა ხემწიფეთ და პატრიარქთა.“[914] აღნიშნული საბუთის მიხედვით, გედევანიშვილები ასევე იყვნენ მცხეთის ხიდის მებაჟეები: „ეგრეთვეცა ხიდზე დგომა თქვენის სახლისა და თქვენი ყოფილა, და წყალობა უქნიათ, და თქვენთვის უბოძებიათ და ძველითგან მკუ[ი]დრობიდცა თქვენი ყოფილიყო ცოტაოდენთა ჟამთა ვითარებისა და ავის დროს მიზეზითა ხან ვინ მდგარიყო და ხან ვინ.“[915] გედევანიშვილთა მებაჟეობა დასტურდება აგრეთვე 1810 წლის მთავარმართებელ ტორმასოვის მიერ საიდუმლო მრჩეველ კოზოდავლევისადმი გაგზავნილი წერილიდანაც.[916]

„მცხეთის სარდლებს“ საკათალიკოსო ჯარის ხელმძღვანელობა ევალებოდათ.[917] მცხეთის სარდლის ფუნქციებზე საინტერესო ინფორმაციას

910 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ. ტ. I, გვ. 251, №209.

911 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 393, დოკ. 87.

912 იქვე, გვ. 495-496, დოკ. 108.

913 საქართველოს სიძველენი, I, გვ. 337, № 281.

914 იქვე, გვ. 864.

915 იქვე, გვ. 864-865.

916 Акты, т. IV, стр. 169, №251.

917 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 418-419; ა. კლიმიაშვილი, საეკლესიო ლაშქრის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბ., 1961, გვ. 109-110.

გვაწვდის 1783 წელს ანტონ I კათალიკოსის მიერ იოანე გედეონისძისადმი (გედევანიშვილი) შედგენილი წყალობის სიგელი: „და როდესაც მისის უმაღლესობის ჩვენის ძმის (ერეკლე II, – გ. ს) მეფის ბრძანება იყოს ხოლმე ჯარის დაძახების, რომელიც სვეტისცხოვლის ყმანი არიან ქართლში, კახეთში, და რომელსაც ადგილს საქართველოში, შემოიყრიდე და სადაც იმის ნება იყოს, იქ იახლებოდე; და რომელიც იმის უმაღლესობის სამსახური იყოს, როგორც თანამდები ხარ, ისე ერთგულობით აღასრულებდე.“[918] 1720 წელს, ვახტანგ VI-ის ვაჟის, უფლისწულ ბაქარის მიერ გაცემულ სიგელში აღნიშნულია: „თუ ვინ იცის ბატონი კათალიკოზი ლაშქარ-ნადირობას ჩვენთან არა ბრძანდებოდეს, იმის სარდალსა და მსახურ-აზნაურიშვილთა სამცხეთო ჯარი ჩვენს დროშაზე იქნებოდეს, სხვა სარდალს და მოსაქმეს ხელი ნუ აქუს.“[919]

გედევანიშვილებს რომ კათალიკოსი დიდად სწყალობდა, არაერთი დოკუმენტიდან ჩანს. 1738 წლით დათარიღებული სიგელიდან ირკვევა, რომ ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურება ჰქონდა მოლარეთუხუცეს პაატა გედევანიშვილს. იგი დომენტი კათალიკოსს კონსტანტინოპოლში თან ახლდა, მათ ორ წელზე მეტი ერთად დაჰყვეს ტყვეობაში.[920] სწორედ ამ თავდადების გამო გაიღო წყალობა დომენტიმ: „გიბოძეთ შენ გედევანისძე გიორგი – სარდლისშვილს პაატას, ძმათა შენთა ზაალსა და გაბრიელსა და ძმისწულსა თქვენსა გიორგისა... გიბოძეთ სომხითს თამრგვალისა და ველ-კეთილისა და დისვლისა - ამ სამისავე ნაცვლობა და მეღალობა. სხუა შენი ბიძაშვილი, ზაალის შვილი დემეტრე ამოწყვეტილიყო, იმასაც და მის ჯალაბსაც შენთვის ანდერძი ექნათ, თავიანთი საკერძო ყოველიფერი და ჩვენც შემოგვეხვეწენით და გიბოძეთ წეროვნის მოურაობა, მისი წილი ჯვარის მტვირთველობა და ყოველი ალაგი და მამული მისი სასახლე შესავალ-გასავლითა...“[921]

აღსანიშნავია, რომ მოლარეთუხუცეს პაატა გედევანიშვილის ვაჟი იყო შემდგომში ცნობილი საეკლესიო მოღვაწე მროველი მიტროპოლიტი იონა გედევანიშვილი, რომელმაც წმინდა მიწაზე იმოგზაურა. სწორედ იონა გედევანიშვილის სახელზე დარეჯან დედოფლის მიერ 1806 წელს პეტერბურგში გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ გედევანიშვილი, როგორც წარჩინებული გვარი, არ იყო შეტანილი „არტიკულში,“ იმის გამო, რომ ერეკლე II-ს გაბრიელ გედევანიშვილის შვილებთან ურთიერთობა დაეძაბა: „1806, იანვარს 8, ყდ სამღუდელო მიტროპოლიტო, უფალო იონავ! თქუჱნი წიგნი მოგვივიდა, რომელშიც გეთხოვნათ ჩუჱნგან მოწმობა მამის

918 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 945, დოკ. 389.

919 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ. I, ტფ., 1899, გვ. 260, № 215.

920 ი. ალიმბარაშვილი, კათალიკოსი დომენტი IV, „საისტორიო ძიებანი,“ 2013-2014, XII, ექვთიმე თაყაიშვილის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, თბ., 2015, გვ. 29; ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი, 1903, გვ. 190, №244.

921 თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 157.

თქუჱნის გედეონისშვილის მოლარეთ-ხუცის პაატასი და თქუჱნის ძმის გედეონისშვილის გიორგის კნიაზობისა; და მე ამით ჭეშმარიტებით მცნობილი ვარ; როდესაც კურთხეული კათალიკოზი რუსეთში გამოისტუმრეს, მაშინ მოლარეთ-ხუცესი გედეონისშვილი პაატა სანატრელთ მეფეთაგან [ნ] იყო კნიაზად გამოცხადებული; და კულად მეორედ კათალიკოზი რომ გამოისტუმრა სანატრელმან მეფემან ჩუჱნმან, მაშინ კიდევ თქუჱნი ძმა გედეონისშვილი გიორგი კნიაზად იყო გამოცხადებული და როდესაც არტიკულები დაიწერა, იმ დროს რომლისამე მიზეზით კურთხეული და ნეტარად სახსოვარი ჩუჱნი მეფე უწყრებოდა თქუჱნს სახელსა და ამ მიზეზისათჳის დარჩა დაუწერლად კნიაზად გედეონისშვილი არტიკულში. სხუჱბრ გთხოვთ თქუჱნის ვითარების ცნობით დაუვიწყებელ-მყოთ, რომლისთჳსაცა ფრიად მმადლობელად დავშთები. თქუჱნი ყ˜დ უსამღვდელოესობისა სამსახურის მოსურნე საქართველოს დედოფალი დარია [დ˜ფალი] [დარეჯან] იანვრის ჱ დღესა.“[922]

რატომ იყო დაძაბული ურთიერთობა ერეკლე II-სა და გედევანიშვილების ოჯახს შორის? ამის შესახებ რამდენიმე დოკუმენტიდან ჩანს. ანტონ I-ის მიერ 1783 წელს იოანე გედევანიშვილზე გაცემული ერთ-ერთი სიგელიდან ირკვევა, რომ ერეკლე II გაბრიელ გედევანიშვილის (სარდლის) შვილებს გაუწყრა. გაბრიელს ოთხი ძე ჰყავდა: შიოში, იოსები, იოანე და გიორგი. გაბრიელის შემდეგ სარდალი მისი ვაჟი შიოში გახდა. ერეკლემ შიოშ გედევანიშვილს სარდლობა ჩამოართვა. მეფის და კათალიკოსის ნებით, მცხეთის სარდლობა დავით მაღალაშვილს გადაეცა.[923] დარეჯან დედოფლის წერილს თუ დავუკვირდებით, გეორგიევსკის ტრაქტატის შედგენის დროს თავად-აზნაურთა ნუსხიდან გედევანიშვილთა გვარის ამოღება სწორედ ერეკლესთან მათი უთანხმოების გამო მოხდა. ერეკლე II-ს დაპირისპირება ჰქონდა ასევე იასაულ ბეცია გედევანიშვილთან. ამას ადასტურებს მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვის მიერ საიდუმლო მრჩეველ კოზოდავლევისადმი გაგზავნილი წერილი. ბეცია გედევანიშვილი* ღალატისთვის ერეკლეს დაპატიმრებულიც ჰყოლია. ერთი პერიოდი ბეცია ოჯახით საქართველოდან გახიზნულა.[924] თუმცა, როგორც ჩანს, მან ქართლ-კახეთის მეფესთან ურთიერთობა აღადგინა. 1793 წელს ბეცია გედევანიშვილი კვლავ კათალიკოსის სარდალი,[925] მოგვიანებით კი მცხეთის მოურავიც გახდა, რასაც ადასტურებს კათალიკოს ანტონ II-ის მიერ 1805 წელს გაცემული დოკუმენტი: „მობალახეებისადმი საბალახეს აუღებლობის

922 საქართველოს სიძველენი, I, გვ. 282, №239.

923 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 945, დოკ. 389.

* აღსანიშნავია, რომ დაპირისპირებამდე ბეცია ერეკლე II-ის იასაული იყო, ამას ადასტურებს 1771 წლის დოკუმენტი. *ქართული სამართლის ძეგლები, ტესტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 179.*

924 АКАК, т. VI, стр. 169.

925 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 1018, დოკ. 453.

შესახებ," რომელსაც ამოწმებს სარდალი და მცხეთის მოურავი თავადი ბეცია გედევანიშვილი.[926]*

XVII-XVIII საუკუნეებში გაცემული დოკუმენტების მიხედვით, „მცხეთის სარდლად" დასახელებულია გედევანიშვილთა საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენელი. 1694 წლის სიგელში, რომელიც ნიკოლოზ კათალიკოსის მიერ გედევანიშვილებს ებოძათ, იხსენიება მცხეთის სარდალი გიორგი გედევანიშვილი.[927] 1713 წლის დოკუმენტის მიხედვით, მცხეთის სარდლობა გიორგი გედევანიშვილის შვილს ზაზა გედევანიშვილს ჰქონდა გადაცემული.[928] 1725 წელს მცხეთის სარდლად გაბრიელ გედევანიშვილი ჩანს.[929] გაბრიელი სარდალია აგრეთვე 1741-1748 წლებშიც.[930] იგი სარდლად იხსენიება ასევე 1751 წლის დოკუმენტშიც.[931]

1764 წლის საბუთის მიხედვით, მცხეთის სარდალი გაბრიელ გედევანიშვილის შვილი შოშია (შიოშ) იყო.[932] სარდლობა მას მემკვიდრეობით გადაეცა. 1783 წლის დოკუმენტიდან ჩანს, რომ მცხეთის სარდალი იოანე გედევანიშვილია.[933] როგორც აღვნიშნეთ, გაბრიელ გედევანიშვილის შვილები ერეკლე II-ს დაუპირისპირდნენ, რის გამოც შიოშს სარდლობა ჩამოერთვა და დავით მადალაშვილს გადაეცა. მალე ანტონმა, მეფის ნებართვით, სარდლად გედევანიშვილთა მეორე განაყოფის წარმომადგენელი პეტრე გედეონისძის ვაჟი, იოანე დანიშნა. იოანეს შემდეგ მცხეთის სარდალი იოანეს სახლისკაცი ბეცია გედევანიშვილი იყო.[934] იოანეს ორი ვაჟი ჰყავდა: დავითი და ვახტანგი,[935] თუმცა, ისინი სარდლები ვერ გახდნენ. ბეციას შემდეგ კათალიკოსის სარდლად იოსებ გედევანიშვილი დაინიშნა.

---

926 იქვე, გვ. 1095, დოკ. 516.

* მოგვიანებით, ბეცია გედევანიშვილი რუსეთის ხელისუფლებისაგან თავადობას, სამხედრო წოდებას და ფულად თანხას ითხოვდა, თუმცა, საიმპერატორო ხელისუფლებამ, კერძოდ, საქართველოს უმაღლესი მთავრობის პროკურორმა პლახოტინმა მოიკვლია მისი წარმომავლობა. ტორმასოვის წერილში, რომლითაც მან საიდუმლო მრჩეველს კოზოდავლევს მიმართა, განმარტებულია, რომ გედევანიშვილები შემთხვევით დაეწერნენ თავადებად, მას შემდეგ, რაც ბეცია გედევანიშვილის ძმა 1773 წელს უფლისწულ ლევან ერეკლეს ძესთან და კათალიკოსთან ერთად რუსეთს გაემგზავრა. დელეგაციის წევრთა სია უფლისწულის და კათალიკოსის მიერ გადაცემული ჰქონია საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიას და ბეციას ძმა ამ სიაში მოიხსენიეს, როგორც თავადი, თუმცა, რუსი მადალჩინოსნის მიერ შედგენილი მოხსენების მიხედვით, ბეცია გედევანიშვილი იყო არა თავადი, არამედ მცხეთის ტაძრის საპატიო გლეხი, რომელსაც აზნაურობა ერეკლე II-მ ღალატისთვის ჩამოართვა. საბოლოოდ, რუსეთის ხელისუფლებამ ბეცია გედევანიშვილს ყოველგვარ პრივილეგიაზე უარი უთხრა. *Акты, т. IV, Тиф., 1875, გვ. 169, № 251.*

927 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 603, დოკ. 159.

928 იქვე, გვ. 695-698-699, დოკ. 209.

929 იქვე, გვ. 709, დოკ. 225.

930 იქვე, გვ. 756-797, დოკ. 248.

931 იქვე, გვ. 821, დოკ 294.

932 იქვე, გვ. 851, დოკ. 319.

933 იქვე, გვ. 945, დოკ. 389.

934 იქვე, გვ. 1018, დოკ. 452.

935 იქვე, გვ. 981, დოკ. 421.

ამას ადასტურებს 1811 წლით დათარიღებული დოკუმენტი.[936] სავარაუდოდ, ის იყო კათალიკოსის ჯარის უკანასკნელი სარდალი.

1720 წლის საბუთის მიხედვით, საქართველოს საპატრიარქო ქორდში თექვსმეტ კომლ გლეხს და ორ კომლ აზნაურს (სავარაუდოდ, ისინი გედევანიშვილები უნდა ყოფილიყვნენ) ფლობდა.*[937]

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში სოფელ ქორდში მცხოვრები 13 კომლი გლეხი იყო. მათ შორის: ლომაურები, ლაშაძეები, მახათაძეები, ჯალაბაძეები და სხვ.[938] ქორდში საეკლესიო გლეხების არსებობა დასტურდება 1802 წლის აღწერითაც.[939]

სოფელ ქორდში დამკვიდრებული გედევანიშვილები[940] ყმა-მამულის დასაკუთრების მიზნით, ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, რაც საგვარეულოს წევრებს შორის ხანგრძლივი დავის საფუძველი ხდებოდა. ამას ადასტურებს „განჩინება იოსებ და ბეცია გედევანიშვილების ყმის საქმეზე.“ დოკუმენტი 1783 წელს არის შედგენილი და ჩანს, რომ იოსები და ბეცია დავობდნენ ქორდში მცხოვრები გლეხის-ბერუა ირემასშვილის დაუფლებისათვის. ეს დავა ბეცია გედევანიშვილის სასარგებლოდ გადაწყვეტილა.[941] გედევანიშვილთა დავას ასახავს აგრეთვე ერთი განჩინება, სადაც ჩანს, რომ იოანე გედევანიშვილი (სარდალი) სამეფო კარზე უჩიოდა შოშიას და მის ძმას ბეციას: „ქორდში ჩემ წილ კულუხს თითონ იღებენ, მუხათგვერდს ჩემ წილ ღალას ესენი იღებენ, საფიჩხულეს არ მადგმევინებენო.“[942] დავა ყოფილა 1786 წელს გოგია და იოსებ გედევანიშვილებს შორისაც, ამ დავაში, პატრიარქის ნებით, ბეჟან ამილახვარი ჩარეულა.[943]

---

936 ე. თაყაიშვილი საქართველოს სიძველენი, I, გვ. 283, № 240.

* დოკუმენტში ქორდის ნაცვლად წერია „ქორდა.“

937 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, გვ. 184.

938 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 990-991, დოკ. 429.

939 Акты, Т. I, стр. 461, №575.

940 ქორდის გარდა გედევანიშვილები სხვა სოფლებშიც ფლობდნენ მამულებს. ეს ქონება ეკლესიისაგან ჰქონდათ გადაცემული, რაც საპატრიარქოს წინაშე მათი დამსახურების შედეგი იყო. 1783 წ. ერთი საბუთით, რომელსაც ჰქვია „არზა გედევანიშვილისა ღალის თაობაზე,“ ირკვევა, რომ გედევანიშვილებს ყმები ჰყავდათ სოფელ გოროვანში. *ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 594-595, დოკ. 628.* მცხეთაში გედევანიშვილების კუთვნილება იყო საფიჩხულეები, რაც, მათ შორის დავის საგანი ყოფილა. *იქვე, გვ. 685.* XVIII საუკუნის II ნახევარში გედევანიშვილებს ყმები ჰყოლიათ სასხორში და მუხათგვერდში. *ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 207, დოკ. 191.* ანტონ I კათალიკოსს გაბრიელ გედევანიშვილისათვის მუხათგვერდელი ივანეს ნაცვლად მიუცია ყმა-ბადაშვილი: „თქვენი მკვიდრი ყმა ყოფილიყო ძველადგან მუხათგვერდელი ივანე: ჩვენ ის გამოგართვით და სვეტს ცხოველს შევწირეთ და ამის სანაცვლოდ ბადაშვილი ჩვენი ყმა მემკვიდრე გიბოძეთ.“ *ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 834, დოკ. 305.*

941 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 195, დოკ. 117.

942 იქვე, გვ. 544, დოკ. 312.

943 იქვე, გვ. 350, დოკ. 213.

1782 წლის ერთი დოკუმენტით ვიგებთ, რომ იოსებ გედევანიშვილი უჩიოდა ბეცია გედევანიშვილს ქორდში მცხოვრებ ორ კომლ ირემაშვილზე. იოსებ გედევანიშვილი ერეკლე II-ეს სთხოვდა: „შედონებული და შეწუხებული გახლავარ. თუ ჰქონდა საწინააღმდეგო საბუთი აქამდე ხომ მოიტანდაო.“[944] ერეკლე II-მ ბრძანა, რომ დავა იმ საღამოსვე სამართლიანად გადაეწყვიტათ. მსგავსი ხასიათისაა არზა გედევანიშვილთა ყმების თაობაზე, რომელიც თარიღდება 1768 წლით. როგორც ირკვევა, გლახა გედევანიშვილი თავის ძმას როსტომს სამი კომლი გლეხის გამო უჩიოდა, რომლებიც სასამართლოს მისთვის მიუკუთვნებია, თუმცა, მოპირისპირე მხარე ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა და ერეკლე II-მ ამ დავის მოგვარება თავის მოხელეს გოგია თუხარელს დაავალა.[945] 1791 წელს გედევანიშვილთა შორის დავა იყო „ლომაურ გოგიაზე, ბერუაზე და მის ძმებზე.“ ეს დავა, როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ფიცს უნდა გადაეწყვიტა, რადგან ვერც ერთმა მხარემ (იგულისხმებიან გედევანიშვილები) ყმების კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ წარმოადგინა.[946] 1783 წელს შედგენილ კათალიკოსის სახასო და სააზნაურიშვილო გლეხების დავთრის მიხედვით, გედევანიშვილთა ყმებიდან ქორდში დასახელებულია: „გედევანიშვილის შოშიას ყმა ბურნაძე შიო, ამისავე მახათაძე მღვდელი იოანე, ამისავე ლომოური ივანე, ამისავე ჯალაბაძე პაპუნა, ამისავე ჯალაბაძე გოგილა, აქავ გარსიძის გლახას ყმა კახიაშვილი რევაზა, გედევანიშვილის იოსების ყმა არჩვაძე ზაზუნა, გედევანიშვილის სარდლის ბეციას ყმა მარტყოფელი სვიმონა, ამისავე ლომოური გლახა, ამისავე ლაშაძე გლახა, ამისავე რაზმაძე დავითა ამისავე სვიმონიკა, ამისავე ხევსური პაპუნა.“[947]

დოკუმენტურ წყაროებში ვხვდებით ქორდში მებატონეების მიერ ყმა-გლეხების შევიწროვების ფაქტებს. 1790 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ იოსებ გედევანიშვილის დას, რომელიც დავით კვალიაშვილზე გათხოვდა, დედამამამ მზითევში გაატანა ერთი ყმა საღირაშვილის ბიჭი, რომელიც ბიძამისმა მოიტაცა და თავის სახლში წაიყვანა, მაგრამ რაკი ყმა გედევანიშვილების მკვიდრი იყო, სამეფო კარმა ბეცია გედევანიშვილს დაავალა, რომ გაქცეული საღირაშვილი კვალიაშვილისთვის დაებრუნებინა.[948]

---

944 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 573, დოკ. 607.

945 იქვე, 139, დოკ. 136.

946 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 541, დოკ. 309.

947 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 990. ზემოთ წარმოდგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში იხსენიება ქორდში მცხოვრები ხევსური პაპუნა. ჩვენი აზრით, იგი, ერთ-ერთ საბუთში მოხსენიებული ხევსური საგინას შთამომავალი იყო. ხევსურეთიდან ჩამოსახლებულ გლეხებს დოკუმენტებში გვარები მითითებული არა აქვთ. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შიდა ქართლის სოფლებში გლეხთა გადმოსახლება არაერთი ფაქტით დასტურდება. იხ: *გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986, გვ. 275; გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან, (სოფელი ქორდი), თბ., 2007, გვ. 40;* ქორდში ჯავახეთიდან გლეხის ჩამოსახლების ფაქტიც გვხვდება. *ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 340, დოკ 207.*

948 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 497, 285.

ქორდში გედევანიშვილების რუსული ხელისუფლების დროსაც ფლობდნენ მამულებს. 1804 წლის აღწერის მიხედვით, ამ სოფელში ბეცია, ერასტი, ზაზა და იოსებ გედევანიშვილების საკუთრებაში ყოფილა 400 დღიური საბატონო და 20 დღიური გლეხების საკუთრებაში არსებული მიწა, რომელზეც მოჰყავდათ 70 კოდი პური და ქერი. სოფელში სულ აღრიცხული იყო 31 კომლი (131 მამაკაცი, 104 ქალი). აქედან, 22 კომლი ქართველი (131 მამაკაცი, 104 ქალი), ხოლო 9 კომლი – ოსი (42 მამაკაცი, 37 ქალი).[949]

ქორდში 1818 წლის რუსული კამერალური აღწერის დროს იხსენიებიან: შიო და გოგია არჩვაძეები, სოლომონ მახათაძე, დავით და ნინია რაზმაძეები, გლახა და ტეტია ჩეკაბიძეები, იაკობ, მოსე და დათუა ჯალაბაძეები, გლახა და ნინია ლომაურები, ქიტესა ხაჩიური, თევდორე ბორტიშვილი, ბერო მეტრეველი, გლახა მაისურაძე, ანდრია ხევსურიშვილი და სიმონ ლომიძე ოჯახებთან ერთად. მემამულეები: ბეცია, ერასტი, საამ და იოსებ გედევანიშვილები. სოფლის სახნავად ვარგისი მიწების რაოდენობა 200 დღიურამდე შემცირებულა, ხოლო ვენახების – 19 დღიურამდე. იქვეა მითითებული 1 ერთთვლიანი წისქვილი და ციხე-სიმაგრე, რომელიც ბეცია და ნიკოლოზ გედევანიშვილების საკუთრებაში იყო. აღწერის მიხედვით, „ეპიდემიებისაგან გარდაცვლილთა და სხვა სოფლებში გადასახლებულთა გარდა, ადგილზე ცხოვრობდა გადასახადების გადამხდელი 20 კომლი.“[950] როგორც ჩანს, ქორდში მოსახლეობის შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეპიდემია გახდა.

გორის მაზრის 1831 წლის საეკლესიო გლეხების სიის მიხედვით, სვეტიცხოველი ქორდში ფლობდა ათ კომლ (34 მამაკაცი, 27 ქალი, სულ 61 სული) ყმას. ესენი იყვნენ:

1. იოსებ გედევანიშვილი (ოჯახის წევრთა რაოდენობა 5);
2. ქვრივი საამ გედევანიშვილი (5);
3. ზაზა გედევანიშვილი (5);
4. ქაიხოსრო სოლომონის ძე ბადაშვილი (5);
5. იოსებ გაბრიელის ძე ბადაშვილი (5);
6. კიკოლა ლომაური (8);
7. დათუა ლომაური (5);
8. გაბრიელ პეტრეს ძე ლომაური (6);
9. გიორგი ხოდელი (9);
10. პეტრე შიუკაშვილი (9).[951]

1842 წლის კამერალურ აღწერაში ქორდში აღწერილია სულ 19 კომლი ყმა (95 სული). გიორგი მახათაძე და მისი შვილი სოლომონი; ანდრია მახათაძე და მისი შვილი – თომა; გრიგოლ რაზმაძე, დათუა, კიკოლა,

949 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა... გვ. 51-52.

950 იქვე, გვ. 393-397.

951 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 1246, გვ. 166-167, Камеральное описание церковных крестьян Горийского уезда, 1831 год.

ბესარიონი, თევდორე, იაკობ და გიორგი ჯალაბაძეები; გოგია მეტრეველი, მანსურა საღირაშვილი, იოსებ ხაჩირაშვილი, ანდრია ხევსურიშვილი, დავით არჩვაძე და სხვ.

სოფელი ყოფილა ბეცია გედევანიშვილის მფლობელობაში. მამასახლისად მოხსენიებულია ალექსი ჯალაბაძე, ხოლო მოსამართლედ: გიორგი ჯალაბაძე.[952]

საგრძნობლად გაიზარდა ქორდის მოსახლეობა XIX ს. ბოლოსათვის. 1886 წელს სოფელში უკვე 68 კომლი ჩანს (აქედან, 153 მამაკაცია, 141 ქალი, სულ 294 სული). ქორდის ყველა მაცხოვრებელი ქართველი (მართლმადიდებელი აღმსარებლობის) იყო. 42 თავად-აზნაურთა ფენას ეკუთვნოდა, გლეხობიდან: 14 სახაზინო კატეგორიაში ირიცხებოდა, 289 საეკლესიო იყო, 9 - პირად საკუთრებაში, ან ხიზანი.[953]

გვიანფეოდალურ ქართლში, ხშირი იყო ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოსახლეობის მიგრაცია, რაც გამოწვეული იყო მათ მიერ მებატონეებისადმი გამოხატული პროტესტით, ანდა სამუშაოს ძებნით. როგორც გ. ჯალაბაძე აღნიშნავს: „იმერეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული იყო ტერმინი „ნაქართლი," რომლის ქვეშაც იგულისხმებოდა ის კაცი, რომელიც ქართლში სამუშაოდ დაიარებოდა ხოლმე."[954] XVIII საუკუნეში სოფელ ქორდში არაერთი შემთხვევა იყო, როდესაც აქ ქვეყნის სხვა კუთხიდან მოსული ადამიანი დამკვიდრებულა. როგორც ითქვა, გლეხთა მოძრაობას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, საგარეო მტრის შემოსევები იყო. მაგ. 1779 წლის ერთი დოკუმენტით ვიგებთ, რომ სოფელ ტამალიდან ბეჟან დოროთაშვილის ნამზითევი ყმა დმანისში გადასულა. დმანისი რომ აყრილა, დოროთაშვილს ეს ყმები თავისი სამი შვილით ქორდში პეტრე გედევანიშვილისათვის მიუბარებია.[955] ჯავახეთიდან მოხვედრილა ქორდში ჯავახი ზურაბა.[956]

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის პოლიტიკური ცხოვრება უკიდურესად გამწვავდა. ამაში როლი შეასრულა მეზობელი აგრესიული სახელმწიფოების დამოკიდებულებამ და, აგრეთვე, „ლეკიანობამ," რამაც ჩვენი ქვეყანა მძიმე შედეგამდე მიიყვანა.[957] ერეკლე II-მ აქტიური ღონისძიებებით სცადა მარბიელთა თავდასხმების აღკვეთა. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენდა მის მიერ „ზემო ქართლის მდევრობის განწესება". 1772 წელს მიღებული დოკუმენტით, ქართლ-კახეთის მეფემ შიდა ქა-

952 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 1951, გვ. 343-349, Камеральное описание церковных крестьян Ксанского участка Горийского уезда, 1842 года.

953 Свод статистических данных о населений Закавказского края излеченных из посемеичных списковь 1886 г. Тифлисская губерния, Горийский уьезд, Цхинвальский участок, Тифл., 1893 №1315.

954 გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986, გვ. 275

955 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 69.

956 იქვე, გვ. 340.

957 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ. 1973, გვ. 197; გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005, გვ. 149.

რთლის სოფლები სამხედრო თვალსაზრისით, გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, სამდევროებად დაჰყო. სოფელი ქორდი ბელოთთან, საცხენისთან, ვანათთან, არბოსთან და დიცთან ერთად, ერთ სამდევროში შედიოდა.[958]

სწორედ ლეკიანობის მომძლავრებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ სოფელ ქორდში მთიელ მძარცველთაგან თავდაცვის მიზნით ციხე-სიმაგრე აიგო, რომელსაც მტრის თავდასხმის დროს სოფელი თავს აფარებდა.[959]*

სოფელ ქორდში გავრცელებული გვარებია: ხაჩიური, საღირაშვილი, ლომოური, ჯალაბაძე, მახათაძე, არჩუაძე, მეტრეველი, ინაური, ქოქოშვილი, თომაშვილი, მედოიძე, ცერაძე, ღონღაძე, ასკილაშვილი, ტერაშვილი, ბადაშვილი, დემეტრაშვილი. სოფელ ქორდში შემდეგი ტოპონიმები გვხვდება: ქინძიანები, ძაგიასეული, რიყეები, ჭადრები, თუთები, ლარები, ქვიანები, ბაზიაურები, ნამგალები, ბაგები, ბადაურები, ნახახვარი და სხვ.

არბო

არბო ერთ-ერთი უძველესი სოფელია შიდა ქართლში.[960] იგი მდ. პატარა ლიახვის შუა წელზე მდებარეობს. არბოს შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ვარიანს ზეით ერთვის ლიახუს აღმოსავლეთიდამ პატარა ლიახჯ. ამის გამო ეწოდა დაბასა შერთული. ვანათამდე არს ვენახიანი, ხილიანი, დაბნებიანი და მრწყველი ველთა გორს ზეითისა, მეჯუდის მდინარისა და პატარას ლიახუს შუათთა, გუერდისძირამდე. შერთულს ზეით არს ეკლესია არბო-წმიდისა, სასწაულთმოქმედი, პატარა ლიახჯს კიდეზე, დასავლით.“ ვახუშტი სქოლიოში დასძენს: „ვგონებ აქა ტფილელის აბოს ნაწილსა და სახელსა ზედა მისსა აღშენებულსა და სასწაულსაც მის მიერ.“[961] როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, ვახუშტი აქ უფრო გადმოცემას ეყრდნობა, რაც, სავარაუდოა, რომ მისი სამეცნიერო ექსპედიციის წევრებმა ადგილობრივი მოსახლეობისაგან ჩაიწერეს. საინტერესოა, რომ სოფელ არბოს ის „არბო-წმიდის“ სახელით იხსენიებს. იოანე ბატონიშვილი პატარა ლიახვის ხეობის ქვემო წელზე არსებულ სოფლებს გვერდისძირს მიაწერს, მათ შორის არბოსაც: „ქ. ძევერა მოსახლე, ქ. შერთული მოსახლე, ტყვიავი მოსახლე, ქ. კარბი მოსახლე, ქ. ქორდი, ქ. დიცი მოსახლე, ქ. არბო მოსახლე, ქ. ქვაბთა მოსახლე, ქ. სარაბუკი მოსახლე, ქ. ვანათი მოსახლე, ქ. სათიხარი მოსახლე, ქ. დისევი მოსახლე, ქ. კულბითი მოსახლე,

958 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 13714.

959 * ქორდელები რომ აქტიურად მონაწილეობდნენ თავდაცვით ღონისძიებებში უფრო ადრინდელი დოკუმენტებითაც ჩანს. XVII საუკუნით დათარიღებული ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ ქორდიდან 17 სახასო მოლაშქრე გამოდიოდა იხ: *მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I, გვ. 226.*

960 არბოს ისტორიის შესახებ იხ. გ. სოსიაშვილი, სოფელ არბოს ისტორიიდან, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 2019, გვ. 102-147.

961 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 369.

ქ. მერე მოსახლე ...ესე სოფლები გვერდისძირს მიეწერებოდნენ იულონ ბატონიშვილს ეჭირა, ახლა ქსნის ერისთავთა აქუთ.“[962]

როგორც მივუთითებდით, ვახუშტი სოფელ არბოს „არბო-წმინდად“ იხსენიებს. არბო-წმიდის მსგავსად ქართლში არსებობდა და დღესაც არსებობს სოფლები საბაწმიდა (დიდი ლიახვის ხეობაში),[963] ასევე, თედოწმინდა. საფუძველს მოკლებული არ იქნება, თუ ვიტყვით: არბოს თავდაპირველი სახელწოდება არბო-წმინდა უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ საქართველოში, კერძოდ კი ქიზიყში არსებობდა სოფელი არბოშიკი, რომელსაც XVIII საუკუნის გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტიც იხსენიებს.[964] წარმოშობით არბოელმა ისტორიკოსმა აწ. განსვენებულმა პროფ. ნ. ლომოურმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფელი არბო, სავარაუდოდ, სწორედ ქიზიყის არბოშიკიდან გადმოსახლებულმა ლომოურებმა დააფუძნეს და ეს სახელიც იქიდან უნდა გადმოეტანათო.

არსებობს მოსაზრება, რომელიც „არბოს“ არაბების მიერ ნაწამებ წმ. - აბოს სახელთან აკავშირებს. ცნობილ ხალხოსან მწერალს, ნ. ლომოურს, რომელიც არბოს მკვიდრი იყო, სარწმუნოდ მიაჩნია სოფლის სახელის „არბოს“ დაკავშირება VIII საუკუნის მოწამე აბოსთან, ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „არის მართლა სოფ. არბოში საფლავი წმინდა მოწამისა აბოსი? ანუ ვისგან არის აშენებული მოხსენიებული ეკკლესია? – ამ კითხვებზე ისტორიულად დასაბუთებული პასუხების მიცემა ძნელია; ის კი ცხადია, რომ ეს სოფელი და მისი ხატი იმავ ძველის დროდგანვე სახელ განთქმული ყოფილა მთელს შიგნითა ქართლში, რომლის მცხოვრებელნი დიდის პატივისცემით და თაყვანებით ეპყრობოდნენ მას. ამ მხარეში აქამომდე ხშირად გაიგონებს ადამიანი ფიცილსა – „არბოს მადლმაო.“ რაღა თქმა უნდა საგანი ამ ფიცილისა არის წმ. მოწამე აბო და არა სოფელი!“[965] სამეცნიერო ლიტერატურაში „არბოს“ წმ. აბოსაგან წარმომავლობა გაზიარებული არ არის.[966] სოფელ არბოს აბო წმინდად მოიხსენიებს XIX საუკუნის გამოჩენილი ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე.[967]

მდ. პატარა ლიახვს რამდენიმე შენაკადი უერთდებოდა.[968] ერთ-ერთი

962 იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 40.

963 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 38.

964 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 257.

965 ნ. ლომოური, პუბლიცისტური წერილები, შემდგენელი ხ. მურადაშვილი, თბ., 2002, გვ. 138.

966 ი. მეგრელიძე სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1986, გვ. 20.

967 M. Brosset, Rapports sur un voyage archeologgique dans la Georgie et dans Larmenie, exsecuite en 1847-1848, III, St. Petersbourg, 1851, p. 63.

968 გ. სოსიაშვილი, მდ. პატარა ლიახვის ხეობაში გავრცელებული ჰიდრონიმები, „ანალები,“ 2018, №14, გვ. 134-152.

ასეთი შენაკადი „მერეს“ ხევი (სავარაუდოდ, აქედან მომდინარეობს არბოს მეზობლად არსებული სოფელ მერეთის სახელწოდება), ვახუშტის ცნობით, პატარა ლიახვს არბოს ჩრდილოეთის მხრიდან ერთვოდა: „ამ არბოწმიდის ზეით ერთვის პატარა ლიახვს აღმოსავლიდამ მერის ხევი.“[969] არბოს აღმოსავლეთ მხარეს მდ. პატარა ლიახვის ჭალაა. იქვე ახლოს პატარა ლიახვის ნაპირზე, როგორც აღვნიშნეთ, სოფელი მერეთია, რომელსაც არბოსთან ხიდი აკავშირებს. არბოს ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფელი ქსუისია, ქსუისის ჩრდილოეთით სოფელი ჭარები. არბოს ჩრდილო-დასავლეთით სოფელ ერედვის სავარგულებია.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ე. წ. საოკუპაციო ხაზი სოფელ არბოსთან გაავლეს. დოკუმენტურ წყაროებში სოფელი არბო XVII საუკუნიდან იხსენიება. როგორც თ. ჟორდანია მიუთითებს, ქართლის მეფე ლუარსაბ II-ს სოფელ არბოსთვის 5 კომლი გლეხი შეუწირავს: „ქ-კს: სჟზ: მეფე ლუარსაბ სწირავს სოფ. არბოს ხუთ კვამლ გლეხს. ქ-კს: სჟზ. მარტის: კბ: (სიგელი მცხეთისა №25, ნუსხა № მც. დაწერილი ხელითა კარის მწიგნობრის რევიშვილის ქუმსისათა).“[970] 1609 წლის 22 მარტით დათარიღებულ, ლუარსაბ II-ის შეწირულობის სიგელიდან ირკვევა, რომ არბოში მცხოვრები ხუთი კომლი გლეხი, ასევე, გერის წმინდა გიორგის ტაძარი ქართლის მეფემ სვეტიცხოველს უბოძა: „ქ. შეწევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, ღ(მრ)თივ-გუირგუინოსანმან, მეფეთ [მეფემან] ლუარსაბ, ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და შემოგწირეთ [პა]ტიოსანსა ღ(მრ)თივ-აღმართებულსა სვეტსა ცხოველსა, კვართსა [სამეუფო]სა და მირონსა ქრისტესა: ლიახვის პირს სოფელი არბო მეფ[ობისა] ჩუენისა წარსამართებლად და სულისა ჩუენისა სახსრად დღესა მას [საშინელსა]. შეიწირე მცირე ესე შესაწირავი თქვენ, პატიოსანო ღ(მრ)თივ-[აღმარ]თებულო სვეტო ცხოველო, კვართო საუფლო და მირო[ნოქრ]ისტესო, და ნაცვალ-გვაგე მადლი და ფარვა თქვენ მიერი და [წარმა]რთე მეფობა ჩუენი. არს არბოს ჩუენგან შეწირული: ბ[...]იული პაპუნა, კუამლი ერთი, ბაღნიაშვილი მაისა, კუმლი ერთი,[...]ე ბერუა კუმლი ერთი, ფიჩხნარაშვილი ირემა, კუმლი ერთი, მისი განაყოფი მგელია კუმლი ერთი. ესები მათის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა, მთითა და ბარითა, წყალითა, წისქვილითა, შესავლითა და გამოსავლითა, შენითა და ოჭრითა, ყოვლის მისის სამჭმოთა თქვენთვის შემოგუიწირავს. შეიწირე პატიოსანო ღ(მრ)თივ-აღმართებულო სვეტო ცხოველო, კვართო საუფლოო და მირონო ქრისტესო. აწე, კიდევე საყდარი გერისა მთავარმოწამე და მისი შესავალი სოფელი არბო მისის შესავლითა. ესები ყოვლითურთ თქვენთვის შემოგუიწირავს ყოველთა მეფეთა და მეპატრონეთაგან მოუშლელად...“[971]

969 გ. სოსიაშვილი, მდ. პატარა ლიახვის ხეობაში გავრცელებული ჰიდრონიმები, „ანალები,“ 2018, №14, გვ. 134-152.

970 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გამოსაცემად მოამზადა მანანა ჭუმბურიძემ, თბ., 2018, გვ. 437.

971 დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ავტორები: ქართველიშვილი თეა, ბაინდურაშვილი ხათუნა,

1617 წლის ერთ-ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გერი და გერისთავი არაგვის ერისთავების საკუთრებას წარმოადგენდა, რომელიც სამეფო ხელისუფლებას სვეტიცხოვლისათვის ჰქონდა ბოძებული. ნუგზარ არაგვის ერისთავმა სვეტიცხოვლის მამულები: არბო და გენესმანი დაიკავა და მათ სანაცვლოდ, სოფელ ქორდში სამი კომლი გლეხი შეწირა.[972]

გვიანფეოდალურ პერიოდში, ისევე, როგორც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, პატარა ლიახვის ხეობის სოფლებშიც თვალში საცემია სოციალურ ფენებს შორის არსებული წინააღმდეგობანი. დოკუმენტურ წყაროებში ხშირად ვხვდებით გლეხთა უფლებების დარღვევის და მათი გაყიდვის ფაქტებს. მაგ. 1778 წლის 2 აგვისტოს სამჯერ გაყიდული პაატა იმერელი ერეკლე II-ს სთხოვდა სამართლის აღსრულებას. თავდაპირველად, იგი იმერელი აზნაურის ყმა ყოფილა, რომელსაც ახალციხეში გაუყიდია. პაატას ტყვეობიდან თავი დაუხსნია და ჯერ სურამში ჩასულა, ხოლო შემდეგ არბოში მირზაშვილთან დამდგარა, თუმცა, მირზაშვილს აუყრია და ისევ თავის ძველ ბატონთან დაუბრუნებია.

მებატონეების ძალმომრეობით შეწუხებული და საკუთარ ქვეყანაში სამშობლოდაკარგულმა გლეხმა მეფეს მიმართა: „სამჯერ გაყიდული ვარ, მეოთხედ ეს არის თქვენს საფარველს მამიტანებია, ღმერთი გაგიმარჯვებსთ საქრისტიანოს ხელმწიფევ, ერთი ოქმის წყალობა მიყავით, რომე თქვენი ყმა ვიყო, ერთი ალაგი მიბოძოთ სადმე ვიდგე და გემსახურო თქვენის შვილების სადღეგრძელოთ.“[973]

სოციალური დაპირისპირების ფაქტები უფრო გვიანდელ პერიოდშიც გვხვდება. არბოში მცხოვრებ გლეხებს, როგორც ჩანს, ერედველი ფავლენიშვილები ავიწროებდნენ. 1880 წლის 10 აპრილს ალექსი გოგიჩაშვილმა, გიორგი გუჩმაზაშვილმა და ალექსი ფიჩხნარაშვილმა ცხინვალის „პრისტავთან“ იჩივლეს: „არბოში, გასულ წელს საჯარო ვაჭრობით ილიკო ფავლენიშვილისაგან შეძენილ მიწას ვხნავდით, როდესაც ერედვში მაცხოვრებელი კოტე ფავლენიშვილი თოფითა და კომბლით შეიარაღებული თავს დაგვესხა და მოკვლას გვიპირებდა, რომ არ გაგვეკოჭა. თუმცა, ის ამის შემდეგაც აგრძელებდა მუქარას, რომ სადაც კი დაგვახელებდა, იქვე დაგვხოცავდა, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, ამ კაციის აგრესიისაგან დაგვიცავითო.“ არბოელ გლეხებს მოწმეებათ ჰყავდათ: დიაკვანი დიმიტრი ხუტუბოვი, ვასილ ლომაური და სოფლის მოსამართლეები: ივანე მაისურაძე და სოლომონ გვიმრაძე.[974]

გვიანფეოდალურ ხანაში, ქართლში „ლეკიანობის“ გავრცელების დროს, არბო, პატარა ლიახვის რამდენიმე სოფელთან ერთად, ერეკლე

გელაშვილი ირაკლი, გოგოლაძე თამაზ, შაორშაძე მაია, ჯოჯუა თემო, რედ. მზია სურგულაძე, ტ. I, თბ., 2019, გვ. 88-89.

972 დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. I, გვ. 442.

973 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 413, დოკ. 433.

974 История Юго-Осетий в документах и материалах (1864-1900), сост. Т. Д. Тогошвили и Цховребов, т. III, Сталинир., 1961, ч. I, стр. 152, док. № 85.

II-ის 1772 წლის 28 აგვისტოს ბრძანების თანახმად, ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლის მეორე უბანში შედიოდა.[975]

ერეკლე II-ის დროს არბოელები აქტიურად მსახურობდნენ „მორიგე ჯარში.“ XVIII საუკუნის 70-იანი წლებით თარიღდება სოფელ არბოდან მორიგე ჯარში მონაწილე პირთა სია, სადაც არბოდან გამომსვლელი მოლაშქრეები თვეების მიხედვით არიან განაწილებულები. არბოს მცხოვრებთა და, ზოგადად, ზემო ქართლის სადროშოში შემავალი სოფლების ასეთი მობილიზაცია, სწორედ „ლეკიანობის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. „არბოს მორიგეთა ნუსხაში“ ვკითხულობთ:

„ღვთით მარტში უნდა იყოს მორიგეთ

ქ. არბოდამ ფიჩხნარას-შვილი თევდორე,

ქ. არბოდამ ხიზანი სახასო სურამელი ჯობაძე მანძულა,

ქ. არბოდამ ხიზანი სარდალ სალთუხუცის ყმა საკარელი დავითას-შვილი გოგია.

ღვთით აპრილში უნდა იყოს მორიგედ:

ქ. არბოდამ ხიზანი სარდალ მოურავის ყმა ქარელელი ხუცისშვილი ქიტესა,

ქ. არბოდამ ხიზანი დავით ფალავანდის-შვილის ყმა ბუზალაძე მამუკას შვილი ბერი,

ქ. არბოდამ ხიზანი დათეშ ჩხეიძის ყმა ყეენის-შვილი რევაზა.

ღვთით მაისში უნდა იყოს მორიგედ:

ქ. არბოდამ ხიზანი იულონ ბატონის-შვილის ყმა დარჩიაშვილი გოდერძა.

ქ. არბოდამ ბაღნიაშვილი ქიტესა,

ქ. არბოდამ აზნაურშვილი ჟურიული ზაზა.

ღვთით თიბათვეში უნდა იყოს მორიგედ:

ქ. არბოდამ გვიმრაძე დავითის შვილი დეკანოზი გიორგი.

ქ. არბოდამ ფიჩხნარას-შვილი ქრისტესია,

ქ. არბოდამ ხიზანი სარდალ სალთუხუცეს ყმა საკარელი დავითას-შვილი თუმანა.

ღვთით მკათათვეში უნდა იყოს მორიგედ:

ქ. არბოდამ ბაღნიაშვილი გოგია,

ქ. არბოდამ ხიზანი იულონ ბატონის-შვილის ყმა დარჩიას-შვილი ბერძენა.

ღვთით მარიამობისთვეში უნდა იყოს მორიგედ:

ქ. არბოდამ გვიმრაძე დავითის შვილი იორდანე,

ქ. არბოდამ ხიზანი სახასო სურამელი კობაძე ზურაბას-შვილი ოქრუა,

ქ. არბოდამ ბაღნიას-შვილი ნასყიდა.

ღ თით ენკენისთვეში უნდა იყოს მორიგედ:

ქ. არბოდამ ბაღნიაშვილი პეტრე,’

ქ. არბოდამ ხიზანი იულონ ბატონის-შვილის ყმა დარჩიას შვილი პეტრე,

975 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 297.

ქ. არბოდამ აზნაურშვილი ჟურიული მღვდელი ანდრია.

ღვთით ღვინობის თვეში უნდა იყოს მორიგედ:

ქ. არბოდამ ხიზანი სარდალ მოურავის ყმა ქარელელი ხუცის-შვილი გოგია,

ქ. არბოდამ ხიზანი დავით ფალავანდიშვილის ყმა ბუზალაძე მამუკას შვილი შიო,

ქ. არბოდამ ხიზანი დათეშ ჩხეიძის ყმა ყეენაშვილი დათუნა.

ღვთით გიორგობის თვეში უნდა იყოს მორიგედ:

ქ. არბოდამ აზნაურშვილი ჟურიული გოგია,

ქ. არბოდამ ამისივე ყმა კაპანაძე სეხნიაშვილი სვიმონა,

ქ. არბოდამ ამისივე ყმა კაპანაძე... გიორგის-შვილი გიორგი,

ქ. არბოდამ აზნაურშვილი გედევანის-შვილი მღვდელი რომანოზ.

ღვთით ქრისტის შობის თვეში უნდა იყოს მორიგედ:

ქ. არბოდამ ხიზანი გოგია თუხარლის-შვილის ყმა წოლდელი ბერის შვილი გულია,

ქ. არბოდამ ხიზანი ოსინაშვილის ქრისტესიას ყმა დრუსტაშვილი იამან.

ღვთით იანვარში უნდა იყოს მორიგედ:

ქ. არბოდამ ხიზანი გლახა ალექსის შვილის ყმა წედელი გვარამაძე დავითა,

ქ. არბოდამ ხიზანი ტეტია გარსევანაშვილის ყმა გორელი ბერაზე დათუნას-შვილი ოთარა.

ღვთით ფებერვალში უნდა იყოს მორიგედ:

ქ. არბოდამ ხიზანი იულონ ბატონის-შვილის ყმა დარჩიაშვილი ზაალა,

ქ. არბოდამ მაზანას-შვილი პავლე."[976]

მორიგე ჯარში წლის განმავლობაში სოფელ არბოდან სულ 33 მოლაშქრე უნდა გამოსულიყო.

1801 წლის მონაცემებით, არბო ერეკლე II-ის ვაჟის იულონ ბატონიშვილის საკუთრებას წარმოადგენდა, სადაც მას სამღებროც ჰქონდა. სამღებროების შემოსავალში მითითებულია, რომ არბოს სამღებრო თერთმეტ თუმანზე მეტ შემოსავალს იძლეოდა: „ქ. არბოს სამღებროს იჯარიდამ თერთმეტი თუმანი და შვიდი მინალთუნი."[977]

იულონ ბატონიშვილის რუსულ ხელისუფლებასთან დაპირისპირებისა და იმერეთში გაქცევის შემდეგ, არბოს იჯარა მანუჩარ მდივნის (იგულისხმება მანუჩარ თუმანიშვილი) ხელში გადასულა, ხოლო შემდეგ მისგან იჯარით აუღია გოგია დონდარაშვილს. საქართველოს მმართველის პეტრე ფანიჩის[978] დავალებით, არბოს იჯარის ანგარიში შეუდგენია გიორგი ამილახვარს, სადაც ვკითხულობთ:

976 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. II, თბ., 1953, გვ. 81-83, № 126.

977 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, ტ. I, თბ., 1938, გვ. 192.

978 გვარი მოგვყავს ისე, როგორც დოკუმენტის დედანშია. სავარაუდოდ, უნდა იყოს პანიჩის.

„დ (ოთხი თუმანი) ქ. მანუჩარ მდივანს დაეხარჯა ორის ბარათით ოთხი თუმანი. პირველი ბარათი მარტისა ß იყო და მეორე ბარათი მაისის ე.

ბ (ორი თუმანი) ქ. ერისთვიანთ დაეხარჯათ ორი თუმანი ბარათით ივლისის ი.

ა (ერთი თუმანი) ქ. ეკლესიის წმინდის გიორგის არბოს შეწირული არბოს დეკანოზ დაეხარჯა ბარათით ერთი თუმანი მკათათვის ა.

ßწ (ორი თუმანი და

ოთხი მინალთუნი) ქ. კაპიტან-ისპრავნიკს დაეხარჯა თავისი ბარათით ორი თუმანი და ოთხი მინალთუნი სეკდემბრის კდ.

ა (თუმანი) ქ. მოურავს მირზაშვილს დაუხარჯამს თავისის ბარათით თავის ათის თავში ერთი თუმანი მკათათვის ა.

გხ (სამი თუმანი და ექვსი მინალთუნი) ქ. ჯანუაშვილი გოგიასათვინ მიგაცემინე დანარჩომი მაღაქელაშვილის ბარათით სამი თუმანი და ექვსი მინალთუნი დეკემბრის იß.

.....

იქნა ზემო ექვსი კალმის მიცემულის ჯამი თოთხმეტი თუმანი.

ეს ბარათები ჩვენ (გიორგი ამილახვარმა, – გ. ს.) გამოგართვით და ეს ერთიანი დიდი ბარათი მოგეცით თოთხმეტი თუმნის, რომ ამ იჯარის შენ-ზედ აღარა არისრა დარჩომილი, დეკემბრის ით, ქკს უჟ.

თავადი გიორგი ამილახვარი.“[979]

არბოს მოსახლეობის შესახებ ყველაზე უფრო ადრინდელი ცნობები შემოგვინახა „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდმა დავთარმა.“ ოს-მალეთის ხელისუფლების მიერ ქართლის სოფლების აღწერის მიზნით შედგენილი ფისკალური დოკუმენტი ძალზე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს არა მარტო მოსახლეობის რაოდენობის, არამედ მათი სამეურნეო საქმიანობის, დამპყრობელთა მიერ დაკისრებული გადასახადების შესახებ და სხვ. „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ აღწერილია დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლებიც,[980] მათ შორის, არბო. თურ-ქულ დოკუმენტში ვკითხულობთ:

„ონია ძე ბათასი გიორგი ძე ბაბუნასი
თამაზა ძმა მისი სიმონა ძე მისი
ბერი ძე იორგისა (უნდა იყოს გიორგისა, – გ. ს) გიორგი ძე ფირანასი
იორგი ძმა მისი ზათუნა ძე იორგისა
თევდორე ძე გიგითასი სეხნია ძე მისი
ზაქარა ძმა მისი გიორგი ძე იასესი
შიო ძე ბისიტასი ხოსია ძმა მისი

979 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, მასალები შეარ-ჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, ტ. II, თბ., 1953, გვ. 252-253, დოკ. 352.

980 იხ. გ. სოსიაშვილი, „ოსმალობა“ და პატარა ლიახვის ხეობა, გორის სახელ-მწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქართულ-თურქული სამეცნიერო კონფერენცია, 11-12 დეკემბერი, 2015, გორი, საქართველო, კონფერენციის მასალები, გვ. 62; გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლო „ოსმალობის“ პერიოდში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქართულ-თურქული სამეცნიერო კონფერენცია, 12-13 დეკემბერი, 2014, გორი, საქართველო, კონფერენციის მასალები, გვ. 51.

დათუნა ძე ბერისა ბირა ძმა მისი
სარქისა ძე იორგისა სიმონა ძმა მისი
ბერი ძმა მისი ნიკოლა ძე დათუნასი
იორგი ძე მისი ბიძინა ძე მისი
იასე ძე ბაბუნასი ქიტესა ძე ბაბუნასი
იოთამა ძე გივასა გიორგი ძმა მისი.“

დავთრის შედგენის დროს, არბოში 15 კომლსა და ამ კომლებში გაერთიანებულ 26 ოჯახს უცხოვრია. დოკუმენტმა არბოს შესახებ დამატებითი ინფორმაციაც შემოგვინახა: „მიწის დღიური მფლობელობა 50, სამეუფო ველის დღიური მფლობელობა 20, სამეუფო ველის ვენახის დღიური მფლობელობა 5, ჯამი მარცვლეულისა ისფენჯი კაცი 26 ახჩა 3120, ხორბალი ქილა 180 ახჩა 3600 ქერი ქილა 90 ახჩა 1350 ჭვავი ქილა 50 ახჩა 750 ფეტვი ქილა 80 ახჩა 1200 უშრის გადასახადი ვენახზე დონუმი 50 თითოეულს 40, ახჩა 2000 გადასახადი ერბოზე 350 გადასახადი არუსანეზე 120 გადასახადი ცხვარზე 390 გადასახადი სკაზე 100 დეშთიბანი, მიწაზე თაფუს გადასახადი 250 გადასახადი ღორზე 120 ბადიჰავა, ჯურუმ ჯიბაიეთ, იავა ვე კაჩკუნ, ბეითალმალი ამე ვე ხასე, მალი გაიფ, მალი მეფკუდ, დიმედიეთ 350 ჯამი 14400.“ ამ დროისათვის არბო გივი ამილახვარს ექვემდებარებოდა.[981]

როგორც ოსმალური დოკუმენტიდან ირკვევა, XVII საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, არბოს მოსახლეობა სოფლის მეურნეობის არაერთ დარგს მისდევდა, მათ შორის მიწათმოქმედებას (მემარცვლეობა-მევენახეობა), მესაქონლეობას, მეფუტკრეობას. არბოელები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის ოსმალებს არაერთ გადასახადს უხდიდნენ. დავთრის შედგენის დროს არბოს მოსახლეობა 26 კომლს შეადგენდა, ხოლო XVIII საუკუნის 70-იან წლებში მორიგე ჯარში არბოდან გამოსული მებრძოლების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არბოს მკვიდრთა რაოდენობა დაახლ. 33 კომლი იყო.

XIX საუკუნის დასაწყისისთვის არბოს მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა. 1804 წლის რუსული კამერალური აღწერის მიხედვით, სოფელი არბოში, რომელიც „საგუბერნიო ქალაქიდან“ – თბილისიდან 83 ვერსის მანძილზე მდებარეობდა, 8 კომლი სახაზინო გლეხი (ქართველები) ცხოვრობდა (აქედან, 40 მამაკაცი, 35 ქალი). სოფელ არბოში იმ დროისთვის 200 დღიური სახნავი მიწის ფართობი იყო. აქ არსებული 7 ვენახიდან გლეხებს მოსდიოდათ 200 კოკა ღვინო.

მევენახეობის გარდა, არბოელებს მარცვლეული კულტურებიც მოჰყავდათ. მათ ძირითად საქმიანობას, ისევე, როგორც 1728 წლის ოსმალურ

981 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 369-370; გ. სოსიაშვილი, დიდი ლიახვის ხეობების 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ოკუპირებული სოფლები „ოსმალობის“ პერიოდში, შუა საუკუნეებში ქართულ-თურქული ურთიერთობები, გორი, 2019, გვ. 120.

დავთარშია მითითებული, მიწათმოქმედება და მეცხოველეობა წარმოადგენდა. ისინი ხეტყის დამზადებითაც (ძირითადად, საყოფაცხოვრებო გამოყენების მიზნით) იყვნენ დაკავებულები.[982] არბოს მოსახლეობა ნახევარი საუკუნის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა.

თბილისის გუბერნიის სტატისტიკური კომიტეტის 1885 წლის მონაცემების მიხედვით, არბოში 44 კომლი საბატონო გლეხი ცხოვრობდა, აქედან 88 მამაკაცი, 86 მანდილოსანი, სულ 174 მოსახლე; საეკლესიო საკუთრებაში იყო 1 კომლი (2 მამაკაცი და 2 მანდილოსანი), კერძო საკუთრებაში (საბატონო) 8 კომლი (21 მამაკაცი და 21 მანდილოსანი), სახაზინო უწყებას ეკუთვნოდა 26 კომლი (65 მამაკაცი და 63 მანდილოსანი), არბოს მოსახლეობიდან ყველა ქართველი იყო. აღწერაში არბოელთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის რაოდენობაც არის მითითებული – 6 ცხენი, 85 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 15 კამეჩი. სოფელში იმ დროისათვის მოქმედი იყო ერთი ეკლესია.[983]

1886 წლის აღწერის მიხედვით, არბოში უკვე 46 კომლი ცხოვრობდა, აქედან, 97 მამაკაცი და 92 - მანდილოსანი (სულ 189 მცხოვრები) იყო – ყველა მათგანი მართლმადიდებელი აღმსარებლობის ქრისტიანი. აქედან, აზნაურთა ფენას ეკუთვნოდა 10 მამაკაცი და 10 მანდილოსანი, სასულიერო პირთა ოჯახებიდან იყო 10 მამაკაცი და 11 მანდილოსანი, სახაზინო გლეხთა კატეგორიიდან – 27 კომლი (69 მამაკაცი და 68 ქალი). არბოში საეკლესიო გლეხებიც ცხოვრობდნენ. სულ დაფიქსირებული იყო 8 კომლი, აქედან – 8 მამაკაცი და 3 მანდილოსანი.[984]

XIX საუკუნის 80-იან წლებში არბოს მოსახლეობა აქტიურად მისდევდა მიწათმოქმედებას. არბოში ხორბლის კარგი მოსავალი მოჰყავდათ. ამას ადასტურებს 1894 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია. გრილი ჰავის გამო არბოში მემარცვლეობას შედარებით ჩამორჩებოდა მევენახეობა.[985] არბოს მოსახლეობისთვის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ტყის უქონლობა. მკაცრი ზამთრის პირობებში მოსახლეობას თავის გატანა უჭირდა. სახელმწიფო ტყით სარგებლობისთვის მათ განსაკუთრებული ნებართვა ესაჭიროვებოდათ, რაზეც ხელისუფლების ჩინოვნიკები ხშირად უარს ეუბნებოდნენ. ამის შესახებ 1893 წელს, გაზეთ „ივერიაში“ ვკითხულობთ: „ს. არბო (გორის მაზრა): თქვენი მტერი იყოს

982 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გვ. 52.

983 Труды Тифлисского губернского статистического комитета : Выпуск 1-й, Сведения за 1884 и 1885 г.г.: С приложением 2-х карт _ Борчалинского и Тифлисского уездов, Под ред. секрет. ком. Игнатовского, Тиф., 1886, გვ. 59. უნდა იგულისხმებოდეს X საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ბაზილიკური ტაძარი.

984 Свод статистических данных о населении Закавказскаго края, извлеченных из посемейных списков 1886 г., издан по распоряжению Главноначальствующаго гражданскою частию на Кавказе Закавказским статистическим комитетом, Тифлисская Губерния, Горийский уезд, V. Цхинвальский участок, Тиф., 1893, №1314. ამავე აღწერის მიხედვით, კახეთში გვხვდება არბოეთი. *იქვე, №1417.*

985 გაზ. „ივერია,“ 1894 წ. 6 ივლისი, № 142, გვ. 2.

ისეთს გაჭირვებაში, როგორშიაც ჩავარდნილია ამ ჟამად ჩვენი პატარა სოფელი. მოდის ზამთარი თავის ყინვითა და ქარაშოტებით და ჩვენს ბედობაზედ წკირი შეშა რა არის, ისიც კი არსაიდამ მოიპოვება. საკუთარი ტყე არა აქვს სოფელსა და სახელმწიფო ტყეებიდამ „ლესნიჩი“ არ გვატანინებს არაფერსა. შარშან ქაღალდი მივართვით ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს და ვთხოვეთ-მოეცათ ნება აქვე ჩვენს ახლო მდებარე სახელმწიფო ტყეებიდამ ჩვენთვის საჭირო შეშა-ფიჩხის გამოტანისა, მაგრამ აქამომდე არავითარი სანუგეშო შედეგი არ მოჰყოლია ამ ქაღალდს.“[986]

1891 წელს, „მწყემსის“ ფურცლებზე „არბოელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში ცნობილი ხალხოსანი მწერალი, არბოს მკვიდრი ნ. ლომოური (1852-1915 წ.წ.)[987] აღნიშნავს, რომ არბოში მოსახლეობის რაოდენობა 30 კომლს შეადგენდა. მოსახლეობის ასეთ მცირე დროში კლება შესაძლებელია შიდა მიგრაციის ან ეპიდემიის შედეგი იყო.[988]

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში არბოს მოსახლეობის რეგისტრაცია (ნათლობა, ქორწინება, გარდაცვალება) არბოს წმინდა გიორგის ე. წ. „მეტრიჩესკი“ წიგნში ფიქსირდებოდა. რეგისტრაციის მონაცემებს ხელს არბოს წმინდა გიორგის მღვდელი გიორგი გვიმრაძე და დიაკვანი ვასილ ლომოური აწერდნენ.

XIX საუკუნის ბოლოს არბოში სიკვდილიანობის მიზეზი არაერთი დაავადება იყო. მათ შორის: „ანთება, სიდამბლე, ჭლექი, ცხელება, ყვავილი, საოფლე, ჯდომი, სიმსივნე.“[989] XIX საუკუნის ბოლოს სოფელ არბოში, ისევე, როგორც პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლებში, ქოლერა მძვინვარებდა, რის გამოც, სპეციალური კარანტინები იყო მოწყობილი. არბოში არსებული კარანტინის შესახებ ნ. ლომოური წერს: „მას აქეთ, რაც ჩვენს ახლო-მახლო სოფლებში ხოლერამ თავი იჩინა, ჩვენი საზოგადოება მტრისგან ალყა-შემორტყმულს ადგილს დაემსგავსა. სრული თვე გადის, რაც ჩვენმა სოფელმა კარები ჩაიკეტა და განუშორებლივ ტრიალებს მხოლოდ შინაურობაში. ვინ იცის, რომელს ჩვენგანს სად რომელი საყვარელი ნათესავი მოუკვდა. ძვირფასი მეგობარი საუკუნოდ მოშორდა, დაახლოვებული კარგი ნაცნობი ცივსა ბნელს სამარეში ჩაემარხა!“[990] მწერლის გადმოცემით, კარანტინი მკაცრად კონტროლდებოდა და ამ პროცესს ადგილობრივი აზნაური, სოფელში დიდი ავტორიტეტით გამორჩეული ფარნაოზ ჟურული ხელმძღვანელობდა: „ორი გზა შემოდის ჩვენს სოფელში და ამ ორსავე გზაზედ, სოფლის განაპირას მაღალ ტარიანი ბაირაღები არჭვია. ამათ გვერდზედ გამართულია ქოხები, რომლებშიაც გამუდმებით დღე და ღამ ჰზის ოროლი ყარაული და თვალ-

986 გაზ. „ივერია,“ 1893 წ. 28 ნოემბერი, № 258, გვ. 2.

987 http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000831/

988 ნ. ლომოური, პუბლისცისტური წერილები, გვ. 19.

989 მეტრიჩესკის წიგნი, მიცემული საქართველო-იმერეთის უწმინდესის მმართებელის სინოდის კანტორიდგან გორის უეზდის არბოს წმინ. გიორგის ეკკლესიასა შინა, ჩასაწერად დაბადებულთა, ქორწინებით შეუღვლილთა და გარდაცვალებულთასა. ჩყეთ წლისა.

990 ნ. ლომოური, პუბლისცისტური წერილები, გვ. 135.

ყურს ადევნებს ამ გზაზედ ხალხის მოძრაობას. ისინი ვალდებულნი არიან, არც არავინ სოფელში შემოუშვან, და არც სოფლიდამ გაუშვან გარეთ. უკეთუ ყარაულმა რაიმე მიზეზის გამო არ შეასრულა ეს მოვალეობა, მაშინ მას ახდევინებენ სამს მანათს ჯარიმას და ერთი დღე ბოსელშიაც უნდა იყოს დამწყვდეული. ყარაულების ზედამხედველად ამორჩეულია სამი უფრო შეგნებული გლეხ-კაცი, რომელთაც სოფლისაგან დროებით ჩაბარებული აქვთ სამართლის წარმოება. თავმჯდომარედ ამ სამის კაცისა ირიცხება უფროსი სანიტარი, ჩვენი პატარა დიქტატორი, ჩვენი სარდალი და წინამძღვარი, მოუღალავი აზ. ფარნაოზ ჟურული."[991] ნ. ლომოურის ცნობით, ჯარიმის სახით შემოსულ თანხას სოფლის მცხოვრები წამლების საყიდლად იყენებდნენ.[992] თუმცა, ზოგიერთ ახლომდებარე სოფლებში, მაგ. ქორდში საკარანტინო შემოსავალი სანიტრების და სოფლის მოხელეების ჯიბეში მიდიოდა და მწერალი იმედს გამოთქვამდა, რომ ბოქაული გუგუშვილი (სახელი მითითებული არ არის) მალე მოაგვარებდა ამ საკითხს.[993]

1927 წლის მონაცემების მიხედვით (ამომრჩეველთა სია), სოფელ არბოში 130 ამომრჩეველია დაფიქსირებული. თუ ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ (საშუალოდ ორი ამომრჩეველი ოჯახში), 1927 წლისათვის არბოში დაახლოებით 60 ოჯახი ცხოვრობდა.[994]

სოფელ არბოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა X საუკუნის წმინდა გიორგის ტაძარი, რომელსაც ქართლის მორწმუნე საზოგადოება თაყვანს სცემდა.[995] ადრეფეოდალური პერიოდში აგებული ბაზილიკური ტიპის სალოცავი, როგორც ს. მაკალათია მიუთითებს, მოხატულიც ყოფილა.[996] ბაზილიკის გვერდით მიშენებული იყო მრგვალი კოშკი, რომლის მხოლოდ ფრაგმენტმა მოაღწია. სავარაუდოდ, კოშკს გალავანიც ჰქონდა.[997] 1924 წელს არბოში ნამყოფი სიძველეთა მკვლევარი გ. ბოჭორიძე ვარაუდობს, რომ ტაძარი ციხეში იყო აშენებული.[998] XX საუკუნის 20-იან წლებში არბოს წმინდა გიორგის ბაზილიკურ ტაძარში დაცული იყო ტილოზე შესრულებული კანკელის ხატები „მცხეთის სკოლისა."[999] როგორც აღვნიშნეთ, არბოს წმინდა გიორგის მცირე ტაძრის გვერდით, სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს კოშკის ფრაგმენტი დღემდეა შემორჩენილი. არ-

991 ნ. ლომოური, პუბლისცისტური წერილები, იქვე, გვ. 136.

992 იქვე.

993 იქვე.

994 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი №3, აღწერა № 471, საქმე №72, გვ. 14-17.

995 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, II, თბ., 1997, გვ. 18; ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 62.

996 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

997 იქვე, გვ. 63.

998 გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გამოსაცემად მოამზადეს ზაზა სხირტლაძემ და ნატალია ჩიტიშვილმა ინგა გოგობერიშვილის მონაწილეობით, თბ., 2011, გვ. 109.

999 იქვე.

ბოს წმიდა გიორგის ტაძარს, გერის ტაძრის უმცროს ძმად თვლიდნენ.[1000]

ს. მაკალათია ამის შესახებ აღნიშნავს: „გერის წმ. გიორგის ხატობა ქართლში ორ ადგილას იმართებოდა: სოფელ გერსა და არბოში. გერი იყო ამ ხატის მთის საბრძანისი, არბო კი – ბარისა.“[1001].

ნ. ლომოურის გადმოცემით, გერში წმინდა გიორგის თავის სარქველი ესვენა.[1002] როდესაც მლოცველები გერის სალოცავიდან ბრუნდებოდნენ, ისინი უსათუოდ უნდა შეჩერებილიყვნენ არბოში და აქაც უნდა მოელოცად. იმ შემთხვევაში, როცა მრევლს გერში უამინდობის გამო ვერ უხერხდებოდა ასვლა, მას შეეძლო ზვარაკი არბოს წმინდა გიორგის სახელობის ტაძრისათვის შეეწირა.

გადმოცემის თანახმად, გერიდან წმინდა გიორგის ნაწილები თამარ მეფემ მის მიერ აგებულ არბოს წმინდა გიორგის ტაძარში გადმოაბრძანა. წმინდა გიორგის ნაწილებიანი ხატი XIX საუკუნის 60-იან წლებამდე არბოს წმინდა გიორგის ტაძარში ინახებოდა. ამას ადასტურებს ალ. გარსევანიშვილის სიტყვები: „იგი აქამომდე განისვენებს მას ეკლესიასა შინა“.

წმინდა გიორგის ნაწილებიანი ხატის გერიდან არბოში გადმობრძანებამ არბოს ტაძარს განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა. საქართველოს სამეფო კარი არბოს ტაძრის მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდა. „მწყემსის“ არბოელი კორესპონდენტი ნიკო ლომოური არბოს ტაძარში იხსენიებს ხატს, რომელიც ლუარსაბ მეფის ძეს ვახტანგს შეუწირავს. მისი გადმოცემით: „არის აქვე ხატი წმ. გიორგისა ვერცხლის ფურცელზე გამოხატული ცხენზე მჯდომარე წმიდა მოწამე და ეს ხატი მიკრულია პატარა ორ მტკაველიან ფიცარზე. სახე წმ. გიორგისა და მოყვანილობა ცხენისა ვერ არიან ხელოვნურად გაკეთებულნი; ფიცარი დაფუტუროებული და კუთხეებ შემოცვეთილია. ეს გარემოებანი ვგონებ ცხადათ აჩვენებენ ხატის სიძველესა. ბოლოში ამ ხატს აქვს ხუცური ასომთავრულით ვრცელი წარწერა, რომლიდამ ამოვიკითხეთ, სამწუხაროდ, მხოლოდ შემდეგი: „ჩვენ გვირგვინოსანმან მეფეთმეფემან ლუარსაბ[1003]. ვახტანგის ძემან...“ დანარჩენი სიტყვებიც სჩანან, მაგრამ ვერცხლის ფურცელი ზოგან ჩაჭყლეტილია, ზოგან გაცვეთილი და ამის გამო ძნელი გამოსარკვევნი არიან. თუ ოდესმე ან მე თვით და ან სხვის შემწეობით მოვახერხე ამოკითხვა ამ წარწერილისა „მწყემსის“ შუამავლობით ვაცნობებ მის შინაარსს მკითხველ საზოგადოებას.“[1004]

1000 ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

1001 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 61

1002 ნ. ლომოური, მოთხრობები, თბ., 1955, გვ. 72.

1003 თუ წარწერა ნ. ლომოურმა სწორად ამოიკითხა, სავარაუდოდ, იგულისხმება ვახტანგ V შაჰნავაზის ძე ლუარსაბი 1660-1698 წ.წ. სხვა ლუარსაბ ვახტანგის ძე უცნობია.

1004 ნ. ლომოური, პუბლიცისტური წერილები, შემდგენელი ხ. მურადაშვილი, თბ., 2002, გვ. 139. აღსანიშნავია, რომ ლუარსაბ I-ის (1527-1556 წ.წ.) ძის ვახტანგ ბატონიშვილის მიერ შეწირული ხატი არბოს წმინდა გიორგის ეკლესიაში 1924 წელს სიძველთმცოდნე გ. ბოჭორიძეს უნახავს. სხვა სიწმინდეებთან იგი არბოში დაბრძანებულ ზემოთ ნახსენებ ხატს გერის წმინდა გიორგის ტაძრის საკუთრებად მიიჩნევდა. მკვლევრის მიერ 1924 წლის 31 მაისს შედგენილ ოქმში: „ნივთები სოფ.

როგორც მკვლევარი ი. მეგრელიძე ასკვნის, ამ წარწერის სრული და უფრო ზუსტი ვარიანტი მარი ბროსემ შემოგვინახა, რომელსაც ეს ხატი უფრო ადრე უნახავს. მკვლევარმა წარწერა ასე ამოიკითხა: „ჩვენ ღვთივ გვირგვინოსნის მეფედ მეფისა და მოწამისა ლუარსაბის ძემან ლევან[1005] გამოვაჭედინე ხატი ესე, სალოცველად და მოსახსენებლად სულისა ჩემისა და ძმისა სადღეგრძელოდ.“[1006] თუმცა, ძალზე საინტერესოა ერთი რამ, ნ. ლომოურის მიხედვით, წარწერა იწყება შემდეგნაირად: „ჩვენ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან ლუარსაბ ვახტანგის ძემან,“ ხოლო, მარი ბროსეს მიხედვით: „ჩვენ ღვთივ გჳრგჳნოსნის მეფეთ მეფისა და მოწამისა ლუარსაბის ძემან...“ წარწერებზე დაყრდნობით შესაძლებელია ვიფიქროთ:

1) ხატზე არსებული წარწერა ნ. ლომოურმა არასწორად ამოიკითხა. უპირატესობა უნდა მივანიჭოთ წარწერის წაკითხვის მარი ბროსესეულ ვერსიას. ნ. ლომოური თავის კორესპონდენციაში მიუთითებს, რომ მან წარწერის სრულყოფილი ამოკითხვა დაზიანების გამო ვერ შეძლო.

2) საქმე გვაქვს განსხვავებული წარწერების მქონე ორ სხვადასხვა ხატთან. ერთი მათგანი, რომელიც მარი ბროსემ ნახა, ლუარსაბ მეფის ძის – ლევანისაგან იყო შეწირული, ხოლო მეორე, რომელზეც ნიკო ლომოური საუბრობს, ლუარსაბის ძემ ვახტანგმა შეწირა. „მწყემსის“ კორესპონდენტის ინფორმაციით, არბოს წმინდა გიორგის ტაძარში ქართველი მეფეების მიერ შეწირული არაერთი საეკლესიო ნივთი ინახებოდა, მათ შორის ერეკლე II-ის მიერ ნაბოძები ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებდა. „ქ. ჩვენ საქართველოს მეფემ ირაკლი მეორემ შემოგწირეთ შენ ჩვენს სასო წმიდა გიორგის არბოსას, ეს ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმ-კამარა ჩვენი სულისა და ხორცის მტერზე გასამარჯვებლად. მისხალი რვა, ქნსა უოვ... (1786).“[1007]

გერის წმ. გიორგის ეკლესიისა, დაცული სოფ. არბოს წმ. გიორგის ეკლესიაში,“ ვკითხულობთ: „421. ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის ხატი წმ. გიორგისა, შეჭედილი ლუარსაბ მეფის ძის(?) ვახტანგის (?) მიერ, ქართული ასომთავრული წარწერით, დაზიანებული (ზურგად ფიცარი აქვს), 351/2-23 სმ. 422. დიდი ჯვარი ხისა, ირგვლივ ვერცხლით შეჭედილი, შემკული ორი თვლით (აკლია ერთი თვალი) და ქართული მხედრული წარწერებით. ჯვრის უკანა მხარეს და ჯვრის ტარზე უკანასკნელი წარწერა იხსენიებს დ. თავყელაშვილს. ჯვარი ძლიერ დაზიანებულია, ბევრ ადგილას ვერცხლის ფურცელი მთლად მოცილებული და დაკარგული აქვს, 67-30 სმ. 423. „დასამწყალობებელი ხატი“ წმ. გიორგისა, გრძელი ტარით, შეჭედილი ვერცხლით, დაზიანებული (ვერცხლის ფურცელი ზოგ ადგილას აგლეჯილი და დაკარგული აქვს), 76-9 სმ. 424. „აზარფეშა“ ანუ განსაზავებელი ვერცხლისა, შეწირული აბრაამ სარქისოვის მიერ 1847 წ., ქართული მხედრული წარწერით. 425. თასი ვერცხლისა, შეწირული ვებუაძის მიერ, ქართული მხედრული წარწერით.“ *გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 285-286.*

1005 იგულისხმება ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის (1527-1556 წწ.) ძე ლევან ბატონიშვილი.

1006 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 21.

https://books.google.ge/books?id=jVLnp3G7YcAC&pg=PP7&source=gbs_selected_pages&cad=2#v=onepage&q&f=false

1007 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 21.

გერიდან გადმობრძანებული წმინდა გიორგის ნაწილებიანი ხატი თავის დროზე ბიზანტიიდან იყო ჩამოტანილი. სამწუხაროდ, ამ ხატის აღწერილობა შემორჩენილი არ გვაქვს. საინტერესოა, რომ ნიკო ლომოური წმინდა გიორგის ნაწილებიან ხატად იხსენიებს ზემოთ ნახსენებ სიწმინდეს, რომელზეც თავად მას ამოუკითხავს ხუცური წარწერის ფრაგმენტი (სადაც ლუარსაბ მეფე იხსენიება). ნ. ლომოური წერს: „როგორცა სჩანს, მთელს ამ ძველს ეკკლესიაში ყველაზედ ღირსშესანიშნავი ეს ხატი უნდა იყვეს, რადგან წმ. ნაწილები მთავარ-მოწამე გიორგისა ძველად ამ ხატში წყობილან. ხატის ზემოთა ნაპირთან, წმ. გიორგის თავის ახლო ვერცხლის ფურცელი ერთი გოჯის სიგრძე-სიგანეზე ამოჭრილია და ცხადათა სჩანს ოთხ-კუთხეთ ჩაღრმავებული ფიცარი, სადაც სვენებულან მოხსენიებული ნაწილები. ეხლა სულ მცირე რიცხვი ამ ნაწილებისა ასვენია პატარა ვერცხლის ჯვარში, რომლის სიგრძე არ იქნება სამ გოჯზე მეტი. რათ მომხდარა ეს საქმე? ვის წაუღია დანარჩენი ნაწილები ქართველთა ერის სათაყვანებელი წმინდანისა? ანუ ვისი უკუღმართი მარჯვენა შეხებია ასეთის ჯოჯოხეთურის გაბედულობით სასწაულთმოქმედ ხატსა? ამ საკითხავების პასუხი არაერთხელ გამიგონია ჩემს პატარაობისას მაშინდელ მოხუცებულთაგან და დღესაც არაერთი ხნიანი და დარბაისელი კაცი ემოწმება მათ თავიანთი სინიდისიან ლაპარაკით.“[1008]

ნიკო ლომოურს თანასოფლელებისგან ჩაუწერია არბოს წმინდა გიორგის ხატიდან წმინდა ნაწილების გატაცების ამბავი. ეს ფაქტი, მისი ინფორმაციით, უკავშირდება არბოელ დეკანოზს ანდრია ჟურულს, რომელიც ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფესთან გიორგი XII-სთან ძალზე დაახლოებული იყო. მეფისაგან მას ჩაბარებული ჰქონია არბოში მცხოვრები საეკლესიო ყმების და მამულის მოვლა-პატრონობა. ანდრია ჟურული პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფელ ბელოთის მაცხოვრის სახელობის ტაძრის წინამძღვარიც იყო. ირკვევა, რომ მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ასევე გიორგი XII-ესთან დაპირისპირებულ იულონ ბატონიშვილთან. როგორც ნ. ლომოური გადმოგვცემს, დეკანოზი დაპირისპირებული უფლისწულების ინტრიგებში მონაწილებდა, მას კავშირი ჰქონდა დარეჯან დედოფალთანაც. არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საბოლოოდ, ანდრია ჟურული იძულებული გახდა საქართველოდან გადახვეწილიყო. ნ. ლომოური ამის ნამდვილ მიზეზს ვერ ასახელებს, მან ან დარეჯანი და იულონი დაასმინა გიორგი XII-სთან, ან პირიქით, რაც მისი სამშობლოდან გაქცევის საფუძველი გახდა. ანდრიამ მოზდოკს შეაფარა თავი. მან წასვლის წინ არბოს წმინდა გიორგის ხატიდან (როგორც ნიკო ლომოური გადმოგვცემს, ეს ის ვერცხლით შეჭედილი ხატია, რომელზეც ხუცური წარწერა ამოიკითხა) წმინდა გიორგის ნაწილები ამოიღო და თან წაიღო. სულ მალე დეკანოზმა სიწმინდეები რუს ვაჭრებს მიჰყიდა.

1008 ნ. ლომოური, პუბლიცისტური წერილები, შემდგენელი ხ. მურადაშვილი, თბ., 2002, გვ. 139.

მალე ანდრია ჟურული მოულოდნელად გარდაიცვალა და ამის მიზეზი სწორედ წმინდა გიორგის ნაწილების გაყიდვა იყო. ასეთივე ბედი ეწიათ იმ ვაჭრებს, ვინც არბოდან წაღებული სიწმინდეები შეიძინეს. მოგვიანებით ვერცხლის ჯვარში ჩასვენებული წმინდა ნაწილები საქართველოში დააბრუნეს, თუმცა, მათი ნაწილი დაიკარგა.[1009]

ჩნდება კითხვა: იყო თუ არა ნ. ლომოურის მიერ აღწერილი ხატი ის სიწმინდე, სადაც ერთ დროს წმინდა გიორგის ნაწილები ინახებოდა? გერის მონასტრის ქრონიკის ავტორი იაკობ ლომოური წმინდა გიორგის ნაწილებიან ხატს ბიზანტიიდან ჩამოტანილ სიწმინდედ იხსენიებს, რომელიც კეისარმა ფარსმან მეფეს გადასცა, მეფემ კი თავის გერს უწყალობა. ალ. გარსევანიშვილის ცნობით, წმინდა გიორგის ნაწილებიანი ხატი არბოში თამარ მეფემ გადმოაბრძანა. ჩვენი აზრით, „გერის მონასტრის ქრონიკაში“ მოხსენიებული ხატი არ უნდა იყოს ნიკო ლომოურის მიერ აღწერილი წმინდა გიორგის ხატი. ხალხოსანი მწერლის ცნობით, ხატს ხუცური წარწერა ჰქონდა და მასში ლუარსაბ მეფის ძე ვახტანგი იხსენიებოდა. შესაძლებელია დავუშვათ ორი ვერსია:

1) არბოს წმინდა გიორგის ტაძარში თამარ მეფის მიერ გადმობრძანებული წმინდა გიორგის ნაწილებიანი ხატის გარდა, რომელიც „გერის მონასტრის ქრონიკის“ მიხედვით ბიზანტიიდან იყო ჩამოტანილი, არსებობდა წმინდა ნაწილებიანი მეორე ხატიც, რომელსაც ხუცური წარწერა ჰქონდა, ნიკო ლომოურის მიერ ამოწერილი წარწერის ფრაგმენტის თანახმად, ხატი არბოს წმინდა გიორგის ტაძრისთვის ლუარსაბ მეფის ძე ვახტანგს შეუწირავს.

2) ნ. ლომოურს ადგილობრივი მოსახლეობისგან ჰქონდა მოსმენილი გადმოცემა არბოდან სიწმინდეების დაკარგვის შესახებ და ვარაუდით (თუმცა შეცდომით), წმინდა გიორგის ნაწილებიან ხატად ხუცური წარწერის მქონე ვერცხლის დაზიანებული ხატი მიიჩნია. არ არის გამორიცხული, აღნიშნული ხატის დაზიანების მიზეზი, მასში წმინდა გიორგის ნაწილების ძებნა გახდა.

მოზდოკიდან ჩამობრძანებული წმინდა გიორგის ნაწილები არბოს ტაძარში დიდხანს იყო დაბრძანებული. ნ. ლომოური „გერისთობის“ აღწერის დროს წერს: „სოფელი არბო განთქმულია მთელ ქართლში თავისი „გერისთობით,“ „არბოობით,“ ეს დღეობა ყოველ წლივ აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მოდის ხოლმე. თავგერისთობას აგრე რიგად არავინ არა სწყალობს, მაგრამ მეორე და მესამე სწორზედ კი დიდძალი მლოცავი მოაწყდება ხოლმე აქაურს წმიდის გიორგის ეკლესიას, სადაც აქამომდე ინახებიან ნაწილები მოხსენიებულის მთავარ-მოწამისა.“[1010]

წმინდა გიორგის ნაწილები, როგორც ჩანს, არბოში XIX საუკუნის ბოლომდე ინახებოდა, ხოლო შემდეგ რა ბედი ეწია, აღარ არის ცნობილი. არბოს წმინდა გიორგის ტაძარში მარი ბროსეს სხვა ხატებიც უნახავს და მათზე დატანილი წარწერებიც ამოუკითხავს: „გავაკეთეთ ხატი ესე ჩვენ

1009 ნ. ლომოური, პუბლისცისტური წერილები, გვ. 141-143.
1010 იქვე, გვ. 119.

ერთობით მინდიაშვილებმა, და იყვნეს ამის მოთავენი ბეცია, გოგია და ბასილა, სულისა ჩვენისა სამეოხოდ, წელსა ჩყიზ. 1817წ.“[1011]

„შემოგწირე მე თავყელაშვილმა დავით, წმინდასა გიორგის გერისათჳს, ჩვენის სულის საოხებოთ, ჩემის შვლის სადღეგრძელოდ. ვინც წაიკითხოთ შენდობა ბრძანეთ“ წარწერა მარი ბროსეს დათარიღებული აქვს 1783 წლით.“[1012]

აღნიშნული ხატების ბედი უცნობია. უცნობია ასევე იმ ხატის ადგილსამყოფელიც, რომელიც თამარ მეფემ არბოს ტაძარში გერიდან გადმოაბრძანა. არბოს ეკლესიის მთავარი სიწმინდე 1923 წელს ბოლშევიკების მიერ შედგენილ არბოს ეკლესიის ქონების აღწერაში არ იხსენიება. ტაძრის ნივთების ნუსხაში ვკითხულობთ: „არბოს წმ. გიორგის ეკლესიის: 1. ბარძიმი ვერცხლისა – 3, ბარძიმი ოპლევისა გატეხილი – 1, ფეშხუმი ვერცხლისა – 2, კამარა ვერცხლისა – 2, კოვზი დიდი ვერცხლისა – 1, კოვზი პატარა ვერცხლისა – 2, კოვზი ოპლევისა – 2, ლახვარი ფოლადისა – 1, სასებისკვრე თეფში სპილენძისა – 1, თასი ვერცხლისა პატარები – 7, აზარფეში პატარა ვერცხლისა – 2, შანდლები პატარა თითბრისა და ოპლევისა – 27, შანდალი დიდი – 4, შანდალი საშუალო – 8, სანაწილე ტრაპეზისა ვარშავისა – 1, კანდელი ვარსავისა – 1, საიაზმე სახურავით და უსუპით – 1, საწიგნობელი ხისა – 1, ანალოგ..... (გარკვევით ვერ იკითხება) გადაკრული – 2, ემბაზი – 1, სამირვნე ხისა შუბებით და მაკრატლით – 1, საცეცხლური ოპლევისა – 2, კანკელი სამატაჟიანი – 1, ოდიკი ატლასზედ – 1, ტრაპეზის ჯვარი ოპლევისა – 2, არხიმანდრიტის ჯვარი ოპლევითა და ვერცხლით – 1, წმ. გიორგის ჯვარი ვარშავით – 1, წმ. გიორგის ხატი ვარშავით – 3, წმ. გიორგის ხატი ვარშავით – 16, მაცხოვრის ხატი – 2, ღვთისმშობლის ხატი უბრალო – 8, ღვთისმშობლის ხატი ვერცხლით მოჭედილი – 1, ტრაპეზის ჩასაცმელი – 2, ფილონი მხიარული დიბისა – 3, ფილონი შავი დიბისა – 1, ოლარი მხიარული დიბისა – 3, ოლარი შავი დიბისა – 1, სტიხრები – 2, სამაჯურები – 4, სარტყელი – 3, ფარნები – 2.“[1013]

არბოს წმინდა გიორგის ტაძარში დაცული საეკლესიო ნივთები 1924 წელს აღწერა ცნობილმა ქართველმა სიძველეთმცოდნემ გ. ბოჭორიძემ. ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ აღნუსხული ზოგიერთი ხატი და მღვდელმსახურებისთვის განკუთვილი ნივთების ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა. გ. ბოჭორიძის მიერ შედგენილ არბოს წმინდა გიორგის საეკლესიო ნივთების ჩამონათვალში რამდენიმე ისეთი ხატია, რომელიც 1923 წლის აღწერაში არ გვხდება. არ გამოვრიც-

1011 https://books.google.ge/books?id=jVLnp3G7YcAC&pg=PP7&source=gbs_selected_pages&cad=2#v=onepage&q&f=false

1012 https://books.google.ge/books?id=jVLnp3G7YcAC&pg=PP7&source=gbs_selected_pages&cad=2#v=onepage&q&f=false

1013 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფ. №3, აღწ. 2, საქმე №28; გ. სოსიაშვილი, არბოს წმინდა გიორგის ხატის ისტორიიდან, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, № 4, 2013, გვ. 46-57.

ხავთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული ტერ-ორის დროს, რომელმაც პიკს 1923 წელს მიაღწია,[1014] არბოს ეკლესიაში არსებული სიწმინდეები ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ოჯახებში გადა-მალეს. პატარა ლიახვის ხეობის ამ უძველეს სოფელში ჩასულმა მეცნიერ-მა, როგორც ჩანს, ეკლესიის თითოეული ნივთის ადგილსამყოფელი დაად-გინა და ისინი საგულდაგულოდ აღნუსხა. გ. ბოჭორიძის მიერ შედგენილ არბოს ეკლესიის ნივთების ჩამონათვალში ვკითხულობთ: „ნივთები სოფ. არბოს წმ. გიორგის ეკლესიისა, ოქმი 24. 1924 წ. მაისის 31. 426. ჯვარი ხისა, შეჭედილი ვერცხლით მინდიაშვილების მიერ 1817 წ., ქართული მხე-დრული წარწერით. ტარზე შემოკრული აქვს სპილენძი, 47/22 სმ. ჯვარზე არის შანა, მძივის ზონრით. 427. ვერცხლზე ნაჭედი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, ორად გატეხილი (ზურგად ფიცარი აქვს) და ძლიერ დაზიანებული, შემკული ქართული მხედრული წარწერით (ნაწილ წარწერისა დაკარგუ-ლია), შეწირული ვინმე „თაყინანთ ფარსადანას“ მიერ; ვერცხლის ორი ნატეხი ამოვარდნილი აქვს, 23 /18 სმ. 428. ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა და კოვზი ვერცხლისა, შეწირული ირაკლი მეფის მიერ 1788 წ., მისხალი 125; ქართული მხედრული წარწერით. 429 ბარძიმი ვერცხლისა, წარწერა ოდ-ნავღა მოსჩანს. 430. „განსაზავებელი“ ვერცხლისა, შეწირული ეკატერინე ზანდუკელის მიერ 183,9 წ., ქართული მხედრული წარწერით. 431. კონდაკი დაბეჭდილი 1710 წ. 432. ენქერი, ძველი ხელოვნებისა, 1 ცალი. 433. მცირე ომაგი კოვზი, გატეხილი. 434. ბადიები ვერცხლისა, მცირე-2 ცალი, სულ მცირე-1 ცალი, უბრალო ლითონისა მცირე 1 ცალი, სულ-4 ცალი. 435. შანდალი, სულ მცირე 2 ცალი. 436. შანა-აკვანი ვერცხლისა, 3 ცალი. 438. შანა, მავთულ-დახვეული, 3 ცალი. 439. გულსაკიდი შანა წმ. გიორგისა, სხვა და სხვა ფორმისა, (მრგვალი, ოთხ-კუთხი, ჯვრის სახედი და სხვ.), დიდი და პატარა ა. ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლისა-2 ცალი; ბ. ვერცხლისა 25 ცალი; გ. ვერცხლის შანა წარწერით-არბოს წმ. გიორგისა ვარ; დ. ვერცხლის შანა იესო ქრისტეს ხატით-1 ცალი; ე. შანა-ღვთის-მშობლისა ყრმით; ყველა შანა-ხატები სულ-33 ცალი. 440 შანა-„ხელი“ ვერცხლისა: დიდი-1 ცალი და საშუალო-4 ცალი, პატარა-6 ცალი, სულ-11 ცალი.441. შანა-„ფეხი,“ ვერცხლისა 2 ცალი. 442 შანა-შამფური, ვერცხლი-სა, 2 ცალი. 443. შანა-ყური, ვერცხლისა, 1 ცალი. 444 შანა ვერცხლისა, გულის მსგავსი, დიდ-პატარა, 13 ცალი. 445. გულსაკიდი, უბრალო ლი-თონის თვლით, 1 ცალი. 446. ქინძისთავები: თვლებით-5 ცალი, სადა-10 ცალი, სულ-15 ცალი. 447. გატეხილი ლახვარი(?), 2 ცალი. 448. ფული-შანა, დიდ-პატარა, 5 ცალი. 449. შანას მძივები ერთ ასხმულად. 450. შანის მძი-ვები, დაშლილი: წვრილი-21 ცალი, მსხვილი-5 ცალი, სულ-26 ცალი. 451. მძივები, დაშლილი, 8 ცალი. 452. გულსაკიდი შანა ქვის გულით, 2 ცალი. 4553. შანა ნივთებით: სათვალღვინჭილე, თვალი, ჯვარი და სხვა, სულ-18 ცალი. 454. შანა წმინდა გიორგისა, გვირგვინით. 455. უბის სანაწილე ვერ-

1014 საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში) დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 453.

ცხლისა, უხუფოთ, 1 ცალი. 456. მცირე ყუთი, უბრალო ლითონისა, 1 ცალი. 457. ქამრის ბალთა, 1 ცალი. 458. ბეჭდები: ა. ოქროს თვლიანი-1 ცალი; ბ. ვერცხლისა: ა)თვლიანი-13 ცალი; ბ) თვალნაკლული-1 ცალი; გ) თვალამოვარდნილი-4 ცალი; გ. უბრალო ლითონისა: ა) პირადი-3 ცალი; ბ) წარწერით ქეთევან-1 ცალი; გ) პტყელი-1 ცალი; დ) სადა, უთვლო-9 ცალი; ე) თვლიანი-370 ცალი; ვ) თვალნაკლები-60 ცალი; ზ) თვალამოვარდნილი-50 ცალი; სულ ყველა ბეჭდები-513 ცალი. 459. საყურე, უბრალო ლითონისა, თვლებით: ა. რგვალი ფორმისა-2 ცალი; ერთ მათგანს აკლია 1 თვალი; ბ. სხვა გვარი-10 ცალი; გ. შანა-4 ცალი, სულ-16 ცალი."[1015]

არბოს წმინდა გიორგის ეკლესიაში გ. ბოჭორიძეს 1924 წელს უნახავს ასევე წმ. გიორგის ვერცხლით შეჭედილი ჯვარი (70/34 სმ.) წარწერით: „ქ. ჩვენ ბეჟან[...] არუთინამ შემ[...] წმინდის გიორგის[...] სნეულობისა გამ[...] ქკს უამ."[1016]

არბოს წმინდა გიორგის ტაძარს რამდენიმე სოფელში თავისი ყმები ჰყავდა. 1804 წლის აღწერის მიხედვით, მას ქემფერში (დღ. ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული სოფელი) ეკუთვნოდა 6 კომლი გლეხი (აქედან, 18 მამაკაცი, 12 მანდილოსანი). ისინი 125 დღიური მიწით სარგებლობდნენ, ჰქონდათ 4 ვენახი, სადაც მოჰყავდათ 50 კოკა ღვინო.[1017]

ცნობილმა ქართველმა ეთნოლოგმა პროფ. გიორგი ჯალაბაძემ, 1946 წელს, არბოს წმინდა გიორგის საეკლესიო ნივთთა შორის მიაკვლია საბუთს, რომელიც არბოს წმინდა გიორგის ბაზილიკურ ტაძარს და მის ქონებას ეხება. დოკუმენტს აწერია: „უწყება ეკლესიისათვის." საბუთი ფრაგმენტულია და ენობრივ-შინარსობრივი, ასევე ქრონოლოგიური თვალსაზრისით გაუმართავია, თუმცა, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, თუ რა ქონებას ფლობდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში არბოს წმინდა გიორგის ტაძარი. აქვე, საინტერესო ცნობებია არბოში მცხოვრები სასულიერო პირების საცხოვრებლების შესახებ და სხვ. დოკუმენტს, რომელიც გ. ჯალაბაძის პირად არქივში ინახება, წინ უძღვის მეცნიერის მიერ საეკლესიო საბუთის მოკლე აღწერა: „ნაპოვნია 1946 წელს, სოფ. არბოს წმინდა გიორგის ეკლესიის საეკლესიო ნივთთა შორის ქაღალდის ფურცელი, რომლის სიგანეა 21 სმ. სიგრძე 27 სმ. ნაწერი საკმაოდ გარკვევით არის თეთრ ქაღალდზე შავი მელნით.

გორის უეზდის სოფლის არბოს წმინდის დიდის მოწამის გიორგის ეკლესიისათვის ჩყლბ წლისათვის (1832წ.)

ა) აღშენებული არის საქართველოს მეფის თამარისაგან. ხ-ოდეს არა ცნობილ არს.

ბ) შენობით არის ქვიტკირისა ხის სამრეკლოითურთ არის საკმაოდ მაგარი.

1015 გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გამოსაცემად მოამზადეს ზაზა სხირტლაძემ და ნატალია ჩიტიშვილმა ინგა გოგობერიშვილის მონაწილეობით, თბ., 2011, გვ. 287.

1016 იქვე, გვ. 109.

1017 სეაცსა, ფ. №254, საბ. № 58, გვ. 91.

გ) მას შუა არის ერთი ტრაპეზი სახელსა ზედა დიდის მოწამის გიორგისა სამკაულითა არის ღარიბი.

დ) კრებული ყავს დიდებული, მაღალ ყ-დ უსამღვდელოესის იონა მიტროპოლიტის და ექსარხოსის ბრძანებით... ჩყვდ-ს (1864) წელსა შინა დეკანოზი ერთი.

ე) მიწაი ამა ეკლესიასთან დასახლებული არის ოთხი დესიატინა სიგრძე და ორი სიგანე: სახნავი და სათიბი არავითარიმე არა აქუს.

ვ) სახლნი სამღუდელო და საეკლესიო მსახურთანი არიან საკუთარნი მათნი შტატის დეკანოზისა, ქვიტკირის ერთი, ალიზისა ერთი, ხისა ორი, რომელნიცა მდებარეობენ ეკლესიის მამულსა შ-ა."[1018] მიტროპოლიტი იონა საქართველოს ეგზარხოსი 1821 წელს გახდა და მისი მწყემსთავრობა 1832 წლამდე გაგრძელდა. მისი წინამორბედი ეგზარხოსი თეოფილაქტე რუსანოვი იყო (1817-1821 წ.წ). დოკუმენტი XIX საუკუნის მეორე ნახევარშია შედგენილი. იგი ლაკონურად წარმოგვიდგენს არბოს ეკლესიის მდგომარეობას. თეოფილაქტეს ეგზარხოსობის და იონას მიტროპოლიტობის დროს არბოს საკმაოდ დიდი მრევლი ჰყოლია. 1864 წლის მდგომარეობით არბოს ეკლესიაში დეკანოზი მსახურობდა.[1019] დოკუმენტის მიხედვით, ტაძარი თამარ მეფეს აუგია, თუმცა აგების თარიღი დაკონკრეტებული არ არის. როგორც ჩანს, საბუთის შემდგენელმა ხალხში არსებული გადმოცემით ისარგებლა.

1835 წლის გორის მაზრის საეკლესიო გლეხების აღწერის მიხედვით, არბოს ეკლესიას ახლომდებარე სოფლებშიც ჰყავდა ყმები. დავთარში მითითებულია: „სოფელს კარბს მოსახლენი არბოს ეკლესიის ყმანი":

იოსებ ქიტესას ძე გვიმრაძე - 25 წლის,
ცოლი მისი ელენე - 16 წლის,
ძმა ამისი ქიტესა - 15,
ბესარიონ - 7,
გიორგი - 6."[1020]

არბოში 1847 წელს წმინდა გიორგის სახელობის ახალი ტაძრის მშენებლობა დაიწყეს. ტაძრის აგების ინიციატორები იყვნენ არბოს მკვიდრი სასულიერო პირები: დეკანოზი იაკობ ლომოური (გერში მოღვაწე, „გერის მონასტრის ქრონიკის" ავტორი) და მისი ძმა იოსები. თუმცა, ეკლესიის მშენებლობა გარკვეული პერიოდი შეფერხდა და ამის მიზეზი არბოელი სასულიერო პირების ეგზარხოს ევსევისთან (1858-1877 წ.წ.) დაპირისპირება იყო. როგორც ნ. ლომოური გადმოგვცემს, ეგზარხოსმა ძმები სამრევლოდან დაითხოვა. თუმცა, მათ ეგზარქოსის გადაწყვეტილება წმინდა სინოდში გაასაჩივრეს და კვლავ გააგრძელეს არბოში მოღვაწეობა. ნ.

1018 გ. სოსიაშვილი, ძიებანი, თბ., 2007, გვ. 91.

1019 აღნიშნული დოკუმენტს გავეცანით გ. ჯალაბაძის მიერ გაკეთებული ამონაწერით, საბუთის დედანს ვერ მივაკვლიეთ, ამიტომ მის ავ-კარგიანობაზე საუბარი გვიჭირს.

1020 Камеральный опись церковных крестьян Горийского уезда, 1835 год, სეასცა, ფ. 254, ანაწ. 1, საქმე 2044, გვ. 131.

ლომოურის ინფორმაციით, ეგზარქოსი იმდენად იყო დაპირისპირებული არბოელ სასულიერო პირებთან, რომ „მცირეწლოვან ლომოურ მღვდლის შვილებს, თავს უყადრებდა და უსაფუძვლოდ, უსამართლოდ ავიწროებდა სასწავლებელში.“[1021] ძმები ლომოურები ერთ-ერთი დამსმენის „წყალობით“ კვლავ დაითხოვეს არბოს ტაძრიდან. დამსმენს, რომლის ვინაობასაც ნ. ლომოური არ ასახელებს, თვითონ ჰქონია არბოს წმინდა გიორგის ტაძარში მოღვაწეობის სურვილი. ძმები ისევ დაითხოვეს არბოდან, თუმცა, მათ სინოდის წინაშე ხელახლა გაასაჩივრეს და უფლებები აღიდგინეს. ამის შემდეგ ძმებ ლომოურებს დიდხანს აღარ უცოცხლიათ. „ორივე სამი წლის შემდეგ დაიხოცნენ უკიდურეს სიღარიბეში“.[1022] არბოს წმინდა გიორგის ტაძრის მღვდელი გარსევან ლომოური გახდა, რომელმაც ახალი ეკლესიის აგებაში დიდი წვლილი შეიტანა. თუმცა, ისიც მალე გარდაიცვალა და მისი ადგილი მღვდელმა გიორგი გვიმრაძემ დაიკავა. 1888 წლის მდგომარეობით არბოს წმინდა გიორგის დიდი ეკლესია საბოლოოდ დასრულებული არ იყო. მშენებლობის გაგრძელებას მატერიალური რესურსი ესაჭიროებოდა. არბოს მკვიდრმა დურმიშხან ჟურულმა, რომელიც ქართულ საზოგადოებაში კარგად იყო ცნობილი, არბოს წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობის გაგრძელების და საამისოდ, სპეციალური კომიტეტის შექმნის მიზნით, საქართველოს ეგზარქოსს წერილობითი თხოვნით მიმართა. დურმიშხან ჟურულის აზრით, კომიტეტში უნდა შესულიყვნენ: გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ივანე დავითის ძე სულხანიშვილი, გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე, არქიმანდრიტი ნიკოლოზი, დურმიშხან ჟურული,[1023] ცხინვალის ბლაღოჩინი გძელიევი (სავარაუდოდ გრძელიშვილი, ან გრძელიძე) და არბოს წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელი გიორგი გვიმრაძე. როგორც ჩანს, ეგზარქოსის სახელზე გაგზავნილმა წერილმა თავისი შედეგი გამოიღო. საქართველოს ეგზარქოსმა პალადი რაევმა (1887-1892 წწ.) გორის თავად-აზნაურობის წინამძღოლს ივანე დავითის ძე სულხანიშვილს[1024] ნებართვა მისცა, რათა შემოწირულობებით ტაძრის

1021 ნ. ლომოური, პუბლიცისტური წერილები, გვ. 121.

1022 ნ. ლომოური, პუბლიცისტური წერილები, გვ. 121.

1023 ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, დურმიშხან ჟურულის წინაპრები ქსნის ხეობიდან იყვნენ არბოში გადმოსულები. დურმიშხან ჟურული აქტიურად მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წ.წ. ომში. ის ახლად შემოერთებულ ბათუმში პოლიცმეისტერად დანიშნეს. დუმიშხან ჟურულის მეუღლე იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ქალბატონი ქეთევან ნამორაძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ბათუმის თეატრის დაარსების საქმეში. დურმიშხანს და ქეთევანს ოთხი შვილი ჰყავდათ. აქედან, ლუარსაბი და ანდრია ადრეულ ასაკში გარდაეცვალათ, ისინი არბოს წმინდა გიორგის ტაძარში არიან დაკრძალულნი. მათი ვაჟი იყო დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გიორგი ჟურული (1865-1951 წ.წ.), ხოლო ქალიშვილი იმ დროისთვის ცნობილი ქველმოქმედი ნინო ჟურული, რომელიც ცოლად ჰყავდა გენერალ-ლეიტენანტ ილია მაქარაშვილს. არბოში მცხოვრები ჟურულების და მაქარაშვილების შესახებ იხ. *გ. სოსიაშვილი, არბო, პარიზი, ლიმა, თბ., 2022.*

1024 იხ. https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/article/22687.

მშენებლობა დაესრულებინა. ამას ადასტურებს გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის სახელზე საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიიდან გაგზავნილი წერილი, სადაც ვკითხულობთ: „მის კეთილშობილებას ბატონ გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლს.

აღნიშნულთან ერთად გიგზავნით რა, სოფელ არბოში ეკლესიის მშენებლობის დამთავრებისთვის შესაწირის შესაგროვებლად მისი მაღალყოვლადსამღვდელოების, საქართველოს ეგზარქოსის მიერ გაცემულ წიგნს (სავარაუდოდ, ნებართვაზე უნდა იყოს საუბარი-გ. ს.) ეგზარქოსის კანცელარიას პატივი აქვს უმორჩილესად სთხოვოს თქვენს კეთილშობილებას წიგნის (საფასური) 60 კაპიკის კანცელარიაში გამოგზავნა.

კანცელარიის გამგე (ხელმოწერა არ იკითხება).

გამგის თანაშემწე (ხელმოწერა არ იკითხება).

1888 წლის 10 ივნისი №1490, ტფილისი".[1025]

მამა გიორგი გვიმრაძის დაუღალავი შრომით, გორის ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოროპირიძე) და არქიმანდრიტ ნიკოლოზის შემწეობით, არბოს წმინდა გიორგის ტაძარი გადაიხურა და გაილესა, მოიხატა კანკელი.[1026]

1891 წელს არბოს ეკლესია ბოლომდე არ იყო დასრულებული. როგორც ნ. ლომოური აღნიშნავს, „ეკკლესიას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია."[1027] არბოს წმინდა გიორგის ახალი ტაძარი 1897 წელს ეგზარქოსმა ვლადიმირმა (ბოგოიავლენსკიმ) მოინახულა. კირიონ II-ის ცნობით (იღუმენმა კირიონმა დაწერა ეგზარქოს ვლადიმირის შიდა ქართლში მოგზაურობის ამსახველი ნარკვევი), არბოს ახალი ტაძარი, რომლის მშენებლობაც თავის დროზე იაკობ ლომოურის ინიციატივით დაიწყო, 1890 წელს აკურთხეს. ეგზარქოს ვლადიმირის მოგზაურობის დროს არბოს წმინდა გიორგის ახალ ტაძარს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გუმბათი.[1028]

XIX საუკუნის 90-იან წლებში არბოში წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარის მამა გიორგი გვიმრაძის ინიციატივით ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა გაიხსნა. გაზეთ „ივერიაში" ვკითხულობთ: „ს. არბო (გორის მაზრა). ამ სოფლის მცხოვრებნი, რიცხვით 30 კომლი გლეხი და რამდენიმე კომლი აზნაური, სხვა ახლო-მახლო სოფლებთან შედარებით ნივთიერად ძალიან შეწუხებულნი და დაცემულნი არიან. აქაური ეკკლესია ხომ სოფლის მშვენებად უნდა ჩაითვალოს. სოფლის ერთს ნაკლულევანებას სკოლის უქონლობა შეადგენს. გლეხობა ეხლა ძალიან მოწადინებულია სკოლის გახსნისა, მაგრამ ხარჯისა ეშინიან, ვაი თუ ვერ შევიძლოთ და ილაჯი გავიწყვიტოთო. მაგრამ, ვგონებთ, გულშემატკივარი აღმოუჩნდეთ. ეს არის ადგილობრივი მღვდელი მ. გიორგი, რომელიც შემოდგომიდ-

1025 საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე. 5302, ხ. 38. 499.

1026 იქვე, გვ. 122.

1027 იქვე.

1028 გ. სოსიაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II ეგზარქოს ვლადიმერის შიდა ქართლში მოგზაურობის შესახებ, თბ., 2019, გვ. 103-104.

გან ერთ-კლასიან სამრევლო სკოლის დაარსებას აპირებს; ამისთვისს თავისს მხრივ ეკკლესიის შემოსავლიდგან ყოველ წლივ თხუთმეტ თუმანსა ჰპირდება. გარდა ამისა მ. გიორგის იმედი აქვს, რომ საქართველოს სამოსწავლო საბჭო დაეხმარება სოფელს ამ კეთილ საქმეში, ცოტაოდენს თვით გლეხობაც გამოიღებს და საქმე გაკეთდება.“[1029]

XIX საუკუნის ბოლოს, სოფელ არბოს მოსახლეობას, წმინდა გიორგის ტაძრის შემოსავალი, როგორც გაზ. „ცნობის ფურცლიდან“ ირკვევა, 16 თუმნად იჯარით ჰქონდა აღებული.[1030] არბოს წმინდა გიორგის ახალ ტაძარში ძველი (იგულისხმება XIX ს.) ხატებიდან მხოლოდ გორელი იაგორ ალელოვის მიერ შეწირული თეთრი მარმარილოს დაფაზე ამოტვიფრული წმინდა გიორგის ხატია შემორჩენილი, სადაც მხედრული წარწერაა დატანილი: „არბოს წმინდა გიორგის შევწირე ჩემისა და ცოლშვილს სულთა სამეოხეთ გორელმა იაგორ სტეფნას ძე ალელოვმა 1882 წ.“

არბოში ს. მაკალათია ღვთისმშობლის დანგრეულ ტაძარს იხსენიებს.[1031] აღნიშნული ტაძრის აგების თარიღი უცნობია. ღვთისმშობლის სახელობის სალოცავი ბაზილიკურ ნაგებობას წარმოადგენდა. დღეისათვის წმინდა გიორგის ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს არსებული ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი აღდგენილია. სალოცავში, საკურთხევლის წინ შემორჩენილია არბოში დამკვიდრებული სამხედრო მოღვაწის გენერალ ლეიტენანტ ილია მაქარაშვილის უდროოდ გარდაცვლილი შვილის მარიკო მაქარაშვილის საფლავი. ეპიტაფიაში ვკითხულობთ: „მარიკო მაკარაშვილის ასული, დაიბადა 13 დეკემბერს 1900 წ. გარდაიცვალა 14 აპრილს 1902 წ.“

არბოს ეკლესიაში (სავარაუდოდ, ტაძრის ეზოში) იყო დაკრძალული იულონ ბატონიშვილის კარის მწიგნობრის იოანე ქართველიშვილის დედა. როგორც მივუთითებდით ამის შესახებ იოანე ქართველიშვილი თავის „მოგონებებში“ წერს.[1032]

გერის სალოცავში დაწყებული დღეობა-გერისთობა არბოს წმინდა გიორგის სალოცავში გრძელდებოდა, სადაც ქვეყნის მლოცველები სხვადასხვა კუთხიდან მოემართებოდნენ. გერისთობის დღესასწაული იხსენიება 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ქართული ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა დაკითხვის ოქმებში. როგორც ჩანს, შეთქმულების ერთ-ერთი მესვეურის ალექსანდრე ორბელიანის საიდუმლო წერილი ქართველმა წარჩინებულებმა სწორედ არბოში გერისთობის დღესასწაულზე ყოფნისას მიიღეს. ელიზბარ ერისთავის ჩვენებაში ვკითხულობთ: „პრაპორშჩიკ ბიძინა ერისთოვის ჩვენებიდან ჩანს, რომ ყოფილ სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის მიერ 1831 წელს ქართლში მიწერილი წერილი გიჩვენათ თქვენ რომელიც წაიკითხეთ, მერე როგორც აცნობეთ ბიძინა ერისთოვს, – ელაპარაკეთ სხვა თავადებს, რომ-

1029 გაზ. „ივერია,“ 1897 წ. 8 ივნისი, № 111, გვ. 2.

1030 გაზ. „ცნობის ფურცელი,“ 1899 წ. 2 სექტემბერი, №906, გვ. 2.

1031 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

1032 იოანე ქართველიშვილი, მემუარები, ავთ. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1952, გვ. 95.

ლებიც სოფ. არბოში წმ. გიორგის დღეობაზე იყვნენ."[1033] გერისთობის დღესასწაულზე შეთქმულთა ყოფნას ადასტურებს გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენებაც. დაკითხვაში იგი აღნიშნავს: „თუმცა, თავად ლევან ერისთოვი აჩვენებს, რომ 1831 წელს როცა მე ვიყავი სოფელ ჭალაში თავად ბარძიმ ამილახვაროვის ოჯახში, სადაც ისიც იყო, აგრეთვე პრაპორშჩიკი თავადი ჯორჯაძე და იქ ჩაის სვამდნნენ, ვითომც მე მას იქ გავუმხილე შეთქმულება. მაგრამ ეს მართალი არ არის, რადგან არა თუ მაშინ, არამედ მე მისთვის ამაზე არასოდეს არა მითქვამს. რადგან საგვარეულოებს ურთიერთ მტრობა აქვთ. მართალია ის რომ მე ვიყავი ბარძიმისას სადამოთ, სადაც იყვნენ: ლევან ერისთოვი და პრაპორშჩიკი ჯორჯაძე და ჩაის სვამდნენ: მე და თეიმურაზ ამილახვაროვმა ცალკე გავიხმეთ ბარძიმი და გავუმხილეთ შეთქმულება, ლევანი და ჯორჯაძე კი ოთახში ისხდნენ და მერე წავედით არბოს დღეობაზე."[1034]

სოფელ არბოში, ისევე, როგორც გერში გერისთობის დღესასწაულზე უამრავი მლოცველი მიდიოდა და შესაწირი („შეთქმული") მოჰყავდა. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „სოფ. არბოში გერისთაობა, წმინდა გიორგის ხატობა 14-15 აგვისტოს იცის, ამ დღესასწაულს თავი გერისთაობა ჰქვია. შემდეგ 28-29-ს. აქაც აუარებელი ხალხი იკრიბება მთელი ქართლიდან: საღმრთო დეკეულებს, ცხვრებს და მამლებს სწირავენ ხოლმე წმ. გიორგის და ვისაც აღთქმული აქვს, თეთრები აცვია; ზოგს შვილიც ბერად შეყენებული ჰყავს. ზვარაკის დაკვლა მხოლოდ არჩეულ პირს, „ნატს" შეუძლია. საღმრთოების შეწირვის შემდეგ ფერხულს ჩააბამენ ხოლმე და აქ-იქ წმიდა გიორგის მონა ქალი ქადაგად დაეცემა და წინასწარ მეტყველებას დაიწყებს ხოლმე, აქ ყურადღების ღირსია პირველი და მეორე სწორი. რას ნიშნავს ეს სწორზე უქმობა და რით უნდა აიხსნებოდეს იგი? 15-ს იმიტომ არის, რომ მთვარე ამ დროს სრულია, ხოლო სწორზე მთვარე მესამე მეოთხედში, ხოლო სწორის სწორზე მეოთხე მეოთხედში, ანუ მცხრალი იქნება იგი; ერთი სიტყვით, სწორის უქმობა მთვარის მეოთხედებზე არის დამოკიდებული."[1035]

გერისთობის დღესაწაული და, ზოგადად ქართლში, მათ შორის არბოში არსებული წმინდა გიორგის სალოცავები მთვარის კულტთან არის დაკავშირებული. მთვარის ღვთაება, მისი განსახიერება მებრძოლი მამაკაცი, ქრისტიანულმა მებრძოლმა წმინდა გიორგიმ შეცვალა და, შესაბამისად, მთვარის ღვთაებასთან დაკავშირებული დღესასწაულები ქრისტიანული შეფერილობის გახდა, შემთხვევით არ არის, რომ არბოს წმინდა გიორგის ბაზილიკური ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე სავსე მთვარეა გამოსახული. წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი წარმართულ მთვარის ღვთაების საკულტო ადგილზე დაშენდა, რაც ქტიტორთა მიერ რელიეფურად კედელზეც გამოისახა. როგორც მივუთითებდით, სავსე მთვარის გამოსახულებას ვხვდებით ზემო ნიქოზის მთავარანგელოზის ტაძრის ჩრ-

1033 გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. III, თბ., 1976, გვ. 43.
1034 იქვე, გვ. 96.
1035 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 96.

დილოეთ ფასადზეც.[1036]

არბოში არსებული გერისთობის დღესასწაულის შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახა სოფ. არბოში დაბადებულმა ხალხოსანმა მწერალმა ნ. ლომოურმა: „სოფ. არბო. გათენდა „დიდი-გერისთობის“ კვირა დღე, ის დღე, რომელსაც მთელი ქართლი და მომეტებულად ჩვენი პატარა არბო დიდის სიხარულით და ხანგძლივის მზადებით ელის ხოლმე. კვლავაც ამ დროს მთელი სოფელი და სრულიად მისი მიდამო სავსე ყოფილა ათასნაირის ხალხით. სხვადასხვა საკრავის ხმისა და აუარებელის ხალხის ჟრიამულისაგან ყურთასმენა აღარა ყოფილა. მთა და ბარი, ვაჭარი და მხვნელ-მთესველი აქ მოიყრიდნენ ხოლმე თავსა და გაცხარებულის აღებ-მიცემობის შუამავლობით უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ასე ყოფილა მრავალი საუკუნის განმავლობაში და ამ ამბავს ხალხი შესჩვევია და შესთვისებია.“[1037]

გერისთობის დღესასწაულის თვითმხილველი ნიკო ლომოური ვრცლად აღწერს „გერისთობის“ ეპიზოდებს: „სოფელი არბო განთქმულია მთელ ქართლში თავისი „გერისთობით,“ „არბოობით.“ ეს დღეობა ყოველ წლივ აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მოდის ხოლმე. თავგერისთობას აგრერიგად არავინ არა სწყალობს, მაგრამ მეორე და მესამე სწორზედ კი დიდ-ძალი მლოცავი მოაწყდება ხოლმე აქაურს წმიდის გიორგის ეკლესიას, სადაც აქამომდე ინახებიან ნაილები მოხსენიებულის მთავარ-მოწამისა. მომეტებულად სახელ-განთქმულია მეორე სწორი, ანუ, როგორც ადგილობრივ ეძახიან, „დიდ გერისთობა“ ...სამი ოთხი დღის წინათ დაიძვრის მლოცავი და მთელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან იკრიფება აქ აუარებელი სხვადასხვა რჯულისა და შთამომავლობის ხალხი. აქა ნახავთ კახელებს, მთიულ ქართველებს, ქალაქელებს, იმერლებს. ბლომად შეგვხვდებიან აქ ვაჭარი სომხები და ურიები, მაგრამ ყველა ამათ ოსების რიცხვი გადააჭარბებს ხოლმე. ახლომდებარე კავკასიის მთებიდან დაიძვრიან და ჯგუფ-ჯგუფად მრავალი ოსები ჩამოდიან აქ. თან მოაქვთ გასაყიდად ყველი და ერბო, ხის ავეჯეულობა, და თივთიკ-შალები. მთელი სოფლის მიდამო: ახლომდებარე სახნავ-სათესი მიწები მოდებულია ხოლმე ჩარდახიანი ურმებით და ცხენოსანი ხალხითა... აღებ-მიცემობა ორი-სამი დღის განმავლობაში გაცხარებულად სწარმოებს. სამწუხაროდ, ამ სასარგებლო და მოსაწონ მხარეს ხშირად ბევრი მაზარალებელი ამბებიც მოჰყვება ხოლმე. თითქმის არ შეიძლება, რომ გერისთობა გათავდეს ისე, რომ ორგან-სამგან მაინც არ მოხდეს საშინელი ჩხუბი: კეტების ტრიალი და თოფ-იარაღის ხმარება. ღმერთს მადლობასა სწირავენ, როდესაც ეს ვაი-ვაგლახი მარტო ძვალისა და რბილის დაჟეჟვით, თავისა და პირის დანტვრევით თავდება. სამწუხაროდ, ხშირად ამათ უფრო დიდი უბედურებაც მოჰყვება ხოლმე, მაგალითად შარშან წინ რევოლვერით მოჰკლეს ორი კაცი და სამიოდ-ოთხიც ხმლებით დაჭრეს მძიმეთა; წელსაც ხანჯლით გამოუფაშვავთ რომელიღაც ახლო სოფლის მამასახლი-

1036 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990. გვ. 68; ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1984, გვ. 131.

1037 ნ. ლომოური, პუბლიცისტური წერილები, გვ. 134.

სი... ქურდობა მტაცებლობა ხომ ისეა გახშირებული რომ ბევრჯერ მათ ყურადღებასაც არ აქცევენ... შეიარაღებული ქურდები ხშირად შუადღისას გადადიან აქაურ ვენახებში ჰკრეფენ ყურძენსა და ხილს, სჭრიან სიმინდებს, ანტვრევენ და სწვავენ ღობეებს. მაგრამ ყველა ეს არაფერს ნიშნავს იმ დიდ ვნებასთან, რომელიც სოფელს მოსდის შემდეგ დღეობის გათავებისა. კვირას შუადღის უკან ერი იშლება და მეორე დღეს უცხო კაცს აქ თითქმის ვეღარავის ვეღარ ნახავთ. ხალხს მართალია ვეღარ ხედავთ, მაგრამ მისგან დატოვებულ ათასგვარ უწმინდურობით კი სავსე რჩება სოფელი და მთელი მისი არემარე. ამის გამო მშვენიერი წმინდა ჰაერი იშხამება; ანკარა მდინარე (იგულისხმება პატარა ლიახვი, – გ. ს.) საკლავების ფაშვითა და წელებით ივსება... აი, ჩემო ბატონო, ასეთია სახელგანთქმული გერისთობა.“[1038]

„არბოობასთან“ დაკავშირებული ინციდენტები სხვა წყაროებითაც დასტურდება. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნით დათარიღებული გოგია ამილახვრისშვილისა და ზაზა ხერხეულიძის სასისხლო საქმის განჩინების მიხედვით, დავით ხერხეულიძემ უზბაშის შვილს ზაზას იულონ ბატონიშვილთან უჩივლა: „შარშანსწინ არბოობას ჩემი ძმისწული გიორგის შვილი ლუარსაბ ხატის კარზე სალოცავად იყო მისული და გოგია ამილახვრისშვილს ცხენიდან გადმოუღებინებია, კაცები მიუსევია და ცემით სიკვდილის პირას მიუყვანიაო.“[1039]

გერისთობის დღესასწაული სოფელ არბოში ხშირად მსხვერპლითაც სრულდებოდა. 1880 წელს ცნობილი ქართველი ხალხოსანი მწერლის ანტონ ფურცელაძის ვაჟი აღნიშნულ დღესასწაულზე ოსებს შორის გამართულმა ჩხუბმა შეიწირა. ამის შესახებ გაზეთი „დროება“ გვაწვდის ინფორმაციას: „ჩვენ ძველს თანამშრომელს და ლიტერატურულ მოძმეს ანტონ ფურცელაძეს, ამ ახლო ხანში, შეემთხვა ერთი ისეთი უბედურება, რომლის წინათ გამგონი შეძრწუნებული და გულ-მოკლული რჩება, გერისთობის დღეს, ფურცელაძის უმცროსი ვაჟი ყოფილა არბოს დღეობაში, და რაღაც უბედური შემთხვევით მოჰყოლიყო ერთს ოსების ჩხუბში, სადაც ის მოეკლათ სხვისთვის მოღერილი ჯოხის ცემით.“[1040]

გერისთობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გაზ. „ივერიაც.“ კორესპონდენციაში: „დაბა და სოფელი“-ვკითხულობთ: „სოფ. არბო, მარიამობისათვის 31-ს ამ წელს მესამე და უკანასკნელ არბოობა უფრო მხიარული და მშვიდი იყო, ვიდრე პირველი და მეორე. ხალხიც ნაკლები არ დაესწრო აქ იყვნენ მოსულები ჩვენის ქვეყნის თითქმის ყველა მხრიდამ: სოფლებიდამ და ქალაქებიდამ. სოფლებიდამ. რასაკვირველია, კაცები ჩოხოსან-ქუდოსნები და ქალები-მანდილოსნები იყვნენ, თუმცა ამათშიაც შეუდგავს ფეხი ახლანდელს მოდას. იყვნენ ქალაქებიდამაც, მომეტებულ ნაწილად ქალები, რასაკვირველია, უფრო მეტნი წელ-კეხოსან-შლაპოსნები, რომელნიც ლეკურის გარდა კადრილ-მადრილებსაც თამაშობდნენ

1038 ნ. ლომოური, პუბლიცისტური წერილები, გვ. 119-120.
1039 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 256, დოკ. 130.
1040 გაზ. „დროება,“ № 1880 წ. 10 სექტემბერი, № 190, გვ. 2.

ზურნა-დაფაზედ, სასიამოვნო სანახავი იყო სოფლელის ქალების დაირისა და გარმონის დაკვრა და ზედ ცეკვა; დღისით მშვენიერი გრილი დარი იყო, ღამით ზედ დაჰყურებდა ბადრი მთვარე. მოისმოდა ათასგვარი ხმაურობა საკრავისა, სიმღერისა და ვაჭრების ყვირილი: ღვინო ატენური, ღვინო! აქეთ იარეთ, აქეთ, აქეთ, თევზი, თევზი! პა-პა-პა რა თევზია!. ჩემ მუშტრებს გაუმარჯოს ჩემ მუშტრებს! რა გოჭი მაქვს, რა გოჭი! იი, ნიგოზია!.. აბა ჩემკენ იარეთ ჩემკენ! ხაშლამა, რა ხაშლამაა! იი, შენი სულისა!...“ აქვე ჰხედავთ ხალხის მელექსეებს, რომელნიც გაჰშაირებიან ერთმანეთს და ექიშპებიან ათასგვარ ოხუნჯის სიტყვებით. აქ იყვნენ განთქმული მელექსე-მოშაირენი მოხუცებული ალექსი ფოფხაძე გარეჯვრელი და ახლგაზრდა ლაზარე ზუბაშვილი, ს. მედვრეკისიდამ, ამ მოშაირეებს დიდი სახელი აქვთ გავარდნილი ამ მხარეში. აი ერთი შაირი, რომელიც ფოფხაძემ უთხრა ლაზარე ზუბაშვილს. „შაირები და ლექსები, ბიჭო ამ თავში ძევსაო; რამდენიც გინდა მოსთხოვე ალექსი ფოფხაძესაო; თუ რომ შენ იმას აჯობებ, უარს ჰყოფს ქრისტე ღმერთსაო. თათრულად ინით შეიღებს, ხელ-ფეხსა, მერე წვერსაო; წავა და დაიკარგება, აღარ გაივლის გერსაო, კვეხნით არ გეტყვი ლაზარე, ნუღარ მაყბედებ ბევრსაო.“ მართალია, ფოფხაძე დახელოვნებული მოშაირეა და სიტყვა-მოსწრებულიც არის, მაგრამ არც ზუბაშვილი ჩამოურჩება. კარგი იქნება, რომ ხალხურ ლექსების და შაირების შემკრებნი ამ მოლექსეებს მიჰმართავდნენ ხოლმე: ამათ კარგი ლექსებიც იციან და არც ისე აქვთ დამახინჯებული, როგორც სხვებსა. სწორედ რომ სასიამოვნო სანახავი იქნებოდა ყოველთვის ეს დღეობა, რომ წესი და რიგი კარგად იყვეს დაცული და ხანდისხან ჩხუბი და თავპირის მტვრევა არ ასტყდებოდეს ხოლმე. დღეობა ერთადერთი გასართობი ადგილია დაბალის ხალხისთვის, დღეობაში შეუძლიან ხალხს თავისუფლად ამოისუნთქოს, დაივიწყოს თავისი მუდმივი შრომა და ტანჯვა, მხიარულად გაატაროს დრო. არბოობას ხალხი ხშირად მღერის ხოლმე შემდეგ ლექსებსა: „წმინდა გიორგის მშვენება შორს მიადგება გორასა, შორით მოიყვანს მლოცავსა – ავადმყოფსა და მონასა, ან კიდევ ქალი რომ ავად გახდება, წაიყვანებენ არბოსა; ერთს მაინც შეიკუნტრუშებს, თუ გინდ რომ არა არ გოს-რა. დასასრულ, არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ ერთი არა-საქებური, უმეცარი ჩვეულება, რომელიც აქა აქვთ შემოღებული. აქ ერთი რკინის ჯაჭვია და მლოცავები წელს იწყვეტენ ხოლმე ამ ჯაჭვის ეკკლესიის გარშემო ტარებით. რასაკვირველია, უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ ეკკლესია სხვაფრივ იზიდავდეს ხალხსა.“[1041]

ხშირად უამინდობის გამო გერში ასული მლოცველი არბოში ბრუნდებოდა. გერის ხეობაში ჩამოსახლებული ოსები ქართველი მლოცველების სანოვაგეს ისაკუთრებდნენ. ამის შესახებ გაზეთში „ცნობის ფურცელი“ კვირიკელის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში ვკითხულობთ: „მთელი ზემოური (გერის) მლოცავი არბოში ჩამოვიდა (უამინდობის გამო-გ.ს.), მაგრამ მოღლილ-მოქანცულმა ხალხმა წირვას აღარც კი მოუცადა სახლებში გაეშურნენ. დარჩათ ბურთი და მოედანი ოსებს, სადაც ქურდობით

1041 გაზ. „ივერია“, 1886 წ. 16 სექტემბერი, № 199, გვ. 2-3.

ვერასა ხდებოდნენ, ძალათი იტაცებდნენ, მაგრამ პოლიციის ბოქაული თავისი ჩაფრებითა და სოფლის ყარაულებით კრიჭაში ედგნენ.“[1042]

სოფელ არბოში ტრადიციული გერისთობის დღესასწაულის შესახებ 1903 წელს იუწყებოდა ასევე გაზეთი „ცნობის ფურცელი“: „...მარიამობისთვის უკანასკნელ რიცხვებში ს. არბოში მოდის დიდი დღეობა-გერისთობა, სადაც დიდძალი ხალხი იკრიბება ხოლმე სალოცავად და დროის გასატარებლად.“[1043]

პატარა ლიახვის ხეობაში, განსაკუთრებით, სოფელ არბოში „გერისთობას“ ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც დიდი მონდომებით აღნიშნავს. გერისთობას დღესასწაულობს ხუთი სოფელი: დიცი, ქორდი, არბო, მერეთი, ქსუისი.

სამწუხაროდ, დღეს სოფელი ქსუისი ოკუპირებულია და ოკუპანტებისგან განდევნილი აქაური მოსახლეობა გერისთობას, როგორც მშობლიური სოფლის დღეობას, დევნილთა ჩასახლებებში აღნიშნავს.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სოფელი გერი და გერის წმინდა გიორგის ტაძარი საოკუპაციო ხაზს მიღმა მოექცა. გერისთობის აღსანიშნავად, სხვადასხვა შესაწირით ქართლის სოფლებიდან მლოცველები არბოს წმინდა გიორგის ტაძარში მოემართებიან. ტრადიცია კვლავ გრძელდება.

სოფელ არბოში დღეის მდგომარეობით შემდეგი გვარებია: ფიჩხნარაშვილი, მაისურაძე, გვიმრაძე, გუჩმაზაშვილი, თარაშვილი, ლომოური, ყაულაშვილი, როინიშვილი, გოგიძე, ჩალაური, კაპანაძე, ხადური, გვარამაძე, ხიდაშელი, ჯოჯიშვილი.

არბოში გავრცელებული ტოპონიმებია: ზვარი, ახოები, გორამუხა, ჭალა, გრძელმიწები, ბაგები.

მერეთი-კოშკა

სოფელი მერეთი შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. პატარა ლიახვის ნაპირას, ზღვის დონიდან 850 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს გორიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 30 კილომეტრის დაშორებით. მერეთი, მეზობელ სოფლებთან შედარებით (კარბი, დისევი, დიცი, არბო), გვიან ჩნდება წერილობით წყაროებში.

როგორც ითქვა, მდ. პატარა ლიახვს რამდენიმე შენაკადი უერთდება. ერთ-ერთი ასეთი შენაკადია „მერეს“ ხევი.[1044] სავარაუდოდ, სწორედ აქედან უნდა მომდინარეობდეს სოფელ მერეთის სახელწოდება. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „მერეს ხევი“ პატარა ლიახვის მარცხენა შენაკადია: „ამ არბო-წმიდის ზეით ერთვის პატარა ლიახვს აღმოსავლიდამ მერის ჴევი“, – განმარტავს დიდი მეცნიერი.[1045]

1042 გაზ. „ცნობის ფურცელი,“ 1898 წ. 29 აგვისტო, № 618, გვ. 3.

1043 გაზ. „ცნობის ფურცელი,“ 1903 წ. 22 აგვისტო, № 2243, გვ. 3.

1044 გ. სოსიაშვილი, მდ. პატარა ლიახვის ხეობაში გავრცელებული ჰიდრონიმები, „ანალები,“ №14, 2018, გვ. 134-152.

1045 იქვე.

დოკუმენტური წყაროებიდან ირკვევა, რომ მერეთი იულონ ბატონიშვილს ეკუთვნოდა. 1780 წლის 29 მარტით დათარიღებულ საბუთში, რომელიც ზაალ დავითაშვილის მიერ იულონ ერეკლეს ძის სახელზეა დაწერილი, ვკითხულობთ: „მამის თქვენისაგან და თქვენგან წყალობა დამემართა ჩემის გასამყრელოს აღებულის აზნაურიშვილის ტატიშვილს ბადათურის შვილებისა და იმის ძმისწულებისა ყმისა და მამულისა. იმათნი კაცნი თქვენს საბძანებელს მამულში მერეთსა და ერტელში არიან ერთი ოქმის წყალობა მიყავით, რომ თქვენს მამულში, რაცა ამათი კაცი იყოს ამიყაროს და მომცესო.“[1046]

ფეოდალურ პერიოდში ქვეყანაში არსებული სოციალური წინააღმდეგობების ფაქტები სოფელ მერეთშიც გვხვდება. ადგილობრივი დიდგვაროვნებისგან შეწუხებული გლეხები საცხოვრებლებიდან ხშირად იყრებოდნენ. ამას ადასტურებს 1771 წლის 4 აპრილით დათარიღებული დოკუმენტი. სოლომონ აბაზაძემ ყმების დაფანტვისა და გადასახადების გადაუხდელობის გამო, ერეკლე II-ს მიმართა: „ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას: სამი კვამლი კაცი აქ ქვემო ქართლში გახლამთ ...ერთი ჯავახისშვილი ტირძნისს არის, ერთი ბლიაძე კარბს არის, მესამე **მერეთს** არის, ისიც ჯავახიშვილი, არცარას თქვენ გემსახურებიან, არცარას მე მეპუებიან.“[1047] ადგილობრივი დაბალი ფენების გაუსაძლის მდგომარეობაზე მეტყველებს 1791 წლის 8 ოქტომბრის იოთამ ტატიშვილის წერილი იულონ ბატონიშვილისადმი: „**მერეთს** ერთი კომლი კაცი მყვანდა, ის ამამიწყდა და ამისი ქვრივი და ობოლი დარჩა. ის ერთი ხელოსანი კაცი გახლდა, თუ რამე ჰქონდა რამე აქა-იქ გაცემული ჰქონდა და მკვდარიც ისევ დაუმარხავი არი და ქვრივი და ობოლი მწარედ შეწუხებული გახლავან რომ არსაით ილაჯი არა აქვთ და ვისაც რა მართებთ არას აძლევენ და სიღარიბით მწარეთ ნაილაჯი გახლავან. ...ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ამაზედ ერთი ოქმი და იასაული გვიბოძეთ, რომ ვისაც ემართოს რამე, გამოურთვან და ებოძოს.“[1048]

საინტერესოა, რომ 1781 წლის სურსათის გამოსაღებ დავთრებში, ტერიტორიული სიახლოვიდან გამომდინარე, მერეთი და კულბითი ერთად არის აღრიცხული. მერეთში ყმები ჰყავდათ ფურცელაძეებს, ხოლო კულბითში ჩერქეზიშვილებს:

ქ. მერეთს ფურცელაძის გოგიას ყმა გლახა ტიელიძე, ი.
ქ. ადამაშვილი აბრამა.
ქ. მაისურაძე გლახა.
ქ. მეცხვარიშვილი ნინია.
ქ. გორგიშვილი პეტრია.
ქ. გორგიშვილი ღვთისია.
ქ. გორგიშვილი გოგია.
ქ. მახარაშვილი პაპუნა.

1046 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 467, დოკ. 494.
1047 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 179, დოკ. 179.
1048 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 125, დოკ. 111.

ქ. მახარაშვილი დათუა.
ქ. ხარშილაური გოგია.
ქ. ტიელიძე სვიმონა.
ქ. ზურნა გლახაშვილი გოგია.
ქ. ქურთრამაზაშვილი გოგია.
ქ. სვიანაშვილი შიო. ი.
ქ. ბასილაშვილი თევდორე.
ქ. ბაიაძე ღვინია.
ქ. ხოხონაშვილი იოსებ.
ქ. ელიაშვილი გლახა.
ქ. მახარაშვილი ბერიკა.
ქ. ტიელიძე ნინია.
ქ. ქიწნელი მღვდელი ნიკოლოზ.[1049]
ქ. მერეთსა და კულბითს ჩერქეზიშვილის ფირანის ყმა ტატიური ოთარა.
ქ. გუდაძე პეტრე.
ქ. თოდაძე გლახა.
ქ. დათუაშვილი თამაზა.
ქ. შავარდენიძე ნინია.
ქ. გუდაძე შერმაზან.
ქ. კულბითს მეტრეველი გოგია.
ქ. გუგუტიშვილი პეტრე.
ქ. ტრამაკიძე დათუა.
ქ. ბედელური გლახა. ი.
ქ. ჯიჯიური ბერიკა.
ქ. ბედელური მანძულა.
ქ. კრეხიაშვილი დათუნა.
ქ. რევანდაშვილი ბერუა.
ქ. შავარდენიძე გლახა.
ქ. ნუკრაძე მოსე.
ქ. ელისე ჯავახი.
ქ. ნუკრაძე პაატა.
ქ. ტრამაკიძე შიო. ი.[1050]

დოკუმენტში სულ აღნუსხულია 41 მოსახლე, აქედან, მერეთში 27, მათ შორის – „ქიწნელი მღვდელი," რომელიც, სავარაუდოდ, მერეთში მოღვაწეობდა.

XVIII საუკუნის მიწურულს სამგორის არხის სამუშაოებში პატარა ლიახვის ხეობაში მკვიდრნიც იყვნენ ჩართულები. როგორც ირკვევა, მერეთიდან გამოყვანილ მუშას, გაწეული სამუშაოების საფასურად, ოთხი

1049 ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII ს. II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 98.

1050 იქვე, გვ. 98-99.

მინალთუნი უნდა მიეღო.[1051]

მერეთელები, ისევე, როგორც სხვა სოფლების მკვიდრნი, მონაწილეობას იღებდნენ ქართლ-კახეთის სამეფო კარის მიერ გატარებულ თავდაცვით ღონისძიებებში. 1789 წლის 17 სექტემბრით დათარიღებული, ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთით ირკვევა, რომ ვახუშტი ჯავახიშვილსა და სვიმონ მაღალაშვილს, მორიგე ყარაულის სახით, „ერთი თვის თავისი ნუზლით თოფსა და იარაღით გაწყობილი კარგი ყოჩაღი კაცი“ უნდა გამოეყვანათ მერეთიდან იანვარში, აპრილსა და ივნისში.“[1052]

1795 წლის სიის მიხედვით, იმ სოფელთა ჩამონათვალში, ვისაც „რუსეთისათვის მისასყიდი ფქვილი შესწერდა,“ პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად, მერეთიც იხსენიება.[1053]

XIX საუკუნის დასაწყისისათვის (1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით), მერეთის გადასახადების გადამხდელუნარიანი მოსახლეობის რიცხვი 41 კომლი იყო (188 მამაკაცი, 162 ქალი). ისინი ქსნის ერისთავებისა და აზნაურ გოგია ფურცელაძის ყმობაში იყვნენ. ერთი კომლი ყმა ჰყავდა ულუმბოს ღვთისმშობლის მონასტერს, რომელზეც ზაზა ამირეჯიბის გავლენა ვრცელდებოდა. მითითებული აღწერის მიხედვით ირკვევა, რომ მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებასა და მევენახეობას. წლიურად საშუალოდ მოჰყავდათ 900 კოკა ღვინო. შრომითი ბეგარის გარდა, მემამულეს ყოველწლიურად უხდიდნენ 6 კოდ ხორბალს, 6 კოკა ღვინოს და კომლზე 2 ქათამს.[1054]

1818 წლის აღწერაში მერეთში მებატონეებად იხსენიებიან სოლომონ და დავით ქსნის ერისთავები, ზურაბ და გოგია ფურცელაძეები, მიხეილ სოლომონის ძე მირიანაშვილი და ჩერქეზ ჩერქეზიშვილი.

გადასახადების გადამხდელ მოსახლეობას შორის კომლთა უფროსებად მოხსენიებულნი არიან: გოგია ფურცელაძე (ოჯახის შემადგენლობა შეადგენდა 4 სულს), ზურაბ ფურცელაძე (14 სული), სიმონ საბაშვილი (12), გოგია ქურთიშვილი (7), გოგია გლახაშვილი (14), ბაირამ მეცხვარიშვილი (8), სოლომონ მაისურაძე (11), ბერუა გიორგიშვილი (3), გაბრიელ გიორგიშვილი (8), პეტრე გიორგიშვილი (7), გოგია გიორგიშვილი (10), პეტრე ბერუაშვილი (8), პაპუკა მახარაშვილი (14), ტატია მახარაშვილი (7), გოგია ელიაშვილი (13), სტეფანე სვინაშვილი (sic:)(5), კაცია ჩაკუბაძე (6), ღვთისია პავისური (sic:) (4), გლახა გორგიშვილი[1055] (გორგიშელი) (8), გოგია

1051 საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, დ. მუსხელიშვილის რედ., ტ. II, თბ., 2010, გვ. 28.

1052 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. II, თბ., 1953, გვ. 151, დოკ. 239.

1053 საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, ტ. I, დ. მუსხელიშვილის რედ., თბ., 2010, გვ. 215.

1054 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა... გვ. 69.

1055 1818 აღწერის დედანში მერეთში არაერთგან იხსნიება გვარი „გიორგიშვილი“ (გაბრიელ, პეტრე, გოგია და სხვ.) *(გსიემ, 8235, გვ. 18-25).* მერეთში გავრცელებული გვარია „გორგიშელი“. ვფიქრობთ, 1818 წლის აღწერაშიც „გორგიშელი“ უნდა იყოს დაფიქსრებული და გადამწერის ხარვეზია.

გორგიშვილი (გორგიშელი) (5), ხოსრო ჩხიკვაძე (2), გლახა ელიაშვილი (7), ივანე ბაიაძე (13), ანდრია ბაიაძე (2) დავით ფცქიალაძე (3), ტეტია აღ-დგომელაშვილი (5), მახარე მახარაშვილი (16), გოგია მარიამიძე (10), ივანე ტიელიძე (7), ბერუა აბრამიშვილი (6), ბერუა ქურთიშვილი (7), გიორგი ქებაძე (5), პავლე მოახიაშვილი (3), ღვთისია დალაქიშვილი (9)[1056], მახარე ცისკარიძე (7), ტეტია ჯავახი (11), მიხეილ გოდუაძე (8), გრიგოლ გუდაძე (5), ნინია გუდაძე (8), სოსანა კაპანაძე (6) და ბერო შავლოხაშვილი (5).[1057]

აღწერაში მითითებულია, რომ ვარგისი მიწების რაოდენობა სოფელში 300 დღიურია, ხოლო ვენახებისა – 40 დღიური. სოფელში ყოფილა 2 წის-ქვილი, აქედან ორ თვლიანი წისქვილი ეკუთვნოდა გოგია ფურცელაძეს, ხოლო სამთვლიანი – ზურაბ ფურცელაძეს. მერეთში ფურცელაძეების მფლობელობაში ყოფილა ციხე-სიმაგრე.

მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებას, მებაღეობას, მევენახეობას და მესაქონლეობას. მერეთელებს დავა ჰქონიათ მეზობელ კულბითის მო-სახლეობასთან 250 დღიურ მიწაზე.[1058]

გორის მაზრის 1831 წლის საეკლესიო გლეხების სიის მიხედვით, კა-თისხევის მონასტერს მერეთში ჰყავდა 10 სული ყმა გოგია ბერუაშვილის ოჯახის სახით.[1059]

1842 წლის საეკლესიო გლეხთა კამერალურ აღწერაში მერეთში აღ-ნუსხულია 37 კომლი ყმა (176 სული). გაბრიელ და გრიგოლ საბაშვილები, გაბრიელ ქურთაშვილი, ანდრია გლახაშვილი, ანდრია მეცხვარიშვილი, სოსია და სიმონ გორგიშელები, პავლე მასურაშვილი, ბერო ესიაშვილი და სხვ. სოფელი ყოფილა ფურცელაძეების მფლობელობაში. მამასახ-ლისად მოხსენიებულია ნინია მექვაბიშვილი, ხოლო მოსამართლეებად: გაბრიელ გლახაშვილი და სოსია საბაშვილი. მაგრამ, „რადგან ამათ წერა არ სცოდნიათ," უწყისზე ხელს აწერს წყალობა თანდიევი (თანდიაშ-ვილი).[1060]

ზემოაღნიშნულ (იხ: დმენისი, ვანათი) „ნებით გაშვებულ" გლეხთა (Вольноупущенных) კატეგორია მერეთშიც გვხვდება. ამ კატეგორიიდან 1843 წელს მერეთში მოხსნიებულნი არიან ძმები: ნიკოლოზ ისაიას ძე ფურცელაძე,[1061]

1056 ხსენებული პირის გასწვრივ, აღწერის რუსულ დედანში მითითებულია, რომ გადმოსახლდა 12 წლის წინ (ანუ, 1806 წელს, – გ. ს.) სოფელ „Болот" - დან *(იხ: გსიემ 8235, გვ. 30).* რუსულ აღწერაში ამ ადგილზე, სავარაუდოდ, დამახინჯებით წერია და იგულისხმება პატარა ლიახვის შუა წელზე არსებული სოფელი ბელოთი.

1057 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა... გვ. 369-375.

1058 იქვე, გვ. 376.

1059 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 1246, გვ. 163, Камеральное описание церковных крестьян Горийского уезда, 1831 год.

1060 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 1951, გვ. 274-282, Камеральное описание церковных крестьян Ксанского участка Горийского уезда, 1842 года.

1061 არ უნდა გავაიგივოთ ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და აგრონომ ისაია იოველის ძე ფურცელაძეში, რადგან, ეს უკანასკნელი მოგვიანებით, 1851 წელს დაიბადა და გარდაიცვალა 1924 წელს.

რომელსაც ჰქონდა 80 დღიური მიწა, სადაც მოჰყავდა 70 კოდი პური და 40 კოდი ქერი; სიმონ ისაიას ძე ფურცელაძე, ძმასთან სოლომონთან და შვილებთან: დიმიტრისთან და გრიგოლთან ერთად, რომელთაც ჰქონდათ 6 დღიური მიწა, სადაც მოჰყავდათ 40 კოდი ხორბალი, 50 კოდი სიმინდი, 40 კოკა ღვინო. მათ საკუთრებაში იყო ასევე 10 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი.[1062]

აღსანიშნავია, რომ წინა წლების (1804, 1818, 1842) აღწერებში ფურცელაძეები მოხსენიებულნი არიან, როგორც სოფლის მებატონეები და რატომ მოხვდნენ ერთი წლის შემდეგ თავისუფალ გლეხთა კატეგორიაში გაურკვეველია. თუმცა, მიუხედავად, „ახალი“ სოციალური სტატუსისა, ნიკოლოზ და სიმონ ფურცელაძეები კვლავ დიდი შეძლებისა და ქონების პატრონები იყვნენ.

მერეთიდან იყო ცნობილი ქართველი მწერალი, მთარგმნელი და პუბლიცისტი ანტონ ფურცელაძე,[1063] ასევე აგრონომი და საზოგადო მოღვაწე ისაია ფურცელაძე.[1064] აქვე, დედულეთში დაიბადა XIX ს. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი.[1065]

ფუცელაძეები ადგილობრივ გლეხებთან კეთილგანწყობითაც გამოირჩეოდნენ.

ქვეყანაში 1905 წელს დაწყებული რევოლუციური მოვლენების დროს, 27 მარტს მერეთში მივიდა მეჯვრისხევის ბოქაული ასი „ყაზახით“ და ადგილობრივ მემამულეებს - ფურცელაძეებს რევოლუციური მოძრაობის მოთავეების დასახელება მოსთხოვა.

ფურცელაძეებს ბოქაულის მოთხოვნაზე უარი უთქვამთ, მისთვის პიროობა მიუციათ, თვითონ ჩააცხრობდნენ მღელვარებას და მოხელისათვის უთხოვიათ: „ყაზახები არ ჩაეყენებინა სოფელში და ამით უამისოდაც გასაწყლებული ხალხი არ დაეზარალებინა და არ შეეწუხებინა.“

ბოქაული ფურცელაძეების სიტყვას ენდო და მათი თხოვნა მერეთში დააკმაყოფილა, შემდეგ სათიხარში გაემგზავრა და მღელვარების წამომწყები ოთხი მოტივე: სამი დოღუზაშვილი და ერთი დუდაშვილი დააპატიმრა.[1066]

მერეთში ცხოვრობენ შემდეგი გვარები: შავლოხაშვილი, ბაიაძე, საბაშვილი, მახარაშვილი, მარიამიძე, გლახაშვილი, ლაფაჩი, გულუაშვილი, ქურთიშვილი, ზარიძე, მეცხვარიშვილი, ჩოჩელი, ჯალაბაძე, ყაბანაშვილი, კოკოევი, ქებაძე, ბესტავაშვილი, ჯაფარიძე, სვიანაშვილი, მაისურაძე, ჩალაური, რაზმაძე, ტოლიაშვილი, კაპანაძე, რობანიშვილი, ფურცელაძე, ქისიშვილი, გაბლიშვილი, ოქროპირიძე, კეპაშვილი, ტუხიაშვილი, გუდაძე,

---

1062 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 2036, გვ. 13-14, Посемеиние списки вольноупущенных крестьян по Горийскому уезду, 1843-46 года.

1063 http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000791/

1064 http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00002965/

1065 http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000869/

1066 გაზ. „ცნობის ფურცელი,“ 1905 წ. 31 მარტი, №2785, გვ. 2

ტეხოვი, ბასიშვილი, გუგუტიშვილი, ბორცვაძე, პატარქალაშვილი, აბრამაშვილი, ასკილაშვილი, ჩახვაშვილი, ჭელიძე, სალამაძე, ფერაძე, ჯაშაშვილი, გაბოძე, ბერუაშვილი, ოქროკვერცხოვი, გორგიშელი, რევაზაშვილი, წიქარიძე, ელიაშვილი, გიორგიშვილი, მუშკუდიანი, ძინძიბაძე. მერეთში გავრცელებული ტოპონიმებია: ქართული ვენახები, ხატიკაკლები, ხაშილაურები, პალმატურები, ფურცელაანთმიწები, მაჭავრები, ნაალიზევი, დათვიაანთმიწები, იოკიმები, ჩიტიმიწები.

სოფელი კოშკა მერეთის სახლოვეს, აღმოსავლეთ მხარეს, გორიდან ჩრდილოეთით 28 კილომეტრის დაშორებით, საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მდებარეობს. XX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც ცნობილმა მკვლევარმა იოსებ მეგრელიძემ აღნიშნული სოფელი მოინახულა, კოშკაში 50 კომლი ცხოვრობდა. იმ დროისათვის გავრცელებული გვარები ყოფილა: ტატიური, ხიზანიშვილი, სიმონიშვილი, ჩალაური, შევარდენიძე და სხვ.[1067]

სოფელი კოშკა საქართველოში არაერთია. მხოლოდ გორის მუნიციპალიტეტში ორი სოფელია „კოშკას“ სახელწოდებით, ერთი მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, სოფ. სკრის სამხრეთით და მეორე, მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, მერეთის გვერდით. მდ. დიდი ლიახვის ხეობაში, ჯავიდან 21 კმ. არის კიდევ ერთი სოფელი „ზემო კოშკა.“

იმის გათვალისწინებით, რომ მერეთ-კოშკას მებატონეები ფურცელაძეები იყვნენ, ვფიქრობთ, რომ 1793 წლის 14 სექტემბრით დათარიღებულ დოკუმენტში პატარა ლიახვის ხეობის სოფელი კოშკა უნდა იგულისხმებოდეს.

საბუთის მიხედვით, გოგია და ზურაბ ფურცელაძეები უჩიოდნენ გიჰკაშვილ თოთრის, რომლის წაქეზებით კოშკელ გაგლოაანთ დუდიშვილს, როველ ჯერანაშვილ ბილისა და ლაპინაშვილი ბაბათას ძმას ბაროს, ფურცელაძეები გაუძარცვავთ და ნაძარცვი ოთხი თვე ჰქონიათ სოფელ კოშკაში დამალული.

ქურდები მიმალულან, მაგრამ ფურცელაძეები ჩიოდნენ, რომ განაჩენი ერეკლეს სამართლის მიხედვით აღესრულებინათ და ზარალი გიჰკაშვილს სრულად აენაზღაურებინა, რადგან: „მისის უმაღლესობის მეფის ბრძანება ასე არის, რომ რომელმაც ოსმა ქურდობა ჰქმნასო, საქონელს მოპარვა, კაცის კვლა, თუ ტყავის გასყიდვა, ოცნი ამხანაკნი რომ იყვნენ და იმ ოციდამ ერთი ჩავიგდოთ ხელშიო, სულ იმან ზღოს.“

მდივანბეგებს საქმე ვახტანგ VI-ის სამართლით გაურჩევიათ, რადგან ფურცელაძე „საქართველოს პირველი აზნაურშვილი“ იყო და მისი სისხლი 192 თუმნად იყო შეფასებული, სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, გიჰკაშვილისათვის ასშვიდ თუმან ნახევარი დაუკისრებიათ. გიჰკაშვილის ვალდებულებას ასევე შეადგენდა დანარჩენი სამი მძარცველის სასამართლოში მიყვანა. თუ ამას ვერ მოახერხებდა, დანარჩენი თანხაც მას უნდა გადაეხადა.[1068]

1067 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, II, გვ. 27.
1068 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 621-622, დოკ. 356.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კოშკაში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული რამდენიმე კომლი ოსი დამკვიდრდა. კოშკელი ოსების ერთი ნაწილი იულონ ბატონიშვილის საკუთრებაში იყო, ხოლო „სამნი“ ბარძიმ მაჩაბელს ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, ჩამოსახლებული ოსები გადასახადების გადახდაზე უარს ამბობდნენ და მაჩაბელს დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ. ამას ადასტურებს 1779 წლით დათარიღებული ბარძიმ მაჩაბლის წერილი ერეკლე II-ისადმი: „ღმერთმან ხელმწიფის ჭირი მისცეს ბარძიმ მაჩაბელს, გორსა რომ ბრძანდებოდი, მაშინაც მოგახსენეთ კოშკელებისა, რომ თუ ბეგარასა არ მაძლევენ, უკუდგომილის კაცის წყალობა გვაქვს თვენგნით, რომა არაფერი გვეთხოვება, ასე ვთქოთ კოშკელებისა, რადგან ჩემი კაცნი არიან, გარდამხდეს, მაგრამ ჩიფრანელის ოსებისა მე საიდამ უნდა გადავიხადო, შვიდნი იულონ ბატონიშვილის კაცნი არიან და სამნი ჩემნი არიან ...სამი წელიწადია ...უკუმდგარნი გახლავან, არავის ზოგავენ.“[1069] ჩვენი აზრით, დოკუმენტში მოხსენიებული კოშკა, სწორედ პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფელი კოშკა უნდა იყოს, რადგან პატარა ლიახვის ხეობის ამ ნაწილში ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ სწორედ იულონ ბატონიშვილის გავლენა ვრცელდებოდა. როგორც ჩანს, აქ მაჩაბლებსაც ჰყავდათ ყმები, ისევე, როგორც პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთ სოფელში.

კოშკადან იყო წარმოშობით ცნობილი მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი. იგი ალექსანდრე ფირანის ძე ჩერქეზიშვილის და მარიამ რაჟდენის ასულ ფავლენიშვილის ოჯახში დაიბადა.[1070]

1905 წელს დაწყებული რევოლუციის დროს გახშირდა მემამულეთა და გლეხთა პირადი ანგარიშსწორების ფაქტები. ძალადობას ვერც ელისაბედ ჩერქეზიშვილის ოჯახი გადაურჩა. 1905 წლის 12 მარტს ოსებისა და ქართველების შეიარაღებული ბრბო მიუცვივდა სოფელ კოშკაში ელისაბედის ოჯახს. ამ დროისათვის სახლში მხოლოდ მსახიობის მოხუცი დედა იმყოფებოდა, რომელიც მუქარით აიძულეს ხელი მოეწერა „ქაღალდზე,“ რომლის მიხედვით: „არც ნადელია შენი და არც ხიზანი ოსებიო.“

ამის შემდეგ მოძალადეები შეიჭრნენ მეორე სართულზე, ჩალეწეს კარ-ფანჯრები, დაამტვრიეს ავეჯი და ჭურჭელი. ჩერქეზიშვილების მოჯამაგირე გარეთ გააგდეს იმ პირობით, რომ „წელიწადში თუ ოცი თუმანი არ მოგცენ, აღარ ემსახუროო,“ ხოლო კოშკელი გლეხები გააფრთხილეს: „ამის შემდეგ აღარ მიეკაროთ (ჩერქეზიშვილებს – გ. ს.), თვითონ აცხონ პური, თვითონ ზიდონ წყალი და ყველაფერი თვითონ გააკეთონო“, მოშალეს ჩერქეზიშვილების ხილის ბაღის ღობე, დაარბიეს ნამყენები და ყიჟინით გაეცალნენ იქაურობას.

წინა დღეებში მსგავსი ფაქტები მომხდარა სოფელ კულბითშიც.[1071]

ელისაბედ ჩერქეზიშვილის არტისტული ნიჭი არბოში მცხოვრებმა

1069 საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, ტ. I, დ. მუსხელიშვილის რედ., თბ., 2010, გვ. 451.

1070 მ. ნიჟარაძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, თბ., 1977, გვ. 5.

1071 გაზ. „ცნობის ფურცელი,“ 1905 წ. 20 მარტი, №2776, გვ. 2-3

დურმიშხან ჟურულის მეუღლემ ქეთევან ნამორაძემ[1072] აღმოაჩინა. ამის შესახებ ელისაბედ ჩერქეზიშვილი იგონებს: „ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, როცა პირველად გავიცანი ქეთევან ჟურულის ოჯახი. ქეთევანი იშვიათი მანდილოსანი იყო, ფრიად შეგნებული და ამასთანავე ქველმოქმედი... ქეთევან ჟურულისა იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ესმოდა ჩემი სულისკვეთება, შედიოდა ჩემს ოჯახურ მდგომარეობაში.* იგი ხშირად მიწვევდა თავისთან, მანუგეშებდა და მფარველობდა. ქეთევან ჟურულისა მირჩევდა, არ მეღალატა ჩემი მომავლისათვის და უსათუოდ სცენაზე შევსულიყავი. ქეთევანის ოჯახში ხშირად იკრიბებოდა იმ დროის მოწინავე ინტელიგენცია. ქეთევანს საშინლად უყვარდა, როცა მე ვინმეს გავაჯავრებდი ლაპარაკსა თუ სიარულში. ერთხელ, როცა ქეთევან ჟურულისას ცხინვალიდან სტუმრები ეწვივნენ, მან იდუმალად გამიხმო ოთახიდან და მთხოვა, რომ რომელიმე მოხუცებული დედაკაცი წარმომედგინა. წამოვისხი შავი შალი, ხელში ჯოხი დავიჭირე და ჩიფჩიფით შევედი სასტუმრო ოთახში. ჯერ მივესალმე სტუმრებს და შემდეგ მოვიკითხე დიასახლისის ვაჟი (იგულისხმება გიორგი ჟურული, - გ. ს.) - ქალბატონო, სად არის შენი ვაჟი; ქაღალდი მინდა დავაწერინო, რომ ჩემი შვილი სალდათში არ წაიყვანონ... ვერავინ ვერ მიცნო, მე უფრო გავთამამდი: – მართლა, გენაცვათ, ი, ვიღაც ჩერქეზიანთ ლიზა რომ დადის თქვენთან, როგორ უშვებთ იმ ცირკის ქალს, იმ უნამუსოს თქვენს სახლში... სტუმრები სახტად დარჩნენ. ყველას ეწყინა ჩემი ლანძღვა, ერთმა კიდეც წამოიძახა: – გააგდეთ ე ვიღაც შეჩვენებული ბებრუხუნაო. მერე ამოვიღე ჯიბიდან ბურნუთი და ბებრულად შევიყნოსე. ამ დროს ქეთევანმა უცბად შალი გადამხადა... ყველას გაუკვირდა, რომ მე, 17 წლის ახალგაზრდამ ოთხმოცი წლის მოხუცი განვასახიერე.“[1073] ელისაბედ ჩერქეზიშვილის სასცენო დებიუტი სოფელ მერეთის სკოლაში შედგა. 1884 წელს, ისაია ფურცელაძის ორგანიზებით ამ სოფელში ადგილობრივი გლეხებისათვის სასცენო წარმოდგენები იმართებოდა. სწორედ აქ უთამაშია ელისაბედ ჩერქეზიშვილს პირველი როლები (შუშანა – სპექტაკლში „პეპო,“ სარა და ქაბატო – სპექტაკლში „ხანუმა“).[1074] ქეთევან ჟურული კარგად ხედავდა ელისაბედის

1072 ქეთევან ნამორაძე-ჟურული XIX საუკუნის II ნახევრის ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მის სახელს უკავშირდება ბათუმის თეატრის დაარსება და მრავალი საქველმოქმედო ღონისძიება. ამის შესახებ იხ. *გ. სოსიაშვილი, ქეთევან ჟურულის მოღვაწეობა და ქართული საზოგადოებრიობა XIX საუკუნის II ნახევარში, პროფ. იოსებ ალიმბარაშვილის დაბადებიდან 60-წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გორი, 2022, გვ. 235-255; კონფერენციის მასალები, ჟურულების ოჯახის შესახებ ვრცლად: გ. სოსიაშვილი, არბო, პარიზი, ლიმა, თბ., 2022, გვ. 53-93.*

* ელისაბედ ჩერქეზიშვილი გულისხმობს ოჯახის დანგრევას. იგი 15 წლის ასაკში ცოლად გაჰყვა გიგა მაჩაბელს, რომელსაც მალე დაშორდა. მისი მეორე მეუღლე გახლდათ ცნობილი ქართველი იურისტი, ისტორიკოსი და პუბლისცისტი ნიკოლოზ ურბნელი (ხიზანაშვილი).

1073 ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ჩემი მოგონებანი, ი. გრიშაშვილის რედ. თბ., 1941, გვ. 19-21.

1074 იქვე.

დიდ სამსახიობო მომავალს. მან ნიჭიერ ახალგაზრდას რეკომენდაცია გაუწია თბილისში მოღვაწე ვასო თუმანიშვილთან. ელისაბედ ჩერქეზიშვილი წერს: „1885 წელს როგორც იყო დამარწმუნეს, რომ საჭირო იყო ჩემი დიდ სცენაზე ყოფნა. საამისოდ ჩემი ცხოვრების ახალი პირობებიც ხელს მიწყობდა. ეს ის დრო იყო, როცა მე დაშორებული ვიყავი ჩემს პირველ ქმართან და გავყევი ნიკო ხიზანიშვილს, რომელიც დიდის თანაგრძნობით შეხვდა ჩემს მისწრაფებას სცენისადმი. იმ ხანებში თბილისის დასის რეჟისორად იყო ვ. თუმანიშვილი. ქ. ჟურულმა სარეკომენდაციო წერილი გამომატანა და გამომგზავნა მასთან თბილისში. ჩამოვხტი ანტონ ფურცელაძის ოჯახში. ანტონმაც მოიწონა ქეთევანის აზრი. მეორე დღეს გამომყვა ელენე ანტონოვსკაია და ქეთევანის წერილით მივედით ვასო თუმანიშვილთან-ბინაზე. თუმანიშვილმა ცივად მიმიღო, რადგან ქალაქში პირველად ვიყავი და ცოტა არ იყოს სოფლელ კნეინას ვგავდი. მაგრამ წერილი წაიკითხა თუ არა, სახე გაუბრწყინდა. მერე ხელი თანაგრძნობით ჩამომართვა და მითხრა: – ქეთევანი ისეთ ქება-დიდებას მწერს თქვენ შესახებ, რომ ალბათ დაგიმსახურებიათ. ხვალ თორმეტ საათზე გამოიარეთ ჩემთან, რამოდენიმე პიესიდან როლებს წავიკითხავთ და გადაწყვეტილ პასუხსაც მაშინ გეტყვით. ამ პასუხით გამომისტუმრა. მე ვდელავდი, არ ვიცოდი თუ რით დამთავრდებოდა ეს ჩემი „ეგზამენია,“ გულში ვამბობდი: – აი დარდი თუ არ მიმიღებს! როცა მომინდება, მერეთშიც კარგად ვითამაშებ-მეთქი. მეორე დღეს, დანიშნულ დროს გამოვცხადდი თუმანიშვილთან. მან მომიტანა ორი პიესა: „დაქცეული ოჯახი“ – სუნდუკიანცისა და „ხანუმა“ ცაგარლისა. პირველ პიესიდან წავიკითხე ხახოს მონოლოგი და მეორედან – სარასი. ეს იყო და ეს. ჩემი ბედი გადასწყდა. მუდმივად დასში ჩამრიცხეს, თვეში ოთხი თუმანი დამინიშნეს და მეორე დღეს უკვე რეპეტიციაზე დამიბარეს...“[1075]

ქეთევან ჟურულის ამაგი ქართული სცენის ვარსკვლავის წინაშე ქართულ საზოგადოებას კარგად ახსოვდა. სწორედ ამის შესახებ წერდა 1916 წელს გაზეთ „საქართველოში“ ელისაბედ ჩერქეზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით დ. კასრაძე: „ლიზამ (იგულიხმება ელისაბედ ჩერქეზიშვილი, – გ. ს.) როგორც დავინახეთ, მერეთში დაიწყო სცენაზე გამოსვლა და პირველ წლებშიც მხოლოდ აქ ვარჯიშობდა. ისაია ფურცელაძის გარდა მის ნიჭის გაფურჩქვნას ხელი შეუწყო აწ უკვე განსვენებულმა ქეთევან ლუარსაბის ასულმა ჟურულისამ. ეს მანდილოსანი ცნობილი იყო როგორც მოღვაწე ქალი. მის ხელიდან გამოდიოდა ათასი საქველმოქმედო საქმე. უყვარდა ჩვენი ხელოვნება და ყოველისფერით უწყობდა ხელს მის წარმატება-ასაყვავებლად. ლიზა როცა სცენაზე გამოსული დაინახა, მაშინვე თვალი დაადგა, მაგის აქ დარჩენა ცოდვა იქნება, უნდა ქალაქში გაიგზავნოს ციურ ნიჭის გასაფურჩქნადაო. ლიზა შვილივით უყვარდა...“[1076] ელისაბედ ჩერქეზიშვილის მოგონებას, რომლის მიხედვით ქეთევან ჟურულმა სარეკომენდაციო წერილი გაატანა

1075 ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ჩემი მოგონებანი„ გვ. 21-22.
1076 გაზ. „საქართველო,“ 1926 წ. № 25, გვ. 3.

ვასო თუმანიშვილთან ზემოთ მითითებულ საიუბილეო წერილში, დ. კასრაძეც ადასტურებს.[1077]

სოფელ კოშკაში შემდეგი გვარები ცხოვრობენ: სიმონიშვილი, შევარდენიძე, ხიზანიშვილი, ჩალაური. კოშკაში გავრცელებული ტოპონიმებია: ქეთქეთეები, მიკრეულა, საჩალეები, ხოდაბუნები, აბილახტაური და სხვ.

კარბი

სოფელი კარბი, მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 860 მეტრის სიმაღლეზე, ხოლო ქ. გორიდან 28 კმ-ის დაშორებით მდებარეობს.[1078] იოანე ბაგრატიონს სოფელი კარბი შეტანილი აქვს იმ სოფლების ნუსხაში, რომლებიც: „პატარა ლიახვით ირწყვის და ისევ გორს მიეწერება.“ კარბის შესახებ იგი აღნიშნავს: „ქ. კარბი, მოსახლე.“[1079]

როგორც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ნამყოფი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი მიუთითებს, სოფელ კარბში მისი ყოფნის დროს ქართველებთან ერთად სომხებიც ცხოვრობდნენ.[1080]

კარბი საკმაოდ ადრეული პერიოდიდან ჩანს ქართულ საისტორიო წყაროებში.[1081] ამ სოფელს იხსენიებს „მატიანე ქართლისაი.“ როგორც მემატიანე გადმოგვცემს, „დიდი თურქობის“ დაწყების წინ საქართველოში შემოსული თურქ-სელჩუკთა ლაშქარი, რომელსაც ალფ-არსლანი ედგა სათავეში, დასავლეთ საქართველოს დარბევა-აოხრების შემდეგ გამოსაზამთრებლად პატარა ლიახვის ხეობაში, კერძოდ, სოფელ კარბში დაბანაკებულა: „და იქმნა ზამთარი სასტიკი; რომელი გარდაეხუეწა და მიმართა მთათა მოსყდა იგიცა სიფიცხისაგან ზამთრისა. ხოლო ყოველსა ქართლსა შინა დადგა ლაშქარი, და თჳთ თავადი სულტანი დადგა კარბსა, და მერმე ჩამოდგა შერთულთა. და აჭირვა სიძნელემან ზამთრისამან და ბუქთა ძლიერთა.“[1082] თურქების უზარმაზარი ლაშქრის კარბში გამოზამთრების შედეგად, ადვილი წარმოსადგენია, სოფელი და მისი შემოგარენი ადგილები რა მდგომარეობაშიც აღმოჩნდებოდა.

1348 წელს სალარე მიხას ძემ, რომლის ვინაობა უცნობია, კარბი ანდერძით გადასცა წითლოსან ქვენიფნეველ-ლარგველის შვილს.[1083] რო-

1077 გაზ. „საქართველო,“ 1926 წ. № 25, გვ. 3.

1078 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 395.

1079 იოანე ბაგრატიონი ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 40.

1080 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 277.

1081 ქართლის ცხოვრების ტოპარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013, გვ. 283.

1082 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 309.

1083 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიკისათვის, I წიგნი, გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964, გვ. 118; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD-საბ. 3493.

გორც ჩანს, სალარისეული მამულების გადაცემას სამეფო ოჯახის თანხმობა ჭირდებოდა. ამას ადასტურებს ანდრონიკე ბაგრატიონის წყალობის სიგელი, რომლის მიხედვით, ანდრონიკეს „კარბაი და გარეჯარ ბაკურის უბანი წითლოსან ქვენიფნეველისათვის უბოძებია. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. სახელითა ღ(მრ)თისაითა, ანდრონიკესაგან ბაგრატუნიანისა, ნებითა ღ(მრ)თისაითა აფხაზთა, ქართველ/თა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშე და შანშე/ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლე/თისა ჴელმძიფედ-ა- მპყრობელისა. მოვიდა ჩ{უ}ენს-ა- წ(ინა)შე ქ{უე}ნაფნაველი, ლარგ{უ}ელისა შვილი წითლოსანი/ და გ{უ}ეაჯა და მოგ{უ}აჴს{ე}ნა, რაითამცა ქართლის მუხის/ ძისა სალარისეულნი სოფელნი: კარბაი და გარეჯ{უა}/რ-ბაკურ{ი}ს უბანი მისთ{უ}ისმცა მიგ{უ}ებოძნეს. და/ გ{უ}ეაჯერა ღ(მერ)თმან და ვისმინეთ აჯაი ქ{უ}ენიფნ{ა}ველისა/ წითლოსანისი, ვინადგან მის ცოლისძმის მუხისძის/ სალარისცა მისთ{უ}ის და მისთა დისწულთათ{უ}ის ეანდე/რძა მისი მამული, ჩ{უ}ენცა შევიწყალეთ და მიუბ{ო}ძენით/ ქართლის სოფელნი: კარბაი და გარეჯ{ურ}არ-ბაკურის უბანი/ მისითა სამართლი{ა}ნითა მძღვრითა მკ{უ}დრად, სამამულო/დ, შეუვ{ა}ალად და შეუცვალებლად.“ ჰქონდენ/, ქ{უ}ენაფნაველის წითლოსანსა, შვილთა/ და მამავალათა მისთა ყოველთავე ქართლის/სოფელნი: კარბი და გარეჯ{უ}არ-ბაკურისუბანი/ მათითა სამართლი{ა}ნითა მძღვრითა, მთითა, ბარითა, ტყითა,/ ველითა, ვენაჴითა, წყლითა, წისქ{ვი}ლითა, ჭა/ლითა, სათიბითა, სანადიროთა მკ{უ}დრად, სა/მამულოდ, შეუვ{ა}ლად, მათითა საჴმარითა და უჴმარითა ერთობ ყ{უ}ელაითა.“[1084]

ირკვევა, რომ გარეჯუარ (გარეჯვარი) – ბაკურისუბანი სოფელ კარბთან ერთად, ფეოდალურ ასპარეზზე დაწინაურებული ლარგველის (ლარგვისის მფლობელის) შვილთან ქვენიფნეველ წითლოსანთან დანათესავებული დიდგვაროვნის – მუხისძე სალარის საკუთრებაში იყო. მას გარდაცვალებამდე თავის დისწულებისთვის, წითლოსანის შვილებისთვის უბოძებია აღნიშნული სოფლები. კარბი და გარეჯვარი ერთმანეთისგან 15-20 კმ-ით დაშორებული სოფლებია და ისინი ისტორიულ ქსნის საერისთაოს ემიჯნებიან. XIV საუკუნის პირველ ნახევარში ქვენიფნეველები თავიანთი სამფლობელოს გაფართოებას და „გვერდისძირის“ გაყოლებაზე, პატარა ლიახვის ხეობის ქვემო წელზე არსებულ სოფლების დასაკუთრებას ცდილობდნენ. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, სამეფო ხელისუფლება ამის წინააღმდეგი არ იყო და მუხასძე სალარისგან ანდერძით მიცემული ქართლის სოფლები ანდრონიკემ წითლოსან ქვენიფნეველს დაუმტკიცა (მოგვიანებით, გარეჯვარში ყმა-გლეხები ჰყავდათ მაჩაბლებს. ეს დასტურდება 1633 წელს ქართლის მეფის როსტომის მიერ მაჩაბლებისადმი ბოძებული წყალობის სიგელით).[1085] გარდა იმისა, რომ წყალობის სიგელში ჩანს, რა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები იყო კარბსა და გარეჯვარში, საბუთი

1084 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. II, ტფ., 1909, გვ. 11-12, დოკ. 7.

1085 დოკუმენტები XVII საუკუნის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. II, გვ. 65.

არანაკლებ საინტერესოა XIV საუკუნის შუახანების ადმინისტრაციულ მოხელეთა გარკვევის თვალსაზრისითაც: „აწ ვინცა ჰნახოთ ბძანებაი და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მამავალთა მეფეთა და დედოფალთა, კარის ჩუენის ვაზირთა და მოურავთა, ერისთავთა ერისთავთა და ქართლის ერისთავთა, გორის და (ჩ)ვენთა ციხისთავთა და მეციხოვნეთა და გორის მოურავთა, მერემაეთა, მეჯინიბეთა, ბაზიერთა, მონადირეთა, ხორბლის მკრეფელთა, მესაბანჯრეთა, მეკულუხეთა და ყოველთავ, კართ ჩუენთ სასაქმოდ წარგზავნილთა.“[1086]

XV საუკუნის პირველ ნახევარში კარბში გლეხები ჰყავდათ ზევდგინიძეებს. 1433 წლით დათარიღებული საბუთიდან ირკვევა, რომ თაყა ზევდგინიძემ სვეტიცხოველს „მეფეთაგან წყალობად მკუიდრად ბოძებული უწინ აბულახტარისძეთა საკუთრებაში არსებული ნასოფლარი“ ქვეში შესწირა. ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კარბში თაყა ზევდგინიძე რამდენიმე კომლ გლეხს ფლობდა: „ეშმაკის საცთურებითა ცოლისა სიძულვილი შემოვიდა ჩემსა ბუნებასა. და დავაგდე და სხუა ცოლი შევირთე და კარბს ორნი გლეხნი მოგაჴსენენ და კანონი უქენ და მცხეთაგან მიიგდეთ. და მას უკანით ისი კარბულნი ორნი გლეხნი დამიხსენით და აბულახტარისძეთა მამული ქვეში მთხოეთ, და როგორცა სამკუიდროდ მეფეთაგან მე მბოძებია, აგრევე თქუენთუის მომიჴსენებია და ვერასა ჟამისა გამოსრულებისა და გამოცვალებისათუის ვერავინ დაგეცილოს.“[1087]

სოფელი კარბი მომდევნო პერიოდშიც ზევდგინიძე-ამილახვრების საკუთრებას წარმოადგენდა. როგორც ზემოთ მივუთითებდით, ირანელთა ტყვეობისგან გათავისუფლებული სიმონ I სასტიკად გაუსწორდა ხელისუფლების მოწინააღმდეგ ფეოდალებს: ქსნის ერისთავს, ამილახვარს და მეფის მოღალატე დიდგვაროვნებს მამულები ჩამოართვა. მათ რიცხვში შედიოდა სოფელი კარბიც, რომელიც მანამდე ამილახვრების მფლობელობაში იყო.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში სოფელი კარბი უგანაძეების საკუთრებას წარმოადგენდა. ამას ადასტურებს 1583 წლის 26 ივნისით დათარიღებული: „წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა გიორგი უგანაძისადმი,“ რომელშიც ვკითხულობთ: „ქ. ჩუენ ღ(მრ)თივ-აღმართებულმან და ღ(მრ)თივ-დამყარებ/[ულმან და ღ(მრ)თივ]-გუირგუინოსანმან [ძლიერმან და უძლეველმან] /ჴელმწიფემან და მეფეთ-მეფემან პატრონმა[ნ] სვიმონ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი /გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და წესის/აებრ მრავალგვარად თავდადებით ნამსახურთ/ყმათ, უგანაძეებს გიორგის და დავითს, და შვილსა/თქვენსა შიოშს და მზეჭაბუკს, სხვათა შვილთა და /მომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე, /მას ჟამსა, ოდეს მოგვიდეგით კარსა/და მამულისა წყალობასა გვიაჯენით. /ჩვენცა ვიგულეთ და ვიგულმოსდგინეთ და მო/კითხულ ვქენით და სიგლები გინახეთ, გაგისინჯე[თ], ძველთაგანცა თქვენი ყოფილიყო. შეგიწყალეთ /და გიბოძეთ კარბი, რარიგადცა და რომელიც თქვენი/სამკვიდრო ძველი სიგლით ყოფილიყო

1086 საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 12, დოკ. 7.
1087 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, გვ. 187.

და ისრევე თქვენი /მკვიდრი და ძველთაგან სიგლით დამტკიცებული / [სა[ხელოთი, მკვიდრად და ჭელშეუვალად თვისის ჭელობითა [და] /[ს] ამართლიანის სამზღვრითა: მთითა და ბარითა, წყლ/ითა, საწისქვილოთა, შენითა და ოჭერითა, შესავ/ლითა, მოუკლებელად, თ/ქუენთვის გვიბოძებია და შვილთა თქვენთათვის."[1088] წარმოდგენილი დოკუმენტიდან ცხადი ხდება, რომ სოფელი კარბი (შესაძლოა, იქ მცხოვრები რამდენიმე კომლი ყმა-გლეხი) „ძველთაგანცა" უგანაძეების საკუთრება ყოფილა და სვიმონ I-სთვის მათ წყალობის გასაახლებლად დამადასტურებელი სიგელებიც წარუდგენიათ. 1582 წლის დოკუმენტის მიხედვით, ზემოთ ნახსენებ დავით და გიორგი უგანაძეებს ეკუთვნოდათ პატარა ლიახვის ხეობის შედარებით ქვემო წელზე არსებული სოფელი ძველი ძევერა.[1089] ჩვენი აზრით, უგანაძეებმა სიმონ I-ის ტყვეობის დროს დაკარგეს მამულები, რომლებიც, სავარაუდოდ, ამილახვრებს ჰქონდათ მიტაცებული და წართმეული ქონება კვლავ დაიბრუნეს.[1090]

სამაგიეროდ, ამილახვრებს ახალ „მწყალობელად" თეიმურაზ I მოევლინათ, რომელმაც, მეფისადმი ერთგულება დაუფასა და კარბის სანაცვლოდ, დიდძალი ყმა-მამული უბოძა ქართლში. ამას ადასტურებს 1625-1632 წწ. დათარიღებული თეიმურაზ I-ის მიერ იოთამ ამილახორისადმი გაცემული წყალობის წიგნი: „თქვენ (იგულისხმება იოთამ ამილახორი, – გ. ს.) ქართლის დაჭირვაში ბევრი ვალი დაგვდევ, გვემსახურე და ერთგულად მოგვიდექიო" და ამის „სამუქფოდ" (სანაცვლოდ): „გიბოძეთ თქვენის განაყოფის თამაზას კერძი მამული – კასპს, გერითებს, ასად/ურიანად, ძევერას, ფხვენისს, რისაც მქონებ/ელი იყოს, უკლებლად თქვენთვის გ/ვიბოძებია. კარბის სანაცვლო, ოდესაც შე/მოგვივარდეს და ვიშოვოთ, გიბოძოთ..."[1091]

ოდნავ მოგვიანებით, ზედგინიძე-ამილახვრების საკუთრებაში არსებული სოფელი კარბი, რომელიც გარკვეული პერიოდი თეიმურაზ I-ს მფლობელობაში იყო, 1633 წელს, ქართლის მეფემ როსტომ I-მა თავის მამიდაშვილს – ბეჟან ჩხეიძეს გადასცა: „მას ჟამსა ოდეს მოგვიდეგით კარსა და მამულისა წყალობასა დაგვიაჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ლიეხუს ქვეშეთ კარბს და გერითებში, რაც ზედგინიძე თამაზის ნაქონი მამული მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა და უხნავითა, შენითა და ოხრითა, საძებრითა და უძებრითა, შენითა და ოხრითა. და ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა თქვენთვის სამკვიდროდ და

1088 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 345.

1089 იქვე, გვ. 341.

1090 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 120.

1091 დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ავტორები: ქართველიშვილი თეა, ბაინდურაშვილი ხათუნა, გელაშვილი ირაკლი, გოგოლაძე თამაზ, შაორშაძე მაია, ჯოჯუა თემო, რედ. მზია სურგულაძე, ტ. I, თბ., 2019, გვ. 188.

სამამამულედ გვიბოძებია.“[1092] თუმცა, ზედგინიძეებმა კარბი მალე დაიბრუნეს. 1646 წლით დათარიღებული დოკუმენტით ირკვევა, რომ ზედგინიძე თამაზის „კერძი“ კარბი როსტომ მეფემ გივი ზევდგინიძეს გადასცა: „მას/ ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და თქუენის ბიძაშვუილ/ის თამ{ა}ზის კერძს კარბს დაგუიაჯენი{თ}, ჩვენც ვისმინეთ/ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ/კარბს, რისაც მქონებელი თამაზ ყოფილიყოს..“[1093] გივი ზედგინიძეს რომ თამაზისეული სოფელი კარბი გადაეცა, როსტომ მეფის მიერ 1646 წლის სპარსულ ენაზე დაწერილი სიგელითაც დასტურდება (სიგელის თარიღია 1646 წლის 12 სექტემბერი - 10 ოქტომბერი). დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კარბში მცხოვრებ გლეხებს ახალი მეპატრონე უნდა ეცნოთ და გადასახადები მისთვის უნდა გადაეხადათ: „აღნიშნული ადგილების გლეხებმა ხსენებული [პირი] (იგულისხმება გივი ზედგინიძე, რომელიც სპარსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტში გიუნა-ბეგ ზედგინიძედ იხსენიება, – გ. ს.) თავის სრულუფლებიან თიულდარად უნდა ცნონ, ყოველწლიურად მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადი უნდა გადასცენ და არაფერი შეუჩერონ.“[1094]

კარბში ამილახვრები მოგვიანებითაც დიდი რაოდენობით ყმა-მამულს ფლობდნენ. მათგან დემეტრე ამილახვრის ქონება ყველას აღემატებოდა: 1754 წლის 15 ივნისს ამირინდო ამილახორისა და მისი ბიძაშვილების ყმა-მამულის საქმეზე შედგენილი დოკუმენტში ვკითხულობთ: „კარბს რაც ტატისშვილს იესეს მამული უჭირამს, საერთო არის. წურიაშვილი ტარიელა კაცი დემეტრესი არის და მამული საერთო არის ისასშვილის მამული საერთო არის ...კარბს საბანაძის მამულს გარდა ან ლოლაძეს ან საბანაძეს ან ციმაკურიძეს საერისთოს კაცისაგან მამული ეყიდოთ, ეს კაცებიც და მამულიც დემეტრესი არის. თუ სა[ა]მილახოროს სახასოს კაცისაგან მამული ეყიდოთ, თუ პატრონი გამოუჩნდეს მიმყიდველი, თავისი მამული იმან უნდა დაიხსნას. თუ არა და, რაგვარათაც სხვის მონასყიდის გარიგდეს, ისე ამათი გარიგდეს. ხარებასშვილის ვენახი რომ უჭირამს ციმაკურიძეს ნასყიდობით, ისიც ამგვარათ უნდა გარიგდეს.“[1095]

გარდა ამისა, ამავე სოფელში 1766 წლის 10 თებერვლის განჩინების მიხედვით. დემეტრეს რგებია: „ქ. კარბს მეტრეველის მამული ადუაშვილის ბიჭითა

ქ. გულისადებაშვილი დიაკონი მისის მამულითა

ქ. ანიაშვილის თათარას მამული, ზვრისა და სამის ხოდაბუნის მერვედი და ძველი ნაზვრევის მერვედი.“[1096]

1092 დოკუმენტები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ავტორები ქართველიშვილი თეა, ბაინდურაშვილი ხათუნა, გელაშვილი ირაკლი, გოგოლაძე თამაზ, შაორშაძე მაია, ჯოჯუა თემო, რედ. მზია სურგულაძე, ტ. II, გვ. 54.

1093 იქვე, გვ. 288.

1094 იქვე, გვ. 289.

1095 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 434, დოკ. 344.

1096 იქვე, გვ. 521, დოკ. 416.

კარბში ამილახვრების მამულის არსებობა 1784 წლის დოკუმენტითაც დასტურდება. ეს არის „განჩინება გოგნიაშვილების და ფავლენიშვილების ყმების საქმეზე.“ როგორც ირკვევა, პეტრე და ივანე გოგნიაშვილების მამას გარკვეული პერიოდი კარბში უცხოვრია: „ხან ამილახორის მამულში კარბს მდგარა.“[1097]

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, კარბში საბატონიშვილო მამულიც არსებობდა, რაც 1776 წლით დათარიღებული ერთ-ერთი დოკუმენტით დასტურდება. ეს არის ერეკლე ფალავანდიშვილის მიერ ერეკლე II-ის სახელზე დაწერილი „არზა.“ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ერეკლე ფალავანდიშვილის საკუთრებაში არსებული აზნაური შაბელიქისშვილი ელისაბედ ბატონიშვილს მზითვში გაატანეს. როგორც ჩანს, შაბელიქისშვილი აწყურში „შავი ჭირით“ გარდაიცვალა: „ასე გარდმოვიდა და აწყვერს ჭირის სანაცვლოდ გაგიხდათ და იმის შვილი კარბს საბატონისშვილოს მამულზედ დადგა.“ ქართლ-კახეთის მეფეს ფალავანდიშვილი თავისი აზნაურის შვილის „კაცების“ უკან დაბრუნებას სთხოვდა: „ჩემო ჭელმწიფევ! რადგან ის ჩემი აზნაურშვილი საბატონისშვილოთ დაიდვა, რაც იმას კაცები ჰყავს, ისიც არის მებოძოს, ღმერთი გაგიმარჯვებს.“[1098] როგორც ჩანს, ფალავანდიშვილის აზნაურს ყოფილი მეპატრონის საკუთრებაში დაბრუნება აღარ სურდა და სწორედ ამიტომ „შეაფარა“ კარბის საბატონიშვილო მამულს თავი. თუმცა, ერეკლე II-მ ფალავანდიშვილისათვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო: „ქ. ჩვენი ბრძანება არის ირაკლი! მერმე თუ რომ შენ აზნაურისშვილს და შენ ერთმანერთის თავი გინდათ, ისიც შენი იქნება და იმისი ყმა და მამულიც...“[1099] კარბის „საბატონისშვილო მამულის“ შესახებ სხვა დამატებითი ინფორმაცია არ მოიპოვება.

ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები არც კარბისთვისაც იყო უცხო. როგორც მივუთითებდით, 1771 წლის 4 აპრილს ყმების დაფანტვისა და გადასახადების გადაუხდელობის გამო, ერეკლე II-სთან იჩივლა სოლომონ აბაზაძემ. გაქცეული ყმებიდან ერთ-ერთი – ბლიაძე კარბში ყოფილა, რომელიც ბატონის სამსახურზე უარს ამბობდა.[1100] 1784 წლის 5 ივნისის ერეკლე II-ის განჩინებიდან ჩანს, რომ პეტრე და ივანე მეკარვიშვილებს, რომლებიც კარბში ამილახორის მამულში იდგნენ, გიორგი გოგნიაშვილი და მისი ძმისწულები ედავებოდნენ ყმებს.[1101] 1777 წელს ბეჟან ამილახვრისშვილმა ისარგებლა შერმაზან ბასილაშვილის „მორიგე ჯარში“ გაწვევით და კარბში მდგომი მისი ორი კომლი ნადირაძე და ხატიაშვილი „დაარბია.“

შერმაზან ბასილაშვილი ერეკლე II-ეს სთხოვდა: „ერთის ოქმისა იასაულის წყალობა გვიყავით, რომ ის ჩემი კაცნი საცა იყოს, ამიყაროს და

1097 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 259, დოკ. 152.

1098 იქვე, გვ. 351.

1099 იქვე, გვ. 352.

1100 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 179, დოკ. 179.

1101 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 259, დოკ. 152.

მევე მომეცეს, რადგან ამ ქვეყანაში არ მაყენებენ ჩემის კაცით, თქვენს საბრძანებელში, საცა მერჩომილება იქ დავდგები.“[1102]

სოფელ კარბში არსებული სოციალური დაპირისპირება ჩანს ერეკლე II-ის მიერ თევდორე ვარძიელაშვილისათვის ბოძებულ საბუთშიც. თევდორე „ჩელტია“ ივანეს მოკედლედ კარბში ხიზნად მდგარა. ჩელტიას ძმისწული თევდორე ოსების „ტყვის სყიდვაში“ აღმოჩნდა გარეული. გაყიდული ოსების პატრონებმა კარბში უდანაშაულო თევდორე ვარძიელაშვილი დაარბიეს. არც ჩელტიას ძმის შვილს დაუკლია ვარძიელაშვილისათვის და ორი კოკა ღვინო წაურთმევია.

ერეკლე II-მ მდივანბეგ ამილახვარს დაავალა სამართლის აღსრულება: „მერე ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ჩელტიას ძმისშვილი ამას დაეხსნას ნუ აწუხებს ...უთნელიშვილმა სახლთუხუცესმა გიორგიმ ისე შეიტყოს, ამ კაცებს ოსებმა არა შესცოდონ რა თორემ ჩვენი საწყენი იქნება.“[1103]

აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ მოსახლეობას განსაკუთრებით აზარალებდა ლეკიანობა.[1104] 1753 წლის მაისში, საქართველოს აჯი-ჩალაბის ვაჟი აღა-ქიში ყარაბაღის ხანთან ერთად შემოესია. ერეკლე II დამხმარე ჯარის ჩამოსაყვანად არაგვის ხეობაში გადავიდა, რათა „ჩერქეზ-ოვსნი ჯარად და მთის კაცნი“ წამოეყვანა. სწორედ ამ დროს შემოიჭრა ქართლში დაღესტნის ბელადი ზუბეიდალა. ომან ხერხეულიძის ცნობით, ლეკებმა დვანის ციხე აიღეს, შემდეგ კი თიღვას მოადგნენ: „და იმ ჟამზედ მეფე ირაკლი ხევიდამ გარდმოვიდა ჩერქეზის ჯარით და ეს ამბავი დუშეთს მოერთვა. ამ ჩერქეზის ჯარს წარუძღვანა ჯიმშერ ერისთავი და გივი ამილახვარი და იმ ლეკის ჯარზედ გაისტუმრა თიღვის მისაშველებლად და თვით მეფე ირაკლი კახეთს წაბძანდა ჯარების გამოსაყვანად. ლეკთა თიღვა ვეღარ აიღეს, პატარა ლიახვს გამოღმა კარბის სოფელთან რა მოაწიეს, იქ ჯიმშერ ერისთავი და გივი ამილახორი შემოეყარნენ ჩერქეზის ჯარით, შეუტიეს და ეს ლეკის ჯარი დაამარცხეს, მრავალი ლეკი მოკლეს და ქალაქს მეფეს თეიმურაზთან შთამოვიდნენ.“[1105] 1789 წლის 17 სექტემბერს ერეკლე II-ის გაცემული საბუთით ირკვევა, რომ ვახუშტი ჯავახიშვილს და სვიმონ მაღალაშვილს მორიგე ყარაულის სახით, „ერთი თვის თავისი ნუზლით თოფსა და იარაღით გაწყობილი კარგი ყოჩაღი კაცის“ გამოყვანა ევალებოდათ, კარბიდან ღვინობისთვეს (ოქტომბერი), იანვარსა და აპრილში.“[1106]

კარბელები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის თავდაცვის მიზნით გატარებულ ღონისძიებებში. ერეკლე II-ის მორიგე ჯარის დავთრების

1102 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 369-370, დოკ. 385.

1103 იქვე, გვ. 397-398, დოკ. 417.

1104 იხ. ი. ალიმბარაშვილი, ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011.

1105 ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1989, გვ. 54.

1106 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. II, თბ., 1953, გვ. 151, დოკ. 239.

მიხედვით, XVIII ს. 70-იან წლებში კარბიდან მეფის დაძახილზე უნდა შეკრებილიყვნენ: გველაური პეტრე, ნონიაშვილი გლახა, ხიზანი ბუჭუასშვილი ნინიას ყმა შანაზარაშვილი არაქელა, ანანიასშვილის სახელო ედიკაშვილი გიორგი და დავითასშვილი იესეს ყმა გელიაშვილი სიმონ.[1107]

სხვა დავთრის მიხედვით, რომელიც 1774 წლის ივნისიდან 1775 წლის მაისის ჩათვლით „მორიგე ჯარში“ გამოსაყვან მოსახლეობას ეხება, კარბიდან უნდა გამოსულიყვნენ: „გორიჯვრის ყმა მახარაშვილი თევდორე, ზაალ დავითაშვილის ყმა კიკოლაშვილი გიორგის სახლის კაცი, თვითონ კიკოლაშვილი გიორგი, შერმაზან გნოლისძის სახლის კაცი, ანანიაშვილის სახელო გოგნიაშვილი პავლეს სახლის კაცი, ანანიაშვილის სახელო ელოშვილი დებაშვილი თამაზა, იულონ ბატონიშვილის ყმა კოშორიძე ხიზანა, ზაალ დავითაშვილის ყმა მახარობლიძე ბერის სახლისკაცი, ამილახორის ყმა ნონიაშვილი გოგია, გნოლიძე ბეცია და შერმაზან, ბასილაშვილი შერმაზან, ლიპარიტისშვილი გელია, უთნელისშვილის ყმა დვალიშვილი გოგია და ა. შ. სულ – 63 კაცი.[1108]

კარბის მოსახლეობას სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო ვალდებულებებიც გააჩნდათ. მაგ. XVIII ს. მიწურულით დათარიღებული „კოდის პურის გადამხდელ“ სოფელთა ჩამონათვალში კარბიცაა მითითებული.[1109]

ამავე პერიოდით დათარიღებული ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, კარბიდან გამოყვანილ მუშა მონაწილეობას იღებდა სამგორის არხის სამუშაოებში, რისთვის გასამრჯელოს სახით ოთხი მინალთუნი უნდა მიეღო.[1110]

1795 წლის სიის მიხედვით, იმ სოფელთა ჩამონათვალში, ვისაც „რუსებისათვის მისასყიდი ფქვილი შესწერდა“, (იგულისხმება ფქვილის შეგროვება) პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად, კარბსაც ჰქონდა ვალდებულება.[1111]

1781 წლის აღწერით, კარბში ძირითადად ამილახვრებს ჰყავდათ ყმები. აზნაურთაგან, აქ ყმა-მამულებს ფლობდნენ: შერმაზან ბასილაშვილი, იოანე ციმაკურიძე, გოგია დავითაშვილი და სხვები. ამ დროის კარბის მკვიდრთაგან აღწერაში დასახელებულნი არიან: გოგია ნადირაძე, ტეტია ხატიაშვილი, ივანე, ნინია და გოგია ლომიძეები, ბეცია, ივანე და გიორგი გნოლიძეები, მღვდელი ათანასე და მისი ძმები: გიორგი, იოსებ და იესე, გლახა და ნინია რაზმაძეები, დათუა და ნინია თევდორაშ-

1107 იასე ლორთქიფანიძე. საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV-B, 1947, გვ. 347.

1108 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, გვ. 126-128.

1109 საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, დ. მუსხელიშვილის რედ. ტ. II, თბ., 2010, გვ. 172-173.

1110 იქვე, გვ. 28.

1111 საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, დ. მუსხელიშვილის რედ. ტ. I, თბ., 2010, გვ. 215.

ვილები, იოსებ გულისადებაშვილი, ივანე, ღთისია და ზურაბა ბიძინაშვილები, მახარე ჟოჟუაშვილი, ნინია აზარაშვილი და ხიზნად მდგომი მუკნიაშვილი.[1112]

XIX ს. დასაწყისის კარბში მცხოვრები კომლების ნუსხაში აღწერილია 47 კომლი: ზაქარია მამასახლისი, ბერი ძველური, შიო წერაშვილი, მატია შამანდუხაშვილი, დათუნა ნონიაშვილი, გიორგი, შიო და ტატა გაგნიძეები, ბერი საბანაძე, ქიტა მალხაზიშვილი, ბერი, ადუა, სეხნია გნოლიძეები, ბიძინა, პაპუნა, დათუნა და თამაზა ბიძინაშვილები, ოქროპირ და ოთია ხარებაშვილები, პაპუნა მეტრეველი, შიო ბეჟიტაშვილი, ბერუკა, ხოსია, ფარეშა, დემეტრე ვარდნიძეები, გიორგი და ბერი იმერლიშვილები, ბეგთამზე ლაფაჩი, თამაზა მელაძე, ივანე მეტრეველი, ბეგია რაჯაბაშვილი და სხვ.[1113]

1804 წლის აღწერის მიხედვით, კარბში 21 კომლი (63 მამაკაცი, 44 ქალი) გლეხი ცხოვრობდა. ისინი ბარძიმ, დიმიტრი და გრიგოლ ამილახვრების ყმობაში იყვნენ. აზნაურებიდან დასახელებულნი არიან გლახა და ქესტი (?) დავითაშვილები, ერთი კომლი (6 სული) ყმა ჰყავდა არბოს წმ. გიორგის ეკლესიას. სახნავი მიწის რაოდენობა შეადგენდა 400 დღიურს. წლიურად საშუალოდ მოჰყავდათ 325 კოკა ღვინო. კარბელები მიწათმოქმედებასა და მევენახეობას ეწეოდნენ. მებატონეს ისინი ღალას უხდიდნენ პურითა და ღვინით წელიწადში ოთხჯერ საეკლესიო დღესასწაულებზე.[1114]

1818 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, კარბში ყმები ჰყავდათ და მამულებს ფლობდნენ თავადები: ოთარ, ბარძიმ, ნიკოლოზ, თეიმურაზ, ვახტანგ, იასე, ივანე ამილახვრები და ელიზბარ ერისთავი. აზნაურთაგან წარმოდგენილნი არიან დავით ბასილაშვილი (ოჯახის წევრთა რაოდენობა 9), იასე დავითაშვილი (2), პაატა დავითაშვილი (8), იოსებ გნოლიძე (8), სოსია გნოლიძე (8), გიორგი უზნაძე (3), იოსებ ცალქალამანიძე (2), ანდრია ციმაკურიძე (6), ხოლო გადასახადების გადამხდელ გლეხთაგან მითითებულნი არიან: გოგია თევდორაშვილი (12), გიორგი გულისაბედაშვილი (7), სხვა გიორგი გულისაბედაშვილი (4), ბერუა ხატიაშვილი (6), ბერუა ბიძინაშვილი (13), პეტრე ბიძინაშვილი (10), გლახა რაჭულაშვილი (11), ნინია ანიაშვილი (11), მახარე ჟოჟუაშვილი (8), ზურაბ აზრაიშვილი (4), სვიმონ რაზმაძე (4), ანდრია ქოქაშვილი (7), რევაზ ლოკაშვილი (4) და გიორგი ლოკაშვილი (10).[1115] როგორც ვხედავთ, კარბის მოსახლეობის რაოდენობა 40 წლის განმავლობაში დიდად არ შეცვლილა. სოფლის 1818 წლის აღწერაში განმარტებულია, რომ ვარგისი მიწების რაოდენობა ყველა კატეგორიის მცხოვრებთათვის 360 დღიურს შეადგენდა. სოფელი

1112 ა. თაბუაშვილი ა. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, გვ. 65-66.

1113 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, II, გვ. 187-188.

1114 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა... გვ. 114.

1115 იქვე, გვ. 364-368.

სარგებლობდა მდ. პატარა ლიახვიდან გამოყვანილი არხით, მიწა მოსავლიანი იყო. სოფელში არსებული კოშკი და ციხე-სიმაგრე ეკუთვნოდა იოსებ გნოლიძეს. მისივე მფლობელობაში იყო ორთვლიანი წისქვილი. მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებას, მიევენახეობას, მებაღეობას და მესაქონლეობას.[1116]

გორის მაზრის 1831 წლის საეკლესიო გლეხების სიის მიხედვით, იკორთის ეკლესია კარბში ფლობდა ორ კომლ (9 სულ) ყმას: კიკოლა რჩეულიშვილს (ოჯახის წევრთა რაოდენობა 8 სული) და კიკოლას ბიძაშვილ გოგიას (1 სული).[1117]

1886 წლის აღწერით კარბში 77 კომლი ცხოვრობდა (179 მამაკაცი, 178 ქალი, სულ 337 სული). აქედან, 76 კომლი ქართველი იყო და მხოლოდ ერთი კომლი – ოსი. კარბის მცხოვრებთაგან 53 სული საბატონო უწყებას მიეკუთვნებოდა, 4 – საეკლესიოს. გლეხებიდან 13 კომლი (54 კაცი, 53 ქალი) სახაზინოს წარმოადგენდა, ხოლო 45 კომლი (90 კაცი, 65 ქალი) საეკლესიო საკუთრებაში იყო.[1118]

სოფელ კარბთან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, პროფ. ვახტანგ კოტეტიშვილს. კარბი მეცნიერის დედულეთი იყო.[1119]* სოფელ კარბში ადგილობრივ მღვდელთან სტუმრად მყოფმა ახალგაზრდა მოძღვარმა ილია კოტეტიშვილმა, რომელიც მანგლისთან ახლოს სოფ. დიდ თონეთში მოღვაწეობდა, ეკატერინე ბიძინაშვილი გაიცნო. როგორც ვახუშტი კოტეტიშვილი გადმოგვცემს, ეკატერინეს სოფლის სკოლაში ოთხი კლასის განათლება მიუღია: „იქ მეტი კლასი აღარ არსებობდა, ეს იყო კარბის კემბრიჯიცა და ოქსფორდიც. აქაოდა, წერა-კითხვა ვისწავლეო, მოდგა და რაც კი სოფელში წიგნი იპოვებოდა, სულ ჩააბულბულა. ერთი წაკითხვა ჰყოფნიდა და უკვე ზეპირად იცოდა ყველაფერი. განსაკუთრებით ლექსები და მოთხრობები უყვარდა. ისეთები კი არა, „ანა-ბაჯი“ და მაგისთანები, არამედ მთელი ქართული კლასიკური ლიტერატურა. ფოლკლორზე ხომ აღარც არის ლაპარაკი საჭირო. საღამ-საღამოობით, შრომა რომ მოთავებული ჰქონდათ, დასხამდა ხოლმე უბნის გოგოებს – ბაბუცას, ფეფოს, მათიკოს, ანოს, თამროს და ზეპირად და გამოთქმით უკითხავდა „ვეფხისტყაოსანსა“ და „ქართლის ჭირს,“

1116 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა... გვ. 364-368. გვ. 368.

1117 სეაცსა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 1246, გვ. 162-163, Камеральное описание церковных крестьян Горийского уезда, 1831 год.

1118 Свод статистических данных о населений Закавказского края излеченных из посемеичных списковь 1886 г. Тифлисская губерния, Горийский уьезд, Меджврисхевский участок, Тифл., 1893 №849.

1119 * ვახტანგ კოტეტიშვილის დედას ეკატერინე ბიძინაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა აკად. ივანე ჯავახიშვილთან. დიდ მეცნიერისათვის ქართლში მცხოვრებ ოსებში თხის, იგივე „ვაჩილას“ კულტის შესახებ ეკატრინე ბიძინაშვილს ხალხში შემორჩენილ წეს-ჩვეულებებზე დაყრდნობით, გარკვეული ინფორმაცია მიუწოდებია *(ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი X, თბ., 1992, გვ. 179.).*

„როსტომიანსა“ და „ეორუთიან-საამიანს,“ ორბელიანის, ბარათაშვილის, რაფიელ ერისთავის, ილიასა და აკაკის ლექსებს...“[1120]

მალე ილია კოტეტიშვილმა ეკატერინე (კატო) ბიძინაშვილს ხელი სთხოვა. ეკატერინეს და მამა ილიას ოთხი შვილი შეეძინათ, ერთი ქალიშვილი (ივლიტა) და სამი ვაჟი (ვახტანგი, გიგო, ლადო).[1121] ვახტანგის უმცროსი ძმა ლადო ცნობილი ნევროპათოლოგი, ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი იყო. მან გამოსცა სამი სამედიცინო ძეგლი: „უსწორო კარაბადინი“ (ანუ უბადლო კარაბადინი) XI ს. წიგნი სააქიმოი XIII ს. და „იადიგარ დაუდი.“ თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მას არაჩვეულებრივი პროზაული ნაწარმოებებიც ჰქონდა დაწერილი, რომელთაც საბჭოთა იდეოლოგიური წნეხის გამო, იატაკქვეშ ქმნიდა.[1122]

1934 წლის 4 ნოემბერს მერეთის სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმმა, ვახტანგ და ლადო კოტეტიშვილებს დედულეთში, სოფელ კარბში, დედის წინაპრების ადგილი დაუმტკიცა. პრეზიდიუმმა ვახტანგ კოტეტიშვილის ძმის ლადო კოტეტიშვილის განცხადება განიხილა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ვინაიდან აღნიშნული ლადო კოტეტიშვილი მონახევრეა ლუკა ბიძინაშვილისა, რომელსაც ამტკიცებენ სათანადო საბუთები და მის აქ არ ყოფნით ისარგებლა ლუკა ბიძინაშვილმა და მისი კუთვნილი მამული მიიკუთვნა ლუკამ და ფლობს ძალით, ამისათვის ვინაიდან ეკუთვნის და აქვს საამისო საბუთები მიეცეს ლადო კოტეტიშვილს თავის კუთვნილი ნაფუძრის ნახევარი.“[1123]

მიუხედავად იმისა, რომ დედის ეკატერინე ბიძინაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მერეთის თემის საბჭოს პრეზიდიუმმა კოტეტიშვილებს გადასცა, ლუკა ბიძინაშვილმა და მისმა სახლიკაცებმა კოტეტიშვილების შევიწროება განაგრძეს. როგორც ირკვევა, ბიძინაშვილებმა დედისეულ ფუძეზე მყოფი მოაგარაკე კოტეტიშვილებს ბევრი უსიამოვნება მიაყენეს და წყლით სარგებლობა აუკრძალეს. ლადო კოტეტიშვილმა გორის რაიაღმასკომის ხელმძღვანელობას მიმართა: „ამხ. ქურდაძეს. ძალიან გთხოვთ აი ამ გვარი რამ ქაღალდი გადაუგზავნოთ მერეთის თავმჯდომარეს – რადგანაც მდგომარეობა მეტად არის დაჭიმული – რომ შეიძლება მოგვიხდეს უფრო რადიკალური ზომების მიღებაც გათავხედებული ლუკა და ლიზა ბიძინაშვილების მიმართ. ეს თხოვნა – მეორე კიდევ დაბეჯითებით გთხოვთ საბჭოს აზრი (თუ თავმჯდომარესი) უსათუოდ გადმომიგზავნოთ ხვალ, მე რომ პირობები მქონდეს კიდე დავიცდიდი – მაგრამ სამსახური ნებას აღარ მაძლევს რომ დავრჩე კარბში. ჩემი მისამართი ფრეილინის ქ. № 1, ექიმ კოტეტიშვილს. იმედი მაქვს ამ თხოვნას შემისრულებთ.“[1124]

1120 ვ. კოტეტიშვილი, ჩემი წუთისოფელი, თბ., 2019, გვ. 43.
1121 იქვე, გვ. 47.
1122 იხ. ლ. კოტეტიშვილი, ეშმაკი გალიფეში, თბ., 2019.
1123 გორის რაიონული არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 195.
1124 იქვე.

გორის რაინულმა აღმასკომმა მერეთის საბჭოს დავალება მისცა, კოტეტიშვილების ოჯახის მიმართ ძალადობაში მხილებული ბიძინაშვილებისთვის მკაცრი გაფრთხილება მიეცა: „გთხოვთ დაიბაროთ და სრულიად კატეგორიულად გამოუცხადოთ ლუკა, ლიზა, ლეო, გოგია და სოკრატ ბიძინაშვილებს რომ იმ უმსგავსოების გულისთვის (ბავშვების დაწიოკება, წყლით სარგებლობის აკრძალვა და ლანძღვა) ს. კარბში მოაგარაკეების მიმართ ივლიტა კოტეტიშვილს შვილებით და ნინო კოტეტიშვილს შვილებით, მიმართ აღკვეთილ იქმნას დაუყოვნებლივ."[1125]

ადგილობრივი ხელისუფლების გაფრთხილების მიუხედავად, ეკატერინე ბიძინაშვილის ბიძაშვილმა ლუკა ბიძინაშვილმა აღნიშნული ადგილი მაინც მიისაკუთრა, რის შესახებ ვ. კოტეტიშვილმა ცენტრალურ ხელისუფლებას საგანგებო წერილით მიმართა. კოტეტიშვილებსა და ბიძინაშვილებს შორის სამამულო დავის ამსახველ დოკუმენტებს გორის არქივში მივაკვლიეთ. ვ. კოტეტიშვილის მიერ კალანდაძის სახელზე 1935 წლის 24 მაისს გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „ბოდიშს გიხდი, რომ თქვენი სახელი არ ვიცი და გვარით მოგმართავთ. ამ წერილის მოწერას მაბედინებს ის გარემოება, რომ პოეტმა ირაკლი აბაშიძემ, რომელიც საქ. მწერალთა ბრიგადასთან ერთად ყოფილა თქვენთან, გადმომცა, რომ ჩვენ გვცნობია ერთმანეთი და თქვენ განსაკუთრებითი „სიმპატიებით" მეპყრობით. მართალია, ცოტა უხერხულია ამ წინასიტყვაობის შემდეგ ამ საქმეზე საუბარი, რისთვისაც გაწუხებთ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ამას იმიტომ კი არ გწერთ, რომ „სიმპატიებმა" გასჭრან, არამედ იმიტომ, რომ მეტი ყურადღებით მოეკიდოთ იმ საკითხს, რისთვისაც გაწუხებთ. მაისის 23, თქვენთან იყო ჩემი ძმა, ექიმი კოტეტიშვილი, სოფ. კარბში, დედა-ჩემის მამა-პაპეულ მემკვიდრეობიდან, რომელიც მისმა ბიძაშვილმა, ლუკა ბიძინაშვილმა ძალით მიითვისა, სამოსახლო ადგილის გამო, რომელიც გასულ წელს თემ-საბჭომ გადმოგვცა, და ამ გაზაფხულზე კი, იმავ ბიძინაშვილმა, რაღაც ხრიკებით ისევ მიისაკუთრა. ამხ. კალანდაძე, ეს ხრიკები ჩვენ კარგად ვიცით, ვიცნობთ იმ ლევანებს და სხვებს, რომელნიც სისტემატიურად „ძღვნებით" ივსებიან იმავ ლუკა ბიძინაშვილისაგან, და თუ საქმე მოითხოვს, ამას ვიტყვი კიდეც. თქვენ, რასაკვირველია, ეს „დეტალები" არ გეცოდინებათ, და სწორედ ამიტომა გწერთ, რომ შეცდომაში არ იქნეთ შეყვანილი. თანაც, ამ უკანასკნელ ხანებამდე (და მგონია ამჟამადაც) ლუკა ბიძინაშვილი ინდივიდუალურად იბეგრება და როგორა ხდება, რომ ვიღაცა ისე ჭირვეულად მფარველობს. მოგახსენებთ, რომ ხსენებულ სამოსახლო ადგილით მეცა ვარ დაინტერესებული და მგონია უფლებაცა გვაქვს, რომ დედის მემკვიდრეობიდან, ერთი სამოსახლო ადგილი მოგვეცეს, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების სათანადო დადგენილებაც არსებობს, რომელიც ოფიციალურად არ გაუქმებულა და, მაშასადამე, ძალაში რჩება. თუ არსებობს შარშანდელი დადგენილების ოფიციალური გაუქმება, გთხოვთ ამონაწერი გამო-

1125 გორის რაიონული არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 195..

მიგზავნოთ. ერთი იოტის ოდენა უსამართლობა რომ იყვეს ჩვენ მხარეზე, დამერწმუნეთ, რომ არც თქვენ შეგაწუხებდით და ასეთი საქმის გამოკიდებას არც მე ვიკადრებდი. მაგრამ რახან მართლა უსამართლობას და მტაცებლობას ვიღაც მფარველობს, მე ბოლომდე გავყვები ამ საქმეს და ამიტომ თქვენც გაწუხებთ. ამხ. კალანდაძე, ჩემი თხოვნა არის, რაც შეიძლება გულდასმით გაეცნოთ საკითხს და პასუხი მაცნობოთ ამ მისამართით: საქ. მუზეუმი. დირექტორის მოადგილეს, პროფესორ ვახტანგ კოტეტიშვილს. დავრჩები თქვენი პატივისცემელი ვახტანგ კოტეტიშვილი, 12/V 35 წ.“[1126]

კოტეტიშვილებმა წართმეული მიწის ნაკვეთი ვერ დაიბრუნეს. ამას ადასტურებს ვახუშტი კოტეტიშვილის მოგონებებში შემონახული ერთი ცნობა: „კარბი თქვენი დედულეთია, თუ არა ვცდები, – უთხრა ნიკომ (იგულისხმება ცნობილი ქართველი პოეტი ნიკო სამადაშვილი, – გ. ს.) – ეგ საიდანღა იცი? – გაუკვირდა ვახტანგს. – გორის ბაზარში პურსა ვჭამდით. ერთი ბიძინაშვილი შემოგვესწრო. თქვენზე ჩამოვარდა ლაპარაკი და იმ კაცმა დაიტრაბახა: ვახტანგის დედა ჩვენებურია, ბიძინაანთ ქალიაო. – ეგ კი მართალი უთქვამთ, მაგრამ ის რატომ აღარა თქვა, ბიძინაშვილებმა „მაგარი“ ბიძაშვილობა ვიცით, ერთმანეთს სულ ადგილ-მამულებზე ვედავებითო! ეჰ, რა სალაპარაკოა, მაგრამ საწყალი დედა-ჩემი დღესაც იმ თავის წართმეულ ბაღ-ვენახებს რომ მისტირის, იმიტომ მეთუთქება გული.“[1127]

კოტეტიშვილების მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება ოდნავ მოგვიანებით უფრო ცხადად გამოიკვეთა, რაც ვ. კოტეტიშვილის მიმართ განხორციელებული ტერორით დასრულდა. არ გამოვრიცხავთ, რომ კარბში მცხოვრები ლუკა ბიძინაშვილი, რომელიც კოტეტიშვილების დედისეული ფუძის მისაკუთრებას ცდილობდა, სწორედ ხელისუფლების მიერ იყო წაქეზებული და ამ ყველაფერს პროვოკაციული მიზნები ჰქონდა. ამ ამბებიდან სამიოდე წლის შემდეგ, 1938 წლის 17 იანვარს, ცნობილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ კოტეტიშვილი ე. წ. „სამეულმა“ დახვრიტა.[1128] დაპატიმრების ოქმში ვკითხულობთ: „აგენტებმა შინსახკომს აცნობეს, რომ ის განწყობილი იყო ანტისაბჭოურად, პესიმისტურად, თითქმის ვერ ხედავდა საბჭოთა სინამდვილის პერსპექტივას. ექსპედიციებში ცოტას მუშაობს. სამაგიეროდ, საჯარო გამოსვლებს აწყობს. უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ რუსთაველის ინსტიტუტის ფოლკლორის ხელმძღვანელად ახალგაზრდა სპეციალისტი ჩიქოვანი დანიშნეს, რომლის ხელმძღვანელობით მუშაობა კოტეტიშვილს არ სურს. თავის ნაწარმოებებში სოციალიზმის გამარჯვება არ სჯერა.“[1129]

1126 გორის რაიონული არქივი, ფ. 4, ანაწერი 1, საქმე 195.

1127 ვ. კოტეტიშვილი, ჩემი წუთისოფელი, თბ., 2019, გვ. 419.

1128 რ. კვერენჩხილაძე, წამების გზა, წიგნი I, თბ., 2014, გვ. 507-517.

1129 https://www.radiotavisupleba.ge/a/vakhtang-kotetishvili-uflis-sachuqari-romelic-dakhvrites /28243309.html

სოფელ კარბში გავრცელებული ტოპონიმებია: ბესასეული, ქსენიასეული, ნავენახარი, ცხრიანი, დუბიანი, გორაკები, ხათასეული, ვაშლისმიწები, ჭალის ბაღები. კარბში დღეის მდგომარეობით შემდეგი გვარებია: გნოლიძე, ბიძინაშვილი, გულისაბედაშვილი, რაზმაძე, გვიმრაძე, ასკილაშვილი, კაპანაძე, თევდორაშვილი, ქურთაული, მარიამიძე, რუსიშვილი, უნაფქოშვილი, სამადაშვილი, ყორანაშვილი, ფურცელაძე, ბასილაშვილი, ჩოხელი, შატაკიშვილი, ძულიაშვილი, სიდამონიძე.

პატარა ლიახვის ხეობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში და მოსახლეობის პროტესტი

XIX საუკუნის დასაწყისში, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლება მიზანმიმართულად შეუდგა იმპერიული პოლიტიკის განხორციელებას, რომლის მიზანს საქართველოს სხვადასხვა კუთხის რუსულ სივრცეში ინტეგრაცია და აქ მცხოვრები ხალხის სრული ასიმილაცია წარმოადგენდა. საიმპერატორო კარის ინტერესში შედიოდა კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური ანკლავების შექმნა, რაც საქართველოში მცხოვრები მთიელების, ასევე, ჩრდილო კავკასიიდან შიდა ქართლის მთიან ზოლში ჩამოსახლებული ოსებისათვის ცალკე ადმინისტრაციული ერთეულების ჩამოყალიბებით დაიწყო. 1842 წელს რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრის ჩერნიშევის მითითებით, 1837-1842 წ.წ. კავკასიის მთავარმართებელმა გოლოვინმა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის, რომელიც უწინ გორის, თბილისის და თელავის მაზრებში შედიოდა, ორი ადმინისტრაციული ერთეული: თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ოსეთის ოკრუგი შექმნა.[1130] ოსეთის ოკრუგს მიაკუთვნეს საქართველოს სამხედრო გზის სიახლოვეს მცხოვრები მთიულები და მოხევეები. ოსეთის ოკრუგის ცენტრს ქვეშეთი წარმოადგენდა. მალე კავკასიის ადმინისტრაციამ დაასკვნა, რომ ქვეშეთიდან მოუხერხებელი იყო დიდი ლიახვის ხეობის ზემო წელზე ოსებით დასახლებული ჯავის, მაღრან-დვალეთის, ასევე ნარ-მამისონის მართვა, ამიტომ სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობისთვის მთის ოკრუგი შეიქმნა, აღნიშნული ერთეული სამ ნაწილად დაიყო: ხევის, მთიულეთის და ქსნის უბნებად. 1843 წელს ოფიციალურად გაიხსნა ოსეთის ოკრუგი, რომელშიც სამი უბანი შევიდა: ჯავის, პატარა ლიახვის და ნარის. ოსეთის და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგის უფროსები სპეციალური ინსტრუქციით მთის ოკრუგის უფროსს დაუქვემდებარეს.[1131] ოსეთის ოკრუგში არდონის ხეობაც (დვალეთი) შედიოდა და მის ცენტრს ჯავა წარმოადგენდა. 1858 წლის 3 აპრილს შეიქმნა კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთა, რომლის შემადგენლობაში მოექცა ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ოსეთის სამხედრო ოკრუგი. ამ ადმინისტრაციულ ერთეულს, მალე, ვლადიკავკაზთან სიახლოვის გამო, ოსეთის ოკრუგში შემავალი ნარის უბანი მიაკუთვნეს და ამით საქართველოს ტერიტორიას მისი განუყოფელი ნაწილი ისტორიული დვალეთი ჩამოაცილეს.[1132] ჯავის და **პატარა ლიახვის** საპოლიციო უბნები ჯერ თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა, შემდეგ

1130 ჯ. გვასალია, შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, კრებ. „ოსთა საკითხი," გვ. 100; АКАК, т. IX, стр. 749.

1131 იქვე.

1132 ჯ. გვასალია, შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, გვ. 100.

კი ოსეთის საპოლიციო უბნის სახით გორის მაზრას დაუქვემდებარეს.[1133]

საქართველოში ჩამოსახლებულ ოსებს თანდათან მათ მიერ დაკავებული ტერიტორიების ისტორიულ საცხოვრისად გამოცხადების სურვილი გაუღრმავდათ, რამაც დროთა განმავლობაში სეპარატისტული მოძრაობის სახე მიიღო. ამის ნათელი დადასტურებაა 1917 წლის დეკემბერში განვითარებული მოვლენები. მითითებული წლის 15-17 დეკემბერს, სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მეორე ყრილობამ, რომელიც ცხინვალში გაიმართა, სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო აირჩია.[1134] საქართველოს ეროვნული საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობდა სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოსთან, თუმცა, ოსი სეპარატისტები დაპირისპირების პროვოცირებას ახდენდნენ. როგორც ლ. თოიძე წერს: „აქ ერთმანეთში იყო გადახლართული სოციალური, ეროვნული და სეპარატისტული მოტივები.“[1135] 1918 წლის 19 მარტს, ცხინვალში ოსურმა ბანდებმა შემზარავი ტრაგედია დააატრიალეს. დახოცეს მოლაპარაკებაზე მისული ქართული დელეგაციის წარმომადგენლები, ისინი სასტიკად გაუსწორდნენ ასევე ადგილობრივ მშვიდობიან მოსახლეობას.[1136] 1918 წლის მარტში ოსი სეპარატისტების გამოსვლა ქართულმა სახალხო გვარდიამ გაანეიტრალა.[1137] თუმცა, ბოლშევიკების მიერ წაქეზებული ოსების გამოსვლები ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ შემდეგ წლებშიც გაგრძელდა.[1138] აჯანყებული ოსები არ ჯერდებოდნენ დიდი ლიახვის ხეობაში დაკავებულ ტერიტორიებს და გორისკენ მიიწევდნენ.[1139] 1919-1920 წლებში ქართულ პერიოდულ პრესაში არაერთი კორესპონდენციაა გამოქვეყნებული, რომელიც ოს ყაჩაღთა თარეშს და მათ მიერ ადგილობრივი მოსახლეობის აწიოკებას ეხება.[1140] როგორც ჩანს, მძარცველი ოსების თავდასხმებით მათი თანატომელი მშვიდობიანი მოახალშენეებიც არანაკლებად იყვნენ შეწუხებულები.[1141] ბოლშევიკების მიერ წაქეზებული ოსი სეპარატისტების მიერ მოწყობილ აჯანყებებს გმობდნენ თბილისში მცხოვრები ოსები. ამას ადასტურებს 1919 წლის 26 თებერ-

1133 ჯ. გვასალია, შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, გვ. 100.

1134 ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 15.

1135 იქვე, გვ. 23.

1136 იქვე, გვ. 25-26.

1137 იქვე, გვ. 28.

1138 ამის შესახებ ვრცლად, იხ. ა. მღებრიშვილი, ცხინვალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921), თბ., 2019, გვ. 210-212; ლ. სარალიძე, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921) და ოსეთის საკითხი, ჟურნ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები,“ 2007, გვ. 152; მ. გუნცაძე, 1920 წლის ოსთა აჯანყება შიდა ქართლში ქართული პერიოდული პრესის მასალების მიხედვით, ქართული წყაროთმცოდნეობა, XV-XVI, 2013-2014, გვ. 41; ა. მენთეშაშვილი, ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში, კრებ. ოსური საკითხი, თბ., 1996, გვ. 276-297.

1139 ა. მღებრიშვილი, ცხინვალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, გვ. 212.

1140 გაზ. „საქართველო,“ 1919 წ. 6 ნოემბერი, № 241, გვ. 4; ა. მღებრიშვილი, ცხინვალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, გვ. 69-70.

1141 ა. მღებრიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

ვალს, მუშათა კრებაზე გამოსული ვ. გაგლოევის მოხსენება. თბილისელი ოსები თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოში ცხოვრების სურვილს გამოთქვამდნენ.[1142] თანამოძმეების მოწოდების მიუხედავად, ოსი სეპარატისტების გამოსვლები მაინც არ წყდებოდა, მათ უკან ბოლშევიკური რუსეთი იდგა. ერთ-ერთ ასეთ გამოსვლას ადგილი ჰქონდა 1919 წლის 23 ოქტომბერს როკის რაიონში, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ გაანეიტრალა. თუმცა, სეპარატისტული მოძრაობა კრემლის წაქეზებით კვლავ გრძელდებოდა. სწორედ ბოლშევიკთა წაქეზებით, 1920 წლის 8 მაისს, როკის რაიონში ოსებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. 1920 წლის 8 ივნისის სამხრეთ ოსეთის რევკომის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორია ადგილობრივ რევკომს ექვემდებარებოდა. ისინი გამოხატავდნენ მზადყოფნას საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ.[1143] ოსი სეპარატისტების ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან მკაცრი რეაგირება მოჰყვა.[1144] ეროვნულმა გვარდიამ ვ. ჯუღელის მეთაურობით აჯანყების კერები გააუვნებელყო.[1145]

დამოუკიდებლობის წყურვილის გასამძაფრებლად ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგები აღრმავებდნენ მითს, თუ როგორ იჩაგრებოდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობანი. ამის გამოვლინებაა კომუნისტების ერთ-ერთი ლიდერის ი. სტალინის მიერ 1921 წლის 10 თებერვალს გაზეთში „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატია: „პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში. თეზისები რკპ(ბ) X ყრილობისათვის, დამტკიცებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ.“ კომუნისტური პარტიის ბელადი საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას ოსების, აფხაზების, სომხების ჩაგვრაში ადანაშაულებდა.[1146] თუ როგორ „იჩაგრებოდნენ“ ეთნიკური უმცირესობანი დემოკრატიულ საქართველოში, შეგვიძლია ნათლად დავინახოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო რეგულაციებით. 1918 წლის 1 ოქტომბრის კანონის „საქართველოს სახელმწიფო ენის“ მიხედვით, ქართულ ენას ჰქონდა სახელმწიფო ენის სტატუსი. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველგვარი საქმის წარმოება და კამათი უნდა გამართულიყო ქართულ ენაზე, ხოლო ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლებები ცალკე კანონით რეგულირდებოდა. 1918 წლის 15 ოქტომბერს მიღებულ იქნა კანონი: „წესი ენის ხმარებისა,“ რომლითაც დამატება შევიდა პარლამენტის რეგლამენტში და განისაზღვრა ეთნიკურ უმცირესობათა ენების გამოყენების

1142 ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

1143 იქვე, გვ. 36.

1144 ა. მენთეშაშვილი, ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში, კრებ. „ოსური საკითხი,“ გვ. 285.

1145 იქვე, გვ. 37; ალ. მღებრიშვილი, ცხინვალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, გვ. 293.

1146 ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, თბ., 1949, გვ. 19.

პირობები.[1147] ქართული ენის არმცოდნე პარლამენტის წევრ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, სიტყვის წარმოთქმა შეეძლოთ თავიანთ მშობლიურ ენაზე, რომელიც პარლამენტის ერთმა წევრმა მაინც იცოდა. წარმოსათქმელი სიტყვა უნდა გადათარგმნილიყო ქართულად, თუ ამას 15 დეპუტატი მაინც მოითხოვდა.[1148] კიდევ უფრო დიდ უფლებებს აძლევდა ეთნიკურ ემცირესობებს 1919 წლის 14 იანვარს მიღებული კანონი: „ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებში ენის ხმარებისა.“ ამ კანონის შესაბამისად, თვითმართველობის ფარგლებში, თუ ეთნიკური უმცირესობა, მცხოვრებთა ნახევარზე მეტი იყო, მათთვის საქმის წარმოება და მსჯელობა უნდა წარმართულიყო როგორც სახელმწიფო, ისე მათ მშობლიურ ენაზე.[1149]

საქართველოში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებს განსაკუთრებული ადგილი დაეთმო 1921 წელს მიღებულ კონსტიტუციაში. დემოკრატიული რესპუბლიკის ამ უმაღლეს დოკუმენტში მე-14 თავი სწორედ ამ საკითხს ეხება.[1150]

საქართველოს პირველი კონსტიტუციიდან ნათლად ჩანს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფლების ხედვა ორიენტირებული იყო ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების უფლებებზე, რაც სახელმწიფოებრივი მოწყობის მთავარ დოკუმენტში მკაფიოდ აისახა.

1921 წლის 25 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიამ საბოლოოდ ხელ-ფეხი გაუხსნა ოს სეპარატისტებს, რომელთა მიზანი საქართველოს შემადგენლობიდან გამოყოფა იყო. ცხინვალში შექმნილმა ოსურმა რევკომმა დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში არსებული სოფლების შევიწროება დაიწყო. ამას ადასტურებს 1921 წლის მაისით დათარიღებული დოკუმენტი: „ქართულ სოფლებში ოსების უკანონო ქმედებების შესახებ, საქართველოს მთავრობისადმი წარდგენილი განცხადება,“ სადაც ვკითხულობთ: „სოფელ ვანათში, ბელოთში, საცხენეთში და აწრისხევში იყო ცხინვალიდან შემდეგი რევკომი, რომელიც ეკუთვნოდა ცხინვალის რევკომს. რადგანაც ეს სოფლები არიან ქართული სოფლები,[1151] ოსეთის რევკომმა ამ სოფლებში გაგზავნა მილიცია და გამო-

1147 ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სახელმწიფო ენა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი,“ № 1, (28), 2011, გვ. 17.

1148 ნ. პოპიაშვილი, ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლების თავისებურებები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში (აფხაზური და ოსური ენების მაგალითზე), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები, მასალები, თბ., 2017, გვ. 114.

1149 იქვე; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990, გვ. 26.

1150 საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21, ბათომი, 1921, გვ. 36-37.

1151 აღსანიშნავია, რომ 1921 წლის 31 მაისით დათარიღებულ გორის მაზრის ადმინისტრაციულ ერთეულებად დამყოფი კომისიის პროექტის მიხედვით,

აცხადა თავისი ორიენტაცია. ასე რომ, ეს სოფლელები იძახიან, თუ ჩვენ ამათ ხელში დავრჩებით, მაშინ აქედან ავიყრებითო. ასეც მოხდა, მოსახლეობის ნაწილი აიყარა და წავიდა ბარისკენ."[1152] ოსები თავს დაესხნენ და გაძარცვეს დიდი ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფლის მოსახლეობა, მათ შორის: სვერში, ძარწემსა და ქემერტში მცხოვრები ქართველები.[1153] მალე სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტიული კომიტეტის 1921 წლის 6-8 სექტემბრის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული დადგენილებით სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის იდეა გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის საკითხი შესასწავლად გადაეცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ბ. კვირკველიას, რომელმაც აღნიშნულთან დაკავშირებით საგანგებო მოხსენებით მიმართა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს. მოხსენების ავტორი გორის მაზრიდან სამხრეთ ოსეთის ცალკე ერთეულად გამოყოფას გეოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით შეუძლებლად მიიჩნევდა: „სამხრეთ ოსეთი, როგორც მთლიანი გეოგრაფიული ერთეული არ არსებობს. არის მხოლოდ ოსებით დასახლებული ცალკე რაიონები, რომელთაც ურთიერთ შორის არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. არც გეოგრაფიულად და არც ეკონომიურად. თითოეული ამ რაიონთაგანი წარმოადგენს განუყოფელ ორგანულ ნაწილს სხვადასხვა გეოგრაფიულ და სამეურნეო პროვინციებისას. ეს რაიონები ერთიმეორისგან დაშორებული არიან გადაუვალი მთებით და ამასთანავე თითოეულ მათგანს აქვს სრულიად თავისუფალი გამოსავალი მხოლოდ ბარში. იგინი ერთიმეორეს მოწყვეტილნი არიან წლის განმავლობაში რამდენიმე თვით და თითოეული მათგანი ეკონომიურათ დამოკიდებულია იმ ველთან, რომელთანაც დაკავშირებულია გეოგრაფიულად."[1154] ბ. კვირკველიას მოხსენების მიხედვით, საქართველოში ჩამოსახლებული ოსები: „მოსახლეობენ შემდეგ რეგიონებში: 1). გორის მაზრაში – დიდი ლიახვის ხეობაში სოფ. კეხვამდის, ხოლო ამ სოფლიდან დაწყებული სამხრეთით მარტო ქართველებით დასახლებული სოფლებია, სადაც ოსების რიცხვი მცხოვრებთა 15 % არ აღემატება.

პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული რამდენიმე სოფელი ცხინვალის რაიონს მიაწერეს. ცხინვალის რაიონში რამდენიმე თემი შედიოდა. მათ შორის: „I. ცხინვალის თემი: ცხინვალი, გუჯაბაური. II. დიცის თემი: არბო, ბროწლეთი, დიცი კოხათი, ქორდი, მედვრეკისი, ფრისი, სარაბუკი, ტირძნისი, თერგვისი, ერგნეთი, ერედვი, ვანათი, საცხენეთი, ხოშური, ბელოთი, აწრისხევი, ხადურიაანთკარი. III. თამარაშენის თემი: დგვრისი, თამარაშენი, ქვემო აჩაბეთი, ზემო აჩაბეთი, ქურთა, მონასტერი, კეხვი, ქემერტი, სვერი, პატარა ძარწემი, დიდი ძარწემი, ხეითი, ზღუდრის უბანი, საბაწმინდა, ხეითი, ფრისი. IV. შინდისის თემი: არაშენდა, ახალდაბა, ვარიანი, ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, ქვემო ხვითი, ყელქცეული, საქაშეთი, ფხვენისი, შინდისი." *შ. ვადაჭკორია, ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე (1917-1925 წ.წ.), თბ., 2020, გვ. 458.*

1152 შ. ვადაჭკორია, ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე (1917-1925 წ.წ.), თბ., 2020, გვ. 448.

1153 იქვე, გვ. 448-449.

1154 იქვე, გვ. 482.

2). პატარა ლიახვის ხეობაზე, სოფლ ვანათამდის; ვანათის ზევითაც ჩრდილოეთით მდებარეობენ რამდენიმე ქართული სოფლები: ბელოთი, ორი ხოშურა, საცხენე, აწრისხევი და სხვა. 3). მდინარე ფრონეს სათავეზე ყორნისის და წუნარის რაიონებში, სადაც ოსთა მოსახლეობა მცხოვრებთა 88% არ აღემატება. 4). დუშეთის მაზრაში – მდ. არაგვის და ქსნის სათავეზე. 5). რაჭის მაზრაში მდინარე ჯეჯორას სათავეზე."[1155]

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ასეთი შინაარსის მოხსენების მიუხედავად, საკითხი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულის შექმნის შესახებ, საბოლოოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ რევოლუციურ კომიტეტსა და რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტის კავბიუროს უნდა გადაეწყვიტა. ზემოთ ნახსენები 1921 წლის 6-8 სექტემბრის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული დადგენილება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა იმავე წლის 27 სექტემბერს საქართველოს სსრ რევოლუციურ კომიტეტს გადაუგზავნა, აღნიშნულმა კომიტეტმა 1921 წლის 10 ოქტომბერს საკითხი განსახილველად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გადასცა. თუმცა, რესპუბლიკის ბოლშევიკ ლიდერებს ამ საკითხზე დასკვნის გამოტანა გაუჭირდათ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულის შექმნის ეს მავნებლური გადაწყვეტილება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ მიიღო. 1921 წლის 31 ოქტომბერს სწორედ კავბიურომ გამოსცა დადგენილება სამხრეთ ოსეთის, არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (როგორც თავიდან მოიაზრებდნენ), არამედ, ავტონომიური ოლქის შექმნასთან დაკავშირებით. აღნიშნული დადგენილებით საქართველოს რევკომს სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან ერთად უნდა განესაზღვრა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები.[1156] კავბიუროს დადგენილებით, 1921 წლის 17 ნოემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ა. ჯატიევისა და მ. ორახელაშვილის მოხსენების საფუძველზე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრად ცხინვალი გამოაცხადა.[1157] 1921 წლის 23 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა იმ კომისიის შემადგენლობა, რომელსაც უნდა დაედგინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები. პრეზიდიუმმა საქართველოს რევკომს წინადადება მისცა ამ კომისიაში შეეყვანა კაკაბაძე, შოტი და გაგლოევი.[1158] კომისია მუშაობას 1921 წლის 5 დეკემბრიდან შეუდგა. კომისიის თავმჯდომარედ კირილე კაკაბაძე აირჩიეს, მდივნად – სერგო გაგლოევი.[1159] სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრად ცხინვალის გამოცხადებას, ასევე, ოლქის შემადგენლობაში ქართული სოფლების გადაცემას

1155 შ. ვადაჭკორია, დასახ. ნაშრომი, გვ. 482.

1156 ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 67.

1157 იქვე.

1158 იქვე, გვ. 68.

1159 იქვე.

დიდი და პატარა ლიახვის ხეობებსა და ფრონის ხეობაში მცხოვრები ქართული მოსახლეობის მწვავე პროტესტი მოჰყვა.[1160]

კომისიამ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, საიდანაც ჩანს, რომ ცხინვალის შემოგარენ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა აღშფოთებული იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეყვანით. მათი წერილები დაეგზავნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, ისინი გორის მაზრაში დარჩენას ითხოვდნენ.[1161] სოფლებში კრებები ჩატარდა, სადაც შეადგინეს მოსახლეობის მიერ ხელმოწერილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობაში გადასაგზავნი მიმართვები. თუ როგორ გამოხატავდა უკმაყოფილებას ქართულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დიდი და პატარა ლიახვის ხეობების რამდენიმე სოფლის მაგალითზე. პროტესტი გამოხატეს: სოფელ დგვრისის,[1162] კეხვის,[1163] სვერის, ქემერტის მაცხოვრებლებმა.[1164]

საბჭოთა მთავრობას საპროტესტო წერილებით მიმართეს პატარა ლიახვის ხეობის სოფლების წარმომადგენლებმაც. სოფელ ერედვში მცხოვრები მოსახლეობის მიერ გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს 250 ადამიანი აწერს, ვკითხულობთ: „1921 წელს, დეკემბრის 24 დღეს, ჩვენ სოფელ ერედვის მცხოვრებნი ვადგენთ ამ ოქმს სოფლურად იმის შესახებ, რომ გადაეცეს ეს ოქმი ჩვენს მიერ ამორჩეულ კაცებს, ე.ი დელეგატებს ს.ს.რ. მთავრობასთან წარსადგენად. დელეგატებს ევალებათ გააგებინოს სოფელს მთავრობის მიერ ცხინვალის რაიონში გამოგზავნილი კომისიის მუშაობისა და გადაწყვეტილების შინაარსი. კომისია გამოგზავნილი იყო იმ მიზნით, რომ ადგილობრივ გამოეკვლია ხალხის დაკითხვით წინააღმდეგნი ხომ არ იქნებოდნენ, რომ ცხინვალის რაიონის სოფლები გადასულიყვნენ ოსეთის რესპუბლიკის მმართველობის ქვეშ. ზემოაღნიშნულ კომისიის მიერ დაბა ცხინვალში მოწვეულ რაიონის სოფლების წარმომადგენელთა ყრილობაზე გამოირკვა, რომ ხალხი ერთხმად წინააღმდეგია საქართველოს რესპუბლიკას ჩამოშორდეს და მიეწეროს ოსეთის რესპუბლიკას. მიუხედავათ ასეთი აშკარა პროტესტისა ყრილობაზე არ იყო ოფიციალად გამოტანილი რეზოლუცია და მიღებულ-დადასტურებული ყრი-

1160 G. Sosiashvili, The Oppression of the Georgian Population in Tskhinvali Region During the First Years of Soviet Occuopation, PRO GEORGIA JOURNAL OF KARTVELOLOGICAL STUDIES № 27-2017, p. 253-264; გ. სოსიაშვილი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან (ლიახვის ხეობის მოსახლეობის პროტესტი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული №16, 2018, გვ. 144-158.

1161 ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 75-76.

1162 საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81, შემდეგ: სეაუიცა.

1163 სეაუიცა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81.

1164 იქვე.

ლობის მიერ. ვინაიდან ასეთი მოპყრობა მშრომელი ხალხისადმი სრულიად უსამართლოდ მიგვაჩნია. ვინაიდან ხალხმა არ იცის კომისია რა აზრით და გადაწყვეტილებით წარსდგება ს.ს.რ. მთავრობასთან ამ ფრიად მწვავე და მნიშვნელოვან საკითხის შესახებ. ვირჩევთ დელეგატებს და მოვითხოვთ მათ გამოარკვიონ ზემოთაღნიშნული და განმეორებით მოახსენენონ მთავრობას, რომ სოფ. ერედვის 250 კომლი მცხოვრებნი, ერთხმად, როგორც ერთი კაცი მთელი თავისი არსებით წინააღმდეგია ოსეთის რესპუბლიკათან შეერთებისა. სოფ. ირჩევს გადასახლდეს (ამ ადგილზე ერთი სიტყვა გაურკვევლად წერია) ადგილებიდან სხვა მიწა მოძებნოს, ვინემ საქართველოს რესპუბლიკას ჩამოშორდეს... მასთან ერთად ვავალებთ დელეგატებს გადასცენ ს.ს.რ. მთავრობას რომ უკეთუ მათ არ დაუჯერებენ ამ ოქმის სიმართლეს, მაშინ ჩვენ მზადა ვართ ქუდზე კაცი გავგზავნოთ მთავრობასთან ჩვენი გულის ნადების გადასაცემად."[1165]

ერედველების მსგავსად, საპროტესტო წერილი მთავრობას სოფელ დიცის მცხოვრებლებმაც გაუგზავნეს: „1921 წელი დეკემბრის 26 დღე. ჩვენ სოფელ დიცში მცხოვრებელნი გორის მაზრის ვადგენთ რა ამ ოქმს სოფლეურად მასზედ, რომ გადაეცეს ეს ოქმი ჩვენს მიერ ამორჩეულ კაცებს ე.ი. დელეგატებს წარსადგენათ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობასთან რომ გაგვაგებინონ შინაარსი იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც გადასწყდა მთავრობის მიერ გამოგზავნილ კომისიის ამხანაგ კაკაბაძის თავმჯდომარეობით დაბა ცხინვალში, რომელიც იყო ყრილობა მოხდენილი კომისიის მიერ დეკემბრის რიცხვებში ვითომ და გადაცემის შესახებ ცხინვალის და მის რაიონის ოსების ხელში; განმეორებით უცხადებთ ჩვენ 150 კომლი მცხოვრებელნი პროტესტს ცხინვალის გადაცემაზე ოსების ხელში. კომისიის წინაშე იყო მოთხოვნილება, რომ კომისიას წაეკითხა ჩვენთვის ყრილობის რეზულუცია, მათ წაგვიკითხეს ესე „კრება ერთხმად უარს არის, რომ ცხინვალი გადაეცეს ცენტრად ოსეთს". ჩვენ მოვითხოვეთ ამის პირი რომ საბუთათ გვქონოდა მათი რეზოლუციისა, კომისიაც დაგვპირდა ხვალ დილით რევკომში დავაბეჭდინებთ და გადმოგეგზავნებათ თქვენ რევკომებში, მეორე, მესამე დღეს გავგზავნეთ კაცები რევკომში რეზულუციის მისაღებად, მაგრამ ვერ ვეღირსეთ მის მიღებას და დავრჩით მოტყუებულნი კომისიის მიერ, თუ მოისურვებს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა, რომ დანამდვილებით გაიგოს ხალხის გულის პასუხი გავუგზავნით ორ-სამ კაცის მაგიერ ქუდზე კაცს და ანდა იყოს გამოგზავნილი ახალი კომისია კიდევ ცხინვალში დასაკითხად ხალხისა. პირველს მოვითხოვთ ჩვენ, რომ ოსეთის რევკომი, რომელიც ცხინვალში იყოს გადატანილი ს. ჯავაში, რომელიც შეადგენს ოსეთის შუა გულს, რომელზედაც ხელს ვაწერთ." დოკუმენტს აქვს სოფელ დიცის მცხოვრებთა ხელმოწერები (სულ 150 ხელმოწერა). ვინაიდან სოფლის მცხოვრებლებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ. მათ ნაცვლად ხელს აწერს დოკუმენტის შემდგენელი (სავარაუდოდ, უნდა

1165 სეაუიცა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81.

ეწეროს მ. ხომასურიძე).[1166] ცხინვალის რევკომი გრძნობდა რა ადგილობრივი ქართველების განწყობას, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას სთხოვდა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისთვის ცხინვალისა და ქართული სოფლების გადაცემის საკითხი დროებით შეეჩერებინა.[1167] ასეთივე აზრი ჰქონდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატსაც. იგი საქართველოს სსრ რევკომს თხოვნით მიმართავდა, რათა საკითხი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეულის შესახებ მოგვიანებით განეხილა, ვიდრე მოწესრიგდებოდა ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის.[1168] 1921 წლის 25 დეკემბრით არის დათარიღებული პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ქორდის მაცხოვრებელთა საპროტესტო წერილი: „1921 წლის 25 დეკემბერს ჩვენ სოფელ ქორდის მცხოვრებლებმა მოვახდინეთ კრება. კრებაზედ ერთხმად დავადგინეთ, რომ შედგეს ოქმი სოფლურად, მასზედ, რომ ჩვენს მიერ ამორჩეულ კაცებს, ე.ი. დელეგატებს, რომელსაც დიცის თემიდან გავგზავნით ს.ს.რ. მთავრობასთან, ვაცნობებთ, რომ გაგვაგებინონ შინაარსი მთავრობის გაგზავნილი კომისიის მიერ ა.წ. 5 დეკემბერს ცხინვალში მოწვეული კრების გადაწყვეტილებისა,-ვითომ სამხრეთ ოსეთის ხელში ცხინვალის გადაცემის შესახებ. თუ ვინიცობაა მართალი გამოდგა ზემოხსენებული საქმე, მაშინ განმეორებით ვუცხადებთ პროტესტს ჩვენ ს.ქორდის მცხოვრებნი – 100 კომლი ოსების ხელში ცხინვალის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას. თუ ვინიცობაა ჩვენს ამ პროტესტს და იმ პირველი უარის თქმას ყრილობისას არ მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას მთავრობა, მაშინ მოგვეცეს ბინა და გადაგვასახლონ შორს, სადმე, რომ ჩვენს თვალსა და ყურს ვერ მოსწვდეს ჩვენი ადგილების კვნესა და არ ატირებდნენ ჩვენს ძველად განთქმულ გმირულ ჩვეულებას. ცხინვალის ყრილობამ მოსთხოვა ს.ს.რ. მიერ გამოგზავნილ კომისიას, რომ ჩვენთვის წაეკითხა ყრილობაზედ მიღებული რეზოლუცია. მაგრამ, გამოგვეცხადა სიტყვიერად და არა წერილობით. შეგვპირდნენ, რომ გადაწყვეტილების შინაარსს მეორე დღეს წერილობით გაგვაცნობდნენ, მაგრამ დავრჩით მოტყუებულნი კომისიის მიერ. ს.ს.რ. მთავრობა თუ მოისურვებს, რომ დანამდვილებით გაიგოს ყოველი ჩვენი მცხოვრების გულის პასუხი, სოფლიდან გავუგზავნით ქუდზე კაცს. ს.ს.რ. მთავრობისაგან კიდევ მოვითხოვთ, რომ სამხრეთ ოსეთის რევკომს და მათ ხელქვეით ოსებს ამცნოს, რომ იზრუნონ, რათა თავიანთი ბინა დაიდონ დ. ჯავაში, რომელიც არის მათთვის შუა ადგილი. მეორე ის რომ, ნუ დაავიწყდებათ ოსებს და ნუ მიჰყვებიან ამაყობას, რომ არ გადმოაბიჯონ თავიანთ სამზღვარს, თუ რომ უნდათ, რომ იყვეს ჩვენსა და მათ შორის სიტკბოება და ძმური კავშირი და არ მოხდეს არავითარი განხეთქილება. ამასთანავე რაც გამოსცა დეკრეტები შ.ს.ს.კ № 21 ჟურნალი „მოამბე," რაზედაც ჩვენს საკუთარ ხელს ვაწერთ სოფელი." წერილს თანდართული აქვს 100 კაცის ხელმოწერა.[1169]

1166 სეაუიცა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81.
1167 ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.
1168 იქვე, გვ. 76.
1169 შ. ვადაჭკორია, ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე, გვ, 492.

ასეთივე შინაარსის წერილი გაგზავნეს მთავრობაში პატარა ლიახვის ხეობის სოფელ არბოს წარმომადგენლებმაც, რომლებიც საქართველოში ჩამოსახლებული ოსებისთვის ცხინვალის გადაცემას აპროტესტებდნენ: „1921 წელს 25 დეკემბრისას ჩვენ ს. არბოში მცხოვრებლებმა მოვახდინეთ კრება. კრებაზედ ერთხმად დავადგინეთ, რომ შესდგეს ოქმი სოფლურად, მასზედ, რომ გადავცეთ ჩენს მიერ ამორჩეულ კაცებს, ე.ი. დელეგატებს, რომლებსაც დიცის თემიდან გავაგზავნით ს.ს.რ. მთავრობასთან, რათა მთავრობას ვაცნობოთ, რომ გაგვაგებინონ შინაარსი იმ გადაწყვეტილებისა, რაც მთავრობის გამოგზავნილი კომისიის მიერ 5 დეკემბერს დაბა ცხინვალში მოწვეულმა კრებამ გადაწყვიტა, ვითომ და ცხინვალის გადაცემის შესახებ სამხრეთ ოსეთის ხელში. თუ ვინიცობა მართალი გამოდგა ზემოხსენებული საქმე, მაშინ, ჩვენ ს. არბოს მცხოვრებნი (47 კომლი) განმეორებით ვაცხადებთ პროტესტს ოსების ხელში ცხინვალის გადაცემის შესახებ. თუ ვინიცობაა ჩვენს ამ პროტესტზედ და ყრილობის მიერ იმ პირველი უარის თქმაზედ არ მიაქცევს ყურადღებას ს.ს.რ. მთავრობა, მაშინ მოგვცენ ბინა და დაგვასახლონ შორს სადმე, რომ ჩვენს თვალსა და გულს ვერ მისწვდებოდეს ჩვენი ადგილების კვნესა და არ ატირებდნენ ჩვენს ძველად განთქმულს გულგმირობას. ცხინვალის ყრილობამ მოსთხოვა ს.ს.რ. მთავრობის გამოგზავნილ კომისიას, რომ ჩვენთვის წაეკითხა ყრილობაზედ მიღებული რეზოლუცია, მაგრამ გამოგვეცხადა სიტყვიერად და არა წერილობით. შეგვპირდნენ, რომ რევკომების სახელით მეორე დღეს წერილობით გამოგვეცხადებოდა შინაარსი გადაწყვეტილებისა, მაგრამ დავრჩით მოტყუებულნი კომისიის მიერ. თუ რომ მოისურვებს ს.ს.მ. რომ დანამდვილებით გაიგოს ყოველი ჩვენი მცხოვრების გულის პასუხი, გავუგზავნით თუნდ ქუდზედ კაცს სოფლიდან. კიდევ მოვითხოვთ, რომ მთავრობამ ამცნოს სამხრეთ ოსეთის რევკომს, იზრუნონ თავიანთი ბინა გადაიტანონ დ. ჯავაში, რომელიც არის მათთვის შუა ადგილი, მეორე ის, რომ ნუ დაავიწყდებათ ოსებს, რომ თავიანთ საზღვრებზედ არ გადმოაბიჯონ, თუ რომ უნდათ ჩვენსა და მათ შორის იყვეს სიტკბოება და ძმური განწყობილება და არ მოხდეს არავითარი განხეთქილება. ამასთანავე, თანახმად გამოცემული დეკრეტისა და ჟურნალი „მოამბე“ შ.ს.ს.კ № 21. რაზედაც ჩვენს საკუთარ ხელს ვაწერთ.“ დოკუმენტს 47 ადამიანის ხელმოწერა აქვს.[1170] მოსახლეობის პროტესტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის მომდევნო წელსაც გაგრძელდა.

1922 წლის დასაწყისში საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასცეს ქ. ცხინვალში მცხოვრებ ქართველთა, სომეხთა და ებრაელთა საერთო კრების დადგენილება, ისინი ცხინვალის და მისი რაიონის ისტორიულ საზღვრებში დარჩენას მოითხოვდნენ.[1171] ასეთივე საპროტესტო შეკრების ოქმები დაეგზავნა ხელისუფლებას: ნედლათიდან, ხუნდისუბნიდან, შინდარადან, თიღვადან, ალაბარიდან, ზემო და ქვემო

1170 შ. ვადაჭკორია, ოსური საკითხი და ქართული სინამდვილე, გვ. 493-494.
1171 ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

ოქონიდან...[1172] პატარა ლიახვის ხეობის სოფლების მაცხოვრებელთა წინა წლის საპროტესტო გამოსვლის გაგრძელება იყო 1922 წლის 20 იანვრის კრების დადგენილება, რომელიც საცხენეთის მოსახლეობამ გაუგზავნა ხელისუფლებას.[1173] კომისიას, რომელსაც კ. კაკაბაძე ჩაუდგა სათავეში, ადგილობრივ მაცხოვრებლებთან კონსულტაციით დიალოგის ფორმატში უნდა განეხილა ისტორიული ქართული სოფლების სამხრეთ ოსეთზე გადაცემის საკითხი, მაგრამ კომისიის მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მოსახლეობის მოთხოვნის მიუხედავად, კომისიამ მათ ყრილობის რეზოლუცია არ გადასცა. დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებნი ახალი კომისიის დანიშვნას, ასევე ოსეთის რევკომის ს. ჯავაში გადატანას ითხოვდნენ.

საბჭოთა მთავრობას ოცამდე სოფლის საპროტესტო წერილი გაეგზავნა.[1174] საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცხინვალი და მისი მიმდებარე ქართული სოფლები მცირე ხნით გორის მაზრის რაიონულ რევკომს დაუქვემდებარა, თუმცა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად ცხინვალი მიიჩნია.[1175] ხელისუფლების კომპრომისი დროებითი იყო. 1922 წლის 20 აპრილს, კრემლმა ოფიციალურად გააფორმა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა.[1176] გამოიცა დეკრეტი (№2) „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ," რომელსაც ხელს აწერდნენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე და აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.[1177] ხელოვნურად შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იძულებით შეიყვანეს უძველესი ქართული სოფლები. დეკრეტში აღწერილია ის გეოგრაფიული ხაზი, რომელიც ავტონომიურ ერთეულში მოქცეულ ქართულ სოფლებს დანარჩენი ტერიტორიისგან გამიჯნავდა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის „საზღვრის" ერთი მონაკვეთი სწორედ პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფლებს მისდევდა, კერძოდ, გამყოფი ხაზი ოლქის ცენტრად მიჩნეულ ცხინვალის სამხრეთიდან სოფელ ერედვს მიუყვებოდა, შემდეგ არბოს ჩრდილოეთ ნაწილში კვეთდა მდ. პატარა ლიახვს, ასევე მდ. ჭარებულას მერეთის და კოშკის ზემოთ და შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით ეშვებოდა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „სამხრეთით: სანაპირო ხაზი გაგრძელდება ჭორჭან-წნელისის გზით, გადასჭრის მდინარე ლოპანს, წნელისის ქვევით,

1172 ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76-77.
1173 იქვე, გვ. 77.
1174 იქვე, გვ. 75.
1175 იქვე.
1176 იქვე, გვ. 80.
1177 იქვე, გვ. 84.

მოუხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით; გაივლის სოფ. ატოცის ზევით, გადასჭრის მდინარე ფრონას სოფ. ოქონის ქვევით, მიიმართება სამხრეთით, მდინარე ფრონის აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ფრონის მარცხენა შენაკადს, სოფ. ქვათეთრის ქვევით; შემდეგ გადასჭრის მდინარე ფრონას (ყორნისისა) სოფ. და დვანას ზევით; გაივლის დვანი-გუჯაბაურის გზის პარალელურად ჩრდილო-დასავლეთის მხრით; გადასჭრის მდინარე დიდ ლიახვს ქალაქ ცხინვალის ქვევით და სოფელ ერგნეთის ზევით; მიებჯინება სოფ. ერედვას; გადასჭრის მდინარე პატარა ლიახვს, სოფელ არბოს ზევით, მდინარე ჭარებულას, სოფელ მერეთისა და კოშკას ზევით; მოუხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ოთრეფას სოფ. ფლავისმანის ზევით და მდ. აძურას და მეჯუდას...“[1178]

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იძულებით მოქცეული ქართული სოფლების მოსახლეობა მაინც არ ცხრებოდა და ხელისუფლების გადაწყვეტილებას აპროტესტებდა. მოსახლეობის საპროტესტო წერილებზე დაყრდნობით სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს 1922 წლის 16 დეკემბერს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ა. გეგეჭკორის მოხსენებითი ბარათი გაეგზავნა, სადაც ვკითხულობთ: „ვარდგენ რა ამასთანავე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სპეციალურ კომისიის მოხსენებას, ფაქტიურ მასალით დასაბუთებულს, და მიმაჩნია რა საჭიროთ, რომ ორ მეზობელ ერთა შორის ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ყოველივე უთანხმოება-კონფლიქტებს, ტერიტორიალურ ნიადაგზე აღმოცენებულს, და დამყარდეს მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობა და თანამშრომლობა, ვშუამდგომლობ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, რათა მიღებულ იქმნას ჯერჯერობით მხოლოდ პრინციპიალური გადაწყვეტილება-გადასინჯულ იქნას დეკრეტი ნომერი მე-2. რაც შეეხება იმ საკითხის დეტალურ გარკვევას, თუ რა ცვლილებანი იქმნას შეტანილი ამ დეკრეტში, ეს მიენდოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც დაევალოს საკითხის განხილვა სპეციალურ კომისიაში სამხრეთ-ოსეთის წარმომადგენლის მონაწილეობით.“[1179]

შინაგან საქმეთა კომისრის მიერ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათს თან ერთვოდა ქართულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის, საპროტესტო კრებებზე შედგენილი თიღვის, ოქონის, სუნისის, ნაბაკვევის, ტყის უბნის, შინდარის, ნედლათის, ალი-ბარის, ახალშენისა და ხუნდისუბნის მცხოვრებელთა ოქმები.[1180] ასეთივე პროტესტი არსებობდა პატარა

1178 ლ. თოიძე, როგორც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991, გვ. 81-82.

1179 იქვე, გვ. 85.

1180 იქვე.

ლიახვის ხეობის სოფლებში.

მაგ. 23 აგვისტოთი დათარიღებულ ოქმში ახლად შექმნილ ავტონომიურ ოლქში შესვლას ეწინააღმდეგებოდნენ სოფ. ჭარების (პატარა ლიახვის ხეობა) მცხოვრებნი.[1181]

ტყვიავის თემის სოფელ დისევის და კულბითის მცხოვრებლებმა ხელისუფლებას ასე მიმართეს: „სამხრეთ-ოსეთზე ჩვენი მიწერა არც ისტორიულად, არც გეოგრაფიულად, არც ეთნოგრაფიულად და არც ეკონომიურად მიზანშეწონილათ და სამართლიანად არ მიგვაჩნია, ამიტომ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ჩვენ ქართველებს გვარტომობით, უცხო ტომის ხელში არ გადაგვცემს, რომელთანაც ჩვენ არ გვაკავშირებს როგორც ზემოხსენებული გარეუბანი, ისე არც ენა და არც ზნე-ჩვეულებანი.“[1182]

ასეთივე პროტესტს გამოხატავდნენ რაჭის მაზრაში შემავალი ქართული სოფლების წარმომადგენლებიც.[1183]

ხელისუფლებას იმავე წლის 21 ოქტომბერს პროტესტით მიმართა ასევე ქსნის თემმა (დუშეთის მაზრა).[1184]

საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის მწვავე პროტესტის მიუხედავად, 40 ქართული სოფელი ხელოვნურად შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის შემადგენლობაში მოექცა. ავტონომიურ ერთეულზე გადაცემული სოფლების სია ეროვნული შემადგენლობის მითითებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალურმა კომისიამ (თავმჯდომარე გრ. გველესიანი, წევრები: დ. კარიჭაშვილი, ს, გიორგაძე) შეადგინა. სიის თანახმად, ახლად შექმნილ ოლქს მიაკუთვნეს თამარაშენის საზოგადოებაში არსებული 12 სოფელი: ზემო აჩაბეთი, ქვემო აჩაბეთი, თამარაშენი, პატარა ძარწემი, დიდი ძარწემი, საბაწმინდა, ქემერტი, ხეითი, დგვრისი, ქურთა, კეხვი, სვერი (ზემოთ მითითებული ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, თამარაშენის საზოგადოების სოფლებში იმ დროისთვის ცხოვრობდა 4119 ქართველი, 525 ოსი, სხვა ეროვნების 6 ადამიანი); ცხინვალის საზოგადოებიდან: ქ. ცხინვალი, სოფელი გუჯაბაური (იმ დროისთვის ცხინვალში ცხოვრობდა 1185 ქართველი და 2697 სხვა ეროვნების ადამიანი. კომისიის მიერ შედგენილ სიაში იმ დროისთვის ცხინვალში არც ერთი ოსი მცხოვრები არ იყო დაფიქსირებული, სხვა ეროვნების ადამიანებში კი ცხინვალში მცხოვრები სომხები და ებრაელები იგულისხმება; სოფელ გუჯაბაურში 186 ქართველი და 40 ოსი ცხოვრობდა); წუნარის საზოგადოებიდან ოლქს გადაეცა სოფელი ნული (ნულში ცხოვრობდა 413 ქართველი და 23 ოსი); დირბის საზოგადოებიდან სოფელი ძველეთი (324 ქართველი, 10 ოსი, სხვა

1181 ლ. თოიძე, როგორც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, გვ. 85.

1182 იქვე.

1183 იქვე, გვ. 85-86.

1184 იქვე, გვ. 86-87.

ეროვნების 10 ადამიანი); ავლევის საზოგადოებიდან სოფლები: ხუნდის უბანი, შინდარა, თიღვა, ძალეთი, ზემო ოქონა, ქვემო ოქონა, ნედლათი, სუფნისი, ნაბაკევი, ჯვრისისი, ბზისხევი (სულ 1526 ქართველი და 324 ოსი). მერეთის საზოგადოებიდან, სოფლები: სნეკვი, ზარდიანთ-კარი, ქსუისი, ჭარები, კულბითი, დისევი (1536 ქართველი და 119 ოსი); ორტევის საზოგადოებიდან, სოფელი ვანათი (432 ქართველი, 48 ოსი); ბელოთის საზოგადოებიდან სოფლები: აწრისხევი, საცხენეთი, ხაშურა (?) ხადურიანთ-კარი, ბელოთი, ზემო ავნევი, ქვემო ავნევი[1185]* (სულ 1379 ქართველი, აღნიშნულ სოფლებში, ბოლშევიკების მიერ შედგენილ სიაში არც ერთი ოსი არ ფიქსირდება).

2015 წელს ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ ჩატარებული მოსახლეობის ოფიციალური აღწერის მიხედვით, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ოთხ რაიონად დაიყო. ესენია: ცხინვალის, ლენინგორის (ახალგორის), ზნაურის (ყორნისი) და ჯავის. პატარა ლიახვის ხეობის ის სოფლები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ოკუპირებულია, ცხინვალის რაიონში მოექცა და რამდენიმე სასოფლო ადმინისტრაციულ ერთეულს მიაკუთვნეს, მათ შორის სოფელი სარაბუკი და სოფელი კოხათი სარაბუკის სასოფლო ადმინისტრაციას (2015 წლის მდგომარეობით სარაბუკში ცხოვრობდა 79 ადამიანი, აქედან 48 მამაკაცი, 31 ქალი; კოხათში 104 ადამიანი, აქედან 64 მამაკაცი, 60 ქალი); სოფელი ორტევი, სტირკომი, სიხდაგდონი, გულდართა „ორტეუს“ სასოფლო ადმინისტრაციას (აქედან, ორტევში ცხოვრობდა 8 ადამიანი, 6 მამაკაცი და 2 ქალი; სტირკომში (გაურკვეველია, რომელ დასახლებებს ეწოდა ზემოთ წარმოდგენილი სახელები, ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ უამრავ ქართულ სოფელს შეუცვალა სახელწოდება, რასაც ადასტურებს 2013 წელს, ქ. ვლადიკავკაზში გამოსული „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია.“ ენციკლოპედიის მიხედვით ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეცვლილია უამრავი ქართული ტოპონიმი, მათ შორის, პატარა ლიახვის ხეობაში: მაგ. ქვემო სარაბუკი –ალბორითიყაუ, არგვიცი – არგვისი, აწრისხევი – აცრისყაუ, შუაცხვირი – სუაცხურ, გუდისი – თადატა და სხვ.[1186]) 35 ადამიანი, 19 მამაკაცი და 16 ქალი; სიხდაგონში 13 ადამიანი, 6 მამაკაცი და 7 ქალი; მულდანთაში 11 ადამიანი, 5 მამაკაცი და 6 ქალი); მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე არსებული სოფლები, რომლებიც ისტორიულ „კურბითს“ მიეკუთვნებოდა „დიხუიზთას“ (დიხუიზტსკაიას) სასოფლო ადმინისტრაციულ ერთეულს მიაკუთვნეს. აქ შეიყვანეს „დიხუიზთა,“ (სადაც ცხოვრობდა 431 ადამიანი, 230 მამაკაცი და 201 ქალი); სოფელი ნანითა, (სადაც ცხოვრობდა 148 ადამიანი, 86 მამაკაცი და 62 ქალი); ხელჩუა (350 მცხოვრები, 203 მამაკაცი და 147

1185 *სიაში ბელოთის საზოგადოების სოფლების ჩამონათვალში შეცდომით არის მიწერილი ზემო და ქვემო ავნევი, რადგან სოფელი ავნევი მდებარეობას არა პატარა ლიახვის, არამედ ფრონეს ხეობაში.

1186 რ. თოფჩიშვილი, „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“ ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექტსტში, თბ., 2016, გვ. 66-67.

ქალი); ქსუისი (83 მცხოვრები, 46 მამაკაცი და 37 ქალი); დისეუ (დისევი, არც ერთი მცხოვრები); კორკულა (არც ერთი მცხოვრები); ქერე (ქერე საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა, ხოლო ზემო ქერე ოკუპირებულია, არც ერთი მცხოვრები); ცარუათი (არც ერთი მცხოვრები); დმენისის სასოფლო ადმინისტრაციაში შევიდა სოფელი დმენისი (სადაც 2015 წლის მდგომარეობით 942 ადამიანი ცხოვრობდა, აქედან 447 მამაკაცი, 468 ქალი); „უანათას“ სასოფლო ადმინისტრაციას შევიდა უანათა (ვანათი), (სადაც 26 ადამიანი ცხოვრობდა, აქედან 12 მამაკაცი, 14 ქალი); მამისანთაში (მამისაანთ უბანი), (35 მცხოვრები, აქედან 18 მამაკაცი, 17 ქალი); პრისი (ფრისი) (219 მცხოვრები, 106 მამაკაცი, 113 ქალი); სადიყაუ (10 მცხოვრები, 3 მამაკაცი და 7 ქალი); ელტურა (12 მცხოვრები, 8 მამაკაცი და 4 ქალი); საცხენეთი, (13 მცხოვრები, 5 მამაკაცი, 8 ქალი); ბერულა (არც ერთი მცხოვრები); ირიყაუ (სავარაუდოდ, ერედვი), (არც ერთი მცხოვრები); არგვიცი (არც ერთი მცხოვრები); ბელოთი (არც ერთი მცხოვრები).[1187]

ისტორიული პატარა ლიახვის ხეობის ძირძველი სოფლებიდან 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მკვიდრი ქართული მოსახლეობა რუსეთის საოკუპაციო სამხედრო რეგულარული არმიის მოქმედების შედეგად დევნილად იქცა. ოკუპანტების და მათ სამსახურში მყოფი დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე. წ. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ დაპყრობილი ტერიტორიებიდან ქართული კვალის წაშლა, მხოლოდ მოსახლეობის გამოდევნით არ დასრულებულა. სახეზეა ონომასტიკური შტურმი, სოფლების და დასახლებული პუნქტების სახელების გადარქმევა. უამრავი ქართული სოფელი მიწის პირისაგან აღიგავა. ნადგურდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

დაცლილი და განადგურებული ქართული სოფლების საქართველოს ტერიტორიისაგან ჩამოსაცილებლად, კრემლის ძალისხმევით, საოკუპაციო ხაზი გაივლო და ისტორიული შიდა ქართლის განუყოფელი ნაწილი მავთულხლართით გადაიღობა. საოკუპაციო ძალებმა ისევე, როგორც ოკუპირებული ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებზე, პატარა ლიახვის ხეობაში, კერძოდ, დისევ-კულბითის სიახლოვეს სამხედრო ბაზა ააშენეს, რაც უდიდეს საფრთხეს უქმნის მშვიდობიან მოსახლეობას. გარდა ამისა, დღემდე გრძელდება მცოცავი ოკუპაცია, ასევე, ე. წ. გამყოფ ხაზთან არსებული სოფლებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცება და ცხინვალის ციხეში გადაყვანა,[1188] რაც ზოგჯერ ფატალური შედეგით მთავრდება.[1189]

ვფიქრობთ, საქართველოში არსებული სიტუაცია, ოკუპირებული ტერიტორიები, ადამიანების უფლებების ფეხქვეშ გათელვა, ათეულობით ქართულ სოფელში მკვიდრი მოსახლეობის საცხოვრისების განადგურება,

1187 Итоги всеобщей переписа населения республики Южная Осетия 2015 года, Цхинвал, 2015, стр. 17-21.*http://ugosstat.ru/wp-content/uploads/2017/06/Itogi-perepisi-RYUO.pdf*

1188 ნ. ჯალაბაძე, ლ. ჯანიაშვილი, ნ. ლოლაძე, ბორდერიზაცია და ქართულ-ოსური ურთიერთობები ოკუპირებულ რეგიონში, თბ., 2022, გვ. 8.

1189 https://tabula.ge/ge/topic/113472

თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს საფიქრალიც უნდა იყოს. ამას ყველა წინ უნდა აღუდგეს. საუკუნეების განმავლობაში ქართველები და ოსები, როგორც ერთი მიწა-წყლის შვილები ძმურად ცხოვრობდნენ. წარმოდგენილ ნაშრომს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს, იმ ისტორიის და ფასეულობების ობიექტური წარმოჩენა, რასაც ქართველთა და ოსთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა ეფუძნება.

დანართი

წარწერები და მატერიალური კულტურის ძეგლები პატარა ლიახვის ხეობაში[1190]

პატარა ლიახვის ხეობის ოკუპირებული სოფლები[1191]

ავტორის ფოტო

1190 *დანართში წარმოდგენილია პატარა ლიახვის ხეობაში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები და ლაპიდარული წარწერები. აღნიშნული ხუროთმოძღვრების ძეგლები და ეპიგრაფიკა არაერთმა მკვლევარმა შეისწავლა. ამის შესახებ არსებობს რამდენიმე სამეცნიერო გამოცემა. დანართის შედგენისას სწორედ ამ გამოცემებით ვისარგებლეთ (იხ: გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, კრებულში „ოსთა საკითხი", ა. ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ. გორი-თბილისი, 1996; ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997; კრებული „შიდა ქართლი" (პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. I, ც. დადიანიძის რედ. თბ., 2002; ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980; გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, მისივე, ვანათის ისტორიიდან, თბ., 2005, მისივე, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან (სოფელი ქორდი), თბ., 2007, მისივე, სოფელი გერი და გერის წმინდა გიორგის ტაძარი, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, II, თბ., 2021 და სხვ.).* პატარა ლიახვის ხეობის ისტორიის სრულყოფილი წარმოჩენის თვალსაზრისით, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ დღეისათვის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ასევე ე. წ. გამყოფ ხაზთან არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების ხელახალი რეპრეზენტაცია. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მიზანმიმართულად დაიწყო მავთულხლართს მიღმა დარჩენილი ტაძრების გადაკეთება-„რესტავრაციის" პროცესი. *იხ: რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2015-2017 წლების ანგარიში, თბ., 2018, გვ. 54-56.* ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი კულტურული მემკვიდრეობა განადგურების საფრთხის წინაშეა. ამ მხრივ, ძალზე აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების და დარგის ექსპერტების გააქტიურება. მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ძეგლები შველას ითხოვენ. *დანართი შეადგინა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ი. ალიმბარაშვილმა.*

1191 ნაშრომის დანართში ნაწილობრივ გამოყენებულია ფოტოები კრებულიდან - შიდა ქართლი, ტ. I, თბ., 2002. ფოტომასალის ნაწილი მოგვაწოდეს სამაჩაბლოდან დევნილებმა: ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორმა ბატონმა ბადრი გასპაროვმა, ხელოვნებათმცოდნემ ბატონმა პაატა ბასიშვილმა, ასევე გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა ნიკოლოზ ოთინაშვილმა, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ. ფოტოების ნაწილი კი გადაღებულია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს, 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებამდე.

არგვიცი

არგვიცი, ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი

1. ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი.[1192] მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით. ეკლესია დარბაზული. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. ნაშენია მოწითალო ფერის სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით და თლილი ტუფით (კონსტრუქციულად მნიშვნელოვან ადგილებში). კამარა, კონქი, გადახურვა და ჩრდილოეთი კედლის ზედა ნაწილი მოგვიანებითაა აღდგენილი (კამარა ბეტონისაა).

ინტერიერი: აღმოსავლეთით შებრტყელებული ფორმის აბსიდაა

ცენტრში სწორკუთხა სარკმელით. გვერდებზე ნიშებია. კედელზე მიდგმულია ტრაპეზის ქვა. სამხრეთ კედელში ტიმპანიანი შესასვლელი და ვიწრო, პატარა სარკმელია. ფასადები შერეული მასალითაა ნაშენი. სწორკუთხა პროფილის კარნიზი თლილი ტუფისაა. ეკლესია გადახურულია კრამიტით.[1193]

2. წმ. გიორგის სახელობის ტაძარი. მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით, 2 კილომეტრის მოშორებით. შემორჩენილია ნანგრევების სახით. იგი დარბაზული ტიპისაა, თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. ნაშენია თლილი ტუფის დიდი კვადრებით. ინტერიერი ისეა ამოვსებული, რომ დასავლეთი შესასვლელიდან არქიტრავიდა ჩანს. სამხრეთი კედელი დანგრეულია, იქვეა დიდი ზომის არქიტრავი. აღმოსავლეთით შუაში განგრეული ნახევარწრიული აბსიდაა. გამონგრეულია ჩრდილოეთი კედლის ქვედა შუა ნაწილიც. კედლის შუაში შემორჩენილია თლილი ქვებით ამოყვანილი სამსაფეხურიანი პილასტრი და მისი გვერდითი საფეხურებიდან კედელზე გადასული დეკორატიული თაღები.

არგვიცი, წმ. გიორგის სახელობის ტაძარი

1192 დანართში მითითებული ძეგლების მიმდევრობა და გეოგრაფიული მდებარეობა, იხ: ნაშრომზე თანდართულ რუკაზე „პატარა ლიახვის ხეობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.“

1193 შიდა ქართლი (პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა, ცხინვალის რაიონი), ც. დადიანიძის რედ. ტ. I, თბ., 2002, გვ. 10.

აწრისხევი

აწრისხევის როლი ქსნის საერისთავოს ცხოვრებაში განსაკუთრებით XVIII ს. პირველ ნახევარში, შანშე ქსნის ერისთავის დროს გაიზარდა. შანშემ მთელი თავისი ცხოვრება ირანელ და ოსმალო დამპყრობლებთან ომს შეალია. ქსნის საერისთავოს ჩრდილოეთი ნაწილის გასამაგრებლად მან სოფელ აწრისხევში ციხე-სიმაგრე ააგო[1194] და ამ ბრძოლის ერთ-ერთ ძლიერ კერად აქცია.[1195]

აწრისხევის ციხე

3. აწრისხევის ციხე. ს. მაკალათია მიიჩნევს, რომ შანშე ერისთავმა აწრისხევის ციხე კი არ ააგო, არამედ აღადგინა. „იმ საუკუნეში, მცირე დროის მანძილზე, თანაც ასეთი მწვავე პოლიტიკური ვითარების გამო შანშეს არ შეეძლო ასეთი დიდი ციხე-გალავნის აგება. ოღონდ საფიქრებელია, თავდაცვის მიზნით მან შეაკეთა ამ დიდი ციხის ერთი მონაკვეთი, საიდანაც წაასხეს მისი ცოლ-შვილი.

მით უმეტეს, აწერის მაგვარი ციხე XVIII საუკ. ამ ხეობაში არ მოიპოვება. აქაური ამ საუკუნის ციხეები ნაგებია სხვა მასალითა და ტექნიკით, უმეტესად რიყის ქვით, აგურით, ამის გამო აწერის ციხე ჩვენ ადრინდელ ნაგებობად მიგვაჩნია ლიახვის ხეობაში და იგი შუა საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს“ - წერს მკვლევარი.[1196]

იგივე შეხედულებისაა რ. მეფისაშვილი.[1197]

პ. ზაქარაიას აზრით, აწრისხევის ციხე: „თავისი გეგმარებით ძალიან უახლოვდება ლარგვისის ციხეს და ორივე ერთად შანშე ქსნის ერისთავის ბრძოლებთანაა დაკავშირებული. ისტორიულ წყაროთა მონაცემები კარგად ასახავს რეალურ სიტუაციებს, ამიტომ მისი დათარიღება XVIII ს. მესამე, ან მეოთხე ათეულით ხდება.“[1198]

ჩვენ ვიზიარებთ პ. ზაქარაიას მოსაზრებას, რადგან ამას ვახუშტის ცნობაც ამყარებს: „აქ აღაშენა შანშემ ციხესიმაგრედ თვისად.“ გარდა ამისა, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, თ. ჟორდანიას „ქრონიკებში“ არსებული ცნობის თანახმად, რომელიც 1729 წლით თარიღდება, აწრისხევში ციხე მოხსენიებული არ არის. კიდევ ერთხელ მოვიტანთ ცნობას: „ციხ-

1194 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქ. ც. IV, გვ. 362.

1195 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 322.

1196 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 54.

1197 რ. მეფისაშვილი, ზოგიერთი ისტორიული ძეგლი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, „ძეგლის მეგობარი,“ №14, თბ., 1968, გვ. 10.

1198 პ. ზაქარაია, ცხინვალის რაიონი, თბ., 1981, გვ. 6.

ესა მთაბორისასა, სოფელსა აწრისხევს დიდსა შეჭირვებასა იყო ყოჳლი საქართველო ოსმალოთაგან და ლეკთაგან, შემდგომ კვალად სპარსთაგან, ქრისტეს აქეთ ჩდკთ.“[1199]

აწრისხევის ციხე-სიმაგრემ XIX საუკუნის დასაწყისამდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა.[1200]

4. ჭრიის ციხის კომპლექსი. კომპლექსი შემოსაზღვრულია მშრალი წყობით ნაშენი გალავნით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში დგას კოშკი, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით რამდენიმე მეტრში ეკლესიის ნანგრევია, სამხრეთ-აღმოსავლეთით, გალავანთან, სამრეკლოს ნაშთია.[1201] გალავანსა და კოშკს შორის ნაგებობის ნანგრევია, რომლის ფუნქციაც გათხრების გარეშე ძნელი დასადგენია.



აწრისხევი, ჭრიის ციხის კომპლექსი

5. სადარაჯო კოშკი. ნაგებობა სამი სართულის სიმაღლეზე ოთხკუთხაა, შემდეგ გადადის ე.წ. ზურგიანი კოშკის ფორმებში. შესასვლელი მეორე სართულიდანაა სამხრეთის კედელში. აღმოსავლეთით საურდულე ხვრელია. აღმოსავლეთი კედლის ცენტრში სარკმელია, სამხრეთ ნაწილში – სწორკუთხა ნიშა. სარკმელია დასავლეთ კედელშიც. I სართული ამოვსებულია ნანგრევებით და მიწით. III სართულის ჩრდილოეთი კედლის ცენტრში ბუხარია, მის გვერდებზე სათოფურებია. სარკმელები სამხრეთით და დასავლეთითაა. IV სართულის ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები ძლიერ დაზიანებულია. სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლის ცენტრებში სარკმელებია გვერდზე ნიშებით. სართულებსშუა გადახურვა კოჭოვანი იყო (შემორჩენილია საკოჭე ღრმულები).

კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კოშკიდან რამდენიმე მეტრში ნაეკლესიარია. იგი დაფარულია მიწით და ნანგრევებით. საშენ მასალად გამოყენებულია თლილი, ღია ფერის ქვიშაქვის კვადრები.

კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში ოთხი მასიური სვეტის ნაშთია. ნაშენია ადგილობრივი ნაკუთხალი დიდი ქვებით. სავარაუდოდ, იგი სამრეკლოს ნაშთია.

აწრისხევის სამხრეთით 3-4 კმ-ზე, ბენდერის მთაზე შემორჩა ასევე სწორკუთხა კოშკის ნანგრევი.[1202] იგი ქსნის საერისთავოს ჩრდილო-დასავ-

1199 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 21.

1200 АКАК, т. VII, стр. 376.

1201 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), გვ. 78; შიდა ქართლი, I, გვ. 22.

1202 შიდა ქართლი, I, გვ. 22-23.

ლეთი ნაწილის გასამაგრებლად იყო აგებული.

საფორტიფიკაციო ნაგებობების გარდა, აწრისხევში რამდენიმე ეკლესიაც არის, ესენია:

6. წმ. მარიამის ეკლესია, რომელიც მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, შემაღლებულ ბორცვზე მდებარეობს. იგი გვიანი შუასაუკუნეებით თარიღდება.[1203]

აწრისხევი, წმ. მარიამის სახელობის ტაძარი

7. ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია, თარიღდება IX-X საუკუნეებით. ტაძრის გვერდითი კედლები დაყოფილია პილასტრებით და ეყრდნობა კოლონებს. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. შესასვლელი კარი სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილშია. ეკლესიას აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში თითო სარკმელი აქვს და იმით ნათდება.[1204]

8. სოფელში შემორჩენილი იყო აგრეთვე **სამების სამლოცველო,** რომელიც შედარებით გვიან პერიოდს ეკუთვნის და აგებულია 1839 წელს.

9. ლომისას ნიში.

ბელოთი

ციხე-გალავანი. მდინარე პატარა ლიახვის მარჯვენა, მაღალ ნაპირზე დგას ციხე-გალავანი ეკლესიით და სამრეკლოთი.

ბელოთის ციხე

10. ბელოთის **ციხე:** გალავნის კედლები საშუალოდ 10 მ-ის სიმაღლეზეაშემორჩენილი. კედლებში სათოფურები ოთხ იარუსადაა გაჭრილი. საბრძოლო ბილიკები ფიცრული იყო. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ტრაპეციის გეგმის კოშკია. პირველ სართულს შესასვლელი ჩრდილოეთიდან აქვს, მეორე სართულს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. კოშკისთვის ერთადერთი სარკმელი დაუტანებიათ დასავლეთით, დანარჩენ კედლებში რამოდენიმე სათოფურია. ჩრდილო-აღმოსავლეთი კოშკი ცილინდრულია. კოშკში

1203 შიდა ქართლი, I, გვ. 24.

1204 Р. Шмерлинг, П. Закарая, Три неизвестных памятника: церкви в сел. Хандо, Цинкибе и Ацрисхеви, „მაცნე,“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1971, №2, გვ. 80-84.

მოხვედრა შეიძლება მხოლოდ ეკლესიის სახურავიდან. ნაგებობას სამი სართული აქვს. ჩრდილო-დასავლეთის კოშკიც სამსართულიანია. პირველ და მეორე სართულებს ეზოს მხრიდან სწორკუთხა შესასვლელები აქვთ. მეორე სართული გეგმით კვადრატულია, პირველი და მეორე – წრიული. სართულებსშუა გადახურვები აღარ არსებობს.

სამხრეთ-დასავლეთი კოშკის სამხრეთი ნაწილი ჩამონგრეულია. ჩანს ოთხი სართულის კვალი. მეორე სართული გეგმით კვადრატულია, დანარჩენები – წრიული.[1205]

სამხრეთის გალავანზე მიდგმული იყო სამსართულიანი სასახლე, რომელიც 1991 წლის მიწისძვრამ საბოლოოდ გაანადგურა.

11. მაცხოვრის სახელობის ეკლესია: მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა. კონსტრუქციულად მნიშვნელოვან ადგილებში კი გვხვდება თლილი შირიმის კვადრები. ეკლესია დარბაზულია. ინტერიერი: აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა ცენტრში მაღალი, თაღოვანი სარკმელით. გვერდებზე ნიშებია. გრძივი კედლების ცენტრებში სამსაფეხურიანი პილასტრებია, მათ ეყრდნობიან ნახევარცილინდრული კამარის დამჭერი თაღი და დეკორატიული თაღედები. სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში თითო განიერი სარკმელია. სამხრეთით თაღიანი შესასვლელია, დასავლეთით – გვიან გაჭრილი არქიტრავიანი კარი. ეკლესიას სამხრეთიდან ღია თაღოვანი კარიბჭე აქვს მიდგმული. თაღები შეისრულია. 1885 წელს კარიბჭეს დააშენეს მაღალი, აგურით ნაშენი სამრეკლო. ეკლესია გადახურულია შიფერით, სამრეკლო – თუნუქით. ტაძარი მიდგმულია გალავნის ჩრდილოეთ კედელზე. ბელოთის მაცხოვრის ეკლესია 1924 წელს მოინახულა სიძველეთმცოდნემ გ. ბოჭორიძემ. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, სალოცავი XX საუკუნის პირველ მეოთხედში რამდენჯერმე გაუძარცვავთ: „ეს ეკლესია სამჯერ გაუქურდავთ: პირველად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს ვიღაც ბოროტმოქმედთ გაუტაცნიათ ვერცხლეული ძველი ნივთები: ვერცხლის თასები, განსაზავებელი, სურა, ბარძიმი, ფეშხუმი, ნატრისთვლები ორი ცალკი, ბეჭდები ძველი, 100-ზე მეტი. მეორედ 1922 წლის სექტემბერში ჩამოუძვრიათ კანკელის მაცხოვრის ხატიდან ვერცხლისა და ოქროს შემკულობა და წაუღიათ. ეს ხატი, გადმოცემით, შემკული ყოფილა იულონ ბატონიშვილის მიერ. წაუღიათ, აგრეთვე, ძველი შესამოსი. მესამედ 1924 წლის გაზაფხულზე დაუზიანებიათ ბაირაღი და წიგნები. ეკლესიაში აქვთ ნივთები (გარდა ოქმით აღნიშნულისა): 1. ზარი სამრეკლოზე, ძველი. 2. ზარი ღვთისმშობლის ეკლესიაში, ძველი. 3. ხატი წმ. იოანე ნათლისმცემლისა, ფიცარზე ნახატი 4-4 ვერშოკი დაახლოებით. 4. ეკლესიაში ყოფილა კონდაკი თუ კანდელი, შეწირული იულონ ბატონიშვლის მიერ, წარწერით. ბელოთის ხატი მაცხოვრისა (კანკელისა) სულ ვერცხლში მჯდარა, პირისახისა და ხელების გარდა სხვა არაფერი ჩანდა. შარავანდედი ოქროსი იყო.“[1206]

1205 შიდა ქართლი, I, გვ. 29-31.

1206 გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გამოსაცემად მოამზადეს ზაზა სხირტლაძემ და ნატალია ჩიტიშვილმა, ინგა გოგობერიშვილის

12. ფოხალას ციხე. დგას ფოხალას მთაზე. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. ფოხალას ციხეს იხსენიებს იესე ბარათაშვილი „ცხოვრება-ანდერძში,“ ქსნის ერისთავების სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების დროს 1777 წელს. გიორგი ქსნის ერისთავს, სხვა ციხეებთან ერთად, პატარა ლიახვის ხეობაში გაუმაგრებია ფოხალას, სიათას და ბეხჩოს ციხეები. თვითონ სიათაში ყოფილა, ხოლო მისი შვილი ელიზბარი - ფოხალაში.[1207]

გალავნის კედლის შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, ციხის სიგრძე დაახლ. 100 მეტრს აღწევდა, ხოლო სიგანე ადგილებში – 5-6 მეტრს. კედლებში ჩაშენებული იყო სამი კოშკი. ციხე ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, გამოყენებულია დუღაბი. შემორჩენილი კოშკი სამსართულიანია. გეგმით, პირველი სართული წრიულია, მეორე და მესამე სართულები კვადრატული. მეორე და მესამე სართულებს ციხის ეზოდან დამოუკიდებელი შესასვლელები აქვს. მეორე სართულის ჩრდილოეთის კედელში მოწყობილია თაღოვანი ბუხარი, რომლის ორივე მხარეს სარკმელებია დატანებული. მესამე სართულის დასავლეთ კედელში გაჭრილია დამრეცი სათოფურები. სამხრეთ კედელში მოთავსებულია ორი დიდი სარკმელი.

სართულებშუა გადახურვა ჩამონგრეულია. შემორჩენილია ხის კოჭები და მათი ბუდეები.[1208]

13. ქაშუეთის ეკლესია. მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით, 1,5 კმ-ზე, მთის ფერდობზე. ნაგებობა დარბაზულია, იგი ძალზე დაზიანებულია. შემორჩენილია ჩრდილოეთის კედელი, აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების ფრაგმენტები. სამხრეთისა აღარ არსებობს. კედლები ნაშენია ფლეთილი ქვით. ეკლესია აბსიდის გარეშეა. აღმოსავლეთ კედლის ცენტრში მცირე ზომის სარკმელია. ეკლესიას შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილში აქვს.

ბელოთი. ქაშუეთის ეკლესია

ეკლესიის ირგვლივ მიმობნეულია სხვადასხვა კონსტრუქციული დეტალები.

ეკლესიას ჰქონდა გალავანი, რომლისაგანაც მხოლოდ დასავლეთი და ჩრდილოეთი ფრაგმენტებია გადარჩენილი.[1209]

მონაწილეობით, თბ., 2011, გვ. 130.

1207 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28, 1950, გვ. 81.

1208 შიდა ქართლი, I, გვ. 35.

1209 იქვე, გვ. 28.

14. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით 2 კმ-ში, მთაზე, აგებულია ფლეთილი ქვით, გამოყენებულია დუღაბი, ნაგებობა სწორკუთხაა. საკურთხეველი აღმოსავლეთით აქვს, ხოლო შესასვლელი – სამხრეთიდან. ეკლესიის შემორჩენილი კედლების სიმაღლე 1-2 მეტრს აღწევს.[1210]

15. ლომისის ეკლესია. ეკლესიიდან შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთ კედლის ფრაგმენტი. ნაგებია ნაცრისფერი, ფლეთილი ქვით. ეკლესიის ტერიტორიაზე მიმობნეულია დიდი ზომის ლოდები.[1211]

ბერულა

16. „მცხეთიჯვარის“ ეკლესია. ბერულა ადრე დამოუკიდებელ სოფელს წარმოადგენდა, მოგვიანებით იგი ერედვის ნაწილად იქცა, ამიტომ „მცხეთიჯვარს“ ბერულასაც მიაკუთვნებენ და ერედვსაც.

ბერულა, მცხეთიჯვარი

ეკლესია დარბაზული ტიპისაა. ნაშენია ფლეთილი და რიყის ქვით. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით.[1212] აღდგენილია მოგვიანებით, თუმცა, „რესტავრატორებს“ სამშენებლო მასალად თაღისა და კამარის კონსტრუქციაში რკინაბეტონი გამოუყენებიათ, ამიტომ პირვანდელი სახე დაკარგული აქვს.

ინტერიერი: აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა ცენტრში თაღოვანი სარკმელით. გვერდებზე სწორკუთხა ნიშებია. გრძივი კედლების შუაში თლილი ტუფის პილასტრებია კაპიტელებით. თაღიანი სარკმელებია დასავლეთით და სამხრეთით. შესასვლელი სამხრეთის კედელშია. სამხრეთის და დასავლეთის მინაშენებიდან შემორჩა დასავლეთის 0,5 მ. სიმაღლის ფრაგმენტი. ეკლესია გადახურულია კრამიტით.

„მცხეთიჯვართან” დაკავშირებით შემორჩენილია შემდეგი ლეგენდა: როცა მცხეთაში ჯვრის სალოცავს აშენებდნენ, ორი ძმა მუშაობდა, ერთი ერედვის მთაზე საშენ ქვას ჭრიდა და ხარ-ურმით უგზავნიდა მეორე ძმას, რომელიც მცხეთაში ჯვრის ტაძარს აგებდა.

ერთხელაც ქვისმთლელ კაცს ფეხი დასცურებია, კლდეზე ჩაჩეხილა და დაღუპულა, როცა მისი საქმე სხვამ გააგრძელა, მცხეთაში მყოფი ხურო მიხვდა, რომ ეს ქვები მისი ძმის ნახელავი არ იყო. იგი წამოსულა და ერედვის მახლობლად, იმ ადგილას, სადაც მისი ძმა დაღუპულა, მც-

1210 შიდა ქართლი, I, გვ. 28.
1211 იქვე.
1212 იქვე., გვ. 59.

ხეთიჯვარი დაუარსებია.[1213]

მცხეთიჯვრის აშენებასთან დაკავშირებით არსებობს მეორე გადმოცემაც, რომელიც პროფ. ს. მაკალათიას ჩაუწერია: „ერედველებს ზვარა (მოზვერი) მიუყვანიათ საწირში მცხეთას, იგი იქიდან გაქცეულა და ერედვის მინდორზე დაწოლილა, სადაც ნიში აუგიათ; შემდეგ აქედანაც წასულა და ქედზე შემდგარა, სადაც იგი დაუკლავთ, მცხეთის ჯვრისთვის შეუწირავთ, ამ ადგილას აუგიათ პატარა საყდარიც, რომელსაც მცხეთის ჯვარს უწოდებენ.“[1214]

სავარაუდოდ, აღნიშნულ ტაძარს კოხიჯვრის სახელით იხსენიებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II, რომელმაც 1897 წელს საქართველოს ეგზარქოსთან, ვლადიმერ ბოგოიავლენსკისთან ერთად შიდა ქართლის ტაძრები მოინახულა. იღუმენი კირიონი წერდა: „ამ სოფელშივეა პატარა ეკლესია-კოხის ჯვარი, იგივე მარხვაჭამია ხატი. მისი ასეთი უცნაური სახელწოდების წარმოშობა შემდეგში მდგომარეობს: კოხის ჯვრის სატაძრო დღეობა, „კოხისჯვრობა“ ყოველთვის აღდგომის მესამე პარასკევს ემთხვევა. ძველი დროიდან მოყოლებული მლოცველები ამ დღეს თავს იკავებდნენ სახსნილო საკვებისაგან და მიირთმევდნენ კობჩხილას-საკმაოდ ძარღვიან მცენარეს. ერთხელ ერთ მლოცველს ჭამის დროს ყელზე კობჩხილა დაადგა და დაიხრჩო. ამ უბედური შემთხვევის შემდეგ მლოცველებმა თავს უფლება მისცეს და დაუშვეს იმ დღით სახსნილო საჭმლის მიღება. დროთა განმავლობაში ყოველივე ეს წესად იქცა და იმ დროიდან კოხის ჯვრის ხატი მარხვაჭამია ხატის სახელით მოიხსენიება. ამ დღეს შემოგარენ სოფლებში არავინ მუშაობს, რათა დიდი სეტყვა (კოხი) არ წამოვიდეს.“[1215]

ბერულა, წმ. ელიას ეკლესია

17. წმ. ელიას დარბაზული ეკლესია, მდებარეობს სოფლის ჩრდილოაღმოსავლეთით. თარიღდება XIV საუკუნით. ნაშენია ადგილობრივი მოწითალო ფერის ტუფის თლილი ქვებით.

ინტერიერი: აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა ცენტრში თაღოვანი სარკმელით. ჩრდილოეთით ვიწრო, თაღოვანი ნიშაა, სამხრეთით – განიერი. გრძივი კედლების შუაში სამსაფეხურიანი პილასტრებია კაპიტელებით, რომელთაც ნახევარცილინდრული კამარის დამჭერი თაღი ეყრდნობა. განიერი თაღებია აბსიდის კუთხეებში და დასავლეთი კედლის კუთხეებში ამოყვანილ

1213 გადმოცემა 2007 წელს ჩავიწერეთ 1927 წელს დაბ. ოთარ ქრისტესიაშვილისაგან.

1214 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

1215 გ. სოსიაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II ეგზარქოს ვლადიმერის შიდა ქართლში მოგზაურობის შესახებ, გვ. 105.

ორსაფეხურიან პილასტრებზე. დასავლეთი კედლის ცენტრში განიერი, შიგნიდან თაღიანი და გარედან სწორკუთხა შესასვლელია. ანალოგიური შესასვლელია სამხრეთ კედელში. ამ კედლის ზედა ცენტრალურ ნაწილში მრგვალი ფორმის სარკმელია.

ეკლესიას გარს შემოუყვება კარნიზი, რომლის ზედა თარო მორთულია ფესტონებით. შუა ნაწილი ლილვია, ქვედა ნაწილში თაღედებია, რომელთა შორის სამკუთხედებია ჩასმული. სარკმელები ლილვებითაა მოჩარჩოებული. სამხრეთი შესასვლელის ტიმპანზე ბორჯღალის გამოსახულებიანი ორნამენტია, თაღის გვერდებზე ვარდულებია.

ეკლესია ერთსაფეხურიან ცოკოლზე დგას. გადახურულია კრამიტით.[1216]

18. „ბერის საყდარი." ნაგებობა სამეკლესიიან ბაზილიკას წარმოადგენს. ნაშენია მუქი წითელი და ღვინისფერი ტუფის კარგად დამუშავებული კვადრებით.

ბერულა, ბერის საყდარი

ინტერიერი: მთავარ ნავს აღმოსავლეთით ნალისებური ფორმის აბსიდა ჰქონდა ცენტრში სარკმელით. მისგან შემორჩა ჩრდილოეთი ნახევარი. გრძივი კედლების სამსაფეხურიან პილასტრებზე დაყრდნობილი იყო კამარის დამჭერი თაღი, გვერდითი საფეხურებიდან კი, აღმოსავლეთ და დასავლეთით დეკორატიული თაღედები გადადიან. სამხრეთი კედელი 1991 წლის მიწისძვრისას დაინგრა, გადარჩენილია მცირე ფრაგმენტი. სამხრეთის ნავში გასვლა შესაძლებელია კედლის დასავლეთ ნახევარში არსებული კარით, ჩრდილოეთის მხარეს – ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში არსებული კარით. დასავლეთი კედლის სამხრეთ კუთხეში სწორკუთხა კარია. კამარა და კონქი ჩამოქცეულია. დანგრეულია გარშემოსასვლელი და საკურთხეველი.[1217]

19. კოშკი. სოფლის ჩრდილო-დასავლეთით და წმ. ელიას ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით 30 მ-ში, ხელოვნურ გორაზე დგას ოთხკუთხა კოშკის ნანგრევი. ფრაგმენტულად შემორჩენილია სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლები ოთხ მეტრამდე სიმაღლეზე. შესასვლელი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთით. ნაგებია ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე.

ბერულა, კოშკი

1216 შიდა ქართლი, I, გვ. 6

1217 იქვე, გვ. 64.

სამხრეთ-დასავლეთ კედელს მიდგმული ჰქონდა კონტრფორსი. კოშკის სამხრეთით ჩანს გალავნის კვალი.[1218]

გერი

გერის წმ. გიორგის სახელობის ტაძარი

20. წმ. გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია. ნაგებია სხვადასხვა ზომის თლილი ქვით. ადგილ-ადგილ წყობა შევსებულია ბრტყელი, ნაცრისფერი ქვით. აღმოსავლეთით, ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. აბსიდს ჩრდილოეთით ერთი ფართო თაღოვანი, ხოლო სამხრეთით ორი სწორკუთხა ნიშა აქვს. ეკლესიის კამარა შეისრულია. ჩრდილოეთის კედელში მაღალი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ინტერიერი შებათქაშებულ-შელესილია. იატაკი დაგებულია სწორკუთხა ქვის ფილებით.

სამხრეთით ფართო თაღოვანი შესასვლელი მინაშენს უკავშირდება, რომელიც წაგრძელებულია და გარედან თაღოვანი სარკმელი აქვს. დასავლეთის ფასადის წყობას ებჯინება ორსართულიანი სამრეკლო. მისი თაღები ეყრდნობა მრგვალ კოლონებს. აღმოსავლეთის ფასადზე სარკმლის ზემოთ, ოდნავ მარცხნივ ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. ეკლესიასთან მისასვლელი აღმოსავლეთიდანაა. გარშემო შეინიშნება გალავნის ფრაგმენტები.[1219]

გადმოცემის მიხედვით, ფარსმან მეხუთემ (ბაკურის ძემ) 536 წელს ცოლად შეირთო აფხაზეთის მთავრის ასული ხვარამზე, რომელსაც მზითევში მოჰყვა წმ. გიორგის ნაწილებიანი ხატი. სიწმინდე მომავალი დედოფლის ოჯახისთვის ბიზანტიის კეისარს გადაუცია. მან წმინდა გიორგის ხატი თავის გერს, ხვარამზეს შვილს ვარამადსადს უბოძა. 541 წელს ქართლი სპარსელებმა აიკლეს, რის გამოც მოსახლეობამ ბარიდან მთას შეაფარა თავი. ფარსმანმა თავის გერს გადასცა პატარა ლიახვის ხეობის ის ნაწილი, სადაც შემდგომში გერის წმინდა გიორგის ტაძარი აიგო. ამ ადგილს გერის თავს უწოდებდნენ. 1186 წელს თამარ მეფის ბრძანებით წმ. გიორგის ნაწილებიანი ხატი გერიდან არბოში ჩამოუბრძანებიათ.[1220]

1218 დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის მიერ შედგენილი უძრავი ძეგლების საადრიცხვო ბარათები, შემდგენილი პაატა ბასიშვილი, ბარათი № 83, 01.10, 2006.

1219 შიდა ქართლი, I, გვ. 43-44.

1220 გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 96-101.

1924 წელს გერის წმინდა გიორგის ტაძარი მოინახულა სიძველეთმცოდნემ გ. ბოჭორიძემ. როგორც მკვლევარი მიუთითებს, ტაძრის სამხრეთით იყო კლდე, სადაც: „ჩვეულებისამებრ, გადაჰკიდებენ ხოლმე დიაცებს და მორჩებიან ხოლმეო. ეკლესიაში იყო ორი ძველი დროშა. აქვე არის „დიაცების დასაჭკვიანებელი“ დროშა –ჯოხი, რომელზედაც ხელსახოცებია დახვეული და ზარები ჩამოკიდებული. ეკლესიის სამხრეთ კედელში, კარების მარჯვნივ, დატანებულია ქვა, რომელზედაც გამოქანდაკებულია ხარის თუ სხვა საქონლის თავი. ეკლესიაში არის ორი რკინის ფეხი – შანა. ეკლესიის გარეთ სამხრეთ კედელზე მიყუდებულია ქვა წარწერით 31/21 სმ: „ქეთევანა.“ ქვევით დახატული წმ. გიორგი უნდა იყოს. ქვას გარშემო რკინის სალტე აქვს შემოვლებული; მას თავში გახვრეტილი აქვს; ეტყობა, ყელზე იკიდებდა მისი პატრონი ანუ მომტანი.“[1221]

დისევ-კულბითი

დისევში თავის დროზე თორმეტი ეკლესია ყოფილა,[1222] თუმცა, რამდენიმეღა შემორჩა.



დისევი, ძელიცხოვლის ტაძარი

21. დისევის ძელიცხოველის ეკლესია. თარიღდება X საუკუნით. იგი დარბაზული ტიპისაა. ეკლესიას სამმხრივი გარსშემოსავლელი ჰქონდა, რომლისაგან შემორჩა ჩრდილოეთის ნაწილი.

ინტერიერი: აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა ცენტრში სწორკუთხა სარკმლით, რომლის გვერდებზე მაღალი, ნახევარწრიული გეგმის თაღოვანი ნიშებია აღმოსავლეთ ფასადზე გამავალი სარკმელებით. კონქი სფერულია. გრძივ კედლებზე ორ-ორი პილასტრია, რომელთაც ნახევარცილინდრული კამარის დამჭერი ორი თაღი ეყრდნობა. პილასტრებიდან კედლებზე დეკორატიული თაღედები გადადიან. სამხრეთი კედლის ცენტრში გარედან თაღოვანი და შიგნიდან სწორკუთხა შესასვლელია. სამხრეთ კედელში ორი თაღოვანი სარკმელია, დასავლეთით – ერთი. ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში სწორკუთხა გასასვლელია მინაშენში. ჩრდილოეთ მინაშენს აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდა აქვს. მინაშენი დახურულია ნახევარცილინდრული კამარით, რომელსაც ორი თაღი იჭერს. თაღები სამხრეთით პილასტრებს ეყრდნობა, ჩრდილოეთით – კრონშტეინებს. ფასადები ნაგებია რიყის ქვით, კონსტრუქციულად მზიდი დეტალები – თლილი ტუფით. ასევე ტუფისაა

1221 გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 130-131.
1222 გაზ. „ივერია,“ 1890 წ. 04 ოქტომბერი, № 210, გვ. 2.

სწორკუთხა პროფილის კარნიზი. გადახურვა კრამიტისაა.[1223]

XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, როდესაც სერგი მაკალათია დისევის ძელიცხოველი დაუთვალიერებია, ტაძარი ხორბლის საწყობად ყოფილა გამოყენებული.[1224]

ეკლესიაში იოსებ მეგრელიძეს უნახავს, ძლიერ დაზიანებული, 6-7 სტრიქონიანი ასომთავრული წარწერის კვალი, საიდანაც იკითხებოდა: **„გს (ქარაგმის გახსნით „გიორგის“?) ო (ან - ე) ჴსნა (ან - ე) სლსა (სულსა) ჩემსა**.“[1225]

კულბითი, ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი

22. კულბითის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი დგას სოფლის განაპირას, მცირე ზომის ბორცვზე. იგი ჯვარგუმბათოვანი ტიპისაა. ნაშენია რუხი ფერის ტუფით. გუმბათი გადახურულია თუნუქით, ნავის კალთები – კრამიტით. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა ცენტრში თაღოვანი სარკმელით. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თაღოვანი შესასვლელები გადიან სამკვეთლოში და სადიაკვნოში. გუმბათი ეყრდნობა ოთხ სვეტს. გუმბათის წრეზე გადასვლა აფრების საშუალებით ხდება. სვეტები სადა კაპიტელებითაა დასრულებული. სამხრეთით და დასავლეთით ტიმპანიანი შესასვლელებია, მათ თავზე თაღიანი სარკმელებია. ასეთივე სარკმელია ჩრდილოეთი კედლის ცენტრში. იატაკზე ქვის ფილებია დაგებული. სამხრეთ-აღმოსავლეთ სვეტში ჩატანებულია ვარდულით შემკული კვადრი. ეკლესიაში ჩერქეზიშვილების რამდენიმე სამარხია.

აღმოსავლეთ ფასადის ცენტრში თაღოვანი სარკმელია, რომლის თავზეც რამდენიმე რელიეფია გეომეტრიული და ზოომორფული ორნამენტებით. მსგავსი რელიეფებია სამხრეთ და დასავლეთ ფასადებზე.

ეკლესიის იატაკში ორი საფლავია – ლუარსაბ და დიმიტრი ჩერქეზიშვილებისა. სავარაუდოდ, ისინი ძმები იყვნენ, რადგან ორივე იორამის ძედ მოიხსენიება, მათი დედა კი ამილბარ-სახლთუხუცესის ასული იყო.

როგორც ითქვა, ეკლესიის მშენებლობა გოჩა ბატონიშვილს უკავშირდება, რომელიც XVI ს. მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. იგი, გორის ციხესთან გამართული ბრძოლის დროს დაიღუპა და კულბითის ტაძარში დაუკრძალავთ, ჩრდილოეთის სვეტსა და სამკვეთელოს შუაში. გაბრიელ ოქროპირიძის ინიციატივით, XIX ს. 80-იან წლებში, ეკლესია სპეციალურად ამ მიზნით მოწვეულ ბერძენ ოსტატებს აღუდგენიათ.[1226]

1223 შიდა ქართლი, I, გვ. 54-56.
1224 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 64.
1225 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, II, გვ. 28.
1226 გაზ. „ივერია,“ 04 ოქტომბერი, 1890 წ. № 210, გვ. 2.

ერედვი

23. წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, აგებულია X საუკუნის დასაწყისში. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ტაძრის შესასვლელში არსებული წარწერით.

<u>წარწერა:</u>

ერედვი, წმ. გიორგის ეკლესია

„სახელითა ღმრთისადთა მამისა და ძისა და სულისა წმიდისადთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშობელისადთა შეწევნითა წმიდისა გიორგისითა, ჭელმწიფობასა ღმრთივ დამყარებოლისა წმიდისა კონსტანტინე მეფისასა რომელმან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს შიგან, ჰერთა მეფე გააქცია და მონით მშვიდობით იქცა. ცისკრად ალავერდს ილოცა, მწუხრი ბრეძას გარდაჴვნა. მეორედ კულა ავიდა. ვეჯინისა ციხე დალეწა. ქართლს შინა ოფლობასა ტბელისა ივანესა, მთავარებისკობასა სანატრელსა ყ˜ესა, ჯვრითა მისითა, გაზრახვითა ნიქოზელის სანატრელისა. სტეფანე ებისკოსისადთა, ძალითა შეწევნითა მოყუასთათა, მე, თეოდორე თაფლადსძემან დავდე საძირკველი წელნი იყნეს ხფი ქრონიკ“.

<u>გამოცემები:</u>

ვ. თოფურია, შიდა ქართლის წარწერები, საისტორიო მოამბე, წ. II, ტფ., 1924, გვ. 129-132;

რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, „ქართული ხელოვნება,“ №4, 1955, გვ. 101-138;

მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1966, გვ. 245-246;

ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, II, გვ. 37-40.

ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 170-171.

XX ს. 20-იან წლებში ერედვის წმ. გიორგის ტაძარი მოინახულა გ. ბოჭორიძემ, რომელსაც ერედვში სხვა წარწერებიც უნახავს. აღსანიშნავია, რომ მკვლევარს არა მხოლოდ წარწერები გადმოუღია, არამედ მისეულ წაკითხვასაც გვთავაზობს.

გ. ბოჭორიძის გადმოცემით: „ეკლესიის სამხრეთ კარის მარჯვენა კედლისძირა ნაწილში უდევს ქვა, რომელსაც აღმოსავლეთ მხარეს აქვს ხუცური წარწერა:

ⲢⲀⲦⲎⲞⲢⲞⲨ
Ⲩ˜Ⲓ ⲬⲨⲦⲎⲢⲔⲨⲢ[ⲗⲁ]
ⲦⲎ ⲀⲨⲀⲒⲢⲞⲨⲎ
ⲀⲨⲀⲒⲞⲨⲢⲞⲨⲎ

**Կ[

]ՀՅ ԶԱԳԶ**
Ցԝ Ճ ԶԺԶՀ
[Ի]ԿՇԴՀ.“[1227]

ე. ი. **„წმიდაო (2) გ[იორგ]ი, შეიწყა(ლ)(3)ენ მონანი (4) მოსავნი (5)ყ(ოვ-ელ)ნი ერთო (6) ბით ამენ (7) (ი)ყავნ”.**

როგორც იგი აღნიშნავს: „ამავე კარის მარცხენა კედელში, პირით დასავლეთისკენ ჩატანებული იყო ქვა ხუცური წარწერით:

Ի Ն Ղ(Շ)
ՇՀԻՑՆՅ
ՀՅ Ջ՝ Ղ Ն
ՀՅ (Ս)Շ(Ժ)
[...]ոս
ՎՅԴԽոՅ
[...]ՇՀ

ე. ი. **„ქ. ესე(ა) 2(რი)ან ბჭე 3.ნი ო(ფლ)ის(ა) 4.ნი პამ(?) 5.(...)ლ(...) 6.შევ-ლე(...) 7.(...) ა(მი)ნ.“**[1228]

აღწერილი მეორე ქვის ძირას მკვლევარს უნახავს ქვა ხუცური წარ-წერით:

ՇԺՇՆ
Բ՝ Յ Ց՝ Ն Ս՝ Յ
ԺԲՅՆ Կ ոս
(Գ)Շ(Ի)ՅՇ
ԳՇՆ

ე. ი. **„ამას(?) 2.წ(მინდა)ი გ(იორგ)ი შ(ეიწყალ)ე 3.მწეი ყ(ოველ)I 4.თა (ქ) [რისტ]ეა 5(ნე)თაჲ.“**[1229]

გ. ბოჭორიძე იქვე აზუსტებს, რომ ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის სიძ-ველენი „1923 წელს მთლიანად იყო დაცული და გაუნადგურებიათ 1930-31 წლებში.“[1230]

ერედვის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი ციხე-გალავნის შიგნით მდებარეობს. ამ გალავანში, როგორც ადგილობრივი უხუცესები ამბო-ბენ, ლეკიანობის ჟამს მთელი სოფელი აფარებდა თავს. სასმელი წყალი ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ცხრამუხების წყაროდან მიეწოდებოდა. აღნიშნულ ტაძარში იკრძალებოდნენ ერედვში მცხოვრები ფავლენიშილე-ბი, რასაც ადასტურებს შემორჩენილი ეპიტაფიები:

„საფლავსა შინა მდებარე ვარ ბეჟან პავლენოვი არჩილის ძე, მხილ-ველს გთხოვთ თითო შენდობა მიბრძანეთ. გარდავიცვალე 13 ღვინობისთ-ვის 1872 წ. შობიდან ვიყავი 60 წ.“

„კნიაჟნა სალომე იოსების ასული ფავლენოვი დავიბადე 6 ოქტომბერს 1853 წელს, გარდავიცვალე 10 მარტს 1876 წელს.“

1227 გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გვ. 129.
1228 იქვე, გვ. 122.
1229 იქვე.
1230 იქვე, გვ. 123.

„კნეინა ელენე ივანეს ასული ფავლენოვისა დავიბადე 20 მაისს 1818 წ. გარდავიცვალე 25 დეკემბერს 1901 წ.“[1231]

ერედვის წმინდა გიორგის ტაძარი 1897 წელს საქართველოს ეგზარქოსთან-ვლადიმერ ბოგოიავლენსკისთან (1848-1918 წ.წ.) ერთად მოინახულა მომავალმა კათალიკოს-პატრიარქმა, იმ დროისთვის იღუმენმა კირიონმა (1855-1918 წ.წ.). ტაძრის შესახებ იღუმენი კირიონი წერდა: „სოფელ ერედვის შუაგულში ციხე-სიმაგრე მდებარეობს, სადაც ძველი ეკლესიაა, იმდენად ძველი, რომ შეიძლება ითქვას, წარმართული კოცონის ჯერ კიდევ თბილ ნაფერფლარზეა აგებული. მეუფემ ყურადღება ეკლესიის ორიგინალურ და ტიპიურ მახასიათებლებზე გაამახვილა. ეკლესიას გარს ერტყმის საკმაოდ ორიგინალურად გადახურული ქვისგან ნაგები გალერეა, რომლის სამხრეთ ნაწილში მდებარე ორ კოლონას უძველესი, ამჟამად ძნელად ამოსაკითხი ქართული ასომთავრული წარწერები ამშვენებს(საუბარია იმ წარწერაზე, რომელიც ზემოთ არის წარმოდგენილი, – გ. ს.).“[1232]

ტაძრის ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს შემორჩენილია ასევე ძველი ნაგებობის ნაშთები, რომელიც მოწითალო თლილი ქვით არის ნაგები, მათ გვერდით კი XIX-XX საუკუნეების საფლავების წარწერიანი ქვებია.

ერედვის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის შესასვლელში, სადაც ასომთავრული წარწერაა, სვეტის თავზე შემორჩენილია კვერცხის მსგავსი ბურთულები, რომლებსაც „ძუძუს ქვები“ ჰქვია. ს. მაკალათია წერს: „ხალხის რწმენით, ძუძუს ქვები რძის მომცემი იყო და რძედამშრალი ქალები თურმე აქ მოდიოდნენ, ღვთისმშობელს რძის მოცემას ევედრებოდნენ, სანთლებს უნთებდნენ და ზედ ერბოს უსვამდნენ.“[1233]

24. ერედვის ციხე. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ქცხილვანის აღმოსავლით, პატარა ლიახვისაკენ არს ერედჳს ციხე და ეკლესია მას შინა, წმინდა გიორგისა, სასწაულიანი, მის ჩრდილოთ მთის კალთას, არს ციხე მცირე სხუა. ამ ერედვის ჩრდილოთ განჰყოფს მთა ესე ვანათ-გერის-ხევსა და დიდს ლიახუსა.“[1234]

ერედვი, ციხე-გალავნის ნაშთი

როგორც ჩანს, ერედვში ორი ციხე ყოფილა, აქედან ერთი, დღემდე შემორჩენილია (ნაწილობრივ

1231 გ. სოსიაშვილი, საქართველოს წარჩინებულ გვართა ისტორიიდან, თბ., 2008, გვ. 43.

1232 გ. სოსიაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II ეგზარქოს ვლადიმერის შიდა ქართლში მოგზაურობის შესახებ, გორი, 2019, გვ. 104-105.

1233 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

1234 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქ. ც. IV, გვ. 371.

დაზიანებული), ხოლო მეორე ციხე, რომელსაც ვახუშტი ახსენებს, მდებარეობდა ჩრდილოეთ მხარეს, მთის კალთაზე. ჩვენი აზრით, აღნიშნულ ციხეს ჰქონდა დიდი და პატარა ლიახვის ხეობათა კონტროლის ფუნქცია, ვინაიდან წვერიახოს მთიდან ორივე ხეობა კარგად ჩანს.

ერედვის ციხეს იხსენიებს გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტიც. ის ამ ციხეს თავად ფავლენიშვილის საკუთრებად მიიჩნევს: „...პატარა ლიახვზე მარჯვენა მხარეს, ქვევით, სამხრეთით 1/2 საათში გავიარეთ ერედვის ციხე, რომელიც ეკუთვნის თავად ფავლენიშვილებს. ის მდებარეობს მთის შვერილზე და აქედან ჩანს გაშლილი დაბლობი გორამდე."[1235] მართლაც, ამ მთის გადასახედიდან შიდა ქართლის გარკვეული ნაწილი ხელისგულივით მოჩანს და ერედვის მიდამოები ადვილად კონტროლდებოდა.

პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ციხე-სიმაგრეების განლაგება იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ ჩრდილოკავკასიიდან შემოსული მტრის, კერძოდ კი, დაღესტნელების წინააღმდეგ ქართლის მოსახლეობის მობილიზაცია ოპერატიულად მოხერხებულიყო: „ჯერ ფოხალოს ციხეზე აინთებოდა ცეცხლი, შემდეგ ხადურიანთ კოშკზე, მერე ერედვის ციხეზე, ბოლოს მცხეთიჯვარზე და, შემდეგ, გორის ციხეზე, ხალხი ლეკების წინააღმდეგ ირაზმებოდა."[1236] გადმოცემით, როდესაც ერეკლე II ლეკებზე სალაშქროდ მიემართებოდა, ერთი ერედველი მებრძოლი – ბერო, თავისი ძმადნაფიცებით და მეგობრებით მეფის მხარდამხარ იბრძოდა.

ერედვში მცხოვრები ოთარ ქრისტესიაშვილის ნაამბობის მიხედვით, ერედვის მთის გვერდით ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე, იქ, სადაც შემოვლითი გზა გადადიოდა დიდი ლიახვის ხეობაში, ბოლო დრომდე, XX საუკუნის 40-იან წლებამდე იყო შემორჩენილი ციხე-დარბაზის ნაშთები. გადმოცემის თანახმად, ეს დარბაზი თამარ მეფეს აუგია, სადაც ყოველ ზაფხულს ამოდიოდა. აღსანიშნავია, რომ იოანე ბაგრატიონის ცნობით, თამარ მეფეს ერედვში საზაფხულო სასახლე ჰქონდა.[1237] ერედვის მთაზე დღემდეა შესანიშნავი წყარო, რომელსაც დედოფლისწყაროს უწოდებენ. ეს წყარო გამორჩეულია სხვა წყაროებს შორის.

როგორც ითქვა, ერედვის ციხეს იხსენიებს ისტორიკოსი ომან ხერხეულიძეც. ირანელების წინააღმდეგ აჯანყებული გივი ამილახვრის ბრძოლებთან დაკავშირებით.[1238]

25. ბერის საყდარი – სამეკლესიანი ბაზილიკა. აგებულია X საუკუნის შუა წლებში. დაზიანებების მიუხედავად, XX ს. 40-იან წლებამდე ჯერ

1235 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 99.

1236 გადმოცემა 2007 წელს ჩავიწერეთ სოფელ ერედვის მკვიდრის 1927 წელს დაბ. ოთარ ქრისტესიაშვილისაგან.

1237 იოანე ბაგრატიონი, აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997, გვ. 18.

1238 ომან ხერხეულიძე, ცხოვრება მეფის ირაკლისა მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1989, გვ. 43.

კიდევ ინარჩუნებდა ძირითად არქიტექტურულ ფორმებსა და დეტალებს. მდიდარი იყო დეკორაციებით.[1239]

26. წითელი საყდარი, თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევი. ნაშენი იყო თლილი, წითელი ფერის ტუფის კვადრებით. შემორჩენილია ცენტრალური ნავის ფრაგმენტები. კერძოდ – აღმოსავლეთის შუაში ჩაშლილი კედელი, ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთი ნახევარი და სამხრეთი კედლის მცირე ფრაგმენტი.[1240]

ერედვი, წითელი საყდარი

27. კავთის ნიში სოფლის დასავლეთით პატარა ბორცვზე იყო აღმართული.

28. აქვე მდებარეობს **წმ. ბარბალეს ნიში.**

ვანათი

ვანათის ციხე სამხრეთ-დასავლეთიდან (ავტორის ფოტო)

29. ვანათის ციხე. გადმოცემით, აღნიშნული ციხე თამარ მეფეს აუგია. თუმცა, არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვით, ციხე აგებულია XVIII საუკუნეში. მტრის შემოსევის დროს ვანათის ციხეზე განგაშის ცეცხლი ინთებოდა, რომლის დანახვა ქართლის სხვა ციხეებიდანაც შეეძლოთ და ამ ნიშნით ხალხი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ირაზმებოდა. რაკი ვანათის ციხე მიუდგომელ ადგილზეა, მისი აგება ხალხს ფრიად გაჭირვებია, ადგილობრივები მდ. პატარა ლიახვში ჩამდგარან და გორაკის წვერამდე ხელიდან ხელში აწვდიდნენ ერთმანეთს ასაშენებელ ქვას.[1241] ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: „...ვანათის ციხე შემუსვრილი განაახ-

1239 Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части исторической провинций Грузии Шида Картли. Тб., 1975, стр. 64-67.

1240 დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის მიერ შედგენილი უძრავი ძეგლების საადრიცხვო ბარათები, შემდგენილი პაატა ბასიშვილი, ბარათი № 86, 02.10, 2006.

1241 გადმოცემა ჩავიწერეთ 1918 წელს დაბადებული, ვანათის მკვიდრის სევასტი ჯოჯიშვილისგან.

ლა შანშემ. შემუსრეს კვალად ყიზილბაშთა, ციხის უკან, ჩრდილოეთით არს კლდე მაღალი, ქარაფოვანი, მჭურეტი ლიახვის და მას შინა ქუაბნი გამოკვეთილნი მრავალნი...“[1242]

გ. ლიახველი ვანათის ციხის შესახებ გაზეთ „დროებაში“ წერდა: „ვანათში იმყოფება ერთი დანგრეული ციხე, გაშენებული მაღალ კლდეზე მდ. ლიახვის პირას. ციხე აშენებულია რგვლად და ძალიან ხელოვნურადაც. ერთ მის ოთახიდამ მიწის ქვეშ გათხრილია გზა, რომელიც ლიახვისაკენ მიდის და რომლის შემწეობითაც ამბობენ ჯარები უწინ წყალს აზიდვიდენო.“[1243]

XVIII საუკუნის დასაწყისიდან, ვანათში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ქსნის ერისთავებმა. ვანათში ქსნის ერისთავების დამკვიდრება, ჩვენი აზრით, შანშე ერისთავს უკავშირდება. ვანათის ციხეს თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქსნის საერისთავოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის, კერძოდ, პატარა ლიახვის ხეობის დაცვა-მეთვალყურეობის თვალსაზრისით, ამიტომ შანშე ერისთავის მიერ ვანათის ციხის აღდგენა შემთხვევითი არ იყო. ვანათის ციხეს არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი უკავშირდება. ორიოდე სიტყვით შევჩერდებით ვანათის ციხის განახლების თარიღის დაზუსტების მიზნით. ცნობილია, რომ შანშემ, მამის – დათუნა ქსნის ერისთავის გარდაცვალების შემდეგ, 1718 წელს მემკვიდრეობით მიიღო ქსნის ერისთავობა.[1244] გაერისთავების შემდეგ, შანშე, მამის მსგავსად, დაუპირისპირდა ქართლის სამეფო კარს. აკად. დ. ბერძენიშვილი შანშეს პირველ განდგომას 1720 წლით ათარიღებს.[1245] სამეფო ხელისუფლებასთან შანშე ერისთავის დაპირისპირების ფაქტი ვახუშტის თხზულებაშიც გვხვდება: „განივლტო შანშე და უკუდგა მამულსა თვისსა. ხოლო მეფემან წარავლინა მასზედა ბაქარ ძე თვისი ქსანსა ზედა და ვახუშტი ლიახვსა ზედა. შევიდნენ ესენი და წარუხვნენ ყოველნი... იხილა ესე შანშემ ხრმალკისერდებული მოვიდა წინაშე ბაქარისა, ამან მიიყვანა მამისათანა, უკუმოიქცა მეფე ტფილისსა და განუსვენა იმერთა ნადიმობა ნადირობითა, ანიჭნა დიდნი და განუტევა და შანშე წარატანა მათ ჟამამდე.“[1246]

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ვახუშტის თვითონაც მიუღია მონაწილეობა ქსნის ერისთავის დასასჯელად წარგზავნილ ექსპედიციაში. ვახუშტის მიერ პატარა ლიახვის ხეობის დალაშქვრა, ბუნებრივია, შემთხვევითი არ იყო. სამეფო კარმა კარგად იცოდა, რომ შანშე ერისთავს ამ ხეობაში საიმედო თავდასაცავი ციხეები გააჩნდა. სავარაუდოა, რომ შანშე ამ

1242 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 369.

1243 გაზ. „დროება,“ 1884, №77, გვ. 2.

1244 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 317.

1245 იხ. ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1940, გვ. 177.

1246 ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ცხოვრება, ქც. II, დ. ჩუბინაშვილის რედ., სპბ., 1854, გვ. 81.

დროს ვანათის ციხეში იყო გამაგრებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახუშტი ვანათის ციხის აღდგენას შანშეს მიაწერს. ჩვენი აზრით, ვანათის ციხის აღდგენა, შანშეს გაერისთავებისა და განდგომის წლებს შორის (1718-1720 წწ.) უნდა ვივარაუდოთ. ქართლში ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდეგ, შანშე ერისთავმა დამპყრობელი ძალების წინააღმდეგ მედგარი ბრძოლა გააჩაღა, თუმცა მან საერთო ენა ვერ გამონახა თეიმურაზ II-სთან, რომელიც, მოჩვენებითი ოსმალური ორიენტაციით ქართლში აჯანყებულ ძალებს ებრძოდა.

ამის დამადასტურებლად შეგვიძლია მოვიშველიოთ სეხნია ჩხეიძის ცნობა, რომლის მიხედვითაც, თეიმურაზს ქსნის საერისთავოში ულაშქრია: „ქორონიკონს უით, თვესა ივლისსა შეუხდნენ ქსნის ერისთავს შანშეს, კახი ბატონი, ურუმთ ჯარი და ქართველნი, მრავალნი სულნი დაატყვევეს, დასწვეს სოფლები, კლდე თუ კოშკი და მესერი, საცხენისი და ქვაბები. დააქციეს ციხე ვანათისა. ბოლოს შემოეხვეწა ერისთავი შანშე და შეირიგეს."[1247]

ვანათის ციხეს საიდუმლო გვირაბი ჰქონდა, რომელიც მიემართებოდა დაბლობში, მდ. პატარა ლიახვის პირას, ამ გვირაბით ციხის მცველები წყალს ეზიდებოდნენ. ციხე ამჟამად დანგრეულია, შემორჩენილია ჩრდილოეთ კედლისა და კარიბჭის ფრაგმენტები.[1248]

ვანათის ტერიტორიაზე რამდენიმე ძეგლია შემორჩენილი. ესენია:

30. მაცხოვრის სახელობის ეკლესია. იგი მცირე ზომის დარბაზული ნაგებობაა და თარიღდება X-XI საუკუნეებით.[1249] ვანათში ითრაფის ეკლესიას იხსენიებს გ. ბოჭორიძე. ვანათის გვერდით, დმენისის სიახლოვეს მას უნახავს აგრეთვე გამოქვაბულები: „ითრაფი ადგილს ჰქვიან სოფ. ვანათის თავზე. იქ არის ეკლესია, ნასახლარებიც არის. ეკლესიაში არის ქვის ჯვარი, რომელიც ტრაპეზზე არის. საქვაბეები არის დმენისის აგარაკში, ვანათის ციხის მახლობლად. იქ გამოქვაბული ოთახებია, წინათ შვიდ ოთახში შეიძლებოდა შესვლა, ეხლა მარტო სამშიღა შეისვლება, დანარჩენებში ვეღარ."[1250]

31. მაცხოვრის სახელობის ნიში ვანათის ციხის მოპირდაპირე გორაკზე მდებარეობს. ნიშთან ძველი სამლოცველოს ნანგრევებია, რაც ცხადყოფს, რომ აქ თავის დროზე მცირე ზომის ტაძარი იდგა. ნიშის გვერდით 2008 წლის აგვისტოს ომამდე ვანათში მცხოვრები გიორგი მახნიაშვილისა და ზურაბ თედელურის ინიციატივით ჯვარი აღიმართა.

32. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. სოფლის განაპირას ტყით დაფარულ გორაკზეა ნანგრევების სახით შემორჩენილია დარბაზული ეკლესია. ტაძარი ერთ დროს მოპირკეთებული ყოფილა თლილი ქვით.

ეკლესიის გვერდით არსებული ნანგრევი, შესაძლოა სამრეკლო ყოფილიყო. ღვთისმშობლის ტაძრის სიახლოვეს, დღემდეა შემორჩენილი

1247 სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, ქ.ც. II, გვ. 335.
1248 პ. ზაქარია, ცხინვალის რაიონი, თბ., 1981, გვ. 21.
1249 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 59; შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 70.
1250 გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

ვანათის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

ძველისძველი ემბაზის ქვა. ტაძარი, სავარაუდოდ, განვითარებული შუასაუკუნეებით უნდა დათარიღდეს.[1251]

33. ღვთისმშობლის ბაზილიკური ეკლესია. დგას სოფლის სასაფლაოზე და, სავარაუდოდ, აგებულია XIX საუკუნეში. ეკლესიის სამხრეთ კარის არქიტრავის წარწერაში მოხსენიებულნი არიან დეკანოზი შიო და მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე.[1252] ეს წარწერა 1924 წელს ამოიკითხა გ. ბოჭორიძემ, რომელიც წერს: „სოფ. ვანათის ძველ ეკლესიის სამხრეთის კარების თავზე აქვს ქვა წარწერით: **„შიო დეკანოზი[...] ჩხეიძენ-კზ ქ. მოიხსენე მთავარი ე[-]ისკო[..]სი.**“[1253]

ნიკოლოზ ჩხეიძისა და დეკანოზ შიოს მოსახსენიებელი წარწერა ვანათის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის კარიბჭეზე (ავტორის ფოტო)

აღნიშნულ ტაძარში შემორჩენილია დასადგამი ქვა, რომელზეც ვკითხულობთ: „სიკვდილმან მამწულა უჟამოდ უცოდავათ გებულ მე მღვდლის კანდელაკოვსა კონსტანტინე სახელდებულ, დედმამა დავტოვე, ამას სოფელსა... მათი წამკითხველთა ვთხოვე შენდობასა ამა ლოდსა ქვეშედებული“. წარწერა თარიღდება 1861-62 წ.წ. და ძლიერ არის დაზიანებული.[1254]* თავის დროზე ეს წარწერა ამოიკითხა ი. მეგრელიძემ.[1255]

გადმოცემით, ამ ტაძარში XIX საუკუნის ბოლოს მოღვაწეობდა სასულიერო პირი, ვინმე ჩოჩიშვილი, რომელიც აქვე ყოფილა დაკრძალული. თუმცა, მისი საფლავი მოგვიანებით გაუძარცვავთ. ღვთისმშობლის ეკლესიის გვერდით არის ძველი სასაფლაო. საფლავების უმეტესობა თარიღდება XIX საუკუნის მეორე ნახევრით.

34. ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, სოფლის შუა უბანში მდებარეობს, იგი გვიანფეოდალურ ხანაში უნდა იყოს აგებული. ნაგებობა თავდა-

1251 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, გვ. 57.

1252 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბ., 1979, გვ. 287.

1253 გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

1254 * ტაძარში შემორჩენილია აგრეთვე მღვდელ ნიკოლოზ კანდელაკის საფლავის ქვის დაზიანებული წარწერა: *„აქა მდებარე ბლაღოჩინი კანდელაკოვი ნიკოლოზ, მე უბედოდ შობილმან ვატირე... განვშორდი ამა სოფელსა სამ იანვარს.“*

1255 იხ. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 35.

პირველად გუმბათოვანი ყოფილა. ამჟამად მას სახურავი მოცლილი აქვს.

35. წმინდა მარიამის ნიში მდებარეობს ვანათში მცხოვრები ზურაბ თედელურის საცხოვრებელი სახლის ეზოში. ნიშის ადგილას დევს ორი უზარმაზარი ლოდი. გადმოცემით: „უწინ აქ სალოცავი ყოფილა, მამაჩემისგან გამიგონია, რომ ნიშის მიმდებარე ტერიტორიაზე ჭურჭელი და ადამიანთა ძვლები აღმოჩნდა. წმინდა მარიამის ნიშთან სალოცავად ხალხი სამშაბათობით მოდის“ (გადმოცემა ჩავიწერეთ 1948 წელს დაბადებული ვანათელი ზურაბ თედელურისგან).

36. ე.წ. **„დაშლილი საყდარი,“** მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს.

ზონკარი

ზონკარი, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ფრაგმენტი

37. ღვთისმშობლის ეკლესია. თარიღდება VIII-IX საუკუნეებით, მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით. ეკლესია დარბაზულია. ნაშენია ფლეთილი ქვით და ფიქალით.

ინტერიერი: აღმოსავლეთით სწორკუთხა აბსიდაა ცენტრში შეისრულთაღიანი სარკმელით. კონქი სფერულია, მასზე გადასვლა ტრომპების სისტემით ხდება. შემორჩენილია კანკელის ფრაგმენტი. სარკმელის გვერდებზე თაღოვანი ნიშებია. გრძივი კედლების შუაში სამსაფეხურიანი პილასტრებია. შუა ნაწილებს ეყრდნობოდა კამარის დამჭერი თაღი, გვერდითებს – დეკორატიული თაღედები. პილასტრები, ტრომპები და სარკმლის საპირეები შირიმის ქვისაა. ინტერიერი ნათდებოდა აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის თაღოვანი სარკმელებით. კანკელის წინ, ჩრდილოეთ კედელთან, დგას მასიური ბუნის ქვა, რომელშიც ჩასმულია დიდი ხის ჯვარი. დასავლეთის შესასვლელი შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავულია. სამხრეთის შესასვლელი კი – სწორკუთხა. ეკლესიის ინტერიერი ამოვსებულია ნანგრევებით, ამოსულია ხეები.

ჩრდილოეთის ფასადი მთლიანად, ხოლო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაწილობრივ დაფარულია ფერდობიდან ჩამონაშალი მიწით. ეკლესიის ირგვლივ უამრავი სამშენებლო ქვაა მიმოფანტული, მათ შორის საპერანგე შირიმის თლილი კვადრები. ტაძრის მახლობლად ჩანს სამარხები (ქვაყუთები).[1256]

38. შიოწმინდა მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კილომეტრში, ტყეში. ეკლესია დარბაზულია. ნაშენია რიყის ქვით, ფლეთილი

1256 შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 113.

ქვითა და თლილი ტუფის კვადრებით. აღმოსავლეთით სწორკუთხა აბსიდაა ცენტრში სარკმელით. ამავე კედელში ორი შეისრულთაღიანი ნიშაა. გრძივ კედლებზე სამსაფეხურიანი პილასტრებია, რომელთა გვერდითა ნაწილებიდან დეკორატიული თაღედები გადადიან. შეისრულთაღიანი შესასვლელი სამხრეთითაა. მიწის დონე ისეა აწეული, რომ მისი მხოლოდ თაღი და ტიმპანი ჩანს. ინტერიერი ამოვსებულია მიწით და ნანგრევებით, ამოსულია მცენარეები. ეკლესიას დასავლეთიდან სათავსი აქვს მიდგმული, რომლის კამარა ცილინდრულია. სათავსის შესასვლელში ჩანს არქიტრავი, დანარჩენი მიწითაა დაფარული.[1257]

ეკლესიის სამხრეთით, გზის პირას ქვაყუთებია.

39. საცხოვრებელი დარბაზი მდებარეობს სოფლის ჩრდილოაღმოსავლეთით, 2 კილომეტრზე, გზის პირას ტყეში. ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვისაგან, გამოყენებულია დუღაბი. წარმოადგენს მოზრდილ, სწორკუთხა ნაგებობას. ნაშენია ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე. გეგმით სწორკუთხაა. ჩრდილოეთის კედელი 2 მ-ის სიმაღლისა შემორჩა, დანარჩენები 4-5 მ-ზე. არქიტრავული შესასვლელი დასავლეთიდანაა, დანარჩენ კედლებში სწორკუთხა ნიშებია. სამხრეთის კედელი ცენტრში გახსნილია.[1258]

ზონკარი, საცხოვრებელი დარბაზის ჩრდილოეთის კედელი

ინაური

ინაური, ბეხუშეს ციხე

40. ბეხუშეს (ბეყჩოს) ციხე. მდებარეობს ნასოფლარ ინაურის სამხრეთით 2 კმ-ზე, მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ ფერდობზე. ნაგებობა ნაშენია ფლეთილი ქვით. ვახუშტი ბატონიშვილი ბეხუშეს ციხის ადგილმდებარეობის შესახებ წერს: „ამ ხევს (შანბიანის - გ. ს.) ზეით ერთვის ლიახვს დასავლიდამ. ამ ლიახვის შესართავს, სადაც ორსავ წყალს შუა არის ციხე ბეყჩოსი.“[1259]

1257 შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 112.

1258 იქვე, გვ. 113.

1259 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 363.

XIV საუკუნის დასაწყისში, ვახტანგ III-მ შალვა ქვენიფნეველს, ერთგულების სანაცვლოდ, „მიუბოძა თრუსოი, ღუდა ...აწერის ჭევი, ბეჭუშე, და ყოველთა დიდებულთა მისთა უმჯობესთა ხედვიდა.“[1260]

თემურ ლენგის 1399 წლის შემოსევისას, ვირშელ ქუენიფნეველს „ხიზანნი და დედაწულნი“ ქნოღოს ციხისათვის შეუფარებია, ხოლო თვითონ ბეხუშეს ციხეში დამდგარა, თუმცა, ციხე „შიგნიდან გატეხილა“. ქნოღოს ციხეში მდგომთაგან ერთ-ერთს, სახელად ხარებას, საერთო საქმისთვის უღალატია და ამ რთულ ვითარებაში მოუწვევია ქვენიფნეველთან დაპირისპირებული დვალები, მაგრამ ვირშელს თემურის უკან გაბრუნებით უსარგებლია და გადარჩენილი ლაშქრით ქნოღოს ციხეს შემოსდგომია, რის შემდეგ „ხარება და მიმდგომნი ამისა შესწყვდივნა ციხესა შინა და დაჭოცნა ყოველნივე და დააქცივნა ციხენი მათნი.“[1261]

ჯ. გვასალიას ბეხუშეს ციხე 1976 წელს უკვე დანგრეული დახვდა.[1262] საფორტიფიკაციო ნაგებობა ნაგები იყო ფლეთილი ქვისაგან შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი წყობით. წაგრძელებულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე 15 მ-ის სიგრძეზე. დასავლეთი ნაწილი კოშკია. მას შესასვლელი მეორე სართულის აღმოსავლეთ კედელში აქვს. შესასვლელი სწორკუთხაა, აქვს საურდულე ხვრელი. პირველი სართული და მეორეს ნაწილი ამოვსებულია ნანგრევებით. კოშკი 5 სართულის დონეზე ჩანს. პირველი სართული ნათდებოდა აღმოსავლეთით მდებარე ორი ვიწრო სარკმელით. სართულებსშუა გადახურვა კოჭოვანი იყო (ჩანს საკოჭე ღრმულები). III სართულის სამხრეთ-და-სავლეთის კუთხეში ბუხარია. კოშკის კედელს ჩრდილო-დასავლეთიდან კონტრფორსი აქვს საბრძოლო ღიობებით. II, III და IV სართულების აღმოსავლეთ კედელში თითო სარკმელია. გალავნის კედლები 1-3 მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი.

მდებარეობიდან გამომდინარე, ციხე განსაკუთრებით ძნელად მისადგომი აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან უნდა ყოფილიყო.[1263]

41. ზურგიანი კოშკი მდებარეობს სოფლის სამხრეთით, ნაშენია ადგილობრივი კლდის ნაკუთხალი ლოდებით. წყობა მშრალია. გადარჩენილია ოთხი სართული. მეორე სართულის აღმოსავლეთ კედელში სწორკუთხა შესასვლელია. შესასვლელის თავზე, მესამე სართულზე სწორკუთხა სარკმელია. შემორჩენილია სართულებსშუა გადახურვების საკოჭე ბუდეები. მეოთხე სართულის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია.[1264]

ინაური, ზურგიანი კოშკი

1260 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 444.

1261 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 15-17.

1262 ჯ. გვასალია, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები, „ძეგლის მეგობარი,“ 1976-1977, №43-44, გვ. 21.

1263 შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 122.

1264 იქვე, გვ. 124.

მარალეთი

42. ნაეკლესიარი. მდებარეობს მთაზე. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვით. კედლები შემორჩენილია 1-1,5 მეტრის სიმაღლეზე, ზოგგან უფრო ნაკლები. გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის მხოლოდ ქვედა ნაწილის ქვები ჩანს. შესასვლელი სამხრეთით გამოკვეთილად ეტყობა. მიწის დონე საგრძნობლად აწეულია.[1265]

ორტევი

ორტევის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

43. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე. აგებულია გვიან შუა საუკუნეებში. ეკლესია ნაგებია, როგორც რიყის, ისე ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე. კუთხეებში გამოყენებულია კარგად თლილი ქვა. დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია კოლოფა აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. მის ორსავე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. სატრიუმფო თაღი კრონშტეინებს ეყრდნობა. აბსიდის იატაკის დონე ერთი საფეხურით მაღალია დარბაზის იატაკთან შედარებით. ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრული ფორმისაა. კამარის საბრჯენი თაღი კრონშტეინებს ეყრდნობა. პილასტრების საშუალებით გრძივი კედლები თითქმის ორ ტოლ ნაწილად იყოფა. პილასტრების კაპიტელები მარტივპროფილიანია. კაპიტელებს და აბსიდის მხრებს კედლის თაღები ეყრდნობა. დარბაზი ნათდება აღმოსავლეთის და დასავლეთის თაღოვანი და სამხრეთის სწორკუთხა სარკმლებით. დასავლეთი სარკმელი შიგნიდან გარეთ ვიწროვდება. ინტერიერი შეთეთრებულია, იატაკზე დაგებულია ქართული აგური.

სამხრეთი შესასვლელი თაღოვანია, ტიმპანი სადაა. შესასვლელის ორივე მხარეს კრონშტეინებია. სამხრეთ ფასადის ქვედა ნაწილში ჩაყოლებულია თლილი ქვის დიდი კვადრები, რომლებზეც ტოლმკლავა ჯვრების რელიეფური გამოსახულებაა. დასავლეთის სარკმელს შირიმის ქვა აჩარჩოებს. ეკლესიის ფასადები სადაა. კარნიზი მარტივპროფილიანია. ეკლესია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გადახურულია შიფერით.

ეკლესიაში იატაკი ბევრგან აყრილია. ინტერიერში ნალესი ჩამოცვენილია. აღმოსავლეთი სარკმელი ძლიერ დაზიანებულია.[1266]

1265 შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 145-146.
1266 იქვე, გვ. 154.

რეხი

სოფელ ქვემო ზონკარის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ნასოფლარ რეხის ტერიტორიაზე შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები, რომელსაც დასავლეთით მიდგმული აქვს სწორკუთხა გეგმის მქონე კოშკი. სტილისტური ნიშნებით ეკლესია ადრეფეოდალური ხანისა ჩანს, ხოლო მასზე მიშენებული ოთხკუთხა კოშკი გვიანფეოდალური ხანისაა.

რეხი, ეკლესიის ინტერიერი

44. ეკლესია გეგმით სწორკუთხაა, აბსიდის გარეშე. ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით, თაღები და პილასტრები შირიმნის ქვისაა. კარი სამხრეთით აქვს. კარის თავზე არქიტრავის ორი ქვა ადევს. შიგნიდან ტუფის ქვით ნახევარწრიული თაღია ამოყვანილი.

გვერდით კედლებზე შირიმნის ორი წყვილი თაღია. სწორკუთხა საკურთხევლის კუთხეები სფეროს მეოთხედის ფორმის ტრაპეციაა.

აღმოსავლეთის კედელში გაჭრილია სარკმელი, რომელიც შეისრულია.[1267]

სათიხარი

სათიხარის ციხე

45. ციხე. თარიღდება XVIII ს. დასაწყისით. დგას მთაზე. ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. გამოყენებულია დუღაბი. ალაგ-ალაგ კედლის წყობა შევსებულია წვრილი სიპი ქვით.

ციხე გეგმით სწორკუთხაა. კუთხეებში დატანებული აქვს ცილინდრული კოშკები. შედარებით უკეთაა შემონახული ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი კოშკები. დანარჩენი ორი კოშკი მიწის პირამდეა ჩამონგრეული. კოშკების მეორე სართულზე სათოფურებია გამოჭრილები. სამხრეთი კედლის ცენტრში ბუხარია.

ჩრდილო-აღმოსავლეთი კოშკის კედლის ნაწილი ციხის ეზოში შემოდის, დანარჩენი კოშკები ციხეს გარედან აქვს მიდგმული.

1267 ჯ. გვასალია, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები, გვ. 25-26.

შემორჩენილია ციხის დასავლეთი, სამხრეთი და, ნაწილობრივ, აღმოსავლეთი კედლები.[1268]

46. ღვთისმშობლის ეკლესია, თარიღდება IX-X საუკუნეებით. ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, გამოყენებულია დუღაბი. ადგილ-ადგილ გვხვდება რიყის ქვა.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედია, აღმოსავლეთით დასრულებული ნახევარწრიული აბსიდით. შუა ნაწილი დანგრეულია. შემორჩენილია სატრიუმფო თაღის სამხრეთი ქუსლი. ეკლესიის კამარა და კონქი ჩამოქცეულია, კედლები შემორჩენილია 6-7 მეტრის სიმაღლეზე.

სამხრეთი შესასვლელი მიწის დონიდან 50 სმ-ზე მოჩანს. ინტერიერი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით.

ჩრდილოეთის ფასადი პერანგშემოცლილია. ეკლესიის კედლების მიჯრით დიდი ზომის ხეებია ამოსული.[1269]

ი. მეგრელიძე სათიხარში ასევე იხსენიებს წმინდა გიორგისა და კვირაცხოვლის ეკლესიებს.[1270] სათიხარის წმ. გიორგის ეკლესია აღწერილი აქვს გ. ბოჭორიძესაც, იგი როგორც სიძველეთა და ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტის რწმუნებული, 1924 წელს იმყოფებოდა პატარა ლიახვის ხეობაში და არაერთი ძეგლი აღნუსხა. მკვლევარი წერს: „სათიხრის წმ. გიორგის ეკლესია დგას სოფელში, მაღლობ ადგილას; იგი ერთნავიანი შენობაა, 5-3,5 მ., ნაგები რიყის ქვისა და კირისაგან; დღეს ნანგრევად არის: შენახულია მარტო აღმოსავლეთი ნახევარი, თაღიც ნახევრად ჩაქცეულია. იატაკი ნანგრევით არის დაფარული. კარი აქვს სამხრეთით, სარკმელი: აღმოსავლეთით-ერთი, სამხრეთით-ერთი. ტრაპეზი და სამკვეთლო კედელზეა მიდგმული.“[1271]

სოფელში კიდევ ერთი დარბაზული ტიპის ეკლესიაა. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, გამოყენებულია დუღაბი. გეგმით სწორკუთხაა. აღმოსავლეთით საკურთხევლისკენ გაჭრილია ვიწრო სარკმელი. დასავლეთ კედელში სწორკუთხა ნიშია. კედლები შემორჩენილია 5-6 მეტრის სიმაღლეზე, ხოლო ზოგიერთ ადგილას 1-2 მეტრამდე.

ეკლესიას შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა. ამჟამად კარის წირთხლები მორღვეულია.[1272]

საცხენეთი

47. „გომართის“ დარბაზული ეკლესია, დიდი სწორკუთხა მინაშენებით, მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლ. 3-4 კილომეტრში. თარიღდება VIII-IX საუკუნეებით. კამარა ცილინდრული იყო, რომლის ცენტრალური ნაწილი მთელ სიგრძეზე ჩამონგრეულია.

1268 შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 156-157.
1269 იქვე, გვ. 158-159.
1270 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 34.
1271 გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.
1272 იქვე, გვ. 159.

საცხენეთი, კვირაცხოველი

დასავლეთ კედლის ცენტრში თაღოვანი სარკმელია. ამავე კედელს კუთხის პილასტრები აუყვება, მათში გადაყვანილი თაღი კაპიტელებს ებჯინება.

თაღები, კაპიტელები, პილასტრები და კონქი შირიმის თლილი ქვითაა ამოყვანილი, ხოლო კედლები ფლეთილი და შირიმის თლილი კვადრებითაა ნაშენი.

ეკლესიას სამხრეთიდან სწორკუთხა მინაშენი აქვს. სამშენებლო მასალად აქაც გამოყენებულია შირიმი. ეკლესიის შესასვლელი სამხრეთი კედლის ცენტრშია.

ეკლესიის დასავლეი ფასადის სარკმლის თავზე ჩადგმულია ფილა „აყვავებული ჯვრის“ კომპოზიციით.

გადახურვა შემორჩენილი არ არის.[1273]

48. კვირაცხოვლის ეკლესია თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. ნაგებია ქართული აგურით. სამხრეთი კედლის ზედა შუა ნაწილი და კამარის სამხრეთი ნაწილი დანგრეულია. აბსიდის ცენტრში თაღოვანი სარკმელია, რომლის ორსავე მხარეს განიერი, თაღოვანი ნიშებია მოთავსებული.

გრძივი კედლები წყვილი პილასტრებითაა დანაწევრებული. მათზე იყო გადაყვანილი კამარის საყრდენი თაღები.

ეკლესია განათებულია ოთხი თაღოვანი სარკმელით. შესასვლელი დატანებულია სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან.

ეკლესიის დასავლეთი კედელი და ცენტრალური ნაწილი სამხრეთ მხარეს მთლიანად ჩარღვეულია.[1274]

49. წმინდა გიორგის ეკლესია, თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით. მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, განაპირას მთაზე. ნაგებია რიყის ქვით, გამოყენებულია დუღაბი.

სარკმლის ქვედა ნაწილში გამოყენებულია შირიმის ქვები. საკურთხეველში დგას მოწითალო ფერის ქვა, რომელზეც წრეში ჩაწერილი ჯვარია გამოსახული.

ეკლესიას ორი თაღოვანი კარი აქვს, ერთი სამხრეთით, მეორე დასავლეთით. როგორც ჩანს, მოგვიანებით, სამხრეთ-დასავლეთით გარშემოსასვლელი გაუკეთეს.

აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის თავზე მოთავსებულ ქვაზე ნაკაწრით შესრულებულია ადამიანთა ფიგურები.

ეკლესია ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა და კონქი, კედლების ზედა ნაწილი მორღვეულია, ხოლო სახურავი გადახდილი.[1275]

1273 შიდა ქართლი, I, გვ. 162-163.
1274 იქვე, გვ. 160.
1275 იქვე, გვ. 160-163.

სიათა

50. ზურგიანი კოშკი, მდებარეობს პატარა ლიახვის ხეობაში, მარჯვენა მხარეს. მისთვის ისეთი სტრატეგიული ადგილია შერჩეული, საიდანაც შორ მანძილზე კარგად ჩანს მდინარის ორივე მხარე. უფრო გვიან კოშკისათვის გალავანიც მიუშენებიათ. კოშკი შვიდსართულიანია. შესასვლელი მეორე სართულზეა. პირველ სართულს აქვს სარკმელი. მესამე სართულზე კარის მხარეს, ბრტყელ კედელში ერთ ჰორიზონტზე ორი სარკმელია გაჭრილი. მეოთხე და მეხუთე სართულებზე – თითო, მეექვსე სართულის კედლების უმეტესი ნაწილი დარღვეულია, მაგრამ სარკმლის კვალი აქაც ჩანს. მეშვიდე სართულის მხოლოდ ზურგის კედელია გადარჩენილი. მასში მოჩანს კვადრატული სარკმელი.

სიათას კოშკები

კოშკი ზემოთ თანდათან ვიწროვდება. სართულშუა ხის გადახურვა მთლიანად ჩაქცეულია. კოშკის ფასადებს მეხუთე და მეექვსე სართულების მიჯნაზე სწორკუთხა კარნიზი გამოჰყოფს. კარნიზის ქვემოთ კოშკი ნაგებია დიდი ქვით, ზემოთ კი წვრილი ქვით სქელ დუღაბზე.[1276]

სიათას კოშკი მოხსენიებულია ქსნის უკანასკნელი ერისთავის აჯანყებასთან დაკავშირებით. 1777 წელს გიორგი ყულარაღასმა ერეკლე II-ის წინააღმდეგ ციხეები გაამაგრა. ერეკლემ ქსნის ხეობაში ამბოხებული ერისთავის დასასჯელად გიორგი და ლევან ბატონიშვილები გაგზავნა, ხოლო პატარა ლიახვის ხეობაში ამილახორი. საბოლოოდ, გიორგი ქსნის ერისთავმა სიათას ციხეს შეაფარა თავი, მაგრამ ერეკლე II-ის შემოტევას ვეღარ გაუძლო და დანებდა.[1277]

51. სოფელში **მეორე კოშკიცაა** შემორჩენილი მიშენებული ეკლესიის ფრაგმენტით. მდებარეობს მაღალ მთაზე. ნაგებია ფლეთილი ქვით. ზოგიერთ ადგილზე გამოყენებულია ფიქალი.

52. სიათას ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით, რომლისგანაც მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხეა შემორჩენილი. კედლების სიმაღლე 1,5 მ., ზოგგან უფრო ნაკლებს აღწევს.

1276 შიდა ქართლი, I, გვ. 167-168.

1277 საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 178.

ეკლესიას სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მინაშენები ჰქონდა, აქედან სამხრეთ მინაშენის მხოლოდ დასავლეთი ნაწილია გადარჩენილი. ორივე მინაშენი შესასვლელებით უკავშირდება კოშკს, რომელიც ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთითაა.

კოშკი შემორჩენილია სამი სართულის დონეზე. პირველი სართული მიწითა და ჩამონაშალი ქვითაა ამოვსებული. მეორე და მესამე სართულების სამხრეთ კედელში სწორკუთხა სათოფურებია ამოჭრილი.

შემორჩენილია სართულებშუა გადახურვის კვალი, ძელის ბუდეები. ეკლესიასა და კოშკში მიწის ფენა ძლიერ არის აწეული და ამოსულია მცენარეები.[1278]

სნეკვი

53. წმ. გიორგი ეკლესია, IX-X საუკუნის დასაწყისის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მდებარეობს მდინარე პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე, ნასოფლარ სნეკვის განაპირას.

ეკლესია ნაშენია ყორით, შირიმისა და წითელი ქვით. გეგმით სწორკუთხა ნაგებობას აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდი აქვს. დასავლეთის კედელში, შესასვლელის ორივე მხარეს, თითო მაღალი ნიშია. კამარის საბჯენი თაღები პილასტრებზეა დაყრდნობილი. სამხრეთის კარის თავზე ჩაღრმავებული ტიმპანია, ხოლო აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის თავზე, – ბოლოებგაშლილი ჯვრის რელიეფური გამოსახულება.

გ. ბოჭორიძის გადმოცემით, სნეკვის წმ. გიორგის ეკლესიაში დაცული ყოფილა ზარი, მხედრული წარწერით:

„ქ. შემოგწირე სნეკვის წმინდა გიორგის დავლაბერიძემ გლახამა სულ[ი]სა ჩემთვინ.“[1279]

54. ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესიის ფრაგმენტი, თარიღდება შუა საუკუნეებით.[1280]

ფრისი

55. ღვთისმშობლის სახელობის დარბაზული ეკლესია, მდებარეობს სოფლის განაპირას, ჩრდილოეთით. თარიღდება IX-X საუკუნეებით. ეკლესიას ჰქონდა გარსშემოსავლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდან, მისგან მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი. ეკლესია ნაშენია დიდი ზომის რიყის ქვით. მთელი აღმოსავლეთი ფასადი, კარნიზი და კონსტრუქციულად საჭირო მონაკვეთები თლილი ღვინისფერი ტუფისაა.

ინტერიერი: აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა ცენტრში თაღო-

1278 შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 170-171.

1279 გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გვ. 129.

1280 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, თბ., 1985, გვ. 446.

ფრისი, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

ვანი სარკმელით, გვერდებზე ღრმა ნიშებით. კედელზე მიდგმულია მაღალი, სწორკუთხა ტრაპეზის ქვა. აბსიდის იატაკი 50 სმ.-ით მაღალია დარბაზის იატაკზე. აბსიდის წინ, ჩრდილოეთ კუთხეში, დგას ემბაზი – ქვის თლილი კვადრი ამოკვეთილი ზედაპირით. სამხრეთი კედლის დასავლეთ ნახევარში ტიმპანიანი შესასვლელია, აღმოსავლეთ ზედა ნაწილში – თაღოვანი სარკმელი. დასავლეთის შესასვლელი სწორკუთხა ფორმისაა. გრძივი კედლების ცენტრებში თლილი ტუფის პილასტრებია, რომელთა კაპიტელებს ეყრდნობა ნახევარცილინდრული კამარის დამჭერი თაღი.

ფასადები: აღმოსავლეთი ფასადი მოპირკეთებულია თლილი ტუფის ქვით. სარკმელის ზემოთ ბოლნური ჯვრის რელიეფია. დანარჩენი ფასადები რიყის ქვითაა ნაშენი და ზედა რეგისტრში ტუფის კვადრების ზოლი შემოუყვებათ. ეკლესიის კარნიზი მარტივი, სწორკუთხა პროფილისაა. სამხრეთ და დასავლეთ ფასადებს შუა ნაწილში აქვთ შვერილები, რომელთაც მინაშენის სახურავი ეყრდნობოდა. ეკლესია კრამიტით არის გადახურული.[1281]

ქსუისი

ქსუისი, მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია

56. მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით. ეკლესია ერთნავიანი დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს. დასავლეთით მიდგმული აქვს ქვიტკირის სამლოცველო ოთახი. შიგნით და გარეთ გალესილია კირით. სამხრეთით მიშენებული ჰქონია ნაგებობა, რომლის ნაშთიღაა.[1282]

საბჭოთა პერიოდში ეკლესია საცხობად იყო გადაკეთებული. 2003 წელს, ადგილობრივი მოსახლეობის მონდომებით, ტაძარს ჩაუტარდა რესტავრაცია.

ინტერიერი: კედლები და კამარა გალესილია გაჯით. აღმოსავლე-

1281 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 35-36.

1282 გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გვ. 126.

თით ნახევარწრიული აბსიდაა ცენტრში თაღოვანი სარკმელით, რომლის ჩრდილოეთით თაღოვანი ნიშაა, სამხრეთით – სწორკუთხა. აბსიდის ბეტონის იატაკი 20 სმ.-ით მაღალია დარბაზის იატაკზე. გრძივი კედლების ცენტრებში სამსაფეხურიანი პილასტრებია. შუა საფეხურს ეყრდნობა ნახევარცილინდრული კამარის დამჭერი თაღი, გვერდითებს – დეკორატიული თაღები. დასავლეთით და სამხრეთით ორი სწორკუთხა შესასვლელია. სამხრეთის კედელში ორი თაღიანი სარკმელია, დასავლეთ მხარეს – ერთი. ფასადები ნაშენია ფლეთილი და რიყის ქვით. ეკლესია გადახურულია თუნუქით. შემოუყვება მარტივი პროფილის კარნიზი.[1283]

57. ღვთისმშობელი, მდებარეობს ნანიაურის უბანში. იგი მთლიანად დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ საძირკვლის ფრაგმენტები და სამხრეთი კედლის მცირე ნაწილი. ეკლესიის გეგმის დადგენა და დათარიღება გაწმენდის გარეშე შეუძლებელია. სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო დარბაზული ეკლესია სამმხრივი გარშემოსავლელით.[1284]

შამბიეთი (შამბიანი)

სოფლის სიძველეთაგან აღსანიშნავია კოშკი, სასახლე და ეკლესია.

58. კოშკი. მდებარეობს სოფლის ტერიტორიაზე. ნაგებია ფლეთილი ქვის დიდი მოგრძო ბლოკებით, შემორჩენილია 8 სართულის სიმაღლეზე. ზემო სართულზე ქვები თანდათანობით მცირდება. ბრტყელი კედელი მდინარისაკენაა მიმართული. ამ კედლის მეორე სართულზე შესასვლელია, რომლის თავზე 5 ვიწრო სარკმელია. მერვე სართულს ზურგის მხარეს დიდი ოთხკუთხა სარკმელი აქვს დატანებული სართულებს შორის გადახურვისათვის. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში, ერთმანეთის მოპირდაპირედ ოთხ-ოთხი დიდი კვადრატული ფოსო აქვს დატანებული ძელების საყრდენებისათვის.[1285]

59. სასახლე მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით, დაახლ. 1 კმ-ზე. ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, მშრალი წყობით. ალაგ-ალაგ გამოყენებულია ფიქალი. სასახლის კომპლექსიდან შემორჩენილია დარბაზი და სხვა სათავსოები, ასევე საჯინიბო (ან ბოსელი).

დარბაზი გეგმით სწორკუთხედია, რომელსაც დასავლეთით თაღოვანი შესასვლელი აქვს.

სასახლის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები. შენობების მთელ ტერიტორიაზე ამოსულია ხე-მცენარეები.[1286]

60. ჯვარგუმბათოვანი ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, გამოყენებულია დუღაბი. თარიღდება გვიანი შუა საუკუნეებით.

1283 შიდა ქართლი, I, გვ. 198.

1284 იქვე გვ. 197.

1285 ჯ. გვასალია, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები, „ძეგლის მეგობარი,“ 1976-1977, №43-44, გვ. 24.

1286 შიდა ქართლი, I, გვ. 213.

შამბიეთის ეკლესია

მდებარეობს სოფლის მიდამოებში. ამჟამად მთლიანად ჩამოქცეულია.

ეკლესიისთვის სამხრეთიდან დიდი ზომის თაღოვანი სარკმელი დაუტანებიათ, ჩრდილოეთით და დასავლეთით კი თაღოვანი შესასვლელები. სამივე შესასვლელს კარიბჭე აქვს. ჩრდილოეთი შესასვლელი ამოშენებულია და სარკმელად გადაუკეთებიათ. ჩრდილოეთი კარიბჭის მხოლოდ ერთი სვეტია შემორჩენილი. სამხრეთის კარიბჭე მთლიანად მორღვეულია. დასავლეთი კარიბჭის ნახევარწრიული თაღები ოთხკუთხა სვეტებს ეყრდნობა.

ეკლესიის გარშემო შემორჩენილია გალავნის ნაშთები.[1287]

წიფორი

წიფორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

61. წმ. გიორგის ეკლესია. ნაგებობა დარბაზულია. თარიღდება VIII-IX საუკუნეებით, ნაგებია ფლეთილი ქვით და ფიქალით თხელ დუღაბზე. შემორჩენილია აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების ფრაგმენტები. ეკლესიას სწორკუთხა საკურთხეველი ჰქონდა ცენტრში სარკმელით. სარკმელის სამხრეთით სწორკუთხა ნიშაა.[1288]

წიფორი, წითელი ჯვარი

62. წითელი ჯვრის ეკლესია, მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთით, დაახლ. 10-15 მეტრში. ნაგებობა სწორკუთხა გეგმისაა. ნაშენია მოწითალო ფერის დიდი ზომის ქვებით. შემორჩენილია დასავლეთის და სამხრეთის კედლები 2 მ-ის სიმაღლეზე. დანა-

1287 შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 213-214.
1288 იქვე, გვ. 236.

რჩენი მონაკვეთები განადგურებულია. ტაძრის ფრაგმენტი ამოვსებულია მიწით და ნანგრევებით.[1289]

63. კოშკი. თავდაცვითი ნაგებობა მოთეთრო ფერის ფლეთილი ქვითაა ნაშენი. გეგმით კვადრატს უახლოვდება. შემორჩა ორი სართული. პირველი სართული მთლიანად და მეორე სართულის ნახევარი ამოვსებულია ნანგრევებით და მიწით. მეორე სართულის სამხრეთ კედელში საბრძოლო ნიშებია სათოფურებით. დასავლეთის კედელში სწორკუთხა სარკმელია. ჩრდილოეთი კედელი მთლიანად დანგრეულია.[1290]

ჭარები

64. ღვთისმშობლის ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა, თარიღდება XIII-XIV საუკუნეებით. მდებარეობს ქვ. ჭარებიდან 150 მეტრზე სამხრეთით, შემაღლებულ ადგილას. ნაგებია რიყისა და კლდის ფლეთილი ქვით, მოპირკეთებულია ღვინისფერი ტუფით. სვეტები, კამარები და საკურთხევლის თაღი და კარ-ფანჯარა თლილი ქვისაა, დანარჩენი – კლდის. სვეტები მოლურჯო ქვით არის ნაგები.

ჭარების ეკლესიის
რვასტრიქონიანი წარწერა

ჩრდილოეთით და სამხრეთით არის სამ-სამი კამარა.

ეკლესიას ჩრდილო-დასავლეთით, კუთხეში მიშენებული ჰქონდა მცირე ოთახი, ხოლო ჩრდილოეთით – მარანი.[1291]

სამხრეთით მიდგმული ჰქონია ბაზალტის ქვებისგან გამოთლილ სვეტებზე დაყრდნობილი კარიბჭე, რომლის სამხრეთი კარი მდიდრულად იყო ორნამენტირებული.[1292]

გ. ბოჭორიძის გადმოცემით, ეკლესიაში ყოფილა მარმარილოს ქვა წარწერით: **„მე სტარშინ ბერს სარნინცსა აღმიშენებია ეს ეკლესია. ერთ-ერთ სვეტში ინახება იმდენი ქონება, ეკლესიას რომ განახლება დასჭირდეს, კიდევაც მორჩება.“**[1293]

1289 შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 237.

1290 იქვე გვ. 237-238.

1291 გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გვ. 127.

1292 ჯ. გვასალია. პატარა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები, „ძეგლის მეგობარი,“ 1976-1977, №43-44, გვ. 24.

1293 გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გვ. 127.

მოსახლეობას განძი უძებნია, თუმცა, ვერ მიუკვლევია.

მოგვიანებით, ეს ადგილი მიუსაკუთრებიათ ზადეშოშვილებს, რომელთაც მარმარილოს ქვა დაუმტვრევიათ და ხაროსა თუ ქვევრში ჩაუყრიათ.

ალექსანდრე ოქროპირიძეს გ. ბოჭორიძისათვის უთქვამს, რომ ბერის მიერ დაფლული სიმდიდრე ძირითა ქვებში იყო საძიებელი.

გადმოცემით, ეკლესია თავდაპირველად თამარ მეფეს აუგია. ეკლესიის სამხრეთ-აღმოსვლეთის კუთხის გასწვრივ ორი ოცკოკიანი ქვევრი ყოფილა. ერთი მათგანი აზნაურ მახატელებს ამოუღიათ და ზარდიანთ-კარში წაუღიათ, ხოლო მეორეს პირზე ჰქონია ასომთავრული წარწერა:

† ჩ̅Ⴓ: ᲘᲥᲜ ᲫᲧᲚᲬᲘ ᲧᲗ (Ⴓ)ᲜᲚᲨ ᲚᲬᲐᲗ ᲔᲠᲧᲬᲐᲢᲬᲗ

(წმინდაო ღვთისმშობელო, შეიწყალე დავით ბერი ტაშირელი).

წარწერა ადგილობრივ მცხოვრებ ბავშვებს დაუზიანებიათ.

იქვე, საზედაშე ერთ-ერთ ქვევრზე გ. ბოჭორიძეს უნახავს მეორე წარწერაც: „**შემამიწირია დავით ბერსაო, ტაშირელსაო.**“[1294]

ეკლესია აშენებული უნდა იყოს მასზე გაცილებით ადრინდელი ტაძრის ადგილას. ეკლესიის აფსიდის იატაკში აღმოჩენილია წარწერიანი ქვა (ზომები: 30-20-15 სმ), რომელზეც რელიეფური ასომთავრული რვასტრიქონიანი წარწერაა:

..... ᲭᲔᲫᲰ
..... ᲘᲤ ᲩᲪ
ᲢᲗᲰᲗ ᲜᲬᲘᲨ
ᲢᲚᲐᲬᲘᲨ ᲢᲙ
ᲐᲪᲔᲔᲘᲨ ᲫᲘ
ᲢᲐᲫᲐᲗᲘᲨᲘᲬᲘ
ᲘᲔᲦᲗᲗ ᲢᲐᲗ ᲨᲢᲘ
ᲨᲔᲐᲫᲘ

1. [ქრისტე მეოხ] ექმენ
2. ...ღვთისა ცოდვილსა
3. განუსვენე სულსა
4. გაბრიელისა ბაკუ
5. რდუხტისა მიხელისა
6. გვარამავრისა ასულისა
7. სტეფანესი გძ(?) აგს(?)
8. ახრიძეს.[1295]

1294 გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გვ. 128.
1295 ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

ხელჩუა

65. მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი. სოფლის აღმოსავლეთით, თითქმის მთლიანად დანგრეული ეკლესიიდან შემორჩენილია საძირკვლის ფრაგმენტები. სავარაუდოდ, იგი მცირე ზომის დარბაზული ნაგებობა იყო, დაახლ. 7,5X7,5 მ. ძლიერი დაზიანების გამო გეგმისა და თარიღის დადგენა შეუძლებელია.[1296]

1296 შიდა ქართლი, I, გვ. 263.

პატარა ლიახვის ხეობის ე. წ. საოკუპაციო ხაზთან არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები და ლაპიდარული წარწერები

არბო

ვახუშტი ბატონიშვილი არბოს ეკლესიის შესახებ წერს: შერთულს ზეით არს ეკლესია არბო-წმიდისა, სასწაულთმოქმედი, პატარა ლიახჳს კიდეზე, დასავლით.“[1297]

არბო, წმ. გიორგის სახელობის ჯვარგუმბათოვანი და ბაზილიკური (დარბაზული) ეკლესიები

სოფლის ცენტრში, ნ. ლომოურის სახლ-მუზეუმის მოპირდაპირე მხარეს ერთმანეთის გვერდით წმ. გიორგის ორი ეკლესიაა.

66. წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია ძველია, თარიღდება განვ. ფეოდალური ხანით. ნაგებობა დარბაზულია (9,3X5,9 მ.) აგებულია რიყის ქვით. კუთხეები, სარკმელები და აღმოსავლეთ ფასადი თლილი ქვით არის მოპირკეთებული. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს. ერთი – სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილში, ხოლო მეორე – დასავლეთ კედელში. სამხრეთ-დასავლეთით დაზიანებული მინაშენებია.

გ. ბოჭორიძეს არბოს წმ. გიორგის ეკლესიაში უნახავს წმ. გიორგის ხის ვერცხლით შეჭედილი ჯვარი (70X34 სმ.) მხედრული წარწერით:

ქ. ჩვენ ბეჟან [.....]
არუთინამ შემ [.....]
წმინდის გიორგის [.....]
სნეულობის გამ [.....]
ქკს უამ.[1298]

1297 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 369.

1298 გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გვ. 105. გ. ბოჭორიძეს ჯვრის წარწერის თარიღის მიმანიშნებელი ქრონიკონი ზუსტად ვერ ამოუკითხავს. ქრონიკონი „უამ“ (უ (=400), ა(=1), მ(=40), ანუ, ერთეული ათეულის წინ არის, რაც, ქართული ქრონოლოგიისათვის დამახასიათებელი არ არის.

67. არბოს წმ. გიორგის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიის მშენებლობა, როგორც ითქვა, დაიწყო 1847 წელს დეკანოზ იაკობ ლომოურის ინიციატივით და XIX ს. ბოლოს დასრულდა. 1897 წელს, არბოს წმინდა გიორგის ტაძარი საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერ ბოგოიავლენსკიმ (1848-1918 წ.წ.) შიდა ქართლის სხვა ტაძრებთან ერთად მოინახულა. უმაღლესი სასულიერო იერარარქი ჯერ დიცში გაჩერდა, სადაც აღნიშნული სოფლის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი და მისი ქონება ნახა, შემდეგ კი არბოს ესტუმრა. ეგზარქოსს თან ახლდა მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (1855-1918 წ.წ.) რომელიც იმ დროისთვის იღუმენი იყო. წმ. კირიონის კალამს ეკუთვნის ვლადიმერ ბოგოიავლენსკის მოგზაურობის მიმოხილვა. მომავალი პატრიარქი წერდა, რომ არბოს წმინდა გიორგის გუმბათიანი ტაძარი 1890 წელს აკურთხეს, თუმცა ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ დასრულებელი.[1299] ტაძარი ნაგებია აგურით და ნატეხი ქვით. სამკვეთლოსა და სადიაკვნოს თავზე მცირე სათავსოებია დატანებული. ამ სათავსებში ასასვლელი აგურის კიბე გარე კედლებშია ჩატანებული. გუმბათის ყელი ორ ბურჯსა და აფსიდის მხრებს ეყრდნობა.

დასავლეთ კედელს მთელ სიგრძეზე ეკვრის კარიბჭე. დასავლეთ კედელში ჩატანებულია აგურის კიბე კარიბჭეზე დაშენებულ სამრეკლოში და გვერდით სათავსების თავზე განლაგებულ ოთახებში ადის.[1300]

როგორც ითქვა, არბოს წმ. გიორგი გერის უმცროს ძმად ითვლებოდა და საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიოდნენ მლოცველები. ტაძრის მნიშვნელობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც გერიდან გადმოაბრძანეს თამარ მეფის მიერ შეწირული წმ. გიორგის ნაწილებიანი ხატი, რომელიც თავის დროზე ბიზანტიიდან იყო ჩამოტანილი და არბოში XIX ს. 60-იან წლებამდე ინახებოდა.

გიორგი XII-ის (1798-1800) მეფობის დროს არბოელ დეკანოზს ანდრია ჟურულს ხატიდან წმ. გიორგის ნაწილები ამოუღია და მოზდოკში გადახვეწილს რუსი ვაჭრებისათვის მიუყიდია, თუმცა, მალევე ჟურულიცა და რუსი ვაჭრებიც გარდაცვლილან, რასაც ხატის მიზეზით ხსნიდნენ.

მოგვიანებით ვერცხლის ჯვარში ჩასვენებული წმ. ნაწილები, ნაკლული სახით, საქართველოში დაუბრუნებიათ, მაგრამ XIX ს. ბოლოს ისიც დაკარგულა.[1301]

1299 გ. სოსიაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II ეგზარქოს ვლადიმერის შიდა ქართლში მოგზაურობის შესახებ, გორი, 2019, გვ. 103-104.

1300 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990, გვ. 45.

1301 გ. სოსიაშვილი, არბოს წმინდა გიორგის ხატის ისტორიიდან, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №4, 2013, გვ. 46-53.

დიცი[1302]

დიცი, მთავარანგელოზის ეკლესიის ნაშთები, ავტორის ფოტო.

სოფელ დიცში არაერთი სიძველეა შემორჩენილი. **68. მთავარანგელოზის ეკლესია.** იგი მცირე ზომის, ერთნავიანი ბაზილიკური ტიპის ნაგებობაა, ნაშენია საკმაოდ დაუხვეწავი ხელით, სამშენებლო მასალად გამოყენებულია რიყის ქვა, კუთხეებში ჩატანებულია თლილი ღვინისფერი ქვები. დიცის მთავარანგელოზის ტაძარი, ხანდაზმული ადამიანების გადმოცემით, ბოლშევიკთა აქტიურ მხარდამჭერებს დაუნგრევიათ. მათივე ინფორმაციით, 1924 წლის ცნობილი აჯანყების დროს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მომხრეებს, დიცში, მთავარანგელოზის ტაძრის სიახლოვეს, მიწაში იარაღი ჩაუმარხავთ.

გასულ წლებში ადგილობრივი ახალგაზრდობის ინიციატივით გასუფთავდა ნახევრად დანგრეული ტაძარი და გამოჩნდა ბრტყელი რიყის ქვით მოპირკეთებული საკურთხეველი, აქვე იყო დაზიანებული ტრაპეზის ქვის ფრაგმენტი. მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია, ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლების ფრაგმენტებზე დაკვირვებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკლესია გადახურული იყო ცილინდრული კამარით. ძეგლის გაწმენდისას აღმოჩნდა ადამიანის ძლიერ დაზიანებული თავის ქალის ფრაგმენტი.[1303] ჩვენი აზრით, დიცის მთავარანგელოზის ეკლესია, ღვთისმშობლის ტაძარზე ადრინდელი უნდა იყოს.

69. ღვთისმშობლის ეკლესია. სოფლის სამხრეთ-დასავლეთ განაპირას, სასაფლაოზე დარბაზული ეკლესიაა. ნაშენია რიყის ქვით. კუთხეები და კონსტრუქციული ნაწილები თლილი ტუფისაა. სახურავი ახლადგამართული ორქანობიანი თუნუქისაა.

დიცი, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, ავტორის ფოტო.

ინტერიერი: აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა, ცენტრში ვიწრო სარკმელით, რომლის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. სამხრეთ კედელში კედლის ზედა რეგისტრში

1302 სოფელ დიცში გვიან ფეოდალურ პერიოდში ყმებსა და მამულებს ფლობდნენ მაჩაბლები. დიცის მატერიალური კულტურის ძეგლები და ლაპიდარული წარწერები შევიტანეთ წიგნში: „სამაჩაბლოს ისტორია," თბ., 2021, გვ. 269-270. თუმცა, დიცი პატარა ლიახვის ხეობის სოფელია და, შესაბამისად, წარმოდგენილ ნაშრომში საჭიროდ ჩავთვალეთ სოფლის სიძველეების ხელახალი რეპრეზენტაცია.

1303 გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, თბ., 2017, გვ. 130-131.

ორი სარკმელია, ქვედა დასავლეთ ნახევარში – თაღიანი შესასვლელი. დასავლეთ კედელში სწორკუთხა კარია. კამარის დამჭერი თაღი გრძივ კედლებზე ამოყვანილ პილასტრებს ეყრდნობა.

ნაშენია ადგილობრივი (ერედვის) ღვინისფერი ტუფის კვადრებით. დანარჩენი კედლები ნაგებია დუღაბზე რიყის ქვით.

ეკლესიას სამხრეთიდან და დასავლეთიდან მიშენებული ჰქონდა გარსშემოსავლელი, რომლისაგან უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი.

ინტერიერში ჩანს ძველი შელესილობის კვალი.[1304]

აღნიშნული ეკლესიის შესახებ, მკვლევარი ი. მეგრელიძე წერდა: „აქ, სიძველეთაგან ღვთისმშობლის გუმბათიანი ეკლესიაა, რომლის კუთხის ქვები თლილია, სხვა კი გაუთლელი. ნაგებობის აღმოსავლეთ კედელში ერთი სარკმელია, რომლის ჩარჩოსაც გარემხრივ კბილებრივი ჩუქურთმა აქვს. შენობას სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე ახლავს ქვემოთ მინაგები, კარიც აქედანაა და ამავე კედელში ორი სარკმელია მხატვრული ჩარჩოებით ქვაზევე.“[1305] აღსანიშნავია, რომ ი. მეგრელიძის მიერ აღწერილი ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, გუმბათიანი იყო, დღეს კი ნაგებობა უგუმბათოდ დგას. როგორც ადგილობრივი მაცხოვრებელები გადმოგვცემენ, ეკლესიისათვის გუმბათი კომუნისტურ ეპოქაში, აქაურ ათეისტებს მოუნგრევიათ, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტაძარს გუმბათის კვალი არ ეტყობა. ბოლშევიკებმა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის სამრეკლოდან ზარიც ჩამოხსნეს, რომელიც დღემდე დიცის სკოლაში ინახება.

დიცის ეკლესიის აღწერისასას ი. მეგრელიძეს არ აქვს ნახსენები ღვთისმშობლის ეკლესიის მეორე, აღმოსავლეთის კარი, რომელიც მის მიერ ტაძრის მონახულების დროს გაუქმებული იყო და XX საუკუნის 90-იან წლებში აქაურმა ახალგაზრდობამ ტაძრის შემოგარენის დასუფთავების შემდეგ აღმოაჩინა.

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი სამეცნიერო ლიტერატურაში გვიანდელი ფეოდალური ხანით არის დათარიღებული. ძეგლი შეისწავლა შ. ნათაძემ, იგი წერს: „ღვთისმშობლის ეკლესია არქიტექტორული ძეგლი, დგას სოფლის განაპირას, სამხრეთ-დასავლეთით, სასაფლაოზე. სავარაუდოდ, თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლესია დარბაზულია (10,7-6, 1 მ), ნაგებია რიყის ქვით, კედლის კუთხეები და სარკმლები თლილი ქვისაა. შესასვლელები სამხრეთით და დასავლეთითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო სარკმელია, რომლის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. ორი სარკმელი სამხრ. კედელშია. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. ეკლესია შიგნით და გარეთ შელესილია. დას. კედლის ფრონტონის თავზე მოგვიანებით დაუშენებიათ ოთხივე მხარეს სწორკუთხა ღიადებით გახსნილი სამრეკლო, რომელსაც პირამიდული სახურავი აქვს. სამრეკლო ამჟამად გადახურულია თუნუქით. ეკლესიის ორფერდა სახურავი ღარიანი კრამიტისაა. შემორჩენილია ეკლესიის

1304 გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, თბ., 2010, გვ. 118-120.

1305 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 15.

სამხრეთიისა (სარკმლისა და გადახურვის ფრაგმენტები) და დასავლეთის მინაშენების ნანგრევები.“[1306]

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი მოქმედი სალოცავი იყო, იგი გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა გააუქმეს, თუმცა, ადგილობრივი მორწმუნეების ძალისხმევით აქ წირვა-ლოცვა მალევე იქნა აღდგენილი. XX საუკუნის დასაწყისში, დიცში მოსახლეობის რეგისტრაცია, ქორწინების, ასევე დაბადებულთა და გარდაცვალებულთა აღნუსხვა სწორედ ღვთისმშობლის ეკლესიის სპეციალურ წიგნში ხდებოდა.

2013 წლის აპრილში დიცის ღვთისმშობლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის წარბზე, ბათქაშის ქვეშ აღმოჩნდა სამი ძმის: ბეშქენის, ჯარიდის და გოდერძის ქვაზე ჩაკვეთილი საქტიტორო ასომთავრული წარწერა, რომელიც, სავარაუდოდ, IX საუკუნით თარიღდება. ტაძრის ინტერიერში სამხრეთ კოლონის აღმოსავლეთ საფეხურზე ასევე მიკვლეულ იქნა ნაკაწრი წარწერები მიქელის, კონსტანტინე ბაკანაის და ჯარიდის მოსახსენიებლებით.[1307]

<u>წარწერები:</u>

1). 1. სახელითა ღ(მრ)თი(საისათა) ესე ეკლეს(ია)ჲ აღ(ა)შე[ნე]თ 2. სამთ(ა) ძმათა ბ(ე)შქენ, გოდერძმან 3. და ჯარიდმა 4. ნ ვინ წ(ა)ჲკითხოს ლოცვასა [მოგვიხსენიეთ].[1308]

2). [ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე მ(იქე)ლ.[1309]

3) 1. ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ჯარიდ 2. ი მე დავწერე 3. მიქაელ.[1310]

4). 1. ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე კ(ონსტანტინ)ე ბაკანაი ყოე 2. ლგან ეკლეჟსიათ მათ 3. ალა(გს).[1311]

დიცში, გარდა ზემოთ აღნიშნული სალოცავებისა, არის რამდენიმე საკულტო ადგილი.

70. ლომისის ნიში, დიდი ლომისის სალოცავიდან უნდა იყოს გადმოტანილი. ლომისის საკულტო ტერიტორიაზე შემორჩენილია სალოცავის ნანგრევები, რომელიც ამჟამად მიწის საფარითაა დაფარული. „ლომისას“ იხსენიებს ი. მეგრელიძე. იგი წერს: „სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს დიცის მთავარანგელოზის ეკლესიის ნანგრევი. მას იქით საკულტო ადგილს ლომისას უწოდებენ. იქ ნაგებობა აღარ არის, დგას დიდი კაკლის ხე.“[1312]

1306 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გვ. 65.

1307 გ. სოსიაშვილი. დიცის წარწერები, თბ., 2017, გვ. 39-51; გ. სოსიაშვილი, დიცის ტაძრის ასომთავრული წარწერები, ჟურნ. „ისტორიანი,“ № 3, 2017, გვ. 26-37; GIORGI SOSIASHVILI, ASOMTAVRULI INSCRIPTIONTS ON DITSI SAINT MARY VIRGIN CHUCH NEAR THE RUSSIAN OCCUPATIONAL LINE, PRO GEORGIA, 2016, VOL. P. 161-177.

1308 გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, გვ. 45.

1309 იქვე, გვ. 47.

1310 იქვე, გვ. 50.

1311 იქვე.

1312 ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

ლომისას ნიშთან XX საუკუნის 90-იან წლებში, წმინდა გიორგის თეთრი მარმარილოს ქვა დადგა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა, ხოლო 2002 წელს ამ ადგილზე მცირე ზომის ბაზილიკური ეკლესია აშენდა, სოფ. დიცის მკვიდრის კუკური მარკოზაშვილის ფინანსური ხელშეწყობით, სალოცავის გზა შეკეთდა ვალერი მარკოზაშვილის დახმარებით.

71. ატოცის წმინდა გიორგის ნიში სოფლის შუაგულშია, იგი ქარელის რაიონის სოფელ ატოციდან XIX საუკუნეში გადმოუტანიათ. გადმოცემით, როდესაც მლოცველები არბოს წმინდა გიორგის ტაძრიდან წამოვიდოდნენ, დიცში ატოცის ნიშთან უნდა შეჩერებულიყვნენ და აქაც უნდა ელოცათ (გადმოცემა 2004 წელს ჩავიწერეთ 1913 წელს დაბადებული ლ. ყორანაშვილისაგან). სანიშე ნაგებობა 2004 წელს აიგო დიცის მკვიდრების მიხეილ და ბიძინა ბიძინაშვილების ინიციატივით.

72. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია სოფელში მცხოვრებ ხანდაზმულ ადამიანთა გადმოცემით, დიცის საკრებულოს გამგეობის შენობის ადგილზე იდგა და იგი ხის ნაგებობა ყოფილა. ტაძარი მოუნათლავი ბავშვების სასაფლაოზე მდებარეობდა. ეს ეკლესია გასაბჭოების შემდეგ დაშალეს. მის სიახლოვეს, ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი აშენდა.[1313]



დიცი, გალავნის ფრაგმენტი. ავტორის ფოტო

73. დიცში, ეკლესიების გარდა, შემორჩენილია თავდასაცავი ნაგებობის ნაშთები, რომელსაც აქაურები **გალავანს** უწოდებენ, რომლის ფრაგმენტები დღემდეა მოღწეული. სამხრეთ კედელს დატანებული აქვს სათოფურები. ჩვენი აზრით, მტრის შემოსევების დროს სოფლის მოსახლეობა თავს აქ აფარებდა. არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული, ზეპირსიტყვიერი ცნობა, რომ ციხე-გალავანს თავისი საიდუმლო გვირაბი ჰქონდა, რაც გვიანფეოდალურ საქართველოში საფორტიფიკაციო ნაგებობების ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი იყო. თუმცა, ადგილობრივი ახალგაზდობის მცდელობის მიუხედავად, ჯერჯერობით ეს გვირაბი ნაპოვნი არ არის. გადმოცემით, გიორგი სააკაძეს, რომელსაც მეფისაგან ბოძებული ჰქონდა ტფილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავობა, დიცის ციხე-გალავანში რამდენიმე დღე დაუყვია. თავდასაცავი ნაგებობა, კომუნისტურ ეპოქაში კოლმეურნეობის საწყობად იყო გამოყენებული.[1314]

1313 გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, გვ. 118.
1314 იქვე.

კარბი

კარბი საკმაოდ მდიდარია საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობებით. აქ მდებარეობს ღვთისმშობლის, წმ. მარინესა და სამების სახელობის ეკლესიები, გნოლიძეების, დავითაშვილებისა და ხუბაშვილების ციხეები, კოშკები და სხვ.



კარბის ღვთისმშობლის ეკლესია და სამრეკლო

74. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება გვიან ფეოდალური ხანით. დარბაზული ტიპისაა (8,3X4.8 მ.) ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. პირვანდელი სახე შენარჩუნებული აქვს. დასავლეთით აგურის მცირე ოთხსვეტიანი სამრეკლო ადგას. ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთიდანაა. აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის თავზე ნალისებრი დეკორატიული თაღია, რომელსაც ქვის რელიეფური ჯვარი ადგას. სახურავი კრამიტისაა.[1315]

75. წმ. მარინეს ეკლესია სოფლის სამხრეთით, მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. თარიღდება XVIII-XIX საუკუნეებით. ტაძარი დარბაზულია (6,7X4,6 მ.). ნაგებია რიყის ქვით. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან. დარბაზი გადახურულია შეისრული კამარით, სახურავი კრამიტისაა.[1316]

კარბის წმ. მარინეს სახელობის ეკლესია

ეკლესიას ძველად შესასვლელი კარი ჩრდილოეთიდანაც ჰქონია, მაგრამ იგი ამჟამად ამოშენებულია.[1317]

76. წმ. სამების ეკლესია დგას სოფლის განაპირას, სამხრეთით. ეკლესია დათარიღებულია XVI-XVII საუკუნეებით[1318] თუმცა, მკვლევარი ზ. სხირტლაძე არ გამორიცხავს, რომ მისი თავდაპირველი აგების თარიღი X ს. II ნახევარი იყოს.[1319]

1315 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გვ. 75.

1316 იქვე, გვ. 75.

1317 გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გვ. 105.

1318 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გვ. 75.

1319 ზ. სხირტლაძე, ნ. ჩიტიშვილი, კარბის წმ. სამების ეკლესია, „საქართველოს სიძველენი,“ 2008, № 12, გვ. 84.

კარბი, წმ. სამების სახელობის ეკლესია

ეკლესია დარბაზულია (8 X 11 მ). ფასადებში წითელი ტუფის თლილი კვადრებია ჩატანებული. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ეკლესიის შიდა კედლები მოგვიანებით შეულესავთ.

აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის თავსართის ზემოთ, წრეში ჩასმულ ჯვარს ირგვლივ შემოვლებული აქვს გრეხილი. სამხრეთის ფასადზე, მარცხენა სარკმლის თავზე, ამოკვეთილია ჯვარი. დასავლეთით, მაღლა ქვაზე კტიტორის რელიეფური გამოსახულებაა.[1320]

შენობა გადახურულია თუნუქით (თავდაპირველად ჰქონია კრამიტის სახურავი).

1920-იან წლებში კარბის სამების ეკლესია მოინახულა და მისი წარწერები შეისწავლა ცნობილმა ქართველმა სიძველეთმცოდნემ გიორგი ბოჭორიძემ, მაგრამ ზოგიერთი წარწერა დაზიანებისა და სიმაღლის გამო მას ხარვეზებით აქვს გადმოწერილი.[1321]

კარბის სამების რვასტრიქონიანი წარწერა და ქტიტორის გამოსახულება

ეკლესიის წარწერები დასავლეთ ფასადზეა თავმოყრილი. კედლის ზედა ნაწილში, ფრონტონის სიახლოვეს მოწითალო ფერის მოზრდილი ფილის მარცხენა ნაწილზე წარმოდგენილია მა-

მაკაცის ფიგურა, რომელიც, სავარაუდოდ, ეკლესიის ქტიტორი უნდა იყოს, ხოლო ფილის მარჯვენა ნაწილს თორმეტსტრიქონიანი წარწერა ავსებდა, რომელიც ძლიერაა მიმქრალებული და მხოლოდ ცალკეული ასოებიღაა შემორჩენილი.[1322]

საქტიტორო გამოსახულებიანი კვადრის მარცხნივ, რამდენიმე ფილით დაბლა, იმავე ფერის ქვაზე რვა სტრიქონიანი წარწერაა,

1320 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გვ. 75.
1321 გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გვ. 105-107.
1322 ზ. სხირტლაძე, ნ. ჩიტიშვილი, კარბის წმ. სამების ეკლესია, გვ. 84.

რომელიც, შედარებით კარგად იკითხება:

ᲮᲕᲚᲔ Ო
ᲐᲔᲨᲜᲔᲘ
ᲩᲔᲨᲜᲚᲘᲔ
ᲔᲗᲔ ᲨᲝ[ᲠᲜ
ᲜᲗᲔᲚᲔ ᲩᲔᲠ
ᲙᲠᲘᲛᲔᲚᲘ Ნ
ᲥᲔᲜᲔᲚᲘ Ყ
ᲚᲘ

ე. ი. **„ᲩᲤ-სასა დ (2)რამისაᲐ (3)ᲬᲐᲛᲘᲒᲘᲐ (4)აქამდ(ი)ს (5)ᲫᲘ(ნ)ცა ᲬᲐᲘ (6) კითხოს ᲚᲘ (7)ოცვა Ყ (8)ოს.“**

წარწერიდან გამომდინარე, ეკლესიის აშენებაში 1500 (ჩფ) დრამი დახარჯულა (დრამის განმარტება, იხ: ნაშრომის ბოლოს). როგორც ზ. სხირტლაძე მიიჩნევს, მე-4 და მე-5 სტრიქონებში ნახსენები „აქამომდის წამიგია“ იმაზე მიუთითებს, რომ წარწერა საადმშენებლოა და თანხა ეკლესიის ასაგებად იქნა გაღებული.[1323]

ეკლესიის დასავლეთის ფასადის შუა მონაკვეთზე 6 სტრიქონიანი ნუსხური წარწერის ფრაგმენტები ჩანს, რომელიც ქვის გამოქარვის გამო, მხოლოდ ალაგ-ალაგ, ფრაგმენტულად იკითხება („დიდ,“ „თადრე,“ „ლოშგირა“ და სხვ.)

საქტიტორო რელიეფის სამხრეთით, მცირე მანძილზე მართკუთხა ზომის თეთრ ფილაზე ნათლისღების კომპოზიციაა ამოკვეთილი. როგორც ზ. სხირტლაძე და ნ. ჩიტიშვილი განმარტავენ: „ესაა ნაწილი წმ. სამების ეკლესიის აგებამდე იქვე აღმართული სტელისა, რომელიც ამ ადგილას ტაძრის აშენებამდე უნდა მდგარიყო. მოგვიანოდ, იგი დაუნაწევრებიათ და ეკლესიის ფასადზე კვადრებად გამოუყენებიათ.“[1324]

დასავლეთის ფასადზე, ცენტრში შემორჩენილია ემბაზში მყოფი ყრმა იესოს ფიგურა. მაცხოვრის მარჯვნივ, იოანე ნათლისმცემელია მთელი ტანით გამოსახული, მის მარჯვენა მხარს ზემოთ, ფილის კუთხეში გასდევს ოთხსტრიქონიანი წარწერა:

ᲪᲬᲘ
ᲩᲔᲥ[Ნ]
ᲡᲐᲠᲢᲐ
ᲢᲜᲘ
„Ა(ოა)ნე 2.ნათ(ლ) 3.სმცემ 4. ელი.“

ქრისტეს მარცხნივ წარმოდგენილია ანგელოზის ფიგურა, რომლის თავი და სხეულის მარცხენა მხარე ქვის ჩამოთლის გამო შემორჩენილი აღარ არის.

ფილის ზედა ნაწილში სულიწმინდა გამოსახულია მტრედის სახით, რომელსაც ნისკარტით სეფისკვერი უჭირავს, ხოლო ქვედა ნაწილში მაცხოვრის გასწვრივ ჩანს კრავის გამოსახულება.[1325]

1323 ზ. სხირტლაძე, ნ. ჩიტიშვილი, კარბის წმ. სამების ეკლესია, გვ. 86-87.
1324 იქვე, გვ. 88.
1325 იქვე, გვ. 89.

ანგელოზის მოპირდაპირე მხარეს გამოსახულია მამაკაცის ფიგურის ფრაგმენტი, რომლის მხოლოდ მკერდზედა ნაწილია შემორჩენილი. ფიგურის მარჯვნივ არსებული ოთხსტრიქონიანი წარწერა, რომელშიც ქტიტორის სახელი იკითხება, ნაწილობრივ დაზიანებულია:

Ղ
ԿՉ
ԻՇԴ
ԻՂ
„ბ(ა) 2.კუ 3.რავ. 4.რი.“

ზ. სხირტლაძე არ გამორიცხავს, ეკლესიის ქტიტორის ბაკურავრის კავშირს წყაროებში მოხსენიებულ „გარეჯარ-ბაკურისუბანთან,“ რომელიც ქსნის ერისთავებმა XIV ს. პირველ ნახევარში მზითვად მიიღეს.[1326]

XX საუკუნის დასაწყისში, 1911 წელს ტაძრისათვის გალავანი მიუშენებიათ. სავარაუდოდ, ამავე პერიოდში ეკლესიის დასავლეთ კეხზე დაუდგამთ ოთხსვეტიანი სამრეკლო.[1327]

ამჟამად გალავნისაგან მხოლოდ ნაშთებიღაა შემორჩენილი. გალავნის განახლებაზე მოგვითხრობს ნაცრისფერი ტუფის ქვაზე შესრულებული მხედრული წარწერა, რომელიც ტაძრის გარეთ, მის კართან ამოუკვეთიათ:

<u>წარწერა:</u>

„ეს წმიდის სამების გალავანი ავაშენეთ სოფლის შემწეობით მზრუნველებმა ლადო ბიძინაშვილმა, იგორ გნოლიძემ და სანდრო ძიმაკურიძემ 1911 წ. მაისისა.“

გ. ბოჭორიძეს აღწერილი აქვს კარბის ეკლესიის ნივთებიც: „931. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 36/33 სმ. ძლიერ დაზიანებულია. 932. ჯვარი ხისა 27/16 სმ. (ტარითვე), რომლის წინა პირიც შეჭედილია დაბალი ვერცხლით და შემკული 2 თვლით (აკლია 4 თვალი); უკანა პირზე ჯვარს გადაკრული აქვს უბრალო ლითონი, რომელზედაც არის წარწერა. 933. რიყის ქვა, 56/31 სმ., კარბის წმ. მარინეს სასაფლაოს ეკლესიის ეზოდან, ხუცური წარწერით; დაზიანებულია.“[1328]

გნოლიძეების ციხე

77. გნოლიძეების ციხე. სოფლის ცენტრში, ვაკეზე, დგას ცილინდრული კოშკი, რომელიც „გნოლიძეების ციხის“ სახელითაა ცნობილი. სამშენებლო მასალად გამოყენებულია რიყის ქვა და დუღაბი. შემორჩენილია ორი სართული. შესასვლელი პირველ სართულზე დასავლეთიდა-

1326 ზ. სხირტლაძე, ნ. ჩიტიშვილი, კარბის წმ. სამების ეკლესია, გვ. 90.

1327 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გვ. 75.

1328 გ. ბოჭორიძე, დასახ, ნაშრომი, გვ. 296.

ნაა. სათავსო გეგმით ოთხკუთხაა. შესასვლელის პირდაპირ ბუხარია, რომლის ორივე მხარეს სათოფურია. აღმოსავლეთ კედელში თითო პატარა და დიდი ნიშია. დიდში ორმაგი სათოფურია, პატარაში – ცალმაგი. ამ სათოფურის თავზე პატარა სარკმელია. დასავლეთის კედელში სამი ნიშაა ორმაგი სათოფურებით. სამხრეთის კედელში სამი სათოფური და მცირე ზომის სარკმელია. სართული გადახურულია აგურის ცილინდრული კამარით. პირველი და მეორე სართულები ერთმანეთს უკავშირდებიან აღმოსავლეთის კედელში დატანებული კიბით. მეორე სართულის დაზიანებულ კედლებს აქა-იქ შერჩენილი აქვთ სათოფურების კვალი.[1329]

ხუბაშვილების კოშკი

78. ხუბაშვილების კოშკი სოფლის ცენტრში, ე.წ. „ხუბაანთ უბანში," ვაკე ადგილას დგას. ნაშენია რიყის ქვით და სქელი დუღაბით. შემორჩენილია სამი სართული. პირველი სართულის გეგმა სწორკუთხაა. ოთხივე კედელში ნიშებია. მეორე სართული კვადრატულია (4.2X4.2 მ.). აღმოსავლეთ კედელში ბუხარია, რომლის ორივე მხარეს საბრძოლო ნიშებია სათოფურებით. ჩრდილოეთ კედელში ერთი პატარა და ერთი დიდი საბრძოლო ნიშაა სათოფურებით. სამხრეთ კედელში მაღალი საბრძოლო ნიშაა სათოფურებით, მის ზემოთ – სარკმელი. პირველი და მეორე სართულები გადახურულია ქართული აგურის ცილინდრული კამარებით. მესამე სართულის კედლები სანახევროდ დანგრეულია. სართულები ერთმანეთს კედელში ჩატანებული კიბეებით უკავშირდება.[1330]

79. სოფლის ცენტრში დგას ოთხკუთხა კოშკი, რომელიც **დავითაშვილების ციხის** სახელითაა ცნობილი. ნაშენებია ფლეთილი ქვით. შემორჩენილია ხუთი სართული. სართულებსშუა ხის გადახურვა და ბანი ჩამოქცეულია. თავდაპირველი შესასვლელი მეორე სართულს ჰქონდა აღმოსავლეთიდან, ამჟამად შესასვლელი პირველი სართულის აღმოსავლეთ კედელშია. ეს სართული სანახევროდ მიწითაა ამოვსებული. ჩრდილოეთის კედელს მაღალი კონტრფორსი აქვს მიშენებული, მასში მეორე, მესამე და მეოთხე სართუ-

დავითაშვილების ციხე

1329 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გვ. 75.

1330 იქვე.

ლებზე ბუხრებია ჩატანებული. მომცრო ზომის კონტრფორსები დანარჩენ კედლებსაც აქვთ მიშენებული. მესამე და მეოთხე სართულებს ცალმაგი სათოფურები აქვთ კედლებში.[1331]

კოშკა

სოფელი კოშკა მდებარეობს გორიდან ჩრდილოეთით 28 კმ. მანძილზე და სოფ. კარბიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. სოფლის სიძველეთაგან აღსანიშნავია:

80. ჩერქეზიშვილების კოშკი, რომელიც ამჟამად საცხოვრებელ სახლად არის გადაკეთებული.

81. ღვთისმშობლის ეკლესია (ამჟამად დანგრეულია).

82. წმ. გიორგის ეკლესია (ამჟამად დანგრეულია).[1332]

მერეთი

მერეთი, „ჩასარბენი“ ციხე-კოშკი

83. ციხე-კოშკი სოფლის ჩრდილოეთით, ერთი კილომეტრის მანძილზე, მდინარე ლიახვის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. თარიღდება XVII-XVIII საუკუნეების მიჯნით.

კოშკი ცილინდრულია (გარე დიამეტრი 9,8 მ, სიმაღლე 8,7 მ), ნაგებია რიყის ქვით. დაზიანებულია, შემორჩენილია ორი სართული. ინტერიერში, კედლებიდან აქა-იქ ქვებია ამოვარდნილი. ყველა სართულს კარი სამხრეთით ერთ ხაზზე აქვს. კედლებში ბუხარი და ღრმა ნიშებია ორმაგი სართულებით. სართულები გადახურულია კონუსური გუმბათით. გუმბათის ძირში კვეთით ოდნავ ზევით მიმართული სარკმელებია. სართულები ერთმანეთს უკავშირდება აღმოსავლეთის კედელში დატანებული კიბით.[1333]

სოფლის ტერიტორიაზე ორი ეკლესიაა: „ყველაწმინდა“ და „წმინდა გიორგი.“

84. „ყველაწმინდის“ სახელობის ეკლესია, სოფლის სამხრეთით, ყოფილი პიონერთა ბანაკის ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი დარბაზული ტიპისაა, მაგრამ პირვანდელი სახე დაკარგული აქვს. მთლიანად მიწითაა დაფარული (ჩასასვლელია 8 საფეხური). ზევიდან დაშენებულია სასადილო (ღია ფანჩატური).

1331 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გვ. 75.
1332 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, II, თბ., 1997, გვ. 27.
1333 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გვ. 79.

ინტერიერი: აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა. შესასვლელი დასავლეთიდანაა. მასალად გამოყენებულია რიყის ქვა. აბსიდის კუთხეები თლილი ტუფისაა. კედლების ზედა ნაწილები მონგრეულია და დასხმულია ბეტონის ჭერი.[1334]

მერეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

85. წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი მერეთის განაპირას, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, სასაფლაოზე. აშენებულია 1818 წელს.

ნაგებობა დარბაზულია (12 × 6,7 მ), ნაგებია რიყის ქვით, კუთხეები თლილი ქვისაა, ლავგარდანი – აგურის. შესასვლელები სამხრეთით და დასავლეთითაა. სამხრეთის შესასვლელი სწორკუთხაა. დასავლეთისა თაღოვანია და გარედან სწორკუთხა ჩარჩოშია ჩასმული. ნახევარწრიულ აფსიდში ღერძზე განიერი თაღოვანი სარკმელია, რომლის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. ორ-ორი თაღოვანი სარკმელი ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებშია. ეკლესიის კედლები შიგნით და გარეთ შელესილია. დასავლეთ ფასადის ფრონტონის ქვეშ, აგურის წყობაში, გამოყვანილია საკმაოდ დიდი ჯვარი. ეკლესიის ლავგარდანი სამსაფეხურიანია. ორფერდა სახურავის კრამიტი მოგვიანებით თუნუქის ფურცლებით შეუცვლიათ.[1335] ცნობილმა ქართველმა სიძველეთმცოდნემ გ. ბოჭორიძემ 1924 წელს მერეთის ეკლესიის ნივთები აღწერა: „934. ტილოზე ნახატი ხატი წმ. გიორგისა, 34 1/2-26 სმ. 935. ტილოზე ნახატი ხატი ჯვარცმისა, 37/28 სმ. 936. ტილოზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 33/26 1/2 სმ., ძლიერ დაზიანებული. 938. ფიცარზე ნახატი ხატი ღვთისმშობლისა ყრმით, 301/4-23 სმ., ვერცხლის არშიებით და შარავანდედებით; ღვთისმშობლის შარავანდედს უზის 1 დიდი თვალი; ვერცხლის არშიას გვერდზე აქვს წარწერა.“[1336]

წმ. გიორგის წარწერები გამოაქვეყნა იოსებ მეგრელიძემ, რომელსაც ტაძარი 1963 წელს მოუნახულებია.

სამხრეთ კედლის კარს ზემოთ წარწერა:

„მომიხსენიე(,) უფალო(,) საფლავსა ამასა
შინა მდებარე აღდგომელაანთ რძალ(-)
ი ელისაფეთი(,) მიხილველნო(,) შენდო
ბას ვითხოვთ ჩყკთ (=1829 წ.).

1334 დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის მიერ შედგენილი უძრავი ძეგლების საადრიცხვო ბარათები, შემდგენილი პაატა ბასიშვილი, ბარათი № 125, 29. 09, 2006.

1335 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გვ. 78-79.

1336 გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 296.

იმავე კედელში შემდეგ ქვაზე:
გიორგი ნინიკ(ას ძე) გიორგი(-)
იშვილის ჩა)გ(ო)ნებით განაშ(-)
უენიერა ტაძარი ესე. 1898 წ.
იქვე, ქვაზე ეპიტაფია:
მომიხსენიე(,) უფალო(,) ბაიაძე სოსიაშვ(-)
ილი ქიტესა(,) მხილველნო(,) შენდ(-)
ობას გთხოვ(,) ჩყკ? (182?).“[1337]

მერეთში დაკრძალულნი არიან ცნობილი ქართველი მწერალი ანტონ ფურცელაძე და აგრონომი და საზოგადო მოღვაწე ისაია ფურცელაძე.[1338]

ქორდი

ქორდი, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

86. ქორდის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი დგას სოფლის ცენტრში. თარიღდება XVI-XVIII საუკუნეებით. დარბაზული ეკლესია ნაშენია რიყის ქვით. მიშენებული აქვს გარსშემოსავლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდან. სამშენებლო მასალად გამოყენებულია რიყის ქვა. კუთხეებში და კონსტრუქციულად მნიშვნელოვან ადგილებში ტუფის თლილი კვადრებია გამოყენებული.

ინტერიერი: მთავარი დარბაზის აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა ცენტრში თაღიანი სარკმელით. აბსიდა დარბაზისაგან ქვისა და აგურის ორკარიანი კანკელითაა გამოყოფილი. სამხრეთით ორი სარკმელია, დასავლეთით – ერთი. შესასვლელები სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა, ისევე როგორც გარსშემოსავლელებში. ეკლესია გადახურულია ღარიანი კრამიტით. დასავლეთის ფასადზე ასომთავრული წარწერაა, იკითხება: „**ქრისტე შეიწყალე გიორგი**“. თუმცა, ამ ტაძრის დათარიღების შესახებ განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს, კერძოდ, პროფ. ი. მეგრელიძემ, რომელმაც შეისწავლა დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სიძველეები, გამოთქვა მოსაზრება, რომ ქორდის ღვთისმშობლის ტაძარი მსგავსებას პოულობს კუსირეთის ტაძართან (IXს).[1339] აღნიშნული ტაძრის კედლებზე თავის დროზე ნუსხახუცურით შესრულებელი წარწერები ამოუკითხავს პროფ. გ. ჯალაბაძეს,

1337 ი. მეგრელიძე, წარწერები და სხვა სიძველეები პატარა ლიახვის ხეობაში, ჟურნ. „მოამბე,“ 1963, № 5, გვ. 220.

1338 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გვ. 79; ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 209.

1339 ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 16.

რომელსაც მის გამოუქვეყნებელ ჩანაწერში გავეცანით: „ერთი წარწერა წინ აქვს შესავლის მაღლა კედლის ქვაზე და ერთიც შიგნით სატრაპეზოს განყოფილების შესავლის სვეტზეა დაყოლებული. კედლის ქვისა და ამ ტრაპეზში ჩატანებული წარწერებიანი ქვების გარდა, პატარა ქვის ნატეხიცაა ნაპოვნი. კედლის ქვის წარწერა ნუსხა-ხუცურით არის ამოჭრილი და ასე იკითხება: **ა–ში–ეი გიი აშენა გაიანე გომად გიორგის პატივსა**

კედლის ქვა ქრონიკებზე არ მიგვითითებს, ასე რომ ჩვენ უნდა მივმართოთ მეორე წარწერას, რომელიც ტრაპეზის კედლის ქვაზეა, მაგრამ ეს ქვა გაჭრილია, თუ გატეხილია და მისი ნაწილი დაკარგულია, ან სადმეა ჩატანებული ისევ კედელში. წარწერის ფრაგმენტი ასე იკითხება:

წეესივი

ა–ადიდი (გაუგებარია)

მეორე ნაპოვნ ქვას, რომელიც იქ იყო ტრაპეზთან, უფრო სწორედ ეგდო, აქვს შემდეგი სახის წარწერა:

ამ წარწერიდან შეიძლება ამოვიკითხოთ: „**ნათელსა ჟამს დგომად ნეტარსა,**“ მაგრამ ეს არ გვაძლევს საშუალებას, რომ დავადგინოთ თარიღი. ერთი კია, რომ თარიღის წარწერაც და აღმშენებლის ვინაობაც აქ უნდა იყოს გაბნეული.“

ქორდის ღვთისმშობლის ეკლესიის კედლებზე მკვლევარს ასევე უნახავს ცხოველების და ფრინველების სხვადასხვა ფრაგმენტული გამოსახულებანი. ტაძრის წარწერებიდან ირკვევა, რომ ქტიტორი ვინმე გიორგი იყო. ამ წარწერების გარდა ტაძრის რესტავრაციის (ტაძარი ორჯერ იქნა რესტავრირებული, პირველად იგი ქორდის მაცხოვრებელმა ლერი ჯალაბაძემ აღადგინა, ხოლო მეორედ ადგილობრივი ბიზნესმენის გიორგი ჯალაბაძის ოჯახმა. რესტავრაციის დროს აღმოჩნდა ასომთავრულით შესრულებული წარწერიანი ქვის ფრაგმენტი, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: **„წმიდაო.**“[1340]

ასომთავრული წარწერები ცხადყოფს, რომ ტაძარი გაცილებით ადრეა აგებული, ვიდრე ეს მატერიალურ კულტურის ძეგლთა ენციკლოპედიურ ცნობარშია აღნიშნული, და, შესაძლებელია, ნუსხურით და ასევე მხედრულით შესრულებული წარწერები, სხვადასხვა დროს, ტაძრის აღდგენისას ჩაემატა.

ქორდი, მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია

87. მთავარანგელოზის ეკლესია ასევე დარბაზულია. თარიღდება XVI-XVII საუკუნეებით. ფასადები თლილი, წითელი ფერის კვადრებითაა მოპირკეთებული. სამხრეთიდან მიშენებული აქვს დიდი კარიბჭე.

1340 გ. სოსიაშვილი, ძიებანი, თბ. 2007, გვ. 22.

ინტერიერი: აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა ცენტრში სარკმელით. კონქი და კამარა შეისრული ფორმისაა. გრძივი კედლების შუაში მდგომ პილასტრებს კამარის დამჭერი თაღი ეყრდნობა.

ფასადები: აღმოსავლეთ ფასადის ზედა ნაწილში, კეხის ქვეშ, ჩატანებულია ძველი ეკლესიის კანკელის ფრაგმენტი. სარკმელის ზემოთ გამოსახულია რელიეფური ჯვარი, მარჯვნივ – ადამიანის ფიგურა, მარცხენა ხელში დიდი ჯვრით. კარიბჭეს შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, მის ზემოთ ვიწრო სარკმელია. ეკლესიას შემოუყვება ბრტყელი, შვერილი ფორმის კარნიზი. ეკლესია გადახურულია კრამიტით.[1341]

გედევანიშვილების საფლავები ქორდის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში (ავტორის ფოტო)

ეკლესიის შიგნით ქორდში მცხოვრები „მცხეთისშვილების“ - გედევანიშვილების საფლავებია. შემორჩენილი ეპიტაფიები ასე იკითხება: „აქა განისვენებს გვამი აზნაურის დავით ზაზას ძე გედევანოვის. აღსრულდა იზსა სექტემბერსა ჩყპა წელსა. შობიდგან მესამოცის წელსა.“ „აქა განისვენებს გვამი მართა სვიმონის ასულის სიკო გედევანიშვილის მეუღლისა გარდაიცვალა 1788 წ. მაისის 22 დღეს.“ აქვეა საფლავის ქვა, რომლის წარწერაც დაზიანებულია, თუმცა იკითხება თარიღი – 1889 წ. რაც გარდაცვალების წელი უნდა იყოს. მთავარანგელოზის ტაძრის სიახლოვეს, არის სოფლის სასაფლაო, სადაც შეიმჩნევა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საფლავის ქვები, როგორც ჩანს, აქ იყო ადრე სოფლის ძველი სასაფლაო.

ქორდი, წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია (ავტორის ფოტო)

88. წმ. ბარბარეს ეკლესია მდებარეობს სოფლის განაპირას, სამხრეთით. თარიღდება XVI-XVII საუკუნეებით.[1342] ნაგებობა დარბაზული ტიპისაა (5,76X3,68 მ), აშენებულია რიყის ქვით. სარკმლის საპირეები და ლავგარდანი თლილი ქვისაა. ეკლესიას შესასვლელი სამხრეთი მხრიდან აქვს. კამარა ჩანგრეული იყო, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმებით ამჟამად აღდგენილია.

ბარბარეს სალოცავი ქორდში მცხოვრები ხაჩიურების მამულშია

1341 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გვ. 117.

1342 iqve

და მას სწორედ აღნიშნული გვარი პატრონობდა. როგორც ს. მაკალათია აღნიშნავს, ხაჩიურების წინაპრები იმერეთიდან გადმოსულან და ბარბარეც სწორედ დასავლეთ საქართველოდან გადმოუტანიათ.[1343]

ბარბარეს სალოცავი ბავშვების და ავადმყოფი ადამიანების მფარველად ითვლება. სალოცავთან დღემდე შემორჩენილია ამოკვეთილი ქვა. გადმოცემით, ქვაში ჩამდგარი წვიმის წყლით მხედველობა დაქვეითებული ბავშვები იკურნებიან.

ქორდის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის შესახებ გამოუქვეყნებელ ნარკვევში გ. ჯალაბაძე წერს: „ორმოცი წლის წინ (იგულისხმება XX საუკუნის დასაწყისი, – გ. ს.) იქ მხოლოდ ასწლოვანი მუხები იყო და შუა ადგილზე იდგა და დგას დღესაც პატარა შენობა. ირგვლივ მუხებია. შენობა ცენტრშია მოთავსებული. დანარჩენი მინდორია, ცარიელი. აქ ორშაბათობით მწვანე ველებზე მლოცველები ატარებენ დროს. შენობის სიგრძე 580 სმ., სიგანე 387 სმ., სიმაღლე სახურავიდან 400სმ-ს არ აღემატება. აღმოსავლეთის მხრიდან ერთი კვეთილი ფანჯარაა (10X60 გარედან), კარები სამხრეთის მხრიდან აქვს, შენობა რიყის ქვისა და მაგარი კლდის ნაგებობას წარმოადგენს. მოთავსებულია სოფ. ქორდის ბოლოზე. კარების მარცხნივ და მარჯვნივ მთლიანი კლდის ქვებია დატანებული მარცხენა ქვაზე არის წარწერები. თაღად მთლიანი კლდექვაა დატანებული, მასზედ წარწერებია, ხოლო ეს თაღი ქვა დამტვრეულია და გადაყრილი, რომლის წარწერები შეუცნობელი დარჩა.“

ამ წარწერებიდან მხედრული წარწერა ფრაგმენტულად ამოიკითხა პროფ. ი. მეგრელიძემ:

„დ(იდო) ანგელოზო
ისა სსლი საგ ძრი სმ.“[1344]

ამის გარდა, დამტვრეულ ქვაზე არის ნუსხური წარწერაც, რომლის ამოკითხვაც შეუძლებელია. საყურადღებოა აღმოსავლეთის კედელზე სარკმლის სიახლოვეს არსებული სამჯვრიანი გამოსახულებაც. ბარბარეს სალოცავის ეზოში ერთ დროს (როგორც გადმოცემა გვამცნობს) დაუსვენია სახალხო გმირს-არსენა ოძელაშვილს, რომელსაც აქ ულოცია, ადგილობრივ მცხოვრებლებს მისთვის სუფრაც გაუშლიათ.[1345]

ბარბარეს სალოცავის ირგვლივ ასწლოვანი, ნამეხარი მუხებია, რომლებსაც მლოცველები დიდ პატივს სცემენ. პროფ. ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ ქორდის ბარბარე, თავისი რიტუალითა და მასთან დაკავშირებული რწმენით, ძველი წარმართობის საყურადღებო გადმონაშთს წარმოადგენს.[1346]

ქორდის ტერიტორიაზე შემორჩენილია ასევე კვირაცხოვლის ნიში, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ ახლახანს სანიშე ააგო და მცირე გალავნით შემოღობა.

1343 ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ. 1971, გვ. 67.

1344 ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

1345 გადმოცემა 2007 წელს ჩავიწერეთ ქორდის მკვიდრის შოთა არჩვაძისაგან (დაბ. 1920 წ).

1346 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

ქორდის კოშკი

89. „მახათაანთ ციხე“. აგებულებით წარმოადგენს ცილინდრულ კოშკს. მდებარეობს მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, ფლატის პირას. ნაშენია რიყის ქვით და სქელი დუღაბით. თარიღდება XVIII ს. შუა ხანებით. შემორჩენილია ორი სართული და მესამე სართულის ბანი. პირველ სართულს ჩრდილო-დასავლეთიდან კედელი აქვს გამონგრეული. ამ სართულს სარდაფის დანიშნულება ჰქონდა. სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით კვეთაში ზევით ამავალი სარკმელებია. ჩრდილოეთით მეორე სართულზე ამავალი კიბის თაღიანი შესასვლელია. სართული გადახურული იყო აგურის გუმბათით (ამჟამად ჩანგრეულია).

II სართული: სათავსი რვაგვერდაა. ჩრდილო-დასავლეთით გარეთ გამავალი კარის ოდნავ შეისრულთაღიანი ღიობია. კარის გვერდით, აღმოსავლეთით I სართულზე ჩასასვლელი კიბის ღიობია. ყველა თაღი აგურისაა. მის აღმოსავლეთით, ორ მეტრში, მესამე სართულზე ასასვლელი კიბის ღიობია (ყველა კიბე კედლებშია ჩატანებული).

ამ სართულზე ხუთი საბრძოლო ნიშაა შეწყვილებული სათოფურებით. სართულს ზევით ამავალი 5 სარკმელი აქვს. სამხრეთ-აღმოსავლეთით ბუხარია. სათავსი გადახურულია რვაგვერდა პირამიდის სახით.

III სართული მთლიანად დანგრეულია. შემორჩა ბანი. ფასადზე, მეორე სართულის კარის ღიობი აგურით გამოყვანილ სწორკუთხედში ზის. მის თავზე გამოსახულია მოზრდილი ჯვარი, რომლის გვერდებზე ორ რიგად რომბებია ჩამოყოლებული. რომბების თითო რიგი კარის ძირამდე ჩამოდის.[1347]

1347 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გვ. 117.

ნაშრომში მითითებული სამოხელეო თანამდებობების, გადასახადებისა და ზომა-წონის ერთეულების განმარტებები[1348]

აბაზი – ქართული ფულის ერთეული, ვერცხლის მონეტა. შემოიღო ირანში აბას I-მა (აქედან მომდინარეობს ფულის ერთეულის სახელწოდება). აბაზი სწრაფად გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში. აბას I-ის დროინდელი აბაზის წონა 7,8 გ–ს უდრიდა (XVIII საუკუნის ბოლოს 3 გ-მდე შემცირდა). შეიცავდა 2 მაჰმუდს (უზალთუნს). აბაზის შუბლზე წარწერილი იყო შაჰის სახელი, ტიტულატურა, მოჭრის ადგილი და დრო, ზურგზე – რელიგიის ფორმულა. საქართველოში აბაზს ჭრიდნენ XVII საუკუნის I მეოთხედიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. რევოლუციამდელ და საბჭოთა საქართველოში „აბაზი“ ზოგჯერ ოცი კაპიკის აღმნიშვნელ სიტყვად გამოიყენებოდა.

გირვანქა – ძველი წონის ერთეული, უდრიდა დაახლ. 409,5 გრამს.

დრამი – ფულისა და მასის ერთეულის სახელწოდება ფეოდალურ საქართველოში. ტერმინი შემოსულია სასანიანთა ირანიდან, ირანში კი ბერძნულიდან შევიდა. დრამი ეწოდებოდა სხვადასხვა ქართულ და უცხოურ მონეტებს (სასანურ, ქართულ-სასანურ, არაბულ და XI–XII სს. ქართული ვერცხლის სრულნომინალიან მონეტებს). XII ს. 30-იანი წლებიდან 1230-მდე, „ვერცხლის კრიზისის" წლებში, დრამი ეწოდებოდა სწორი ჭედვის სპილენძის მონეტებს, 1230-იდან XVI ს-მდე კი კვლავ ვერცხლის მონეტებს აღნიშნავდა. დრამს საქართველოში მასის ერთეულად რუსული საზომი სისტემის დამკვიდრებამდე (XIX ს. 30–50-იანი წწ.) იყენებდნენ – შეიცავდა 4 დანგს. XVII ს-მდე დრამის მასა უდრიდა დაახლ. 2,97 გრამს, XVII–XVIII სს-ში – 3,07 გრამი დრამისა და მეფე ერეკლე II-ის აბაზიანების წონა ტოლი იყო.

დღიური – როგორც წესი, „დღიურში" აღმოსავლეთ საქართველოში იგულისხმებოდა მიწის ის ფართობი, რასაც გუთნეული ერთ დღეში მოხნავდა, მაგრამ „დღიურის" სიდიდეს განაპირობებდა სამუშაო დღის ხანგრძლივობა, გამწევი ძალა და ნიადაგის ხარისხი. XIX საუკუნეში „დღიური მიწა" 0,39-დან - 0,5 ჰექტრამდე მერყეობდა.

ვერშოკი – რუს. Вершок - სიგრძის ძველებური რუსული საზომი, უდრის 4,4 სმ-ს. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

კოდი – მარცვლეულის საწყაო XV–XIX საუკუნეების საქართველოში. კოდის მასა სხვადასხვაა. ცნობილია 8, 10 და 12-ლიტრიანი კოდები. „სწორ" (კანონიკურ) კოდში 10 ლიტრა ხორბალი ან 8 ლიტრა ქერი ჩადიოდა. ლიტრის მასური ოდენობის ზრდამ განაპირობა კოდის ტევადობის ზრდაც. 10-ლიტრიანი კოდი XVI საუკუნეში იტევდა 18 კგ. XVII საუკუნეში – 25,8 კგ. XVIII საუკუნეში – 30-34 კგ. XIX საუკუნეში აღმოსავლეთ საქა-

1348 შეადგინა პროფ. ი. ალიმბარაშვილმა.

რთველოში კოდის სიდიდე 50 კგ-მდე გაიზარდა. რაჭაში გავრცელებული იყო „ლომკაცის კოდი," რომელიც 41 კგ. იტევდა. სამხრეთ საქართველოში XIX საუკუნემდე კოდის სიდიდე 18 კგ. იყო.

კოკა – სითხის საწყაო საქართველოში X საუკუნიდან. მისი ტევადობა სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა იყო. XIII საუკუნის შუა ხანიდან გვხვდება 24-ლიტრიანი კოკა, ხოლო XVI-XVIII საუკუნეებში 8-16 ლიტრიანიც. ლიტრის ზრდის გამო საუკუნეთა განმავლობაში კოკის ტევადობაც იზრდებოდა. XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში 10-ლიტრიანი კოკა „სწორ" (კანონიკურ) კოკად ითვლებოდა (ტევადობა – 4 ჩაფი, ან 30-34 ლ). დასავლეთ საქართველოში „სწორი" კოკა 12-ლიტრიანი იყო (ტევადობა 36-37 ლ). 12-ლიტრიანი კოკის ნახევარს მენახევრე ერქვა. XIX საუკუნის 30-იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოში კოკა 12 თუნგით განისაზღვრებოდა.

კულუხი – გლეხის ვენახზე დაწესებული ფეოდალური გადასახადი, იხდიდნენ ღვინით. კულუხის გადახდა ხდებოდა ვენახის ფართობის, მოსავლის ან გლეხის შეძლების მიხედვით. გვიანფეოდალურ ხანაში კულუხი, საშუალოდ, მოსავლის 1/5-დან - 1/10-მდე მერყეობდა და მისი მოცულობა საშუალოდ 200 ლიტრი იყო.[1349] მიწის ფეოდალური საკუთრების მოშლასთან ერთად კულუხმა არსებობა შეწყვიტა.

ლიტრა – წყლის ან ღვინის დასალევად განკუთვნილი თიხის ჭურჭელი გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში. ერთი ლიტრი უდრის 1000 გრამს. ლიტრა საწონის გარდა საწყაოდაც გამოიყენებოდა. ლიტრით აირწყვოდა მარცვლეული და სითხე. XIX საუკუნის მონაცემებით საწყაო ლიტრა თბილისის მაზრაში 3,2კგ-ს უდრიდა, ხოლო თელავის მაზრაში – 4,5-5კგ-ს.

მინალთუნი – მინანთუნი – თურქ. ვერცხლის ფულის ერთეული, 1 მინალთუნი უდრიდა 5 აბაზს, იგივე 20 შაურს.

მინბაში – (აზერბ. მინ — ათასი, თურქ. ბაში – უფროსი) – ათასეულის უფროსი, ათასისთავი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. ქართლის სამეფოში მინბაში XVII საუკუნეში ირანის საოკუპაციო ჯარის უფროსად, თბილისის ციხისთავად ჩანს. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მინბაში არა მარტო ციხის უფროსი იყო, არამედ მორიგე ჯარში მაღალი თანამდებობის პირიც, რომელსაც ჯარის წვრთნაც ევალებოდა.

ნაზირი (არაბ.) – სამეურნეო-საფინანსო დარგის მოხელე XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში. არსებობდა სალაროს ნაზირი (აბრამადი), ქარხნის, ანუ საწყობის ნაზირი, რომელსაც სამეფო შემოსავალი ებარა, ასევე ჩარფა ნაზირი – სამეფო საქონლის ზედამხედველი; ნაზირს თავისი ხელქვეითები ჰყავდა. ქართლ-კახეთის გაერთიანების შემდეგ ცალ-ცალკე არსებობდა ქართლისა და კახეთის ნაზირის თანამდებობა. ნაზირი ჯამაგირის და ულუფის სახით გასამრჯელოს იღებდა.

პროვიანტი – (გერმ.) – სურსათი, ძირითადად ჯარისათვის.

1349 ა. თაბუაშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბ., 2020, გვ. 110.

ულუფა – ლაშქრის, სახელმწიფო მოხელეთა და შიკრიკების გამოსაკვებად დაწესებული გადასახადი შუა საუკუნეებში. იგი, ძირითადად, ნატურალური გამოსაღები იყო, მაგრამ ზოგჯერ ფულადაც იხდიდნენ. ეს გადასახადი ჯერ კიდევ სელჩუკიანთა ხანაში გვხვდება (ნიზამ ალ-მულქი). მონღოლთა ბატონობის დროს კი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გადასაღები გახდა, რადგან ზუსტად არ იყო განსაზღვრული მისი ოდენობა და აკრეფასაც ბევრი სიავკაცე სდევდა. საქართველოში ულუფა მონღოლებმა შემოიღეს. XV-XVIII საუკუნეებში ის ადგილობრივი გადასახადად იქცა. გვხვდება: სათათრო, მუდამი, მთელი, წვრილი ულუფა.

ჩანახი – ძველებური ქართული საწყაო, დაახლ. ნახევარი ფუთი, ანუ 8 კგ.

ჩარექი – წონის ერთეული, ქართულად ნიშნავს მეოთხედს. გამოიყენებოდა როგორც საწონად, ასევე საწყაოდ, მანძილის და ფართობის საზომად.

წონის საზომად ჩარექი საქართველოში X ს-ის მეორე ნახევრიდან დასტურდება. შეადგენდა ლიტრის მეოთხედს და ამდენად, მისი ოდენობა ლიტრის სიდიდეზე იყო დამოკიდებული. სულხან-საბას მიხედვით: „სპარსნი ლიტრის ნაოთხალსა ჩარექს უხმობენ, რომელსა სომხურად ნუკი და ქართულად გვერდი, გინა ნაოთხალი ეწოდების, ხოლო გვერდისა ნაოთხალსა ქსანი ეწოდება.“

XIX ს-მდე ჩარექის, ისევე, როგორც ლიტრის წონა თანაბრად იზრდებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. XV-XVI სს-ში ჩარექი შეადგენდა 446 გრ-ს, XVIII ს-ში – 828 გრ-ს. XIX ს-ში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩარექის წონის სხვადასხვა მონაცემებია დაფიქსირებული, რაც ლიტრის წონის სხვდასხვაობით იყო განპირობებული. მაგ: ქართლში ჩარექი იწონიდა 921 გრ-ს, კახეთში - 848 გრ-ს, დასავლეთ საქართველოში -1 კგ-ს.

საწყაოთა სისტემაში ჩარექი თუნგის მეოთხედს შეადგენდა და სითხის საზომად გამოიყენებოდა. მასიურად, საწყაოდ ჩარექი XVIII ს-დან გავრცელდა. აღმ. საქართველოში ჩარექი თიხისა და სპილენძისაგან დამზადებული ღვინისა და არყის საზომი საწყაო იყო.

სიგრძის საზომად ჩარექი ხშირ შემთხვევაში მტკაველის ნაცვლად გამოიყენებოდა. ზომით იგი ადლის მეოთხედს შეადგენდა. როგორც ფართობის საზომი, ჩარექი დაკავშირებული იყო დღიურთან და შეადგენდა მის მეოთხედს, ე.ი. 0,125 ჰ-ს.

შაური – ხუთი კაპიკის ღირებულების ფულის ერთეული.

ხარვარი – ძველი ირანული წონის ერთეული, უდრიდა დაახლ. 300 კილოგრამს, ქართულად კაბიწი, 12 კოდი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

წყაროები:

1. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009.

2. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, თბ., 1901.

3. ამილახვარი ალ., გეორგიანული ისტორია, გ. ქიქოძის თარგმანი, ჟურნ. „მნათობი“, 1939, №8.

4. ბაგრატიონი იოანე, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986.

5. ბაგრატიონი იოანე, აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა, რედაქტორი და გამომცემელი ზ. კაცელაშვილი, თბ., 1997.

6. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის რედ., თბ., 1941.

7. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.

8. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.

9. ბატონიშვილი ვახუშტი, საქ. ისტორია, გამოცემული დ. ბაქრაძის მიერ, ტფ., 1885.

10. ბატონიშვილი იოანე, ხუმარსწავლა, წიგნი II, თბ., 1991.

11. გაბაშვილი ტიმოთე, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1956.

12. გაბაშვილი ტიმოთე, მოხილვა წმინდანთა და სხუათა აღმოსავლეთის ადგილთა, ტფ., 1852.

13. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტ. VIII, თბ., 1970.

14. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962.

15. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ.

გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964.

16. გოზალიშვილი გიორგი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. III, თბ., 1976.

17. გორგიჯანიძე ფარსადან, ისტორია, საისტორიო მოამბე, II, 1925.

18. დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის, დოკუმენტები გამოსაცემად მოამზადა პროფ. შ. ხანთაძემ, თბ., 1999.

19. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940.

20. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. II, თბ., 1953.

21. დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. I, ავტორები: თეა ქართველიშვილი (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი), ხათუნა ბაინდურაშვილი, ირაკლი გელაშვილი, თამაზ გოგოლაძე, მაია შაორშაძე, თემო ჯოჯუა, რედ. მზია სურგულაძე, მზია სურგულაძის რედ., თბ., 2019.

22. დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. II, ავტორები: თეა ქართველიშვილი (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი), ხათუნა ბაინდურაშვილი, ირაკლი გელაშვილი, თამაზ გოგოლაძე, მაია შაორშაძე, თემო ჯოჯუა, რედ. მზია სურგულაძე, თბ., 2021.

23. ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის რედ. თბ., 1940.

24. ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.

25. იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28, 1950.

26. ივირონის აქტები, დაარსებიდან XI საუკუნის შუა წლებამდე, დიპლომატიკური გამოცემა, ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდის, დენიზ პაპახრისანთუ, ელ. მეტრეველის თანაავტორობით, ტ. I, თბ., 2008.

27. ივირონის აქტები, XI საუკუნის შუა წლებიდან 1204 წლამდე, დიპლომატიკური გამოცემა, ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდის, დენიზ პაპახრისანთუ, ვასილიკი კრავარი, ელ. მეტრეველის თანაავტორობით, ტ. II, თბ., 2008.

28. ივირონის აქტები, 1204-1328, დიპლომატიკური გამოცემა, ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდის, დენიზ პაპახრისანთუ, ვასილიკი კრავარი, ელ. მეტრეველის თანაავტორობით, ტ. III, თბ., 2008.

29. ივირონის აქტები, 1328 წლიდან XVI ს-ის დამდეგამდე, დიპლომატიკური გამოცემა, ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდის, დენიზ პაპახრისანთუ, ვასილიკი კრავარი, ელ. მეტრეველის თანაავტორობით, თბ., ტ. IV, თბ., 2008.

30. კონჭოშვილი პეტრე, მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმს და წმ. ათონის მთაზედ, კომენტირებული გამოცემა, გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ვაჟა კიკნაძემ, თბ., 2016.

31. ლორთქიფანიძე იასე, საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV-B, 1947.

32. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I წიგნი, (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით) გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964.

33. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა 1744-1840, ტფ. 1906.

34. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, ტ. I, თბ., 1938.

35. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, ტ. II, თბ., 1953.

36. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, ტ. III, თბ., 1955.

37. მეტრიჩესკის წიგნი, მიცემული საქართველო-იმერეთის უწმინდესის მმართებელის სინოდის კანტორიდგან გორის უეზდის არბოს წმინ. გიორგის ეკკლესიასა შინა, ჩასაწერად დაბადებულთა, ქორწინებით შეუღვლილთა და გარდაცვალებულთასა. ჩყეთ წლისა.

38. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ელ. მეტრეველისა და ც. ქურციკიძის რედ. ტ. I, თბ., 1991.

39. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. II, თბ., 1993.

40. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991.

41. პირთა ანოტირებული ლექსიკონი ტ. II, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბ., 1993.

42. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ანა ბაქრაძემ, ლევან რატიანმა და გიორგი ოთხმეზურმა, თბ., 2004.

43. ჟორდანია თ., ქრონიკები, I, თბ., 2004.

44. ჟორდანია თ., ქრონიკები, II, გამოსაცემად მოამზადა მანანა ჭუმბურიძემ, თბ., 2018.

45. რაინეგსი ი., მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002.

46. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990.

47. საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, ტ. I, დ. მუსხელიშვილის რედ., თბ., 2010.

48. საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, დ. მუსხელიშვილის რედ. ტ. II, თბ., 2010.

49. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, პროფ. ავთ. იოსელიანის რედ. თბ., 1980.

50. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990.

51. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21, ბათომი, 1921.

52. საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ. ტ. I, ტფ., 1899.

53. საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედ. ტ. II, ტფ., 1909.

54. საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედ. ტ. III, ტფ., 1910.

55. საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2016-2017 წლების ანგარიში, 2018.

56. ქართველიშვილი იოანე, მემუარები, ავთ. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1952.

57. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

58. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.

59. ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის რედ. ტ. II, სპბ., 1854.

60. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013.

61. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი, 1903.

62. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. III, ნაკვ. I, თბ., 1963.

63. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, აკად. არნ. ჩიქობავას რედ., თბ., 1986.

64. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, II, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ, თბ., 2013.

65. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, შეადგინეს თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, თბ., 2014.

66. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, XVI საუკუნე (ქართლი და სამცხე-საათაბაგო). ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, სპარსული ტექსტები მოამზადა თამაზ აბაშიძემ, თბ., 2016.

67. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, V-X საუკუნეების ძეგლები გამოსცა, ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1953.

68. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X ს.ს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

69. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970.

70. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. I, თბ., 1963.

71. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965.

72. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970.

73. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. IV, თბ., 1972.

74. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. V, თბ., 1974.

75. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VI, თბ., 1977.

76. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VII, თბ., 1981.

77. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VIII, თბ., 1985.

78. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წიგნი II (1213 წლიდან 1700 წლებამდე), თბ., 1897.

79. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მესამე, გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967.

80. ყაუხჩიშვილი ს., გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. VIII, თბ., 1970.

81. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.

82. შიდა ქართლი (პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა, ცხინვალის რაიონი), ც. დადიანიძის რედ. ტ. I, თბ., 2002.

83. ჩხეიძე სეხნია, ცხოვრება მეფეთა, ქ.ც. II, დ. ჩუბინიშვილის გამოც. სპბ., 1954.

84. ჩხეიძე სეხნია, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., ტფ. 1913.

85. ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954.

86. ხარაძე კ., ათი წელი მოგზაურობაში, იონა გედევანიშვილი, თბ., 2013.

87. ხერხეულიძე ომან, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1989.

88. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967.

89. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией, Под общ. ред. А. Д. Берже, т. I, Тиф., 1866.

90. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией, т. II, Тиф., 1868.

91. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией, т. III, Тиф., 1869.

92. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией, т. IV, Тиф., 1870.

93. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией, т. V, Тиф., 1873.

94. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией, т. VI, Тиф., 1874.

95. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией, т. VII, Тиф., 1878.

96. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией, т. IX, Тиф., 1884.

97. История Юго-Осетий в документах и материалях, сост. Т. Д. Тогошвили и И. Н. Цховребов, т. I, ТБ., 1962.

98. История Юго-Осетий в документах и материалях, сост. Т. Д. Тогошвили и И. Н. Цховребов, т. II, ТБ., 1962.

99. История Юго-Осетий в документах и материалях, сост. Т. Д. Тогошвили и Цховребов, т. III, Цхинвал, 1961.

100. Камеральное описание церковных крестьян Горийского уезда, 1831 год.

101. Свод статистических данных о населений Закавказского края излеченных из посемеичных списковь 1886 г. Тифл., 1893.

102. Brosset M., Rapports sur un voyage archeologgique dans la Georgie et dans Larmenie, exsecuite en 1847-1848, III, St. Petersbourg, 1851.

ლიტერატურა

103. აბრამიშვილი ვ., მდინარე ლიახვის სახელწოდების განმარტებისთვის, „მნათობი“, №1, 1971.

104. აკოფაშვილი გ., სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII ს.ს. ქართლში, თბ., 1965.

105. ალიმბარაშვილი ი., ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011.

106. ალიმბარაშვილი ი., აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში, თბ., 2008.

107. ალიმბარაშვილი ს., ტინისხიდის ისტორია, გორი 2005.

108. ალიმბარაშვილი ი., კათალიკოსი დომენტი IV, „საისტორიო ძიებანი,“ XII, 2013-2014, ექვთიმე თაყაიშვილის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, თბ., 2015.

109. ალიმბარაშვილი ი., შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის I ოცწლეულში, რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021.

110. ანდღულაძე ნ., თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976.

111. ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები, თბ., 1991.

112. ბატონიშვილი დავით, ახალი ისტორია, თ. ლომოურის რედ. თბ., 1941.

113. ბახტაძე მ., არაგვის ერისთავთა ქრონოლოგია (XVI-XVIII საუკუნეები), თბ., 2005.

114. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967.

115. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973.

116. ბოჭორიძე გ., ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, გამოსაცემად მოამზადეს ზაზა სხირტლაძემ და ნატალია ჩიტიშვილმა, ინგა გოგობერიშვილის მონაწილეობით, თბ., 2011.

117. გაბაშვილი ვ., ფეოდალური წყობილება საქართველოში, თბ., 1958.

118. გამყრელიძე ბ., ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში, კრებულში „ოსთა საკითხი,“ ა. ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ. გორი-თბილისი, 1996.

119. გაჩეჩილაძე მ., სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა, თბ., 1996.

120. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.

121. გვასალია ჯ., პატარა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები, „ძეგლის მეგობარი” 1976-1977, №43-44.

122. გვასალია ჯ., შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, კრებ. „ოსთა საკითხი," გორი-თბილისი, 1996.

123. გვასალია ჯ., შიდა ქართლი და ოსური საკითხი, თბ., 1997.

